

ოქროს ჩარდახი

სარდალ-სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი აღდგომის მარხვის დამდევამდე ქუთაისს უნდა წასულიყო. რადგან, მისი ვარაუდით, იმ ხანებში მეფე იმერთა უკვე დაბრუნდებოდა ოდიშიდან, სადაც ის ჯერ დადიანთან და შემდეგ ჭყონდიდელთან სტუმრობდა. პაპუნას სურდა, როგორც სამეფო კარის განმგებელს, მეფეზე ადრე მისულიყო სასახლეში და სოლომონისათვის ყოველივე წესრიგზე დაეხვედრებია. მართალია, თავის მოადგილედ გამოცდილი და ერთგული მოურავი დასტოვა, მაგრამ იცოდა, რომ სასახლის თავგასული მსახურნი მას ბევრად არ გაუგონებდნენ და ყოველივეს არევე-დარევედნენ. სასახლის კარზე სამსახური აიძულებდა პაპუნას თავის კარ-მიდამოს მოწყვეტოდა და ამიტომ, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, წლის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც რამდენიმე დღით მაინც, გამგზავრებულიყო საჩხერისაკენ, რათა მოენახულებინა თავისი თვალუწვდენელი მამულები. ახლაც ზამთარში მოუხდა შინ მისვლა. მართალია, როდესაც ქუთაისიდან გამოემგზავრა, საამო ამინდები იდგა, მაგრამ თებერვალში მოულოდნელად მოიქუფრა, დასავლეთიდან ქარმა მძიმე ღრუბლები მორეკა და რამდენიმე დღე გაშუდმებულად თოვდა. მხოლოდ ყველიერის კვირას გადაიდარა, ღამით მოიწმინდა და ისეთი ყინვა დაიჭირა, რომ ალაგ-ალაგ ყვირილაც კი გაყინა. სახლთუხუცესს მოურავი ეახლა და მოახსენა, თქვენ რომ საკურდღლედ წაბრძანებას აპირებდით, ამაზე უკეთეს ამინდს კაცი ვერ ინატრებსო. პაპუნამ ბრძანა, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ მზადებას, რათა მეორე დღეს გათენებამდე გასულიყვნენ სანადიროდ. მოურავმა მაშინვე დაიბარა მონადირეები და მთელი ღამე საჯალაბოში არ შეწყვეტილა მათი ზორხოცი და მწვეარ მეძებართა ყეფა-ღავლაყი. ზოგი მონადირე ბანდულებს ასხამდა, ზოგი თხილაბურებს აწყობდა და ზოგი პაიჭებს იპოხავდა ქონით, რათა ზედ თოვლი არ მოდებოდა. ძლივს მოასწრეს ოდნავ თვალის მოტყუება, რომ მთავარმა მონადირემ და ბაზიერთუხუცესმა ყველანი ზეზე წამოყარა. ბატონი უკვე აბრძანებულიყო.

გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა და ცა ვარსკვლავებით იყო მოჭვდილი. კერიასთან ნაფიცებები მონადირეებს გაყინული ჰაერი მწარედ კბენდა სახეზე და შიშველ ხელებზე. ამონასუნთქი ჰაერი ორთქლის კამარებად გამორბოდა ნესტოებიდან.

სამოახლოდან ბატონის მსახური გოგოები იჭყიტებოდნენ და წამდაუწუმ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

– ნეტავი თქვენს გუნებას! რა უნდა მომცე ქირა ახლა, რო გარეთ გავიდე.

თავზე საბანწახურული გადია თითქოს თავისთვის ბუზღუნებდა:

– კარი დაკეტეთ, თქვე გასაწყვეტებო. აბა ერთი ფილიმონას ბიჭმა ხელი დაგიქნით, თუ არ გახვიდეთ გარეთ! მონადირის გარეთ გასვლა უკვირთ! კერიას ფიჩხი დაყარეთ და საქმეს მოკიდეთ ხელი, თორემ თუ ავდექი ზეზე, მე თქვენ გაჩვენებთ...

გოგოები კი ისევ ეტუბუზებოდნენ კარს და ცდილობდნენ ოდნავ მაინც მოეკრათ თვალი ფილიმონას ტანწერწეტა ბიჭისათვის, რომლის დანახვაც კი დიდი ბედნიერება იყო მათთვის. ფილიმონა ბატონის შინაყმა იყო და თავისი შვილი სადუნა ქუთაისს გააყოლა სახლთუხუცესს, ბატონსაც ემსახურება, თან იქნება ისწავლოს რამე და კაცი დადგესო. სადუნამ ქუთაისში ულვაშის გრეხა და, როგორც იმერეთში იტყოდნენ, წმარწია სიარული ისწავლა. რაკი ბატონის ნაცვამი ლეკური შალის ჩოხა მოიგლო მხრებზე და ფეხზე ქუთაისელი ხარაზების შეკერილი წულამესტი ჩაიცვა, ქვეყანა თავისი ეგონა. სადუნა ბატონის პირისფარეში და გულის მესაიდუმლე იყო, განუყრელად თან ახლდა და ათასგვარ საიდუმლო დავალებას ასრულებდა. არავის ისე არ ეხერხებოდა გოგოებთან შეუმჩნეველად ჩურჩული, როგორც სადუნას. გოგოებიც თითქოს გრძნობდნენ ამას და სადუნას დანახვისთანავე გვრიტებივით გაინაბებოდნენ.

კაცმა არ იცოდა, რას ჩასჩურჩულებდა საღუნა გოგოებს, რადგან არც ერთი მათგანი არ ამხელდა მის ნათქვამს. მარტო გადია მიუხვდებოდა ზოლმე ლოყაატკეცილ და ოდნავდაბნეულ რომელიმე გოგოს, რომ მას საღუნასთან ესაუბრნა, მაგრამ არც გადია იღებდა ხმას. მან იცოდა, რომ საღუნა ბატონისათვის ზრუნავდა. მარტო პირჯვარს გადაისახავდა, გულში მჯიღს ჩაირტყამდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა:

– როდემდის უნდა ასე ქვრივობაში გაატაროს? ამდენი ცოდვა საიქიოს რითი უნდა ზილოს? ერთი მაგის მეორედ დაქორწინებას მომასწრო, მეტი არა მინდა-რა.

გადიამ, ცხადია, არ იცოდა, რომ ბატონის ცოდვათა სამი მეოთხედის მზიდველი თვით საღუნა იყო.

ამ ხორხოცში იყვნენ გოგოები კარებთან, რომ ამ დროს ვიღაცა მოულოდნელად მოეპარა, თუ გვერდი ჩაუარა, და ერთი მაგრად დასჭყვივლა:

– რა გინდათ აქ? ჰაიზ, თქვენ კი გენაცვალეთ ყველას!

გოგოებმა დამფრთხალი ქათმებივით წიოკი ასტეხეს და ერთი სიცილ-კისკისით და ვაი-ვიშით დაიფანტნენ სამოახლოში. ზოგი ისევ საბანქვეშ შეძვრა, ზოგი საფეიქრო დაზგას გადაემხო, ზოგი დაპენტილ მატყლში შეგორდა, ერთმა ლადარში სტუცა ფეხი და მთელი ოთახი ნაცრის ბულით აავსო.

საღუნამ კი სიცილით ჩაუარა სამოახლოს და საჯინბოსკენ გასძახა:

– ცხენები ჩქარა, ბატონი გამობრძანდება. სად ავღიხართ აქამდე?

ჯილაღდარებმა მაშინვე გამოიყვანეს შეკაზმული ცხენები და პალატის თაღებიან აივანთან მიჰგვარეს ბატონსა და მის ამაღას.

– ტყდება, ბიჭო, თოვლი? – უმისამართოდ იკითხა პაპუნამ და ნაბადი გვერდზე მოაგლო, რომ ცხენზე ადვილად შემჯდარიყო.

– არა, აჰ! – ერთად უპასუხა სიბნელიდან რამდენიმე ხმამ. – ქვასავითაა, ბატონო, შუადღემდე მზიანიც რომ იქნეს, ძვრას ვერ უხამს.

– აბა გვინადირნია დღეს, – თქვა პაპუნამ და უნაგირზე შესწორდა.

– ღმერთმა ბედნიერ ფეხზე გატაროთ, – გაისმა აქეთ-იქიდან.

– აბა გვინადირნია დღეს, – გაიმეორა პაპუნამ. – უჰ, რა მაგარი ყინვაა. შესხედით ყველა? საღუნა, სადა ხარ?

– აქა ვარ, ბატონო, – მოისმა ეზოს ბოლოდან მათრახის ტკაცუნის და ცხენის ფეხის ბაგუნის.

– აბა გაგვიძეხი! მონადირეები და კურძულები სად არიან?

– წინ მიდიან, ბატონო, ძაღლები მიყავსთ-ყე.

– საითკენ მივდივართ, ბიჭო? – იკითხა უცბად პაპუნამ და ცხენის სადავე მოზიდა, თუმცა ჯერ ადგილიდანაც არ დაძრულიყო.

– გაღმა გავალთ, ბატონო, კალუათას სერებს გავუყვებით და მერე რავაც წავგიყვანს კვალი ან ბუინვეისკენ ან კორბოლისკენ ვიზამთ პირს.

– აბა შენ იცი!

ცხენოსნები დაიდრნენ. თმააბურძენულმა ფარეშმა ჭრიალით გაალო დიდი ჭიშკარი და მხედრები თანმიყოლებით გაიკრიბნენ ეზოდან.

ცისკარი ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ თოვლით დაფარული მიდამო გზა-კვალს მაინც ადვილად გასარჩევს ხდიდა. ცხენოსნებმა სწრაფად ჩაიარეს ებრაელებითა და სომხებით დასახლებული დაბნელებული ბაზარი და ყვირილის პირად გავიდნენ. ხიდზე გასვლის დროს ცხენები ოდნავ გაჯიუტდნენ. ხიდის ისრები თოკზე გაკიდებულივით ირწეოდნენ და კაცი იფიქრებდა, სადაცაა ჩაინგრევაო. მხლებლებმა სადავეში ჩასჭიდეს ცხენებს ხელი და ისე გაიყვანეს ხიდზე. ხიდგაღმა იწყებოდა საწერეთლოს ცნობილი ხოდაბუნები, რომელიც თითქმის მთლიანად პაპუნას საკუთრება იყო. მართალია, ეს ხოდაბუნები სახლთუხუცესის

თვალუწვდენელი მამულების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს შეადგენდა, მაგრამ თავისი მდებარეობით, სარწყავი არხებით და საარაკო მოსავლით ისე გამოირჩეოდა არა თუ მის მამულებში, არამედ მთელს იმერეთში, რომ ყველას ზედ რჩებოდა თვალი. ერთხანს გაზვიადებულმა რაჭის ერისთავმა როსტომმა ამ ხოდაბუნების წართმევა კი დაუპირა პაპუნას, დრო იხელთა, გამოავაზა თავისი ხალხი, დაახვეწინა მთელი ეს თვალუწვდენელი საყანე ადგილები და წერეთელს კი შეუთვალა: ეს მამულები თამარის დროს კახაბერის საკუთრება იყო, ახლა კი მე მეკუთვინის და თუ ბიჭი ხარ, გაბედე და შიგ ფეხი შედგო. ახლა ეს როსტომი თვალდათხრილი და დაბეჩავებული მოდინახის ციხეში ჰყავდა დამწყვდეული პაპუნას და როდესაც ხიდაბუნებზე გავიდნენ, სახლთუხუცესმა უნებურად აიხედა თავის მიუვალ ციხისაკენ. აღმოსავლეთის კოშკში სინათლე კიაფობდა და მალლა ატყორცნილი, მთის წვერზე შავად აღანდული ციხე ცაში დაკიდულს ჰგავდა.

ხოდაბუნების დაცემული ვაკე მალე გადაიარეს და დაბალი ბუჩქნარებით დაფარულ გორაკებს შეუდგნენ. ცხენოსნებს, მართალია, ფიცხად მიჰყავდათ თავიანთი მერნები, მაგრამ ქვეითებს მაინც ვერ ეწეოდნენ. ისინი მუდამ წინ იყვნენ, რადგან გზას მოკლე ბილიკებით სჭრიდნენ. მაგარი ყინვაც ხელს უწყობდათ, სულმოუთქმელად გარბოდნენ აღმართზედაც და დაღმართშიაც.

უკვე რიჟრაჟი იყო, როდესაც მთავარმა მონადირემ ბატონს მოახსენა – ახლა კი დროა აქ დავდგეთ, სანამ კურბუალები წრეს შეკრავენ და მეძებრები კურდღლებს გამოდენინდნენო.

მხედრები მაშინვე ჩამოქვეითდნენ და ტყის პირად დიდი მუხის ძირში მოგროვდნენ, სადაც რამდენიმე კაცი ცეცხლს ანთებდა. ზოგი ფიჩხს ეზიდებოდა, ზოგი თოვლისა და ნეშოსაგან ადგილს ასუფთავებდა, ერთი მათგანი კი ჩაჩოქილიყო, გაღვივებულ აბედზე ნეშო დაეყარა და თავგამეტებით უბერავდა. რამდენიმე კაცმა საკმაოდ დიდი მორი მოათრია და ბატონს მერხად დაუდგა. სადუნამ მეძებარეობით ჰაერი მოყნოსა და მონადირეებს უბრძანა, მორი ცეცხლის პირას იმ მხრიდან დაეგდოთ, საიდანაც ოდნავი სიო უბერავდა, რომ ბატონი ბოლს არ შეეწუხებინა. შემდეგ თავისი ნაბაღი მორზე გადააფარა და სახლთუხუცესს თავაზიანად სთხოვა, დაბრძანდითო. მალე ცეცხლიც დაინთო, ხმელ ფოთლებს ალი მოედო. ცეცხლს იმდენი ფიჩხი დააყარეს, რომ კაცის სიმაღლე კოცონი ააგიზგიზეს. ალი მხიარულად ამორბოდა ქვემოდან, ხმელ ტოტებს ეხვეოდა და თანდათან ძლიერდებოდა. სიცივისაგან გათოშილი ბატონის მხლებელი აზნაურები მაშინვე მისცვივდნენ კოცონს და ზოგი ხელებს ჰყოფდა ალში, ზოგი ფეხს. მწვავე ბოლი თვალელებში სცემდა მათ, მაგრამ მაინც ერთი მხრიდან ეტუბურებოდნენ ცეცხლს, რადგან მოპირდაპირე მხარეზე ბატონი იჯდა ნაბადგადაფარებულ მორზე და არც ფიქრობდა, ცეცხლისაკენ თუნდაც ოდნავ წახრილიყო. მხოლოდ თივთიკის ჩაბალახი მოიხსნა და წვერგაპარსული სახე ხელებით მოისრისა, მერე ულვაშები გადაიგრიხა და ფარეშს უბრძანა, მისთვის ჩიბუხი გაეწყო.

სადუნამ მონადირეებს გასძახა, ცხენიდან ხურჯინი მოეხსნათ, რომლის ერთ თვალში სავსე ტიკჭორა იყო, ხოლო მეორეში შოთი პურები და სამწვადე ხორცი ელაგა. სწრაფად გათალეს გრძელი შამფურები, ზედ მზარეულის მიერ წინასწარ კოხტად დაჭრილი ხორცი ააცვეს და დანაკვერცხლებულ ცეცხლზე მიუფიცხეს.

– ბატონო, უზმოზე ჩიბუხს ნუ ინებებთ, – ურჩია უფროსმა მონადირემ, სახელგანთქმულმა ზურაბმა, სახლთუხუცესს, – აგერ მწვადები იქნება ახლავე მზად. აქ იმისთანა მაგარი ჰაერია, რომ კაცს აუცილებლად მოგაშიებს, თორემ დილით ლუკმას რა ჩამაკარებს პირში.

– მართალია, მაღა გამიხსნა ამ ცივმა ჰაერმა, მოხსენი, ბიჭო, ტიკჭორას თავი, – გასძახა პაპუნამ და გრძელტარიანი ჩიბუხი განზე გადასდო.

მალე მწვადებიც შეიწვა და საუზმეს შეუდგნენ. ყველანი ფეხზემდგარნი ილუკებოდნენ. მარტო პაპუნა იჯდა ცეცხლის პირად, ხელში გრძელი შამფური ეჭირა, პატარა ბასრი დანით ნახევრად შეაჭრიდა მწვადის ნაჭერს და რიგრიგობით მოუკითხავდა ხოლმე მხლებლებს.

პაპუნა ასეთ თავაზიანობას იჩენდა, როცა ის კარგ გუნებაზე იყო ხოლმე.

– სადუნა, მოდი!

– ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს, – უპასუხებდა სადუნა, მწვადის ნაჭერს ხელს წაატანდა და მხოლოდ მაშინ შეაჭრიდა პაპუნა საბოლოოდ ამ ნაჭერს. ახლა მეორეს გასძახებდა:

– კიკოლა, მოდი!

– თქვენ მიირთვით, ბატონო. ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს, – გამორბოდა კიკოლა.

– ბარამ, შენი ჯერია.

– თქვენი დღევრძელობა ნუ მოაკლოს მთელს ამ იმერეთს. მაღლობა მომიხსენებია.

პაპუნას არ დავიწყებია არც ერთი მხლებელი და მონადირე. ყველას ჩამოურიგა მწვადი. მხოლოდ ამის შემდეგ ააჭრა თავისთვისაც ერთი ნაჭერი და მარტო ამით დაკმაყოფილდა. საერთოდ თვითონ ძალიან ცოტასა ჭამდა და ყოველ მნახველს აოცებდა თავისი თავდაჭერილობით. სამაგიეროდ ღვინოს იმდენს სვამდა, რომ მთელ იმერეთში ვერავინ სჯობნიდა. არც არასოდეს ითვრებოდა და მუდამ ერთნაირად ფხიზელი იყო.

– ჩამომისხი, ბიჭო, ერთი მაგ ტიკჭორადან. ამ სიცივეში თუ უფრო არ შემცივდა მაგის დაღვეით, – მიმართა პაპუნამ ფარეშს, – რომელი წამოიღე, ქვიშხური თუ რქაწითელი.

– ეს, ბატონო, რკოა, ჩიხური.

– ჰოო, კარგი ყოფილა, – გაუწოდა ხელი პაპუნამ. ფარეშმა ცარიელი ყანწი ხელში შეაჩეჩა, შემდეგ ტიკის თითს თავი ჩააყოფინა ყანწში და ღვინომ ლიკლიკით დაიწყო ღენა. – რა ეშველება ჩვენს კაცს, ეს რომ არ ჰქონდეს დასაღვეი. რას იტყვით, ყმაწვილებო?!

– რა ბრძანებაა, ჩვენი სიცოცხლე აღარ ეღირებოდა, – უპასუხეს აქეთ-იქიდან.

პაპუნამ ის იყო მოიყუდა კიდევაც ყანწი, როდესაც ბექობზე გადამდგარმა ზურაბამ, რომელიც მაღიანად ილუკებოდა, უცბად დაიძახა:

– გამორეკეს, ბატონო, კურდღელი!

შორიდან მართლაც მოისმა ყიჟინა და ძაღლების ყეფა. პაპუნამ დასცალა ყანწი და ფეხზე წამოიჭრა. ყველანი აფუსფუსდნენ, ჩაბალახები შეისწორეს და ცხენებს მოსართავები მოუჭირეს.

– სადაა ჩემი შურდულა? მომგვარეთ აქ, – დაიძახა პაპუნამ.

– ახლავე, თქვენ ნუ ჩქარობთ, ბატონო, მე თვითონ გეტყვით, – მშვიდად უპასუხა ზურაბამ და ბატონს მოჰკვარა მისი საყვარელი მწევარი – შურდულა, ცუცხვათელი მებატონისა და მთავარი ციხისთავის ქაიხოსრო აგიაშვილის ნაჩუქარი. მაღლა აწოწილი და წელში რკალივით მოხრილი მწევარი თავის უშნოდ წაგრძელებულ თავს განზე სწევდა და გასაქცევად მიიწევდა. ცდილობდა დასხლეტოდა მონადირეს, რომელიც მას ბატონისაკენ ეზიდებოდა.

– მოდი აქ, შე უჭკუო, – ეუბნებოდა ზურაბა მწევარს, – მოდი, ბატონი ვეღარ უნდა იცნო?

– აბა, ჩემო შურდულა, არ შემარცხვინო, – მოუაღერსა სახლთუხუცესმა ძაღლს, დაიხარა და ფეხები გაუსინჯა.

– ამის დამწვევი, ბატონო, ქვეყანაზე სულიერი ცხოველი არ იქნება, – შეაქო მონადირემ მწევარი.

– ფრჩხილი რო ჰქონდა ფეხში ჩაზრდილი, რა უქენი? – ჰკითხა პაპუნამ.

– ის არაფერი, ბატონო. მოვჭერი და გაუარა.

– ვითომ იქნება ბლომად კურდღელი? როგორ ფიქრობ?

– კვალია, ბატონო, უამრავი. ამას დახედეთ, აი ავერ, ცოტა აქეთ მობრძანდით, ქაღალდზე რავა დეიწერება ასე კარგად, ამ გაყინულ თოვლზე რომ სწერია.

პაპუნა მიჰყვა მონადირეს, რომელმაც ფერდობთან მიიყვანა და თითოთ ანიშნა. მართლაც, თოვლით დაფარული მთელი ფერდობი ათასნაირი კვალით იყო დაჩითული.

– ესაა, ბატონო, კურდღლის, – მიუთითა ზურაბამ ერთ თავისებურ კვალზე. – ამას შეხედეთ, უკანა ფეხებით აჩნევს ასეთ კვალს, თითქო რიკები მიუკრავს ფეხებზე და ისე უხტუნავია თოვლში. ეს კვალი, სამყურა ბალახს რომ ჰგავს, ესაა, ბატონო, მგლის კვალი, თქვენ უკეთ იცით ჩემზე, ჩემი სწავლება რავა გჭირდებათ, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, თუ არ გამირისხდებით.

– თქვი, ჩემო ზურაბა, მე ბევრი არ მესმის ამ კვლებისა. ეს რისი კვალია? – მიუთითა პაპუნამ.

– ეგ ფრინველისაა, ბატონო, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით, რისაა. ქორი იქნება ან სხვა რამე. ქორს უფრო ჰგავს, აგერ ბრჭყალებიც კი აჩნია. ესაა, ბატონო, მელის კვალი. აგერ აქ წოლილა, ხედავთ?

– ჰო, მაგრამ სუყველამ აქ მოიყარა თავი?

– ასე იცის, ბატონო, ახალ ნათოვზე, საღამოობით, მთელი ნადირი გამოდის. ერთმანეთის კვალს დასდევენ.

შორიდან მოისმა ძაღლების ყეფა და გაბმული ყიჟინა. მალე თოვლით დაფარულ სერზე გამოჩნდა ორი დაფეთებული კურდღელი, რომლებიც ჩასაფრებული მონადირეებისკენ გამორობდნენ. პაპუნა მაშინვე მოევლო ცხენს, დანარჩენებმაც მას მიბაძეს და, როგორც კი მონადირეებმა მწვერები კურდღლებს მიუტიეს, ცხენოსნებმაც დასცეს ყიჟინა და კვალდაკვალ მიჰყვნენ მწვერებს.

შეშინებულმა კურდღლებმა მაშინვე იბრუნეს პირი და აღმართს მიეტანენ. ჯერ კიდევ ეს ორი კურდღელი სერზე არ იყო ასული, რომ ზემოდან კიდევ ხუთიოდე კურდღელი გამოჩნდა, ეტყობოდა, ისინი უფრო თავგამეტებით მობობდნენ, რადგან სანამ მოისაზრებდნენ უკან გაბრუნებას, პირდაპირ ფეხებში შეუვარდნენ მწვერებს, გაქანებულმა ძაღლებმა თავი ვერ შეიკავეს და რამდენჯერმე ყირას გადავიდნენ. მხოლოდ ერთი კურდღელი გახდა ამ შემთხვევის მსხვერპლი. ის გათანგა ყველაზე ბოლოს ჩამორჩენილმა მწვეარმა, დანარჩენმა კურდღლებმა თავს უშველეს, და ზოგი ალთას გაიქცა, ზოგი ბალთას. გაწბილებული მწვერები წამოიჭრენ ზეზე და ამ ხორხოცში ყველანი ერთ კურდღელს გამოუდგნენ თავიანთი ბატონების გულსახეთქად.

შეიქნა ერთი ძახილი, წრუპუნე, ყველანი ცდილობდნენ ძაღლების ყურადღება სხვადასხვა მხარეს გაქცეულ კურდღლებისაკენ მიექციათ, ჰკრეს ქუსლი ცხენებს და დაედევნენ მწვერებს.

აირია მონასტერი.

პაპუნა დანარჩენებს ჩამორჩა, რადგან ზურაბა მიიჭრა გამარჯვებულ მწვეართან, ცოცხალი კურდღელი გამოგლიჯა პირიდან, უკანა ფეხებში ხელი ჩაავლო, დაიქნია, თავი ქვაზე დაახეთქებინა და შემდეგ ძუნძულით გამოიქცა ბატონთან, რათა ნანადირევი მიერთმია.

– ბედი არააო, იტყვიან! – შენიშნა პაპუნამ, როდესაც ზურაბამ კურდღელი გაუწოდა. – მაგ ძაღლი თუ მწვერად ივარგებდა, ვინ იფიქრებდა. ცხოვრებაშიაც ასეა. წახვალ ომში და ხედავ ყველაზე დავარდნილი და ფეთხუმი იმისთანა გმირობას ჩაიდენს, რომ სახელგანთქმულ ვაჟკაცებს უკან მოიტოვებს.

– ისინი ტყუილა მისდევენ, ბატონო, ტყუილია, აწი ვერც ერთი ვეღარ დაიჭერს. რახან ჩირგვებში შეასწრეს, აქ მწვეარი ველარაფერს იზამს, მეორედ უნდა დაუარონ თავი კურძულალებმა.

ზურაბამ მოიხსნა რქის საყვირი და მთელი ძალ-ღონით ჩაბერა. მონადირეებს იხმობდა. ქვეითად მიმოფანტულმა მონადირეებმა ზურაბას მიბაძეს და თავიანთი საყვირები ააპიპინეს. მალე კვლავ ყველამ ერთად მოიყარა თავი და ზურაბა წავიდა, რომ ადგილი შეენაცვლებინათ, ახალი წრე შეეკრათ და მეძებრებით კვლავ გამოერეკათ კურდღლები.

შუადღისათვის უკვე ათამდე კურდღელი ჰყავდათ დაჭერილი, მაგრამ იძულებული გახდნენ ნადირობა შეეწყვიტათ, რადგან თოვლი დალბა და არათუ ცხენებს, ქვეითებსაც კი აღარ შეეძლოთ უთხილამუროდ თოვლზე სიარული. წელამდე ევლობოდნენ ნამქერში.

პაპუნამ ბრძანა, ბუკი დაეკრათ და ყველასათვის ემცნოთ, რომ ნადირობა დამთავრებული იყო.

ზურაბამ მაშინვე შეასრულა ბრძანება და მალე მონადირეებმა დაიწყეს თავმოყრა დიდ წიფლებთან, სადაც პაპუნას ბჭობა ჰქონდა მხლებლებთან, – შინ დაბრუნებულიყვნენ, თუ აქ ესადილნათ.

– ძალიან შორს წამოვსულვართ. დაღამებამდე ვეღარც კი მოვასწრებთ საჩხერეს მისვლას. ასე იცის ნადირობამ გატყუება. წასვლა სჯობს, ბატონო, – ურჩია ზურაბამ ბატონს.

– მართალია, მეც ასე ვფიქრობ, – დაემოწმა პაპუნა და შემდეგ შეგროვილებს მიუბრუნდა: – ყველანი მოხვედით? ხომ არავინ გვაკლია.

ჯერ კიდევ პასუხი არ მიეღო, რომ ამ დროს ბექობიდან მოისმა ძახილი:

– ზურაბა, აქეთ... აქეთ...

– ეს რომელია? – იკითხა პაპუნამ.

– სადუნა გახლავთ, ბატონო... – უპასუხა ზურაბამ და შემდეგ ბექობისაკენ გასძახა: – რა გინდა, სადუნა... რაა? აქ მოდი, ბატონი გიბრძანებს...

– ზურაბა... ორი წყვილი თხილამური წამოიღე და ამოდი ჩქარა... – გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სადუნას ხმა.

– რაღაც ამბავია, ბატონო, – გადაიქნია თავი ზურაბამ და მაშინვე აფუსფუსდა წასასვლელად. ვიღაცეებს მისწვდა, ქამრებზე დაკიდული თხილამურები შეხსნა და ბექობისაკენ გაიქცა.

– ცხენზე შეჯექ, ზურაბა! – მიამახა პაპუნამ.

– არა, ბატონო, ფეხით უფრო ჩქარა ავალ, – უპასუხა ზურაბამ და ნაბიჯს უმატა. ფეხებზე კალათებდაკრული ზურაბა სასაცილოდ მიბიჯებდა თოვლზე.

რამდენიმე ცხენოსანმა სცადა დადევნებოდა და გაესწრო ზურაბასათვის, მაგრამ ნაბუქ ფერდობზე ცხენები კისრამდე შეიჭრენ თოვლში და ამიტომ იძულებულნი გახდნენ უკან გამობრუნებულიყვნენ.

* * *

ყველანი დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ზურაბას, რომელმაც, როგორც იქნა, მიაღწია ფერდობს, ერთხანს რაღაცას ელაპარაკებოდა სადუნას და შემდეგ დაფეთებულივით გაიქცა იმ მიმართულებით, საითაც სადუნა უთითებდა. მალე სადუნაც დაედევნა თან და ორთავენი თვალთავან მიეფარენ.

– ი! – უნებურად აღმოხდა სახლთუხუცესს. – ჩვენ მაინც გაგვაგებინონ რა მოხდა!

– იქნება ირემი ნახეს თოვლში ჩაფლული, – გამოთქვა მოსაზრება ჭალელმა ახალგაზრდა აზნაურმა კუწუწა აბაშიძემ, რომელსაც ტუჩები და ცხვირი ერთნაირად ჰქონდა წავრმელებული და თავის მეჩხერი ულვაშებით მელიას წააგავდა.

– ირემს რა უნდა, ყმაწვილო აქ, – წარბშეკვრით გადახედა აბაშიძეს სახლთუხუცესის აზნაურმა ტარიელ აბდუშელიშვილმა, – როდის იყო, კორბოულის გზაზე ირემები დადიოდნენ. ალბათ, გზად მოდიოდა ვინმე და თოვლში ვეღარ გამოაღწია.

– ეგ კი ნამდვილია, სწორედ მასე იქნება, – დაემოწმენ აზნაურიშვილს აქეთ-იქიდან.

მართლაც, სერზე მალე ოთხი კაცი გამოჩნდა. სადუნა და ზურაბა წინ მოუძლოდნენ ორ უცნობ მამაკაცს. ფეხებზე ყველას თხილამურები ამოეკრა და ოთხივენი ისე მოაბიჯებდნენ

თითქოს ყოველი ფეხის ნაბიჯზე თოვლზე ნახევარწრის მოხაზვას ლამობდნენ. სწრაფად ჩამოიარეს დაღმართი და როდესაც დაუახლოდნენ პაპუნას ამაღლას, უცნობები დაწინაურდნენ და პირდაპირ სახლთუხუცესს მიაშურეს. ერთი მათგანი, კორბოულელი გლეხი, მაშინვე შეიცნეს, ხოლო მეორე სრულიად უცხო ვინმე იყო და ჩაცმაზე ეტყობოდა, რომ დიდგვარიანთა ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. ორთავენი წელამდე სრულიად დასველებულნი იყვნენ თოვლში სიარულით.

– მადლობა უფალს, რომ ბედმა მარგუნა შევხვედროდი სახელოვან სარდალს და იმერთა მეფის მარჯვენა ხელს... – მიმართა უცნობმა პაპუნას და ქული მოიხადა. – გამარჯვებას გისურვებთ, თქვენო ბრწყინვალეებო.

– კილოზე გატყობ, ქართლიდან უნდა იყო. ჩვენში არ ვიცით აგრე თქმა. „თქვენო ბრწყინვალეებო“ რუსებმა გასწავლეს, ალბათ. ვინა ბრძანდებით, ყმაწვილო?.. – ღიმილით ჰკითხა პაპუნამ.

– ბესარიონ გაბაშვილი გახლავართ. თქვენი მორჩილი მონა, განპატივებული და ექსორიაქმნილი ერეკლე მეფის მიერ!

– ბესარიონ გაბაშვილი? – გაიოცა პაპუნამ, მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან და ბესიკს მიუახლოვდა, – მეფე ერეკლეს მდივანი?! დესპანად წარგზავნილი სპარსეთს... მგოსანი, ბესიკად წოდებული... ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ, ყმაწვილო, რომ ჩემს საბრძანებელში მხვდა წილად მფარველად მოგვევლინო და ხელი გამოგიწოდო. ჯერ ნება მომეცი მოგეხვიო... მერე... ღმერთო კი მომკალი, ამ თოვლში მთლად დასველებულხარ. აბა ნაბადი ჩქარა, – მიუბრუნდა პაპუნა მხლებლებს, – როსტომ, აქ ახლომანლო მოსახლეები არ არიან?

– კი, ბატონო, სულ ახლო აქ ჩემი გლეხები სახლობენ.

– აბა გაგვიძეხი, იქ ცეცხლთან გავაშროთ ჩვენი სტუმარი, პურიც ვაჭამოთ, მოშიებული იქნება და შემდეგ შინისკენ გავექუსლოთ. შენ კი, კუწუწა, ჩამოხტი და ბატონ სტუმარს მიართვი ეგ ცხენი. როსტომ, ისეთი გზით გვატარე, რომ ცხენი არსად დაგვეფლოს თოვლში.

– კი, ბატონო, თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ, ამ ბრეკზე წავიდეთ, აქ ქარისაგან სულ ახვეტილია თოვლი.

– აბა, წავიდეთ, – ბრძანა პაპუნამ.

კუწუწა ნაცემივით ძლივს ჩამოვიდა ცხენიდან, ხმალი უკან მოექცა და ისე სასაცილოდ გამოეჩარა ფეხებში, რომ ნამდვილ კუდამოძებულ მელას დაემსგავსა. თავისი წვრილი თვალებით მოუსვენრად იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს გასაქცევ გზას დაეძებდა, და ადგილიდან არ იძროდა. „რალა მე გამომარჩია ამდენ ამაღლაში? – ფიქრობდა გაცეცხლებული კუწუწა. – ჩემზე ნაკლები ვერავინ ნახა? ან ეს ვინ ჩემი ფეხებია, რომ მაინცდამაინც უცხენოდ სიარული არ ეკადრებოდეს. უნდა ამოვუდგე გვერდში ახლა ამ პირდაუბანელ გლეხებს და ვიძუნძულო ამათთან. სადუნას არ აკადრა ფეხით სიარული, იმ სონანზე დაბადებულს და მე ქვე უნდა ვეთრიო ამ თოვლში!“

პაპუნას მონადირეებმა, საბატონო გლეხებმა, ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და ღიმილით გადახედეს კუწუწას.

– ჩამოართვი, ბოშო, ცხენი, – წაჰკრა მუჯლუგუნი ზურაბამ ყველაზე ოხუნჯსა და ენამწარე ფარეშს ტარასის, – რას დაგიღია ეგ პირი!

– უჰ, ღმერთო კი მომკალი, – მივარდა ტარასი, კუწუწას, სადავე გამოართვა და ცხენი უცხო მგზავრს მიჰკვარა, – შებრძანდი, ჩემო ბატონო, დალლილი ბრძანდები, – მიმართა მან ბესიკს და მარჯვენა უზანგი მოზიდა.

ბესიკი შეჯდა ცხენზე და პაპუნას მხარდამხარ მიჰყვა. დანარჩენი ცხენოსნები ცოტა მოშორებით დაეღვენენ.

ტარასიმ თვალი გააყოლა წინწასულებს და მერე შუბლზე იტკიცა ხელი:

– რა ჰქვია ახლა ამას! – წამოიძახა ტარასიმ ისეთი ხმით, თითქოს ვინმეს ენით აუწერელი, აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაედინოს. – ვითომ, ეს სახელოვანი აზნაურიშვილი რომ არ ჩამოესვა ცხენიდან ბატონს, სხვა ვინმე ვეღარ მონახა? თუ ასე იყო, იმ უცხო კაცს ზურგზე შევისვამდით და ისე გავიყვანდით საჩხერეში. რა მოხდა ვითამ!

ყველანი ხვდებოდნენ, რომ ტარასი ამას ხუმრობით ამბობდა, კუწუწას გულისსახეთქად, გულში ეცინებოდათ, მაგრამ უხერხულობა იგრძნეს და ხუმარა ფარეშს არ აყენენ. მარტო კუწუწა ვერ მიხვდა, ტარასი რომ ამასხარავებდა, რადგან ძალზე გულმოსული იყო, ფარეშის გამოსარჩლება მან ნამდვილ თანაგრძნობად მიიჩნია და ამ აღშფოთებულ გულშემატკივარს დამშვიდება დაუწყო:

– ერთი ალილუია ღვდელსაც შეცდებო, ჩემო ტარასი, რა ვუყოთ მერე.

– იმე, რავა რა ვუყოთ, შენ გენაცვალე! ბატონს რავა უნდა შეცდომოდა მაგ. აქედან საჩხერეში ამ მოძალ თოვლში ფეხით გასვლას მეხუმრები? მაგ წულამესტები რავა გაგიძლებს, მარა მე მაგას კი არ ვწუხვარ, რავა გაკადრეს! ესაა, რომ მაწუხებს. აზნაურს თუ მასე მოეპყრობიან, მე რა სიკეთეს უნდა მოველოდე. ასე წამობრძანდი, შენი ჭირიმე, ჩემს კვალს მოყევი. დაგისველდა უკვე ფეხი? დედა, ღმერთო კი მომკალი, ცოტა მსუბუქად დაადგი, შენი ჭირიმე, ცოტა მსუბუქად...

კვალდაკვალ მიმავალი ბიჭები, სიცილით იჭაჭებოდნენ, პირზე ხელს იფარებდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და განგებ უკან რჩებოდნენ, რომ ხარხარით გული ეჯერებინათ.

– ფიანდაზი მაინც მქონდეს ახლა, ფეხქვეშ გაგიგებდი, – განაგრძობდა ხუმრობას ტარასი, – ამ მეფეებს რომ უგებენ ხოლმე ფეხქვეშ, გაყოლებული რომაა ერთი კიდედან მეორე კიდედღე. თავიდან ბოლოს რომ ვერ ხედავ, არც წვიმაა, არც თოვლი, მიდის და მიაბიჯებს ამ ძვირფას ფარჩაზე, ასეთ დროს რაში ჭირდება ერთი მითხარი, ახლა უნდა გვქონდეს აქ, როცა კაცს ჭირდება, მაშინ გოუგე ფეხქვეშ, მიაშველე, რომ გეიაროს, რავარც რიგი და წესია, რა უკუღმართადაა მოწყობილი ეს ჩვენი ქვეყანა, ხანდახან რომ დაფიქრდები ჭკუიდან ვიშლები... მერე ვისთვის შემეწუხეს ეს სახელოვანი აზნაურიშვილი, ქემინც გავიგოთ. რა იქნა ის კორბოულელი...

– ეგერ მიდის, დაუძახოთ. ჰეი, კორბოულელი... მოგვიცადე პატარა, – გასძახა ზურაბამ.

კორბოულელი ცხენოსნებს მისდევდა და მოესმა თუ არა ძახილი, მაშინვე შედგა და მონადირეებს დაუწყო ლოდინი.

– მოგვიცადე, შე კაცო, – უთხრა მას ტარასიმ, როდესაც დაუახლოვდა, – რა გეჩქარება, ჩვენც იქით მოვდივართ. შენი გვარი?

– სისვაძე.

– ერთი ეს გვითხარი, თუ კაცი ხარ, ვინაა მაგ, შენ რომ მოგყავდა? საიდან გაჩნდა ამ ჩვენს სამეფოში?

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, რავარც თქვენ იცით, ისე ვიცი მეც. ამოვიდა ამ ზამთარში კორბოულში, ქართლის მეზობლის ამილახურის კაცი მოჰყვა და იმან გვითხრა, ეს თქვენს მეფესთან მიდის ქუთაისს და საჩხერეში მიჰგვარეთ წერეთელსო. კი, ბატონო-თქვა. გუშინ ნამეტანი თოვდა, მარა ღამე რო ყინვა დეიჭირა, აღარ მოიცადა, ადვილად ვივლითო. ვეხვეწე, პური არ მაკლია და ღვინო, რა გეჩქარება, ამ დაურწყებას ჩვენთან ბრძანდებოდეთ-თქვა, მარა არ ქნა. წამევედით, სანამ მზე დახედავდა თოვლს, კარგად ვიარეთ, მერე რო მოლბა, გატყდა თოვლი, მე სულელმა თხილამური არ წამოვიდე, ვიფიქრე, აქაა დიდი თოვლი, თვარა ქვეით სულ არ იქნება-თქვა, თურმე ქვეით უფრო მეტი ყოფილა.

– საჩხერეში წელზეა თოვლი, – შენიშნა ზურაბამ, – ამბობენ, ქუთაისში სახლები აღარ ჩანს თურმე.

– ალბათ, ნამდვილი იქნება, ქვენა ქარის მოტანილი თოვლია და იქ მართლა მეტი იქნება. ჩემს მასწავლებელს ერთხელ მოთოვა ასე, – დაემოწმა კორბოულელი და შემდეგ განაგრძო: –

წამოვედით, შენი ჭირიმე, და მოვარღვევთ ამ თოვლს, ერთი ორ ადგილას ზვავის გადაჯეგვა მოგვიხდა და ისე დავიღალეთ ორივე, რომ სულს ვეღარ ვითქვამდით, მოვწყდით მუხლებში. ამასობაში მოგვესმა ძაღლების ყეფა და ე! მაშინ ვთქვი, ახლა კი გადავრჩით ამ თოვლში დახრჩობას-თქვა.

– კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ აქეთ, ბარემ უკან გაბრუნებულიყავი.

– ქვევით ნათესავები მყავს, შენი ჭირიმე, და იმათთან მოვიცდი ერთ-ორ დღეს. ეს კაცი ქვე ჩაგაბარეთ და აწი რაღა მაქვს სადარდო.

– კაცო, სახლში სჭუმარი გეწვია, ის მაინც ვერ ჰკითხე, ვინაა, საიდანაა, რა კაცია? შენ თუ არ ჰკითხე, თვითონ მაინც არ წამოცდა? – არ ეშვებოდა ტარასი.

– მაგ, შენ ხარ ჩემი ბატონი. ქვე ვკითხე. გევიხედე სალამოს და, რო დაიძახეს ეზოს ბოლოს, მასპინძელი, გამოვედი, ვინა ხარ-თქვა, ვკითხე. მე ვარ ამილახვრის კაციო, მითხრა და კიდევ მახლავს ერთიო. მობრძანდი-თქვა, ვუთხარი. შემოვიდნენ ჩემთან, დავაჯინე კერიის პირს. შევხედე, ეს განათლებული კაცი ქე შემრჩა ხელში.

– კი მარა, ვინ ვარო, ვინ? – მოუვიდა გული ტარასის.

– ასე უცბად ხო არ მეტყოდა ვინ ვარო. დაჯდნენ, ბატონო, ეს ორი კაცი და ლაპარაკობენ ერთმანეთში: აქიდანო, შენი ჭირიმე, საჩხერეში დილას რომ წახვიდე, დღის ბოლომდე, გზაში სამჯერ რომ მაინც გამოიძინო, მაინც ჩახვალო.

– ვინ ამბობდა მაგას?

– ის ამილახვრის კაცი. შენ უნდა წაყვეო, მითხრა...

– ვინ გითხრა?

– ვინ მითხრა და იმ ამილახვრის კაცმა.

– რა იქნა ის კაცი?

– ის, შენი ჭირიმე, ამ დილას უკან გაბრუნდა.

– მერე?

– მერე, მე ვუთხარი, რავა არ წავყვები-თქვა და დილას ქვე წამოვედით აქეთ.

– კი მარა, ამ კაცს ის მაინც ვერ ჰკითხე ვინ ხარ-თქვა?

– ახლა, რაც საკითხავი იყო, ქე ვკითხე და მეტი რა უნდა მეკითხა. თუ აგრე გეთანაღრება გული, აგერაა ის ადამიანი, მიბრძანდი და ჰკითხე. ი! არ გამიჭირა საქმე!

* * *

იმერთა მეფეს სოლომონს და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს ურთიერთშორის, მართალია, სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, მაგრამ ორთავე იდუმლად ებრძოდა ერთმანეთს. ერეკლეს სურდა, რომ სოლომონს ეცნო ქართლ-კახეთის მეფის უპირატესი მდგომარეობა და ისევე დამორჩილებოდა მას, როგორც განჯის და ერევნის სახანოები. სამაგიეროდ სოლომონს თავი მიაჩნდა ბაგრატიონთა გვარის უფრო კანონიერ მემკვიდრედ და თუ ამიერ და იმიერ საქართველოს გაერთიანება კვლავ უნდა მომხდარიყო, მაშინ იმერთა მეფეს თავისი დიდი წინაპრის, დავით აღმაშენებლის მსგავსად სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისს უნდა გადაეტანა. ასეთ აზრებს განსაკუთრებით უღვივებდნენ სოლომონს ქართლიდან გამოქცეული თავადები, რომელნიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ როგორმე ერეკლე ტახტიდან გადმოეგდოთ. ამ უკმაყოფილოთა მეთაური ელიზბარ ერისთავი იყო, რომელიც გადმოვიდა თუ არა ქართლიდან, მაშინვე შეუდგა სათანადო თადარიგს, დაუმოყვრდა სოლომონს, შეერთო მისი და ცოლად და დაუწყო რწმუნება იმერთა მეფეს, – გადაჭრით აღემართა ხელი ერეკლეს წინააღმდეგ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მსტოვრებს ყოველდღე მოჰქონდათ ათასნაირი ამბები თბილისიდან, ერეკლეს მტრული მოქმედების შესახებ

და იმერთა მეფეს აცეცხლებდნენ. ამბობდნენ, თითქოს ერეკლე აქეზებდა გურიელსა და დადიანს, რომ ისინი არ დამორჩილებოდნენ სოლომონს, თითქოს ერეკლემ განგებ დაიმოყვრა ტახტისმადიბელი ჩერჩეტი დავით გიორგის-ძე, რათა ის გაემეფებინა იმერეთში და ვინ მოსთვლის, კიდევ რას არ ეუბნებოდნენ ისედაც ეჭვიან იმერთა მეფეს. სოლომონმა კარგად იცოდა, რომ როდესაც იმერეთის ტახტის განმტკიცება ჯერ კიდევ სანახევროდაც არ ჰქონდა დამთავრებული, მისთვის ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედება არც ხელსაყრელი იყო და, მით უმეტეს, არც ადვილი, და ამიტომ აშკარა მტრულ მოქმედებას ერიდებოდა. მაგრამ ამ ხანებში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა, რამაც სოლომონი აიძულა შეტევაზე გადასულიყო. თბილისიდან მსტოვრებმა აცნობეს, რომ ერეკლეს გადაწყვეტილი აქვს იმერეთში თავისი შვილის ლეონის გამეფება, რასაც დადიანიც და აფხაზეთის მთავარიც ემხრობიანო. ხონთქარსაც თანხმობის დასტური მიუცია და უთქვამს: – ოღონდ იმერეთიდან სოლომონი მოაშორე და მთელი ეს მხარე თუნდაც შენი იყოსო. ამ ამბავში სიმართლისმაგვარი გამოსჭვიოდა. იმერთა მეფით თავგაბეზრებულ სულთანს, შესაძლებელია, მართლა წაექეზებია ერეკლე, რადგან თვითონ რამდენჯერაც სცადა სოლომონის განადგურება, იმდენჯერვე მარცხი განიცადა.

ამ ამბავს ზედ დაერთო ისიც, რომ სწორედ იმ ხანებში მოსკოვიდან ქუთაისს ჩამოვიდნენ ბესიკის მამა ზაქარია მოძღვარი, მთელი თავისი ოჯახით და ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც ერთ დროს ერეკლემ აწამა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, დაასახინრა და საპრობილეში ჩააგდო. ჟამიანობის დროს ალექსანდრე გაიქცა თბილისიდან და მოსკოვს შეაფარა თავი.

ჩამოსულებმა მაშინვე მიაშურეს სოლომონს და საოცარი ამბები მიუტანეს. პეტერბურგში სარწმუნოდ გაეგოთ, რომ ერეკლეს მოლაპარაკება დაეწყო ოსმალეთთან. ხონთქარს ერეკლესაგან მოუთხოვია დარიალის კარი გადაეკეტა რუსებისათვის, სამაგიეროდ პირდებოდა იმერეთის ტახტზე მისი ერთ-ერთი შვილის აყვანას, თუკი ის, ცხადია, იკისრებდა ოსმალეთის ქვეშევრდომობას. ამ ამბავს ისეთი აღშფოთება გამოიწვია პეტერბურგში, რომ მათ საბოლოოდ გადაწყვიტათ, – ალექსანდრეს სიტყვებით, – ერეკლეს გადაყენება და ქართლ-კახეთის ტახტზე ქართლის ბაგრატიონთა რომელიმე წარმომადგენლის აყვანა.

ამ ამბებში გაცილებით მეტი ჭორი იყო, ვიდრე სინამდვილე, მაგრამ იმ ცხელ გულზე სოლომონისათვის ესეც საკმარისი იყო, რომ ერეკლეს საწინააღმდეგოდ მოქმედება დაეწყო. მან მაშინვე გამართა საიდუმლო თათბირი თავის ერთგულ თავადებთან და ქართლიდან გამოქცეულ მებატონეებთან. გადაწყდა სპარსეთიდან ჩამოეყვანათ ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა ამბოხებას. ალექსანდრე ამილახვარი არწმუნებდა სოლომონს, რომ საკმარისია ალექსანდრე ბატონიშვილის თუნდაც სურამში გამოჩენა, რომ ქართლის მთელი თავადები მაშინვე მასთან გამოცხადდებიან თავიანთი მხედრებით და მარტო ეს იქნება საკმარისი თბილისიდან ერეკლეს გასადევნადო. ამასობაში რუსეთიდანაც შემოვა დამსჯელი ჯარი, რომელიც, ცხადია, ქართლის კანონიერ მემკვიდრეს დაუჭერს მხარსო.

სოლომონი დათანხმდა ამ გეგმას და მაშინვე შეუდგნენ თადარიგს. საჭირო იყო სპარსეთს საიმედო კაცის გაგზავნა, რომელიც ბატონიშვილს ჩამოიყვანდა, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი სანდო კაცის შოვნა არც ისე ადვილი იყო. როდესაც შეუდგნენ იმის ბჭობას, თუ რა გზით უნდა წასულიყო სპარსეთს გასაგზავნი კაცი, ყველა გზა შეკრული აღმოჩნდა. ახალციხეზე ვერ გაივლიდნენ. ცხადია, არც თბილისის გზით შეიძლებოდა წასვლა, ისევე კავკასიონის მთები უნდა გადაელახათ და რუსეთის სათავდაცვო ხაზის გასწვრივ, რომელსაც მაშინ „ლინიას“ უწოდებდნენ, საფოსტო გზას დადგომოდნენ და მოზლოკზე გავლით ყიზლარს ჩასულიყვნენ. იქედან კი ან დერბენდში მივიდოდნენ, საიდანაც ხომალდები დასცურავდნენ სპარსეთის ნავსადგურ რეშტამდე, ან კიდევ ასტრახანს. აქედანაც დადიოდნენ ხომალდები, მხოლოდ ზღვის გზა ერთიორად გრძელდებოდა.

დერბენდს წასვლა შეუძლებელი იყო. მართალია, ფატალი-ხანი ერეკლეს მოსისხლე მტერი იყო და მის მოწინააღმდეგე მეფის კაცს კიდევაც დაეხმარებოდა, მაგრამ სანამ დესპანი მის სასახლის ბჭეებამდე მიაღწევდა, მანამდე, ვინ იცის, შეიძლება ცოცხალიც ვერ გადარჩენოდა ტრამალებზე მოთარეშე ყალბუხებს.

სოლომონმა გააშლევინა რუსეთიდან ჩამოტანილი დიდი რუკა, რომელზედაც მთელი მსოფლიო იყო დახატული, და, როდესაც დიდებულებთან ერთად დაკვირვებით გააკვლია წასასვლელი გზა, ყველა შეაშინა მანძილის სიდიდემ და გზის სიძნელემ. ვისაც კი შესთავაზა სოლომონმა წასვლა, ყველამ უარი განაცხადა. ზოგმა სპარსული ენა არ იცოდა, ზოგმა კიდევ ათასი რამ მოიმიზეზა. ქუთაისში მამინ სპარსეთს მოსიარულე არც ერთი ვაჭარი არ მოიპოვებოდა, რომ მისთვის მაინც დაევალებინათ ეს საქმე და ამიტომ, მოულოდნელად, საოცარ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ზაქარია გაბაშვილმა რამდენჯერმე გულისწყვეტით წამოიძახა: – ნეტავ ჩემი ბესიკი აქ იყოს, იმას ხომ მთელი ქვეყანა მოვლილი აქვს, სპარსეთშიაც ყოფილა, ალექსანდრე ბატონიშვილი სწორედ იქ გაიცირო და კიდევაც ჩამოიყვანდაო.

ეს ამბები შემოდგომის მიწურულს მოხდა. ამის შემდეგ მთელი ორი თვე ეძებდნენ კაცს. კათოლიკე მისიონერების იმედი ჰქონდათ, იქნებ მათ შორის მაინც იყოს ისეთი სანდო ადამიანი, რომელსაც სპარსეთი მოვლილი ჰქონდეს, რომ ეს საქმე მივანდოთო, მაგრამ ვერავინ ვერ ნახეს. სოლომონს თან ბრაზი აღრჩობდა, თან სირცხვილი სწვავდა, ასეთი სამეფო რად მინდა, რომ უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი კაცი ვერ მომიწახავსო. ბოლოს მეფე ისევ სახლთუხუცესმა ანუგემა: თქვენი დავალების შესრულების მსურველი ბევრია და მათ შორის როგორ ვერ ავარჩევთ სანდო ადამიანს, ეგ საქმე მე მომანდეთო.

ეს კი უთხრა, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, როგორ უნდა შეესრულებინა დავალება, არჩევანს ვინ დაეძებდა, ოღონდ ერთი ადამიანი მაინც ენახა ისეთი, რომელიც ამ საქმეს იკისრებდა. მეტი აღარა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ თვითონ ეკისრა ეს საქმე და გულშიაც ასე ჰქონდა განზრახული, – თუ ვინმე ვერ ვნახე, გავწირავ თავს და ის იქნებაო.

და ახლა სახლთუხუცესი მოულოდნელად ბედმა ისეთ იღბლიან ფეხზე წამოიყვანა სანადიროდ, რომ მოუვლინა ადამიანი, რომელიც თითქოს საგანგებოდ გაეჩინა ღმერთს ამ საქმის შესასრულებლად. სინარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. მაშინვე წინასწარ კაცი აფრინა საჩხერეში, დიდებული სტუმარი მომყავს და საგანგებოდ მოემზადეთო, თვითონ კი იქვე გზადმეხვედრილ პირველ ქოხს მიაშურა, რომ თოვლში მთლად დასველებული მისი სტუმარი კერიის გუზგუზა ცეცხლთან გამშრალიყო.

– რომელი სახლობს აქ? – იკითხა პაპუნამ და ქოხში დაუკითხავად შეაბიჯა. – ოჰ, პავლია, შენა ხარ? – იცნო მან შეგებებული თეთრწვერა მოხუცი. – გამარჯვება, ჩემო პავლია. ხომ არ გეწყინა ჩემი მოსვლა?

– რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, – დაიჩოქა პავლიამ და სახლთუხუცესს მუხლზე ეამბორა, – იმას მოვესწარი, მიკადრე და ჩემს ქოხში შემოაბიჯე, ამაზე მეტი ბედნიერება იქნება ჩემთვის?

– აბა, ჩემო პავლია, ერთი კარგი ცეცხლი დაგვინთე თბილისიდან ძვირფასი სტუმარი მეწვია, მეფის ტოლი კაცია. არ ვათქმევინოთ სტუმრის მიღება არ სცოდნიათო. თოვლში უვლია, ხომ ხედავ, მთლად დასველებულა. ერთი ეს გავაშროთ ცეცხლთან და მერე გავუღვებით გზას.

– რავა გზას გოუღვებით! – იწყინა პავლიამ, – ჩემთან ამ დოურწყების კვირას ერთ ხაჭაპურს რომ არ წავტეხნოთ ყური, ისე რავა იქნება. ახლავე, შენი ჭირიმე.

ბესიკი მაშინვე მიუახლოვდა კერიას და ცეცხლს მიეფიცხა, ფეხშიშველა პატარა ბიჭუნამ კერიას ხმელი ფიჩხი დააყარა. ალმა სწრაფად იფეთქა და მთელი სახლი გაანათა. გრძელი დარბაზის გამჭვარტლული კედლები და ჭერის დვირეები შავად ლაპლაპებდა. ამ გრძელ დარბაზს ორი კარი ჰქონდა, თავსა და ბოლოს, ხოლო ფანჯრების დანიშნულებას ერთი

პატარა სარკმელი ასრულებდა, რომელშიაც მუშტიც კი არ გაეტეოდა. ერთი კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული იყო განიერი საწოლი ტახტი. ტახტის ბოლოს იდგა ორი ზანდუკი და იქვე ეწყო დაკეცილი ლებ-საბნები. ბესიკს გაუკვირდა, რომ მთელ სახლში მარტო ეს მოხუცი პავლია და პატარა ბიჭუნა იყო, რომელმაც ცეცხლს ფიჩხი დააყარა თუ არა, მაშინვე გარეთ გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭუნა ისევ შემოვიდა, ტახტზე შეაბიჯა, ზანდუკებს თავი ახადა, იქიდან რაღაც დაკეცილი ტანსაცმლისმაგვარი ამოიღო და მაშინვე ისევ გარეთ გახტა. ცხადი იყო, ქალები გარეთ გასულიყვნენ და, ალბათ, საბძელში იცვლიდნენ საშინაო ტანსაცმელს. მართლაც, სანამ პავლია სახლთუხუცესის ჯალაბის მოკითხვას მოათავებდა, კარი გაიღო და დარბაზში სამი ქალი შემოვიდა. უფროსი მათგანი, პავლიას მეუღლე, საკმაოდ ხანში შესული, მაგრამ საოცრად ახოვანი ქალი იყო. ის პირდაპირ გაემართა სახლთუხუცესისაკენ, მოეხვია, ჯერ მხარზე აკოცა და შემდეგ ხელზე.

– შენ გენაცვალე, შენი აკვანი რამდენჯერ დამირწევია, ახლა ამ ჩემს ქოხში შენს ნახვას მოვესწარ. ხომ კარგად ბრძანდები, შენ შემოგვევლოს შენი სალომე!

– კარგად, ჩემო სალომე, კარგად!

– ეს ჩემი ქალიშვილია, ეს კი რძალი, – გააცნო სალომემ ახალგაზრდა ქალები სახლთუხუცესს, და მერე უცბად ბოდიშის მოხდით მიესალმა ბესიკს, – უიმე, ღმერთო, მომკალი, უცხო ადამიანი ვერ შეგნიშნეთ. დაბრძანდით, თქვენ კი შემოგვევლეთ, არ მოიწყინოთ და ახლავე იქნება ყველაფერი.

– სალომე, არაფერზე შეწუხდეთ, – მიმართა პაპუნამ მოხუც ქალს, – ეს ჩემი სტუმარი, როგორც კი გაშრება ამ ცეცხლთან, მაშინვე უნდა შევსვა ცხენზე და საჩხერეს წავიყვანო.

– უიმე, რავა გეკადრებათ, ასე რავა გაგიშვებთ. საჩხერეში მზე არც კი იქნება ჩასული, რო გახვალთ!

– ქალო, დატრიალდი, ლაპარაკს კი ნუ უნდები, – დაუცაცხანა მეუღლეს პავლიამ, თვითონაც ადგილზე დაფათურდა, ჩოხის სახელოები აიკეცა, ვითომ რაიმე საქმეს აკეთებდა და ისევ სახლთუხუცესს შეხედა, – მართლა, იმ თქვენს მხლებლებს... აქ შემოვიყვან...

– არა უშავთ რა. იყონ იქ! – ხელი აუქნია პაპუნამ, მას მოთმინება არ ყოფნიდა, სურდა ბესიკთან განმარტოებით ესაუბრა.

– არ შეცივდებით? წავალ აბა, თონესთან მაინც მივიყვან, გათბებიან, – თქვა პავლემ და გარეთ გავიდა.

– ქვეითები წავიდნენ, ცხენოსნებს უთხარი მზად იყვნენ, ახლავე წავალთ-თქო, – მიაძახა პაპუნამ პავლიას და შემდეგ ბესიკს მიუბრუნდა: – სანამ გაშრებოდე, ჩემო ძვირფასო სტუმარო, მანამდე დაწვრილებით მიამბე შენი თავგადასავალი.

– მგონი ასჯერ მაინც დამჭირდეს კვლავ თოვლში დასველება და გაშრობა, სანამ ჩემს თავგადასავალს ბოლომდე ვიამბობდე, – სიცილით უთხრა ბესიკმა და ცეცხლზე მხარი იბრუნა.

– შენ თუ იცი, რომ მამაშენი უკვე ქუთაისშია.

– როგორ? – გაოცდა ბესიკი, – ნუთუ მართლა?

– მთელი ოჯახით გვეახლა რუსეთიდან.

– მერე მე რად არ მაცნობა?

– ასე ამჯობინა. ვაითუ ერეკლემ რაიმე შესწამოს და დასაჯოსო. კიდევაც დაუსჯინხარ. ალბათ, გაიგო, ალექსანდრე ამილახვარი და მამაშენი რომ ეახლენ ჩვენს მეფეს და...

– როგორ? ალექსანდრეც აქ არის?

– დიას! ისიც აქ არის. ჰოდა, მიუტანეს, ალბათ, ამბავი ერეკლეს, იმნაც იფიქრა ეს ბესარიონი, ალბათ, განგებ შემომიჩინესო და... კიდევ კარგი, რომ ცოცხალი გადარჩენილხარ. თვითონ გიყო ექსორია, თუ გამოექეცი?

– გამოვექეც, – ამოხვრით უპასუხა ბესიკმა და უცბად ისეთი ბოღმა მოაწვა, რომ კინაღამ ცრემლები გადმოსცვივდა თვალითაგან.

– სოლომონმა დიდის წყალობით მიიღო მამაშენი, ქუთაისში ადგილ-მამული უწყალობა. ბინა დროებით გელათში მისცა, სანამდი ქუთაისში სახლს აიშენებდეს და ქუთათელი რომელიმე ეკლესიაში გაამწესებდეს, – ანუგემა პაპუნამ ბესიკი, რადგან სახეზე მოღრუბლვა შეატყო. – ახლა იმასაც უნდა გამოგიტყდე, კაცი რომ რამეს საგანგებოდ ინატრებს, ისე საგანგებოდ სანატრელი იყო შენი თავი ჩვენთვის. რომ იცოდე, ჩვენი მეფე როგორ გაიხარებს შენის ნახვით, მაშინ კი იტყვი, მართლა ბედნიერი ვყოფილვარო...

მწარე ფიქრებში გართული ბესიკი არც კი უსმენდა სახლთუხუცესს. ის ერთხანს გარინდული იდგა და თვალს ადევნებდა ქალებს, რომელნიც ფუსფუსებდნენ, გობებს და ჯამებს ახრავუნებდნენ, კოკებით გარბი-გამორბოდნენ, რაღაც კასრები გაჰქონდათ და შემოჰქონდათ. სალომე მოკლე განკარგულებებს აძლევდა რძალს და ქალიშვილს და ისინიც უხმოდ ასრულებდნენ ოჯახის უფროსის ბრძანებას.

ბესიკს უკვირდა, როგორ უბრალოდ და შინაურულად ეჭირა თავი მთელ ამ გლეხის ოჯახს სახლთუხუცესის წინაშე. მხლებლებმა, დიდგვარიანმა აზნაურებმაც კი, ვერ გაბედეს თავის ბატონს ქოხში შეჰყოლოდნენ და გარეთ იცდიდნენ. ესენი კი თან საქმიანობდნენ და თანაც თავისუფლად ესაუბრებოდნენ პაპუნას. ეკითხებოდნენ ამბებს, ხუმრობდნენ და თუმცა, მართალია, ამის უფლებას მათ მასპინძლის მდგომარეობა ანიჭებდა, მაინც საკვირველი იყო მდებრივთა ასეთი თავისუფალი და თანაც მიმზიდველი ყოფაქცევა დიდებულთა წინაშე.

პაპუნა მიხვდა, რომ მისი სტუმარი გულისყურით ვერ უსმენდა, რადგან, ალბათ, დაღლილი იყო თოვლში სიარულით და ყურადღებაც დაბნეული ჰქონდა, ამიტომ ისევ პავლიასთან გააბა საუბარი.

– მოსავალი როგორი გქონდა პავლია? – ჰკითხა პაპუნამ, – პური ბევრი მოგივიდა?

– პური, შენი ჭირიმე, შენს ხოდაბუნებში რომ მოდის, ისეთი რომ მოდიოდეს ჩვენთან, რაღა გვიჭირს, მარა, მაინც არა უშავსრა.

– სიმინდი თუ დათესე?

– იმე, რავა არა! ეგ ნამეტანი კარგი რამე მოვიდა ჩვენში. მე სულ პატარა ბავშვი ვიყავი, პირველად მამაჩემმა რო მოიტანა მაგისი თესლი, შენი ჭირიმე, არგვეთიდან. ამ ჩვენი არგვეთიდან კი არა, შორაპანთან რო არგვეთია იქიდან. ტარო რო დევინახეთ, შეგვეშინდა, ისე დეეკრიჭა კბილები სიმინდს. ასე ამბობენ, შეიძლება ამ მაღალ ადგილს არც კი მევიდეს, ამას დაბლობი უყვარსო. დაუთესეთ, მევიდა მარა რა მევიდა, ველარაფერში დავტყეთ. ეს სასიმინდეც მაშინ დავდგით. ასე გვასწავლეს, უნდა მოიწინას კედლები, რომ ქარმა უაროს იქით-აქეთო. დაფუქვით წისქვილზე. ჩვენ გვეგონა პურივით თუ ცხვებოდა, მარა მერე ისწავლეს ქალებმა გამოცხოვა და ახლა, შენი ჭირიმე, მაგაზე უკეთესი თუ არის რამე ქვეყანაზე, არ მგონია. აგერ ამ პატივცემულ სტუმარს არ ენახება, ალბათ. ეგაა, რომ შრომა ჭირდება დიდი, ორჯერ თუ არ გათოხნე, ბალახი მოერევა და აღარ გაიზრდება.

მაღე ქალებმა მოიტანეს პატარა, დაბალი სუფრა და საპატიო სტუმარს წინ დაუდგეს. ბესიკი ჯერ საბოლოოდ გამშრალი არ იყო და მის ტანსაცმელს კიდევ ასდიოდა ბული, ამიტომ ის ისე მოხერხებულად დასვეს ცეცხლთან, რომ კიდევაც გამშრალიყო და სუფრასაც მისწვდომოდა. მასპინძლის ქალიშვილმა სტუმრებს ხელი დააბანინა, ხოლო რძალმა სუფრაზე დააწყო თონიდან ახლად ამოყრილი შოთები და კეცზე გამომცხვარი ხაჭაპურები. ამას თანვე მოაყოლეს ნიორწყალში ჩაწყობილი, აქნილი შემწვარი ქათამი, ხოლო პავლიამ ლალისფერი ღვინით აავსო კათხები.

– აბა, ძვირფასო სტუმარო, შენ ამისთანა რამ თუ გიჭამია ოდესმე, – ღმილით უთხრა სახლთუხუცესმა ბესიკს, ხაჭაპური აიღო, შუაზე გადატეხა და გაუწოდა.

* * *

მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც საჩხერეში მივიდნენ. ცხენები თქარუნით მიქროდნენ საოცრად დამბალ და წყლად წასულ თოვლში. დაბის მთელი მოსახლეობა გარეთ გამოფენილიყო და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ნადირობიდან დაბრუნებულ სანთოუხუცესსა და მის ამაღას. ყველანი მოწიწებით ესალმებოდნენ ცხენოსნებს. ებრაელები მისალმებასთან კითხვებსაც აყრიდნენ მონადირეებს:

– რა ქენით, კარგად ინადირეთ? ბევრი მოკალით? კურდღლები დახოცეთ? – უფრო ხმადაბლა, წინ მიმავლებს რომ არ გაეგონათ, კითხულობდნენ: – ის უცხო კაცი ვინ არის?

სასახლეში მისვლისთანავე პაპუნამ გასცა განკარგულება, რომ საპატიო სტუმრისათვის სათანადოდ ეცათ პატივი. მას განსაკუთრებით სურდა გამოეჩინა თავი ბესიკის წინაშე და ერვენებინა, თუ როგორი ყოვლისშემძლე და ყოვლისპატრონი იყო. ჩამოქვეითდნენ თუ არა, პაპუნამ მაშინვე უბრძანა სადუნას: ახლავე ამოიყვანე ბაზრიდან თერძი და ხარაზი, რომ ამ ჩვენს ახალ სტუმარს ზომა აუღონ, საუკეთესო ტანსაცმელი და მაშეები შეუკერონო. ბესიკს მართლაც შემოცვეთილ-შემოგლეჯილი ჰქონდა ტანსაცმელი, ხოლო ფეხზე, უკვე ძნელი გამოსაცნობი იყო, რა ეცვა.

სადუნამ თვალის დახამხამებაში მოიყვანა საიდანღაც თერძიც და ხარაზიც. ის იყო კიდევაც ჩამოსხდნენ საკარცხლულებზე პაპუნა და ბესიკი გუზგუზა ბუხრის წინ, როდესაც სადუნა ორთავე ოსტატს დარბაზში შეუძღვა.

– ასე უცბად საიდან მოიყვანე, ბიჭო, ესენი, ჯიბეში ხომ არ გყავდა? – გაიცინა პაპუნამ და შემდეგ ოსტატებს მიუბრუნდა: – იცოდეთ, ამას კი არ უკერავთ ტანსაცმელს, მე მიკერავთ. დავხედავ, არ მომეწონება და მორჩა თქვენი საქმე. ხვალ საღამოს მზად უნდა იყოს ყველაფერი.

– ფეხსაცმელი კი, შენი ჭირიმე მოესწრება, მაგრამ... – შეეცმანდა თერძი, – ტანსაცმლის რა მოგახსენო.. მარტო ღირკილოების დაკერებას...

– არავითარი „მაგრამ“... შეგირდები ბევრი გყავს. დასვი და ამუშავე. კაბა-ახალონი უნდა იქნეს იმისთანა, რომ მეც არ მენახოს უკეთესი, – უბრძანა ოსტატებს პაპუნამ.

ოსტატებმა ყაჭის გრეხილი ძაფით ზომა აიღეს (თითოეულ სიდიდეს ძაფზე ნასკვით აღნიშნავდნენ) და იმწამსვე წავიდნენ. პაპუნას სურდა სტუმრისათვის სავანშმო სუფრა გაეშალა და მასთან გათენებამდე ესაუბრა, მაგრამ ბესიკმა სთხოვა, რადგან ძალზე დაღლილი ვარ, ნება მომეცი დასაძინებლად წავიდეო. მასპინძელმა, მართლაც, შეატყო დალლა და ვინაიდან ბესიკი თბილ ბუხართან საეჭვოდ იქექებოდა, ფარემებს უბრძანა, სტუმრისათვის მოეველოთ.

ფარემებმა ბესიკი წაიყვანეს მისთვის მიჩენილ ოთახში, სადაც დიდი სპილენძის ქვაბი შემოიტანეს, ჩასვეს შიგ ნამგზავრი სტუმარი, ცხელი წყლით ტანი დააბანინეს, ახალთახალი აბრეშუმის საცვლები მოართვეს და ასევე აბრეშუმის სუფთა ლოგინი გაუშალეს. დაქანცული ბესიკი მაშინვე შეგორდა ლოგინში, ეგონა იმწამსვე ძილს მისცემდა თავს. მოლოდინის მიუხედავად, მთელი ღამე თეთრად გაათენა. მას თითქმის ქვეყნის ნახევარი მაინც მოეველო, მაგრამ არასოდეს არ განეცადა ასეთი უჩვეულო და უცნაური განწყობილება სხვა ქვეყანაში გადახვეწისა, როგორსაც ახლა განიცდიდა. როდესაც ჯერ სპარსეთს, ხოლო შემდეგ რუსეთს მიემგზავრებოდა, გრძნობდა, რომ ეს იყო დროებით და ისევ თავის კუთხეში დაბრუნდებოდა. ახლა კი ის მიდიოდა იმ მხარეში, სადაც სამუდამოდ უნდა დასახლებულიყო, მოგზაურობაც ისეთ დროს მოუხდა, როდესაც ბუნებაც არ იყო მიმზიდველი, სიცვივე ძვლებამდე ატანდა, თოვლით დაფარული მიდამო თვალს არ ხიბლავდა და ამიტომ ყველაფერი ცუდად ერვენებოდა.

მხოლოდ გათენების ხანს, როდესაც მამლებმა ყვილით გული იჯერეს და ბატონის კარ-მიდამოში მსახურნი ახმაურდნენ, მხოლოდ მაშინ ჩაეძინა ბესიკს და შუადღემდე ლოგინიდან

არ ამდგარა. გაიღვიძა თუ არა, ფარეშმა მაშინვე მოართვა ლამაზად მოქარგული ფოსტლები და მისი ქალაქური ტანსაცმელი, რომელიც ისე გაესუფთავებინათ და ოსტატურად დაეკერებინათ, რომ არც კი ემჩნეოდა, თუ სადმე დახეული იყო ან გაცვეთილი. მერე დალაქი ეახლა, იქვე ბუნართან დასვა, წვერი გაპარსა და თმა ლამაზად შეკრიჭა. დაიბანა თუ არა პირი, ფარეშმა მოახსენა, ბატონი სახლთუხუცესი დიდი ხანია დარბაზში გელოდებით და უთქვენოდ საუზმის მირთმევას არ აპირებსო. ბესიკმა ფოსტლებზე დაიხედა, რადგან ეუხერხულებოდა ასე შინაურულად გასულიყო მასპინძელთან დარბაზში, მაგრამ ფარეშმა დაამშვიდა – ნუ გერიდებათ, მარტო ბრძანდება და საღამოსთვის კი, როდესაც სტუმრები გეახლებიან, ახალ მაშეებს მოგართმევთო.

პაპუნა მართლაც დარბაზში დაუხვდა. ბუნართან იჯდა და ბესიკის მოლოდინში გრძელტარიან ჩიბუხს აბოლებდა. დაინახა თუ არა სტუმარი, მასპინძელმა მაშინვე ბუნართან მიიწვია და მსახურს უბრძანა, საუზმე მოერთმიათ. ისევე, როგორც გლეხის ქონში, აქაც, ორთავეს შუაში დაბალი, ერთი მთლიანი ფიცრის სუფრა ჩაუდგეს, რომელზედაც ხის ჯამები და ვერცხლის ლანგრები დააწყეს. აქაც ხაჭაპურები, ჭყინტი ყველი და შემწვარი წიწილები მოიტანეს.

– ამ დილით ეს იყოს და სადილად ირმის მწვადებით გაგიმასპინძლდები. მოვასწროთ, თორემ ხვალღიდან მარხვა იწყება და შენი მტერია აღდგომამდე სახსნილოს არ მოგაკარებენ, – ხუმრობით უთხრა პაპუნამ ბესიკს მხოლოდ იმისთვის, რომ სტუმარი აეყოლიებინა, ხაჭაპურს მისწვდა. – აბა, მიირთვი, ჩემო სტუმარო. თქვენში მგონი შეპატიჟება არ იცინა.

პაპუნას მოთმინება არ ჰყოფნიდა, რადგან დაწვრილებით სურდა ქართლ-კახეთის ამბები გამოეკითხა ბესიკისათვის, გაეგო ერეკლეს სახლის საიდუმლოებანი და გულდასმით გარკვეულიყო დიდებულთა შორის გაბმულ იმ იდუმალ ზღართებში, რაც მუდამ თან ახლავს სამეფო კარს. ამიტომ, ისაუზმეს თუ არა, პაპუნამ უბრძანა ფარეშს, რომ მათთან არავინ შეეშვათ და მწუხრამდე არ შეუწყვეტია ბასი სტუმართან. ისინი ხან ბუნართან ისხდნენ, ხან კი აივანზე, რადგან მეტად თბილი მზიანი დღე იყო და აივანიც მზისგულზე გამოდიოდა. აქედან მოჩანდა თოვლით დაფარული ბუჩინე-გორისის დაღარული ზეგანი, აბღუმელიშვილთა სამოსახლოსთან ამართული ციხე-კოშკი, ქორეთისა და უდერძის საყდრები და აქა-იქ მიმოფანტული სახლები. აქედანვე მოჩანდა სახლთუხუცესის მთელი ეზო-მიდამო და ამ ეზოზე მოკრული პატარა დაბა, წიწილებივით ერთად შეყუყული ქონმახებით, სამჭედლო ფარდულებით, სავაჭრო დუქნებით და ქულბაქებით. თვით სახლთუხუცესის ეზო-მიდამოც თავისებურ ქალაქს წარმოადგენდა და ამ დიდსა და თაღებიანი აივნებით შემკულ სასახლეს გარშემო შემოხვეოდნენ ბელელ-ხულები, სამოახლო და საფარემო შენობები, საბაზიერო და სამეძებრო ფაცხები, საქონლის თავლები და საჯინიბოები, სალორეები, საქათმეები, საბატენი და საიხვენნი, ცხვრის ფარეხები, და ყოველივე ამას ერთი მთლიანი ტყრუშული ჰქონდა შემოვლებული.

ამ სანახაობამ უნებურად მიიქცია ბესიკის ყურადღება. ქართლ კახეთში ერთ ეზო-გარემოში ამდენი ნაგებობა იშვიათი იყო. თავადთა ქეთიკირით ნაგებ, თუნდაც გალაგნით შემოზღულულ, სასახლეებთან ძნელად თუ მოკრავდა კაცი თვალს ან ბელლებს, ან თავლებს, ან კიდევ საჯინიბოებს. პურს ორმოებში ინახავდნენ, თავლებისა და საჯინიბოების ნაცვლად მიწურები ჰქონდათ გაჭრილი, გლეხობა ხომ მთლიანად მიწურებში ცხოვრობდა.

საუბრის დროს ბესიკი ხშირად უზიარებდა მასპინძელს თავის შთაბეჭდილებებს და ეკითხებოდა იმერთა ყოფაცხოვრების თავისებურებათა შესახებ. პაპუნას კი უფრო ქართლ-კახეთის ამბები სურდა გაეგო, ბესიკის კითხვებზე გაკვრით იძლეოდა პასუხს და კვლავ ერეკლეს კარის ამბებს უბრუნდებოდა. დაწვრილებით აამბობინა, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა განწყობილება, როგორ იმგზავრა ირანსა და რუსეთში და განსაკუთრებით ალექსანდრე ბაქარის-მის შესახებ გამოჰკითხა ყოველი წვრილმანი.

ალბათ გათენებამდე ვერც კი მოათავებდნენ საუბარს, მაგრამ საღამოჟამს, როდესაც მზე ჩაიწვერა და ისინი ისევ ბუხარს დაუბრუნდნენ, ოსტატებმა ბესიკს ახლად შეკერილი ტანსაცმელი მოართვეს, თანაც სტუმრებმაც დაიწყეს თავმოყრა და ბესიკი მაშინვე გაემართა თავისი ოთახისაკენ, რომ ახალი ტანისამოსი ჩაეცვა.

* * *

როდესაც ბესიკი დარბაზში გავიდა, იქ უკვე სანადიმო სუფრა გაეშალათ და სტუმრები დასხდომას აპირებდნენ. ბესიკს ეუხერხულებოდა ახალი, და თანაც თავისებური, ტანსაცმელი, ამას ზედ დაერთო სტუმართა ცნობისმოყვარე კირკიტი, და ამიტომ ოდნავ დაბნეული შეჩერდა დარბაზში. პაპუნამ წარუდგინა სტუმრად მოსულ ნათესავებს თბილისიდან გადმოხვეწილი მგოსანი. ქალებიც და კაცებიც ერთნაირი თავდახრით მიესალმენ ბესიკს, რომელმაც სძლია მორცხვობას და თამამად შეათვალიერა იმერთა მაღალი წოდების ქალნი და კაცნი.

ქალები თეთრნი იყვნენ, თუმცა მათ სითეთრეს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ქალებს, ხელს უწყობდა უხვადწასმული უმარული. უმრავლესობას თმა ჰქონდა დაწული წვრილ ნაწნავებად, რომლებიც კოჭებამდე სწვდებოდათ. ზოგიერთებს შუბლზე ალმასისთვლიანი ჯიღები ან შუბლის ქინძისთავეები დაემაგრებინათ, ხოლო ყელზე მარგალიტის ფარღულები ან ოქროს ძეწკვზე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ჯვრები ეკიდათ.

მამაკაცები უფრო ლამაზნი იყვნენ, ახოვანნი, მხარბეჭიანნი და ტანწერწეტნი. უმეტესობა წვერგაპარსული იყო და მხოლოდ რამდენიმე მოხუცს ამშვენებდა მკერდზე დაფენილი თეთრი წვერი. თმა თითქმის ყველას ერთნაირად გაჩეხილი ჰქონდათ და ბუჩქივით ადგათ თავზე. ფაფანაკი ზოგს თმებზე ჰქონდა შემოდებული, ზოგს კი მხარზე.

აქაც ისევე, როგორც ერეკლეს კარზე, მამაკაცები კედლის გასწვრივ დასხდნენ, ხოლო ქალები მათ პირდაპირ გამწკრივდნენ. სუფრის ბოლოში, ოდნავ განცალკევებით, პატარა მაგიდას უსხდნენ მოსაკრავენი და მომღერალნი. ბესიკმა უნებურად მიაქცია ყურადღება მათ შორის ერთ თეთრწვერა უსინათლო მოხუცს. ის თავისი განიერი მხრებით და ლამაზი სახით საოცრად ირჩეოდა დანარჩენთაგან.

დარბაზი გაჩირალდებული იყო კელაპტრებში ჩადგმული მსხვილი სანთლებით. მღვდელმა აკურთხა თუ არა სუფრა, ყველანი უხმოდ შეუდგნენ პურისჭამას. ფარემებს შემოჰქონდათ თავდადებული ვერცხლის ლანგრები, რომელზედაც ეწყო ასოასოდ აქნილი შემწვარი წიწილები, მოხარშული ხორცი, სხვადასხვა სანელებელით შემზადებული შიგნეული, ამას მალე მოაყოლეს საცივი, შემდეგ შემწვარი კოჭები და ბოლოს ირმის მწვადები. მერიქიფენი წამდაუწუმ ავსებდნენ სხვადასხვა სასასმობებს: კულებს, აზარფეშებს, ყანწებს, ჭინჭილებს და რიგრიგობით აწვდიდნენ სტუმრებს.

შუასამაში არც იყვნენ შესულნი, რომ პაპუნამ ანიშნა მომღერლებს და იმათაც მაშინვე წამოიწყეს ჯერ მრავალჟამიერ, ხოლო შემდეგ ამას მოაყოლეს რამდენიმე ძველებური სიმღერა. ყურმახვილმა ბესიკმა მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ მრავალხმიან თავისებურ სიმღერებს, მაგრამ ყველაზე უფრო გააოცა უსინათლო მოხუცის დაბალმა ღვრინმა. ვერც ერთმა მომღერალმა, ვერც კრინის, ვერც მოძახილის და ვერც ბანის მთქმელმა ვერ მოახერხა თავისი ხმით თუნდაც ოდნავ დაეფარა მოხუცის წარმტაცი, მაგრამ ამავე დროს მქუხარე ღვრინი. კაცი იფიქრებდა, ამ მოხუცს რომ ნება მისცენ, თავისი სიმღერით ამ სასახლეს სახურავს ახდისო.

— აჰ! რა წარმტაცად მღერის! — მიუბრუნდა აღტაცებული ბესიკი პაპუნას. — ვინ არის იგი? მღაბიოს არა ჰგავს.

— მღაბიოს? — პაპუნას თვალებმა ისე ბოროტად იელვა, რომ ბესიკს რატომღაც შიშის ჟრუანტელმა დაუარა. — როგორაა სახარებაში: „ხოლო რომელმა აღიმაღლოს თავი თვისი,

იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“. ხადილი ხომ იცი, ყმაწვილო, რას ნიშნავს? – ჰკითხა პაპუნამ ბესიკს. – თქვენში ასეთი სიტყვა არ იციან.

– ვიცი. ხადილი მასპინძლობას ნიშნავს, – უპასუხა ბესიკმა. – სულხან საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული: ხადილს იმერნი მასპინძლობას უწოდებენო.

– სახარებაში კიდევ ასე წერია: „ოდეს ჰყოფდეს სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა... არამედ ოდეს ჰყოფდეს შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა მკელობელთა და ბრმათა“.

პაპუნამ უკანასკნელი სიტყვა განსაკუთრებულად ხმამაღლა თქვა და თანაც გესლიანად ჩაიციინა.

დარბაზში მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველა სახლთუხუცესს შეაცქერდა, ზოგი ცნობისმოყვარეობით, ზოგი მლიქვნელური ღიმილით, რადგან კარგად იცოდნენ, ვის შეეხებოდა ლაპარაკი და რა უნდა ეთქვა სახლთუხუცესს.

– წმინდა სახარების სიტყვები მაიძულებს ფართოდ გავეულო კარი და შევივრდომო უსინათლო მოხუცი, – განაგრძო პაპუნამ, – ძვირფასო სტუმარო, შენ გინდა იცოდეს, ვინ არის ეს მოხუცი? ახლავე მოგახსენებ. ეს არის, ვინც საკუთარი განდიდებისათვის ებრძოდა ჩვენს დიდებულ სოლომონ მეფეს, სოლომონს, რომელიც აგერ რამდენი წელია იღწვის, რათა ფეხზე წამოაყენოს დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მიერ ოდესღაც აყვავებული, მაგრამ ახლა მთლად გაჩანაგებული იმერთა მხარე. ეს მოხუცი გახლავთ ის, ვინც მრავალჯერ მოუქნია დანა, ზურგში ჩასაცემად, ჩვენს ქვეყანას. სოლომონ მეფემ აკრძალა ტყვეების ყიდვა, ეგ კი თურქებს უთვლიდა, ჩქარა ჯარებით შემოდით, მეც დაგეხმარებით, რომ თქვენ ისევ გექნეთ საშუალება ფაშებს და ბეგებს ჰარამხანებში ქართველი ლამაზი გოგონები, ხოლო იანიჩართა და მამელუკთა რაზმებს ვაჟები მიჰვაროთო. სოლომონი ჩვენი ციხეებიდან იქ მოკლათებულ თურქთა განდევნას ცდილობდა, ეს მოხუცი კი, თავისი ჯარით, მოლაღატე ლევან აბაშიძესთან ერთად თურქებს უღდა გვერდით და...

– როგორ? – აღმოხდა ბესიკს, – ნუთუ ეს?...

– დიახ, ეს უსინათლო მოხუცი როსტომ რაჭის ერისთავი გახლავთ, – თქვა პაპუნამ და შემდეგ თავი მალა ასწია და ბრმა მოხუცს გასძახა, – გახსოვს, ხოდაბუნში რომ მომიხტი და ადგილები დამიხანი? წინათ კახაბერს ეკუთვნოდა და ახლა ჩემიაო. ახლა მე შენს გულს ვფარცხავ...

გაისმა თავშეუკავებელი ხარხარი. მამაკაცები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და, სახლთუხუცესისათვის რომ ესიამოვნებინათ, ძალით იჭაჭებოდნენ სიცილით. სუფრის ბოლოს კუწუწა აბაშიძეს მელიასავით ამოეყო თავი და ისე უცნაურად კრეჭდა კბილებს, კაცი იფიქრებდა, ორივე ფეხით მახეში გაბმულა და ახლა ქვეყნის მოსატყუებლად იცინისო.

მარტო ბესიკი არ იცინოდა. ნაღვლიანი და წარბებშეკრული გასცქეროდა დაბეჩავებულ მოხუცს, რომელსაც ოდნავ დაეხარა თავი და ღუძდა.

როდესაც სიცილი ოდნავ მინელდა, როსტომმა ნელა ასწია თავი და ხავერდით მომხიბლავი ხმით მიმართა სახლთუხუცესს:

– მე უკვე მომეგო მოსაგებელი, წერეთელო. წინათ თვალხილული ვიყავ, მაგრამ ბრმა, ვერაფერს ვხედავდი. ახლა კი ბრმა ვარ, მაგრამ ყველაფერს ვხედავ. ახლა გავახილე გონების თვალი, ჩავიხედე გულში და დავინახე, რომ თურმე ჯოჯოხეთის მსახური ვიყავ, მაგრამ მიხსნა უფალმა, მძიმე სასჯელით გამომასყიდვინა ყოველივე ჩემი შეცოდებანი., დიდია ღვთის ძალა, ყოველივე მისი ნებით ხდება, სასახელოა, რომ თავი კეთილ საქმეთა მოციქულად გამოგყავს, მაგრამ ვაი თუ , ვითარცა ფარისეველთ სჩვევიათ, შენცა და სოლომონიც, საქმეთა მათთაებრ იქმთ. რაკი სახარება გცოდნია, ესეც გემახსოვრება: „იმარხეთ და ჰყავით, ხოლო საქმეთა ფარისეველთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ სთქვიან და არა ჰყვიან. რამეთუ შეჰკრიან ტვირთი მძიმე და ძნელ სატვირთავი და დაჰსდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ

თითოთაცა მათითა არა უნებნ შეძრუან იგი. და ყოველთა საქმესა მათსა იქმან საჩვენებლად კაცთა“. მე მიკვირებ სოლომონის დიად საქმეთა ღალატს., მართალი ხარ, ცუდს ჩავდიოდი, მაგრამ არც შენი გულწრფელობა მჯერა. ახლა სოლომონის კარზე პირველი კაცი ხარ, თავს იჯერებ და ქვეყანასაც აჯერებ, ღმერთისა და ხალხის სამსახურისათვის ვილწვიო, მაგრამ თუ ეგ შენი მდგომარეობა შეირყა და სასახლის კარზე გავლენა დაჰკარგე, მაშინვე ქვეყნის სამსახური დაგავიწყდება და ხონთქართან პირველი გაიქცევი და სთხოვ მიშველეო.

– მაშინ წერეთელი კი არა, ერისთავი ვიქნები.

– მეც მაგას მოგახსენებ, მაგრამ ეცადე, რომ რაც მე საჯელი მხვდა წილად, იგივე არ მოგეზღოს.

– მაგას თავი დავანებოთ, შენ ის გვიამბე, შენ და ჯაფარ ჯაფარიძე როგორ შეხვდით ერთმანეთს, – გაუქილიკა სიტყვა პაპუნამ და მერე უცბად ბესიკს მოუბრუნდა: – მაგას ერთი ერთგული ჯაფარიძე ჰყავდა, სტაცა ხელი, რად ხარ ასე ერთგულიო, და თვალები დასთხარა. შარშან საადღგომოდ ის ბრმა მოსულა აქ საჩხერეში და ეკლესიაში დამალულა, გაეგო, რომ თვალდათხრილი როსტომი აქ მყავდა. მიუტანია წითელი კვერცხი და მიულოცია: შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღდგა, გიხაროდესო.

სიცილმა ისევ იფეთქა სუფრანზე, მაგრამ ბესიკი კვლავ წარბშეკრული იჯდა და ოდნავი ღიმილითაც კი არ გაუხსნია სახე. ის ხანდახან გადახედავდა ხოლმე მასპინძელს და უნებურად გრძობდა, რომ ბრმა მოხუცი, მისანივით რომ წინასწარმეტყველებდა, მართალი იყო პაპუნას მიმართ. სახლთუხუცესის ღამაზსა და მოხდენილ სახეში გამოკრთოდა რალაც თავისებური, ბოროტი გამომეტყველება, რაც საეჭვოდ ხდიდა მის კეთილშობილურ მისწრაფებათა სინამდვილეს.

ბესიკი უცბად აღგა, მასპინძლისგან ნებართვა აიღო, როსტომ ერისთავთან მსურს სიმღერა რამ ვთქვაო, და სუფრის ბოლოსკენ გაემართა.

– აბა სმენა იყოს და გავონება, – დაიძახა სახლთუხუცესმა, – ამბობენ, ჩვენს სტუმარს თვით ყაენიც კი გაუკვირვებია თავისი სიმღერით. აბა, ახლა ვნახოთ, როგორ შეუწყობს ხმას როსტომის ღვრინს.

ჟრიაძული მიწყნარდა და დარბაზში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბესიკი მოუჯდა გვერდით როსტომს და ხმადაბლა უთხრა:

– მომიტევეთ კადნიერება, თქვენო ბრწყინვალეებავ, თუ ნებას მომცემ...

– შენ კახბატონის კარის ხუცესის ზაქარია მოძღვრის შვილი ყოფილხარ, – უთხრა როსტომმა. – მამაშენზე გამიგია ანტონ კათალიკოსს ებრძოდაო. შენზე კი ამბობენ ღიმილი მოლექსე და მომღერალიაო. აბა, შენ იცი, რაც გენებოს ის სიმღერა თქვი, შვილო, მე ყოველ სიმღერას შევაწყობ ჩემს ღვრინს. თუმცა ერთი ანდაზისა არ იყოს: ბულბულმა თქვა, ჩემისთანა სიმღერა არავინ იცოდა, მაგრამ ისეთმა ალაღმა ჩამომიქროლა, ყველა დამავიწყაო, მაგრამ არა უშავს რა, იქნებ კიდევ მოვახერხო.

ბესიკმა ოდნავ ჩაახველა და წამოიწყო უძველესი სიმღერა „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული“. მომღერლებმა სწრაფად შეუწყვეს ხმები, ასწიეს სიმღერა, მაგრამ ბესიკის სიმღერა სწრაფად ავარდა მაღლა, დაიბუბუნა როსტომის ღვრინმა, უცბად დაფარა და მოგუდა დანარჩენთა ხმები, მაგრამ ბესიკის ხმა კიდევ უფრო მაღლა წავიდა და ეს ორი ხმა, როსტომის ღვრინი და ბესიკის მაღალი მოძახილი, როგორც საჭიდაოდ გამოსული ტანწერწეტა ჭაბუკი და ბუმბერაზი გოლიათი, კარგა ხანს ებრძოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ღვრინი თითქოს დაეშვა, ზღვასავით კიდი-კიდემდე გადაიშალა, ხოლო მოძახილი კიდევ უფრო წერწეტად წავიდა მაღლა და მსმენელი იფიქრებდა, რომ ის სადღაც ვარსკვლავებთან რეკავდა.

ამ სიმღერამ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მიჩუმიდნენ თუ არა მომღერლები, აღტაცებულმა სტუმრებმა ისეთი ჟრიაბული ასტეხეს, რომ ყურთასმენა აღარ იყო.

ყოველი კუთხიდან ისმოდა:

- ეს რა მოვისმინე?
- დედა, თქვენი ჭირიმეთ, თუ ვისმე გსმენიათ ასეთი სიმღერა!
- იქნება სამოთხეში თუ მღერიან ამგვარად.
- ეს რა არის გამაგებინეთ, კიდეც მღერიან, თუ ყურში მიწვივის ასე!
- რაფრად ასწია ხედავთ? როსტომის ხმას მოერია, ეს ვინ ყოფილა!

როსტომმა კი თავი მალლა ასწია და იკითხა:

- სად ხარ, შვილო, წახვედი თუ აქა ხარ?
- აქ გახლავართ, - უპასუხა ბესიკმა.
- ღმერთმა დღეგრძელი და ბედნიერი გამყოფოს, შვილო. გმადლობ, რომ ამ უსინათლოს, გარდა ღვთისა, ყოველი ადამიანისაგან მივიწყებულ მოხუცს, კიდეც განმაცდევინე ამქვეყნიური ნეტარება შენის დიდებულის სიმღერით.

ფარეშმა განურებული დაირა შემოიჭანა და ქალებს მიაწოდა. ცოტა ხნის ერთმანეთშორის ხვეწნა-უარის შემდეგ, ვიღაც სარივით ხმელმა ქალმა მოჰკიდა დაირას ხელი და საცეკვაო დაუკრა. მამაკაცების მხრიდან კი ერთმა კრახანასავით ვიწრო წელიანმა ახალგაზრდამ მსუბუქად დაჰკრა ფეხი, გადახტა დარბაზში და გაშალა ხელი საცეკვაოდ.

ნადიმი გათენებადღე გაგრძელდა.

* * *

ორი დღის შემდეგ, როდესაც თოვლი თითქმის აიღო, პაპუნა ბესიკთან ერთად ქუთაისს გაემგზავრა. გათენებული არც კი იყო, რომ გზას გაუდგნენ. მდინარე ყვირილის პირით მიდიოდნენ და გასცდნენ თუ არა საჩხერეს, მამინვე საოცარ კლდოვან ღერეფანში შევიდნენ. მდინარის გაღმა-გამოღმით, ფრიალო კლდეებში აუარება გამოქვაბულები მოჩანდა. გამოქვაბულები უმეტესად დაკიდულ კლდეთა შუაგულს იყვნენ და მათ გასწვრივ მოჩანდა ძელქვის ხის აივნების ნარჩენები. ზოგან გამოქვაბულებში კედლები ამოეშენებინათ, რომლის შუაგულს ხის ჩარჩოიანი ოთხკუთხა ხვრელი იყო დატოვებული. ეს ხვრელი, ცხადია, კარის მოვალეობასაც ასრულებდა და ფანჯრისაც. კლდეებს ძირი საკმაოდ ღრმად ჰქონდათ გამოფიტულ-გამოჭმული, ასე რომ, გაოცებას იწვევდა, თუ როგორ მიუდგნენ უძველეს ხანაში ადამიანები ასეთ გამოქვაბულებს, ან როგორ ავიდნენ ამ ფრიალო კლდეზე, აზიდეს საშენი მასალა და ბინა მოაწყვეს.

მაღე მღვიმის მონასტერი გამოჩნდა. ამ ტაძრის დანახვამ კიდეც უფრო განაცვიფრა ბესიკი. კედელივით ამართულ კლდეს, რომლის სიმაღლე ას ორმოცდაათ ადღზე მეტი იქნებოდა და ძირი კი ღრმად ჰქონდა მთელ სიგრძეზე გამოფულრული, შუაგულში ისეთი დიდი გამოქვაბული ჰქონდა, რომ შიგ მთელი ტაძარი იყო შედგმული. ტაძრის გასწვრივ კი მოჩანდა შვეულ კლდეზე უკვე ადამიანის ხელით გამოკვეთილი ქვაბების მწკრივი.

- ლავრინთო! - აღმოხდა ბესიკს.
- რაო? - ვერ გაიგო სახლთუხუცესმა.

- კუნძულ კრიტას არს მთა ქვაბებიანი და მღვიმეოანი ძნელად შესავალ-ამოსავალი და ყოველთა მსგავსთა მისთა ლავრინთო ეწოდება. ქართლში ბევრია კლდეში გამოკვეთილი ქვაბები, მცხეთასთან, შიომღვიმის მონასტერთან, უფლისციხეს, ვარძიას, მაგრამ ადგილი მსგავსი ამისა, ასეთი მიუვალი ქვაბებით ჯერ არ მინახავს. თუ თქვენი ნებაც იქნება ავიდეთ მონასტერში.

პაპუნა დათანხმდა. ცხენს მათრახი გადაჰკრა და ვიწრო კლდოვანი ბილიკის აღმართს შეუდგა. დანარჩენებიც მიჰყვნენ. ცხენები ფრთხილად მიაბიჯებდნენ კლდოვან ფერდობზე. აქა-იქ, თედოს ძვლებივით უცნაურად გამოფიტულ ქვებში, თავი ამოეყოთ კორჩიოტას ყვავილებს.

მონასტერში ზარების რეკვა ატყდა.

ალაყაფთან სახლთუხუცესს მონასტრის წინამძღვარი და მონაზონთა მთელი გუნდი შეეგება. სტუმრები ჩამოხტნენ ცხენებიდან და სათითაოდ მიიღეს წინამძღვრის ლოცვა-კურთხევა. ბესიკს მოთმინება არ ჰყოფნიდა და ეჩქარებოდა ამ ზღაპრული მონასტრის დათვალიერება, მაგრამ მოულოდნელად სახედამჭკნარ მონაზონთა შორის თვალი მოჰკრა ერთ ისეთ წარმტაც ახალგაზრდა ქალს, რომ აღელვებისაგან კინაღამ თვალთ დაუბნელდა. მთლად შავებში მორთული ქალის სახე ახლად გაშლილი ვარდივით ღვიოდა, თვალები თითქოს სხივებს აფრქვევდნენ და მარჯნისფერ ტუჩებზე სიხარულის მომგვრელი ოდნავი ღიმილი უკრთოდა, არასოდეს არ განუცდია ბესიკს სიცოცხლისა და სიყვარულის ასეთი ძახილი ასე ძლიერად, როგორც ამ ღვთაებრივი სილამაზით შემკული ქალის ხილვის დროს. იქნებ შთაბეჭდილებას ხელს უწყობდა და აძლიერებდა ამ ქალის მონაზონობა. შეიძლება, ჩვეულებრივ გარემოცვაში, სადმე ნადიმზე ან ოჯახში რომ ენახა ეს ქალი, იქნებ არც კი მიექცია მისთვის ყურადღება, მაგრამ აქ, ამ კლდეში, შევარდენთა ბუდეებთან შეყუჟულ მონასტერში, სადაც ყოველი ქალი სამუდამოდ იყო მოწყვტილი ამქვეყნიურ ცხოვრებას და მხოლოდ ლოცვა-ვედრებისათვის იყო განწირული, ასეთი ლამაზი ქალი ერთიათად უფრო ლამაზად და წარმტაცად ეჩვენებოდა. ბესიკს ისეთი გულისჩქროლა აუტყდა, რომ ამის შემდეგ აღარაფრისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მთვრალივით, ლასლასით მიჰყვა სახლთუხუცესს. მათ გაიარეს გალაგნით შეზღუდული ეზო მონაზონთა სენაკების წინ, გაძვრენ კლდეზე მიშენებულ თაღებიან სამრეკლოს ქვეშ და კლდეში გამოკვეთილი ვიწრო ბილიკით გავიდნენ იმ გამოქვაბულში, რომელშიაც ტაძარი იყო აგებული. ბესიკი გულისძგერით ნატრობდა, რომ კიდევ ერთხელ მაინც მოეკრა თვალი იმ მონაზვნისათვის.

დაიწყო თუ არა პარაკლისი, ბესიკმა რამდენჯერმე შეათვალიერა მონაზონთა გუნდი. ტაძარში შედარებით ბნელოდა. დღის სინათლეს შეჩვეული თვალთ ძნელი იყო მჭიდროდ შევჯეუფულ მონაზონთა შორის წარმტაცი არსების სახის გარჩევა, მაგრამ დაიწყეს თუ არა გალობა, ბესიკმა სწრაფად მოიხედა და მაშინვე დაინახა მომხიბლავი ასული ტაძრის კუნჭულში. ის, როგორც უმცროსი, სულ ბოლოში იდგა და წკრიალა ხმით გალობდა. ბესიკს მოეჩვენა, რომ ქალი მისკენ იცქირებოდა, ხოლო როგორც კი შეამჩნია ქალმა ამ უცხო კაცმა ჩემსკენ მოიხედაო, შემკრთალმა, მაშინვე იბრუნა სახე და უფროსებს ამოეფარა. გულდაწყვეტილი ბესიკი ისევ კანკელს შეაცქერდა, აღსავსე იმედით, რომ პარაკლისის დამთავრების შემდეგ კიდევ ეღირსებოდა ამ მშვენიერის ხილვა. მოლოდინი არ გაუმართლდა. ქალი სადღაც გაქრა და ბესიკი ამაოდ ცდილობდა ამდენ მონაზვნებში ერთხელ მაინც მოეკრა მისთვის თვალი.

მონასტერი დატოვეს, ისევ ხეობაში ჩავიდნენ და გზას გაუდგნენ. ცაზე მოულოდნელად მძიმე ღრუბლები დაეშვა და ახლა ეს კლდოვანი დერეფანი უფრო პირქუში და ზღაპრული გახდა. ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ამ ხეობას ასეთივე ჩაბნელებული პირქუში დერეფნები უერთდებოდნენ, ხოლო ღვეთა ღიპებივით გადმობლენდილ ან კედელივით ფრიალო ჩამოთლილ კლდეებზე კვლავ მოჩანდა ადამიანის ხელით გამოკვეთილი ქვაბები.

ცხენოსნები ხან წყვილწყვილად მიდიოდნენ, ხან კვალში მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ფიქრებში წასულ ბესიკს სადუნა წამოეწია და, სხვებს რომ არ გაეგონათ, დაბალი ხმით ჩაულაპარაკა:

– რავა მოგწონთ აქაურობა, ბატონო. ჰო, რა ლამაზი გოგოა იმ მონასტერში, თუ მოკარით თვალი!

– როგორ არა. მე ისეთი მომხიბლავი არავინ მინახავს, – უპასუხა უზომოდ გახარებულმა ბესიკმა იმით, რომ საშუალება ეძლეოდა ამ ქალის ვინაობა გაეგო.

– შეგატყვევთ, ბატონო, თვალი მოგტაცათ. ეეჰ, რა არის ადამიანის ბედი, – ამოიოხრა სადუნამ და ცხენის სადავე მოზიდა, რომ ბესიკი ოდნავ წინ გაეშვა. მხარდამხარ მას მარტო თავის ტოლთან შეეძლო ევლო.

– ვინ არის ეგ ქალი? – ჰკითხა ბესიკმა.

– ეჰ, ვინაა, ბატონო, და ბუშია მაგ უბედური. რა საოცრადაა მოწყობილი ეს ჩვენი ქვეყანა, – გაცხარდა უცბად სადუნა, – ვითამ ყოველი ადამიანი ღვთის ნებით არაა გაჩენილი? რა დააშავა ახლა მაგ უბედურმა. ყაფლან ბაქრაძემ ქვრივი შეაცდინა და ეგ ბავშვი გააჩინა ქვეყნად, რა მოხდა მერე, მაგისი რა ბრალია? ადამიანი არ არის? აქაო და ბუშიაო, მაგის გათხოვება არ შეიძლებაო.

– რისთვის? – გაოცდა ბესიკი.

– ბუშს ვინ შეუშვებს ოჯახში, შენი ჭირიმე. არა და, მაგაზე უმშვენიერესი ქალის მხახველი არა ვარ. უნდა დაჭკნეს ეგ უბედური აგრე მონასტერში. ცოდვა არ არის? თავისი მშობლების ცოდვა მაგან უნდა ინანიოს? მერე, მგონია, თვალში მოხვდი, ბატონო. ის უბედური სულ შენ გიცქეროდა. პარაკლისი რომ გათავდა, პირველი გაგარდა ტაძრიდან, ალბათ, ეშინოდა, არავინ შემამჩნიოს რამეო. მერე ეზოზე რომ გავიარეთ, სამრეკლოს სენაკის სარკმლიდან ფარულად იჭყიტებოდა და პირდაპირ თვალებით გჭამდა. მაგ უბედურს ეგლა ეჭირვებოდა? თქვენისთანა დიდკაცს კი არა, ჩემისთანას არავინ აღირსებს მაგ საბრალოს და რისი იმედით ვარდება ამ ცეცხლში.

* * *

მეზავრები დაბინდებისას მივიდნენ სკანდემი. მეფის ციხე-დარბაზის ტანწერწეტა მაღალი კოშკები ბინდბუნდში გოლიათებივით ალანდულიყვნენ. ბჭებთან მეზავრებს მეთოფურეები შეეგებნენ, ცხენები ჩამოართვეს და ეზოში შეუძღვნენ. აქ ბესიკმა თვალი მოჰკრა ციხის მაღალ ზღუდეზე მიშენებულ ქვიტკირით ნაგებ სამეფო პალატს, კარის ეკლესიას და რამდენიმე ძეღურ შენობას, რომელნიც ბელლები აღმოჩნდნენ. მეფის მსახურნი და მეციხოვნენი კოშკების და ციხის კედლებში დატანებულ სენაკებში ცხოვრობდნენ.

პაპუნამ უბრძანა მსახურთ, მეფის დიდ პალატში დაენტოთ ბუხარში ცეცხლი და ლოგინებიც იქვე გაეშალათ. მსახურები მაშინვე შეუდგნენ ბრძანების ასრულებას, სანთლები აანთეს და უხარმაზარ ბუხარში ცეცხლი აავიზგიზეს. დარბაზში ბესიკმა გაოცებით მიმოიხედა. მთელი კედლები და ჭერი მოხატული იყო.

– რაო, გაგიკვირდა? – ჰკითხა პაპუნამ.

– დიახ, მეგონა ტაძარში ხომ არ შევსულვართ-მეთქი. ჩვენში პირველად ვხედავ საცხოვრებელ სადგომს, სადაც კედლები ასე იყოს მოხატული. რუსეთში ბევრი მინახავს, სპარსეთშიც, აქ კი პირველად ვხედავ.

– კიდევ ნახავ, – უპასუხა პაპუნამ. ბესიკმა ერთ შანდალს ხელი დაავლო და კედლების დათვალიერებას შეუდგა. აქ უმეტესად ჭარბობდა საერო ყოფა-ცხოვრების გამომხატველი სურათები: ყაბახი, მშვილდისრით ნადირობა, ნადიმი, ცეკვა-თამაში ანუ როკვა, ჩოგნით ბურთაობა და მრავალი ამის მსგავსი. ერთ კედელზე ზოლიაქოს ნიშნები იყო გამოსახული, ხოლო ფანჯრებს შორის იმერეთის მეფეები მიეხატათ.

ფერადებით შესრულებულ სურათებს ქვემოთ მხედრული წარწერები ჰქონდა.

კედლების შემოვლის შემდეგ ბესიკმა შანდალი ბუხრის თახჩაზე შემოდგა და ცეცხლს მიუფიცხა.

– ამოდენა ბუხარიც არ მინახავს, – თქვა ბესიკმა, – აქ, ალბათ, მთელი ხარი შეიწვება.

– აქ ხარიც ბევრი შემწვარა და ირემიც, – ღიმილით უთხრა პაპუნამ და მსახურთ უბრძანა ვახშამი დაეჩქარებიათ.

მეზავრობისაგან დაღლილ ბესიკს თბილმა ბუხარმა სწრაფად მოგვარა ძილი. მაშინვე მიწვა ტახტზე და, თუმცა ფარეშები ირწმუნებოდნენ, ვახშამი ახლავე იქნებო, ძილს თავი ვერ გაართვა და გათენებამდე თვალი არ გაუხელია. დილას გაიღვიძა თუ არა, პირველი, რაც მოაგონდა, მღვიმის მონასტერში ნახული მონაზონი იყო. გულმა ისე ნაღვლიანად დაუწყო ძგერა, რომ მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, რათა როგორმე კაემანი მოეშორებინა. ბუხარში ნაღვერდალი მოქექა და ცეცხლი გააჩაღა. ხმაურზე სახლთუხუცესმაც გაიღვიძა და ისიც ფეხზე წამოიჭრა. მან წინაღმით გაიგო, მეფე უკვე ქუთაისს მობრძანებულაო და სურდა რომ გზას დროზე დადგომოდა. მართალია, დაავიანა ქუთაისს მისვლა, და ამაზე მეფე მას დიდად არ უსაყვედურებდა, მაგრამ პაპუნა მაინც ჩქარობდა, რათა მეფე ბესიკის მიყვანით გაეხარებინა. ამიტომ წამოდგა თუ არა, მაშინვე ბრძანა, რომ ცხენები შეეკაზმათ.

– ამინდი გაფუჭდა, ბატონო, – მოახსენა საღუნამ, – წყალთოვანა, იქნება მოგვეცადა პატარა.

– შენ ის გააკეთე რასაც გიბრძანებენ, – შეუტია პაპუნამ მსახურს, – წყალთოვანა! ასეთ ამინდში გარეთ გამითევია ხოლმე ღამე.

სადუნა გავარდა გარეთ ბრძანების შესასრულებლად და ნახევარი საათის შემდეგ უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. ისაუზმეს თუ არა, მაშინვე შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ.

სიცივე ძვალში ატანდა. სველი თოვლი თვალეში სცემდა მგზავრებს და გამოხედვის საშუალებას არ აძლევდა. ატალახებულ თიხნარზე ცხენებს ფეხები უცურდებოდათ. აქა-იქ ღობეებზე მოვარდნილი ნაგაზები ბრაზიანად ყეფდნენ, მაგრამ შარაზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ. ნაბადში გახვეული ბესიკი სიცივისაგან ძაგდაგებდა და ნატრობდა, რომ როგორმე ჩქარა მისულიყვნენ ქუთაისს. გზაც რაღაც დაუმთავრებლად გაგრძელდა, ამ პატარა გორაკებზე აღარ ჰქონდა დასასრული აღმართ-დაღმართებს და პატარა მდინარეებს. ბოლოს, როგორც იქნა, გალიეს სალორიის ტყე და გამოჩნდა ქუთაისი. სახლთუხუცესმა მათრახის ტარით ანიშნა ბესიკს, აი იქით გორაკს ხომ ხედავ, რიონის გაღმა, დიდი ტაძრის ნანგრევები რომ მოჩანს, იქაა ქალაქი ქუთაისი, ხოლო გამოღმა რიონის მარცხენა მხარეს, დაბლობში რომ სასახლე მოჩანს, ისაა სოლომონ მეფის დიდებული ოქროს ჩარდახიო.

ბესიკი ძალზე ცდილობდა დაენახა ქალაქი, მაგრამ სამი თუ ოთხი ეკლესიის გარდა ვერაფერი ვერ გაარჩია. მთელი მიდამო დაფარული იყო ჯაგნარივით გაუვალი ტყით. თუმცა ამ ტყეს ფოთოლი გაცვენილი ჰქონდა, მის ტოტებში მაინც არაფერი მოჩანდა არც მთაზე, არც დაბლობებში რიონის პირად.

“ეს რა ქალაქია, ან სად არის ქალაქი?“ – გაუელვა გულში ბესიკს. ვერც მეფის სასახლეს მოჰკრა თვალი, თუმცა ბევრი ეცადა დაენახა.

ბესიკს ზამთრის ბუნდოვანმა დღემ შეუშალა ხელი ქალაქი კარგად გაერჩია, თორემ ის არც ისე ასათვალწუნებელი იყო.

ქუთაისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთს ერქვა დიდი ქუთაისი და ის რიონის მარჯვენა მხარეზე გორაზე იყო გაშენებული. ამ ქალაქის უძველესი ნაწილი ღუღაბით ნაგები კედლით იყო შემოზღუდული. ათი ადლის სიმაღლის მტკიცე გალავანს ოცდაათ ადღზე ატყორცნილი შვიდი კოშკი ამშვენებდა. ამ ციხეს ეკვროდა შემდეგში გაზრდილი და მეორე ზღუდით შემოსაღებული ქალაქი თავისი ვიწრო და ტალახიანი შუკებით, სავაჭრო ღუქებით და სახელოსნოებით.

ქალაქის მეორე ნაწილს, რომელიც რიონის მარცხენა მხარეზე იყო გაშენებული და ძველ ქალაქს ჯაჭვის ხილით უერთდებოდა, ერქვა პატარა ქუთაისი, თუმცა სივრცით ის გაცილებით სჭარბობდა ძველ ქალაქს. აქ იყო მეფის სასახლე, სამეფო სასტუმროები და ქარვასლები,

კარის მსახურთა სადგომები, ბელღები, საჯინბოები, სახაბაზოები და სხვა მრავალი ნაგებობა. მარტო ეს შენობები იყო საკმარისი, რომ ამ კუთხეს ქალაქი წოდებოდა. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრებოდა პატარა ქუთაისის მოსახლეობა. ჩრდილოეთ მხარეს, რიონის ნაპირას, მწვანეყვავილას ტაძრამდე სახლობდნენ კათოლიკე ქართველები, რომელნიც თავიანთ თავს ფრანგებს უწოდებდნენ, და ებრაელები, რომელთა ქოხები წიწილეებივით შემოსეოდნენ საბაზრო მოედანს. ამ მოედნის შუაგულში იდგა სამრეკლოსმაგვარი ქვის სვეტებიანი ფარდული, სადაც სასურავის ქვეშ საგანგებოდ გადებულ ძელზე ეკიდა უზარმაზარი სასწორი. პარაკეობით და კვირაობით მოედანი გაჭვდილი იყო ახლომახლო სოფლებიდან მოსული გლეხებით, რომელთაც მოჰქონდათ მწვანილი, ყველი და კვერცხი, ხორბალი, სიმინდის ფქვილი, მოჰყავდათ ქათმები, ცხვრები, ველური ტახისმაგვარი – მწვერებივით მაღალი ჯაგრიანი ღორები, დაბერებული და კისერგადატყაული ხარები ან საულლე მოზერები და მეწველი ძროხები. ზედა ქალაქიდან ოსტატებს ჩამოჰქონდათ თავიანთი ნახელოვნარი ბზის საგარცხლები, ლამაზად შეკერილი წულა-ქესტები, მოქარგული ფაფანაკები, მოსირმული ჩაბალახები, გათლილი ყანწები. ვერცხლით შემოსალტული ხანჯლები და სამართებელივით ბასრი დანები. ებრაელები შლიდნენ თავიანთ ფუთებს და ვაჭრობდნენ თბილისიდან მოტანილ ლამაზად აჭრელებული ჩითებით, აბრეშუმის თავშლებით, საკაბე და საახალუხე დარაით, ფერუდარილით, ჰინა და ბასმით და ათასი ამგვარი წვრილმანებით.

ბაზარს ზედ ეკვროდა დიდი საჯირითო მოედანი, რომლის ერთ ნაპირას ჯაჭვის ხიდის მხარეს ქვით ნაგებ მრგვალ კვარცხლბეკზე ამართულიყო ყავრით გადახურული რვასვეტიანი თალარი. აქედან მეფის შულტები ანუ გზირები სხვადასხვა ბრძანებას უცხადებდნენ საგანგებოდ მოყვანილ მოქალაქეებს, ხოლო საზეიმო დღეებში, ან როდესაც ლაშქარი მოიყრიდა თავს, მეფე და სარდლები აქედან აწყობდნენ ჯარებს რაზმებად და სადროშოებად.

რიონის პირას, თეთრად მოლაპლაპე ქარაფებზე დაშენებულ მაღალ თაღებზე იდგა სოლომონ მეფის დიდებული სასახლე „ოქროს ჩარდახი“. იგი ეკლარის თეთრი ქვით იყო ნაგები, სიგრძით სამოცი ადგილი, ხოლო სიგანით თექვსმეტი. სასახლეს წინაპირზე ჩამწკრივებული ჰქონდა ფერადი მინებით აჭრელებული ოცდახუთკამარიანი ფანჯარა. ყოველ მათგანს შუაში ჩუქურთმებით შემკული დიდი ქვის სვეტი ჰქონდა დატანებული. რიონის მხარეს სასახლეს ამშვენებდა დიდი აივანი, რომელიც ძველ, რომაულ უჭერო დარბაზს წააგავდა, რადგან სამივე მხრივ კედლებით იყო შემოზღუდული, ხოლო იმ მხარეს, საიდანაც ლამაზი მოაჯირი რიონს გადაჰყურებდა, კამარებით შეკრული სვეტები ჰქონდა ჩამწკრივებული.

სასახლის კედლები და ჭერი მოხატული იყო ძვირფასი ფერადი სურათებით, ხოლო ჩუქურთმებით შემკული სატახტო დარბაზის თალიანი გუმბათი მთლიანად მოვყარებული ოქროთი. ღამლამობით, როდესაც დიდ კანდელზე და კედლის შანდლებზე სანთლები აინთებოდა, მოოქრული გუმბათი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.

მაღლობზე გაშენებულ დიდი ქუთაისის მსგავსად, დაბლობის პატარა ქუთაისიც შემოზღუდული იყო ჯერ ღრმა თხრილით და შემდეგ გაღავნით, რომელსაც რამდენიმე ადგილას დატანებული ჰქონდა ძელქვის მაღალი ჯიხური. სასტუმროდ ქცეულ მეფის ქარვასლის კარიბჭეზე კი ამართული იყო ქვის მაღალი კოშკი, რომელზედაც ოთხი ზარბაზანი იდგა. ჯიხურებში და ქარვასლის კოშკში მუდამ იდგნენ მეთოფურები.

მეზავრები თავივე დაემუნენ, გაიარეს რიონის ბალახოვანი ნაპირი და მალე მიადგნენ ქალაქის ბჭეებს, რომელსაც ორივე მხრიდან დარაჯებივით ამოდგომოდნენ მსხვილი ძელებისაგან ნაგები სათოფურებიანი ჯიხურები.

სახლთუხუცესს მეთოფურები გამოეგებნენ, რკინის მოჭვდილი ბჭე გააღეს, ცხენებს სადავეში ხელი მოჰკიდეს და ყველანი მეფის სასახლის ჭიშკრამდე მიაცილეს. იქ მეზავრებს უკვე სასახლის მსახურნი შეეგებნენ.

სახლთუხუცესი აღმაცერად გასცქეროდა ბესიკს, სურდა მისი გამომეტყველებით შეეტყო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე მეფის სასახლის დანახვა. გააკვირვებდა თუ არა მართლაც წარმტაცად ნაგები ეს შენობა, რომელსაც მთლად მოჩუქურთმებული ჰქონდა ქვედა პალატის სვეტები, კამარები, ლავგარდანები და ნაწიბურები, ხოლო წინა აივნები კი ნაქსოვი მაქმანივით მოქარგული. შეიძლება პეტერბურგისა და მოსკოვის სასახლეების შემდეგ ბესიკს მართლაც არ უნდა გააკვირვებოდა რაიმე, მაგრამ ასე ოსტატურად აგებულმა და ბექა ოპიზარის ნაჭველი ხატივით ხვეული ჩუქურთმით შემკულმა შენობის დანახვამ მაინც გააოცა.

ისევე, როგორც პაპუნას სასახლეს, აქაც, ოქროს ჩარდახს გარშემო ერტყა აუარებელი შენობები, იმ განსხვავებით, რომ აქ ყოველი სახლი, ბელელი ან თავლა გაცილებით დიდი იყო. სასახლის ეზოს ევლო მაღალი მესერი, რომელზედაც რამდენიმე ადგილას ჩამოეცვათ ცხენის თავის ქალა და ხარის ან ჯიხვის რქები, ერთ ადგილას კი დაესოთ მწარე ბალის ჟვერო, რომელსაც ტოტები ღონიჯებივით ჰქონდა გადაგრეხილი. შუა ეზოში ამართულ დიდ ჭადარს გარშემო თლილი ქვის ჩამოსაჯდომი ჰქონდა გაკეთებული.

აღარ თოვდა. ისეთი ნისლი იდგა, რომ ძნელად გაარჩევდით, დღის რა დრო უნდა ყოფილიყო. შუადღეს ბევრად არ გადაცილებოდა, მაგრამ კაცი იფიქრებდა, დამდებო. ფარეშებმა დიდი ჭიშკარი გააღეს. შევიდნენ თუ არა ეზოში, ბესიკმა სასახლის აივანზე რამდენიმე მამაკაცი დაინახა. ისინი ჩუმად უცქეროდნენ ახლად მოსულებს. როდესაც ცხენებიდან ჩამოხტნენ, საღუნა მიუახლოვდა ბესიკს და ყურში წასჩურჩულა:

– მესამე, მარჯვნიდან, მეფეა.

– რომელი? – დაიბნა ბესიკი და აივანისკენ ფარულად გაიხედა. უცბად ვეღარ მოისაზრა მარჯვენად თავისი თუ აივანზე მდგომთა მხარი ჩაეთვალა, და სანამ გაარჩევდა, რომელი იყო მეფე, პაპუნამ ანიშნა ბესიკს, მომყვიო. კიბე მკვირცხლად აირბინა, ნაბადი მოიხსნა, შეგებებულ ფარეშს გაუწოდა, შემდეგ ფეხები გადაიჯვარედინა, გულზე ხელები ასევე ჯვარედინად დაიკრიფა და მეფეს თავდახრით მიესალმა.

– სადა ხარ, ყმაწვილო, აქამდე, – მიმართა სოლომონმა პაპუნას, – გადავწყდით ხალხი შენი ლოდინით. ეს ყმაწვილი ვინაა, საიდან მოგიყვანია?

ახლა უკვე ბესიკისათვის ძნელი აღარ იყო გაერჩია, თუ რომელი იყო მეფე და შეეძლო გულდასმით დაეთვალიერებინა თავისი ახალი მფარველი და ბატონი. სოლომონი უფრო ახოვანად წარმოედგინა, მის წინ კი იდგა საშუალოზე ოდნავ მაღალი წვერგაპარსული მამაკაცი, სქელი, გადაგრეხილი უღვაშებით და იმერულად თმაგაჩეხილი. სახის კუნთები ისე ჰქონდა დაკუნძულ დაღარული, რომ ქვისაგან გამოკვეთილს მიუგავდა, ხოლო სქელი წარბების ქვეშიდან თვალთა ისეთი მტკიცე და განმგმირავი გამოხედვა მოჩანდა, რომ ბესიკს მაშინვე გაუელვა გუნებაში, რომ ლეონის გეგმის განხორციელება საეჭვო იქნებოდა.

– მართალია, მეფევ, დანაშაული მიმიძღვის, – მიმართა სახლთუხუცესმა სოლომონს, – მაგრამ, იმედია, არა თუ დამსჯი, კიდევაც დამაჯილდოებ. ნება მიბოძე მეფის ერეკლეს მიერ პატივყარილი და განდევნილი მგოსანი ბესარიონ გაბაშვილი გაახლო.

პაპუნა გვერდზე შებრუნდა და ბესიკი სოლომონს წარუდგინა,

– ეს შენ ხარ, ყმაწვილო, ცნობილი მგოსანი და მომღერალი? ჭეშმარიტად მონარული ვარ, რომ ჩემს ჭერქვეშ გიხილე. შენზე ბევრი რამ კარგი გამიგონია. სხვა? ბატონი ერეკლე როგორ ბრძანდება? დარბაზში შევიდეთ, ბუნართან დავსხდეთ, დაისვენეთ, დალილი იქნებით.

– ნამეტანი დავიდალეთ, – უპასუხა პაპუნამ ბესიკის მაგივრად, – მაგრამ სიცივემ და ცუდმა ამინდმა უფრო შეგვაწუსა.

ყველანი დარბაზში შევიდნენ. კარებთან დიდებულები თავაზიანად უთმობდნენ ერთმანეთს გზას. ბესიკი, როგორც სტუმარი, პირველი მიჰყვა მეფეს. დარბაზში დიდსა და განიერ ბუნარში ცეცხლი გუზგუზებდა, იატაკი მთლიანად მოფენილი იყო ხალიჩებით და ნოსებით. კედლებზე მრავლად ეკიდა იარაღი, ხმლები, თოფები, დამბაჩები, ხანჯლები, მშვილდ-

კაპარტები. ხალიჩით დაფენილი ტახტი სავსე იყო ხავერდისა და სტავრის მუთაქა-ბალიშებით. ერთ კუთხეში იდგა დიდი კედლის საათი, ბუხრის ზედა თაროზე ეწყო სხვადასხვა ზომის წიგნები. დარბაზის დიდი ფანჯრები რიონს გადაჰყურებდნენ.

სოლომონმა ბესიკი ბუხართან მიიწვია და ხის სავარძელზე მიუთითა, თვითონაც ასეთივე სავარძელში ჩაჯდა, დანარჩენები ზოგნი ტახტზე ჩამოსხდნენ, ზოგნი სამფეხა უზურგო სკამებზე. ბესიკს მეფის პირდაპირ დაჯდომა ეუხერხულა და ერთხანს ფეხზე იდგა, სანამ პაპუნამ თვალთ არ ანიშნა, დაჯექიო.

– შენზე ბევრი ქება გამიგია, ყმაწვილო, – უთხრა სოლომონმა ბესიკს. – ამბობენ, სახელოვანი მგოსანიაო.

– აბა რასა ბრძანებთ, თქვენო უმაღლესობავ, ჩემი ლექსები რა სახსენებელია.

– აგრეთვე დიდად განათლებული და მრავალი ენის მცოდნე არისო, მითხრეს, რომ ქერიმხანთან ყოფილხარ.

– გახლდით.

– რუსეთიც მოვივლია.

– იქაც გახლდით.

– მეტი ერთი იმერეთი დაგრჩენია და აჰა, ესეც იხილე, – უთხრა ღიმილით სოლომონმა. – საოცარია, განა რა დანაშაული მიგიძლოდა ისეთი, რომ ერეკლემ ექსორია გიყო. ასეთ განათლებულ ყმაწვილკაცებს რომ ერეკება თავის ქვეყნიდან, ვისლა იტოვებს ახლოს? რისთვის დაგსაჯა?

– ბევრი რამ ჩავიდინე ისეთი, თქვენო უმაღლესობავ, რაც თურმე დანაშაული იყო და ჩემი გულუბრყვილობით კი ჩვეულებრივ კაცთმოყვარეობად მიმაჩნდა. ჟამიანობის დროს მთელი თბილისი რომ აიყარა, ყველა თავგზადაბნეული გარბოდა ქალაქიდან, საპყრობილედანაც კი ილტვოდნენ ტუსაღნი. დმანისს მივდიოდი. გზად ალექსანდრე ამილახვარს წავაწყდი. თურმე, როგორც სამეფო კარის მსახურს და მდივანს, უნდა შემეპყრო იგი. მე კი ეს არ ვიცოდი და მას კოღამდე საკუთარი ცხენიც კი შევთავაზე. ამილახვარი, მახსოვს, მაშინვე მიჩვედა, თან გაველოდი რუსეთს, მაფრთხილებდა, ერეკლე სამსახურს არ დაგიფასებს და სულ ერთია შენც ჩემი ბედი მოგელისო.

– მარტო მაგ იყო, ყმაწვილო, შენი დანაშაული?

იმერულ გამოთქმებს შეუჩვეველ ბესიკს ესამუშებოდა „ყმაწვილოს“ გაგონება, რადგან ქართლში ამ სიტყვას დამაცირებელი მნიშვნელობით ხმარობდნენ.

– სპარსეთს რომ გახლდით, შირაზს ალექსანდრე-ბაქარისძე, ვახტანგის შვილიშვილი, ვნახე. აბა, იმ უცხო ქვეყანაში მოსისხლე მტერიც რომ ნახო ქართველი, მაინც მოეხვევი და მე განა პირადი რა მქონდა მასთან სამტრო, პირველად ვხედავდი. მერე და ის ხომ ერეკლეს ბიძაშვილია, რას ვიფიქრებდი, რომ მასთან შეხვედრას დანაშაულად ჩამითვლიდნენ. ამას ცოტა რამ წვრილმანებიც დაერთო, თანაც, ალბათ, გაიგო ჩემი მშობლის თქვენთან ხლება და წამართვა ყოველივე, რაც მანამდე მიბოძა: თავადობის სიგელი, ჯამაგირი, მამული და...

– არაფერია, ყმაწვილო, დიდებული რუსთაველი ამბობს; „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსნები“. შენ სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან გაიკაფავ გზას. მართალია, თბილისში აღარა ხარ, მაგრამ ისევ საქართველოში ხარ, იმ საქართველოში, სადაც დიდებულმა დავით აღმაშენებელმა ჩვენს ქვეყანას საძირკველი ჩაუყარა.

ბესიკს უკვირდა, რომ სოლომონს ასე უბრალოდ ეჭირა თავი და შინაურულად საუბრობდა მასთან. ჩაცმულობითაც სრულიად არ გამოირჩეოდა თავის დიდებულთაგან და მათსავით რუხი, სრულიად სადა ჩოხა ეცვა. ადრევეც გაგონილი ჰქონდა, რომ სოლომონი იშვიათად იცვამდა ფარჩისა და სტავრის სამეფო ტანსაცმელს, თავის მეფობის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე სულ ორჯერ თუ სამჯერ მორთულიყო ამ სამოსელში. მეფე თავისი კეთილი

საქმიანობით უნდა იმორჩილებდეს ქვეშევრდომებს, უნერგავდეს მათ მოკრძალებას და ხალხიც მეფეს უნდა სცემდეს პატივს და არა მის ოქროქსოვილ ტანსაცმელსო.

ეს სისადავე და თავმდაბლობა, მართალია, სოლომონს ყველას მიმართ ერთნაირად ახასიათებდა, მაგრამ ასევე ერთნაირად უღმობელი და მრისხანე იყო ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა და მოღალატის მიმართ. მან საკუთარი ღელაც კი არ დაინდო და თავისი ქვეყნიდან განდევნა, როდესაც გაიგო, რომ ის უკმაყოფილო თავადებს დაუახლოვდა და შეთქმულების მოწყობას ლამობდა.

– ჭეშმარიტად, ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ბედმა თქვენისთანა ღვაწლმოსილი მეფის მსახური გამხადა. მატინეს ფურცლებზე წარუშლელი ასოებით აღიბეჭდება ის დიდი საქმენი, რაც თქვენს უმაღლესობას ქვეყნისათვის გაუკეთებია.

– ეჰ, არაფერი არ გამიკეთებია, ყმაწვილო, ქვეყანა კი გადავიმტერე.

– თურქების განდევნა, ურჩ თავადთა დამორჩილება და ტყვეთა გაყიდვის აკრძალვა, განა ეს უდიდესი საქმე არ არის?

– ტყვეების გაყიდვის აკრძალვით, მართალია, კარგი საქმე გავაკეთე და თუ მართლა ღირსი ვარ, მთელმა იმერეთმა საუკუნეთა მანძილზე მართო ამისათვის არ უნდა დამივიწყოს, – წყნარად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა სოლომონმა და თან ჩანაკვერცხლებულ ბუხარს მიატკერდა. – ყოველ წელიწადს სამოცი ულამაზესი ქალი უნდა გვეძლია თურქებისათვის, და გარდა ამისა, ასობით და ათასობით ქალ-ვაჟი იყიდებოდა ტყვეებად. მერე ვინ ყიდდნენ? ჩვენვე თავადები და აზნაურები. დაჭირდებოდა რომელიმეს ცოლს აბრეშუმის თავშალი, სტაცებდა თავის გლენს ხელს, გაყიდდა და იმ ფულით ყიდულობდა თავშალს. რამდენი მინახავს ჩემი ბავშვობის დროს ატირებული გოგო-ბიჭები, ხელში თოკჩაბული რომ მიჰყავდათ თათრებს, გული მიღუღდა. სულ იმაზე ვოცნებობდი, ნეტავი მეფე გავხდებოდე და მე ვიცი რასაც ვიზამ-მეთქი. ტახტი კანონით ჩემს უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა და, რომ შევატყვე საღვთო წიგნებს ეტანებოდა, ვუთხარი – შენ კათალიკოსობა უფრო შეგვეყრის და საერო საქმეებს მე მოვუვლი-მეთქი. წარმოიდგინე, დამიჯერა, ბერად აღიკვეცა. თვრამეტი წლის ვიყავი, ტახტზე რომ ავედი. მაშინვე მოვიწვიე საეკლესიო კრება, ამ საქმეში ჩემი ძმა იოსები ძალიან დამეხმარა. დავადგინე ტყვეების გაყიდვის აკრძალვა, თუმცა ჭყონდიდელმაც და რაჭის ეპისკოპოსმაც იუარეს, თავადები აგვიჯანყდებიანო; მართლაც ამიჯანყდნენ. სუყველა მტრად გადამეკიდა (ამათ გარდა, ვისაც აქ ხედავ). რამდენი სიმწარე, რამდენი უბედურება გამოვიარე ვინ მოთვლის! ხან მარჯვნიდან წამომეპარებოდნენ ზურგში დანის ჩასაცემად, ხან მარცხნიდან, მაგრამ ღვთის მაღლით არ ვემღური არც ბედს და არც ჩემს მარჯვენას. სადაც კი მივწვდი, ყველას მივუზღე თავისი.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სოლომონი კვლავ ჩასცქეროდა ბუხარს. შემდეგ უცბად თავი აიღო და მიმოიხედა.

– მამუკა მდივანო!

– აქ გახლავართ, მეფევ-ბატონო!

– დაამზადე სიგელი, ბესარიონ გაბაშვილს ებოდოს ჩვენი სამეფო კარის მდივანმწიგნობრის სახელო, სამოსახლო ქალაქში გორაზე, ოცდახუთი ყმა გლეხი, მიეცეს ულუფა და თეთრი, წელიწადში თორმეტი თუმანი.

– ბევრი არაა, ბატონო? – რაღაც უცნაური ნაწყენი ხმით წასჩურჩულა მამუკამ.

– შენ რასაც გიბრძანებენ, დაწერე, ბევრია თუ ცოტა, ის ჩემი საქმეა, – უთხრა წარბშეკვრით სოლომონმა, შემდეგ წამოდგა ზეზე, პაპუნა გაიხმო და მასთან ერთად მეორე ოთახში გავიდა.

მეჰმანდარმა ბესიკი მეფის სასტუმრო პალატაში წაიყვანა, რომ იქ დაებინავებინა. სასტუმრო სპარსულ ქარვასლას წააგავდა, რომელსაც პატარა, ოთხკუთხი ეზო შიგნით ჰქონდა. ყავრით დახურულ ფარდულებს, რომლებიც პირდაპირ ზღუდეებზე იყვნენ მიშენებულნი, სახურავები ეზოშივე ჰქონდა ჩაქანებული, ამის გამო მთელი ეზო წუმპით იყო სავსე. ოთახებამდე მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ფარდულებს გადახურული აივნები არა ჰქონოდათ. აქაც საკმაო ტალახი იდგა და ფეხი სცურავდა, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო გავლა და საკუთარ ოთახამდე მიღწევა. არც ერთ ოთახს ფანჯარა არა ჰქონდა და სინათლე მხოლოდ ჭუჭრუტანებიდან შედიოდა. საერთოდ საჭირო იყო კარის მუდამ ღიად დატოვება, რადგან თუ ბუნარში ცეცხლი არ ენთო, ისე შეუძლებელი იყო რაიმეს მიგნება. ბუნარიც სულ რამდენიმე ოთახს ჰქონდა, დანარჩენებში შუაცეცხლი ენთო. ხშირად, თუ გაავდარებას აპირებდა, ბოლი სოხანეზე წვებოდა, მაშინ კარი აუცილებლად ღია უნდა გქონოდათ, თორემ დაიხრჩობოდით.

– მარტო ინებებთ დადგომას, თუ ვინმესთან ერთად მოთავსდებით? – ჰკითხა მეჰმანდარმა ბესიკს.

– როგორ ვინმესთან? – გაუკვირდა ბესიკს.

– თქვენ როგორც გნებავთ, ბატონო. ვინმესთან თუ დადგებით, უფრო გაგეძლებინებათ, თორემ მე, მაგალითად, მარტო რომ დამაწვინო ოთახში, მთელი ღამე არ დამეძინება.

– არა უშავს რა, მე დამეძინება.

– წამობრძანდი, შენი ჭირიმე, შენთვის ბუნარიანი ოთახი მაქვს შემონახული.

მათ საუბარზე ერთ-ერთი ოთახიდან ვიღაც წვერგაპარსულმა, უცხვირო მამაკაცმა გამოიხედა, მოსულებს დააკვირდა და მეჰმანდარი რომ იცნო, მხიარულად ჰკითხა:

– ეგ ახალი სტუმარი ვინ მოგყავს?

ბესიკმა მეჰმანდარს გადახედა და თვალებით ჰკითხა, ვინ არის ეგაო.

– ალექსანდრე ამილახვარი გახლავთ, შევიდეთ მასთან, ნამეტანი კარგი კაცია, ბუნართან გავთბებით. მაგასთან ლაპარაკი ერთ რამედ ღირს, – უთხრა მეჰმანდარმა ბესიკს და შემდეგ ალექსანდრეს გასძახა: – თქვენბური კაცი მომყავს, ჩემო ბატონო, ვიცი გაგეხარდებათ.

– ჩვენბური? – გაოცდა ალექსანდრე და ზღურბლზე გადმოაბიჯა, – ერთი შეეხელო მაინცა.

– ბედმა კვლავ გვარგუნა ერთმანეთს შეეხვედროდით, თქვენო ბრწყინვალეზავ, – უთხრა ბესიკმა. მიუახლოვდა და გადაეხვია. – გახსოვთ, თბილისიდან ჟამიანობის დროს ერთად რომ ვიმგზავრეთ...

– შენ? ზაქარია მოძღვრის შვილი? მართალი მითხარი, ერეკლეს დესპანი ხარ, თუ გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება და ლტოლვილთა მარაქას შეუერთდი? აკი გეუბნებოდი, განშორდი-მეთქი ერეკლეს...

– მახსოვს და ახლა ვნანობ, რომ მაშინ არ დავიჯერე, თქვენო ბრწყინვალეზავ...

– მოდი, ოთახში შევიდეთ, აქ ცივა.

სამივენი ოთახში შევიდნენ და ბუნარს მიაშურეს. ბესიკმა ნაბადი მოიხსნა, კუთხეში მიაყულა და მიმოიხედა.

– რაო, არ მოგწონს აქაური სასტუმრო? – გაეცინა ალექსანდრეს. – პეტერბურგისა და მოსკოვის ტრახტირების შემდეგ რაღა უნდა მოგეწონოს.

– ეს როგორი შენობა აუგია სოლომონს, – თქვა ბესიკმა, ბუნრის წინ პატარა სამფხვა სკამზე ჩამოჯდა და ცეცხლს ხელები მიუშვირა, – სატუსაღოს უფრო ჰგავს, ვიდრე სასტუმრო ფუნდუკს.

– სოლომონის აშენებული არაა, შენი ჭირიმე, ეს, – ჩაერია ლაპარაკში მეჰმანდარი. – ეს სახლი, ჩემო ბატონო, ეკუთვნოდა თათარ მუსტაფას, იმან ააშენა და აქ ტყვეებით ვაჭრობდა, სანამ აქ თათრები იყვნენ და ქუთაისის ციხე ეჭირათ.

– როგორ ტყვეებით? – გოცდა ბესიკი.

– როგორ, შენი ჭირიძე, და აქ იდგა ის მუსტაფა და ამ ოთახებში ზოგში საქონელი ეწყო და ზოგი ისე ჰქონდა ცარიელი. ჩვენებურ აზნაურებს ან თავადებს, როცა დაჭირდებოდათ რამეს ყიდვა, თუ ფული არ ჰქონდათ, მოჰყავდათ თავისი ყმების გოგო-ბიჭები და ყიდდნენყე. მუსტაფა მერე იმ ნაყიდ ტყვეებს, სანამ ყველას ერთად დააგროვებდა და სტამბოლში წაიყვანდა, ამ ოთახებში ამწყვდევდა, გოგოებს ცალკე და ბიჭებს ცალკე. რო დოუყრიდა თავს ერთ ორმოცდაათ გოგო-ბიჭს, გამოიყვანდა ყველას, გადააბამდა ერთმანეთს ჯაჭვით, არ გამექცნო, და გარეკავდა ორპირისკენ. იქ ჩასხავდა ყველას კატარღებში, ნავებია, ბატონო, დიდი ნავები, თქვენ განათლებულები ქე ბრძანდებით, მარა შეიძლება არ გენახოთ, ჩასხამდა იმაში და გოუყენებდა გზას. რაც მე ამ ეზოში ტირილი და წივილ-კივილი გამიგონია, ღმერთმა მეორედ ნულარ მომასწროს. მერე, შენი ჭირიძე, როცა ბატონმა ჩვენმა მეფემ ჩვენი ხალხის ტყვეებად გაყიდვა აკრძალა და თათრებს აქ ქუთაისიდან აუკრა გულა-ნაბადი, მუსტაფაც თან მიაყოლა და ეს ქარვასლა, როცა ვარციხიდან აქ გადმობრძანდა, სასტუმროდ აქცია. აქ ვაყენებთ ხოლმე, ვინც კი უცხო ქვეყნიდან მოდის ვინმე. რუსის ჯარი რომ მოვიდა ჩვენში, მათი თავი კაცები, სარდლები იყვნენ თუ მიმბაშები, სულ აქ გვეყენა ყველა.

– ასე რომ ეს ჩვენი სადგომი ჩვენივე ქვეყნის შვილთა ცრემლებით ყოფილა განბანული, – ჩაილაპარაკა ბესიკმა და შემდეგ ალექსანდრეს მიუბრუნდა: – თქვენი ჩამოსვლა მე წერეთელმა მაცნობა.

– მე და ზაქარია ერთად ჩამოვედით რუსეთიდან. დიდის გაჭირვებით მოვალწიეთ აქამდე... – ალექსანდრე უცბად შედგა და მეჭმენდარს მიუბრუნდა: – ეს ახალი სტუმარი ჩემთან დაასადგურე და ბარემ ახლავე შეუდექი თადარიგს. ტახტი და ლოგინი მოატანინე. შემდეგ მზარეულს უბრძანე, სამხარი აქ მოგვართონ, აი ეს რამდენიმე მარჩილი წაიღე და ქალაქში კაცი გაგზავნე, აქ რომ რაჭულ ღვინოსა ჰყიდიან, ის გვიყიდოს. ერთი თქვენებური ღოჭი აავსებინოს.

მეჭმენდარი წავიდა და ალექსანდრე ისევ ბესიკს მიუბრუნდა.

– აბა, ახლა მიაბე შენი თავგადასავალი. რით დაიმსახურე ერეკლესაგან განპატიჟება.

– ეს გრძელი ამბავია, აგრე უცბად ვერ გიამბობთ.

– სოლომონმა როგორ მიგილო?

– არც მოველოდი, ისე დიდებულად. მდივანმწიგნობრად განმაწესა, ადგილ-მამული და ოცდახუთი ყმა გლეხი მიბოძა.

– არც შემცდარა. შენისთანა განსწავლული მდივანი მეორე არც ეყოლება. მდივანთუხუცესმა, შენმა უფროსმა გოგია აბაშიძემ წერა-კითხვა არ იცის.

– როგორ? – გოცებით აღმოხდა ბესიკს. – ეგ რა მიბრძანე!

– ეგ რაა, რუსეთიდან ქვეყნიერების რუკა ჩამოვიტანე, ზედ დავახედე, თავბრუ დაეხვა და ვერაფერი ვერ გაიგო. ვუბნები, ეს შავი ზღვაა, ეს თქვენი მდინარე რიონი, ეს კიდე ქუთაისი-მეთქი. ნუ გადამრიე, შენი ჭირიძე, – იმერული კილოთი გასცინა ალექსანდრემ მდივანთუხუცესს, უცნაურად გადაიბრინჯა და ხელები სასაცილოდ გადაპლარჭა, – ნუ გადამრიე, შენი ჭირიძე, ეს რაფერაა შავი ზღვა და ეს დაკლაკინილი ხაზი რიონიო.

– მაშ, მდივანთუხუცესობა როგორ მიიღო?

– მემკვიდრეობით. მაგის მამა ყოფილა დიდად განსწავლული და მწიგნობარი. მეფეს მისთვის ეს სახელო სამკვიდროდ დაუმტკიცებია, ეგონა, ალბათ, როგორიც მამა, შვილიც ისეთი იქნებოდა, მაგრამ მოტყუვდა. მაგან ტყეში სირბილის მეტი ვერა ისწავლა-რა. ახლა კი მდივანთუხუცესია მეფისა და მთელი სამეფო ქალაქები და მიმოწერა მაგას აბარია. მოდი და ნუ გაგეცინება კაცსა. მაგრამ განა მარტო მდივანთუხუცესი ჰყავს მეფეს უსწავლელი! სარდლებმა ოდნავაც არ იციან ჯარის ახლებურად გაწყობა, ხოლო არტილერია, ბორბლებზე დადგმული, მარტო რუსებთან ნახეს პირველად. დახე, რა უყვია თათრების მძლავრებას.

ოდესღაც უაღრესად განათლებული, განსწავლული იმერლობა მთლად გაუველურებია. არც საკვირველია. ორი თუ სამი საუკუნეა სულ ტყეში უხდებოდათ ცხოვრება, ან წნულ ფაცხებში, ან მიუვალ კლდეებში გამოკვეთილ მღვიმეებში. განა გასაკვირია, რომ წერაც დავიწყნობდათ და კითხვაც?

ალექსანდრემ ბუხრის თაროდან ხელნაწერი ქალაქები ჩამოიღო და ბესიკს გაუწოდა. მან ჩამოართვა ნაწერი ფურცლები, დაიხარა და ბუხრის ალის სინათლეზე სათაური ამოიკითხა:

“ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“.

– აქ ყოველივეს ვწერ, თუ როგორი უნდა იყოს მმართველობა მეფეთა, – განაგრძო ალექსანდრემ, – თავადთა და მთავართა, მხედართა და მთავართა მათათვის, სამღვდელთა წესთათვის, ვაჭართათვის, გლეხთათვის, გინა მიწისმოქმედთა კაცთა, სამოქალაქო სჯულთა დადებისათვის, სწავლისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნებისა... მაგრამ... – შეანელა სიტყვა ალექსანდრემ და ამოიხარა.

ოთახში მეჭმენდარი დაბრუნდა, ფარეშებს ტახტი შემოატანინა და ბესიკისათვის ლოგინის გამართვას შეუდგა.

ბესიკმა ნაწერები ბუხრის თაროზე დააწყო და ალექსანდრეს ღიმილით უთხრა:

– თუ მამანი ვერ გაიგებენ, იქნებ შეილთა მათთა მაინც შეიგნონ.

– სამეგრელოში ვიყავ, დადიანს ვეახლე. აქ სოლომონმა ტყვეთა გაყიდვა აკრძალა, ის იმერთა მეფეს არ მორჩილებს (ერეკლეს წაქეზებით და წყალობით, ცხადია) და ტყვეებით კვლავინდებურად ვაჭრობს. დადის თავის სამფლობელოში, ხან ერთ აზნაურს ან გლეხს მიადგება თავის ამალით, ხან მეორეს გაუნადგურებს ყველაფერს, გაუწყვეტს საქონელს, ხბობს, ძროხებს, ცხვრებს თუ თხებს, შეშად დასწვავს მათ ფაცხებს და როდესაც მთლად აიკლებს ამ უბედურთ კარ-მიდამოს, ახლა სხვა სოფელში მიადგება მოსახლეებს. მე რომ მასთან მივედი, ვხედავ, ფარეშებს მოჰყავთ ერთი ძროხა თავისი ხბოთი და ამ ორ სულ საქონელს ბღავილით და თმების წეწვით მოსდევდა მთელი ოჯახი, ცოლ-ქმარი და მათი ბავშვები, მთლად შიმვლები. გავოცდი, ვიკითხე, აგრე ძალად ამ უბედურთათვის რაიმეს წართმევა როგორ იქნება-მეთქი. მითხრეს, ტყუილად ბღავიან, ბატონო, საფასურს ვაძლევთ, განა მუქთად მიგყვავსო.

– მართლა მისცეს?

– დაკლეს ძროხაც და ხბოც და იმ უბედურებს ტყავი და თავ-ფეხი მიუყარეს, ესაა თქვენნი საფასურით. ხორცი კი აიკიდეს ზურგზე და ბატონს მიართვეს. განა ქართლში შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?! თუმცა ერეკლესაგან გასაკვირიც არ იქნება ასეთი წესი რომ შემოეღო. ალბათ, სულსა ხდის ქართლის გლეხებს და მებატონეებს.

– მაგას ვერ ვიტყვი.

– მაშ, რად გვითვლიდნენ ქართლიდან მოსკოვს მებატონენი, მოდით, გვიშველეთ, ეს ვეშაბი მოგვაშორეთ, გაწამდა ჩვენი სიცოცხლეო. ჩვენ, ამილახორები ხომ მოგვთხარა ძირფესვიანად, ერისთავებმა რაღა დაუშავეს? ფავლენიშვილებმა? ან იქნებ თარხნიშვილებს მიუძღოდათ რაიმე ბრალი, მამაშენმა ზაქარიამ რა დაუშავა, შენ რაღა დაუშავე, მითხარი ერთი, ღვთის გულისათვის. მაგრამ მაგის განკითხვის ჟამი უკვე მოახლოვდა.

– როგორ? – გაცხებით შეანათა თვალები ბესიკმა.

– შენ როგორ ფიქრობ, მოსკოვიდან აქ რისთვის მოვსულვარ? ერეკლე უნდა დავამხო და დავამხო კიდევაც. მაგას ნადირ-შაჰმა ასწავლა მოძმეთა თვისთა უღმობელი სისხლისღვრა. აფთარმა აფთარი გაზარდა, მაგრამ „ვეჭვ ჩემი სისხლი არ შერჩეს, ძალი შემწვედეს ქადილსა“.

მთელი ერთი თვის განმავლობაში სასახლის კარის მსახურთ დიდგვარიან თავადებს და უბრალო, დაბალი თანამდებობის მოხელეებს არ გამოლევიათ სალაპარაკოდ სოლომონის მიერ ბესიკის ასეთი წყალობით მიღება. გაოცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა მოხდა ვითომ, რა ნახა ამ კაცში მეფემ ისეთი, რომ დალაპარაკებაც არ აცალა, მამულები უწყალობა და დიდ თანამდებობაზე დანიშნაო. ზოგი აღშფოთებულიც იყო, ამდენი ხანია მეფეს ვემსახურებით, ბრძოლებშიაც ვხლებივართ, მტრის ტყვიას არ გავქცევით, და ტყუილუბრალოდ, მადლობაც არ გვღირსებია, ეს კი რომელი წითელი კვერცხია, ამდენი ბედნიერება ერთად რომ დაახვავა თავზეო. ყველა გულდასმით უკირკიტებდა და რასაც ბესიკი გააკეთებდა ან იტყოდა, ყველაფერზე გულდაწყვეტით გამოსთქვამდნენ გაოცებას, არაფერს არაჩვეულებრივს არ აკეთებს და არც დიდჭკვიანურ მოსაზრებებს გამოთქვამს, რომ მართლა ღირდეს ამდენ პატივისცემადო.

თავისი საქმეებით გართულ ბესიკს წვრილ მოხელეთა ამ მითქმა-მოთქმისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მისი პირველი საზრუნავი ის იყო, რომ თავისი მშობლები გელათიდან ქუთაისს ჩამოეყვანა საცხოვრებლად. თვითონ, მართალია, ბინა მეფის სასტუმრო შენობაში ჰქონდა ალექსანდრე ამილახვართან, მაგრამ იქ მუდმივად ვერ იცხოვრებდა და ვერც თავისი მამის ოჯახს ჩაისახლებდა. ამიტომ საჭირო იყო საკუთარი სახლის აგებაზე ეზრუნა, ხოლო მანამდე სადმე ბინა ქირით უნდა ეშოვნა. მალე მას სადუნამ ქალაქში გორაზე, ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან აღმოუჩინა ერთი სახლი, რომელიც ხელთუფლიშვილის ქვრივს ეკუთვნოდა. სახლს ჰქონდა ორი კარი, და არც ერთი ფანჯარა. ის პირდაპირ სოხანეზე იდგა. ბუხრის ნაცვლად კერია ჰქონდა გამართული. მთელი სახლის ავეჯს კედელს ჩაყოლებული ფიცრის ტახტი და ორი სამფეხა სკამი შეადგენდა.

– თვითონ სადღა იცხოვრებს? – გაკვირვებით იკითხა ბესიკმა, როდესაც სახლი დაათვალიერა. – კიდევ აქვს სახლი?

– არა, ბატონო, – უპასუხა სადუნას მაგივრად ქვრივმა, – ერთად უნდა ვიყოთ. მე აგერ აქნა დავიგებ ხოლმე სოხანეზე. ჭილოფი მაქვს. თქვენ, ბატონო, ამ ტახტზე მოისვენებთ. რამდენი ხართ, ოცზე მეტი ხომ არ იქნებით ოჯახში? ამ ტახტზე ოცდაათზე მეტი ეტევა და თავბოლო შექცევით თუ გინდა ასიც ქე დაწყება. თქვენისთანა დიდკაცს კი არ ეკადრება ასე უბრალოდ მოსვენება, მაგრამ აქ მთელი ქალაქი ასე ცხოვრობს, შენი ჭირიმე, სულ პირველი თავადები რომ არიან, ამნაირი სახლები აქვენ და ქე არიან.

– ამას მართალს მოგახსენებთ, – უთხრა სადუნამ ბესიკს, – იატაკზე დადგმული ოდა აქ მარტო მეფეს აქვს, სახლთუხუცესს და კიდევ მდივანებზე პაატა აბაშიძეს, დანარჩენებს სულ ამისთანა ძელური სახლები უდგათ, გინდა თავადი იყოს, გინდა გლეხი.

– წავიდეთ, იქნებ უკეთესი სადგომი ვიშოვოთ, – უთხრა ბესიკმა სადუნას. – ნუთუ ამაზე კარგი ბინა ვერ უნდა ვნახოთ?

ორთავემ დაიარეს ქალაქის ატალახებული რამდენიმე ვიწრო ქუჩა. ისლითდახურული პატარა სახლები საბრალოდ ეკვროდნენ ერთმანეთს. სამჭედლოებს, სახელოსნოებს და ღუქნებს ერთნაირი, მალა ასაწევი დარაბები ჰქონდათ, რომლებისთვისაც ჯოხები შეეყუდებინათ, რათა ღუქანთან მიმდგარ მუშტარს დარში თუ ავდარში თავი შეეფარებინა. ბესიკს ეგონა, რომ თბილისისდარად ქუჩები აქაც იქნებოდა რიგებად დაჯგუფებული, ხარაზების რიგი ცალკე, თერძები ცალკე, მჭედლები ცალკე, სირაჯები და ყასბები ცალკე, მაგრამ აქ არათუ რიგებად, ზოგიერთი სახის ღუქანი ან სახელოსნო სულაც არ მოიპოვებოდა. მთელ ქალაქს სულ ერთი საყასბო ჰქონდა, ისიც ქვემოთ ჯაჭვის ხიდთან.

იძულებულნი გახდნენ ისევ ქვრივ დედაკაცს მორიგებოდნენ და მეორე დღეს ბესიკი სადუნას თანხლებით დილითვე გაემგზავრა გელათს მშობლების ჩამოსაყვანად.

მარტის არეული ამინდი იდგა. ხან წყალთოვლს წამოუმენდა, ხან კი უცბად დააცხუნებდა, ისე რომ მიწას ორთქლი ადიოდა. ქუთაისიდან გელათამდე ორ-ნახევარი ეჯი თუ იქნებოდა,

ასე რომ ერთი საათის შემდეგ მათ უკვე გადაიარეს ქვიტკირის თალიანი ხიდი წყალწითელაზე, სწრაფად ავლეს აღმართი და მონასტრის გალავნის ბჭეს მიაღწენ. აქ ორთავენი ცხენებიდან ჩამოხტნენ, რადგან გელათის ლავრის ეზოში მხოლოდ ქვეითი კაცის შესვლა იყო ნებადართული, და რკინის კარზე დაარახუნეს.

– ეს კარი ჩვენს დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს დარუბანდიდან ჩამოუტანია, – უთხრა ბესიკმა სადუნას.

– რას მეუბნები? – გადაიქნია თავი სადუნამ. მას წარმოდგენა არ ჰქონდა არც დარუბანდზე და არც დავით აღმაშენებელზე. – რითი ჩამოიტანა ნეტავი ამხელა კარი, რა ურემზე დაეტი, იქ გააკეთებია, თუ რატომ დაჭირდა იქიდან ჩამოტანა?

სადუნას უვიცობამ ბესიკს გული ატკინა. ის ალღევებული მოელოდა ამ რკინის ბჭეების გაღებას და გალავნის კოშკის გაკლას, რადგან იცოდა, რომ აქ, ამ კოშკში, ეზოში შესასვლელი კარის ზღურბლთან დასაფლავებული იყო ქართველთა მეფეთმეფე დავით აღმაშენებელი. მეფემ თვითონ ისურვა, რომ სიკვდილის შემდეგ მონასტრის ზღურბლთან დაემარხათ და კარიც ისე ვიწროდ გაეკეთებინათ, რომ მონასტერში სალოცავად მოსულ ყოველ მლოცველს გვერდი ვერ შეევიდოდა და აუცილებლად მისთვის გულზე ფენი დაედგა. მას შემდეგ აგერ შეიდას წელს გაევიდოდა, ათეული ათასობით მოდიოდნენ აქ ქართველნი, მდაბიონი და მეფენი, აბიჯებდნენ ფენს გულზე, ამ დიდებულ ტაძრის აღმაშენებელს, ოდესღაც უძლიერეს მეფეს, რომელსაც თითქოს უნდოდა ეთქვა ხალხისათვის, რომ არ იღვწოდა პირადი განდიდებისათვის და ამისათვის გაუგო მათ ფეხქვეშ სათელად ნეშტი თვისი.

თხელწვერა მორჩილმა რკინის კარი ხრაგუნით გააღო და ბესიკმა, ბნელი გვირაბისმაგვარ თალიან სენაკში შეაბიჯა. მოპირდაპირე მხარეს მოჩანდა ეზოში შესასვლელი კამარიანი ვიწრო კარი. სანამ ეზოში გავიდოდნენ, ბესიკი უნებლიეთ შეჩერდა და დავითის საფლავის ქვას დააქკერდა. უამრავი ფენის დადგმისაგან ქვა ისე იყო გაცვეთილი, რომ შუაგულში ერთ მტკაველზე ჩარღმავებულიყო. თავის დროზე ოსტატებს, ეტყობოდა, ეს გაეთვალისწინებიათ და ლოდზე წარწერები ისე ღრმად ამოეჭრათ, რომ ასეთი უწყალო გაცვეთის მიუხედავად, იგი მაინც იკითხებოდა:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ ესე მთნავს, ამას დავემკვიდრო მე“.

ბესიკმა სწრაფად დაიხოქა და საფლავის ქვას ემთხვია. სადუნამ გაკვირვებით შეხედა თავის თანამგზავს, ის ბევრჯერ ყოფილა გელათში და აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ქვისათვის არათუ ეამბოროა, ზედ ტყუილუბრალოდ დაეხედა. უნებურად დააპირა ბესიკისათვის მიებაძა, კიდევაც გადაიწერა პირჯვარი, მაგრამ როდესაც გაახსენდა, რამდენ ფენშიშველ ქალსა და კაცს გადაევიდა ამ ქვაზე, გადაიფიქრა.

მოხუცი ზაქარია კინაღამ გაგიჟდა, როდესაც თავისი დაკარგული შვილი იხილა და გულში ჩაიკრა. მთელ ოჯახს სიხარულის დღე გაუთენდა და დიდი და პატარა ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ბესიკს, რომ მოხვეოდნენ და ეკოცნათ.

ზაქარია ტაძრის ეზოში ცხოვრობდა, კათალიკოსის სენაკების გვერდით, პატარა სახლში. მთელ ოჯახს საოცარი სიღარიბე ემჩნეოდა, ბესიკის უფროსი ძმა იოანე, მართალია, უკვე მღვდლად კურთხეულიყო, მაგრამ ჯერ არსად არ იყო განწესებული და არც არავითარი შემოსავალი ჰქონდა, რომ არათუ მამის ოჯახისათვის, არამედ თავისი ცოლ-შვილისათვის მოეკლო. მეორე ძმა ოსე წინამძღვართან მსახურებდა გადამწერად, მაგრამ არავითარ ხელფასს არ ღებულობდა, მთელი ოჯახის შემნახველი კათალიკოსი იოსები იყო, რომელიც ყოველდღე უგზავნიდა ზაქარიას მრავალრიცხოვან ოჯახს საზრდოს, ლობიოს და სიმინდის ფქვილს.

გაოგნებული ბესიკი ხმამაღულდებლად ათვალიერებდა თავისიანებს.

– რა იყო, შვილო? – მოიწმინდა ცრემლები ზაქარიამ, – გიკვირს განა ჩვენი სიღარიბე? არა! სამეფო კარის ხუცესს, სახელთა და დიდებით შემოსილ ზაქარიას ოჯახს ეს არ

ეკადრება, მაგრამ რას იზამ! ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. შენ რაღას გერჩოდა ერეკლე... მაგრამ ბედს რას ვემდური, კიდეც კარგი, ცოცხალს რომ გხედავ.

– არა, მამა, მე თქვენი სიღარიბე არ მაკვირვებს, ამ ჩემს დებსა და ძმებს რომ ვუცქერ, თვალებს ველარ ვუჯერებ. ნუთუ ეს ჩემი პაწაწკინა და მელანოა? – დახედა ბესიკმა ჩახვეულ დას, რომელსაც თვალები დაწითლებოდა ტირილით.

– პაწაწკინა კი არა, შემომბერდა შვილი ხელში, აგერ ოცი წლის ქალია და ვერ გამოითხოვებია. უმზითვოდ არავის მიჰყავს და...

– კარგია ერთი, – შეუტია მამას მელანომ, – ვერ გაგითხოვებია, თორემ... ძალიანაც არ მინდა შენი „გათხოვება“. დედაჩემმა რაც ნახა, ის ღმერთმა ნუ მაჩვენოს...

– გათავდა თქვენი სიმწარე, – უთხრა ღიმილით ბესიკმა თავის დას და შემდეგ დედას მიუბრუნდა, რომელსაც ცრემლები ისევ ჩამოუბროდა დამტკნარ ღაწვებზე, – გათავდა, დედი, ღმერთი მოწყალეა. ახლა მთელი ოჯახი კვლავ ერთად ვიქნებით და დღესვე უნდა წავიყვანოთ ყველანი ქუთაისს.

ამ ამბავმა სიხარულის ახალი ალიაქოთი გამოიწვია. მაშინვე შეუდგნენ წასასვლელად სამზადისს და ვინაიდან ბარგი ბევრი არაფერი გააჩნდათ, სანამ ბესიკის კათალიკოსს ეახლებოდა და ტაძარსაც დაათვალიერებდა, ყველანი უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად.

კათალიკოსი იოსები საკმაოდ მოზრდილ სენაკში ცხოვრობდა. ბესიკს გაგონილი ჰქონდა, თითქო მას შემდეგ, რაც სოლომონმა იოსების წინაშე ბარძიძე დადებული ფიცი გატეხა და როსტომ რაჭის ერისთავს თვალები დათხარა, იოსებს ვითომ საკუთარი ღირსება თვითონვე აეხადოს და გამოქვაბულში დაყუდებულიყოს. ერთხანს მთელ თბილისს სალაპარაკოდ ჰქონდა იმერეთის კათალიკოსის ეს თავდადებული საქციელი, და მის მიერ დადებული აღთქმა, – მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უბრად ყოფილიყო და ძეხორციელისათვის ხმა აღარ გაეცა.

ბესიკს ახლაც ეგონა, თავქვედამხობილ ბერს ვიხილავო. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა, კათალიკოსი მეტად მხიარულ გუნებაზე დაუხვდა და საუბარში ისეთი ხუმრობაც ჩაურთო, რაც საერო კაცისთვისაც მეტად მწუთხედ ჩაითვლებოდა.

– ესაა, ხუცესო, შენი ნაქები ვაჟი? – მიუბრუნდა ზაქარიას იოსები, – ამას თვალებში ვატყობ, ქალების მუსუსი იქნება. წმიდა არს, წმიდა არს... როგორ მოგწონს ჩვენი გელათი, ამ მამაშენს გაფიცებ, ხომ სჯობია სვეტიცხოველს...

– დიდებული ტაძარი ყოფილა, თქვენო უწმინდესობავ... მართალია, სვეტიცხოველის და ალავერდის ტაძრისოდენა ვერ არის, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი დიდი ლოდებით ნაგები შენობა მე არც საქართველოს სხვა კუთხეში მინახავს, არც რუსეთში და არც ირანში, ჭეშმარიტად, განსაკვიფრებელი რამ არის.

– შენ შიგნით თუ ნახე, საკურთხეველის აბსიდა, სოფიის კენჭით შემკული.

– საროთი?

– დიახ, დიახ, საროთი! გცოდნია.

– ფრანგნი მას მოზაიკას უხმობენ.

– ლუკა მახარებლის დახატული ხახულის ღვთისმშობლის ხატი არ გინახავს? თამარ მეფის ხელით მოქარგული შესამოსელი?

იოსები თვითონ გაჰყვა ბესიკს, გააღებინა ძველებური მძიმე ბოქლომებით დაკეტილი ტაძრის ორმაგი კარი და მონასტრის სამწყსოს თანხლებით შეუძღვა სტუმარს მღუმარე ტაძარში.

დიოდა სანთელ-საკმეველის სუნი.

მთლიანად მოხატულ კედლებიდან და მალლა ატყორცნილ ოთხკუთხა ქვის სვეტებიდან, რომელთაც ტაძრის გუმბათი თითქოს ცაზე მიბეჯინათ, იცქირებოდნენ წმინდანთა, მთავართა და მეფეთა მრისხანე სახეები.

მდიდრულად შემკულ კანკელზე ბრწყინავდნენ ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროსა და ვერცხლის ხატები.

მთლიანი ვაზისაგან საოცარი ხელოვნებით გამოჩუქურთმებულ აღსავლის კარის მარცხნივ, საგანგებოდ გამართულ მაღალი და ოდნავ ჩაბნელებული ნიშიდან, რიურაჟზე აციმციმებული ასპიროზივით ანათებდა ხახულის ხატის კვერცხისოდენა აღმასი.

იოსებმა თავიდან ბოლომდე დაათვალიერებინა ტაძარი ბესიკს. გახსნა საიდუმლო საგანძური, სადაც ინახებოდა თამარ მეფის ხელით ნაკერი მოთვალმარგალიტებული ომფორნი და სტიხარნი, ნაქარგი ოქროქსოვილი საეკლესიო სამოსელი, საქართველოს მეფეთა და დედოფალთა მიერ შეწირული მარგალიტის ყელსაბმელები, საფირონისა და ზურმუხტის ჯილები, ლალის და აღმასის ბეჭდები, კაკლის ნაჭუჭვივით ჩაზნექილი ბიზანტიური ოქროს ფულები, ვერცხლის ტანწერწეტა სურები და საწდენი, დიდი, ორი ადლის სიმაღლე ვარძიის ოქროს ჯვარი, შემკული ლალითა და ზურმუხტებით, ბეჟა ოპიზარის ნაჭედი ოქროსა და ვერცხლისყდიანი ოთხთავნი, დავითნი, მეტაფრასნი დაუჯდომელნი, გულანნი, სამოციქულონი და სხვა წმიდა საკითხავი წიგნები.

იოსებს სურდა მთელი საქართველოს წარსული სიდიადე უცბად გადაეშალა ბესიკის თვალწინ. ყოველივე ნივთის ჩვენების დროს თვალეში უცქეროდა, უნდოდა გაეგო თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა სამეფო კარზე აღზრდილ ქართლიდან გადმოხვეწილ ჭაბუკზე ეს იშვიათი ხელოვნებით და დიდი ოსტატობით ნაჭედი ნივთები.

– საოცარია, როგორ გადაურჩა მტრის ამდენ შემოსევას ეს იშვიათი ტაძარი? – აღმოხდა ბესიკს.

– ამ ტაძარს მტკიცე გალავანი აქვს და ზღუდის ბჭეს ჰკიდია დარუბანდიდან დავით აღმაშენებლის მოტანილი კარი, – უთხრა იოსებმა, – დავით ნარინის მეფობის ხანაში ეს საგანძური მტერთა შემოსევის დროს ხვამლის ქვაბში მიჰქონდათ და იქ მაღავდნენ თურმე. ახლა იქ ამსვლელი აღარავინ არის, სამასი ადლის სიმაღლე კედელია აღმართული და მის შუაგულს არის ქვაბი, რომლის პირს აღმოშენებულია კედელი სარკმლით და კარიით. ამბობენ, რომ ერთი გვარის კაცნი ყოფილან მექვენაში, რომლებიც ადიოდნენ თურმე იმ კლდეზე, მაგრამ შემდეგ გადაშენებულან. ახლა, მადლობა უფალს, ჩემი ძმის ღვაწლით, თურქნი სრულიად განვდევნეთ ჩვენის ქვეყნიდან და ამ საგანძურს უსჯულონი ვერ განსდარცვავენ. ქართველთა მეფეთა საუკუნო სავანეს ბილწი ურუმი ფენს ველარ დაადგამს. დავით აღმაშენებლის საფლავი ხომ ნახე კარიბჭის ზღურბლთან? წამოდი, გიჩვენო თამარის მამის გიორგის, თამარის შვილების: ლაშას და რუსუდანის, დავით ნარინისა და სხვა ქართველ მეფეთა საფლავები.

– თამარიც ხომ აქ არის? – ჰკითხა ბესიკმა.

– თამარის საფლავს ვერ გაჩვენებ. ეს არს საიდუმლო ბაგრატიონთა გვარისა.

იოსებმა ტაძრის მთელ რიგ ქვებზე მიუთითა, რომელთა ნაწერები სრულიად წაშლილიყო და აუხსნა, თუ ვინ სად იყო დამარხული. შემდეგ ეზოში გაიყვანა და იქ უჩვენა მეთერთმეტე საუკუნის ობსერვატორიის კარგად დაცული ნაშთები, მზის საათი, კვადრანტი ანუ მენაკი და დიდ ლოდზე ამოკვეთილი ზოდიაქოს ნიშნები.

ნაშუადღევს, ამდენი სანახაობით გაბრუებული ბესიკი გამოეთხოვა კათალიკოსს და მთელი თავისი ოჯახით ქუთაისს გაემართა.

* * *

– ხვალ საჩხერეში მივდივარ, ბატონო, და ხომ არაფერს დამაბარებ?

ბესიკმა გოცებით ახედა საღუნას. ღამით აღდგომის წირვისა და გარდამოხსნის ჩატარების შემდეგ, ხოტბით უნდა მიემართა მეფისთვის და სამდივნო პალატაში სანთლის შუქზე წერდა

მიმართვას. ამიტომ ის დაცქეროდა ქალაღს და როღესაც აიხეღა, საღუნას კითხვა სანამ არ გააღეორებინა, ვერ გაიღო.

– რაო, რა თქვი?

– საჩხერეში მიღღივარ ხვალ. მღვიმეღე გავიღლი და ხომ არაღფერს ღამაბარებო.

ახღა მოაღონღა წარმტაცი მონაზონი და გული ტკბიღად ატკივღა.

საღუნას ეშმაკურად უღიმოღა სახე.

– იმას რომ შენი წერიღლი ღაანახვა, ღღღა, რავა ამოხღღება სული საბრალღო. ერთი პატარა ლექსს ვერ ღამიწერ?

– საღუნავ, შენ რომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი არ შეგიღღღია, ეგ სახელი რად ღაღარქვეს? საღუნი, ხომ იცი რას ნიშნავს?

– ვიცი, ბატონო, საღუნი მრავალ ენაზე მოღაპარაკე კაცს ნიშნავს. სახუცს ახღღა ჩვენში ერთი კაცი, ქვეყანა მოვღიღლი ჰქონღა და საღაც კი ყოფიღა, ყვეღა ენა შეესწავღა. ჰოღა, ღღღაჩემს ხშირად ესმოღა: საღუნი აქ იყო, საღუნს გკითხოო, საღუნმა გვირჩიღა, საღუნა გვიშვეღღის... იმ უბღღურს სახელი ეგონა თურმე ღა იფიქრა, მოღი ამ ჩემს შვიღღს ამისთანა სახეღოვანი კაცის სახეღს ღაღარქმევეო. კიღვე კარგი, სხვა უხამსი რამე რომ არ ღამარქვა. საღუნი თქვენ უნღა გერქვაო, ქვეყნის ენაზე გცოღღღიათ წიგნიც ღა ლაპარაკიც. გამატან წერიღღს?

– რა ვიცი. ღღღს განა? მალე სპარსეთს მივღღივარ...

– ღმერთმა მშვიღღობით მოგარონიღოს, შენი ჭირიღმე, ნამეტანი შორ გზას ამბობენ.

– ძალიან შორსაა, ჩემო საღუნა. წეღს ვეღარ მოვასწრებ, ალბათ, ღაბრუნებას.

– ჰო, ჰო, ჰო, რამსიშორეს ყოფიღა. იმას იქით არის კიღვე ქვეყანა?

– როგორ არა, იმას იქით ინღღეთიღა, კიღვე იქით ჩინეთი, მერე ღღღი ღა თვალუწვეღღენელი ზღვა, ოკეანეს უხმობენ, მერე არს ქვეყანა ამერიკად წოღღებული...

– ღღღა, ღღღა რამხეღა ყოფიღა ეს ღღღამიწა! კი მარა ბოღღო აქვს ამ ჩვენს მიწას? რო იაროს ღა იაროს კაცმა, მთელ მის სიცოცხღეს, ქვეყნის ნაპირს არ მიადღება?

– მივა, იქ, საიღანაც წავიღა.

– ი?

– ღღღამიწა ბურთივით მრგვაღია.

– კაი ერთი, შენი ჭირიღმე! – ჩაიციღა საღუნამ, – მართალიღა, უსწავღღელი ქე ვარ, მარა მთღად კი ნუ გამასუღღეღებ. შენთვის არაღფერი მიწყენინებია ღა რაზე მაკადრებ ახღა მაგისთანა შეურაცხყოფას. ნასწავღლი რომ ბრძანღები, ახღა შენ გგონიღა, მართღა ყვეღაღფერს ღაღიჯერებ?

– გეუბნები, მრგვაღია-მეთქი ღა თანაც ბრუნავს.

– ფხხ... – წასკღა სიციღლი საღუნას. – ეგ კი ნამეტანიღა, შენი ჭირიღმე. ბატონ პაპუნას უნღა ვუთხრა ერთი. ღღღა, რას იციღებს, ა? ბრუნავს, ჰა? საითკენ ბრუნავს, მარცხნიღდან მარჯვენივ თუ ზევიღდან ქვევით. ღღღა, ეს რა გავიგონე...

საღუნა კარგა ხანს ხითხითებღა, მუხღღებზე ხეღღებს იცემღა ღა თვალღებზე მომღღარ ცრემღღებს იწმენღღა. ისე გულწრფეღად იციღოღა, რომ მისმა ასეთმა მხიარუღღებამ ბესიკსაც კი მოჰგვარა ღღღიღი. ერთხანს მოისურვა აესნა საღუნასათვის, თუ რას წარმოადღენღა ღღღამიწა ღა როგორ ბრუნავღა იგი მზის გარშემო, მაგრამ ღარწმუნღა, რომ ამით უფრო გაღარეღღა თავისთან შეღაზღანღარებულ ამ უგუნურ მსახურს ღა ისე თავის ქალაღღს ღაუბრუნღა.

საღუნამ კი „ვიღოჰ“-ის ამოძახიღღით მოითავა სიციღლი ღა, ეს რა კარგი საღაპარაკო ვიშოვეო, გაიფიქრა ღა მაშინვე გარეთ გავარღა. ეზოში კუწუწა აბაშიღეს წააწყღა ღა იმ წუთშივე მიახღაღა:

– ეს რა მითხრა, კაცო, ჰა?

- ვინ? – კუწუწამ უღვაშები შეაცმაცუნა.
- ბესრიონ მდივანმა.
- ხელთუფლიშვილმა?
- არა, გაბაშვილმა. დედამიწა ბრუნავსო.
- რეიო?
- ბრუნავსო. მრგვალია და ბრუნავსო.

- მაგისთვის მართლა ქე ბრუნავს. ბედი და ილბალი ფეხებში მოურბის. გადმოეთრია ქართლიდან და ეს ჩვენი მეფე და სახლთუხუცესი თან ჰყვებიან. წიგნი და წერა იცისო. რა მოხდა მერე! მაგის მეტმა არავინ იცის წერა კითხვა? დეიბარა მეფემ, რაც პირველი თავადები არიან მთელ ამ იმერეთში, უნდა ვითათბიროთო, ჩვენ, ეს პირველი აზნაურები, სასახლის კიბეს არ მიგვაკარეს, საიდუმლო არ გაგვიძხილეს. ათი დღე თათბირობდნენ და ეს ბესიკია თუ ვიდაცა კვინტრიშა, სულ მეფეს უჯდა თურმე გვერდით.

- ჩემო კუწუწა, მაგან, შენი ჭირიძე, თათრულად, რუსულად, კიდევ რაცხაულად წყალივით იცის თურმე წერა-კითხვა, დედამიწის ზურგზე ხელმწიფე არაა, მაგან რომ წერილი ვერ მიწეროს. აღარ გახსოვს რუს ხელმწიფესთან რო წერილის მიწერა უნდოდათ და გადაყვან იმისთანა კაცის ძებნას, ქართულად დაწერილი წერილი რო რუსულად გადაეღო? მაგ კაცი, ჩემო ძმაო, მალე ყვინთან მიდის თურმე, სულ მალე. აბა რავა გგონია შენ!

- ყვინთან კი არა ის არ გინდა!
- რო წავა, არც მაშინ დაიჯერებ?
- ნურც მობრუნებულა მის დღეში. რა საქმეზეო ნეტავი?
- მაგ რო ვიცოდე, რა მიჭირს.

კუწუწამ დამფრთხალი მელიასავით მიმოიხედა, უღვაშები უფრო შეაცმაცუნა და სადუნას ჩურჩულით უთხრა:

- შენ თუ მაგას გამიგებ... რა გინდა, მთხოვე.
- რაფერ? მე ვინ მეტყვის.

- ჰკითხე. შენ ნამეტანი უყვარხარ. ჩემთან დალაპარაკებას არ კადრულობს, შენთან ძმასავით არი. რა აჭამე მისთანა, ჯადო გაქვს, ალბათ. ჰკითხე და გეტყვის. შენ რაზე დაგოფიცავს. თუ მაგას გამიგებ, შენ რომ ჩემს თათრულ ხანჯალზე თვალი გრჩებოდა...

- მართალს მეუბნები? არ გადათქვა მაგ სიტყვა. მაგას რავა ვერ გავიგებ, – მიახალა სადუნამ, თან გუნებაში გაიფიქრა: „თუ ვერ გავიგებ, მოვიგონებ რამეს, თორემ მაშინვე არ მიმიხვდე, სწორს გეტყვი თუ ტყუილს“.

ალბათ გამოძეტყველებამ გასცა, რადგან კუწუწა მიუხვდა.

- იცოდე, თუ სწორი არ გითქვამს, ხანჯალს გაჩუქებ კი არა, გვერდებში გავიყრი.

- სწორს, რავა, რასაც გავიგებ, იმას გეტყვი. შენ ახლავე მიტეხ პირს? არა, ძმაო, შენი არც ხანჯალი მინდა, არც ხმალი. თავი დამანებე. თუ რამეს გავება გინდა, შენ თითონ გაიგე.

სადუნა მაშინვე გაშორდა მოსაუბრეს და თან გუნებაში ცდილობდა გარკვეულიყო, რისთვის ან ვისთვის ცდილობდა ასე კუწუწა, გაეგო ბესიკის სპარსეთში წასვლის მიზეზი. ცხადია, სახლთუხუცესისთვის არა, რადგან მან ისედაც კარგად იცოდა, ალბათ, რა საქმისთვის გზაენდნენ ამ ახლადშეფარებულ მდივანს ყაენთან. მაშ ვისთვის? ცხადი იყო, რომ კუწუწა რომელიღაც მებატონეს ერთგულობდა და მისი მსტოვარი იყო.

სადუნამ სათითაოდ ჩამოთვალა თითებზე სოლომონ მეფის საიდუმლო შეკრების მონაწილენი და შეეცადა მოეგონებინა, თუ ვინ უნდა დასწრებოდა საერთოდ თავისი მდგომარეობის ან თანამდებობის მიხედვით ამ თათბირს და არ იყო მოწვეული.

ამ ფიქრებში გართული ისევ შებრუნდა სამდივნოში და ბესიკს გვერდით აეტუზა.

- ნეტა გამაგებია, რას წერ, ბატონო, ამდენს. აღდგომის ღამეა, სადაცაა წირვა დაიწყება, დიდი და პატარა ეკლესიაში წასასვლელად ემზადება. ჰო, ჰო, რა სუფრა იშლება სასახლეში.

თონეში რომ ჩაგახელა გაგიჟდები, შამფურზე წამოგებული დაბრაწული გოჭები და ბატკნები ერთმანეთზეა მიწყობილი, მარა, რაი, ნაშუალამეკამდე ხელს ვერ წააკარებ ზედ...

– ჰოდა მეც იმისათვის არა ვჩქარობ, – უთხრა ღიმილით ბესიკმა, წერა დაამთავრა და ნაწერი გრაგნილად დაახვია.

– ერთი რამე მინდა გკითხო, ბატონო, თუ შეიძლება...

– რად მეკითხები? ჩემი სულ ერთია არ გჯერა!

– დავიჯერებ, ქვეყანა ბრუნავსო კი არა, რომ მითხრა, იქცევაო, იმას დავიჯერებ, ოღონდ მითხარი, რა საქმეზე მიდიხარ ყაენთან?

ბესიკმა გაკვირვებით შეხედა მოსაუბრეს და წარბები შეიკრა. სადუნა დაიბნა და მობოდიშებით წაიდუღუნა:

– სხვანაირად არ იფიქრო, მე მოგიკვდე, თუ ან ენის მიტანას ვაპირებლე ან რამეს, ისე მინდა ვიცოდე...

– ძალიან გინდა იცოდე?

– არა, თუ შეიძლება, თვარა...

– კარგი, თუ აგრე ძალიან გსურს გაგება, სარდალ სახლთუხუცესს გამოვთხოვ შენს თავს და ჩემთან გაიხლებ, წამოხვალ სპარსეთში?...

– ღმერთო, შენ მიშველე, – აღმოხდა სადუნას. პირჯვარი გადაიწერა და ბესიკს დაფეთებულივით ჰკითხა, – მართალს მეუბნები?

– რაო, შეგეშინდა?

– შიში რა ბრძანებაა, ბატონო, მე ვინ მაღირსებს სპარსეთის ნახვას.

– მგ ზავრობის არ გეშინია?

– თქვენთან, შენი ჭირიმე, სად უნდა წაბრძანდე, რომ ვერ შევძლო სიარული...

– მაშ, გადაწყვეტილია, მხოლოდ იცოდე სიტყვა არავისთან დაგცდეს.

– ეს რა აღდგომა გამითენდა. მართლა ბრუნავს, მგონია ეს ქვეყანა. დედა, რავა დამწარდა ამალამდელი პურ-მარილი, სიხარულით ლუკმას ველარ ჩავიკარებ პირში, აღარც სმა მინდა, აღარც ჭამა.

* * *

წირვის დაწყებამდე ქუთაისს მოულოდნელად ჩამოვიდა მეფის ძმა არჩილი თავისი მეუღლით.

არჩილს ცოლად ერეკლე მეორის ქალიშვილი ელენე ჰყავდა და მუდმივად სოფელ ღვანკითში ცხოვრობდა. სასახლის კარზე ცოლიც და ქმარიც იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოლომონმა ცოლად ქაჯაიას ნაქვრივალი უბრალო აზნაურის ქალი შეირთო და გაადელოფლა. სამეფო გვარის შთამომავალს და დიდებული მეფის ქალიშვილს ელენეს არა თუ ეთაკილებოდა, არამედ შეურაცხყოფად მიაჩნდა ფაცხაში ნაგდებ და აზნაურის გვერდით ნაწოლი ქაჯაიას ქალისთვის დელოფალი ეწოდებინა და მას გვერდით როგორც უბრალო სეფექალი მოდგომოდა. ამიტომ არც ქორწილს დასწრებია და აგერ მას შემდეგ თითქმის ათი წელიწადი იყო გასული, სოლომონის კარზე, არც ქუთაისში, არც ვარციხეში და არც სკანდეში ფეხი არ დაუდგამს. მან მხოლოდ მსტოვრები გაიჩინა და სასახლეში მეფის კარზე თავგებიც რა დროს ფაჩუნებდნენ, ისიც კი იცოდა. განსაკუთრებით ქართლიდან გადმოსულ თავადებს ან აზნაურებს ადევნებდა თვალს და თავის მამას ერეკლეს ყოველივეს ატყობინებდა, რაც კი რამ წერილები მოდიოდა არჩილს, ან მეფის სოლომონისაგან, ან კათალიკოს იოსებისაგან, ელენე მათ ასლებს ან თითონ დედნებს ერეკლეს უგზავნიდა. სოლომონმა ეს ყოველივე იცოდა და როცა ერეკლეს საწინააღმდეგო

მოქმედებას აპირებდა, ძალზე ფრთხილობდა. თავისი ძმა არჩილი დაფიცებული ჰყავდა, რომ ცოლთან არაფერი გაემხილა, მაგრამ უშედეგოდ, ელენე ყოველივეს გებულობდა. მართალია, არჩილი ეფიცებოდა, ცოლთან არა მითქვამს რაო, მაგრამ ელენე ისეთ წვრილმანებს გებულობდა, რომ სოლომონს არავითარი ფიცი არ სჯეროდა და ერთხანს ძმებს შორის დიდი უკმაყოფილებაც კი ჩამოვარდა. ბოლოს თუმცა შერიგდნენ, მაგრამ სოლომონი ძმას იშვიათად იბარებდა თავისთან. ახლა ეს თათბირიც ისე ჩაატარა, რომ არჩილი არა თუ დაიბარა ბჭობაზე, არამედ ყველას სასტიკად აუკრძალა თუნდაც ერთი სიტყვაც დაცდენოდათ მასთან.

არჩილმა, ცხადია, გაიგო, რომ სოლომონი საიდუმლოდ თათბირობდა თავის დიდებულებთან, მაგრამ რამდენიც არ ეცადა ცოლიც და ქმარიც შეეტყვოთ, რის შესახებ მსჯელობდნენ, არაფერი არ გამოუვიდათ. ელენე გუშანით ხვდებოდა, რომ ეს აშკარა შეთქმულება უნდა ყოფილიყო ერეკლეს წინააღმდეგ, რადგან სოლომონთან თავი მოიყარეს ელიზბარ ერისთავმა, ალექსანდრე ამილახვარმა, ზაქარია და ბესიკ გაბაშვილებმა და ქართლიდან გადმოხვეწილმა ყველა დანარჩენმა თავადმა თუ აზნაურმა, რომელთაც ერეკლესთან მტრობა ჰქონდათ. აშკარა იყო, რომ თუ კი იმერთა მეფე თავის ძმას ამ თათბირზე არ იწვევდა, ეს იმას მოასწავებდა, რომ არ სურდა მისთვის გაემხილა თათბირის მიზანი და თავისი განზრახვა.

აღდგომის შაბათს ელენემ მოულოდნელად გამოუცხადა ქმარს სურვილი, ხლებოდა სოლომონის მეუღლეს გულქანს და დიდებულ დღესასწაულს აღდგომას მასთან ერთად შეგებებოდა. გაცხებული არჩილი დათანხმდა, მაშინვე უბრძანა ცხენები შეეკაზმათ და ელენე დიდებული ამალით გარშემორტყმული, თავის ქმართან ერთად, ქუთაისს გაემგზავრა.

მათმა მოულოდნელმა მოსვლამ ერთი ალიაქოთი გამოიწვია სასახლეში... სოლომონი სრულიად არ მოელოდა თავისი რძლის წვევას და ძალზე გაუკვირდა, როდესაც ელენე პირდაპირ გაემართა დედოფლის პალატაში, ეახლა გულქანს, ჯერ მხარზე, შემდეგ შუბლზე ეამბორა, მოკრძალებით მოიკითხა და ბოდიში მოიხადა, რომ აქამდე ვერ მოახერხა ხლებოდა. ელენეს ეს საქციელი გულქანის დედოფლად აღიარებას ნიშნავდა. აქამდე დიდებულთა ცოლები, დიდგვარიანი თავადის ქალები თუ ტუჩს იბზუებდნენ და გულქანთან ხლებას თაკილობდნენ, ახლა ვერც ერთი ვეღარ გაბედავდა კრინტი დაეძრა და უკმაყოფილება გამოეთქვა – აზნაურის ქალთან ხლება არ მეკადრებაო. ამიტომ ელენეს მოსვლა, ცხადია, ყველაზე უფრო გულქანს გაეხარდა და ეს სიხარული მაშინვე გაუზიარა თავის მეუღლეს. სოლომონი მიხვდა, რით იყო გამოწვეული ელენეს ასეთი თავმდაბლობა და მისი დამოკიდებულების უეცარი ცვლილება, მაგრამ რძლის მოსვლა მასაც ძალზე გაეხარდა და სახლთუხუცესს უბრძანა, ეს ბედნიერი აღდგომა განსაკუთრებულად ეხეიძნათ.

პაპუნამ ურჩია მეფეს სტავრის ტანსაცმელით შემოსილიყო და ისე დასწრებოდა წირვას. სასახლის კარიდან მთავარანგელოზის ეკლესიის კარამდე ფიანდაზი დააგეს და მინებიანი რკინის ფარნები ჩამწკრივეს. მალე სადღესასწაულოდ მორთული სოლომონი და მისი მეუღლე ტაძრისაკენ გაემართნენ. ორთავეს სიასამურის სამეფო მანტია ჰქონდა წამოსხმული, რომელთა ათრეული ბოლოები მოწიწებით მიჰქონდათ კარის ჭაბუკებს, თავზე მეფე დედოფალს გვირგვინი ედგა. სოლომონს ერთ ხელში სკიპტრა, ანუ, როგორც ქართველნი უწოდებდნენ, ფაენი ეჭირა, ხოლო მეორეში სფერო. მეფე-დედოფლის შემდეგ მიდიოდნენ არჩილი და მისი მეუღლე, სასახლის სეფექალები, დიდებულები და ბოლოს სამეფო მდივნები.

სწირავდა ზაქარია გაბაშვილი, რომელსაც თორმეტი მღვდელი ეხმარებოდა, მათ შორის მისი ორი შვილი იოანე და ნიკოლოზი. ქუთათელი შეუძლოდ იყო და ზემო ქალაქიდან ჩამოსვლა ვერ შესძლო.

მთელი ტაძარი გაჩირადნებული იყო აციმციმებული სანთლებით, რომლებიც მრავლად ენთო არა მარტო დაკიდულ კანდლებზე და საკურთხევლის წინ ჩამწკრივებულ ვერცხლის შანდლებზე, არამედ კედლებსა და ხატებზეც. ყოველ მლოცველს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. სადღესასწაულოდ მორთული და თვალ-მარგალიტით შემკული სეფექალები

თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. ქალთა შორის სილამაზით ყველასგან გამოირჩეოდა დედოფალი გულქანი, რომელსაც, მიუხედავად მისი მდაბიო წარმოშობისა, დიადი, ნამდვილი მეფური შესახედაობა ჰქონდა. მართალია, ხნით უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მაღალი და წარმოსადეგი ქალი საოცრად შენახულიყო, ღაწვები ვარდისფრად ატკეცოდა, ხოლო გადახაზულ წარბებს ქვეშ ჩაბინდული ნუშისმაგვარი თვალები მომხიბვლელად უციმციმებდა. მისი აღმასისთვლებიანი გვირგვინი და ძვირფასი სამკაული ისე ელვარებდა, რომ დედოფალი თავით ფეხებამდე წმიდანით ანათებდა. მის გვერდით კი არჩილის მეუღლე ელენე, მიუხედავად იმისა, რომ არანაკლებ მდიდრულად იყო მორთული და სამკაულებით ახირხლული, მაინც საბრალოდ გამოიყურებოდა.

წირვით ყველანი კმაყოფილი დარჩნენ, რადგან ასეთი მკაფიოდ გამოთქმული ღალადი არც ერთს არ მოუსმენია. გარდამოხსნის აღსრულების შემდეგ, წირვა რომ დამთავრდა, დიდებულებმა დაიწყეს ხოტბების წარმოთქმა სოლომონ მეფის მიმართ. ჯერ სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა მიმართა მეფეს, შემდეგ მდივანბებმა პაატა აბაშიძემ და ბოლოს ამბიონთან მივიდა ბესიკი.

ტადარში ოღნავი შრიალით გადაირბინა ჩურჩულმა და ყველა დაძაბული ყურადღებით მიაჩერდა მგოსანს. ამდენი მითქმა-მოთქმის შემდეგ, როდესაც ზღაპრული ამბები დადიოდა ქალაქში მისი განსწავლულობის შესახებ, ახლა იგი თითქო გამოცდას აბარებდა მთელი ამ კრებულის წინაშე. ყველა თავისებური განწყობილებით შეეგება ბესიკის გამოჩენას. ქალები აღტაცებით უცქეროდნენ, დიდებულები ცნობისმოყვარეობით, ხოლო დაბალი მოხელენი და ახნაურნი შურით, რადგან ყოველ მათგანს თავი უფრო ღირსეულად მიაჩნდა და ვერ ურიგდებოდა გადმოხვეწილი კაცის ასე დაწინაურებას.

ბესიკმა გრანგილი, მართალია, გაშალა, მაგრამ მთელი ხოტბა ისე წარმოთქვა, რომ ნაწერზე ერთხელაც არ დაუხედნია.

– დღეს იხარებს დავით, სულიერისა ჩანგსა თანა მლაღადებელი მეფე, და იტყვის: „აწ აღმისრულნა აღმთქმელმან კეთილობამან, ვითარმედ: ერთგვის ვეფუცეო წმიდასა ჩემსა დავითს!“ რომლისა შემდგომ, მსგავსად სიტყვისა მის, მიეცემოდა მეფობაი შენი!

ტადარში სიჩუმე ჩამოვარდა, მარჯვნივ სამხრეთის კედელთან დედოფლის სეფექალთა შორის ბესიკის და მელანო იდგა, რომელსაც ალეღვებისაგან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა. მას, თავის ძმებში, ბესიკი განსაკუთრებით უყვარდა და მუდამ მის მზეს ფიცულობდა. სულ პატარა იყო მელანო, როდესაც და – ძმანი ერთმანეთს განშორდნენ. გოგონას მესხიერებაში ბუნდოვნად იყო ჩარჩენილი ბესიკის სახე. შეიძლება სულაც დავიწყებოდა თბილისში მიტოვებული თავისი ძმა, მაგრამ იმდენს ლაპარაკობდნენ ოჯახში ბესიკის შესახებ, ისეთი სასოებით იგონებდნენ ზაქარია და მისი მეუღლე როდამი ანახანუშთან აღსაზრდელად მიტოვებულ შვილს, რომ მელანოსაც თავდავიწყებამდე შეუყვარდა თავისი ძმა. ახლა კი, როდესაც ბესიკი მთელ ოჯახს მხსნელად მოეველინა, ყველანი შემოსა, სამუშაო მიუჩინა, თითონ სასახლის კარზე ისე დაწინაურდა, რომ მამულებიც მოიპოვა და საკუთარი სასახლის შენებასაც კი შეუდგა, მელანო თავისი ძმის ყოველ უბრალო ნაბიჯსაც კი რაღაც უჩვეულო სიმძაფრით განიცდიდა. ხოლო ასეთ საზეიმო გარემოცვაში, როდესაც ბესიკს თითქოს გამოცდა უნდა დაეჭირა მეფე-დედოფლისა და მთელი სამეფო კარის წინაშე, მელანო თავის ძმაზე უფრო ღელავდა და კინალამ გული შეუღონდა.

– ...და რამეთუ ძეთა მისი ბრძენი იგი, – განაგრძობდა ბესიკი, – სახელ-სახე სიბრძნისა და თანამდევანელი, შენთვის დღეს ხელჰყოფს შენისავე შესხმისა აფთრათისა წერად, კალამ მიმხებელი თუმბუთურისა თანად მელნისა...

მდივანთუხუცესი გოგია აბაშიძე გადაიხარა და სახლთუხუცესს პაპუნა წერეთელს წასჩურჩულა:

– შენ მიტირე, თუ ერთი სიტყვა მესმოდეს! რას ბუუტურებს ნეტა ეგ უბედური?

პაპუნამ წარბშეკვრით გადახედა მდივანთუხუცესს და ამით აგრძნობინა, თუ რამდენად უადგილო იყო მისი ეს ხუმრობა. გოგია მიხვდა და ავადმყოფ მამალივით აიბუზა.

– ორნი იგი მეფეთა პირნი, ორძალისა ხმათა შემწყობნი... – განაგრძობდა ბესიკი.

ახლა პაპუნა გადაიხარა გოგიასაკენ და წასჩურჩულა;

– ესე იგი სოლომონი და არჩილიო. გაიგე?

– ეგ მეც მივხვდი, შენ სხვა მითხარი, – წაიდუღუნა გოგიამ. – მაგ მგონია გვატყუებს, კითხვა ვიციო. ქალაღდს არც დაჩერებია ისე ლაპარაკობს.

პაპუნამ გაიღიმა, გოგიას აღარ უპასუხა, რადგან ახლომდგომებმა უნებურად მოიხედეს მათკენ, და ისევ ბესიკს მიაცქერდა, რომელიც უკვე ამთავრებდა თავის ხოტბას.

– ...და ესრეთ ყოველი სახლი დავითისი ხელალტყველევილებრ განიშვებს, რამეთუ დაცემა იქნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა და ადგა პირი დავრომილი ჩვენ ქრისტიანეთა. ქრისტეს მიერ საბრხე შეიმუხრა და ჩვენ განვერენით. შეწევა ჩვენი სახელითა უფლისათა, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა! ქრისტე აღდგა და აღმადგინა მონებრივისაგან მტერისა.

„ათინელთა ენა, ქველშესაძენა,
შესხმის მოცალედ გშვენს წამის წამად!
პლატონ, უმიროს, პროკლეტურთ იროს,
არისტოტელი ჰყვეს დასაწამად!
ბრძენი და მძენნი, ფრანგნი, ბერძენნი,
ჩრდილო სამხრელნი ხმა შენადგამად,
მოკრბით სეფისდა, ქვებად მეფისდა
სოლომონისდა ხილვად სალამად“.

დაამთავრა თუ არა კითხვა, ბესიკმა ნაწერი დაახვია, მეფე-დელოფლის წინ დაიჩოქა და გრაგნილი მათ ფეხებთან დადგა. ეჯობმა ის იმწამსვე აიღო, ხოლო სოლომონმა რამდენიმე სიტყვით შეაქო მგოსანი და მაშინვე გაემართა ტაძრიდან.

ბესიკის ხოტბამ, ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით ბოლოში წარმოთქმულმა იამბიკომ და ყველა აღტაცებას გამოთქვამდა. მის გასაგონად, ხმამაღლა აქებდნენ და ხუმრობით დასძენდნენ:

– გაბაშვილების ყოფილა ეს აღდგომა და ეს არის. წირვა მაგათი, ხოტბა და ლექსის თქმა მაგათი, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია ლხინის და ნადიმის მეტი.

დიდებულები მწყობრად ხელში ანთებული სანთლებით უფროს უმცროსობის მიხედვით მიჰყვნენ მეფეს. ქალები წინ მიდიოდნენ, ხოლო მათ შემდეგ მამაკაცები, რომელნიც ეკლესიის კართან თავაზიანად უთმობდნენ გზას ერთმანეთს და წამდაუწუმ ისმოდა:

- მიბრძანდით, შენი ჭირიმე...
- არა, თქვენ მიბრძანდით.
- თქვენ, ბატონო, თქვენ...
- შენ არ მომიკვდე, გთხოვთ უმორჩილესად...

გავიღოდა ეს წყვილი და იმწამშივე დაიწყებდა ვაჭრობას მეორე წყვილი. ამიტომ მეფე უკვე თავის სასახლეში იყო მისული, ტაძარი ჯერ კიდევ არ იყო დაცლილი. ბესიკი საკურთხეველის კართან იდგა და თავის ოჯახის წევრებთან ერთად ელოდა ზაქარიას გამოსვლას. ყველანი ერთად უნდა წასულიყვნენ ზემოთ – დიდ ქუთაისში. მართალია, ბესიკი სამეფო სუფრაზე მიწვეული იყო, მაგრამ მისმა დამ მელანომ, ხოტბის წარმოთქმის შემდეგ, სინარულისაგან ჯერ კოცნით კინაღამ დაახრჩო და შემდეგ მკლავში ჩააფრინდა და უთხრა: არსად არ გაგიშვებ, ამაღამ მთელმა ოჯახმა ერთად უნდა მოვილხინოთო. მით უმეტეს, ზაქარიაც შინ იქნებოდა. მართალია, მას სამეფო სუფრა უნდა ეკურთხებინა, მაგრამ თავს

შეუძლოდ გრძნობდა და, თანაც, რადგან ქუთათელი მიტროპოლიტი სათავის ქრისტეს აღდგომა სურდა მიელოცა, სერობის კურთხევა კარის ხუცესს დაავალა და თვითონ თავის ოჯახის წევრებთან ერთად შინისაკენ აპირებდა წასვლას. საკურთხეველიდან რომ გამოვიდა ზაქარია, თვალცრემლიანი მოეხვია თავის შვილს.

– ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ, – გადაიწერა პირჯვარი ზაქარიამ. – სიხარულის ცრემლები მდის ამ დიდებულ დღესასწაულს. წავიდეთ ახლა. როდამი რა იქნა?

მოიხედეს. მოხუცი როდამი იქვე მაცხოვრის ხატის წინ დამხობილიყო და პირჯვარის წერით ლოცვებს ბუტბუტებდა. შვილებმა წამოაყენეს მოხუცი ქალი და გაახსენეს, რომ შინ წასვლის დრო იყო.

გარეთ თბილოდა. საოცრად მსხვილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ხოლო ქვემოთ, თითქო ეს ცა ქაშანურივით ჩაღრმავებული ტბაში ჩალანდულიყოს, მოჩანდა უამრავი მოლივლივე სანთლები. თბილი და საოცრად საამური ქარი ცელქი ბავშვივით ხან ერთი მხრიდან მოვარდებოდა, ხან მეორე მხრიდან. შინისაკენ მიმავალთ სანთლებს აუფორიაქებდა, ააციმციმებდა, ზოგის ალს უცბად დაქრობდა, ზოგისას – კი ისე ჩააფრინდებოდა, თითქოს კისერი უნდა წაეწყვიტა. მერე ისევ მიიმალებოდა, რომ ახალი საფარიდან კვლავ მოულოდნელად გამოვარდნილიყო. ისმოდა მხიარული ჟრიაშული, სიცილ-კისკისი და სიმღერა გალობა.

ხანგრძლივი წირვის მოსმენისა და იმ ღელვის შემდეგ, რაც ბესიკმა ხოტბის წარმოთქმამდე განიცადა, მას ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. ახლა გუნებაში კიდევაც ჯავრობდა თავის თავზე, რომ ასე ტყუილუბრალოდ ღელავდა და უფრო უკეთესად ვერ წარმოთქვა სახოტბო სიტყვა. ნატრობდა, ნეტავ ეს წირვა ხელახლა განმეორებულიყო, რომ კვლავ მისულიყო ამბიონთან და ისევ განეცადა ხალხის დაძაბული ყურადღება. მხოლოდ აქ კი არა, სიონში, სვეტიცხოველში ან გელათში... სულ ერთია, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ ამ წირვას დასწრებოდა...

ვინ?

ბესიკის მესხიერებაში მოულოდნელად გაიელვეს უკვე დავიწყების მორევში ჩაძირულმა სახეებმა: „უფროსმა ანამ... (თმებში ხელს ჩაავლებდა ბესიკს და გულმოსულივით თავისაკენ მიიზიდავდა საკოცნად)... უმცროსმა ანამ, თვალეები რომ მუდამ სევდიანი ვნებით ჰქონდა დაბინდული... და მღვიმის მონასტერში ნახულმა თვალციმციმა მონაზონმა.

გული აუჩქროლდა. სული მძიმედ მოითქვა და მელანოს ფუსფუსით უთხრა:

– იცი რა, მე ცოტა საქმე მაქვს, თქვენ წადით შინ.

– არ გაგიშვებ, – ჯიუტად უთხრა მელანომ.

– ჩემო დაიკო, შენი ჭირიმე, ისეთი საქმე მაქვს, რომ სიხარულით გაგიყდები, როდესაც გაიგებ. განა სულ წავალ, ახლავე მოვალ. შეიძლება გზაშიაც დაგეწიოთ.

თქვა ეს და მაშინვე ოქროს ჩარდახისაკენ გაბრუნდა.

სასახლის ალაყაფთან ბესიკს ეზოს მოძღვარი დაუხვდა, აღდგომა მიულოცა, ჯვარედინად გადაკოცნა და შემდეგ საყვედურით მოახსენა:

– სად ბრძანდები? მეფემაც გიკითხა, დედოფალმაც, არჩილის მეუღლემ საგანგებოდ დამავალა, აუცილებლად მომგვარეო.

– მართლა? არ ვიცოდი. ახლავე ვეახლები.

– მიბრძანდი, შენი ჭირიმე, მიბრძანდი.

– შენ ეს მითხარი, სადუნა ხომ არ დაგინახავს?

– რომელი? პაპუნას პირისფარეში? მელაკუდა ეგერაა, საფარეშოში.

დაბალსა და საოცრად გრძელ საფარეშოს მხოლოდ ორი კარი ჰქონდა, თავსა და ბოლოს. თითოეული კარის პირდაპირ ცეცხლი გუზგუზებდა. სადუნას, როგორც სახლთუხუცესის პირად ფარეშს და ყველაზე უსაქმურ მსახურს, ხელში უზარმაზარი ყანწი ეჭირა და აფუსფუსებულ მწდეველთ ეხვეწებოდა, თქვე უსინდისობო, აღდგომაა, ეს ერთი ყანწი მაინც

ამივსეთო. ბესიკის დანახვაზე სადუნა თავზარდაცემულივით ეცა უფროს მწდეველს, რომელიც კოკებიდან ღოჭებში უსხამდა ღვინოს მსახურთ:

– უჰ, ღმერთო მომკალი. ამივსე ჩქარა, ბატონი მდივანმწიგნობარი მობრძანდა, მივართვა, ჩქარა, არ გესმის?

ახლა კი გაუგონა მწდემ და ყანწი აუვსო. სადუნამ ტანის უცნაური რხევით და გადარაზული ნაბიჯით მიაშურა ბესიკს და ყანწი გაუწოდა.

– ღმერთმა მრავალ კარგ ადღგომას დაგასწროს, ჩემო ბატონო, ამისი მაღლი ნუ მოგაკლოს.

– გმაღლობ, ჩემო სადუნა. აქეთ მოდექ, შენთან ცოტა საქმე მაქვს, – უთხრა ბესიკმა და განზე გაიხმო, ყანწი კი არ ჩამოართვა. – თუ გინდა, რომ მართლა წავიყვანო სპარსეთში, ხვალ უჩემოდ არ წახვიდე საჩხერეს. ხომ იცი, რად?

– იმე! წელან აბა რაზე მოვედი შენთან. მე ყველაფერი ვიცი. შენ ოღონდ დამიწერე რაც გინდა.

– კითხვა ხომ ეცოდინება?

– ი! კითხვა ჩვენში კაცებმა არ იციან, თვარა ქალებმა, შენი ჭირიმე, მაგის მეტი რა იციან? მონაზონმა კითხვა არ იცოდეს, სად გაგონილა. – მერე ხმას დაუწია და წასჩურჩულა, – ეს კუწუწია ჩამცივებია, გამიგე რა საქმეზე მიდის ბესიკი ყვინთანო. რად უნდა, ნეტა, ამის გაგება?

– კუწუწია ვინ არის?

– კუწუწია, ბატონო, რავა არ იცი! სახლთუხუცესის ბაზიერი. მიმინოების წრუპუნ-წრუპუნით ტუჩები რო აქ წაგრძელებული.

– ჰო, ვიცი. რაო, ეგეც ერევა სახელმწიფო საქმეებში? – გაიცინა ბესიკმა და საფარეშოდან გავიდა.

სადუნამ კარებამდე მიაცილა, მერე უცბად გაახსენდა, რომ ყანწი ბესიკისთვის უნდა მიეწოდებინა, ერთი კი წამოიძახა: „უჰ ბატონო, ამას არ მიირთმევთ?“ მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ უკვე გვიან იყო და ყანწი თვითონ მოიყუდა.

* * *

სადუნა ორშაბათ დილას გაუდგა გზას. მას ცხენთაროს საძოვრებზე უნდა გაეგლო და მეჯოგეთუხუცესისათვის ბრძანება მიეტანა საქონელი სოფლებში გაერეკათ. ყოველ შემოდგომას მთელი მთიანი ზემო იმერეთი, დაწყებული კორბოულიდან და ლიჩიდან შორაპნამდე, თავის საქონელს ვაკის იმერეთისაკენ ერეკებოდა, სადაც მშვენიერი ზამთრის საძოვრები იყო. აქ თოვლიც რომ დაედო, საქონელი მაინც ახერხებდა საკვების შოვნას. იშვიათად მომხდარა, რომ თოვლის ან ყინვების გამო მას ერთ ან ორ დღეზე მეტი გაჭირვებოდეს, მწყემსებმა ზეპირად იცოდნენ ისეთი ადგილები წყლისპირებში და შამბნარებში, სადაც ბალახი გამოულეველად იპოვებოდა. მთის სოფლებში ზამთრობით მარტო ძროხებს ტოვებდნენ, რომლის საყოფი ბზე და სიმინდის ჩალა მუდამ ჰქონდათ.

აპრილის მზიანი დღე იდგა. უკვე ყველაფერი ამწვანებული და აბიბინებული იყო. ჰყვავოდნენ ველური ვარდები, მდინარის მწვანე ყვავილები, ია და კორჩიოტა. ჩრდილოეთით და სამხრეთით გადაგრაგნილ მთებზე კვლავ ბზინავდა თოვლი.

სადუნას მეჯოგეთუხუცესი ვარციხეში ეგულებოდა, ამიტომ მესხეთის გზით პირდაპირ მიაშურა მეფის სასახლისაკენ. რიონი აღიდებულებოდა. სადუნა ცხენიდან ჩამოსტა, გაღმა მენავეს გასძახა, ნავი გამოეყვანა, თვითონ ცხენს უნაგირი მოხსნა და კარგა ხანს ეწვალა, სანამ თავის ბელაურს მდინარეში შეაგდებდა. ცხენი ჯიუტობდა, ცივ წყალში შესვლა

ეზარებოდა და ხან მარჯვნივ გარბოდა ხან მარცხნივ. მალე მენავეც გამოვიდა და ორთავემ, როგორც იქნა, შედენეს გაჯიუტებული პირუტყვი მდინარეში.

ნავი საკმაოდ მოზრდილი იყო და შიგ წყალი იდგა. საღუნა იძულებული გახდა თავისი უძიროები გაეხადა და ისე შესულიყო ნავში. ფეხშიშველა და უშარვლო მენავემ, რომელსაც გრძელი ხალათი მუხლებამდე წვდებოდა, ღიდი ჭოკი ნაპირს მიაბჯინა და ნავი მდინარეში შეაცურა. მდინარის შუაგულს რომ მიადწიეს, საღუნამ დაინახა მისი ცხენი უკანვე გაბრუნებულიყო და მალე იმავე ნაპირს მიადგა, საიდანაც წყალში შეაგდეს. ერთი კი იტკიცა შუბლში ხელი საღუნამ და მენავეს უბრძანა – დავბრუნდეთო.

– ნუ წუხართ, ბატონო, – დაამშვიდა მენავემ, – გევიდეთ ბარემ გაღმა. მე დავბრუნდები და გამოვრეკავ.

მართლაც, გავიდნენ თუ არა მეორე მხარეს, მენავე კვლავ უკან გაბრუნდა და სანამ საღუნა თავის უძიროებს ჩაიცვამდა, მისი ცხენიც ერთის ფრუტუნით და ცხვირის ცემინებით გამოვიდა ნაპირზე, სველი ტანი რამდენჯერმე დაიბერტყა და მდინარის პირად სქლად წამოზრდილ ბალახს ხრამუნით მადიანად დაუწყო ძოვა. საღუნა მიუახლოვდა, დაიჭირა, გავაზე ხელი გადაუსვა და სველი ბალახი დაუწურა, ერთხანს ბალახი აძოვებინა და როდესაც ცხენი ოდნავ გაშრა, ისევ დაადგა უნაგირი და ზურგზე მოაჯდა.

ვარციხის სასახლეში ეზოს მოძღვარმა პაპურა აბულაძემ საღუნა ცხენიდან ჩამოსვა და სუფრაზე მიიბატოჭა. ეზოს მოძღვარს ქუთაისის სასახლის ამბები უნდოდა გამოეკითხა მისთვის და, ალბათ, საღამომდე არ გაუშვებდა, მაგრამ საღუნამ გადაკრა თუ არა ორიოდე ყანწი და ოდნავ შენაყრდა, მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, რომ გზას გადგომოდა. აბულაძემ კალთაში სტაცა ხელი:

– მოიცა, შე კაცო, მეჯოგეებში მისვლას მოასწრებ. აღდგომის კვირაა, რა გეჩქარება. ნუ გეშინია, უშენოდაც მოახერხებენ საქონლის გარეკვას.

– გამაღობთ, ჩემო პაპურა, თქვენთან ყოფნას და ღვინს რა ჯობია, მაგრამ ჩემი ბატონი შენც და მეც ორივეს წავგავცლის თავს, საქმეს თუ არ მივხედეთ.

– საით აპირებ წასვლას?

– ცხენთაროზე გავივლი, მერე როდინოულში. მეჯოგეებს გავირეკავ წინ. შორაპანში უნდა ავიდე, ნათლიდღა მყავს იქ. – საღუნამ ეზოს მოძღვარს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა, – მერე დილიკოურში უნდა გავიარო...

– გზაზე ფრთხილად იყავი. ამბობენ ამ აჯამეთის ტყეში მოთარეშე მეკობრეები გამოჩენილანო...

– საიდან? – გოცდა საღუნა, – რამდენი ხანია ჩვენში მეკობრეებს არ გაუჭაჭანიათ.

– ახალციხიდან თუ გადმოვიდნენ.

– არ დაიჯერო. მთაზე ჯერ იმხელა თოვლია, რომ...

– მერე რა. ზამთარში გადადიან და ახლა რა დაუმლიდათ. თხილამურებიც არ დაჭირდებოდათ.

– ბევრი არიანო?

– სამი კაცი უნდა იყოს. ალბათ, ტყვეებად უნდათ რომ მოიტაცონ ვინმე. ციხისთავმა გაგზავნა მეთოფურები მათ დასაჭერად, მაგრამ მოდი და ამ ტყეში ეძებე!..

– სამი კაცი! შე კაცო, მე მეგონა ერთი ოცი, ოცდაათი კაცი თუ იქნებოდა. თავი რაღად მინდა ცოცხალი, რომ სამმა კაცმა ტყვედ ჩამიგლოს ხელში.

საღუნა გამოეთხოვა ეზოს მოძღვარს, მოახტა თავის ცხენს და გზას გაუდგა.

ხანისწყლის ხიდან საღუნა უნებურად შედგა და საგონებელში ჩავარდა. ვერ გადაეწყვიტა ხიდზე გასულიყო და პირდაპირ გადგომოდა შუაგულ ტყეზე მიმავალ გზას თუ შორიდან, ობჩაზე მოვლით, მისულიყო მეჯოგეთა ფაცხებში. მართალია, სასახლეში ეზოს მოძღვართან ძალზე გულმაგრად იყო, მაგრამ აქ ცოტა არ იყოს შეშინდა. გუნებაში გაუელვა: მართლა რომ

დამიჭირონ, სანამ ჩემს გატაცებას გაიგებენ და მღევარს მომაშველებენ, მანამდე სტამბოლის ბაზარზე ამომყოფინებენ თავსო. კარგა ხანს ტკეპნიდა ერთ ადგილს, ბოლოს ისევ გაიმავრა გული და ტყის გზას გაუდგა. თოფისა და დამბახის საპირისწამლეებზე დენთი დააყარა. დამბახა წელში გაირჭო, თოფი კი თასმით ისე დაიკიდა მხარილლივ, რომ ერთ წუთში შეექლო ნიშანში ამოელო დამხდური.

ახლად ამწვანებული ტყე ჯერ კიდევ არ იყო იმდენად დაბურული, რომ დღის სინათლე ჩაებნელებინა. სიფრიფანა ფოთლების გამჭვირვალე სიმწვანეს სიყვითლე გადაკრავდა. საურმე გზა ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და აქა-იქ წუმპები ლივლივებდნენ.

შორიდან შოლტის ტკაცუნი მოისმა. სადუნა ყურადღებით დაიძაბა და ცხენს დახედა, რომელმაც ყურები ცქვიტა, ჯერ ხმაურის მიმართულებით ორივე ერთად მიმართა, მერე ცალი იმავე მდგომარეობაში გააჩერა, ხოლო მეორე სხვადასხვა მიმართულებით შეატრიალ-შემოატრიალა, და როდესაც დარწმუნდა საეჭვო არაფერიაო, წაიფრუტუნა და არხეინად გზა განაგრძო. მართლაც, მოსახვევში გამოჩნდნენ უღელში გაბმული ყვეარი ხარები, რომელნიც სასაწინაღვე მორს მოათრევდნენ. ხარებს წინ მოუძლოდა ფეხშიშველი, შარვალამოკაბიწებული გლეხი, რომელსაც წვერები და თმა ისე ერთ ზომაზე ჰქონდა შემოზრდილი გარშემო, თითქო საგანგებოდ მოქსოვილ მატყლის ბორბალში გამოეყო სახე.

– გამარჯობა შენი! – მიესალმა სადუნა გლეხს და ცხენი შეაჩერა.

– ღმერთმა გაგიმარჯოს! – უპასუხა გლეხმა და ხარებს გასძახა: – მათ... მოკ!

ხარები გაჩერდნენ. ისინი ისე იყვნენ დაღლილნი, რომ მძიმედ სუნთქავდნენ და ლაშებზე ლორწო ეკიდათ.

– კარგი ხე წამოგიღია, მაგისი საწინახელი მართლა სანაქებო იქნება მთელს იმერეთში, თუ შენია, – უთხრა სადუნამ გლეხს. – მაგრამ ამ აღდგომის ორშაბათს რა გეჩქარებოდა.

– ბატონო, გლეხი კაცისათვის კვირის გარდა სულ სამუშაო დღეა. მერე სანამდი მიწა სოველია, მინდოდა მომესწრო, თორემ მშრალზე ამას რა დასძრავს.

– ასე მითხრეს, აქეთკენ ყაჩაღები გაჩენილან, ხალხს იტაცებენო.

– დოუჭერიათ, ბატონო, უკვე.

– შენ რა იცი?

– მე ვნახე ჩემი თვალით. ქუთაისში მიჰყავდათ სამივე. სამი ყოფილა, ბატონო.

– სად დაუჭერიათ თუ იცი?

– სად, შენი ჭირიძე, და საწალიკეზე დაწვეიან. ფოთიდან ყოფილან სამივე. იქ გოუგიათ თურმე, მღვიმევის მონასტერში ქვეყანაზე რო არ ნახულა, იმისთანა მზეთუნახავი მონაზანიო და იქაურ თათრის ვაჭრებს უთქვამთ, ვინც იმ ქალს მოგვიყვანს, ერთ ტომარა ოქროს მივცემთო...

– ის ქალი მოუტაცნიათ? – ჰკითხა ელდანაკრავმა სადუნამ.

– აგერ გითხრა, ბატონო. ჰოდა მაგ სამ კაცს მოულაპარაკნია ერთმანეთში, ახლა გავკეთდით თუ გავკეთდითო, და გოუწირავთ თავი. ჩამოსულან და ერთი კვირა გამოქვაბულიდან დარაჯობდნენ თურმე. გევიხედე ერთხელ, გეილო მონასტრის კარები და ამ გოგომ გამორეკა თურმე ცხვრები საბალახოდ. დასტაცეს ამ ქალს ხელი, მოიგდეს ცხენზე და გოუყენეს რაჭისაკენ. რაჭა-ლენჩხუმზე მოვლით უნდოდათ სადადიანოში ჩასვლა, თორემ, აქ, იცოდნენ, რომ სოლომონ მეფის საბრძანებელში ხეირს არ დააყრიდნენ... მარა, მონაზვნებმა ასტეხეს წივილ-კივილი, მღევარიო დეიძახეს თურმე, გაძეინთენ ჩვენი ბიჭები და ქე გაბაწრეს სამივე...

– ის ქალი?

– ის ქალი ქე მოუყვანიათ ისევ მონასტერში. ისე არაფერი, ნამუსიანად შეუნახავთ.

– მაღლობა ღმერთს! – თავისუფლად ამოისუნთქა სადუნამ და პირჯვარი გამოისახა, – ნამდვილია, რაც მითხარი?

– კი, ბატონო. ათისთავმა გვიამბო თითონ. ღვანკითში ვიყავი გუშინ და იქ ვნახე. იმათთვის იქვე უნდა მეეჭვრათ სამივესთვის თავები, ასეა სოლომონ მეფის ბრძანება, მაგრამ უთქვამთ, მეფესთან მიგვიყვანე და იმისთანა ამბავს შევატყობინებთ, იქნება სიცოცხლე გვაჩუქოს და თქვენც დაგასაჩუქრებსო.

– არ გაექცეთ.

– აჰ, რკინის ბორკილები დაეღოთ სამივესთვის. ტყუილია, სოლომონი მათ არ აპატიებს და სამივეს თავებს დააყრევინებს. ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს ჩვენი მეფე, რაც მაგ გამეფდა, პატარა მოვშენდით, შენი ჭირიმე, თვარა, ახლა მთელი იმერეთი სულ სათათრეთში იქნებოდა გაყიდული. მეც გაყიდული ვიყავი, მარა გამოვიქეცი. რაც მე გაჭირვება გადამხდომია...

– ახატი ხარ?

– კი, ბატონო. ტყვეობიდან დაბრუნებული თუ თავისი ნებით არ ეყმო ვინმეს, ისე ხელს ვერავინ ახლებს, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

– რა გვარი ხარ?

– სირბილაძე. ასე ჩამიწერეს, რაღაი თათარს გამოექეცი ტყვეობიდან, კარგი სირბილი გცოდნიაო და გვარიც ეგ გქონდესო... – გლესს კიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ სადუნამ ცხენს მათრახი მოუქნია.

– მშვიდობით იყავი, – უთხრა სადუნამ გლესს, – ეგ კარგი ამბები მითხარი.

– ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს, ჩემო ბატონო, – ფუსფუსით უთხრა გლესმა, თვითონაც ხარებს სახრე მოუქნია და მიმავალ სადუნას თვალი გააყოლა.

“თავადიშვილია ეტყობა, – გაიფიქრა გლესმა – ჰო, რა აცვია და რა ახურავს!”

* * *

სადუნამ მონასტრის ბჭეზე მაგრად დაარახუნა. კარგა ხნის მოლოდინის შემდეგ კარს ურღული გაუგდეს, მუხის ფესვებივით ძარღვიანმა მოხუცმა ღრიჭოში თავი გამოჰყო და სადუნას ახედ-დახედა.

– რომელი ხარ, ბოშო, შენ?

– სადუნა ვარ. გააღე მაგ კარი, რას ჩაკეტილხართ?

– რომელი სადუნა? ფილიმონასი? უი, შენ კი გენაცვალე. მობრძანდი. მას აქეთ, რაც ის გოგო იმ ურჯულოებმა მოგეტაცეს, აქ ჩამომიყვანა წინამძღვარმა და ყარაულად დამაყენა. გამარჯობა შენი. რას შვები, რავა ხარ?

– გაგიმარჯოს, ჩემო ბიჭია.

– უიმე, მიცანი! – გაენარდა მოხუცს, – შენ კი გენაცვალე, შენ. რავა გადიდკაცებულხარ. ახნაურიშვილში ვერც კი გამოგარჩევს კაცი. საწყენად არ მიიღო, კარი რო ასე მალე არ გაგიღე. გვეშინია, შენი ჭირიმე, გვეშინია. ის უღმერთოები ფოთიდან აქ ჩამოსულან ქალის მოსატაცებლად. გაგიგონია ამისთანა ამბავი? შესართავად რო მოეტაცა ვინმე ჩვენს კაცს, მაგაზე არც ქე დაგვწყდებოდა გული, მარა თათარში გასაყიდად მიჰყავდათ თურმე, – უცბად წააწვრილა მოხუცმა ხმა, თითქოს მოძახილს ამბობდა, – თა-თრე-ბში გასაყიდად, აბა! მარა იცოცხლე, მამფხანეს გული ბიჭებმა, გამოუდგნენ და...

– სად არის. აქა? მოწიე ყური აქეთ, რა გითხრა, ჩემო ბიძია. – მოხუცი მიუახლოვდა სადუნას. მიმოიხედა და ხმადაბლა წასჩურჩულა: – გაათხოვეთ, ბიძია, ის გოგო, გაათხოვეთ. მონასტერში ვინ დააყენებს მაგისთანა ქალს. ხომ ხედავ, საიდან სად ჩამოსულა ხალხი მაგის მოსატაცებლად.

– მაგის თქმა ადვილია, ჩემო ბიძია. ბუშს ვინ წაიყვანს ცოლად?

– მაგიც მართალია, მარა, ახლა რო თქვას კაცმა, ვითამ მაგითი რად უნდა დაიწუნონ. ღვთისაგან გაჩენილი არა ვართ ყველა? დედამაგისს, რავა, კახობით კი არ გაუჩენია

ქვეყანაზე მაგ უბედური. დაუძახეს, ბატონიშვილს ფეხი დააბანინეო, იმან სტაცა ხელი და... იპ! – მოხუცმა თავი გაიქნია, ბჭეს ურდული გაუგლო და ეტყობოდა კიდევ აპირებდა ქაქანს, მაგრამ ამ დროს სენაკიდან მონაზვნები გამოეფინენ და დაინახა თუ არა ისინი, განზრახვა გადაიფიქრა. სადუნას ცხენს სადავეში ხელი ჩაჭიდა და თავლისაკენ წაიყვანა.

მონაზვნები კი ერთის წამოძახილებით და ვიშვიშით შემოესივნენ სადუნას. მიესალმენ, დალოცეს და სეტყვასავით დააყარეს კითხვები: საიდან მოდიოდა, სად იყო, რა ამბები იცოდა. სადუნას გამოჩენა მათთვის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა. ყველანი იქვე ჩამოსხდნენ ქვებზე სადუნას გარშემო და მუსაიფი გააბეს.

– რავარი გლახა საქმე მოგვივიდა, ჩემო სადუნა, რავარი! – თქვა ერთმა სათნო სახის მონაზონმა, რომელსაც ნატალია ერქვა სახელად და საკმაოდ ხნიერს სახე ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაღარული ნაოჭებით, – ი გოგო კინაღამ არ გაგვიყიდეს სათათრეთში იმ უღმერთობებმა!

– ვარციხეში გავიგე მაგ ამბავი და შემომეყარა გულზე. სად არის ახლა? სწორედ იმის სანახავად მოვედი.

– ტადარშია, მოვა ახლავე, – უპასუხა ერთად რამდენიმე მონაზონმა.

– მე ვთქვი საიმედო ადგილას მყავს, ჩემო ნატალია, ჩემი დისწული და გული საგულეს მქონდა, მარა... – სადუნამ ცოტა მედიდურად გადახედა მონაზვნებს, მერე ფეხი წინ წადგა და წითელი მოგვის ყელუბი მაღლა აიქანა, რათა დაენახებინა მათთვის, როგორი ფეხსაცმელი მაცვიაო, – მარა ტყუილად მქონია თქვენი იმედი...

– რა ვქნათ, ჩემო სადუნა, ჩვენ რა შეგვიძლია. სამონასტრო გლეხები ვინც არიან ჩვენი, ყველა სახნავ-სათესად იყო წასული, ყარაული არავინ გაგვანჩნდა, სახუცის იასაულები სად დადიან კაცმა არ იცის, და რო თქვას ადამიანმა, იმათი უფრო გვემინია. კი არ დაგვზოგავენ, თუ რამეს მოლანდეს სხვანაირად თვალი, ახალგაზრდა ქალი კი არა, მგონი მოხუცებიც მოიტაცონ და თუ არავინ გაუგო არც შერცხვებათ, ისე გაყიდიან სათათრეთში.

– მაგას ვინ გაბედავს, ჩვენი დიდებული მეფე ხახვივით წააცლის ყველას თავს, თუ გაუგო მაგისტანა საქმე.

– თუ გაუგო კი, მაგრამ თითონ არ იტყვიან, ჩვენ მაგათი შიშით ხმას ვერ გავიღებთ და ვართ ასე ორ ცეცხლშუა.

– ჩვენ კი არა, იასაულები ერთმანეთს არ ზოგავენ, ერთმანეთს! – ჩაერია ლაპარაკში ერთი პატარა ტანის მონაზონი, რომელიც ჩიტივით დასკუპებულიყო ქვაზე და თავშალითაც ისე აეკრა პირი, რომ მოკაკული ცხვირი ნისკარტივით წაეშვირა. – აგერ წინაზე ოცი იასაული წაუყვანია ბოქაულს, ფრონეზე კაცი უნდა დაეჭირათო. მისულან, სამი დაწინაურებულა და ცემია ამ კაცს დასაჭერად, წაუქცევიათ, იარალი აუცლიათ და სანამ ხელ-ფეხს შეუკრავდნენ, სამი კიდევ ამ სამს მივარდნია, ნადავლი იარალის წართმევა მოუნდორმებით, ამათ კიდევ სხვები ცემიან. შენ თუ იმას წაართვი იარალი, მე შენ წაგართმევო, და დარევიან მგლებივით ერთმანეთს. შექმნილა ერთი ძიძგინი, ჩხუბი, ამასობაში ეს გასაქცევი კაცი ქე გაპარვიათ, ამათ კი ვისაც წოუგლეჯვია რამე თავისი ამხანაგებისათვის და მოუსწრია, გაქცეულა, ვისაც ვერა, დარევიან ხანჯლით ერთმანეთს, ერთისთვის ხელი მოუჭრიათ, მეორისთვის თავი გაუპიათ...

– მაგენი თუ ჭილლაძეები არ იქნებოდნენ, კისერი მომჭერით, – გაიცინა სადუნამ. – ბოქაული რომელი იყო ნეტავი?

– აბდუშელიშვილი ყოფილა.

– რომელი? ხოსიტა? ვაი მის ტყავს. ვერ გადურჩება სახუცს, ვერც ის და ვერც მისი იასაულები.

– ეჰ, ასე უნდა იყოს გაველურებული ეს ჩვენი საქრისტიანო საქართველო? – ამოიოხრა ნატალია მონაზონმა. – ქართლის ცხოვრებას რომ ვკითხულობ, გული მიკვდება, რა დიდებული ქვეყანა ყოფილა ეს ჩვენი ქვეყანა, რა სწავლა, რა განათლება... ეს თათრები კი

გადარეკა ღვთის შეწევნით ამ ჩვენმა მეფემ, მაგრამ თავისი ხელქვეითები რო ჰყავს მოსარჯულელები, როდის უნდა დაამსგავსოს ქვეყანა ქვეყანას? ღმერთო, შენ გვიშველე!

ლაპარაკში გართულმა საღუნამ ვერ შენიშნა მისკენ გამოქანებული დისწული, რომელიც ალტაცებული მოეხვია თავის ბიძას და მოწყვეტით ჩაჯდა მის ფეხებთან. სირბილისაგან შეხურებულს ლოყები ატკეცოდა და სავსე მკერდი აუდიოდ-ჩაუდიოდა. საღუნამ სიყვარულით დახედა ახალგაზრდა ქალს, თუმცა შეეცადა მრისხანე სახე მიელო და წარბები შეიკრა. „ამ უბედურს მართლა არავინ დააყენებს მონასტერში, – გაიფიქრა საღუნამ, – იქნება მართლა შეიწყნაროს უფალმა და ბედნიერი გახადოს“.

– მართლა მოგიტაცეს, გოგო?

– რა ვქნა, ჩემი რა ბრალია, – საბრალოდ ამოიგმინა ქალმა. ის მოელოდა ამ კითხვას და წინასწარ ამზადებდა უდარდელად გაეცა პასუხი, მაგრამ თავისებურად გული ამოუჯდა და ისეთი ზღუქუნე დაიწყო, რომ მონაზვნებმა ტუქსვა დაუწყეს.

– გაჩუმდი, სირცხვილია, ბიძა გაგიჯავრდება...

– ამხელა ქალის ტირილი სად გაგონილა?...

– გეყოფა, გაჩერდი, – დაამშვიდა საღუნამ. უბეში ხელი ჩაიყო და ჭრელი ხელსახოცის განასკვული ყური გახსნა, ძეწკვზე დაკიდებული პატარა ვერცხლის ჯვარი ამოიღო და გაუწოდა. – შეხედე, რა მოგიტანე.

– ვაი, შენ კი გენაცვალე, ჩემო ბიძია, – მოიწმინდა ახალგაზრდა ქალმა ცრემლები, მაშინვე გაიღიმა. ძეწკვიანი ჯვარი ჩამოართვა და ალტაცებით დაუწყო თვალიერება. მისთვის ეს უმშვენიერესი სამკაული იყო.

მონაზვნებთან კარგა ხნის მუსაიფის შემდეგ, საღუნამ, როგორც იქნა, დაიმართობელა თავისი დისწული და ყურში წასჩურჩულა: – მგონია, საქმე კარგად წავიყვანო და ბედს გწიო, კარგად გაგათხოვო და ჩემი დის ანდერძი შევასრულოო.

– რაო? – ნუშის თვალები აახამხამა ქალმა და ლოყები აუფერადლა. – მონაზვნის გათხოვება სად გაგიგონია? ქე არ ჩამქოლავენ!

– მაგის ნუ გეშინია, – ანუგეშა საღუნამ, – ისე მოვატაცებ შენს თავს, რომ ალიკვალს ვერ გაიგებენ. მერე, რომ იცოდე ვის უნდისარ?

– ვის? – თავისდა უნებურად მოუთმენლად აღმოხდა ქალს.

– აქ რომ ვიყავით... თვალებით რომ კინაღამ შეჭამე, შენ გგონია ვერ დავინახე...

– მართალს ამბობ, საღუნა, მაგას? – მოულოდნელად სრულიად დაურიდებლად და ხმაძალა შეჰყვირა დისწულმა ბიძას, დაბარბაცდა და მოწყვეტით დაასკდა მიწას. შეშინებულმა საღუნამ დახედა დისწულს, იფიქრა, გული გაუსკდაო, თავში ხელი წაიშინა და იყვირა მიშველეთო. მონაზვნები მოცვივდნენ, გულშეწუსებულ ქალს ჯერ წყალი აპკურეს, მერე ძმარი აყნოსეს, საფეთქლები დაუზილეს და ძლივს მოაბრუნეს. ფრთხილად ააყენეს, თავის სენაკში წაიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. საღუნაც იქვე პატარა სამფეხა სკამზე დასვეს. საბრალო ქალი მოვიდა თუ არა გრძნობაზე, თავის ბიძას ხელი ჩაავლო და არსად არ გაუშვა. იწვა თვალგახელილი ლოგინში, ჭერს შესცქეროდა და კრინტი არ დაუძრავს. მონაზვნები კარგა ხნის ვიშვიშისა და ლოცვა-ვედრების შემდეგ სენაკიდან გაიკრიფნენ.

– შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, საღუნა, შენ, – წამოიძახა ქალმა და თითქოს ციება შეჰყროდეს, ძაბაგი დაიწყო. – შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რას მერჩოდი მე უბედურს...

– ღმერთო მომკალი. ასე რომ მცოდნოდა, რავა გეტყოდი რამეს. კაი ახლა, მოიბრუნე გული...

– არ მითხრა, მოგატყუეო, თორემ ახლავე ამომძვრება სული, ვ ვ... რა მემართება ეს. შემცივდა... სა... საბანი დამაფარე... ახლა მითხარი, ყველაფერი მითხარი, იქნება, სანამ ყველაფერს მეტყოდე, მანამდე კიდევაც მიიბაროს ჩემი სული ღმერთმა, ხომ ხედავ, საზიარებელი გავხდი. ამოიღე ხმა, რას გაჩუმებულხარ...

- რაღა ვითხრა, რაც სათქმელი მქონდა ვითხარი. რატომ კანკალებ ასე? გაგაცვივა, ალბათ.
- მითხარი... – თავგანწირვით ამოვიგმინა ქალმა.
- რა უნდა ვითხრა, წერილიც ქე მოგწერა...
- წერილი?
- ჰო. აქა მაქვს. რას გწერს რა ვიცი. ისე კი, რაც მითხრა, იმას ქე გეტყვი.
- წერილი მომეცი!
- ახლავე, დაწყნარდი, კი ნუ გადირევი, შე ქალო.
- რა იცის იმან, ვინა ვარ, რანაირად გაჩენილი ვარ ქვეყანაზე, ცოდვით გაჩენილი, რა იცის, თორემ, რავა გაივლებდა გულში რამეს... მომეცი წერილი, წერილს მაინც... წერილს მაინც დაგხედავ... ესეც ბევრია ჩემთვის.
- ვუთხარი ყველაფერი, არ დამიფიცავს. რა მითხრა იცი? ადამიანი ყველა ღვთის გაჩენილია და მე მაგას სულაც არ ვაქცევ ყურადღებასო. აგერ ჩვენმა მეფემ აზნაურის ქვრივი გაადღოფლა და მე, აზნაურმა რომ გლეხის ქალი მოვიყვანო, თუნდაც ნაბიჭვარი იყოს, არ მეძრახვისო... შენ ნუ მომიკვლები, ასე მითხრა. ახლა დაწყნარდი. მე საჩხერეში ავალ, იქ საქმეები მაქვს, მერე დავბრუნდები და ჩვენს საქმეს რანაირად მოვუაროთ, ყველაფერზე დაწერილებით მოვილაპარაკოთ. სადუნა არ ვიყო, თუ ეს საქმე კეთილად არ დავაბოლოო და ჩემი დის ანდერძი არ შევასრულო.
- მიდიხარ? – ქალი უფრო აძაგძაგდა და ისე მოიკრუნჩხა, რომ პატარა გუნდასავით ეგდო ლოგინში. – ნუ წახვალ, სადუნა...
- რა გიჭირს, შე ქალო.
- ნუ წახვალ, თორემ მე აღარ მოვრჩები... ნუ წახვალ, ჩემო ბიძია, შენ გენაცვალე, ნუ მიმატოვებ, თორემ დარდს ვეღარ გაუძლებ...
- იმე, მე რად გინდივარ, გოგო. ჩემზე უკეთ მონაზვნები მოგივლიან. ნატალიას ვეტყვი, მაგაზე ღვთისნიერი ადამიანი ქვეყანაზე არ მეგულება...
- ნუ წახვალ...
- შე ქალო, საქმე მაქვს, ბატონი მყავს, აგრე ჩემს ნებაზე ვინ მარონიებს. კარგი, დაწყნარდი ახლა და მალე მოვალ...
- სადუნა.
- ჰო...
- სადუნა, რო ნახო, არ უთხრა ასე მოუვიდა-თქო... ასე უთხარი, რომ... ასე უთხარი, რომ როგორც ვარსკვლავი მოწყდება ცას, ისე მოწყდა ცას ის უბედური და ჩაქვრა-თქო...
- ჩაქვრა-თქო, ჰა! – შეუწყრა სადუნა დისწულს, თან დატუქსა და თანაც გაამხნევა. – შე სულელო, პატარა სინარულს თუ ვერ გაუძელი ამ ბავშვობის დროს, მერე რას აპირებ, როცა...
- როცა... როცა... მე რას ვაპირებ, რა უნდა დავაპირო. რო მოკვდები, ნაკურთხ მიწაშიც არ დამასაფლავებენ...
- სს... აღარ გაამხილო მაგისთანა სისულელე! – მრისხანედ შესძახა სადუნამ დისწულს, – ღმერთს კი ნუ გაარისხებ. შენ ჯვარი გწერია და როდის იყო ადამიანს უკურთხ მიწაში მარხავდნენ...
- ჰე, მაგას მალე ნახავ და... რო ნახო... ის რო ნახო, თუ ჩემი ბიძა ხარ, ჩემზე გლახა არაფერი უთხრა, შენი ჭირიმე, გევედრები...
- კარგი, გოგო, მთლად კი ნუ გამოსულელდი.
- სადუნამ მონაზვნებს სთხოვა მზრუნველობა არ მოეკლოთ სევდით აკანკალებულ და ელღანაცემ დისწულისათვის, ერთი ბლუჯა თათრული ფარა დაურიგა მათ და საჩხერისაკენ გაემგზავრა.

საქმეების მოთავეების შემდეგ საღუნა ფიქრობდა კიდევ ენახა თავისი დისწული, მაგრამ ქუთაისში გამეზავრება კორბოულის, ვერტყვილის-ჭალის და ხარგოულის გზით მოუხდა და ამიტომ მღვიმის მონასტერში მეორედ მისვლა ვეღარ მოახერხა.

* * *

არჩილ ბატონიშვილის წვევა სააღდგომოდ არ იყო უბრალო სტუმრობა ძმასთან და ყველანი გაფაციცებით მოელოდნენ იმ დღეს, როდესაც საქმიანი საუბარი უნდა გაბმულიყო მათ შორის. დიდებულთათვის ცხადი იყო, რომ არჩილი და მისი მეუღლე გადაჭრით მოთხოვნიდნენ მეფეს, ჯერ ერთი, გაემხილა მათთვის საიდუმლო თათბირის შინაარსი და, გარდა ამისა, ქუთაისიდან განედევნა ერეკლეს მოწინააღმდეგე ქართლის თავადები.

არჩილმა და ელენემ თითქმის ორი კვირა დაჰყვეს ქუთაისში და ამ ხნის განმავლობაში გარეგნულად თითქოს მარტო ღზინითა და გართობით იყვნენ გატაცებულნი, ნამდვილად კი დაძაბული ყურადღებით უთვალთვალებდნენ ყველას, რათა რაიმე გაეგოთ ან ყური საეჭვო ამბებისათვის მოეკრათ. ქართლიდან გადმოხვეწილმა თავადებმა, ცხადია, გაიგეს თუ არა ელენეს ჩამოსვლა, მაშინვე თავი გაარიდეს და არც ერთი მათგანი სასახლეს არ გაჰკარებია. თვით ელიზბარ ერისთავიც კი, სოლომონის და არჩილის სიძე და სამეფო ოჯახის მკვიდრი ნათესავი, სოფელში გაემგზავრა და არ ისურვა აღდგომის კვირა ოქროს ჩარდახში გაეტარებინა.

მარტო გაბაშვილების ოჯახი ეახლა ელენეს, რომელიც ეზოში გამოეგება ზაქარიას და მის ჯვალას.

გულაჩუყებულმა ზუცესმა კახთბატონის ასულს ხელზე ცრემლები დააფრქვია და ერთის კიმიშით წაილულულა:

– შვილო, მე მოგნათლე, გაგზარდე, შენ კი არა, მამაშენიც ჩემი გაზრდილია. ცხრაჯერ რომ გამკრიჭოს, დამწვას, ცეცხლში მაწამოს, მაინც მეყვარებით, შენც, მამაშენიც (აქ ცოტა ცბიერობდა მოხუცი) და შენი ძმებიც. წირვაზე ბრძანდებოდი, ვიფიქრე, ვაითუ მამასავით გვირისხდება და დაივიწყა ყოველი ჩემი სიკეთე-მეთქი...

ელენე სათითაოდ მიესალმა ყველას, როდამს მის წინ დაჩოქება არ აკადრა, მოეხვია და გადაკოცნა, მოიკითხა ყველანი, მოიგონა თავისი ბავშვობა და მათთან გატარებული დრო, ის სანეტარო დრო, როდესაც სეფეწულნი სასახლეში სწავლას თავს არიდებდნენ და უფრო მეტ ხანს ტოლებთან ხუმრობასა და მელექსეობაში ატარებდნენ. გაიხსენა, როგორ ჯობნიდა ბესიკი ყველას მელექსეობაში, სეტყვასავით აყრიდა ზმებსა და შაირებს მოპაექრებს და ანბანთქებას ხომ ყველაზე უკეთ იტყოდა ხოლმე. გაიხსენა აგრეთვე ის დიდი დამსახურება, რომელიც ზაქარიას მიუძღოდა თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ, დატუქსა თავისი მამის საქციელი გაბაშვილთა ოჯახის უდანაშაულოდ დასჯისათვის. განსაკუთრებით ბესიკს გამოესარჩლა, რომელიც პატარაობიდანვე სამეფო კარზე იყო გაზრდილი და ბატონიშვილებს კი ძმასავით უყვარდათ. ბოლოს ზაქარიას ერთი ქისა თეთრი უწყალობა, ხოლო როდამსა და მელანოს ფარჩა ხავერდის საკაბენი, თანაც როდამს წასჩურჩულა – შენი ქალიშვილის გამზითვება ჩემს კისერზე იყოსო.

ელენე ფიქრობდა, თავისი ერთგული გაეხადა ეს დიდი და სახელოვანი ოჯახი და ამით არევ-დარევა შეეტანა ქართლიდან გადმოხვეწილ თავად-აზნაურთა შორის. კახთბატონის ასულის მიერ ზაქარია მოძღვრის ასეთი მიღების შემდეგ, საეჭვო იყო, ისინი არათუ ზაქარიას, არამედ ერთმანეთს ნდობით რომ მოპყრობოდნენ.

არჩილმა და ელენემ ბოლოს, როგორც იქნა, იხელთეს დრო და, როდესაც სოლომონი ყველაზე კარგ გუნებაზე იყო, ლაპარაკი ჩამოუგდეს ერეკლესთან დამოკიდებულებაზე. არჩილმა უსაყვედურა ძმას ერეკლესთან ხელშეკრულების დარღვევა და ქართლ-კახეთიდან ლტოლვილი

თავადების შეფარება, ხოლო ელენემ გადაჭრით მოთხოვა ალექსანდრე ამილახვრის შეპყრობა და თბილისში გაგზავნა.

სოლომონს სხვა დროს შეიძლება ნაკლები ანგარიში გაეწია არჩილისა და ელენესათვის, მაგრამ ახლა იმდენად იყო გახარებული ორივეს მიერ გულქანის დედოფლად აღიარებით, რომ თავის მართლება დაიწყო. ამილახვარი ჩემთან რუსეთიდან მოვიდა, ის უკვე კარგა ხანია ერეკლეს ქვეშევრდომად არ ითვლება და ამიტომ მე ხელშეკრულება არ დამირღვევიაო.

სოლომონი რძალს შეპირდა, რადგან ალექსანდრე ამილახვრის ჩემთან სუტმრობა გწყენია, გაგლებით ვერ გავაგდებ, მაგრამ ვთხოვ, რომ გამეცალოს და ისევ რუსეთს წავიდესო, აღტაცებულმა ელენემ ეს თავის გამარჯვებად ჩათვალა, მაგრამ იმავე საღამოს, სრულიად შემთხვევით, ყური მოჰკრა მეფის ცოლისძმის მდივანბევ ბერი წულუკიძისა და მიშკარბაშ იოანე აგიაშვილის საუბარს. ისინი აივნის ქვეშ იდგნენ. ელენე სამოახლოში აპირებდა ჩასვლას, სადაც ქალები მისთვის აბრეშუმის პერანგებს ჰკერავდნენ, აივანზე გამოვიდა და ის იყო კიბის პირველ საფეხურზე ჩააბიჯა, რომ ამ დროს მოესმა თითქოს ამილახვარი ახსენეს. მაშინვე ქოჩორა დედალივით გაინაბა და ყური დაუგდო.

- ამილახვარიო? - იკითხა წულუკიძემ.
- ჰო, რუსეთში ვაგზავნიო და შენ უნდა წაყვეო, - უპასუხა აგიაშვილმა.
- როდის გითხრა?
- გუშინ. რა ვქნა, თავი მოვიკლა? რუსეთში რომ მგზავნის, რომელი მორუსულე მე მნახა. დამკარგა და ეს არის.
- შე კაცო, ალექსანდრესთან რა გიჭირს. იმან ხომ წყალივით იცის რუსული.
- ის იქ დარჩება ერთ ხანს, მე უკან უნდა დავბრუნდე და პასუხი ჩამოვიტანო. მაგენი სანამ სპარსეთიდან...

- სს... ჰა? ჰო, იმას გეუბნებოდი... კაცო, ის მიმინოები... რავაა იმათი საქმე? - შეცვალა უცბად საუბარი წულუკიძემ.

ელენე მიხვდა, რომ თვალი მოჰკრეს. ვითომ არაფერიც არ გაეგონოს, სწრაფად ჩამოირბინა კიბე და სამოახლოსკენ გაემართა. გული სულ ბაგაბუგით უცემდა. ამ საუბარმა ბევრ რამეს მიახვედრა. ერეკლე მეფის ქალიშვილისათვის არ იყო ძნელი ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყურმოკრული საუბრის შინაარსი მთელი სისრულით გაეხსნა და ყოველივე ნათლად წარმოედგინა. მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ალექსანდრე ამილახვარი საგანგებოდ ჩამოსულიყო რუსეთიდან სოლომონთან მოსალაპარაკებლად, რათა ქართლის ტახტიდან ერეკლე გადაეყენებინათ. ამისთვის საჭირო იყო სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარის-მის ჩამოყვანა და ქართლში ამბოხების მოწყობა. ელენე იმ საღამოსვე აფთარივით დატრიალდა და მოახლეს უბრძანა, სასწრაფოდ კუწუწა აბაშიძე მოეყვანა მასთან. მოახლემ შეასრულა ბრძანება და რამდენიმე წუთის შემდეგ კუწუწა უკვე ელენეს წინ იდგა ფეხებგადაჯვარდინებული და თავდახრილი.

- სადაა შენი პირობა, მიმინოებს დაგიგეშავო? - ღიმილით მიმართა ელენემ კუწუწას და, როდესაც მოახლე ოთახიდან გავიდა, მაშინვე ჩურჩულით უთხრა: - „არ მეგონა, თუ ასე ორგულად მემსახურებოდიო.

- რა ვქნა, ბატონო, რაც შემეძლო...
- თურმე აქ მამიჩემის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ...
- აჰ, აჰ, არ დაიჯეროთ მაგ, - გაასავსავა ხელები კუწუწამ და დამფრთხალი მელასავით მიმოიხედა, - ტყუილი, ბატონო, ტყუილი. მაგ ჩემი ყურით რომ გამეგონა, მაინც არ დავიჯერებდი.

- ელენემ მწარედ ჩაიციხა და თავი გააქნია.
- კარგია, შენ ბევრი იცი, მაშ რაზე თათბირობდნენ?
- მაგ რომ გამეგო, აქამდე ცხრაჯერ მოგახსენებდი.

- აბა ის მაინც გამიგე, სპარსეთში ვის გზავნიან. –
 - მაგას ახლავე მოგახსენებთ. ეგ, ილბლად, შემთხვევით გავიგე.
 - ვის გზავნიან? ჩქარა მითხარი!
 - ვისა ბატონო და თქვენებურ კაცს. თავი სოლომონ ბრძენი რომ ჰგონია და ნიჟარადის პატარძალივით დაიწმინება სასახლეში.
 - აღარ იტყვი, ვისა? ნუ გამიწყალე გული!
 - გაბაშვილს, ახლა რომ მდივანმწიგნობრობა უწყალობა მეფემ.
 - ბესიკს?
 - ჰო, ბესუკაა თუ ბესიკია, ველარ გავიგე მაგის სახელი.
 - განა არ უთქვამს, რისთვის გზავნიან?
 - აჰ, მაგ რო გამეგო, რა მიჭირდა, გადავყევი თან, რა ხრიკი არ ვიხმარე, არ დაიჯერებ, ბატონო, და პირდაპირ გველის ქერქში გავძვერი, მარა ვერაფრით ვერ გავიგე, რა საქმეზე მიდის. თითონ არაფერს ამბობს, სხვამ არავინ არაფერი იცის.ჩემს ბატონს სახუცს ვკითხე და თავი კინალამ წავაგე. შენ მაგ მიმინოებს მოუარე გირჩევენია, თორემ კისერს წავაწყვეტო. რავალა გავიღებდი ხმას.
 - სხვას ვერა ჰკითხე?
 - წავალ, ქალბატონო, შენი რისხვა ნუ მომეცემა და კიდევ ვეცდები, იქნება გავახერხო რამე. მაგას რავა ვერ გავიგებ.
 - აბა შენ იცი, ჩემო კუწუწავ, თუ გინდა ერთი კარგი მზითვიანი ქალი გაგირიგო.,
 - ცდას არ დავაკლებ, თქვენი ჭირი შეეყაროს კუწუწას და, თუ რამეს გავხდი, მაშინვე მოგახსენებ.
 - აბა შენ იცი. ახლა წადი.
- კუწუწამ მდაბლად დაუკრა თავი ელენეს და უკუღმა ბიჯებით გავიდა ოთახიდან, ელენემ კი მაშინვე იხმო ბესიკი და თუმცა სული მიდიოდა ეკითხნა, რისთვის გგზავნიან სპარსეთსო, მაგრამ თავის სურვილს მოერია და შორიდან დაუწყო საუბარი.
- ბესიკი, ცხადია, მიხვდა, რისი გაგებაც სურდა ერეკლე მეფის ასულს და თავი ფრთხილად ეჭირა, რომ არა დასცდენოდა რა. ელენეს კითხვებზე გაურკვეველ პასუხს იძლეოდა და ცდილობდა თვითონ მისთვის დაეყარა უამრავი კითხვები, რომ ამით მოეგერიებინა ეს სასიფათო თავდასხმა.
- როგორ შეეგუე იმერეთს? – ჰკითხა ელენემ ბოლოს.
 - ეგ თქვენთვის უნდა მეკითხა, თქვენო ბრწყინვალეზავ. მე აქ სულ თვე-ნახევარიც არ არის რაც ჩამოველ,თქვენ კი უკვე გაიმერელებული ბრძანდებით.
 - იჰ, კარგია, მაგრამ მე მაინც ჩვენი ქალაქი მირჩევენია. ჯერ მარტო ჩვენი აბანოები რადა ღირს. ცხელი წყალი, პირდაპირ მიწის გულიდან რომ ამორბის...
 - აქაც, ამბობენ, არისო...
 - აქა? ქუთაისში; არა, აქ არ არის. აი ხონისკენ რომ წახვალ, იქ, ერთ ადგილას ამოქუხს ტუბო წყალი, მისთვისაც იმ ადგილს წყალ-ტუბოს უხმობენ. ამბობენ, ნიკრისის ქარებს, ხუთვას და კიდევ ბევრ ავადმყოფობას უხდებო. დავრდომილები განუკურნავსო, მე არა ვყოფილვარ. მართლა, გავიგე – სპარსეთს მიდიხარ, მართალია?
 - ვინ გითხრათ, თქვენო ბრწყინვალეზავ? – ღიმილით ჰკითხა ბესიკმა, – ჯერ იმერეთს არც მოვსულვარ და სპარსეთს რა მინდა?!
 - არა, ალბათ, გგზავნიან, თორემ თითონ რად უნდა წახვიდე. შენ მითხარი, მართლა მიდიხარ თუ არა?
 - აბა რა ვიცი. მეფემ მკითხა, გავიგე სპარსეთი მოგივლია, როგორი გზაა, მითხარი, ყაენთან კაცი მინდა გავგზავნო და რა გზით უნდა წავიდელო.
 - მაშ, შენ არ მიდიხარ?

– არ ვიცი, იქნებ მეც მიბრძანოს წასვლა. ჯერ არა უბრძანებიათ რა.

ელენემ გამოძვლილი თვალთ დაფინებით დაუწყო ცქერა თავის მოსაუბრეს. ბესიკმა გაუძლო მის ცქერას და გულუბრყვილოდ გაუღიმა. ამ გაღიმივამ რატომღაც დაამშვიდა კახთ-ბატონის ქალიშვილი და მან ახლა ისე უდარდელად ჰკითხა თავის მოსაუბრეს: – ნეტავ რა საქმე აქვს სოლომონს ყაენთანო, – თითქოს აღარც კი სურდა პასუხის მოსმენა. ეგონა, რომ ბესიკმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

– მე მგონია, რუსებისაგან გაწბილებული, ახლა ყაენის დახმარებით ცდილობს ხონთქართან მორიგებას, – უთხრა ბესიკმა ელენეს. – სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ყაენთან სოლომონს.

– ჰო, შეიძლება! – აბნეულად უპასუხა ფიქრებშიწასულმა ელენემ და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: – ალექსანდრე ამილახვარს რუსეთს აგზავნის, სპარსეთს კიდეც შენ ან სხვა ვინმეს. მე ეჭვი მაქვს, რომ მამაჩემის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ. თუ რამე იცი, ბესიკ, ჩვენი სიყრმის მეგობრობას გაფიცებ, ჩემს ძმას ლევანს გაფიცებ, მართალი მითხარი.

– დამშვიდდი, თქვენო ბრწყინვალე, – გაიცინა ბესიკმა, – მე რაც მოგახსენე, იმის მეტი არა უნდა იყოს რა. ლომები თუ ღრენენ, განა ყოველთვის ესხმიან თავს ერთმანეთს. ერეკლე ბატონს სამი უდიდესი მპყრობელი ვერას აკლებს და იმერთა მეფემ კიდეც რომ განიზრახოს, რა უნდა დააკლოს.

– არ ვიცი, გული საგულეს კი აღარ მაქვს და... – ვითომ დამშვიდდა ელენე, მაგრამ ბესიკი გაისტუმრა თუ არა, მაშინვე თავის ქმარს ეცა და საყვედურებით აიკლო: ერეკლე ბატონის სიძე ხარ და არ გინდა დაინახო, რომ სასახლეში შენი სიამამის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენო. შენი ძმა უსირცხვილოდ თვალს გვიხვევს, პირში გვეფლიდება, ნამდვილად კი სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარის-ძეს იბარებს და ქართლის თავად-აზნაურთა ამბოხებას ამზადებსო.

– რა იცი, რომ მაგრეა? – ჰკითხა ცოლს გაკვირვებულმა არჩილმა.

– როგორ თუ რა ვიცი, ყური მოვკარი ბერი წულუკიძის და იოანე აგიაშვილის საიდუმლო ჩურჩულს – ალექსანდრე ამილახვარს დავითხოვო და თურმე რუსეთს თითონა გზავნის...

– როგორ გზავნის? ჩვენ გვითხრა, დავითხოვო... – გააგრძელა სიტყვა არჩილმა და მერე სწრაფად დასძინა: – სოლომონი მე ტყვილს არ მაკადრებს.

– მაშ, მე გატყუებ?..

– იქნებ ცდებით, ბატონო ჩემო...

არჩილი უფრო თავის თავს იმშვიდებდა, რადგან საოცარი გაბრაზება იცოდა და უნდოდა აცდენოდა ძმასთან სასტიკ შეჯახებას. – იქნებ ცდებით და ცუდად მოგესმათ...

– სპარსეთს რაღად აგზავნის კაცს? რად არ გაგიმზილა, რაზე თათბირობდა საიდუმლოდ დიდებულებთან? რადა ხარ ასე გულუბრყვილო. კარგი, შენ თუ არა გსურს მასთან გადაჭრით ლაპარაკი, მე ვიკისრებ და ვნახოთ...

ამ სიტყვებმა საბოლოოდ ააფეთქა არჩილი. მაშინვე მიიჭრა ძმასთან, ცალკე ოთახში გაიხმო, კარები ჩაჰკეტა და სიბრაზისაგან აცახცახებულმა უთხრა:

– მართალია, მეფე ხარ, მაგრამ ეს მაინც არ მეკადრებოდა შენგან!

– რა მოხდა, რა მოგივიდა? – ჰკითხა წარბშეკვრით სოლომონმა.

– ძმა ვარ შენი თუ არა?

– ძმა ხარ!

– მაშინ რა გაქვს შენ ჩემთან დასაფარავი მითხარი ერთი, რა გაქვს?

– არაფერი... – სოლომონმა კიდეც დააპირა რაღაცის თქმა, ცოტა ხანს შეჩერდა და მერე დასძინა: – შენთან დასაფარავი, რაც მე და შენ შეგვეხება, არაფერი არა მაქვს. ისე, შე კაცო, შენც ბევრი რამე არ გითქვამს ჩემთვის, მაგრამ მაგაზე არ წავჩხუბებოვარ.

– მე არ მითქვამს?

– შენმა ძმამ (და ჩემმა ძმამ) იოსებმა რომ წერილი მოგწერა, თუ ჩვენი ძმობა გწამს და არ გინდა, რომ იმერეთის სამეფო მტრის კერძი გახდეს, ერეკლეს დესპანები სადადიანოში არ გაუშვავო, გახსოვს?

არჩილი შესცქეროდა ძმას და ხმას არ იღებდა.

– გახსოვს ხომ? – გაუმეორა კითხვა სოლომონმა, – როგორ მოხდა, რომ ეს ბარათი ერეკლეს ჩაუვარდა ხელში? რას მიპირებდა შენი სიმამრი ხომ იცი? ისიც კარგად იცი ახლა, რასაც მიპირებს, მაგრამ არაფერს არ მეუბნები. თუკი მე არ უნდა მქონდეს შენთან რაიმე დასაფიცავი, შენ რატომღა მიფიცავ? „ეგრე მტრისა არ მეშინის, ის აშკარად მაწყინარობს. მოყვარესა მტერსა ვუფროთხი, მეფლიდება, მოლიზდარობს“.

– მე არაფერს არ გიფიცავ, – უთხრა მცირე ხნის დუმილის შემდეგ არჩილმა, – ამდენი ხანია ტახტზე ზიხარ და მუდამ ერთგულად გემსახურები. მე ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ვიყავი და მაშინ გეუბნებოდი, რომ თუ იმერეთის ბედნიერება და ძლიერება გასურს, ქართლ-კახეთის მეფესთან მუდამ თანხმობა და ძმობა უნდა გქონდეს-მეთქი. ამ დაქვეულ დროს ეს ჩვენი საქართველო ოცდაათ ნაწილად იყო დაქუცმაცებული. ყოველი წვინტილიანი თავადი თავს მეფედ აცხადებდა, მაგრამ რაკი იმერს როგორც იქნა შენ მოუყარე თავი, ამერს კიდევ – ერეკლემ, იმდენი მაინც უნდა ვიღონოთ, თუ საქართველოს მთლად ვერ გავაერთიანებთ, თანხმობით მაინც ვიყოთ-მეთქი. ამას გეუბნებოდი მუდამ, გეტყვი ახლაც და ყოველთვის, ვიდრე ცოცხალი ვიქნები. ამ მიზნით დაუშოყვრდი კიდევაც ერეკლეს და შევირთე იმის ქალი, რომელიც, როგორც მოგეხსენება, დიდი თვალტანადი არ არის, მაგრამ მე ვიფიქრე, ამით საბოლოოდ დავაკავშირებ ამ ორ დიდებულ ოჯახს და ამ ჩვენს წამებულ ქვეყანასაც საბოლოოდ რაიმე ეშველება-მეთქი. მას შემდეგ ვარ გაკრული თბილისისა და ქუთაისის შუა საზიარო ძალლივით, იქით ერეკლეს კარზე უნდა ვუყეფო შენს მტრებს, აქეთ შენს კარზე იმის მტრებს. აღარ შემიძლია მეტი. კარგი, ბატონო, ხვალვე გავემზავრები თბილისის და შევეცდები დავარწმუნო ჩემი სიმამრი, თუ მართლა რამე განუზრახავს შენს წინააღმდეგ, ხელი აიღოს, მაგრამ შენც უნდა მომცე პირობა, რომ მის საწინააღმდეგოდ ერთ ნაბიჯს არ გადადგამ.

– ბატონი ბრძანდები.

– არც აღექსანდრე ბაქარის-ძეს მოიხმობ სპარსეთიდან?

– არ მოვიხმობ. – სოლომონმა შეატყო არჩილს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ აცალა და თვითონ განაგრძო: – შენს სიმამრს უთხარი, არაფერი შენთან საცილო და სამტრო არა მაქვს და მეგობრობის მეტი მე არაფერი არა მსურს, კვანტებს ნუ მიღებ, თორემ იმისთანა მოგვერდს გაგიკეთებ, რომ სანანებლად გაგიხდი-თქო.

ამ საუბრის შემდეგ არჩილი დაუყოვნებლივ გაემზავრა თავის მეუღლესთან ერთად თბილისის და, ვინაიდან ქართლ-კახეთში მოგზაურობის დროს მოსალოდნელი იყო მოთარეშე ლეკთა თავდასხმა, ამაღად სამასი კაცი იახლა.

* * *

არჩილ ბატონიშვილს მალე მოუხდა თბილისიდან დაბრუნება, რადგან მოულოდნელად გარდაიცვალა იმერთა კათალიკოსი იოსები და სოლომონმა მაშინვე აცნობა ძმას ეს ამბავი. არჩილთან ერთად ქუთაისის ჩამოვიდნენ ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი ბატონიშვილი, სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი და ქართლ-კახეთის სამღვდელთა წარმომადგენელი თბილელი ეპისკოპოსის მიხეილის მეთაურობით. მათ ექვსასი კაცი ახლდა ამაღად და როდესაც ისინი ქალაქში შემოვიდნენ, მთელი ქუთაისი გამოეფინა კახთბატონის ჯარის სანახავად. სოლომონი მთელი თავისი დიდებულებით გელათში იყო და ჩამოსულ სტუმრებს მხოლოდ ეზოს მოძღვარი შეეგება. მან არჩილს მიუსამძიმრა უფროსი ძმის

გარდაცვალება და ურჩია დაუყოვნებლივ წაბრძანებულიყო გელათს. არჩილი მაშინვე გაემგზავრა თავის სტუმრებთან ერთად და ამაღაც იახლა.

გელათში ტევა არ იყო. იქ იყვნენ მოსულნი ეპისკოპოსნი ცხუმაფხაზეთისა, გურიისა, ჭყონდიდისა, მღვდელმთავრები არგვეთისა, ცაგერისა, ნიკორწმინდისა, ბედიისა და ქუთათელი ეპისკოპოსი მაქსიმე, რომლის შესახებ მღვდლები უკვე ჩურჩულობდნენ, რომ იმერეთის კათალიკოსად სოლომონ მეფის დასტურით ეგ იქნება ნაკურთხიო.

უამრავი სამღვდელეობისა და დიდგვარიანი თავადების გარდა გელათს, კათალიკოსის დაკრძალვის დღეს, ახლომახლო სოფლებიდან ზღვა ხალხი მოაწყდა სეირის საყურებლად და გასაძლომად. გალაენის გარეთ გრძელი ფანჩატურები იყო გამართული, სადაც მეფის მზარეულთუხუცესი და მისი მეტაბლენი ლობიოთი, მჭადით და ერთი ჯამი ღვინით უმასპინძლდებოდნენ ყველას, ვინც კი არ უნდა მისულიყო სუფრასთან. თავადთა და აზნაურთათვის ტაძრის ეზოში ცალკე ფანჩატური იყო გამართული, სადაც ლობიოსა და მჭადის გარდა თევზეული და სეფისკვერი მოჰქონდათ სუფრაზე.

ნაშუადღევს ხალხში უცბად გავარდა ხმა, თბილისიდან უფლისწულები მობრძანდებიან დიდი ამაღითო და ყველა ფერდობზე გამოეფინა. წყალწითელას ნაპირზე მართლაც მალე გამოჩნდნენ უამრავი ცხენოსნები.

– ერეკლეს ჯარი, ერეკლეს ჯარი, – გაისმა ხალხში ჩურჩული და ყველამ გაფაციცებით დაუწყო ცქერა მოსულ ლაშქარს.

ყველაზე მეტად ხალხი გააოცა იმან, რომ რუსის ჯარით ყველას ერთნაირი ტანსაცმელი ეცვა: შავი ჩონა-ახალუხიც, წულა-მესტებიც. მხედრებში ერთი კაციც არ იყო ისეთი, რომელსაც მეორესაგან განსხვავებული არა თუ სამოსი, არამედ თოფი ან ხმალი ჰქონოდა. თითქოს ერთ ყალიბში იყო ჩამოსხმული ყოველი მათგანის იარაღიც და საჭურველიც. ცხენებიც ფერის მიხედვით იყვნენ დაჯგუფებულნი რაზმებად და ყოველივე ეს თვალს საამოდ იტაცებდა.

– ა, კაცო, ჯარი ამას ჰქვია, – იძახოდნენ ქუთაისლები. – რავა ერთი დედ-მამის შვილივით არის ყველა.

– აგრე რო ჩამაცვა და მაგისთანა ჯარში გამიშვა, ხო დევიკარგე და ვინლა მამებნის მერე? – გაიხუმრა ვიღაცამ.

ლაშქარი წყალწითელას ნაპირზე ჩამოქვეითდა, დიდებულები კი ტაძრის რკინის ბჭეებამდე მივიდნენ ცხენებით. აქ მათ თვით მეფე შეეგება. მისულებმა მიუსამძიმრეს სოლომონს ძმის გარდაცვალება და ყველანი ტაძარში შევიდნენ. საერთო მისალმების დროს დავით ორბელიანმა თვალი მოჰკრა ბესიკს, სურდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ამ ორომტრიალში ვერ მოახერხა და ახლა მოთმინება არა ჰყოფნიდა, უნდოდა მალე შეხვედროდა ქართლიდან განდევნილ თავის მეგობარს. ორივეს ბევრი რამ ჰქონდა ერთმანეთისათვის საამბობი.

მზე უკვე დასავლეთისაკენ იყო დახრილი და დამდნარავით ლივლივებდა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა და სოლომონი თავის სტუმრებიანად ქუთაისს გაემგზავრა. გელათში მარტო სამღვდელონი დარჩნენ.

სოლომონი მიხვდა, რომ არჩილს ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე და სარდალ-სანლთუხუცესი მარტო სამძიმრისთვის არ გამოჰყოლოდნენ თბილისიდან. მართლაც, მეორე დღეს მათ მოახსენეს იმერთა მეფეს, რომ ერეკლეს მიერ მოლაპარაკება ჰქონდათ დავალებული და ვინაიდან დრო არ ითმენდა, სთხოვეს – დაუყოვნებლივ შედგომოდნენ თათბირს.

სოლომონი დათანხმდა.

თათბირი სატახტო დარბაზში მიმდინარეობდა. სოლომონის დიდებულთაგან, არჩილის გარდა, თათბირს ესწრებოდნენ მხოლოდ ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი. გიორგი უფლისწულმა გულახდილად მოახსენა სოლომონს, თუ რა ცუდი ამბები მიდიოდა ერეკლე

მეფეს იმერთა მეფის მოქმედებაზე. მოაგონა, რომ მათ დადებული ჰქონდათ ურთიერთშორის ხელშეკრულება, დამტკიცებული რუსეთის იმპერატორის მიერ, მუდმივი მეგობრობისა და დახმარების შესახებ; მოაგონა კიდევ, რომ არასოდეს ისე არ დაჭირებოდა ამიერ და იმიერ საქართველოს მჭიდრო მეგობრული კავშირი, როგორც ახლა.

– ჩვენ ხომ ერთი ქვეყანა ვართ, უკუღმართი ბედით ორად გაყოფილი. განა არ გვმართებს, რომ მოზღვავებულ მტერთა წინააღმდეგ ერთობლივად ვიყოთ? ბატონ მამაჩემს კი ცნობა მოუტანეს, სოლომონი ქართლში სათარეშოდ აქეზებს ლეკებსა და ახალციხის ფაშასო.

– მე კი ამბავი მომიტანეს, ერეკლე ბატონი ჩემს წინააღმდეგ ქელემ-ბეგ შერვაშიძეს და კაცია დადიანს ამხედრებსო. როგორ მოვიქცე ახლა? მიბრძანეთ!

– ისე მოიქეცი, როგორც ბატონი მამაჩემი მოიქცა. ჭორებს ნუ დაუჯერებთ. ქელემ-ბეგ შარვაშიძისა და კაცია დადიანის მორჩილება ჩვენ მოგვანდეთ. ერთიც და მეორეც მზად არის ერთგულება კვლავ შემოგფიცონ, ოღონდ, ბატონის თხოვნა არის, თქვენმა უმაღლესობამაც განუფანტოს ყოველივე ეჭვი და რამოდენიმე მისი თხოვნანი შეასრულოთ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს კარზე ავერ რამდენი ხანია თავშეფარებულია თქვენი ბიძის-ძე დავით უფლისწული თავისი მეუღლით, დედით და დით. დიდებულ იმერთა მეფეს არ ეკადრება თავის სახლის ნათესავი ლტოლვილი ჰყავდეს, თქვენ კი ფიქრობთ, რომ ბატონი ერეკლე მას ტახტის მოცილედ გიმზადებთ. განსაფანტავად ყოველივე ეჭვისა, ბატონი ერეკლე გთხოვთ, თქვენს სამფლობელოში მიუბოძოთ თქვენს ბიძის ძეს მცირე მამული და ამით ბოლო მოეღება ყოველივე ეჭვებს.

სოლომონს ეს ამბავი ძალზე გაუხარდა და პაპუნა წერეთელს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა – ეს კარგი საქმეა, მაგრამ სად დავასახლოო.

– ჩემთან ახლო დასახლე, ბატონო, – მიეშველა პაპუნა წერეთელი მეფეს, – წირქვალში, სამოსახლო ხომ საარაკოა, ის მამულები მაინც ბიძათქვენს ეკუთვნოდა ძველათ და ახლაც მისი იქნება. მერე მეც ახლო ვიქნები და თქვენის ბრძანებით ვემსახურები.

სოლომონმა და პაპუნამ ერთმანეთს გაუღიმეს, რადგან პაპუნას „სამსახური“ იმას გულისხმობდა, რომ დავით უფლისწული თავის ზედამხედველობის ქვეშ ეყოლებოდა და მისი ფეხის ყოველი ნაბიჯიც კი არ გამოეპარებოდა.

უკვე აშკარა იყო, რომ თუკი აქამდე ერეკლე დავით უფლისწულს სოლომონის მეტოქედ ამზადებდა, ახლა უკვე ასეთ განზრახვაზე ხელი აეღო და მართლა მეგობრობა სურდა იმერთა მეფესთან. ამიტომ სოლომონმა განუცხადა ერეკლეს წარმომადგენლებს: მიბრძანეთ და ყოველივე თქვენი მოთხოვნის აღმასრულებელი ვარ, რაც კი ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატებაო. მდივან მწიგნობარი ბესიკ გაბაშვილი იხმო და მაშინვე დააწერინა წყალობის სიგელი, რომლითაც დავით გიორგის-ძეს უწყალობა სოფელი წირქვალი ბალ-ვენახებით, ყმით და მამულით, საწალიკის მთა საშემედ და სანადიროდ, წონას საბალახო მინდვრები და ათასი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

ამ შეთანხმებამ საერთო სინარული გამოიწვია. მგლოვიარება უფლებას არ აძლევდა, თორემ, ალბათ, ზეიმით და ჩირაღდნით აღნიშნავდა სოლომონი გიორგი უფლისწულის სტუმრობას და ერეკლესთან დადებული ხელშეკრულების განმტკიცებას.

სალამოს მაინც აპირებდა სტუმრებს რივიანად გამასპინძლებოდა, მაგრამ მოულოდნელად ისეთმა ბნელამ მოუარა, რომ აღარც კი ეგონათ, თუ გადაიჭანდა.

მთელი საათი ეგდო უგრძობლად და როდესაც გონს მოვიდა, კარგა ხანს ვერ შეძლო ადგომა.

კარისკაცნი და დიდებულნი პირმოკუმული უხმოდ დაბორიალობდნენ ოთახებში, უძწეოდ შლიდნენ ხელებს და ხანდახან ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

- დიდი დღე არც მაგას უწერია, ღმერთო, შენ უშველე და შეიწყალე.
- ერთი ექიმი მაინც გყავდეს, რომ მიხელოს და თან ახლდეს.

– შევუთვალეთ, ცალკე რომის პაპს შევუთვალეთ, ცალკე რუსეთის იმპერატორსაც, ერთი ექიმი გამოგვიგზავნეთ, რომ განუყრელად ახლდეს მეფეს-თქო. არ დაადგა საშველი. რეინგესი იყო ექიმი და არ გაჩერდა. სხვა არავინ არი.

– ეპ, ექიმი რას უშველის ავზნიანს.

სტუმრებს ისევ არჩილ ბატონიშვილი, პაპუნა წერეთელი და ბერი წულუკიძე მოეპატრონენ. არჩილმა ბოდიში მოიხადა, მეფე შეუძლოდ ბრძანდება და ამ საღამოს ვერ გინახულებთო.

დავით ორბელიანმა, როგორც იქნა, იხელთა დრო ბესიკთან სასაუბროდ და ორივენი სამღივნო დარბაზში წავიდნენ. დავითის ნახვით გახარებული ბესიკი მოუთმენლად მოელოდა მასთან საუბარს.

– როგორა ხარ, ბიჭო, – ღიმილით მოუთათუნა ბეჭებზე ხელი დავითმა. – ვეღარც კი გიცან, მთლად იმერლად ქცეულხარ. თმა აგიჩჩია, მხარზე ფაფანაკი მოგიგდია, ჩვენში დაბრუნებას აღარ აპირებ?

– განა ბატონი შემინდობს? – ხმის კანკალით ჰკითხა ბესიკმა და მის გულში იმედის ნაპერწკალმა იელვა.

– ეპ, აღარ შეგინდობს, – უთხრა წარბშეკვრით დავითმა. – არათუ შენ, იქნებ დავბრუნდე და მე შენზე უარესი დღე დამადგეს.

– როგორ?

– ჩემზე რატომღაც გული აიყარა. ვიღაცას შევუსმენივარ, ბატონიშვილ ლეონს აქეზებს, დროა ტახტი შენ გეპყრასო. სისულელეა, მაგრამ მაგას, ბოლოს და ბოლოს, ისეთი ზნე დასჩემდა, აღარ იცის რაზე მოუვა გული და ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა გყავდეს.

– ჩემი გაქცევა რომ შეიტყო, ხომ არავინ დაუსჯია?

– არავინ. მე მგონია, იცოდა, რომ ეს საქმე ლეონმა მოაწყო და არა უთქვამს რა.

– სხვა, თბილისს რა ამბავია? მიაბზე ყოველივე, როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე და ჩემი მფარველი თამარი? როგორ ბრძანდება ლეონი? კიდევ სხვის ცოლებს ეკურკურება? ოპ, როგორ გამეხარდა, რომ დავით გიორგის-ძე და ჩვენი პატარა ანიკო იმერეთს მოდიან და აქ დაესახლებიან. ანიკოს მალე, ალბათ, შვილი შეეძინება?

– იქნებ იმერეთის დედოფლობაც ეღირსოს, – დაბალი ხმით წასჩურჩულა დავითმა. – სოლომონის შვილი ალექსანდრე უფლისწული ავადმყოფია და მამამისივით ბნელიანი. ვეჭვობ, რომ ტახტზე ასვლა ეღირსოს. მამამისთანაც უბრად ყოფილა. სოლომონის უმცროსი ძმა ბაგრატე გიჟია და დაბმული ჰყავთ...

– ანიკოს ქმარზედაც ამბობენ, გიჟიაო, მაგრამ არა ეტყობა რა, თუმცა ბაგრატზე მითხრეს, რამდენჯერაც ახსნეს და გარეთ გამოუშვეს, თურმე, მაშინვე გაიქცა სადღაც, სკორე მონახა და ყველას ემუქრებოდა, უნდა გესროლოთო...

– აბა გიჟი ეგ ყოფილა! მოხუმარი! – გაიცინა დავითმა. – ეპ, თურმე როგორ დასჯის ხოლმე ღმერთი ადამიანს!

– ახლა გადაუწყვეტიათ, ცოლი შერთონ, დაჭკვიანდებო. ალბათ, კიდევაც შერთავენ. მას შემდეგ, რაც სოლომონმა ბერი წულუკიძე დაიახლოვა და მისი ქვრივი და, ქაჯაიას ნაცოლარი შეერთო, დიდი უკმაყოფილება ჩამოვარდნილა იმერ თავადთა შორის. მეფემ წულუკიძეს თავადობა უწყალობა და ისე დაიახლოვა, რომ იმის დაუკითხავად, მგონი, არ იძინებს. გაგიჟებით უყვარს და ამბობს, მეფე მე კი არა ბერი წულუკიძეაო. იგი მართლა ჭკვიანი კაცია დიდებულთა შორის, წერა-კითხვა ცუდად იცის და არავითარი განათლება არა აქვს, მაგრამ ვეჭვობ, რომ ისეთი გამჭრიახი მეორე მოიძებნებოდეს იმერეთში. აქ კარგად განათლებული პაპუნა წერეთელია, რომელსაც მართლა და დიდი გავლენა აქვს სამეფო კარზე. ამბობენ, რომ წინათ სასახლეში დაწინაურებულნი ყოფილან სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, სარდალი თამაზა მესხი, მერაბ ნიჭარაძე და კიდევ რამდენიმე დიდგვაროვანი თავადი, მაგრამ ახლა არც ერთი აღარ ეკარება მეფეს; მას შემდეგ, რაც სოლომონი დაუმოყვრდა წულუკიძეს და პირველ კაცად განადა, მათ სასახლეში ფეხი აღარ დაუდგამთ. ამბობენ, რომ ალექსანდრე

ბატონიშვილი აბაშიძის წაქეზებით შემოწყრა მამამისს, აზნაურის ქვრივი რად მომგვარე დედინაცვლადო. და ისეა გულმოსული, რომ კათალიკოსის დაკრძალვაზედაც არ მოსულა. მართალია, კაცი კი გამოუგზავნია და შემოუთვლია, შეუძლოთა ვარო, მაგრამ ტყუილია, განგებ არ მოვიდა. ახლა მეფემ, დავით გიორგის-ძეს მამულები რომ უწყალობა წირქვალს, ეგ მამულები ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა ჩამოერთვას.

– თითონ სად სახლობს ბატონიშვილი?

– კარგად არ ვიცი, იმ მხარეს არა ვყოფილვარ, ჩხერის ციხეს ამბობენ, იქ უნდა იყოს, შორაპნის ციხეს იქითაა, ძირულის ხეობის გაგრძელებაზე, ქართლის საზღვართან.

– კარგი, ახლა ყური ახლო მოსწი, აქ ხომ არავინ გვისმენს? – მიმოიხედა დავითმა და ჩურჩულით განაგრძო: – ბატონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ლეონი... – დავითმა სიტყვა აღარ დაამთავრა, ჯერ აღმოსავლეთისაკენ გაიხედა და ცალი თვალი ეშმაკურად მოხუჭა მერე მეორე თვალთ ადვილზე ანიშნა, ისიც ისევე მოხუჭა და თავის ამ თავისებური მოძრაობით უთხრა, რომ ერეკლე აპირებს ლეონი იმერეთში გაამეფოსო.

– ვიცი! – უპასუხა ბესიკმა და თვითონაც თვალების მოძრაობით ანიშნა, საეჭვოა, რომ ამ განზრახვიდან რამე გამოვიდესო.

დავითის სახეზე კითხვა გამოისახა, რატომო.

– ჯერ საამისო დარს ვერ ვგრძნობ და არც იმედი მაქვს, რომ ოდესმე დადგეს, – უპასუხა ბესიკმა, – მართალია, აქ წყალი ამიღვრა, ცაც მოღრუბლულია და ქარიშხლის სუნიც ტრიალებს, მაგრამ, სანამ სოლომონი ცოცხალია, ქვიტკირის კედელს ქარი ვერას დააკლებს. ჩემი თქმა რად გჭირდება, ეს შენც კარგად იცი, სარდარო, იმერთა მეფეს ჩემზე უკეთ იცნობ და გინახავს საქმენი მისი. დადიანი და შერვაშიძე ფინიებივით არიან, დახურული კარიდან ჰყეფენ და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავენ.

* * *

გიორგი ბატონიშვილისა და სოლომონის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. იმერთა მეფემ ერეკლეს წარმომადგენლობას წყალობის სიგელები გაატანა დავით უფლისწულთან, ხოლო თვით ქართლ-კახეთის დიდებულ მეფეს შეუთვალა სამარადისო ერთგულება და აღუთქვა ალექსანდრე ამილახვრის განდევნა იმერეთიდან.

ქართლელთა წასვლის შემდეგ სოლომონი ჯერ ვარციხეს გაემგზავრა და შემდეგ სკანდეს, რადგან საოცარი სიცხეები დაიჭირა და ეშინოდა ბნედის მოვლა არ გახშირებოდა. ალექსანდრე ამილახვარი ივლის-აგვისტოს აპირებდა რუსეთს გამგზავრებას, როდესაც შესაძლებელი იყო კავკასიონის უღელტეხილზე გადასვლა და ამიტომ სოლომონმა იგი თან იახლა, მეფეს სურდა რუსეთთან ურთიერთობა კვლავ აღედგინა და გადაწყვიტა ამილახვრისთვის გაეტანებია იმპერატრიცასთან და ნიკიტა პანინთან გასაგზავნი წერილები.

ბესიკის სპარსეთს გამგზავრება გადაიდო. სოლომონმა მას სამეფო სამდივნოს მოწესრიგება დაავალა. მწიგნობართუნუცესის გოგია აბაშიძის ხელში მთელი საბუთები, მიმოწერანი, სიგელები, პატრუცაგები, დავთრები ისე იყო აწეწილ-დაწეწილი, რომ ხშირად რამე საჭირო ქალაქის მოძებნას მთელი თვე უნდებოდნენ.

ამ საბუთების დალაგებას დიდი დრო სჭირდებოდა, ამიტომ ბესიკი მეფეს არ გაჰყოლია და ქუთაისში დარჩა. გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და დიდიდან საღამომდე სამდივნოში ატარებდა, ქალაქებს ახარისხებდა და მერე ყოველ მათგანს დავთრებში ნუსხავდა. მართალია, თანაშემწედ სამი მდივანი ჰყავდა (მხიარული და მუდამ ლაქლაქა ლევან ნიჟარაძე, ქალების მოყვარული და დათვივით მოუხეშავი ივანე ამირანაშვილი, სიცილში და ლაპარაკში ერთნაირად ყროყინა დავით ლაშხიშვილი), მაგრამ ხელნაწერების გარჩევა სამივეს უჭირდა და ამიტომ მთელი ქალაქების შედგენა, წერა და წაკითხვა ბესიკს უხდებოდა.

სასახლის ქვედა პალატში იყო სამდივნო, სადაც, მიუხედავად ზაფხულის სიცხისა, მუდამ გრილოდა და ამიტომ მუშაობაც არ იყო ძნელი. სამდივნოს ავეჯს ერთი განიერი ტახტი და სალტით მოჭედილი რამდენიმე ზანდუკი შეადგენდა. მდივნები თურქულად ტახტზე ფეხმოკეცილნი წერდნენ. მარცხენა ფეხი დაწვენილი ჰქონდათ, ხოლო მარჯვენა შემართულად მოკეცილი ისე, რომ მუხლს შეესრულებინა მაგიდის მოვალეობა. სამთავენი ისე იყვნენ შეჩვეულნი ამგვარად წერას, რომ როდესაც ბესიკმა ღურგლებს მაგიდები გააკეთებინა და სამდივნოში დადგა, მდივნებმა ვერც კი მოახერხეს მაგიდაზე დაყრდნობილიყვნენ და ისე ეწერათ. ისევ ძველებურად ირჩევდნენ ფეხმორთხმას, მაგრამ ბესიკმა აიძულა ისინი შეჩვეოდნენ მაგიდასთან მუშაობას. რამდენიმე დღის შემდეგ მდივნები მართლაც შეეგუენ ამ ახალ წესს და ახლა უკვე ხალისით სხდებოდნენ ხოლმე მაგიდასთან.

მართალია, თვე-ნახევარზე მეტი მოუნდა ბესიკი სამდივნო დავთრების მოწესრიგებას, მაგრამ ამავე დროს მას საშუალება მიეცა გაცნობოდა მთელი იმერეთის ყოფა-ცხოვრებას, დიდებულთა ურთიერთ-დამოკიდებულებას და ამ ქვეყნის წარსულს. რა არ აღმოაჩინა ბესიკმა პირამდე სავსე ზანდუკებში. ძველისძველი წერილები, თვით დავით ნარინის დროინდელი სიგელები, რომელთა წაკითხვა ბესიკმა ძლივს შესძლო და ბევრი სიტყვა სრულიად ვერ გაარჩია, სხვადასხვა ენაზე ნაწერი პატრუცაგები იმერთა მეფეებისა, რომის პაპებისა, სულთანებისა და ფაშებისა, ღრამატები რუსეთის მეფეების, მიმოწერა ტოტლებენტთან და სუხოტინთან, მოურავოვის, იაზიკოვისა და ლვოვის პატაკები და მოხსენებები, კერძო წერილები და თავადთა, აზნაურთა და მღვდელმთავართა მიერ ერთმანეთის დაბეზლებანი მეფის წინაშე, ლექსები, ზმები, მუნასიბები, წარმოთქმული მგოსანთა მიერ და მრავალი ამგვარი რამ. წიგნებიც ნახეს ქართული და უცხოური. ერთი თათრულად ნაწერი წიგნი დასურათებული იყო. ივანე ამირანაშვილი კინალამ გაგიჟდა სიხარულით. ჩაავლო წიგნს ხელი და ისე გაშმაგებით დაუწყო თვალიერება, რომ ახლოს არავინ გაიკარა.

– თქვენი ჭირიძე, რა ვნახე ეს, – დუღუნებდა ივანე, – ამის დამხატავს არ უნდა დაუკოცნო ხელები! ეს რა ვნახე! სტამბოლის ხელობაა, ეტყობა. რა ნახატია. ცოცხლებივით არ არიან ეს ქალები შიგ ჩახატული?! თქვენ გენაცვალეთ. აწი აღარაფერი მიჭირს. ესენი, ბიჭო, ანგელოზები არიან, სამოთხის ანგელოზები, იმიტომ დაუნახატავთ ასე გულმოდელილები.

– რაია, ბიჭო, მაი? – წვრილი უღვაშების გრეხით ეუბნებოდა თმახუჭუჭა ლევან ნიჟარაძე და თან ცდილობდა წიგნში ჩაეხედა, რადგან ივანე მას იდაყვის გაკვრით იგერიებდა, – ნახატს რა თავში ვიხლი, შენ ცოცხალი ქალი დამანახვე აგრე, ცოცხალი...

– ჰე, ჰე, ჰე, – ყროყინებდა დავით ლაშჩიშვილი და მხრებს ისე უცნაურად სწევდა მალლა, თითქოს ფრინველივით გაზმორებას აპირებდა. – მარტო დანახვას რა ჭკუა აქვს, შე სულელი. დანახვით – გინდა დახატული გინახავს, გინდა ცოცხალი, ერთი არაა?

სამდივნო საქმეების დამთავრებამ ბესიკს საშუალება მისცა ოჯახის საქმეებისათვისაც მიეხედა. ზაქარია ურჩია შვილებს საკუთარი სახლის მშენებლობა წამოეწყით. ქვა და კირი ქუთაისში ბევრი იშოვებოდა, ხე-ტყის მასალაც აუარება იყო და საქმეს კიდევაც შეუდგნენ. მით უმეტეს, ზაქარიამაც მიიღო მრევლი ქუთაისში და შემოსავალი გაუჩნდა. იოსების გარდაცვალების შემდეგ კათალიკოსად მაქსიმე ქუთათელი იქნა არჩეული, ქუთათელად კი მიტროპოლიტი დოსითეოზი და ამ ადგილების გადანაცვლებამ ზაქარიასაც გამოუნახა თავისი ადგილი. მას არქიმანდრიტობა ებოდა და ახლა უკვე იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ შეეძლო შვილთან ერთად საკუთარი სახლის შენებას შედგომოდა; ყმა გლეხებს ბეგარად ქვის მასალა და ქვიშა მოაზიდვინეს, ხოლო დაქირავებულმა კალატოზებმა კედლები სწრაფად ამოიყვანეს. თვე-ნახევრის შემდეგ, როდესაც ბესიკი თავის სამდივნო საქმეებს მორჩა, ხუროებმა უკვე სახურავის სათავე ამართეს და გადასაკიდების ჩამწკრივებას შეუდგნენ.

ზაქარია აბრეშუმის თხელი ანაფორით და ხელში კრიალოსნით, თუ ეკლესიაში არა სწირავდა, თავზე ადგა მუშებს და ბევრი ლაპარაკით უფრო აცდენდა მათ ვიდრე საქმეს

აკეთებინებდა. მოხუცს საოცრად უხაროდა საკუთარი სახლის აგება და დღეში ერთი ათჯერ მაინც უნდა შემოევლო შენობის გარშემო, მოესინჯა კედლები, სათითაოდ შეემოწმებინა კოჭებად გათლილი ძორები, დაეთვალა დახერხილი ფიცრები და როდესაც ყოველივე ამით გულს მოიჯერებდა, გააბამდა ოსტატებთან გაუთავებელ სჯა-ბაასს, უკითხავდა სახუმარო ლექსებს და ზმებით ემაირებოდა რაჭველ ხუროებს. ერთხელ მათ ლექსად დაწერილი და საოცრად გაჭიანურებული საკუთარი თხზულება „თავებისა და კაჭის ომი“-ც კი წაუკითხა.

შენობა საკმაოდ დიდი წამოიწყეს. ქვედა სართულის პალატი ორი ნახევრისაგან შედგებოდა. ერთი ზამთრის სადგომი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე საკუჭნაო. ზედა სართულში კი ხუთი ოთახი იქნებოდა, დიდი და ფართო აივნით. ზაქარიას სურდა მთელი ოჯახი ერთად და განუყრელად ყოფილიყო, ოთახები წინასწარ გაანაწილა და ყველას თავისი პატრონის სახელი შეარქვა.

სადამოებით, როდესაც მთელი დღის მუშაობით დაღლილი ბესიკი შინ ბრუნდებოდა, აუცილებლად უნდა გაევილო თავის ახალ ეზო გარემოში. უკვე შორიდან დაინახავდა ხოლმე თელის ძირას, სამფენა სკამზე ჩამომჯდარ მოხუც მამას, რომელიც კრიალოსანს ათამაშებდა და თვალყურს ადევნებდა ხუროების მუშაობას. ზაქარია მოკრავდა თუ არა თვალს საყვარელ შვილს, მაშინვე წამოიჭრებოდა ფეხზე და შეეგებებოდა.

– დაიღალე, შვილო? – ეუბნებოდა იგი ბესიკს. – დღეს მაინც ძალიან ცხელა, გუშინდელზე უფრო. მთავრდება, მთავრდება ჩვენი სასახლე. შემოდგომამდე საკუთარ ჭერქვეშ ვიქნებით.

ბესიკი ღიმილით უსმენდა მამამისს და შენობას ათვალეიერებდა. ყოველდღე ის მოუთმენლად მოელოდა თავის სამსახურის დღის დამთავრებას და მოისწრაფოდა, რომ მშენებლობა ენახა. შენობა მის თვალწინ დღითი დღე იზრდებოდა, მთავრდებოდა და ბესიკი ყოველთვის, როდესაც კი სადამოებით შემოუვლიდა სახლს, რაიმე ახალს წამოწყებულს ან დამთავრებულს აუცილებლად ნახავდა, კიდევაც რომ ვერ შეეძინა, მამამისი მაინც უჩვენებდა, რაც გაეკეთებინათ ოსტატებს დღის განმავლობაში და შემდეგ ორთავენი ერთად მიდიოდნენ თავიანთ ნაქირავებ ბინისაკენ სასამხროდ.

გზადაგზა ზაქარია აუცილებლად ჩამოუგდებდა სიტყვას შვილს ცოლის შერთვაზე და ემუდარებოდა, დროზე მოკიდებოდა ოჯახს. ბესიკი ჩუმად უსმენდა და თუმცა მამამისი ათას ისეთ ქალს უსახელებდა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ოჯახიშვილობით, მზითვეით და სილამაზით, არასოდეს არ გამოუჩენია სურვილი, თუნდაც ერთხელ მაინც ენახა რომელიმე მათგანი ან ვინაობა გაეგო. მას მუდამ მღვიმის მონაზონი უდგა თვალწინ და ისე იყო მოჯადოებული ამ ქალის მშვენიერებით, რომ არავის სახელის გაგონება არ სურდა. როდესაც სოლომონმა დავით გიორგის-ძეს წირქვალის მამულები უწყალობა და ბესიკმა გაიგო, რომ საოცნებო არსება, მომხიბლავი ანიკო, იმერეთში უნდა გადმოსახლებულიყო, მართალია, გაუხარდა, მაგრამ ისევ თავისი მონაზონი მოაგონდა. სოფელი წირქვალი იქვე მღვიმის გვერდით იყო და ბესიკს გუნებაში პირველად იმის სასიხარულო გრძნობამ გაუელვა, რომ საშუალება ეძლეოდა ანიკოს ნახვის საბაბით მონაზონი ენახა. სადუნამ ხომ საწუგემო ამბავი ჩამოუტანა და ახლა ბესიკი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც საშუალება მიეცემოდა კიდევ ერთხელ ენახა ის, ვისთვისაც გული ასე ტკბილად ეკუმშებოდა. მართალია, დიდი და თითქმის გარდაუვალი დაბრკოლება აღმართულიყო მის წინაშე. სამეფო კარის მდივან მწიგნობრისათვის ნაბიჭვარის შერთვა დიდი თავგანწირვა იყო. ახლა ბესიკის ერთადერთ ნუგემს სოლომონი წარმოადგენდა, რომელიც აზნაურის ქვრივის შერთვით თვითონ იძლეოდა სულგრძელობის მაგალითს და შეუძლებელს შესაძლებლად ხდიდა. მაგრამ იყო მეორე, უფრო ძნელი დაბრკოლება. ღვთისათვის შეწირული არსების გათხოვება არ შეიძლებოდა და ამას ეკლესია მით უფრო არ აპატიებდა ზაქარია მოძღვრის შვილს. მართალია, სადუნა ჩასწურჩულებდა, რა გინდა, ბატონო, შენ ოღონდ მიბრძანე და იმ ქალს ისე მოგვეკრი

ქუთაისში ძე სულიერი ვერას გაიგებსო. მაგრამ ბესიკისათვის ეს არ იყო საკმარისი. ზაქარია და მისი მეუღლე აუცილებლად გამოიკვლევდნენ ამ ქალის ვინაობას და ელდა ეცემოდათ. უძგობესი იყო ბესიკს წინასწარ გაემხილა მშობლებისათვის ყოველივე, მაგრამ ვერც ამას ბედავდა. იცოდა თავისი მამის ჯიუტი ხასიათი და თუკი ის ერთხელ იუარებდა, მერე საქმე დაღუპულად უნდა ჩათვალიდა. აღარაფრის გულისათვის მოხუცი თავის სიტყვას არ გადათქვამდა.

ივლისის მიწურულს ქუთაისში დავით გიორგის-ძის მოურავი ჩამოვიდა. მას სოლომონის სიგელით ნაწყალობები ყმა და მამულები უნდა ჩაებარებინა, უფლისწულისთვის სადგომი ბინა მოეწყო და ბატონიშვილის მთელი ოჯახი შემოდგომამდე გადმოებარებინა ქართლიდან. მოურავმა ბესიკს დავითის მეუღლის ანიკოს ბარათი მოართვა.

“ჩემს სანატრელ მგოსანს ბესარიონ გაბაშვილს მისი გულდამწვარი ანა, იმერთა ბატონიშვილის მეუღლე მრავალ მოკითხვას მოგახსენებ. მერე შენი ამბავი ვიუწყებ, რომ სოლომონ მეფის კარზე ასეთის პატივით და დიდებით მიღებული ყოფილხარ. ახლა ამას გვედრები, აქ სხვის კარზე სამოწყალოდ ცხოვრებამ თავი გამაბეზრა და ვისწრაფი, რათა საკუთარ მამულში დავბინავდე. სოლომონ მეფეს და სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს შემავედრე ამ ჩემს მოურავს იასაულები აახლოს და ყმა და მამული ჩააბაროს. რაც მალე მორჩება საქმე, ის მიჯობს. ამას გთხოვ, ბევრითა იყავ და რაც სიგელში წერია ყოველივე უკლებლივ ჩაგვაბარონ. ეს საქმე თქვენთვის დაგვივალებია და დიად დიად დაგიმადლებთ“.

ბესიკი მაშინვე გაემგზავრა სკანდეს და თან გაიყოლა ანას მოურავი. იქ იმედი ჰქონდა, რომ სოლომონი ანიკოს თხოვნის თანახმად მამულების ჩაბარებას მას დაავალებდა, სადუნასაც ნახავდა, რომელსაც თან გაიყოლებდა. ბესიკს უნდოდა კიდევ ერთხელ ენახა მომხიბლავი მონაზონი, განეცადა სანეტარო აღტაცება, რომელიც ავიწყებს ადამიანს უდიდეს დაბრკოლებას. თუ მართლა ბედს ეს სანეტარო ასული მისთვის განეკუთვნებინა, ბესიკს უნდოდა სოლომონ მეფისათვის ეთხოვნა ნებართვა ამ ქალის შერთვისა.

* * *

არასოდეს არ განუცდია ბესიკს ასეთი აღელვება.

როდესაც მოსახვევიდან მღვიმევის მონასტერი გამოჩნდა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, თითქო ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა.

წყნარი დღე იყო. მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრებოდა და თბილ ჰაერში ჩაწოლილი ლივლივებდა.

ცაში დინჯად ცურავდნენ შავარდნები.

ლურჯად მოკაშკაშე ყვირილა ხმაურით გადარბოდა ქვებზე. წყლის ნაპირზე მსუბუქად დახტოდნენ ბოლოქანქალები.

მალლა ატყორცნილ ფრიალო კლდეებზე ალაგ-ალაგ თრიმლის ბუჩქები წამოზრდილიყვნენ, ხოლო ლავგარდანებზე მწვანე ნაბდის მონძებებით დაკიდულიყო კატაბარდისა და მაცვლის დახლართული ბარდები.

ბესიკმა კვლავ ახედა მონასტერს, რომელიც უკაცრიელს ჰგავდა.

მეზავრებმა ცხენები აღმართს შეუყენეს. წირქვალისაკენ მიმავლებს გზად მაინც მონასტრის გვერდით უნდა გაევლოთ, იქიდან ზეგანზე ასულიყვნენ და ბუჩქნარით დაფარულ სერებს გაყოლოდნენ.

სადუნამ ბესიკს წინ გადაუსწრო, ცხენს მათრახი გადაჰკრა და კლდეზე მიკლაკნილ ბილიკზე სწრაფად დაწინაურდა. მას უნდოდა მონასტერში შეეგლო, წინამძღვარი გაეფრთხილებინა, რომ მეფის კაცები მობრძანდებოდნენ. ის კი აუცილებლად ალაყაფთან გამოეგებებოდა მეფის დიდ მოხელეებს.

ბესიკი თვალს არ აშორებდა სადუნას, რომელიც დაკიდულ ბილიკზე თითქოს წაღმა-უკუღმა ატარებდა ცხენს. მალე იგი თვალთავან მიეფარა და, როდესაც დანარჩენმა მხედრებმა აივაკეს, მონასტრის ბჭეებთან მათ მართლაც დაინახეს მოხუცი წინამძღვარი და მონაზონთა მთელი გუნდი.

მხედრები ჩამოქვეითდნენ. ბესიკს ვიღაცამ ჩამოართვა ცხენის სადავე, არც კი შეუმჩნევია ვინ. მთელი მისი ყურადღება ახლა მონაზონთა გუნდისაკენ იყო მიპყრობილი, რომ თვალი მოეკრა იმ წარმტაცი ასულისთვის, რომლისთვისაც ასე გამალებით უცემდა გული. გულდასმით შეათვალიერა ყველა, მაგრამ ის ქალი მონაზონთა შორის არ იყო.

არც სადუნა ჩანდა და ბესიკს გუნებაში გაუელვა, რომ შეიძლება ის, მონასტერში, სწორედ იმ ქალთან საუბრობსო...

...ან არწმუნებდა, რომ გამოსულიყო და დანახვებოდა ბესიკის.

...და უცებ წარმოიდგინა: ჩაუვლია ხელი სადუნას ლოყებატკეცილ მონაზონისათვის და ეუბნება სიცილით: – „გამოდი, გოგო, ნუ ხარ სულელი“. „უიმე! – ეუბნება ქალი, – მომკალი და ნუ გამომიყვან“. – „გამოდი, გოგო, შენი ნახვის გულისათვის თავს იკლავს ის კაცი“, – „მომკალი და ნუ გამომიყვან“...

წინამძღვარმა ყველანი ტაძარში მიიწვია პარაკლისის გადასახდელად. ბესიკი წინ მიდიოდა როგორც საპატიო სტუმარი და მეფის მოხელე პირი.

ეზოში მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ ვერ დაინახა. პარაკლისის დროსაც რამდენჯერმე მოიხედა უკან, ვერც იქ დაინახა სანატრელი ასული. სადუნაც სადღაც გაქრა და პარაკლისი ისე დამთავრდა, რომ არ გამოჩენილა.

როდესაც მონასტრიდან გამოვიდნენ და ცხენებზე სხდებოდნენ, ბესიკმა ძალაუნებურად იკითხა, სადუნა სად არისო.

– ზევითაა ბატონო, გზაში დაგიხვდებათ, – უთხრა ბესიკს ერთ-ერთმა მონაზონმა.

მხედრები შესხდნენ ცხენებზე და აღმართს შეუყვვნენ. ანიკოს მოურავი გვერდით მიჰყვა ბესიკს და რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ, მას, ფიქრებში წასულს, არაფერი არ ესმოდა. ვერ გაეგო მიზეზი, თუ რატომ არ გამოჩნდა ის ქალწული მონაზონი, ან სად გაქრა სადუნა და რისთვის გავიდა ადრე მონასტრიდან.

...იქნებ სადუნამ განგებ გაიყვანა ქალი გალავნიდან, რომ ბესიკისთვის შეეხვედრებინა და გაეცნო. მონასტერში ეს ხომ შეუძლებელი იყო. მონასტრის გარეთ, მოშორებით, ვითომ შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს, დაელაპარაკებოდნენ...

...იქნებ ისე ოსტატურად მოაწყო საქმე სადუნამ, რომ მარტო ბესიკი შეახვედროს მასთან. თანამგზავრებს ეტყვის თქვენ წინ წადითო და ბესიკს წასჩურჩულებს, ის ქალი, ბატონო, იმ კლდეს ამოფარებული გიცდისო...

რა არ გაიფიქრა ბესიკმა იმ ხნის განმავლობაში, სანამ აღმართს აივაკებდნენ და ცხენებს კლდეში ამოჭრილ საფეხურებით მალლა აიყვანდნენ... მარცხნივ მონასტრის სასაფლაო გამოჩნდა, ხოლო მარჯვნივ, პატარა ბორცვზე სრულიად განცალკევებით მოჩანდა ახალი საფლავი, რომლის ახლოს იდგა მკლავებმოსხლეტილი და თავდახრილი სადუნა.

* * *

სოლომონის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა.

სასახლის კარზე გავლენის დაკარგვით განაწყენებული დავით აბაშიძე კარგა ხანია აღარ გაჰკარებია მეფეს. მართალია, სახლთუხუცესობა მას ჩამორთმეული არ ჰქონდა, მაგრამ პაპუნა წერეთლისათვის ამავე თანამდებობის ბოძება ნიშნავდა, რომ მეფე დავითს კარგი თვალთ არ უცქეროდა და, ცხადი იყო, თავიდან უნდოდა მოეშორებინა. დავითიც მიხვდა ამას, ავადმყოფობა მოიმიზეზა, მეფეს ნებართვა გამოთხოვა და თავის კარ მიდამოს მიაშურა. მას

შემდეგ ქუთაისისაკენ პირი აღარ უქნია. ნათესავები ურჩევდნენ, ხლებოდა მეფეს, ეკითხა მისთვის, თუ რა მიზეზის გამო აღარ წყალობდა, მაგრამ დავითი უარზე იყო.

თუ ვუნდივარ, თვითონ მიბრძანებს ვეახლო, თუ არა და ისე რა მსჯის, ქედი მოვიდრიკო და მათხოვარვით წინ ავეყულო. გუნებაში კი მოუთმენლად ელოდა, აი აგერ დამიძახებს მეფე, აი აგერო.

ღრო მიდიოდა, მაგრამ სოლომონს თითქოს სულაც დაავიწყდა დავითი. არათუ იხმობდა, იმის ამბავსაც არ კითხულობდა.

მალე დავითთან სიარულს მოუხშირეს სხვა შერისხულმა თავადებმა. ჯერ არგვეთელი თამაზა მესხი ესტუმრა და თავისი გულის დარდები გაუზიარა, შემდეგ მერაბ ნიჟარაძე მოჯირითდა მთელი ამალით და ხელების შლით მოახსენა ჩრდილში შეყუჟულ სახლთუხუცესს:

– რაა ბატონო, ეს, რაა? ბარემ ევიყართ ყველა და ისაა. ქვეყანა მარტო ბერი წულუკიძის და პაპუნა წერეთლის ყოფილა, ჩვენ რაღა ვართ, კაცად აღარავინ გვაგდება. ვინ ვართ ერთი, გამაგებიეთ, თქვენი ჭირიძე, ვინ?

სამივე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სანამ სოლომონი მეფობდა, სასახლის კარზე გავლენის მოპოვების იმედი დაკარგული უნდა ჰქონოდათ. საჭირო იყო სოლომონის თავიდან მოშორება, მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ვერ იყო კარგად განწყობილი იმერთა მეფესთან და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მას ტახტიდან გადააყენებდა. მერაბ ნიჟარაძის აზრით, თუკი შეთქმულნი შეძლებდნენ სოლომონზე შემომწყრალი ალექსანდრე ბატონიშვილის თავის მხარეზე გადაბირებას, მაშინ ადვილი იყო ერეკლეს დახმარებით იმერეთის ტახტზე მამის ნაცვლად შვილი აეყვანათ.

ალექსანდრე ბატონიშვილი კარგა ხანია, რაც ჩხერის ციხეში ცხოვრობდა და იშვიათად გამოდიოდა გარეთ. მამამისმა მას, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სულ ათი წლისაც არ იქნებოდა, მთელი ზემო იმერეთის მამულები უბოძა საწალიკიდან ხანის მთამდე და შორაპნიდან ქვიშხეთამდე (ცხადია, გარდა იმ მამულებისა, რაც აბაშიძეებს და წერეთლებს ეკუთვნოდათ). პირველად ბატონიშვილს ეგონა, მართლა დიდი ქონების მემკატონე ვარო, მაგრამ, როდესაც ადგილზე მოითვალა, აღმოჩნდა, რომ გაუგალი ტყით დაფარული მთების გარდა ბევრი არაფერი ჰქონდა სახარბიელო. მთელ მის ამ თვალუწვდენელ მამულზე სულ ათასი კომლიც კი არ ესახლა და უმეტესობას ხეირიანი სახნავი მიწები არც კი გააჩნდა. ერთადერთი, რითაც თავი უნდა ენუგეშებინა ბატონიშვილს, ეს იყო უთვალავი სანადირო ადგილები და სათევზაო მდინარეები. ირმის ხორცი და ფორაჯა კალმახი ისე ხშირად ჰქონდათ სუფრაზე, რომ არათუ ბატონიშვილს, ფარეშებს და მეციხოვნეებსაც კი მობეზრებული ჰქონდათ.

ჩხერის ციხე, სადაც ბატონიშვილი მუდმივად ბინადრობდა, მაღალ წვეტიან კლდეზე იყო აგებული და საცხოვრებლად ბევრად არც კი იყო მოხერხებული. ეზო მას სრულიად არ გააჩნდა. სამხრეთ დასავლეთის მხრიდან ამოყვანილი ჰქონდა სათოფურებით დახვრეტილი დიდი და მაღალი კედელი, საიდანაც თავი გამოეყოთ ციხის ჯაზაირებს. აქვე იყო მეციხოვნეთა საცხოვრებელი ოთახები, ბატონიშვილის სასადილო და სასტუმრო დარბაზი. ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან, ზედ კლდის წვეროზე, აგებული იყო პატარა სამლოცველო, გვერდით კი – გომურის მსგავსი სადგომი, სადაც ბატონიშვილი იძინებდა ხოლმე. ამ სადგომზე მოდგმულ სამლოცველოს სამხრეთ აღმოსავლეთით ეკვროდა მაღლა ამართული საყარაულო კოშკი, სადაც მუდმივად მორიგეობდნენ გრძელწულიანი თოფებით შეიარაღებული მეციხოვნენი, რომელთაც ისეთი გამჭრიახი თვალი ჰქონდათ და ისე იყვნენ შეჩვეულნი შორ მანძილზე ყოველგვარ სულდგმულის მოძრაობის შემჩნევას, რომ არაფერი გამოეპარებოდათ. კოშკიდან მოჩანდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაშლილი ჩხერიმელას თვალუწვდენი ხეობა, ქართლისაკენ მიმავალი, ნასროლი ქამანდივით დაკლაკნილი გზა,

რომელსაც სივიწროვისათვის მოსაკიდელს უწოდებდნენ და ერთმანეთზე ფეხმიდგმული მთების საძირკველზე ჩუქურთმასავით დახვეული და ლურჯად მოკამკამე ჩხერიმელა.

ავღრიან ამინდში ციხე ხშირად ღრუბლებში იყო გახვეული, ხოლო დილაობით იგი აბჯარასხმული რაინდით გადასცქეროდა ხეობაში ჩაწოლილ ნისლს. ციხე დარბაზს მხოლოდ ერთი მისასვლელი ჰქონდა ჩრდილოეთის მხრიდან. ამისთვის საჭირო იყო მაღალი მთის სერზე ასვლა, რომელიც ამ ციხეს ზედ ებჯინებოდა და თავზე დაჰყურებდა. სერის დასასრულს, მთის ქიმზე ქვის კოშკი იდგა, რომელიც ჩხერის ციხეს დარაჯვით ადგა თავზე. აქედან კიდევ შეიძლებოდა ცხენით მისვლა, მაგრამ აქ კი ყოველი ცხენოსანი უნდა ჩამოქვეითებულიყო და ფეხით გაეგლო ის ბეწვის ხიდივით ვიწრო ბილიკი, რომელიც კოშკსა და ციხე-დარბაზს შუა იყო ჩაკიდული და მარჯვნივ და მარცხნივ უფსკრულს გადაჰყურებდა.

დილიდან საღამომდე ციხეში მიმსვლელი არ ილევოდა. საბატონო გლეხებს ყოველდღე მოჰქონდათ სურსათი, კოკებით ან ტიკებით ღვინო, მოჰყავდათ საკლავი, ეზიდებოდნენ შეშას. არ ილევოდა სტუმარიც. ხაბაზები და მზარეულები დილიდანვე დაკაპიწებულნი ტრიალებდნენ. თვითონ ბატონიშვილი იშვიათად ტოვებდა ციხეს და ან წიგნებს კითხულობდა, ან სტუმრებთან საუბრით ერთობოდა. სანადიროდაც იშვიათად წავიდოდა, რადგან საოცრად ბეცი იყო, თვითონ სროლა არ შეეძლო, ტყიან ადგილებში ცხენით სიარული უჭირდა, ტოტებს გვიან არიდებდა თავს და მთელი სახე მუდამ დაკაწრულ-დასისხლიანებული ჰქონდა ხოლმე. ამიტომ შინ ყოფნას არჩევდა და თუ საიდანმე ჭადრაკის მცოდნე ეწვეოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი თვით დააბამდა სტუმარს.

თმა, წარბები და წამწამები სრულიად თეთრი ან, უფრო სწორად, ბაბუსაგადალას ფერი ჰქონდა. „დაბადების დროს ანგელოზები დასწრებიან და მათი ნათელი ადგასო“, – ამბობდნენ გადიები. ამ თმის ფერით და საოცარი ჭორფლიანი ხელებით ბატონიშვილი ისე გამოირჩეოდა ყველასაგან, როგორც ქოჩორა ვარიებში გარეული ბატის ჭუკი. გლეხები ერთი შეხედვით ცნობდნენ მას, რაგინდ მრავალრიცხოვან ცხენოსანთა მარაქაშიაც არ უნდა ყოფილიყო. „წმინდანია, წმინდანი, მაგის წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა“, – ამბობდნენ მოხუცი დედაკაცები მის დანახვაზე და პირჯვარს ისახავდნენ.

ამ განდგომილად ცხოვრების ბრალი იყო, ალბათ, რომ ბატონიშვილს სტუმარი საოცრად უყვარდა და პატივს სცემდა. სტუმრებიც არ წყვეტდნენ გულს და დღედაღამ მის ციხე-დარბაზში ტრიალებდნენ. განსაკუთრებით მეფის უკმაყოფილო თავადები. მათ შორის ყველაზე მოუშორებელი მერაბ ნიჟარაძე იყო, რომელმაც დაიარა გაბუტული თავადების ოჯახები, სადაც საიდუმლო ხლართები გააბა, შემდეგ ეახლა ბატონიშვილს და მელიასავით წინ გაუგორდა.

ჯერ ნარდი ეთამაშა, ხუმრობითა და მუნასიბებით გაართო, მერე, ვითომ სხვათა შორის, წამოიძახა:

– ღმერთო ნუ მიწყენ და ამ ჩვენს ევგენ აბაშიძეს მზეთუნახავი გასათხოვარი ქალი ჰყოლია, უკეთესის მნახველი არა ვარ. თუ იტყვის ადამიანი, დედოფლობა ეკადრებაო, ისაა სწორედ.

ბატონიშვილმა, ცხადია, არ იცოდა, რომ მერაბ ნიჟარაძეს თავის თანამოაზრებთან ერთად წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მისთვის ევგენ აბაშიძის ქალი შეერთო. ევგენ აბაშიძეს შეურიგებელი მტრობა ჰქონდა სოლომონ მეფესთან და ამ ორი მოწინააღმდეგის ახლა ერთმანეთთან დამოყვრებით, განაწყენებული თავადები გარეგნულად ვითომ ფიქრობდნენ მათ შერიგებას, ნამდვილად კი ცდილობდნენ მამა-შვილს შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ. მერაბმა იცოდა სოლომონის ჯიუტი ხასიათი და ამიტომ იმედი ჰქონდა, რომ მის ვაჟს ალექსანდრეს, ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს, საბოლოოდ გადაამტერებდა მამასთან, თუკი მას ევგენ აბაშიძის ქალს შერთავდა.

– დედა, რა ქალია თქვენი ჭირიმეთ, – განაგრძობდა მერაბი და თან ნარდს აჩხაკუნებდა, – ის რომ ეკლესიაში საკურთხეველის კარებში გააჩერო, თუ არ ვილოცო ზედ, როგორც ღვთისმშობელზე, ერთ წუთს ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. ჩარი სე, კამათელო. ეს რა თამაში გცოდნია, ბატონიშვილო, ხელი ვერ გამოვირე. ფანჯი რაში მჭირდებოდა ახლა... საფერიცვალებოდ უნდა მეწვიოთო, ევგენ აბაშიძემ შემოგიტოვალათ. თუ ინებებთ წვევას, მეც გაახლებით. თქვენ არ გინახავთ იმის ქალი?

– არ მინახავს, – უპასუხა ღიმილით ბატონიშვილმა. მას სიამოვნებდა, რომ ლამაზსა და თანაც გასათხოვარ ქალზე ესაუბრებოდნენ. ქალის შერთვის სურვილი კარგა ხანია გულში უხიციანებდა.

– რას ბრძანებთ? არ გინახავთ? – გაოცდა მერაბი, – აბა, ლაპარაკი აღარ უნდა, ნახავთ თუ არა, მაშინვე ეკლესიაში წაიყვანთ და იფსკვნით გვირგვინს, თქვენ არ მომიკვდეთ. მერე რა კარგ საქმეს იზამთ, ევგენ აბაშიძეს მამათქვენთან შეარიგებთ და ამ ჩვენს ქვეყანას ერთი ბურჯი შეემატება. ისე, რომ თქვას კაცმა, დროა კაი ქალი შეირთოთ. ამ ციხეში უცოლოდ რა გამაძლებიებს, ან რაფერ ძლებთ, ის მიკვირს. მერე, შენი ჭირიმე, ჩვენს მეფეს ერთადერთი შვილი ჰყავხარ და შვილიშვილი არ ეჩქარება? ასე რაფერ შეიძლება! მტერი და ავი, ღმერთმა კარგად გამყოფოთ და ჯვარი გწერია, მაგრამ რამე უბედურება რომ დაგვატყდეს თავს, ქვეყანა უპატრონოდ უნდა დარჩეს და ხალხს იმედი სულ ამოუწყდეს? შვილი ახლა ერთი კი არა ხუთი უნდა დაგიბოდეს, თუ მეტი არა. ერეკლე მეფეს, ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს, ჯერ მარტო შვილები დაურბის იმდენი, რომ დათვლას ვერ ახერხებს და შვილიშვილებს ზომ ნულა იკითხავ. ჩვენ რა ღმერთი გავიწყვრა. მერე, შენი ჭირიმე, ჩემი და შენი ცოლის შერთვა ერთი კი არაა. მე გინდა შემირთავს ცოლი, გინდა არა, ქვეყანას ამით არც დააკლდება რამე, არც მოემატება. შენი ქალის შერთვა, ბატონიშვილს ვენაცვალე, სახელმწიფო საქმეა და დროზეა საჭირო.

მერაბმა შეატყო, რომ ბატონიშვილს ცოლის შერთვა მართლა ჩაუვარდა გუნებაში. ამ საუბრის შემდეგ თითქოს რაღაც დაღვრემა დაეტყო და ფიქრებში გაეხვია. საერთო საუბრის დროს თუკი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ევგენ აბაშიძეზე, ეს ეშმაკივით შეჩენილი კარისკაცი ამჩნევდა, რომ ალექსანდრე მაშინვე გამოცოცხლდებოდა. მართალია, თვითონ საუბარში არ ჩაეროდა და არც არაფერს იტყოდა, რომ თავისი განწყობილება არ გამოემჟღავნებინა, მაგრამ სახეზე სინარულის თუ ალტაცების ისეთი იერი გადაურბენდა, რომ გამოუცდელი თვალიც კი შეამჩნევდა.

მაღე მერაბ ნიჟარაძეს თანამოზიარენი და დამხმარენი აღმოუჩნდნენ. ჯერ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და შემდეგ სარდალი თამაზა მესხი, რომელთაც მერაბის აზრი მოიწონეს და ბატონიშვილს მოსვენებას აღარ აძლევდნენ, ეს საქმე გადასადები აღარ არის და დროზე დავაგვირგვინოთო.

ალექსანდრე ერთხანს ყოყმანობდა. მამის უკითხავად ვერ ბედავდა ცოლის შერთვას და მოისურვა მოციქული მიეგზავნა ნებართვის მისაღებად. შეთქმულებმა ქვა აისროლეს და თავი შეუშვირეს.

– მაგ ყოვლად შეუძლებელია, – უთხრა მერაბმა ალექსანდრეს, – ეგ ყოვლად შეუძლებელია, შენი რისხვა ნუ მომეცემა. მამაშენს თუ ჰკითხე, ის, რა თქმა უნდა უარს გეტყვის. ჩვენ გვინდა ისე გავაკეთოთ საქმე, რომ ეს დიდებული თავადები რამეფრად შევარიგოთ მეფესთან და ამიტომ, იმის უკითხავად უნდა იქორწინო. შენ გგონია, გეტყვის რამეს თუ რა?! პირიქით, გაუხარდება, ჭკვიანი შვილი მყოლია და მტრად მოკიდებული დიდებული მეგობრად და მოყვარედ გამიხადო. თუმცა წინასწარ რაზე იწუხებ თავს, ჯერ ვნახოთ ის ქალი და მერე გადავწყვიტოთ ყველაფერი. იქნება სულაც არ მოგეწონოთ და ეს ვაიუშველებელი წინასწარ რაზე ავტეხოთ. მე გეტყვი აბა კარგად. სანადიროდ წამობრძანდით, ასე გადაუყვეთ ამ ღორეშის სერებს, გავაჭვროთ ცხენები და ვითომ უცაბედად ვეწვიოთ

თქვენს სასიამოროს. გავხედ გამოვხედოთ და, მერე რავარც ღმერთი გვიბრძანებს, ისე მოვიქცეთ.

მართლაც, მეორე დღეს, ალექსანდრე ბატონიშვილი სანადიროდ გაემგზავრა, თან დიდებულების გარდა, დიდძალი ამაღა იახლა. პირისაფერისად ერთი-ორი საათი ტყუილუბრალოდ აღავლავეს ძაღლები სერებზე და ნაშუადღევს უკვე ევგენ აბაშიძის ეზოში, დიდ კაკლებს ძირში ისვენებდნენ. მასპინძელი აფუსფუსდა, ვითომ არც კი იცოდა, რომ ბატონიშვილი ეწვეოდა, საბუდრიდან წამოგდებული დედალივით აწიაქდა და ჩოხის კალთების ფრიალით დატრიალდა ეზოში.

— აბა, დადექით ფეხზე ყველა, დაკალით, რაც რამე გვაბადია, მონადეთ ქვევრებს თავი, ჩაუკიდეთ თონეს, ამაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში აღარ მეღირსება, — ყვიროდა ოდნავ ჭადარაშერეული წითელწვერა ევგენ აბაშიძე, ვითომ ახლა აპირებდა შედგომოდა ყველაფრის თადარიგს, მაშინ, როდესაც საკლავიც დაკლული ჰყავდა, შესაწვავიც შემწვარი და მოსახარშიც მოხარშული ჰქონდა.

მაღე სახლიდან მორთულ-მოკაზმული ქალები გამოვიდნენ და ბატონიშვილს მიესალმენ. უმეტესობას ერთნაირი ფართო ზოლიანი კაბა ეცვა და თავზე აბრეშუმის თავშალი ჰქონდა მოხვეული. პირველად ბატონიშვილს ევგენ აბაშიძის დედა მიესალმა, რომელმაც დალოცა უფლისწული, პირჯვარი გადასახა და შემდეგ ხელზე ეამბორა. დანარჩენები უბრალოდ ეამბორენ ხელზე და სათითაოდ ეკითხებოდნენ, ხომ კარგად ბრძანდებიო, ღმერთმა ჯანმრთელად და ბედნიერად გვიმყოფოს თქვენი თავიო. ყველაზე ბოლოს ბატონიშვილს ევგენის ქალიშვილი მიუახლოვდა. მერაბ ნიჟარაძემ მოასწრო წაეჩურჩულებინა ალექსანდრესათვის:

— კარგად დააკვირდი, ეგაა... — და, ვითომ სხვა რამეზე ელაპარაკებოდა, ხმამაღლა დასძინა: — კი, ბატონო, სწორედ აგრე ვიზამთ. უკ, ღმერთო მომკალი, ეს ჩვენი მასპინძლის ქალიშვილი გახლავთ, ბატონიშვილო...

ევგენის ქალს ჯერ არც კი ეთქმოდა ქალიშვილობა. იგი თითქმის ბავშვი იყო, მაგრამ მთელ მის გარეგნობას ის თავისებური მიმზიდველი ელფერი გადაჰკრავდა, რაც ვაჟკაცს თავბრუს ახვევს და სისხლს უმღვრევს ხოლმე. სახე, მართალია, არც ისე ლამაზი ჰქონდა, მაგრამ ნუშისმაგვარი დაბინდული თვალები და კბილთა მარგალიტივით ელვარება მას მომზიბვლელს ხდიდა. ბატონიშვილმა დაურიდებლად შეათვალიერა ახალგაზრდა ქალი და მაშინვე გამოუცხადა თავის შუამავალს, რომ თანახმა იყო ახლავე წასულიყო ეკლესიაში ჯვარის დასაწერად.

* * *

მერაბ ნიჟარაძეს იმედი გაუმართლდა. სოლომონმა გაიგო თუ არა, ჩემმა ვაჟმა ევგენ აბაშიძის ქალი შეირთო, ისე განრისხდა, რომ კინაღამ თავი წააცალა ამბის მიმტანს. მაშინვე შეუთვალა შვილს: თუ გსურს ყოველივე გააბატო და კიდევ შვილად ჩავთვალო, ახლავე გაცილდი შენს ახლად შერთულ ცოლს და ჩემთან გამოცხადდი, თორემ მერე გვიან იქნებაო.

ალექსანდრე შეშინდა და, მართალია, სიამართან დიდის განცხრომით სტუმრობდა, ისევ თავის ციხე სიმაგრეს მიაშურა. სოლომონისაგან ყოველივე მოსალოდნელი იყო და ამიტომ არათუ ციხის ბჭესთან, გზებზედაც კი ყარაულები დააყენა. მამას ბარათით ქალთან განშორებაზე უარი შეუთვალა, პირიქით, ლოცვა-კურთხევას სთხოვდა და ემუდარებოდა, შერიგებოდა მის სიამარს ევგენ აბაშიძეს. პასუხის მოლოდინში წამდაუწუმ ეკითხებოდა თავის ახალ მეგობრებს — მერაბ ნიჟარაძეს და თამაზა მესხს:

— რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

თამაზა მესხი ბუნებით ჩუმი და მოუქნელი კაცი, ხმას არ იღებდა და თავჩაქინდრულს თავისი გრძელი ულვაშები ისე ჩაეკიდა ძირს, თითქოს ლამობდა მიწამდე დაეწვდინა. მერაბი კი მელაისავით წრიალებდა და ისე იკატუნებდა თავს, თითქოს გაგებაში არ იყო, რა ხდებოდა ამქვეყნად.

– რას გაიგებ ადამიანისას! შვილი გაგიბედნიერდეს კაცს, ერთადერთ შვილს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს მზეთუნახავი ჰყავდეს ცოლად და რავა გაბედე მაგისტანა საქმეო? მოდი ახლა და იკითხე სამართალი! თვითონ, შენი ჭირიმე, არც ხანას დახედა თავისას, არც მდგომარეობას, მომეწონაო და დაავლო ხელი ტილიანი აზნაურის გვერდით ნაწოლ ქალს და დედოფლად დაგვიჯინა იმერეთში. მისმა შვილმა სამეფო გვარეულობის შთამომავლის ქალი, მოწვევითი ვარსკვლავი შეირთო და რავა გაბედე მაგიო, ვის ვუთხრა და რაფერ გავამხილო ამისთანა საქმე...

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონიშვილს სახლთუხუცესი დავით აბაშიძეც ეახლა და ახალი ამბავი მოახსენა: მეფეს სოფელი წირქვალი და მთელი საუფლისწულო მამული, რაც კი ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ჰქონდა ბატონიშვილს, დავით გიორგის-ძისთვის უბოძებია და ახლა ამ მამულებს იასაულები აბარებენ მოქიშპე მემკვიდრის მოურავსო.

ამ ამბავმა არათუ ბატონიშვილზე, თვით შეთქმულ თავადებზედაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ცხადი იყო, სოლომონი თავის შვილს აშკარად ემუქრებოდა: თუ ურჩობას დამიწყებ, შეიძლება ტახტიც კი არ გადირსოო.

– აქამდე მეგონა, მარტო ჩვენ არ დაგვედგომებოდა იმერეთში, – იტყვიცა შუბლზე ხელი მერაბმა, – ახლა, თურმე, ბატონიშვილსაც აღარ დაედგომება. ღმერთო მომკალი, რა გავიგონე ეს! აჰ, არა, ჩვენი საშველი არ არის, ისევ ერეკლე ბატონს უნდა შევევედროთ გვიხსნას ამ უბედურებისაგან, იმას უნდა შევაფაროთ თავი. მე ჩემს თავს რას დავებებ, ბატონიშვილის შიში მაქვს, არაფერი ავნოს ამ ყმაწვილს, ან თვალეები არ დათხარონ, ან სხვა უბედურებას არ შეჰყარონ. იმან, შენი ჭირიმე, სადაც როსტომ ერისთავის შვილი წლის ბავშვი არ დაინდო და გახურებულ თონეში ამოუწვა თვალეები, – რომ მომაგონდება, ტანში მზარავს, – ის ვის დაინდობს. ახლავე, დროზე უნდა გავეცალოთ, თორემ მერე ვინ იცის, რა დღეს დაგვიბნელებს მზის სინათლეს.

საღამოს სათათბიროდ შეიკრიბნენ. ბატონიშვილი თავის კოშკში მეუღლესთან ერთად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა, როდესაც მას დიდებულნი ეახლნენ სახლთუხუცესის დავით აბაშიძის მეთაურობით.

“ცისკრად ავდექ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილადა!

ვნახე სამი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად“.

მოესმა სამივეს უფლისწულის მეუღლის ნარნარი ხმა.

მერაბ ნიჟარაძემ გარკვევით გაშალა ხელი და წარბშეკვრით წარმოთქვა:

– ნეტავი გამაგებინა, იმ დალოცვილ რუსთაველს თქვენზე და ჩვენზე ხომ არ დაუწერია ეს ამბავი. ჭეშმარიტად, ტარიელს მაგონებ, ბატონიშვილო, თავის კოშკში რომ ჩაიკეტა ხვარაზმმას ტახტის მემკვიდრის მოკვლის შემდეგ. სამი დიდებულნიც გეახელით, მაგრამ ვაი, რომ მოციქულები არა ვართ.

ალექსანდრემ სთხოვა დამსხდარიყვნენ და ბეცი თვალეებით ყველანი დაკვირვებით შეათვალიერა.

– რას იტყვით? – ჰკითხა მან ბოლოს სამივეს და თავის მეუღლეს, რომელმაც წასვლა დააპირა, უთხრა: – შენ იყავი, ნუ წახვალ.

– რაღა უნდა ვთქვა, ბატონიშვილო, – დაიწყო მძიმედ დავით აბაშიძემ. – მამა რომ შვილს მტრობას დაუწყებს, რაღა გავიგო ამ ქვეყნის. სულ იმ ენაწუნკალი და გაიძვერა ბერი წულუკიძის ბრალია ყველაფერი. ის აღარ ჰყოფნის, რომ მეფე მოაჯადოვა და თავის ჭკუაზე ატარებს. ჯერ თავისი დაი გაურიგა, ახლა შენთან დამოყვრებაც განუზრახავს და თურმე

მოლაპარაკებელი ყოფილა თავისი მაიმახი ქალიშვილი შენტვის გაერიგებინა. ესლა გვაკლდა, წულუკიძის ქალის დედოფლობა!

– არა, შენი ჭირიმე, თუ არ გავეცალეთ ახლავე, ცუდადაა ჩვენი საქმე. – ჩაერია მერაბი, – ახლავე უნდა ავიყაროთ და ვეახლოთ ერეკლე მეფეს, იქნება იმან გვიპატრონოს და შეგვიფაროს, თორემ გათავებულა ჩვენი საქმე.

– ეგ როგორ? – შეკრთა ბატონიშვილი, – მამას განუდგე?

– განდგომა რა შუაშია, თავს მოუარე, და ეს მამაშენი ცოტა თუ არ შეაშინე, რაღაც უბედურებას შეგამთხვევს. ჯერ, შენი ჭირიმე, იმდენი ქნა, რომ სასახლიდან ამოგვაკვეთია ფენი, მოგვარა იმისთანა დედინაცვალი, თავი რომ მოეკვეთათ შენტვის ის გერჩია იმისთვის დედის დამახეხას. ახლაა და სადედოფლო ქალი რად შეირთეო, რაც მამულები გქონდა წავართვა და თითოვით შიშველი დაგტოვა. მერე უბრძანებია, ახლავე გაცილდეს მაგ ქალს და აქ მოვიდეს, ბერი წულუკიძის ქალი უნდა შევრთოო. ის ქალი გინახავს, შენი ჭირიმე? არ გინახავს? ბოდიში ამ სიტყვებისათვის და რაცხა კაცი იმას მოუწვევა გვერდში, ის, შენი ჭირიმე, ქალის უნახავი უნდა იყოს. ჯერ, ბატონო, ბებერი, ქე იქნება კარგი ოცდახუთი წლის, მერე კახა იმისთანა, რომ ერთი ხუთი მაინც ეყოლება ბუში. ერთი მიბრძანე, რა დაგიშავებია იმ მამაშენისთვის, რომ ასე გადაგეკიდა? არაფერი! მე ვიცი, შენ რა უნდა დაგეშავებინა, ანგელოზი კაცი ხარ, მაგრამ მოაჯადოვეს ბერი წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა და რასაც უნდათ, იმას აკეთებინებენ.

– თვალებს დაეთხრიო, უბრძანებია, თუ არ დამიჯერაო, – უცნაური ღუღუნით წამოიძახა როგორც იქნა თამაზა მესხმა.

– კიდევაც აასრულებს, – ხელის ჩაქნევით თქვა დავით აბაშიძემ, – კიდევაც აასრულებს. ამიტომ, შენი ჭირიმე, ახლავე ავიყაროთ და გადავცვივდეთ ქართლში. ეს შენი მეუღლეც თან წავიყვანოთ. მივიდეთ ერეკლესთან და ვთხოვოთ დაგვიდგეს შუამავლად. ჰკითხოს ერთი, რას გვერჩის და რას გვემართლება, ან შენ, ღვიძლ შვილს, ან ჩვენ სამეფო გვარის სისხლის ნათესავებს და უპირველეს დიდებულებს. ერეკლესთან რომ მივალთ, მამათქვენს შეეშინდება და აუცილებლად შერიგებას ისურვებს. ბიძათქვენი არჩილიც იქ ბრძანდება და რაღაცას ვისაშუალებთ.

– ვაი, თუ უარესად განრისხდეს, – გაუბედავად წარმოთქვა ალექსანდრემ.

– ამაზე უარესად რაღაზე განრისხდება.

– შენ საიდან გაიგე, თვალებს დაეთხრიო რომ უთქვამს? – მოუბრუნდა თამაზა მესხს ბატონიშვილი, – ვინ გითხრა?

– ზურიკო ნიჟარაძე დასწრებია ამ ამბავს და ფიცს ამბობს, ასე თქვაო. მაშინვე უფრენია აქეთ კაცი, არიქა ბატონიშვილს შეატყობინეთ, თავს უშველოს, თორემ მისი საქმე გლახადააო.

– ამ თვალებით ისედაც ვერ ვხედავ რიგიანად და ესენიც თუ დამთხარა, კარგად წავა ჩემი საქმე, – ვითომ იხუმრა ბატონიშვილმა.

ამ საუბარში იყვნენ გართულნი, რომ მოულოდნელად ბატონიშვილის ახალგაზრდა მეუღლემ სახეზე ხელები აიფარა და გულაჩუყებულმა ისეთი ზღუქუნი ამოუშვა, რომ შემფოთებული მამაკაცები მაშინვე ფეხზე წამოიჭრნენ და დამშვიდება დაუწყეს.

– ღმერთო მოკალი, ეს რა მოგვივიდა, – წამოიძახა მერაბმა, – ამ ანგელოზის გული რაფერ გაუძლებს ამისთანა ლაპარაკს. თვალების დათხრა, ანძუხზე აგება და თავის მოკვეთა კი არა, ამასთან ქათმის დაკვლაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

– მე... მე... მეშინია, ახლავე წავიდე აქედან, – ზღუქუნებდა უფლისწულის მეუღლე. – თვალები რომ დაგთხარონ, ხომ თავი უნდა მოვიკლა...

– შენი მუხლების ჭირიმე, ბატონიშვილო, – კისერი წინ წაიწვდინა, ყელზე ორი თითი წაივლო და ისე შეევედრა მერაბი, – ამის ცრემლებს ნუ დამანახვებ და ახლავე წავიდეთ აქედან. ამის პირით ანგელოზი გველაპარაკება. გვაფრთხილებს, დროზე მიხედეთ თავსო...

– მართალი ბრძანებაა, – დაემოწმა დავით აბაშიძე, – სწორედ რომ მართალი ბრძანებაა. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციხაგან. ჩვენ ყველა გეახლებით თან. ახლავე ვაფრენ კაცებს და ვინც შენი ერთგული თავადია, ყველა გეახლება. ერეკლე მეფეს იმას კი არ ვათქმევინებთ, გავჯიუტებულა და მამას განდგომიაო. შენთან მთელი იმერეთის დიდებულებს რომ დაინახავს... – დავითი უცბად შედგა და ყური დაუგლო. სადარაჯო კოშკიდან, რომელიც ციხესთან მისასვლელ გზას ჰკეტავდა, მეციხოვნის ძახილი მოისმა.

– რომელი ხარ? – იძახდა მეციხოვნე. ის, ვისაც შეეხებოდა ეს კითხვები, ეტყობოდა პასუხს აძლევდა, მაგრამ იმისი ხმა სრულიად არ ისმოდა. მეციხოვნე მის პასუხს კითხვებად იმეორებდა: – რომელი? მეფის შიკრიკი? რა გვარის კაცი ხარ? აბაშიძე? რომელი აბაშიძე? უცუცა? მუცუცა? ბუწუწა? არ გამიგონია ამისთანა სახელი, რას იმუქრები, შენი მეშინია თუ?

ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენი მეციხოვნეებიც გადმოდგნენ ციხის კედლებზე ხელში ჟინჯილებით და შეიქნა ერთი გამახილ გამოძახილი.

ბატონიშვილმა ბრძანა ახლავე მოეყვანათ მასთან მეფის შიკრიკი და მალე ქვიტკირის სენაკში თავი შემოჰყო კუწუწამ. მან გულზე ხელი დაიკრიფა, ფეხები გადაიჯვარედინა და ბატონიშვილს მიესალმა. მერე მელისავეთ შეათვალიერა ყველანი და, მართალია, სათითაოდ ესალმებოდა ყოველ მათგანს, ის უფრო ჩქარობდა გამოერკვია, ვინ იყო ბატონიშვილთან. ამიტომ ერთისთვის სალამის მიცემას ვერ ასწრებდა, რომ უკვე მეორეს შესცქეროდა და მაშინვე მზერა მესამისკენ გადაჰქონდა. ამ მისალმებაში და სათითაოდ ყოველის თვალიერებაში კუწუწამ ჩაიყო უბეში ხელი და იქიდან პატარა გრაგნილი ამოიღო.

– ეს უსტარი მეფემ გამომატანა თქვენთან, ბატონიშვილო, – კუწუწამ უსტარი დავით აბაშიძეს გაუწოდა, რადგან წესის მიხედვით მას უფლება არ ჰქონდა მიახლოებოდა უფლისწულს და პირდაპირ გაეწოდებინა მისთვის ბარათი.

– სიტყვიერად ხომ არაფერი დაუბარებია? – ჰკითხა ბატონიშვილმა, სახლთუხუცესს ბარათი გამოართვა და, სანამ გაშლიდა კუწუწას შეაცქერდა.

– ასე მიბრძანა, ეგ ბარათი თვითონ წაიკითხოს და თუ ვინმესთვის უჩვენებია, იმასაც თვალებს დავთხრი, ვინც წაიკითხავს და...

– და?.. – ბატონიშვილმა ბარათს ხსნა დაუწყო.

– იმასაც, ვინც ამ წერილს სხვას წააკითხებსო, ასე მიბრძანა მომეხსენებინა.

უფლისწულის მეუღლემ კვლავ ამოიგმინა და თვალბეჭე ხელები აიფარა, მაგრამ მას ახლა ყურადღება არავინ მიაქცია. ყველანი ბატონიშვილს უცქეროდნენ. რომელმაც ბარათი გახსნა, სანთელს მიუახლოვდა და ბეცი თვალბეჭით ისე დაიწყო კითხვა, თითქოს სტრიქონებზე წაღმა-უკუღმა ცხვირს უსვამდა.

– სადაური აბაშიძე ხარ, ყმაწვილო? – მიუბრუნდა დავითი კუწუწას, სანამ ბატონიშვილი წერილს კითხულობდა.

– ჭალელი, ჩემო ბატონო, აზნოურშვილი ვარ.

– კაი ნაყვანი ხარ, შენ ნუ მომიკვდები, – ღიმილით უთხრა დავითმა. – ჩვენს მაგიერად წერეთელმა შენ ხომ არ მოგიყვანა სანაშენოდ, ვითომ არავინ დამაბრალოს, აბაშიძეებს ფეხი ამოგუკვეთე სასახლიდანო.

– მართალი გვითხარი ახლა, რა დაგაბარა წერეთელმა? – მიმართა მერაბმა კუწუწას, – სულ სათითაოდ ჩამოგვიკანკლე, ვინაა ბატონიშვილთანო, დაგაბარა ხომ?

– აჰ, არა, ბატონო, ჩემი დედ-მამის სულს გეფიცებით, მე ვიყო შეჩვენებული, თუ მაგ დაებარებინოს, – დაიწყო მხურვალედ ფიცი კუწუწამ. – მაგ კი არა, მოკითხვა მოახსენე დიდის სიყვარულობით ყველასო.

ბატონიშვილმა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, დაახვია და უბეში შეინახა, მერე ტაში დაჰკრა და შემოსულ ფარემს უბრძანა:

– ციხისთავს დამიძახე.

ფარეში მაშინვე გავიდა. ბატონიშვილი ჩუმად იყო და ამიტომ დანარჩენებიც ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას, თუმცა არც ერთ მათგანს არ ასვენებდა ცნობისმოყვარეობა, გაეგო, რას სწერდა მეფე თავის შვილს. მალე სენაკში შემოიძაროთა ბეჭებგანიერი გოლიათი ციხისთავი ჯაჯანა ჭუმბურიძე.

– რას მიბრძანებთ, ბატონიშვილო? – ჰკითხა მან და კარებთან გაჩერდა.

– წაიყვანე ეს აბაშიძე, იარაღი აჰყარე და ტუსალად გყავდე. იცოდე, თუ გაგექცა, ცოცხალი ვერ გადამიჩრები.

– ეს, ბატონო? – დამცინავად ჩაიციხა ჯაჯანამ და კუწუწას ახედ-დახედა, – რო ვერ მოვერიო, რაღა ვქნა მერე!

მერაბი ბატონიშვილთან მივიდა, ვითომ წასჩურჩულა, მაგრამ იმდენად ხმაძალდა, რომ ყველას გაეგონა:

– რად გვინდა მაგის დატუსალება, ენა მოვჭრათ და გავუშვათ ისე. მაგ, შენი ჭირიძე, წერეთლის მოგზავნილია ჯაშუშად. უენო რომ მიუვა, მაშინ ნახოს სეირი.

– არა, – გაიქნია თავი ბატონიშვილმა, – ჯერ იქ იყოს და მერე ვნახოთ. გაიყვანე, რაღას უცდი! – უბრძანა ჯაჯანას და, როდესაც მან კუწუწა გაიყვანა, განაგრძო: – თუ ამ დამით ჩვენს ციხეს ალყა არა აქვს შემორტყმული, მაშინ, დილას, ინათლებს თუ არა, გზას უნდა გავუდგეთ თბილისისაკენ, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

მერაბს სიხარულით აუციმციმდა თვალები. მან გამარჯვებულის სახით გადახედა თავის თანამოაზრეებს, წელში გაიმართა და ისე აფუსფუსდა, თითქოს მაშინვე აპირებდა გზას დადგომოდა. დავითმა კი მშვიდად მოახსენა უფლისწულს:

– ალყის ნუ გედარდებათ, ბატონო. აქ ბუზი ვერ მოფრინდება ჩვენს გაუგებლად, გზებზე სულ ყარაულები მიყენია, მაგრამ წასვლა თუ გადავიწყვეტით, მართლა ხვალვე ჯობს წავიდეთ.

* * *

სოლომონი კარგა ხანს ელოდებოდა შვილისაგან პასუხს და უკვირდა, პაპუნას გაგზავნილი კაცი თუ რად არ დაბრუნდა ამდენ ხანს და პასუხი არ მოუტანა. მართალია, მან ძალზე მკაცრი წერილი მისწერა შვილს, ემუქრებოდა, თუ ჩემი ბრძანება არ შეგისრულებია, დავივიწყებ, რომ შენ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ, იმერეთის ტახტის მემკვიდრე და სასტიკად დაგსჯიო; მსტოვრებმა ამბავი მომიტანეს, ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობ და ყოველდღე ჩემს მტრებთან თათბირობ, თუ ეს ტყუილია, დაუყოვნებლივ შეიპყარი თამაზა მესხი, შენი სიძამრი ევგენ აბაშიძე, მერაბ ნიჟარაძე, დავით აბაშიძე და ყველანი გათოკილი აქ მომგვარეო; მაშინ კი დავიჯერებ, ჩემი ერთგული ყოფილხარ და ყოველივეს გაპატიებო. მართალია, ამას სწერდა, მაგრამ შვილის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა აზრადაც არ მოსვლია.

ბოლოს შორაანის მეციხოვნე ხახუტა გაჩეჩილაძე ეახლა მეფეს და მოახსენა, თქვენნი შვილი დავით აბაშიძის და სხვა დიდებულების თანხლებით ქართლში წაბრძანებულა და ერეკლე მეფეს ხლებიაო. სოლომონი მაშინ ვარციხის სასახლეში იყო და დიდებულთაგან მასთან მარტო პაპუნა წერეთელი და ბერი წულუკიძე იმყოფებოდა.

– რა მითხარი, ბიჭო, მაგ? – შეაცქერდა სოლომონი მეციხოვნეს, – მართალია მაგ ამბავი?

– ტყუილს რა გამაბედვინებს თქვენს წინაშე, მეფევ? – უთხრა ხახუტამ, – ან რა მსჯის.
– როდის წასულა?
– ასე მოგახსენებენ, დღეისწორ ხუთშაბათს.
– მერე ამდენი ხანი ეს ამბავი რატომ არავინ გამაგებინა? – დაიჭექა სოლომონმა და პაპუნას და ბერის გადახედა, თითქოს იმათი ბრალი იყო ყოველივე.
– გზებზე ბატონიშვილს თავის ყარაულები დაუყენებია, – მოახსენა ხახუტამ მეფეს, – და არავის აქეთკენ წამოსვლის ნებას არ აძლევდნენ. იქით ვინც მიდიოდა, იმას ხელს არ ახლებდნენ, აქეთ კი, თქვენც არ მომიკვდეთ, აღარავის აღარ უშვებდნენ. მომიტანეს ამბავი, წავიყვანე ერთი ათი კაცი, წავავლე ხელი ბატონიშვილის ყარაულს, არ იღებს ხმას, რო მოვდეკი ღაჯია, იცოცხლე, ამდერდა. მითხრა ყველაფერი. დაკკარი ფეხი, ავედი ჩხერში, ვინ მიშვებს ციხეში. გამოვიხმე ციხისთავი, არ გამოდის, იქიდან მიძახის, მე შენთან საქმე არ მაქვს, ბატონიშვილმა მიბრძანა, არც არავინ შეუშვა ციხეში, არც არავის დამახილზე გარეთ გამოხვიდეო. სადაა ბატონიშვილი-თქო. აქ არ ბრძანდება, მაგრამ შენ ვისი ტიკი ტომარა ხარ, რომ ანგარიში ჩაგაბარო, სადაც თითონ ნებას, იქ ბრძანდებო. წამოვედი, რაღას ვიზამდი. სოფელში გავიგე ყველაფერი. სამასი კაცი სულ რჩეული ვაჟკაცი გაუყოლებია, თან ხლებიან სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, სარდალი თამაზა მესხი, მერაბ ნიჟარაძე, შოშიტა...
– ხომ ვთქვი, ტყვილა არაა წასული ის გაიძვერა მელია ბატონიშვილთან-თქო, მერაბზე რომ მოგახსენებდი, – შეაწყვეტინა ციხისთავს პაპუნა წერეთელმა და მეფეს მიმართა: – ვთქვი, შეთქმულებას აწყობენ-თქო, გულმა მიგრძნო. ა, ბატონო, თუ ტყუილს მოგახსენებდი.
– რომ ვერ მოისვენა იმ მართლა მელიამ, რომ ვერ მოისვენა! – ჩაერია ბერი წულუკიძე – შეუჩნდა, ალბათ, ბატონიშვილს, შეაგულიანა, წავიდეთ, ერეკლეს ვთხოვოთ, მამაშენი ტახტიდან გადავაყენოთ და ქვე ჩვენ ვიპარაპაშოთ იმერეთშიო.
– წავიდენ მამ, ჰა?! – აღმოხდა სოლომონს. – ამირიეს ოჯახი, სამეფო, ახლა ზურგში დანა უნდათ ჩამცენ? წავიდენ ხომ? – დაირტყა მუხლზე ხელი სოლომონმა და ფეხზე წამოიჭრა. – ერეკლემ შესარიგებლად მოციქულები მომიგზავნა და თურმე ამას მიმზადებდა.
– არა, შენი ჭირიძე, ერეკლე აქ არაფერ შუაშია, – თამამად მოახსენა პაპუნა წერეთელმა, – ჯერ არაფერი ვიცით, როგორ მიიღო ერეკლემ. ან რა უთხრა ბატონიშვილს და წინასწარ ძნელია მაგის თქმა. ერეკლეს რომ მასეთი განზრახვა ჰქონოდა, ტახტის მოცილე ბატონიშვილი დავით გიორგის-ძე სახლში უჯდა, მაგრამ, პირიქით, იმისი თავი შემოგავედრა და აქეთ გამოვიგზავნა. აქ, მეფევ, მთელი დანაშაული ჩვენს მოქიშპე თავადებს მიუძღვის. უბრძანე ჩემი და ბერი წულუკიძის განდევნა სამეფო კარიდან და თქვენს ვაჟს ისინი ხვალვე ხელფეხშეკრულს მოგვკრიან.
– სახლთუხუცესი მართალს მოგახსენებს, – მიეშველა პაპუნას ბერი წულუკიძე, – ჩვენი დარდი არ ასვენებთყვე, ბატონო, იმათ. მერაბ ნიჟარაძე ფიცისკაცებში მისულა თურმე და იძახოდა, თუ მე ბერი წულუკიძე თავის ხელით არ დავაკვლევი მეფეს, ეს უღვაში ამპარსეთო.
ბერი წულუკიძე ერთ წუთს შედგა, კინაღამ წამოცდა ის, რაც კიდევ ეთქვა მერაბ ნიჟარაძეს და რის გამეორება შეუძლებელი იყო, მას კი დაურიდებლად წამოერომა: ხომ შეატყუა ბერი წულუკიძემ თავისი ნაბოზარი დაი მეფეს ცოლად და გაგვიდელოფლა. ყველაფერს რომ გავაგებინებ მეფეს ჩემი საკუთარი თვალით ნახულს, მაშინ სად მიბრძანდება მაგ გაიძვერა, მერე რომელ სოროში უნდა რომ შეყოს თავიო.
მართალია, წულუკიძის აზრით, ეს ამბავი მტკნარი ცილისწამება იყო, მაგრამ ამ ნაჩქარევად დაწინაურებულ და მეფესთან დამოყვრებულ კარისკაცს მაინც ეშინოდა: ქვრივი ქალისას რას გაიგებ, იქნება მართლა შეცდა ეს უბედური ჩემი დაი, დედოფლად რომ განდებოდა, რა იცოდა, შეიძლება სისხლმა შეაწუნა, იფიქრა, თუ გამიცინა ვინმემ, მეც

გავუცინებ, ვინ რას გამოიგებსო, და ღმერთი კი დასწყევლის ქალის გაჩენას, შეიძლება კიდევაც იმრუშაო, – ამბობდა გუნებაში ბერი.

წულუკიძეს ემინოდა, რომ ეს ამბავი არავის ჩაეწვეთებინა ყურში სოლომონისათვის და ახლა ისე შეეგება სული, რომ კინალამ ენაზე იკბინა, მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო:

– ნეტავი რა დამიშავებია მისთვის, რას მერჩის, რას მემართლება? ასე უთქვამს: ჩემი სამკვიდრო სახელო მეფემ წულუკიძეს მისცაო, ჩემს მამულებზე დაასახლაო, დავიჯეროთ ახლა მაგ? როდის იყო, რომ ნიჟარაძეები სამეფო კარზე მეფის პირველ მსახურად ითვლებოდნენ. მამამაგისი იყო და, რაც ყმა ჰყავდა, თათრებში გაჰყიდა, ადგილ-მამული გაანიავა. ეს თავისი შიშველ-ტიტველი შვილები მოგიყარა აქ, გოჭებივით, შენ მირჩინეო; დაუზარდე, ასწავლე, კაცები გამოიყვანე, ეს აღარ იკმარეს, იბახიან – ყველაფერი ჩვენიაო, იმე! ასე რავა შეიძლება!

სოლომონი წარბშეკრული უსმენდა ერთგულ დიდებულებს და სასახლის ფართო აივნიდან თავისი გადმოქაჩული თვალებით გადასცქეროდა რიონის დაცემულ ჭაღას. მას გული დაწყდა, რომ ბატონიშვილის გაპარვა ქართლში ერეკლეს განზრახვებთან არ აღმოჩნდა დაკავშირებული. ახლა თავის თავზე უფრო მოდიოდა გული. ხვაშიადი გაამჟღავნა, დაუფიქრებლად აჩქარდა და ბრალი დასდო ერეკლეს, როდესაც ის არაფერ შუაში იყო.

ქიშობის სენით შეპყრობილ სოლომონს გუნებაში ყოველთვის სიამოვნებდა, თუკი ქართლ-კახეთის მეფის რაიმე ნაკლს გაიგებდა, მაშინვე გულში გაჰკრავდა, მე ვჯობნივარო, და კმაყოფილებას გრძნობდა. ამაში, შესაძლებელია, მლიქვნელ დიდებულებს უფრო მიუძღოდათ ბრალი. განსაკუთრებით ქართლიდან გადმოხვეწილ თავადებს: სად თქვენ და სად ისო, ეუბნებოდნენ; ერეკლეზე კარგიც რომ გაეგონათ, მაინც ცუდობით შეატრიალებდნენ, და მის ბუზისოდენა შეცდომას სპილოსოდენად აქცევდნენ, შუბლზე ხელს შემოირტყამდნენ და თან ღმერთს მაღლობას სწირავდნენ, რომ გვიხსენი და სოლომონი მოგვივლინე პატრონადო.

სოლომონი საკმაოდ ძლიერი გონების ადამიანი იყო, თავის ამ ნაკულოვანებას და კარისკაცთა გადაჭარბებულ ფლიდობას აშკარად ხედავდა, მაგრამ პატივმოყვარეობის ტკბილი ნეტარებით მთვრალს ძალა აღარ ჰყოფნიდა ყველაფრისათვის ფხიზელი თვალთ შეხედვა. ამიტომ იყო, რომ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში კიდევაც ცდილობდა თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. სოლომონი ხშირად ამბობდა, ერეკლე ქვეყანას თავის პირად საკუთრებად თვლის და არ ესმის, რომ ის ერის მფარველი უნდა იყოს და არა მარტო თავისი პირადი მამულებისათვის მზრუნველი მებატონეო. ქართლ-კახეთი ჩამოსახლებული თათრებით, ბერძნებით და ათასი სხვა ჯურის ხალხით აავსო და თუ ასე განაგრძო, მის ქვეყანას ალბათ აღარც კი იქნება შესაძლებელი საქართველო ეწოდოს, ისე დაემსგავსება ბაბილონის გოდოლსო. ამ მოსაზრების სისწორე განსაკუთრებით ალექსანდრე ამილახვარმა დაუდასტურა. მან საკმაოდ დაწვრილებით გადაუშალა თვალწინ ქართლ-კახეთის იმდროინდელი მდგომარეობა და ისეთი შემზარავი სურათი დაუხატა, რომ ერეკლეს სიდიადიდან აღარაფერი აღარ დატოვა. განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა სოლომონზე ალექსანდრე ამილახვრის ტრაქტატმა „ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“, რომელიც მას გადმოკეთებული ჰქონდა იმერთა მეფისათვის მონტესკიეს ცნობილი წიგნის „კანონების სულის“ რუსული თარგმანიდან.

„ჰაი რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ მეფე, – მოაგონდა ახლა სოლომონს ამ წიგნიდან ამოკითხული, – რომელმაც იცის უფლება თავისი არა უსაზღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათაცა თანასწორად თავის კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა და იქცევის მათთან უმეტეს უხუცესისა ძმისა ვიდრე თავმოყვარისა მეფისა“.

– რა ვქნათ ახლა, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე? – მიუბრუნდა სოლომონი ერთგულ დიდებულებს და ისევ ტანტს მიაშურა. დაჯდა, უკან გადაიწია, ხელებზე ისე დაეყრდნო, თითქო ყავარჯნებზე დაბჯენილიყოს და მოსაუბრეებს გადახედა.

– მოვითმინოთ, შენი ჭირიმე, – შემპარავი ტკბილი ხმით უთხრა ბერი წულუკიძემ, რაკი ოღნავ დამშვიდება შეატყო მეფეს, – აჩქარება არ გვარგებს. ჯერ გავიგოთ ყოველივე, იქნება ბატონიშვილს ცუდი არაფერი არ განუზრახავს და ისე სტუმრად ინება წვევოდა კახეთის მეფეს... – სოლომონმა უხმოთ ჩაიცინა თუ წარმოთქვა „ჰმ! ჰმ!“, ვითომ რა გულუბრყვილო სისულელეს ამბობო, და წულუკიძემ ფუსფუსით დასძინა: – არა, მე იმას კი არ მოგახსენებ... შეაცდინეს, ბავშვი კაცია, ქვე რა ვუყოთ, ცოლი რო შეერთო.

– ბავშვი! მე თვრამეტი წლის ვიყავი ტახტზე რომ დავჯექი.

– შენ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, სხვა ხარ. შეცდა, რა ვუყოთ მერე. ქალი შეურთავს, რისხვა შეუთვალე, შეშინდა ყმაწვილი კაცი და იქნება ერეკლე მეფეს ეახლა, მამაჩემთან მოციქულად დამიდექი და შემარიგეო.

ბერი წულუკიძე განგებ აუბრალოებდა და აქარწყლებდა ბატონიშვილის დანაშაულს. ეშმაკმა კარისკაცმა იცოდა, რაც უფრო შეეცდებოდა ბატონიშვილის მოქმედება მეტად უსუსური საბუთებით გაემართლებინა, მით უფრო გააღვივებდა საწინააღმდეგო მოსახრებებს და გაახლებდა მეფეს.

– ქალიც ხომ სხვისი რჩევით არ შეურთავს, – განაგრძობდა ბერი. – ასე მოგახსენებენ, მერაბ ნიჟარაძე (ჩემი მტერი კია, მაგრამ მაინც სიმართლე უნდა ვთქვა), არაფერ შუაშია, თითონ უნახავს, გამიჯნურებია...

– იმ მერაბ ნიჟარაძეს... – სოლომონმა მეციხოვნეს შეხედა და უბრძანა: – წადი, როცა საჭირო იქნება დაგიძახებთ. – მეციხოვნე წავიდა და სოლომონმა განაგრძო: – იმ მერაბ ნიჟარაძეს თავს კი არ მოგკვეთ, თვალებს დავთხრი და მთავარანგელოზის ბჭესთან დავაჯენ მათხოვრად...

რიონის გაღმა შარაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი გამალებული მოაჭენებდნენ ცხენებს და ბორანს უახლოვდებოდნენ. სოლომონმა ფარეშს უბრძანა ღურბინდი გამოეტანა და ყველანი აივნის მოაჯირს მიადგნენ.

– ვინ არიან ნეტავ? – იკითხა სოლომონმა და ღურბინდი მოიმარჯვა. – ოჰო, ჩემი სიძე მობრძანდება, ელიზბარ ერისთავი, ეს მეორე გაბაშვილია, მესამე ვინაა, აბა შენ შეხედე, სარდალო, – გაუწოდა პაპუნას ღურბინდი სოლომონმა.

სანამ პაპუნა ღურბინდს მოიმარჯვებდა და რომელიმე მათგანს გაარჩევდა, მხედრები თხმელათა კორომში შევიდნენ და თვალთაგან მიეფარნენ.

არაფერი ისე არ სიამოვნებდა სოლომონს, როგორც მომსვლელი. იმ ხანაში საქმეზე ან სტუმრად მოსულ ადამიანს აუცილებლად რაიმე ახალი ამბავიც უნდა მოეტანა და ამიტომ მომსვლელი ყოველდღე ისევე სანატრელი და აუცილებელი იყო მაშინ მეფის ან თავადისათვის, როგორც თანამედროვე განათლებული ადამიანისათვის ჟურნალ-გაზეთები.

– ის მესამე ვინ იყო, როგორ ვერ გავიგეთ, – წყენით წამოიძახა სოლომონმა, – სანამ შენ მაგას გამართავდი, ისინი კიდევაც გამოვიდნენ მგონი გამოღმა.

– მაგას ახლავე გავიგებთ. ბიჭია, – ასძახა მარცხნივ კუთხის გოდოლზე გადმოდგარ მეციხოვნეს პაპუნამ, – ჩაირბინე ერთი, თუ კაცი ხარ, ბორანთან და გაგვიგე, ვინ არიან ისინი, ჩვენთან რომ მოდიან.

– ერთი ელიზბარ ერისთავია, ბატონო. – გადმოძახა მეციხოვნემ.

– ეგ ჩვენც ვიცით.

– მეორე ახალი მდივან-მწიგნობარი გახლავთ.

– ეგეც ვიცით.

– მესამე, კახეთიდან რომ გეახლათ, დავით ბატონიშვილის მოურავი, ისაა.

– ყოჩაღ, თუ მართლა მიხვდი, დამბაჩა მიჩუქნია შენთვის, – გასძახა სოლომონმა და სიამოვნებით გადაისვა უღვაშზე ხელი. – ღურბინდი თუ არ უჭირავს, იმიტომაც ვერ იცნო.

დავით ბატონიშვილის მოურავი, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ ბესიკთან ერთად პირველად გაემგზავრა წირქვალში მამულების ჩასაბარებლად, მთელი წლის განმავლობაში გაკრული იყო იმერეთ-ქართლის გზაზე და მას სასახლის ყოველი დარაჯი იცნობდა. მამულების ჩაბარება არც ასე იოლი საქმე იყო, მით უმეტეს, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა, არავისთვის არაფერი გაემხილა მანამდე, სანამ სიგელს მეფე თავის ბეჭედს არ დაარტყამდა. გარდა ამისა, მოურავმა ჩუმად გაიკითხ-გამოიკითხა და გაიგო, რომ ეს მამულები, გარდა იმისა, რაც ეკუთვნოდა მემკვიდრე ბატონიშვილს ალექსანდრეს, მრავალი მებატონეთა მიერ სადავოდ იყო ქცეული. ზოგს ძველისძველი მეფეების წყალობის სიგელი ჰქონდა, ზოგი მთას იჩემებდა თავისად, ზოგი ყმას, ზოგი ვენახს და მოურავი იძულებული იყო ყოველივე გამოერკვია, ოქმები შეედგინა და მეფესთვის მოდავეთა სარჩელი გაებათილებინა. ამას მთელი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული დასჭირდა. ბოლოს ყოველივე დამთავრდა, მეფემ სიგელი დაუმოწმა და მოურავი მაშინვე გაემგზავრა ქართლში.

ახლა ცხადი იყო, მას ჩამოეყვანა დავით გიორგის ძე მთელი ოჯახით და მეფესთან მოდიოდა მოსახსენებლად.

მცირე მოლოდინის შემდეგ ცხენოსნები სასახლის კარიბჭეს მოადგნენ. მათ წინ შეეგება ეზოს მოძღვარი პაპუჩა აბულაძე და სამთავეს მაშინვე წაუძღვა მეფესთან.

– მაღლობა უფალს, რომ გვიკადრე, მაღლობა უფალს, – მიმართა სოლომონმა ელიზბარ ერისთავს, – თუმცა შენზე გული არც უნდა მომივიდეს. საკუთარი შვილი თუ ძალაატობს და არ მეკარება, სიძეზე როგორ უნდა დამწყდეს გული.

– ეს რა გავიგე, თქვენო უმაღლესობავ, მართლაც რომ თავზარდამცემი ამბავი, – უთხრა ელიზბარმა და მეფეს მხარზე ეამბორა, – კიდევ კარგი, დავით ბატონიშვილის მოურავმა ცოტა დამამშვიდა...

– ჰო! – სოლომონმა მოურავს შეხედა, რომელიც მიუახლოვდა მას და ჩოხის კალთაზე ემთხვია.

– ეს დასწრებია, მეფევ, და ყოველივეს თითონ მოგახსენებთ.

სოლომონმა ახლა ბესიკს შეხედა, საღამზე ოდნავ გაუღიმა და ხელი საამბოროდ გაუწოდა. ბესიკი მაშინვე მიუახლოვდა, ეამბორა და უკან დადგა, მეფე კი ისევ მოურავს მოუბრუნდა.

– დამავიწყდა, შენი სახელი? – ჰკითხა სოლომონმა მოურავს.

– ბეჟან, თქვენი დღეგრძელობა ნუ მომაკლოს ღმერთმა, გოგიანთ ბეჟანას მიხმობენ.

– რაო, ბეჟან, დაბინავე ბატონიშვილი?

– ჯერ არა, მეფევ ბატონო, ცოლიც და ქმარიც ქუთაისში ბრძანდებიან, თქვენთან ხლება სურთ, მაღლობა უნდათ მოგახსენონ და თავყვანიცა გცენ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

– მობრძანდნენ, – რაღაც მწარე ღიმილით თქვა სოლომონმა, – საკუთარი სხვაგან გამიბრის, კიდევ კარგი, სხვისი მაინც მოღის ჩემთან. როდის მოხვედით?

– დღეს დილით გეახელით.

– ჩემი შვილის ამბავი იცით რამე?

– როგორ არა, შენი ჭირიმე. გორში გახლდით. ბატონი ერეკლეც გორში ბრძანდებოდა, თბილისში ყვავილბატონებია და ოჯახით გაერიდა, ჩვენც აქეთ წამოსასვლელად ვემზადებოდით. ამ დროს ხმა გავარდა, იმერთა ბატონიშვილი ალექსანდრე მობრძანდაო. ავიშალენით, ღიახვთან გავეგებენით. ბატონიშვილი მეუღლით მობრძანდა. სამასი კაცი ახლდა. წინ ლეონ ბატონიშვილი შეეგება და ბატონთან წაუძღვა. ერეკლე ციხეში ბრძანდებოდა. ალაყაფთან გამოეგება. მერე თქვენმა მემკვიდრემ მოახსენა, უნდა შემოგფიცო, რომ მამაჩემს ღალატით არ გავდგომივარო. მე მამაჩემის ორგული არ ვყოფილვარ, მარა შემაბეზღეს, გიჭერსო და გაღარიბებსო. თავი აღარ მამართლებინა, წახდენისა მეშინოდა და გამოვექეციო. მეფე ერეკლემ უბრძანა, რად დაიფიცავ და ვინ გაატიჟებსო, ესე იგი, თქვენებურად – ვინა გსჯისო, ფიცს არავინ გაძალბებსო...

– აგრე უთხრა? – შეაწყვეტინა სოლომონმა და დიდებულებს გადახედა. – გესმით? კიდევ იტყვით არაფერ შუაში არისო? ჩემი შვილი ხატზე დაფიცებას აპირებს მამაჩემის მოლაღატე არა ვარო, ის ეუბნება, არ დაიფიცო, მე არ გადალებო, დაიფიცა?

– ღიას. ექვს აგვისტოს მობრძანდა და რვა აგვისტოს მეფისა და ლეონ ბატონიშვილის თანდასწრებით დაიფიცა. სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და თამაზა მესხი ურჩევდნენ, ბატონო, არავინ გადალებს ამ ფიცს და თავს რაზე იწუხებთო. ბატონიშვილმა არ დაუჯერა. მეც იქ გახლდით და ჩემი ყურით გავიგონე...

– კარგი. მაღლობელი ვარ ამბისათვის. დავით ბატონიშვილს და მის მეუღლეს მოახსენე, მოხარული ვიქნები თქვენი ხილვისა-თქო. ეზოს მოძღვარო, – მიუბრუნდა სოლომონი პაპუნა აბულაძეს, – ამ კაცს პატივი ეცი, მერე ქუთაისს გაისტუმრე. ამ საღამოს შეიძლება ჩვენც ვინებოთ ქუთაისს გამგზავრება.

ბეჟანი და პაპუნა გავიდნენ, სოლომონი კი მაშინვე მიუბრუნდა ბესიკს და უთხრა:

– აბა, მგოსანო, აღიკაზმე მგზავრობად სპარსეთისაკენ კარსა ქერიმხან ზანდისა, არ აგცდა ეს მძიმე ტვირთი, მაგრამ, რას იზამ, არ გვაყენებენ. ერეკლემ ჩემი შვილი ალექსანდრე ჩაიგდო ხელში. მე ალექსანდრე ბაქარის-ძეს ჩამოვიყვან სპარსეთიდან. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

* * *

ქუთაისში დავით ბატონიშვილს, მეუღლის გარდა, თან ახლდა თავისი დაი თექვსმეტი წლის ქეთევანი. რძალიც და მულიც თითქმის ტოლები იყვნენ და ისე დამეგობრდნენ ერთმანეთს, რომ ერთმანეთის გულის მესაიდუმლენი გახდნენ. ნამდვილად ეს უფრო ქეთევანზე ითქმოდა, რადგან ყოველივეს გულანდილად უამბობდა, მაშინ, როდესაც ანა იშვიათად გაუმხელდა მულს თავის საიდუმლოებებს და მხოლოდ ქმრის შესახებ არაფერს უფარავდა. ქეთევანმა იცოდა ძმის განუკურნებელი მანკი, ამიტომ რძალი ებრალებოდა, უბედურ, განწირულ ადამიანად მიაჩნდა და სულ გულში იხუტებდა. ამ გულწრფელმა გულშემატკივრობამ განსაკუთრებით შეაყვარა თავისი მული, მაგრამ მსტოვართა გარემოცვაში აღზრდილი და სიფრთხილეს შეჩვეული ანა თავის პირად საიდუმლოებათა ფურღულში არავის ჩაახედებდა. გარეგნულად ქეთევანი თითქოს ძალზე ჰყავდა დაახლოებული და ის იყო ანას ერთადერთი მესაიდუმლე, მაგრამ სინამდვილეში ისიც ისევე შორს იდგა ანასაგან, როგორც მისი ძმა. ანას არავინ არ ჰყავდა, არც მეგობარი, არც ნათესავი, რომ გულის მესაიდუმლედ გაეხდა. ახალგაზრდა ქალი სრულიად მარტოდმარტო იყო და თავისივე ბედის ხომალდზე თვითონვე იდგა მესაჭედ. იქნებ ამ სიმარტოვის ბრალი იყო ანას ასეთი განმტკიცება და გაკაჟება. სოლომონთან შერიგება მან სთხოვა ერეკლეს და მანვე აიძულა ქართლ-კახეთის მეფე, ეთხოვა იმერთა მეფისათვის რათა მას მამულები ებოძებინა სხვის კარზე სამოწყალოდ მოხეტიალე უნებისყოფო და ბეჩავ დავით უფლისწულისათვის. მანვე დაიბარა სამეგრელოდან თავისი მული იმ განზრახვით, რომ რომელიმე დიდგვარიან დიდებულს შერთავდა და ამით მდგომარეობას განიმტკიცებდა. მართალია, ქეთევანს ახალგაზრდობის გარდა სხვა ბევრი ვერაფერი ამკობდა ისეთი, რაც მამაკაცს მოხიბლავდა, არც გარეგნობა და არც ჭკუა, მაგრამ მაინც ბაგრატიონთა გვარისა იყო და სამეფო გვარეულობასთან დანათესავების სურვილით არც ერთი თავადი არ დაერიდებოდა მის შერთვას. ანიკოს პირველად სურდა ქეთევანი ლეონისათვის გაერიგებინა და ერთხელ სიტყვაც კი ჩამოუგდო დარეჯან დედოფალს, მაგრამ დარეჯანმა ტუჩი აიბზუა, მე რუსეთის იმპერატრიცამ შემომითვალა, შენ შვილს ჩვენი დიდებული თავადის ქალი უნდა შევრთო და აბა იმას უარს ხომ ვერ მოვახსენებო. თვითონ ლეონმაც გაიგო თუ არა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ანიკოს პირში უთხრა, ერთი გიჟი შენც გეყოფა და მეორე ჩვენი ოჯახისათვის მეტისმეტი

იქნებაო. ამიტომ ანიკომ როგორც კი იმერეთის მამულები გამოითხოვა, პირვანდელი განზრახვა შეიცვალა და ახლა იმერთა დიდებულებს დაუწყო თვალთვალი. იმერეთის დიდგვარიან თავადთან დამოყვრება ანიკოსათვის მით იყო ხელსაყრელი, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის უთანხმოება მამამისთან შეიძლება უფრო გამწვავებულიყო და მაშინ დავით გიორგის-ძის გამეფება იმერეთში მართლა შესაძლებელი ხდებოდა.

ქუთაისში ანას ნანატრივით დაუხვდა თავისი ბიძა ელიზბარ ერისთავი და ბესიკი. ერთი უახლოესი ნათესავი, მეორე უახლოესი მეგობარი იყო და ანა მთელ თავის მომავალ იმედებს ამ ორ კარისკაცზე ამყარებდა. პირველმა შეხვედრამ ეს იმედები გაუძარტოლა. ელიზბარმა ანა მაშინვე წარუდგინა დედოფალ გულქანს. თავისი გერის მოქმედებით განრისხებულმა დედოფალმა განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით მიიღო თავისი ქმრის ბიძაშვილი დავითი, მისი მეუღლე ანა და დაი ქეთევანი. დიდი სიხარული გამოთქვა, რომ იმერთა მეფის სახლის ჭერქვეშ იხილა ესოდენ სახელოვანი მამის შვილი, ღირსი სკიპტრისა და ფაენისა. მსახურთ უბრძანა სტუმრებისათვის მოეწყოთ, ხოლო ელიზბარ ერისთავს და ბესიკს სთხოვა წასულიყვნენ ვარციხეს, რათა სოლომონისათვის ეცნობებიათ საკუთარი ვაჟის გაპარვა და ბიძაშვილის სტუმრობა. გაისტუმრა თუ არა ისინი, გულქანამ ანა თავის საწოლ ოთახში დაიბარა, მასთან ერთად ჩაიკეტა და მუსაიფი გააბა. დაწვრილებით აამბობინა ჯერ თავისი გერის ქართლში გადასვლის ამბები და შემდეგ ყველაფერი, რაც კი იცოდა ერეკლეს ოჯახის, თავისი მაზლის არჩილის და ელენეს შესახებ. ხშირად გულქანა ანას ლაპარაკს შეაწყვეტინებდა და ეტყოდა:

– შენ გენაცვალე, რა კარგი ყოფილხარ, რა ლამაზი, მერე, შენი ჭირიმე, ყველაფერი მიაბე, ყველაფერი.

ანა განაგრძობდა მბობას და ცოტა ხნის შემდეგ გულქანა კვლავ შეაწყვეტინებდა:

– ნეტავ შენისთანა ლამაზი თუა ამ ქვეყანაზე ვინმე. ბაგრატიონის და ორბელიანის სახლის ქალებში შენისთანა ჯერ არ დაბადებულა. კი გეკუთვნის იმერეთის დედოფლობა ჩვენს შემდეგ, შენ ნუ მოუკვდები გულქანს, გეკუთვნის და ქალი არ ვიყო, თუ ეს ასე არ მოხდეს. მერე, შენ გენაცვალე, მერე, უკაცრავად, სიტყვა შეგაწყვეტინე.

ანა გულში სიხარულით ცას სწვდებოდა. მოულოდნელად ასეთი მოკავშირე და მფარველი დაუხვდა. გულქანს, აშკარა იყო, საკუთარი შვილის გამეფების იმედი არ ჰქონდა. ქაჯაიას ხელში ნაყოლ ვაჟს იმერეთში მეფის გვირგვინს არავინ დაადგამდა, და თუ სოლომონი საბოლოოდ შერისხავდა ალექსანდრეს, მაშინ ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ დავით გიორგის-ძე რჩებოდა. ამ ხელსაყრელ პირობებს ზედ ერთვოდა დიდგვაროვან თავადთა შორის ჩამოვარდნილი შუღლი. სოლომონის დაწინაურებული თავადები მოპოვებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნებას, რომელსაც გარს ერტყა სოლომონით უკმაყოფილო დიდებულთა ჯგუფი და ყოველ ძალ-ღონეს იხმარდნენ, რათა იმერეთის ტახტზე ისეთი მემკვიდრე ასულიყო, რომელთანაც თავისი უპირატესობის და გავლენის შენარჩუნება შეეძლოთ. ყველაზე სასურველი ამ შემთხვევაში ჭკუანაკლები დავითი იყო, რომლის გამეფებით განუსაზღვრელი უფლებები უვარდებოდა ხელში ყველას, ვინც კი ამ უნებისყოფო ბატონიშვილს ტახტზე აიყვანდა. გონებაგამახვილებული ანა ყოველივე ამას კარგად გრძნობდა და ნათლად ხედავდა. გულქანის გადაჭარბებულმა აღერსმა კიდევ უფრო უკეთ დაანახვა, რამდენად ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა მისთვის. ამიტომ ის მთელი გულით მიენდო იმერთა დედოფალს და თავი ისე დაიჭირა, ისეთი მოწინააღმდეგე მთავრად საუბარში და იმდენი ეფლურტულა და გააბრუა ქება-დიდების შესხმით, რომ საბოლოოდ მოხიბლული გულქანა სულ გულში იხუტებდა ამ თვალციმციმა ახალგაზრდა ქალს.

სალამოს სოლომონიც მოვიდა. დავითი და ანა ალერსიანად მიიღო და მათ პატივსაცემად გაჩირაღდნებულ დიდ დარბაზში სანადიმო სუფრა გააშლევინა. ნადიმზე ყველანი

განსაკუთრებით უკვირდებოდნენ დავით უფლისწულს. სურდათ გაეგოთ, როგორ დაიჭერდა თავს ბატონიშვილი და გამოერკვიათ, მართლა გიჟი იყო თუ არა. მოლოდინი არ გაუმართლდათ. დავითს საკმაოდ თავაზიანად და მშვიდად ეჭირა თავი, ლაპარაკში არ ერეოდა და კითხვებზე მარტივ პასუხებს იძლეოდა. ძალზე ზომიერად დალია და საჭმელიც ცოტა ჭამა. ნავაზშემევს სოლომონთან ბოდიში მოიხადა, დალლა მოიმიზეზა, დასაძინებლად წასვლის ნებართვა სთხოვა და თავისთვის მიჩნეულ ოთახში წავიდა. დანარჩენები გალაგდნენ დიდ აივანზე, რომელიც რიონს გადასცქეროდა, და საუბარი გააბეს. ერთ მხარეს ქალები დასხდნენ, მათ ისე მჭიდროდ მიადგეს ერთმანეთს სავარძლები, რომ ერთ თაიგულად შეიკვრნენ და თავისთვის მუსაიფობდნენ, მეორე მხარეს – მამაკაცები. სოლომონი მოაჯირთან ჩამოჯდა და მთვარით გაქათქათებულ დაბლობს გადასცქეროდა.

ქალთა შორის, გულქანისა და ანას გარდა, აქ იყვნენ სოლომონის დაი – ელიზბარ ერისთავის მეუღლე დომინა ანუ, როგორც შინაობაში უწოდებდნენ, დომნა, ბერი წულუკიძის მეუღლე ერმონია, ქალიშვილი დარეჯანით, ანას მული ქეთევანი და კიდევ რამდენიმე მანდილოსანი. ქალებმა მაშინვე გააბეს ძალდაუტანებელი მუსაიფი და, როგორც ხშირად სჩვევიათ, ერთმანეთს არც კი აცდიდნენ ლაპარაკს. მათი საუბრის საგანი ბატონიშვილი ალექსანდრეს დაუკითხავად ქალის შერთვას და ქართლში გარდახვეწას შეეხებოდა. ზოგი მორიდებულად, ზოგი უფრო თამამად ჰკიცხავდა ბატონიშვილის საქციელს და ყველა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ასეთი შვილი ღირსი იყო სასტიკი სასჯელისა. მარტო გულქანა არ ერეოდა მსჯელობაში და თავდაჭერილად იყო. ხანდახან პირიქით, და ისიც ქმრის გასაგონად, კიდევაც იცავდა ბატონიშვილს, მაგრამ ამით უფრო აღიზიანებდა ქალებსაც და ქმარსაც.

სოლომონი კარგა ხანს იჯდა აივანზე მდუმარედ და ფიქრებში წასული ყურადღებას არ აქცევდა არც ქალთა და არც მამაკაცთა საუბარს. ისინიც თითქოს შიშობდნენ, მეფე არ შეეკრთოთ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

– ბესიკი სად არის? – იკითხა მოულოდნელად სოლომონმა.

კარისკაცები წამოიშალნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს, ბესიკი არც აივანზე და არც დარბაზში არ იყო.

მწიგნობართუხუცესი გოგია აბაშიძე მიუახლოვდა მეფეს და შემფოთებით ჰკითხა:

– დასაწერი ხომ არაფერი გაქვს, მეფე, ბესიკი ჩემს დაუკითხავად სახლში წაბრძანებულა (ეს სიტყვა დაცინვით წარმოთქვა გოგიამ).

– დასაწერი, თორემ შენ ხომ დიდი დამწერი მყავხარ, – ღიმილით უთხრა სოლომონმა.

ამ სიტყვებზე ანამ დაურიდებლად გადიკისკისა, გოგია აენტო. ეს სიცილი მწარედ მოხვდა გულზე.

– ბავშვობიდან ასე გამიგონია, წერა-კითხვა ქალების საქმეა და არა ვაჟკაცისა... თორემ ჭყაპნას მეც ვისწავლიდი. მიბრძანებთ, მოგვკაროთ მწერალი? ახლავე მოვაყვანინებ ლეკონტი ნიჟარაძეს.

– არა, შენ ბესიკი მომგვარე.

– კი ბატონო, ახლავე, – გაიმართა წელში გოგია, ანას ამაყად ჩაუარა და გუნებაში გაიფიქრა: „მაცადე შენ, კაცი არ ვიყო, თუ არ გახვეწიო ერთხელ ტყუილა მაინც შემომხედო. შენ გგონია არ ვიცი, რომ ყოველ ღამე იცვლი საყვარლებს“. ეზოს აივანზე გავიდა და მსახურებს გასძახა: – რომელი ხართ მანდ, ეზოსმოდღვარი მომგვარეთ.

მაშინვე ქვედასართულიდან მოისმა: „მე მიძახი, ბატონო?“ და სანამ გოგია აბაშიძე რაიმეს უპასუხებდა, ეზოსმოდღვარი უკვე კიბეებზე ამორბოდა.

– წადი ახლავე და ბესიკი მოიყვანე. მეფე იბარებს, – უბრძანა მწიგნობართუხუცესმა ეზოსმოდღვარს, – დაუკითხავად რომ მიდიოდა, ჩემგან მიიღო ნება? უთხარი იმ ყმაწვილს, მეორედ აღარ გაბედოს ასეთი საქმე, თვარა მე ვიცი რასაც ვუხამ. უმცროს-უფროსობა ჯერ არ გადავარდნილა ჩვენში-თქო.

ეზოსმოდვარი წავიდა, გოგია კი კარგა ხანს წრიალებდა აივანზე და აღარ იცოდა, ვისზე ამოეყარა გულისჯავრი. ანას დამცინავი სიცილი მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ კიდევ, სანამ დავით უფლისწული მოვიდოდა იმერეთს თავისი მეუღლით, სოლომონის კარისკაცთა შორის ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. ყველას სალაპარაკოდ ჰქონდა, რომ მოწვევტილი ვარსკვლავით ლამაზ ანას ასეთი ტვინაკლები და დოყლაპია ქმარი ჰყავდა. ჩუმად იმასაც კი დასძენდნენ, რომ ბატონიშვილი ცვედანი ყოფილა და მისი ვნებააშლილი მეუღლე თვალებით ჭამს მამაკაცებსო. გოგია აბაშიძეს თავი ულამაზეს კაცად მიაჩნდა (თმა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცენილი და ლოკოკინის ნიჟარასავით დახვეული უღვაშები მჭიდროდ მიბჯნოდა ქორის ნისკარტით მოკაკულ ცხვირს). ასევე ფიქრობდნენ, ალბათ, ბახტაძეების და ლორთქიფანიძეების გაუთხოვარი ქალები და ეს ქოთქოთა მამალივით ამყად მოსიარულე თავადი დიდი სილამაზის განსახიერებად მიაჩნდათ.

გოგია იმდენად დარწმუნებული იყო თავისი გარეგნობის მომჯადოებელ ძალაში, რომ სანამ თვალთ ნახავდა დავით უფლისწულის მეუღლეს, წინასწარ უკვე გადაწყვიტა, რომ აუცილებლად დაისაკუთრებდა მის გულს. „შენ ნახავ, რა საქმეები გავაკეთო, – ეუბნებოდა თავის თავს გოგია, – მაცადე შენ, რა საქმეები გავაკეთო. ყველას თვალებს უპრაფავს თურმე და მე რომ დამინახავს, ხომ ბნედა მოუვა. თუ საქმე საქმეზე მიდგა, შეიძლება ტახტზედაც ქე ავიდეს. მერე ერთი ვაჟიშვილიც თუ შეეძინა, მაშინ თქვი აბაშიძე, რა ბიჭი ყოფილხარ-თქო“. ასე ფიქრობდა გოგია და მოუთმენლად მოელოდა იმ სანეტარო წუთს, როდესაც ანას აღტაცებულ ცქერას დაიჭერდა.

მოლოდინი არ გაუმართლდა.

პირველად შეხვედრისას ანამ არც კი შეხედა და როდესაც გოგიამ გადაჭარბებული მზრუნველობით მოისურვა ამ თვალწარმტაცი ქალის ყურადღების მიქცევა, მან ისეთი დამცინავი ღიმილით შეათვალიერა ეს თავმომწონე თავადი, რომ თითქოს ერთი კასრი ცივი წყალი გადაესხას მისთვის. მას შემდეგ ანა თვალს არ აშორებდა გოგიას, მაგრამ ვაი ამ შეხედვას. გოგიას მოსვენებას არ აძლევდა ანას მცელავი ღიმილი და ახლა პირველად იგრძნო იოლი გამარჯვებით თავგასულმა რაინდმა სასტიკი დამარცხება. იმდენად დაიბნა, რომ სიტყვა-პასუხიც წაუხდა, ყოფაქცევაც და ხასიათიც. თავის თავზე ბრაზობდა, ცდილობდა, ღონე მოეკრიბნა და კვლავ მოეპოვებინა წინანდელი სიჩაუქე, როდესაც ერთი გადახედვით მოჰკვეთავდა ხოლმე მუხლებს ქალებს, მაგრამ ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. თვითონ ეკვეთებოდა მუხლები.

როდესაც ანამ პირველად მიაქცია გოგიას ყურადღება და დაიჭირა მისი თავხედური და გამოძვრევი შეხედვა, მაშინვე მიუხვდა ყოველივეს და მასში უცბად იფეთქა შეურაცხყოფის გრძობამ. ვიცი, რომ მამაკაცები შენთვის სახალისო არსებანი არიან და შემომხედე რა ბიჭი დაგიხვდით. ისე ნათლად ამოიკითხა გოგიას გამოძვრევილებაში ანამ, რომ უცბად აივსო ზიზლით ამ კარისკაცისადმი. ანას უფრო ის აბრაზებდა, რომ უნებურად მხილებული იყო მისთვის ბედისმიერ განკუთვნილებულ ცოდვებში და ეს უფრო უძლიერებდა შეურაცხყოფას. „რა არამზადა და უზნეო ვინმეა ეს თავადი“ – იმეორებდა გუნებაში ანა და თან ემუქრებოდა. სოლომონის წახუმრებაზე კი ისე დამცინავად გადაიკისკისა, რომ ბასრი ხანჯალივით გაუარა გულში ამ სიცილმა მწიგნობართუხუცესს.

როდესაც აღრენილი გოგია უკანვე მობრუნდა, აივანზე მარტო მამაკაცები დაუხვდა. ქალები ყველანი გაკრებილიყვნენ და ამ შეწბილებულმა თავადმა უნებურად თავისუფლად ამოისუნთქა.

* * *

თითქმის გათენებამდე გაუგრძელდათ თათბირი სოლომონსა და მის დიდებულებს. მსჯელობდნენ, რა გზით წასულიყო ბესიკი სპარსეთს და ან რა გაეგზავნათ ყაენისათვის

საჩუქრად. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე კარგი გზა დიგორის გადავლით მოზლოკ-ყიზლარ-ასტრახანის მიმართულებით იყო. იქ ბესიკი ჩაჯდებოდა ზომალდში და ზურგის ქარის შემთხვევაში რამდენიმე დღის ცურვის შემდეგ რეშტში მივიდოდა. იქიდან შირაზამდე კი ყველაზე უშიშრად და საიმედოდ შეიძლებოდა მგზავრობა.

საჩუქარზე უფრო დიდხანს იმტკრიეს თავი. პაპუნა წერეთელი ფიქრობდა, რომ სულაც არ იყო საჭირო რაიმეს გაგზავნა. აბა იმერეთში ისეთი სახარბიელო თვალ-მარგალიტი რა უნდა ეშოვათ, რომ ყენი გაეკვირვებიათ. პაპუნას აზრით ჯობდა, რომ ბესიკი ჩუმად ჩასულიყო შირაზს და ბატონიშვილი ასევე ჩუმად, სხვების გაუგებლად წამოეყვანა. სოლომონმა სახლთუხუცესის აზრი უარყო. ყენი ბესიკს აუცილებლად უნდა ენახა. ქერიმს თუ ეცოდინებოდა, რისთვის მიჰყავდა იმერეთის მეფის კაცს ბატონიშვილი, ერეკლეზე შემომწყრალს, იქნებ, ჯარიც კი ებოძებინა ალექსანდრესათვის და ისე გამოესტუმრებინა იმერეთისაკენ. ამიტომ სოლომონის აზრით, ბესიკი უნდა გამოცხადებულიყო ქერიმთან და მასთან კიდევ ხელცარიელი მისვლა უზრდელობა იქნებოდა. ძღვენის მირთმევა აუცილებელი საჭირო იყო, არ იცოდნენ ოღონდ რა გაეგზავნათ.

– მე გეტყვი, შენი ჭირიმე, – უთხრა ბერი წულუკიძემ სოლომონს, – ყველაზე კარგი იქნება, თუ ჩვენებური გიშრის ნივთებს გაუგზავნით, კრიალოსნებს და ყელსაბამ-საყურეებს. გამიგონია, გიშერი იქ აღმასივით ფასობსო და ამაზე უკეთესს ჩვენ იმას ვერას მივართმევთ. უბრძანე ჩვენს ოსტატებს და იმისთანა კრიალოსნებს გათლიან, უკეთესს თვალი ვერა ნახავს. აგერ წინაზე ერმინე თუთბერიძემ მაჩვენა, იმისთანა გიშრის კენჭები გაეთალა, რო ნახვად ღირდა, ღორისთავები იყო თლად, ვერ გაარჩევდი ნამდვილში.

– მაგას არაფერი აჯობებს, სპარსეთის ყენს რომ ღორისთავების კრიალოსანი მივართვათ, – თქვა სოლომონმა და გადაიხარხარა.

გადაწყვიტეს ასი ცალი სხვადასხვა ზომის კრიალოსანი და ყელსაბამი დაემზადებინათ. გარდა ამისა, სოლომონმა თავის სალაროდან ქერიმისთვის მისართმევად გადაადებინა მუშტისოდენა გაუთლელი ამეთვისტონი და ორი კარგა მოზრდილი ზურმუხტი. ფულად ბესიკს ასი თუმანი უბოძა მეფემ. ამ ფულიდან, რაც გზაში არ დაეხარჯებოდა, დანარჩენი უნდა მიეცა ალექსანდრე ბაქარისძისათვის.

– საქმეს ნულა გავაჭინაურებთ, – უთხრა სოლომონმა ბესიკს, – ერთი ორი დღე, რაც საშინაო საქმეები გაქვს, გეყოფა ყოველივეს მოსაწესრიგებლად. კვირას რა რიცხვია? აგვისტოს ოცდარვა. გაუდექი გზას. მამაშენისა და საერთოდ შენი ოჯახის დარდი ნუ გექნება. ქალი კი მსურდა შენთვის გამერიგებინა, მაგრამ, რომ დაბრუნდები, მერე მოვაგვაროთ მაგ საქმე. მხლებელი რამდენი გჭირდება?

- ბევრი არა, მეფევ. სულ ორი კაცი კმარა.
- ორი ცოტაა. სახლთუხუცესო, ვინ გავაყოლოთ? – ჰკითხა სოლომონმა პაპუნას.
- ვისაც თვითონ ისურვებს. ამ საქმეში, მეფევ, არჩევანი თვითონ ბესარიონს ეკუთვნის.
- ერთი თქვენი საღუნა უნდა წავიყვანო - მიმართა ბესიკმა პაპუნას.
- ინებეთ, – სიხარულით დაეთანხმა სახლთუხუცესი. მას ისედაც ჰქონდა განზრახული, როგორმე თავისი კაცი გაეყოლებინა ბესიკისათვის.

– ერთიც დათუკა გრძელიძე გავაყოლოთ და მეტი არცაა საჭირო, – ჩაერია ბერი წულუკიძე საუბარში. – გასაჭირში ღმერთმა მაგისთანა ყმა ნუ მოგიშალოს, გინდა ცეცხლში ჩავარდე, გინდ ზღვაში, ყველგან საიმედოა.

- ეგ ორი. დანარჩენი? – გადახედა სოლომონმა დიდებულებს.
- მეტი არც არის საჭირო, მეფევ, – მიმართა ბესიკმა სოლომონს, – მოზლოკამდე, თუ გნებავთ, შეიძლება მართლაც წავიყვანო ოცი-ოცდაათი კაცი, მაგრამ მოზლოკიდან ყიზლარამდე და ყიზლარიდან ასტრახანამდე რუსთა ფოსტა დადის და იქ შიში არაფრის არ მექნება. ფოსტის „ტროიკებს“...

– ეგ რაღაა, ყმაწვილო? – შეაწვევებინა მეფემ.

– სამცხენიანი ეტლები განლაგეთ. ჰოდა, ამ „ტროიკებს“ მუდამ ოცდაათამდე მხედარი ახლავს ბადრაგად. იმათ გავეყვები. სპარსეთში კი ისეთი გზით მოგვიხდება სიარული, რომელზედაც სულ გაბმულნი არიან ქარავნები. ჩვენც რომელიმეს მივეკედლებით და შირაზს მშვიდობით ჩავალთ. იქიდან კი ბატონიშვილის ამალის თანხლებით დავბრუნდებით.

– კარგი, შენი ნებაა, – დაეთანხმა სოლომონი, – მაშ კვირას მიდიხარ?

– როგორც თქვენ მიბრძანებთ.

უკვე კარგა გათენებული იყო, ბესიკი შინ რომ დაბრუნდა. ის უკვე მთელი ოჯახით ახალ სახლში ბინადრობდა. მართალია, შენობა ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული, ზედა სართულს არც კარ-ფანჯრები, არც ლამფაგაკრული ჭერი და არც ტინრები არ ჰქონდა ამოყვანილი, მაგრამ ქვედა სართულში ცხოვრება შეიძლებოდა; ამიტომ ზაქარიამ აღარ დააყოვნა საკუთარ შენობაში გადაბარებულიყო. ისევე, როგორც ქვრივი ქალის ნაქირავებ სახლში, აქაც ეს მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი ერთ განიერსა და გრძელ ტახტზე იძინებდა.

ბესიკს მთელი ოჯახი ფეხზე დაუხვდა. თურმე მთელი ღამე არც მათ სძინებოდათ და სამგზავრო სურსათისა და ბარგიბარხანის მზადებაში იყვნენ გართულნი. რძლები გომიჯებს და ხაჭაპურებს აცხობდნენ, ქათმებს ბრტყენდნენ და კეცებზე წვაუდნენ, ხოლო როდამი და მელანო ტანსაცმელსა და ხამის საცვლებს უმზადებდნენ მგოსანს. ზაქარია თავისი ვაჟებით ვითომ ქალებს ეხმარებოდა, მაგრამ თავიანთი რჩევა-ღარიგებით ისინი უფრო ხელს უშლიდნენ მათ და ფეხებში ებლანდებოდნენ.

ყველას ემჩნეოდა თავისებური აღეზნება. განსაკუთრებით ზაქარია ბორგავდა. მას მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ოცნება, რომ კვლავ ეღირსებოდა თბილისში დაბრუნება, ლურჯად მოკამკამე გოგირდის ცხელ წყალში განბანვა, თავისი სახლის აივანზე ფეხმორთხმით ჯდომა და სასუძარო ლექსთა თხზვა, ან კიდევ კრიალოსნის ჩამარცვლით ფსალმუნის კითხვა. გარეგნულად თითქოს მარტო ეს იყო მისი სანუკვარი ოცნება და კიდევაც მრავალჯერ გამოთქვამდა ხმაძალა თავის სურვილებს ოჯახის წევრებთან, მაგრამ გულში უფრო მეტზე ოცნებობდა: სურდა კვლავ აღედგინა თავისი მღვდმარეობა, როდესაც ის არსებითად მთელი ქართლ-კახეთის ეკლესიის განმგებელი იყო და ერთი ნაბიჯი აკლდა კათალიკოსის ტახტამდე. ვინ იცის, იქნება კიდევაც დაეჭირა ეს ტახტი, რომ ანტონთან ბრძოლა არ წაეგო. სასულიერო ტახტზე სავალდებულო არ იყო მაინცადამინც ბაგრატიონის გვარის წარმომადგენელი მჯდარიყო. აგერ იმერეთში ხომ აკურთხეს იოსების შემდეგ მაქსიმე აბაშიძე კათალიკოსად. ქართლ-კახეთი ვითომ რით განსხვავდება იმერეთიდან? ახლა, თუ მართლა კვლავ წაღმა დატრიალდებოდა მისთვის ცხოვრების ეს მძიმე ჩარხი და ქართლის ტახტზე აღექსანდრე ბაქარის ძე ავიდოდა. ბევრი რამ სასიხარულო ამბავი იყო მოსალოდნელი. კვლავ უდავოა, ახლად გამეფებული, მუდამ დევნილი ბატონიშვილი განსაკუთრებული პატივით მოეპყრობოდა არა მარტო ბესიკს, არამედ მის მშობელსაც. ზაქარიას კვლავ მიიწვევდა სატახტო ქალაქში და სხვა რომ არა, სიონის მეკარედ მაინც დანიშნავდა.

– დიდია ღვთის ძალა, ვენაცვალე მის სახელს, – იმეორებდა წამდაუწყებლად ზაქარია და პირველს ისახავდა, – დიდია! სამართალს მაინც თავის კალაპოტში ჩაადგებს. ასე რომ არ იყოს, რა არ დამიპირა იმ ბოროტმა და ჯოჯოხეთის მოციქულმა ანტონმა. სახლიდან გამომაგდო, ყოველივე ღირსება ამყარა, გამკრიჭა, რუსეთში გადამხვეწა, იქაც არ მომასვენა, ტადარში შესვლა და მღვდელმსახურება ამიკრძალა, სულით ხორცამდე მოსპობა მომისურვა, ჩემს შვილსაც მიწვდა, მეფესთან შეასმინა, კინალამ თავი მოაკვეთინა, მაგრამ, ვენაცვალე ღვთის ძალას და განგებას, მაღლი უფლისა მოავლინა ჩემს შვილს, იხსნა საფრთხისაგან და აჰა, ძრწოდე ბოროტებავ, მალე ვიხილავ, რომ ბოროტსა სძლიოს კეთილმა, არსება მისი გრძელია.

დალილი-დაქანცული ბესიკი მისვლისთანავე მიეგდო ტახტზე. მას სურდა ცოტა მაინც წაეძინებია და უძილობით გამოწვეული თავის ტკივილი გაენელებია. ზაქარიას კი ამბების გაგება სურდა და შვილს მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვებით.

– რა ითათბირეთ? მიდიხარ? რა გზით მიდიხარ? ვინ მიგყავს? შენ გეძინება, შვილო, გატყობ. კარგი, დაიძინე, ხელს არ შეგიშლი. ოღონდ ეს მითხარი, სოლომონმა რა ბრძანა ერეკლეზე? არა, გატყობ, მართლა დალილიხარ, შვილო, დაიძინე, დაიძინე.

ზაქარია ვითომ მოცილდა შვილს, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და ისევ მოუბრუნდა:

– ანტონზე არაფერი უთქვამს? იტყოდა, მაგრამ შენ ახლა გეძინება, შვილო, და აღარ განსოვს. კარგი, მერე მიაძმე.

ზაქარია, როგორც იქნა მოშორდა შვილს. ბესიკმა ძლივს მოასწრო თვალის მოტყუება, რომ ის ფრთხილად გააღვიძეს და უთხრეს, ვილაც უცხო კაცი მოვიდა და გკითხულობს. იძულებული იყო ამდგარიყო. ძილი მართლა აკლდა, მაგრამ თავი აღარ ტკიოდა და ამან ცოტა არ იყოს უკეთეს გუნებაზე დააყენა.

გარეთ მას ვილაც ბეჭებში მოხრილი დათვისმაგვარი ჯმუხი მამაკაცი დაუხვდა. „დავით ბატონიშვილის მეუღლეს ანას სურს თქვენი ნახვა და თავისთან გიხმობს“, უთხრა მან ბესიკს.

– კარგი, ვეახლები. სად ბრძანდება?

– სასახლეში გახლავთ.

– შენ თითქოს სადღაც მინახავხარ? შენი სახელი?

– როსთო, ჩემო ბატონო.

– ქართლელი ხარ თუ იმერელი?

– იმერელი გახლავართ. ბატონიშვილის ძიძიშვილი და მისი მსახური. მე ქართლში თან ვახლდი ბატონიშვილს და იქიდან გეხსომები.

– მე განსოვარ?

– კი, ბატონო, – მძიმედ ამოიოხრა როსთომ და დამნაშავესავით განზე გაიხედა. – მანსოვხარ.

– კარგი, წადი, მოახსენე ერთ საათში გეახლები-თქო.

როსთომ გულზე ხელი მიიღო, ბესიკს დაბლა თავი დაუკრა და დაღმართში ბაჯბაჯით დაეშვა.

* * *

– ეს რა გაგიგე? მე აქ მოუთმენლად მოვბოდი, მეგონა, დამიხვდებოდი, უწყლობით გამხმარ ვარდს ფეხქვეშ ანკარა წყაროდ მომეგებებოდი, გულს გამიცოცხლებდი, შენ კი სპარსეთს მიდიხარ? – ანამ ნაწნავი ბეჭზე გადაიგდო და ბესიკს თვალბეჭებში შეხედა. ამ დილით ანა მართლა ჰგავდა ვარდს. ლოყები ახლად-გაშლილი კუკურივით უღვივოდა და გრძელწამწამიანი თვალის ქუთუთოებიც ვარდის ფურცლებს მიუგავდა. – მიპასუხე, რას დადუმებულხარ?

– ჩვენი ცხოვრება ძლეულვარე ზღვას მაგონებს, ზვირთები ხან სად გაგვაქანებენ, ხან სად!

– ბესიკმა თავი დახარა და მძიმედ ამოიოხრა; მღვიმევის მონაზონი მოაგონდა, რომელმაც მოჩვენებასავით გაიღვა მის თვალწინ და გულზე წარუშლელი დაღი დააჩნია.

– მე ზღვა თვალთაც არ მინახავს. ნეტავ დილია?

– უსახდვრო და უნაპირო...

– ისე ვით მიჯნურის გული, – გაიცინა ანამ, – მითხარი, მართლა სპარსეთს მიდიხარ? როდის მიდიხარ? მალე მიდიხარ?

ბესიკი დაჟინებით აკვირდებოდა ანას და თავის თავს ეკითხებოდა: უყვარდა კიდევ ეს ქალი თუ არა. ჯერ კიდევ შარშან, როდესაც გაიგო, რომ ანა იმერეთს მოდიოდა, სინარულით ცასა სწვდა, მაგრამ ეს სინარული არ გულისმობდა ანასთან კვლავ მიჯნურობის განახლებას. მაშინ ბესიკის გული მღვიმის მონასტერში ნახულ მონაზონს დაეპყრო და ანას იმერეთში გადმოსახლება ახარებდა, როგორც შინაურისა და ახლო მეგობრის მოსვლა, მეტი არაფერი. შემდეგ, როდესაც ბედმა უმტყუნა, ბესიკი სევდამ შეიპყრო და მთელი ზამთარი ისე გაატარა, რომ მისი ერთადერთი გასართობი, დილიდან დაბინდებამდე, თავაუღებელი მუშაობა იყო. ქუთაისის მომხიბლავმა და ვარდის გამაბრუებელი სურნელებით დამტკბარმა გაზაფხულმაც კი ვერ გაუხსნა შუბლი ბესიკს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გაიგო ქუთაისს ანა და მისი ძველად მობრძანდნენო, მხოლოდ მაშინ იგრძნო სინარულის მოზღვაება. ალტაცებული გაქეპანა ანასთან შესაგებებლად და მიუახლოვდა თუ არა, ოღონდ დაბნეული შეჩერდა. რატომღაც ეგონა, რომ შარავანდელით სხვიმოსილ მზეთუნახავს, რაღაც სასწაულებრივ არსებას დაინახავდა, ნამდვილად კი მის წინ ჩვეულებრივი არსება იდგა, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ქალთაგან. „ნუთუ წინათ ამაზე მომხიბლავი არ იყო? გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ბესიკმა, – თითქოს სულაც არ გამოცვლილა, იგივე ციმციმა თვალები, მომხიბლავი გამოქვეყნება და ბავშვური ტუჩები, მაგრამ რად არ განვიცდი იმ სინარულს, რომელსაც მუდამ განვიცდიდი წინათ მასთან შეხვედრის დროს“. ბესიკს ეგონა, რომ ანას ნახვით ის ხელმოკრედ იგრძნობდა იმ ნეტარებას, რომელსაც მღვიმევის მონასტერში განიცდიდა. შეიძლება ეს კიდევაც მომხდარიყო, რომ ის წინასწარ არ განწყობილიყო და ნახვამდე არ დაერწმუნებია თავისი თავი, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ანასთან შეხვედრა. ალბათ, ამისი ბრალი იყო, რომ მოლოდინი არ გაუმართლდა. მაინც შეეცადა თავი დაერწმუნებინა, რომ განუზომელი ალტაცებით იყო შეპყრობილი. თვალთაგან სინარულის ცრემლიც კი მოიწურა, გულში სულ იმეორებდა „აჰ, რა ბედნიერი ვარ, დღეს კვლავ აღმობრწყინდა ჩემთვის მზე“, მაგრამ გრძობდა, რომ მთელი მისი სინარული და ალტაცება ოღონდ ნაძალადევი იყო და თავს იტყუებდა.

პირველი შეხვედრისას ანამ და ბესიკმა გასაუბრება ვერ მოახერხეს. მათ მხოლოდ მოიკითხეს ერთმანეთი, ხოლო განმარტოებით ლაპარაკი შეუძლებელი შეიქნა. ბესიკი, მოცილდა თუ არა ანას, კვლავ სევდამ შეიპყრო და ცუდი განწყობილების განსაქარვებლად გაჰყვა ელიზბარ ერისთავს ვარციხეში. ცხენით გასეირნებამ ოღონდ გამოუკეთა ხასიათი და, როდესაც ქუთაისში დაბრუნდა, უკვე მოუთმენელი ხალისით მისწრაფოდა სასახლისაკენ, რათა ანას შეხვედროდა, მისი ღიმილი დაეჭირა და კვლავ ანთებულიყო ძველი ტრფობის ალით, მაგრამ იმედი კვლავ გაუცრუვდა.

კვლავ იგრძნო, რომ ის წინანდელი, ძველებური აღმაფრენა სრულიად ჩამქრალიყო და ახლა გრძნობათა გასაღვიძებლად იძულებული იყო ანასათვის სულ სხვაგვარი თვალით ეცქირა. წინათ საკმარისი იყო თვალების ციმციმი დაენახა, რომ გული სანეტაროდ აჩქროლებოდა, ახლა კი ის დაჟინებით ათვალთვრებდა მის სავსე მკერდს, ქალურად დასრულებულ სავსე თეძოებს, და ალტაცების ნაცვლად სირცხვილის გრძნობა იპყრობდა. მას სურდა თავისი თავი დაეთრგუნა, რომ ასე უხეშად ეპყრობოდა გულში მიძინებულ უნახეს გრძნობებს და სიძვით სურდა მისი გაღვიძება. მთელი საღამო ბესიკი თავს არიდებდა ანას და ვახშმის შემდეგაც მისთვის გასწია ადრე შინისაკენ. უკან რომ დააბრუნეს, უგუნებოდ მოდიოდა სასახლეში. არეული ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ და ძალზე კმაყოფილი დარჩა, რომ სოლომონთან და მის დიდებულებთან განმარტოებულს მოუხდა მთელი ღამით თათბირი.

ახლა კი ასეთმა პირდაპირმა შეგებებამ, ანას საუბრის გულახდილმა და შინაურულმა კილომ, ცოტა არ იყოს, დააბნია და თავბრუ დაახვია.

– არ წახვიდე, გესმის? – გაუმეორა ანამ, – მე არ მსურს, რომ წახვიდე.

ბესიკმა უნებურად გაიცინა.

– მართლა გეუბნები. – თითქოს ებუტებოდა, ისე გაჭიანურებით უთხრა ანამ, – აქ უშენოდ როგორ უნდა გავძლო. მართლა, როგორ შეეგუე თბილისის შემდეგ აქ ცხოვრებას? არემარე აქ უფრო ლამაზია თბილისზე. ეგ არის, რომ ქალაქი უფრო მცირეა. ეს რა სიცხეები სცოდნია, სუნთქვა მიჭირს. აქ კიდევ რა უშავს. შენა თქვი, წირქვალში როგორ უნდა გავძლო. მოურაემა მითხრა, ერთი მივარდნილი სოფელია მთაშიო...

– ისეთი წარმტაცი ადგილია...

– მართლა? ნეტავ მაგრე იყოს, მაგრამ სახლი! ერთი თავლისმაგვარი ძელური სახლი დგას შუაში კერიით. ესაა თურმე მთელი ჩვენი სასახლე. თბილისის შემდეგ, ხედავ, სად უნდა ვიცხოვრო! ზაფხულში კიდევ არაფერი. ზამთარში რა უნდა ვქნათ? სახლს ფანჯარაც კი არ ჰქონია.

– ახალი უნდა აიშენო, დედოფალო.

– ფული არა მაქვს, – დაღვრებით ჩაილაპარაკა ანამ, – მზითვიდან რაცა მქონდა, სულ დამეხარჯა. ჩემს მოახლეებს განა ცოტა სჭირდებათ, ჩაცმა-დახურვა, ჭამა სმა. რამდენ ერთს უნდა გავუძლო. ჩემი ქმარი ვითომ ტახტის მემკვიდრეა და თითოვით შიშველია. შენ, გავიგე, სასახლე წამოგიჭიმავს.

– ჯერ სადაა, ყავრით გადავხურეთ მხოლოდ და ეგაა სულ...

– ეგ ცოტაა? ნეტავ მეც ვერე მქონდეს. როდის მომესწრება რამე. ახლა ზაფხულია და გარეთ, ხის ძირასაც რომ დავიძინოთ, არაფერია, ზამთარში რაღა ვქნა? უფანჯრო სახლში რა მაცხოვრებს. დედოფალი მპატიჟებს, ჩემთან იყავიო, მაგრამ მე თვითონ არ მსურს და არც ივარგებს, რომ მას შევეკედლო. იფიქრებენ, გულქანა იმისათვის იახლოვებს დავითსა და მის მეუღლეს, რომ სოლომონს საკუთარი შვილი უნდა შეაძულოსო. ჩემთვის ჯერჯერობით ესეც დიდი წყალობაა, რომ მამულები მიბოძეს და საკუთარი სახლ-კარი მაინც მექნება. მერე ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის... იცი რა! – ანამ მაჯაში ხელი წაავლო ბესიკს, თავისთან ახლო მიიზიდა და ყურთან წასჩურჩულა: – თუ ღმერთმა ინება და პაპუნა წერეთელი დამიმოყვრდა, მაშინ... – ანამ მიმოიხედა და ბესიკს თვალი ჩაუკრა.

– როგორ? – ვერ მიხვდა ბესიკი და კითხვის ნიშნით თავი ოდნავ შეაქანა.

– მინდა ჩემი მული გავურიგო.

ბესიკი ოდნავ უკან გადაიხარა და ანას ალტაცებით დაუწყო ცქერა.

– მაპატიე, დედოფალო, და არ მეგონა, თუ ასეთი შორსმჭვრეტელი იყავი. მე სულ ბავშვი მგონიხარ და გულუბრყვილო – აღელვებული ბესიკი ადგა და ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, – ახლა მე მჯერა, რომ...

– მოიცა, ენა ნუ გისწრებს. მოდი, აქ დავექი, შემომხედე და მითხარი, კიდევ გიყვარვარ თუ არა?

– მე როგორ გავბედავ და გავკადნიერდები ისე, რომ...

– კარგი ერთი, ნუ სულელობ. გატყობ სხვა ვიდაც შეგყვარებია. არ გიჯავრდები. მითხარი, ვინ არის?

– განა სიყვარულისათვის მეცალა! – შეეცადა თავი ემართლებია ბესიკს, მაგრამ დაიბნა და უხერხულად მიმოიხედა.

– შენ ვერ მომატყუებ. ვინ არის?

– არავინ, დედოფალო. ჩემი სახლიდან განდევნილს, უსახლკაროს, ყველასაგან დავიწყებულს, მღვიმევის მონასტერში რომ მიველ, ანთებულ ლამპარივით მომეკლინა ერთი თვალწარმტაცი ანგელოზი მონაზონი, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– ალბათ, ღმერთი განრისხდა და ის ლამპარი უეცრად ჩამიქრო.

ანას უნებურად კვნესა აღმოხდა. რატომღაც ის ახლა სრულიად არ იყო შეპყრობილი ეჭვიანობის გრძნობით და ბესიკის გულახდილად ნაამბობს თანაგრძნობით და

ცნობისმოყვარეობით ისმენდა. დაწვრილებით გამოჰკითხა მთელი თავგადასავალი და გულანწყებულს თვალეზე ცრემლებიც კი მოადგა, თავის მეგობარს დამშვიდება დაუწყო:

– როგორ მებრალები. არ იდარდო, კარგი! ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე აქა ვარ, მეორეც იმიტომ, მე... რომ მე... არ გაძღვე უფლებას სხვა ვინმე გიყვარდეს, – ანა უეცრად ჭარხალივით გაწითლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ბესიკს თვალეში დაჟინებით ჩააცქერდა. ამ გაწითლებამ ბესიკის თვალში ანა თითქოს გააშიშვლა, მაგრამ ამაღელვებელი ის იყო, რომ ანა არც კი ცდილობდა თავისი ეს „სიშიშვლე“ დაეფარა... და მხოლოდ ახლა იგრძნო ახალგაზრდა მგოსანმა, როგორ დაუწყო სისხლმა მღვრევა და სანეტარო ჟრუნტელმა მუხლი მოკვეთა. ანამ სწრაფად შეატყო თვალეში ბესიკს ეს სვადური ამღვრევა და ახლა უკვე სირცხვილის სიწითლემ აულაპლაპა ლოყები. შვებით მოითქვა სული და ისეთივე ნეტარება განიცადა, როგორსაც განიცდის მხილებული ცოდვილი, როდესაც შემთხვევით, თვით მამხილებელს დაიჭერს ხოლმე უფრო უარეს შეცოდებაში. გუნებაში უნებურად გაუელვა სურვილმა, რომ ბესიკს მისთვის ხელი მოეხვია, მაშინვე სილას გააწნავდა, ან ულვაშს აუწვევდა, რომ თავხედობისათვის დაეტუქსა და დაემტკიცებინა თავისი გულგრილობა, მაგრამ ეს არ მოხდა. ბესიკი დაბნეული იდგა. დაიბნა ანაც და ორივენი ერთხანს თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. ისინი გრძნობდნენ, რომ მათ შორის მოხდა ისეთი რამ, რაც საოცრად აახლოვებდა ორივეს ერთმანეთთან, მაგრამ ერთიც და მეორეც ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, თითქოს ორივეს ეშინოდა, რომ ეს მათი უეცარი დაახლოება მირაჟით არ გამქრალიყო.

ეზოდან უჩვეულო ხმაურობა მოისმა. კარისკაცთა ყიჟინა და ცხენების თქარათქური ერთმანეთში აირია.

ორივე გამოერკვა. ანამ თვალეში შეხედა ბესიკს, გაუღიმა. თვალით ფანჯარაზე ანიშნა და იკითხა:

– რა ამბავია?

ბესიკი თითქოს ამ ღიმილს ელოდა, უცბად ორივე ხელი მოხვია ანას, მიიზიდა და მოისურვა ტუჩებზე დაჰკონებოდა, მაგრამ დაფეთებულმა ანამ გულზე ხელი მიაბჯინა, თავი გაითავისუფლა და მკაცრად უთხრა:

– გაგიჟდი!

მერე ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა და ბესიკისაკენ მოუხედავად თქვა:

– ღმერთო, რამდენი ცხენოსნებია, ნეტავ ვინ არიან? – პასუხი რომ არ მიიღო, მოიხედა და ბესიკს მკაცრად უთხრა: – გასწი ახლავე აქედან!

ბესიკმა თავი მორჩილად დახარა და კარისაკენ გაემართა. ის ხმის კილოზე მიუხვდა ანას, რომ ეს მკაცრად თქმული ბრძანება დატუქსვას კი არ ნიშნავდა, არამედ ჭკვიანურ გაფრთხილებას.

აივანზე მსახურს შეეფეთა, რომელმაც მოახსენა, რომ მეფე სოლომონს სტუმრად ეახლენ აფხაზეთის სამთავროს მემკვიდრენი ზურაბ და ქელემბეგ შერვაშიძენი თავიანთი ამალითო. ბესიკი მაშინვე გაემართა, რომ სხვებთან ერთად სტუმრებს შეგებებოდა.

* * *

აფხაზეთის მთავართა სტუმრობა სოლომონთან ისეთი საარაკო მოვლენა იყო, რომ არათუ მეფის სასახლე, მთელი ქუთაისი აფორიაქდა. მას შემდეგ, რაც იმერთა სამეფო, უკანასკნელი ორი თუ სამი საუკუნის მანძილზე, ცალკე სამთავროებად დაქუცმაცდა, აფხაზეთიც სრულიად განცალკევდა და თავი დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა. ერთხანს აფხაზეთი ერთ მთლიან სამთავროს წარმოადგენდა, მაგრამ დაახლოებით 1720 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი ზეგნაყ შერვაშიძე, ეს მხარე მისმა შვილებმა სამ ნაწილად გაიყვეს. უფროსი ვაჟი როსტომი ჩრდილო აფხაზეთში დამკვიდრდა და მისი სამფლობელო

ბზიბიდან კოლორამდე აღწევდა. მომდევნო ძმას ჯიქეშიას შუაგული შეხვდა კოლორიდან გალიზგამდე, ხოლო უმცროსს სამხრეთის ნაწილი ერგო. ამ მხარეს შემდეგში ყვაპუს შვილის – მურდაყანის სახელი, სამურდაყანო დაერქვა. ეს მთავრები არათუ იმერთა მეფეს არ მორჩილებდნენ, არამედ ერთმანეთსაც კი მტრობდნენ და გაუთავებელი ომი ჰქონდათ. ერთადერთი ხუტუნია შარვაშიძე იყო მათ შორის, რომელიც მთელი თავით მალლა იდგა თანამოგვარე მთავართა შორის. უაღრესად განათლებული და მწიგნობარი, იგი აგრეთვე უშიშარი მებრძოლი იყო, თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თავის ხელით ჰქონდა გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“. და ამიტომ იყო, რომ მის გულში ღრმად გაღვივდა სამშობლოსადმი სიყვარული. ის აშკარად ხედავდა, თუ რა მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოსათვის ასე დაქუცმაცება. გურიის მთავარი ცალკე აპირებდა მეფობას, სამეგრელოს მთავარი ცალკე, სვანეთის მთავარი მთებში ჩაკეტილიყო, რაჭის ერისთავიც ასე განზე იყო გამდგარი, არგვეთში აბაშიძე ეპოტინებოდა გამთავრებას, აჭარა-შავშეთში თურქები ბატონობდნენ და მარტო აღმოსავლეთ საქართველო მძლავრობდა თეიმურაზისა და მისი შვილის ერეკლეს მეთაურობით. როდესაც იმერთა სამეფო ტახტზე სოლომონი ავიდა და სამთავროთა შემომტკიცებას შეუდგა, ხუტუნია შარვაშიძემ ივრძნო, რომ ქვეყანას ნამდვილი მზრუნველი მოეკვლინა. ის მაშინვე ეახლა მეფეს, მორჩილება აღუთქვა და თავისი გულისნადებიც გაუზიარა. სამურდაყანოს მფლობელი ოცნებობდა, რომ საქართველო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მთლად აღდგენილიყო და თუ სოლომონი ამას მტკიცედ მოჰკიდებდა ხელს, იგი მზად იყო მსხვერპლად შეწიროდა ამ საქმეს.

და კიდევაც შეეწირა.

როდესაც სოლომონმა ტყვეთა გაყიდვა აკრძალა და თურქეთს ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა, განრისხებულმა სულთანმა იმერეთის მეფეს ომი გამოუცხადა და ახალციხის სერასკირს უბრძანა იმერეთში შეჭრილიყო. სოლომონთან მაშინვე თავი მოიყარეს ერთგულმა თავადებმა, მათ შორის სამეგრელოს მთავარმა ოტია დადიანმა (მოხუცობის გამო თვითონ ოტიას ომში მონაწილეობა არ მიუღია, მან თავისი შვილი კაცია წარგზავნა) და სამურდაყანოს მფლობელმა ხუტუნია შერვაშიძემ. თურქთა და ქართველთა ლაშქარი ხრესილთან შეხვდა ერთმანეთს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა გაიმარჯვეს. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა სახელგანთქმული შერვაშიძე. მან თითქმის მიაღწია თურქთა ბანაკის შუაგულამდე და ხელჩართულ ბრძოლაში მტრის თექვსმეტი მეომარი განგმირა, მაგრამ თვითონაც მსხვერპლად შეეწირა ქვეყანას. სოლომონმა ის განსაკუთრებული გულისტკივილით დაიტირა და დიდი პატივითაც წაასვენებინა თავის საბრძანებელში.

ამ მარცხმა თურქეთი უფრო გააცეცხლა. სულთანმა მას შემდეგ რამდენჯერმე შემოუსია ჯარები დასავლეთ საქართველოს, მაგრამ სოლომონმა მას ყველგან სასტიკი მარცხი აგემა. ერთადერთი ადვილი, სადაც თურქებს კვლავ მტკიცედ ეკიდათ ფეხი, ეს შავი ზღვის სანაპიროები იყო. აქ მათ ხელში ეპყრათ გამაგრებული ციხეები. ამიტომ მათთვის ადვილი განდა აფხაზეთში მანუჩარ შერვაშიძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყოთ. ხრესილის ბრძოლაში მანუჩარი, მართალია, აშკარად არ მომხრობია სოლომონს, მაგრამ გულში თანაუგრძნობდა და იმისთვის არც დაუშლია თავის ბიძაშვილ ხუტუნისთვის სოლომონს მიმხრობოდა. თურქებმა მოისყიდეს ძიპშიას გვარეულობა და მანუჩარს აჯანყება მოუწყვეს. გამარჯვებულებმა ტყვექმნილი სამი ძმა შერვაშიძე: მანუჩარი, შირვანი და ზურაბი ფაშას მიჰკვარეს, რომელმაც ისინი თურქეთში გადაასახლა. რამდენიმე ხნის შემდეგ თურქეთის მთავრობა მოურიგდა ზურაბ შერვაშიძეს, აფხაზეთში დააბრუნა და სამთავროს ტახტი მიუბოძა, ცხადია, იმ პირობით, რომ ზურაბს თურქეთის ბატონობა უნდა ელიარებინა, ხარკი ეძლია და ტყვეთა ყიდვა გაყიდვაც არ აეკრძალა. ზურაბი ამას არ შეურიგდა და მაშინვე შეუდგა თურქეთის წინააღმდეგ შეთქმულებას. მალე მისი მეთაურობით აფხაზეთში იფეთქა საყოველთაო სახალხო აჯანყებამ. ზურაბს მიემხრო სამურდაყანოს მფლობელი ლევან

შერვაშიძე და მათ 1771 წელს თურქები სუხუმიდან ზღვაში გადაყარეს. განრისხებულმა სულთანმა კვლავ მოახერხა სუხუმის დაკავება და იქ, ზურაბის ძმის, მანუჩარის შვილი – გამაჰმადიანებული ქელეშბეგ შერვაშიძე დასვა მთავრად. ქელეშბეგი სუხუმის მფლობელად ითვლებოდა და მარტო ქალაქის მიდამოებში ბატონობდა. მას თავისი ბიძის ზურაბის წინააღმდეგ არც ბრძოლა შეეძლო და არც სათანადო ძალები გააჩნდა. ბიძასთან მან მშვიდობიანი თანამშრომლობა აირჩია და ნათესაური ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

სოლომონის გაძლიერებამ იმერეთში, მის მიერ როსტომ რაჭის ერისთავის განადგურებამ და გურიელის დამორჩილებამ აფხაზეთის მთავრები ღრმად ჩააფიქრა. ისინი მიხვდნენ, რომ თუ თურქების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აპირებდნენ, მათთვის აუცილებელი იყო იმერეთის მეფესთან საბოლოოდ მორიგება და მისი მფარველობის აღიარება. შეიძლება შერვაშიძეები გაცილებით ადრე აღიარებდნენ სოლომონის მეფის უფლებებს აფხაზეთის სამთავროებზე, მაგრამ საქმეს სამეგრელოს მთავარი, სოლომონის ცოლისძმა, კაცია დადიანი აფუჭებდა. კაცია განუდგა სოლომონს, თავი დამოუკიდებელ მთავრად გამოაცხადა, არც მეფეს მორჩილებდა და არც ტყვეების გაყიდვას კრძალავდა. სოლომონი ერთხანს თავს იკავებდა და ცდილობდა კაცია მშვიდობიანი გზით დაემორჩილებინა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ოდესმე მოთმინების ფიალა აივსებოდა და მეფე იძულებული გახდებოდა თავისი უძლიერესი მთავრის წინააღმდეგ მახვილი აღემართა.

ეს ამბები, ცხადია, არ გამოპარვია ზურაბ შერვაშიძეს. მან იფიქრა, რომ სოლომონი, ალბათ, მარტო ვერ ბედავს კაციას წინააღმდეგ გალაშქრებას, ხოლო თუ მივეშველები, მაშინ შეიძლება ნახევარი სამეგრელო დამითმოს და მე, როგორც დამოუკიდებელი მთავარი, ისე დავემკვიდრო ჩემს საბრძანებლოსო. ზურაბი მოეთათბირა ბექირბექსა და ქელეშბეგს და, როდესაც ძმისწულებმა აზრი მოუწონეს, გადაწყვიტა თვითონ ხლებოდა სოლომონს.

ქუთაისში კი მათი მოსვლა სხვაგვარად ახსნეს. დიდსაც და პატარასაც, ყველას ეგონა, რომ აფხაზეთის მთავრებმა სოლომონის მორჩილება აღიარეს და იმისათვის ეახლენო. ამიტომ იყო, რომ მათმა მოსვლამ წარმოუდგენლად ააფორიაქა ყველანი.

როდესაც ბესიკი ეზოში გამოვიდა, დაინახა, რომ მეფის სასახლის წინა მოედანი სავსე იყო ჩამოქვეითებული ცხენოსნებით და დამხვდურებით.

ეზოში ზურაბს და ქელეშბეგს პაპუნა წერეთელი შეეგება და, სანამ სტუმრებთან დაიაზებით მისალმებას დაამთავრებდა, ეზოსმოდგვარმა ხელად მიუჩინა სასახლის კარისკაცებს თავიანთი ადგილი. ალაყაფიდან კიბეებამდე ხელჯოხიანები ჩაამწკრივა, კიბეებზე ხანშესული დარბაისელნი, აივანზე მგალობელნი და მესაკრავენი, ხოლო სეფექალებმა და დიდებულმა სატახტო დარბაზში მოიყარეს თავი. ყოველივე ეს ჩუმად და სწრაფად მოხდა და, როდესაც პაპუნა წერეთელი სასურველ სტუმრებს კიბისაკენ გაუძღვა, მთელ ეზოში და სასახლის კიბე-აივანზე შეგროვილი ხალხი საგანგებოდ შერჩეული და შეწყობილი თაიგულივით იყო შეკრული. ზურაბმა და ქელეშბეგმა მარჯვნივ და მარცხნივ საერთო სალამის მიცემით გაიარეს თავდახრილ ხელჯოხიანთა და სასახლის მსახურთა დერეფანი. მომღერლებმა საზეიმო საგალობელი დააგუგუნეს, მესაკრავეებმა დაჰკრეს ნალარას სპილენძ-ჭურთა და წინწილთა. მთავრებს ჯერ საკუთარი დიდებულები მიჰყვნენ და შემდეგ სოლომონის კარისკაცნი.

სატახტო დარბაზში მთავრები ასევე თავდახრით მიესალმნენ ჯერ მარჯვნივ ჩამწკრივებულ მამაკაცებს (რამაც ბესიკი ძალზე გააკვირვა) და შემდეგ მარცხნივ მანდილოსნებს.

ცოტა ხნის შემდეგ მსახურებმა მძიმე ფარდები გადასწიეს და დარბაზში ვიღაც უცნობი დიდებული შემოვიდა, რომელსაც ბესიკი პირველად ხედავდა. დიდებულმა თავისი გრძელი კვერთხი სამჯერ დააკაკუნა და საზეიმო სიჩუმეში გამოაცხადა:

– მისი უდიდებულესობა მეფე აფხაზ-იმერთა სოლომონ, – სიტყვა „აფხაზ“, მან განსაკუთრებით მკვეთრად წარმოთქვა.

ისევ გაისმა მაგალობელთა მძლავრი სიმღერა და დარბაზში შემოვიდნენ სოლომონი და გულქანა. ორივეს სტავრაბრეშუმის სამოსელი ეცვათ, თავზე სამეფო გვირგვინები დაეცა და სიასამურის წამოსასხამები ეხურათ.

მთავრები მიუახლოვდნენ მეფე-დელოფალს და დაიჩოქეს, მაგრამ სოლომონმა ისინი სათითაოდ წამოაყენა და მაშინდელი ჩვეულებით მხარზე ეამბორა. შემდეგ ტახტზე დაბრძანდა, მეუღლე გვერდით მოისვა და მთავრებს სთხოვა დამსხდარიყვნენ ოქროთი მოვარაყებულ სავარძლებზე. რომელნიც მსახურებმა ჩუმად მიაცურეს მათთან. მთავრებმა მაღლობა მოახსენეს, მაგრამ დაჯდომა არ ისურვეს.

ბესიკმა ჩურჩულით ჰკითხა მოლარეთუხუცესს გიორგი წერეთელს და თვალთ იმ უცნობზე ანიშნა, რომელმაც მეფის შემობრძანება გამოაცხადა.

– ვინ არის ის? პირველად ვხედავ.

– როგორ, არ იცი? – გაოცდა გიორგი, – დავით კვინიხიძეა. წუხელ ჩამოვიდა რუსეთიდან.

– ჰოო, ეგ არის? – ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ბესიკმა ახლად ნახული დიდებული, – ბევრი მსმენია მაგაზე. ამბობენ დიდად განსწავლულიაო.

– საკითხავია! – დაუდასტურა წერეთელმა და თვალთ ანიშნა გაკრემდეთო.

სოლომონი ლაპარაკობდა.

– ჭეშმარიტად დიდი სიხარულით აღივსო გული ჩემი, ოდეს ჩემს ჭერს ქვეშ ვიხილე ჩვენი სამეფო სახლის დამამშვენებელი მთავარი აფხაზეთისა.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა მეფეს. აფხაზთა მთავრებს გულზე ხელები ჯვარედინად მიეღოთ და თავდახრილები გარინდულიყვნენ.

– სახლი ჩემი იგულვეთ. სახლად თქვენად, – განაგრძობდა სოლომონი, – თუკი, ვითარცა მსმენია, გული თქვენი მზად არის აღსდგეს აგარიანთა შესამუსრავად, და სახლსა ჩემსა მობრძანებულხართ ისე, ვითარცა უძველესი წინაპარი თქვენი დოთალო შარვაშიძე ეახლა დიდებულს მეფეთ მეფესა თამარს, მაშინ ჩვენ მზადა ვართ აღვასრულოთ ყოველი სურვილი თქვენი.

სოლომონი გაჩუმდა პასუხის მოლოდინში. ზურაბ შერვაშიძე კი თითქოს კიდევ მოელოდა მეფისაგან სიტყვას, თავდახრილი მდუმარებდა. მას თავიდანვე გულზე ეკალივით ეცა, როდესაც დავით კვინიხიძემ განსაკუთრებული ხმის აწევით გამოაცხადა, აფხაზ-იმერთა მეფე მობრძანდებო. უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა იმაზე, რომ სოლომონი აფხაზეთის მთავართან ისე დაიჭერდა თავს, როგორც თავის სწორთან და სავსებით დამოუკიდებელ მთავართან. ხოლო მეფემ ახლა პირდაპირ და, ცოტა არ იყოს, უხეშად დაუსვა კითხვა, სცნობ თუ არა ჩემს უფლებებს აფხაზეთის სამთავროზეო.

ზურაბს მოუთმენლად სურდა შეეხედა ქელეშბეგისათვის და თვალების გამომეტყველებით მაინც ეკითხა, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ახლა მისკენ მიხედვა არ შეიძლებოდა, სოლომონს ეს მოძრაობა არ გამოეპარებოდა. თუმცა ახლა ქელეშბეგს ზურაბისთვის არ ეცალა. ანას მზერა დაიჭირა, როდესაც მას ჩუმჩუმად უთვალთვალებდა, და მთელ ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. მართალია, ანამ სწრაფად მოაშორა თვალი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეორედ დაიჭირა ეს მზერა და გული საამოდ აუტოკდა. ამის შემდეგ ქელეშბეგს აღარც არაფერი ესმოდა და მეტს ვერაფერს ვერ ხედავდა. მთელი მისი არსება ანამ შეიპყრო. აშკარა იყო, რომ ანას სიამოვნებდა მისი აღტაცებული ცქერა. მართალია, იგი ქელეშბეგისაკენ არ იცქირებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ აფხაზის თვალების უხილავი სხივები მთელ ტანზე დაურბოდნენ. ამ სხივებმა ჯერ ლოყები აუტკაცეს და გაუღვივეს, მერე გულ-მკერდი აუტოკეს, მერე ისევ მოახედეს ამ ვაჟკაცისაკენ... მაგრამ ახლა ქელეშბეგს დაებნა მზერა. ანას სითამამე მოემატა. უხაროდა, რომ ამდენ ქალებში მართლ მან მიიპყრო ასეთი ვაჟკაცის ყურადღება და უხაროდა ისიც, რომ გაიმარჯვა და თვითონ შეაკრთო ეს ტანწერწეტა აფხაზი. ახლა თამამად

ათვლიერებდა ქელეშბეგს და აკვირდებოდა მის ბასრნაკეთებიან სახეს, ბრიალა თვალებს, მერცხალის ფრთებივით გადახაზულ წარბებს, ახლად აყრილ უღვაშებს და ყბებზე ლამაზ ზოლად შემოვლებულ წვერს.

ზურაბმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მართალია, სოლომონის ასეთმა ჯიქურად დასმულმა კითხვამ უცბად შეუცვალა განწყობილება და იმდენად გააბრაზა, რომ მზად იყო ახლავე გაბრუნებულიყო უკან, მაგრამ სახეზე თავაზიანი საამო გამომეტყველება მიიღო და მეფეს თავდახრით მოახსენა:

– ჩვენ ბევრი რამ სათქმელი გვაქვს, მეფე, ერთმანეთისათვის. მერწმუნეთ, რომ სიყრმიდანვე გული ჩემი მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი, რათა აღდგენილიყო ჩვენი საქართველოს წარსული დიდება და სკიპტრა სახლისა იესიან დავითიან პანკრატოვანისა და განვრცობილიყო ნიკოფსიიდან ვიდრე დარუბანდამდე. ამჟამად მიიღეთ ჩემგან მცირე რამ ძღვენი, თხუთმეტი აფხაზური ბედაური და ნუ შემრისხავთ, თუ საკადრისი მეტი ვერაფერი მოგართვით.

– მაღლობა მომიხსენებია და ნურც მე შემრისხავ, თუ ორასი სული ხარკამეჩის, ხუთასი ცხვარის და ოცდაათი ჩერქეზული ბედაურის მეტი ვერ მოგართვა თავისი მწყემსებით და მეჯოგეებით. გარდა ამისა, მომირთმევია თქვენთვის ოქროს ხანჯლები და აი ეს მოვერცხლილი დამბაჩები, – სოლომონმა მოიხედა, ეზოსმოდღვარს საგანგებოდ მომზადებული საჩუქრები ჩამოართვა და თავისი ხელით მიაწოდა მთავრებს.

* * *

სოლომონმა მთავრებს იმავე დღეს სანაქებო ნადიმი გაუმართა და ზღაპრული სიუხვით გაუმასპინძლდა. სუფრას არ აკლდა არც ირმის ხორცი, არც რაჭული ხბო და არც ხოსხები. ალადასტურმა და ხვანჭკარამ ხომ სულ მთლად განაცვიფრა სტუმრები. ნადიმი შუალამემდე გაგრძელდა. მეფემ ბრძანა, რომ მეორე დღეს მთავრებს სანადიროდ იწვევდა და ბაზიერთუხუცესი გააფრთხილა, მზად ყოფილიყვნენ.

ნაშუალამევს სუფრა აიშალა და შერვაშიძეები მოსასვენებლად ცალკე ოთახში წაიყვანეს. საკმაოდ ნასვამი ქელეშბეგი კარგ გუნებაზე იყო, ზურაბი კი, პირიქით, მოღრუბლული იჯდა ლოგინზე, თითქოს არც კი აპირებდა ტანსაცმლის განდას.

– აჰ, რა პატივი გვცეს! – ნეტარებით წამოიძახა ქელეშბეგმა, როდესაც ძიძისშვილმა მაშიები გახადა და ფეხი დაბანა.

– აფხაზურად ილაპარაკე, – წარბშეკრულმა ზურაბმა თვალთ ანიშნა კარებთან აყუდებულ მსახურზე და მერე აფხაზურადვე დასძინა: – პატივისცემად შენ გირჩევნია ის ჩათვალო, თუ ეს ჩვენი სულელი თავები აქედან გაგვატანეს.

– რაო? – ქელეშბეგმა თვალები შეაჭყიტა თავის ბიძას, – რას გვერჩიან.

– არაფერს. იმასვე, რასაც რაჭის ერისთავს ერჩოდნენ. ხვალ სანადიროდ გვპატიუებს. ასევე უყო რაჭის ერისთავს. სანადიროდ გეგუთში გაიტყუა, დაიჭირა და თვალები დათხარა.

– ნუ გეშინია, – ჩაიცინა ქელეშბეგმა, – ჩვენი ამაღა რას გვიკეთებს, თითსაც ვერ დაგვაკარებენ.

– როსტომ ერისთავს ჩვენზე უკეთესი ვაჟკაცები ახლდნენ, მაგრამ...

– შენი საქმე მაკვირვებს? – წამოღვა ფეხზე ქელეშბეგი და ფეხშიშველი მიტყაპუნდა ზურაბთან, – თვითონ შენ მარწმუნებდი: წავიდეთ, ვეახლოთ, მოვურიგდეთო, და ახლა რამ დაგაფრთხო ასე! თხუთმეტი ჯახრაკი მიართვი საჩუქრად და ოცდაათი ჩერქეზული ბედაური გიმაგიერა, ზედ საქონლის მთელი ჯოგი და ცხვრის ფარა მოაყოლა. ბოლოს და ბოლოს ხომ არ გეყმებოდა.

– საქმეც ეგაა. როსტომსაც მიუბოძა მამულები, მთები, სოფლები, ჯოგიც და ფარაც, მაგრამ საკუთარიც წაართვა.

– როსტომმა ათჯერ ზურგში დანა დასცა და შეარჩენდა? – ქელეშბეგი თავის საწოლს მიუბრუნდა და არხენად წამოგორდა, – არა მგონია, რომ ხუტუნია შერვაშიძის ამაგი ასე ვერაგულად გათელოს. უსაფუძვლოდ ეჭვიანობ.

– ჰო, მაგრამ მაშინვე რომ მოგვახალა, ახლავე მითხარით საყმოდ მოხვედით თუ არაო, ის რალა იყო. იქნებ მეც მაგას ვაპირებდი. არ უნდა ეცლია?

– ის მეფეა და გითხრა.

– მეფე? – ახლა ზურაბი წამოდგა ფეხზე, – მაგაზე ნაკლები ვინც იყოს, შევარცხვინე. თუ ხრესილთან თურქები მაგან დაამარცხა, ჩვენ ვენმარებოდით და იმიტომ, თორემ, მე რომ ხონთქარს კუდით ქვა ვასროლინე, მაგ სად იყო მაშინ? რუსის ჯარი მაგას ეხმარებოდა და ფოთის ციხე ვერც კი აიღეს. ჩვენ ვინ გვენმარებოდა, რომ სუხუმის ციხეც ავიღეთ და მთელ აფხაზეთში თურქებს ფეხი ამოვაკვეთინეთ? ახლა მზამზარეული უნდა რომ მიირთვას? პირი არ დაწვას.

– საიდან ამოაკვეთინე თურქებს ფეხი, – სიცილით უთხრა ქელეშბეგმა ბიძამისს, – მაშინ მე ვინდა ვარ, ქელაიშ-ახმედ-ბეგ შერვაშიძე, მაჰმადიანი და ხონთქარის მოადგილე სუხუმში. მართალია, დღეს ღორის ხორცი გეახელი და ზედ კარგი ღვინოც დავაყოლე, მაგრამ დიდ არს ალაპი, ეს იმიტომ, რომ...

– ეჰ, შენ რა უნდა გელაპარაკო. გაღეშილი ხარ. მგონია, ამ შავთვალამ მოგაჯადოვა.

– აჰ, ხმა, კრინტი. ნულარ მაგონებ, – დაიკვნესა ქელეშბეგმა. – იმისათვის მზადა ვარ, თუნდაც ახლავე შევვარდე ჯოჯოხეთში...

– შენ ჭკუით იყავი... ის ქმრიანი ქალია, ბაგრატიონის შთამომავლისმეუღლე და ორბელიანთა სახლიშვილი. მას შეიძლება ბედმა ხვალ იმერეთის დედოფლობა არგუნოს...

– მაშინ... მაშინ კი, ბიძაჩემო, სასიკვდილოდაც რომ წინ გადაძელობო, მე მაინც ვეახლები და მორჩილებით დავემხობი მის წინაშე.

– ოჰო, შენ აღარ ხუმრობ. მაშინ იქნებ ისიც ჯობდეს, რომ აქედან დროზე გავეცალოთ ამ სახიფათო მეფეს და ვეცადოთ, რომ შენი შავთვალა რაც შეიძლება მალე დაეუფლოს იმერეთის ტახტს.

– რაო? – ისარნაკრავივით შეხტა ქელეშბეგი და ტახტზე წამოჯდა.

– სს... ჩუმად. ჯობია დავიძინოთ და ჯერჯერობით იმაზე ვიფიქროთ, აქედან უვნებლად როგორ დავაღწიოთ თავი.

ზურაბმა სანთელი ჩააქრო და მაშინვე ლოგინში შეგორდა.

მეორე დღეს სტუმრები სანადიროდ უნდა წაეყვანათ, მაგრამ ზურაბმა ავადმყოფობა მოიმიზეხა და ნადირობა გადაადებინა. ნაშუადღევს კი მეფეს შეუთვალა, თქვენთან მე და ჩემს ძმისწულს უშუალო თათბირი გვსურსო. სოლომონმა მაშინვე მიიწვია ორივენი, და სანამ ზურაბი თავის სათქმელს ეტყოდა, ადამიანის მოვალეობაზე ჩამოაგდო სიტყვა და ალექსანდრე ამილახერის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მის სახელმწიფოსათვის მმართველობისა“ წაუკითხა.

ზურაბი ცოტა არ იყოს დაახნია სოლომონის ამ თავისებურმა სიბრძნეებმა. მართალია, თვითონ საკმაოდ განათლებული კაცი იყო, თავისი ხელით ჰქონდა გადაწერილი მრავალი ქართული წიგნი. იცოდა ბერძნულიც და სტამბოლში ყოფნის დროს გაეცნო ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწერებს, მაგრამ მას პირველად ესმოდა და ისიც მეფისაგან, რომ მთავარნი და დიდებულნი თვით მეფის ჩათვლით ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის არიან გაჩენილნი. ეს აზრი თვით სოლომონისათვისაც უჩვეულო და უცნაური იყო პირველად, მაგრამ იმდენად შეესაბამებოდა მის მიერ წამოწვებულ საქმიანობას, სამეფოს გაერთიანებას,

ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას, რომ ადვილად შეეგუა ქვეყნის მსახურის სახელწოდებას და ამით ახლა თავს აწონებდა ყველას.

ზურაბმა სწრაფად აუღო ალღო სოლომონის ამ განწყობილებას და ისე ოსტატურად, თანაც მჭევრმეტყველურად შეაქო მისი სახელმწიფო საქმიანობა, თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა, რომ მეფე ადვილად მოხიბლა. მერე კი ფრთხილად ჩამოუგდო ლაპარაკი სამეგრელოს ურჩი მთავრის საბოლოოდ დამორჩილებაზე.

- ცოლისძმა მაინც არ იყოს შენი, - უთხრა ზურაბმა სოლომონს, - სად გაგონილა ამისთანა ურჩობა. მეფე ვარო, ამბობს თურმე. ვის გაუგონია დადიანის მეფობა. მარტვილის ეპისკოპოსს კათალიკოსი დაარქვა. აგრე თუა, ბიჭვინთის მიტროპოლიტს მეც ვაკურთხებ კათალიკოსად. რუსეთში თავისი დესპანები წარუგზავნია, სამეგრელოს მეფე გთხოვ მფარველობასო. ღმერთო, შენ მიხსენი ცოდვისაგან! თქვენთან სამსახური და მორჩილება, მერწმუნე, ჩემო დიდებულო მეფე, დიდი ხნის სანუკვარი ოცნებაა ჩვენი, მაგრამ აფხაზეთსა და იმერეთს შუა სამეგრელოს სამთავროა გაჩნირული და ახლაც თქვენთან ხლება ზღვაზე მოვლით მომიხდა. რას ჰგავს ეს? ახლა იმისთვის გეახელი რომ, თუ თქვენი ნება-სურვილი იქნება, ამას ბოლო მოვუღოთ და ოდიშის სამთავრო თქვენი ტახტის მორჩილი გავხადოთ. ოცი ათას კაცს მე გამოვიყვან, თქვენც კი ამდენსავეს დაძრავთ, საქმეს ერთი დაკვრით გადაგვკრით. ამ სამსახურისათვის, იმის გარდა, რაც კაცის და მამამისს ოტიას არ წაურთმეგია პაპისჩვენის მურძაყანისათვის, ერთი მტკაველი მიწა არ მინდა. ინგურს აქეთ რაც მიწებია ყველა თქვენი იყოს და ვისაც გენებოთ, იმას უბოძეთ. თუმცა მე სულელი რას ვლაპარაკობ, მთელი აფხაზეთი თქვენი საბრძანებლის ქვეშ მომყავს და ინგურს აქეთ გადმოვალ თუ ინგურს იქით, მაგას რა ჭკუა აქვს. როგორც შენ გენებება, მეფე, ისე მოიქეცი.

- ესე იგი, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს რომ თავი დავანებოთ, მეუბნები, სამეგრელოს ერთად შევებრძოლოთ და შუაზე გავიყოთო, - თავისი მახვილი და გამემირავი თვალებით პირდაპირ შეხედა სოლომონმა ზურაბ შერვაშიძეს, მერე ადგა, მთავრებიც მამინვე წამოხტნენ, გაიარ-გამოიარა და ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ ისევ შეხედა ზურაბს, მაგრამ მოულოდნელად ქელეშბეგს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- შენ რას ფიქრობ, ხონთქარის ერთგულო?

ქელეშბეგი, ეტყობოდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და მათი საუბარი კარგად არც კი გაუგონია. მოულოდნელმა კითხვამ დააბნია და არ იცოდა რა ეპასუხნა.

- მე რა მეთქმის, დიღო მეფე, რასაც ბიძაჩემი ბრძანებს მე იმის დასტურს მოგახსენებთ.

- მაშ, თქვენის აზრით, მე თუ როსტომ რაჭის ერისთავი დავსაჯე, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მამულები მიმესაკუთრებინა? მე თუ გურიელს და დადიანს მორჩილებისაკენ მოუწოდებ, საჭამიასერის გაუვალი ჯაგნარი და ქვალონის ხაშმიანი ადგილები კლებია ჩემს გაუმაძღარ მუცელს...

- ღმერთო ძლიერო, მაგას რატომ ნებულობთ... - ზურაბი ხელების სავსავით და მოუთმენელი ფუსფუსით შეეცადა სოლომონისათვის საუბრის კილო შეეცვლევიინებინა, - თუ რამე ჩემის უმეცრებით ვერ მოგახსენეთ ისე...

- არა, მე ვიცი, რომ მარტო შენ როდი ფიქრობ ასე, ჩემო ზურაბ. ასე ფიქრობს ყველა. აზნაურს გლეხი მისთვის ჰგონია გაჩენილი ქვეყანაზე, თავადს კიდევ აზნაური თავის გლეხიანად მიაჩნია საკუთრებად, ხოლო მეფეს ჰგონია, რომ თავადიც, გლეხიც და აზნაურიც მის შესაჭმელად შეუქმნია ღმერთს. დიდება მის სახელს, ღმერთმა ადამიანი ქვეყნად ერთნაირი გააჩინა, მაგრამ აზნაური, თავადი ან მეფე მისთვის აამალა, რომ მათ მფარველობა გაუწიონ, უპატრონონ და მოუარონ თავის ქვეშევრდომებს, შენ სახარებას ზურგი შეაქციე, - მიმართა სოლომონმა ქელეშბეგს და შემდეგ ისევ ზურაბს მიუბრუნდა, - მაგრამ შენ არ დაგვოწყნია და კარგად იცი, რომ საიქიოს დიდი სამსჯავროს წინაშე ყველანი ერთნაირად წარვსდგებით

განკითხვის ჟამს: მდიდარი და ღარიბი, მეფე და ბეჩავი. ამიტომ გვმართებს ამქვეყნიური საქმენი ჩვენნი ღვთის ნებისამებრ წარვმართოთ. ქვეყანას უნდა მოვუაროთ, ჩვენი საქრისტიანო სამეფო კვლავინდებურად ფეხზე დავაყენოთ...

– ჩვენც ამისთვის გეახელით, მიიღე ჩვენი ერთგულება და მორჩილება, – დაეშვა მუხლებზე ზურაბი და შუბლი ნოსზე დაკრა.

* * *

დიდი და პატარა ერთმანეთს აღდგომის ღღესასწაულივით ულოცავდა შერვაშიძეების შემომტკიცებას. ნადიმს ბოლო არ უჩანდა. მარტო გოგია აბაშიძე დადიოდა მოღრუბლული. შერვაშიძეების სასახლეში მიღების დროს თვალი მოჰკრა, როგორ ხარბად უთვალთვალდნენ ერთმანეთს ანა და ქელეშბეგ შერვაშიძე. ეს წერა-კითხვის უცოდინარი მწიგნობართუხუცესი ელვის სისწრაფით შეიპყრო ეჭვიანობის გრძნობამ. სიბრაზისაგან ხანჯლის ტარი კინალამ გადაამტვრია.

– უყურე ახლა ამას შენ! – იძახოდა გოგია და ყოველ შემხვედრს ქელეშბეგზე უთითებდა. – რას იჯგიმება, რომ იჯგიმება. თათრად რომ მონათლულა, იმით გვაწონებს თავს? ქალი აღარ გაუშვა თვალბით შეუჭმელი. ხომ არ უნდა, ანდერძი აუეგო?

მერე დრო იხელთა და სოლომონს სიტყვა ჩამოუგლო, რავა ფიქრობთ, ბატონო, ღირს ახლა მაგ შერვაშიძეებს ამდენს რომ ვალაპარაკებთ, განა დრო არ არის მოვუაროთ მაგათაც და მაგათ მამულებსაცო.

მეფემ ისე გადაუბრიალა თვალები, რომ გოგიას შიშით კინალამ გული გაუსკდა. „ამ მეფეების ვერაფერი გავიგე, – ამბობდა გოგია თავის გუნებაში, – გგონია, ვაამებო და გული მოდის. რა ვუთხარი ახლა მაგას ასეთი“. სასიათწამხდარი მოცილდა სოლომონს და ამის შემდეგ აღარ იცოდა გულისჯავრი ვისზე ეყარა.

მეორე ღღეს მან კიდევ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ანასა და ქელეშბეგს, როდესაც ისინი თავაზიანად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. გარეგნულად ამაში არაფერი არ იყო საძრახი, მაგრამ ეჭვით შეპყრობილი მამლაყინწა მამაკაცისათვის ესეც საკმარისი იყო, რომ უდიდესი აღშფოთება გამოეთქვა.

– რას ჰგავს ეს, შენი ჭირიმე. ამ გათათრებულს ქალი კი არა, კაციც რომ დაელაპარაკოს, მაშინვე აიაზმა უნდა ისხუროს და ქალები რამ გადარია. ეს დავით ბატონიშვილის მეუღლე მაკვირვებს, თქვენ ნუ მომიკვლებით. ნათესავი მაგ არ არის მაგისი და ნაცნობი. რას ეკურკურება, თუ მაგას ცუდი რამე არა აქვს გუნებაში.

მერე ბესიკს ეცა, განზე გაიხმო და გამოკითხვა დაუწყო:

– შენზე ამბობენ, მაგ ანას ამბავი თუ ვინმემ იცის, მაგან იცისო. დედ მამას გაფიცებ, მაგ ქალი ნაძრახი ხომ არ არის.

– მაგას რად ბრძანებთ? – გაოცდა ბესიკი.

– აბა ამ გათათრებულ ქელეშბეგს რომ სადაცაა მუხლებში ჩაუჯდება, რამ გადარია. ნამეტანი უწესოდ იქცევა.

ამ შენიშვნამ ბესიკიც შეაკრთო და ეჭვიანობის გრძნობამ მწვავედ გაჰკრა გულში. მართალია, სამგზავრო სამზადისით იყო გართული და არა თუ ანას და ქელეშბეგის ტრფიალებისათვის ეცალა, რომ ეთვალთვალდნა, შერვაშიძეთა სტუმრობით ატეხილ აურზაურისთვისაც კი არ მიუქცევია დიდი ყურადღება. ახლა კი აბაშიძის წასისინებამ გაახსენა, რომ იმ მომხიბლავ არსებას, რომელმაც მის გულში კვლავ სიყვარულის ცეცხლი ხელახლა ააგიზგიზა, დიდი ხნით უნდა განშორებოდა.

უნდა განშორებოდა ერთი წლით, ან წლინახევრით, იქნებ სამუდამოდაც, მაგრამ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს და უკვე მისი სატრფო ქელემ-ახმებლ-ბეგ შერვაშიძეს დაფარფატებდა თავზე ფარვანასავით.

გუნება წამხლარს კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს.

– ასე რავა წავიღო, ბატონო, ფიქრებმა. ერთი ხუთჯერ გკითხე რაღაცა და პასუხი არ გვაკადრე! საწყენი ხომ არაფერი მითქვამს?

– არა, რასა ბრძანებთ... ჩემი დარდი მაწუხებს, შორი გზა მაქვს გასავლელი, – იცრუა ბესიკმა და გოგიას განშორდა. სამღვინოს მიაშურა, იქ დავით კვინიხიძესთან უნდა ეთათბირა, თუ რა გზით უნდა ევლო. ანაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, გული უსიამოდ ეკუმშებოდა, მაგრამ თავს ებრძოდა და გუნებაში გადაწყვიტა, ჩქარა გადგომოდა გზას. დაე, მანძილს კვლავ გაექარვებინა ეს აშლილი კაემანი.

ის იყო სამღვინოში უნდა შეეხვედებინა, რომ კარებში საღუნა დაეწია და ყურში წასჩურჩულა:

– ერთმა კაცმა საიდუმლოდ დამაბარა შენთან, ჩემო ბატონო, შენი ნახვა მინდაო.

– ვინაა?

საღუნამ იქით-აქეთ მიმოიხედა.

– ასე მითხრა, თუ გკითხოს, ნურაფერს ეტყვი. მხოლოდ ჩემთან წამოუძეხიო.

– წადი და ასე უთხარი, თუ ჩემთან საქმე აქვს, თვითონ მოვიდეს, – გულმოსულად მიახალა ბესიკმა და წასვლა დააპირა, მაგრამ საღუნამ გზა გადაუჭრა.

– სახუმრო საქმე არ უნდა იყოს, შენი ჭირიმე, და გულისმოსვლას რაზე ნებულობთ. წამობრძანდით, შორს კი არაა, ორი ნაბიჯი არ იქნება იქამდე.

– ბიჭო, რას ამეკვიატე აბეზარი ფუტკარივით. შენთვის მცალაია?

– რა მითხრა იცი? ერთ ოქროს გაჩუქებ, თუ იმას მომიყვანო. ოქრო, შენი ჭირიმე, ერთხელ მეფეს დავუნახე ხელში და თვალი კინალამ მომჭრა. ალბათ, რაღაცა დიდი საქმე აქვს, თორემ ამისთვის ოქროს რავა გაიმეტებდა. ქენი მაღლი. წამომყევი, შენთვის დიდი გარჯა არ იქნება და მე ქე დამასახლებ. შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, ამაზე უარს რავა მეტყვი. დასაკარგავში მოგყვები და...

– კარგი, წამოვალ, გამიძებს! – ბესიკს ახლა ცნობისმოყვარეობა აღარ აძლევდა მოსვენებას. მას ვერ წარმოედგინა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, ან რა საქმე უნდა ჰქონოდა ისეთი, რომ მისი მიყვანისათვის საღუნას ოქროს ფულს აძლევდა.

საღუნა წაუძღვა და მალე ორივენი ჯაჭვის ხიდთან, იმ უბანში აღმოჩნდნენ, სადაც უმეტესად ქართველი კათოლიკენი სახლობდნენ, რომელთაც ადგილობრივნი ფრანგებს უწოდებდნენ. ორთავემ გაიარეს ვიწრო და მტვრიანი ქუჩა და კათოლიკური ეკლესიის გვერდით პატარა ქოხს მიადგნენ. საღუნამ დაუკითხავად შეაღო ქოხის კარები და ბესიკს თვალით ანიშნა მომყევიო.

ოთახში მათ წვერულვამ გაპარსული მამაკაცი დაუხვდათ, რომელმაც საღუნას მაშინვე გაუწოდა დაპირებული ჯილდო და უთხრა, რომ შენ საჭირო აღარა ხარ შეგიძლია წახვიდეო.

საღუნა ოქროს ფულის თვალთერებით გავარდა გარეთ და კარის ზღურბლზე ისე წამოკრა ფეხი, კინალამ ცხვირ-პირით ძირს დაენარცხა.

სახლის პატრონი მოუბრუნდა ბესიკს და თავაზიანად სთხოვა, რომ დამჯდარიყო.

– მე მისიონერი ფრანჩესკო ვარ. ალბათ, გაგიგონიათ ჩემი სახელი.

– ფრანჩესკო? – შეკრა კოპები ბესიკმა, – რაღაც არ მახსოვს.

– სულ არ გახსოვს? საკვირველია. განა ლეონ ბატონიშვილს თქვენთვის...

– აჰ, როგორ არა, მახსოვს, – შეაწყვეტინა სწრაფად ბესიკმა და ფრანჩესკო გულდასმით შეთვალა, – მახსოვს.

– განა დავალებებს ასე სწრაფად ივიწყებთ, ყმაწვილო კაცო? მე გუშინ ჩამოვედი თბილისიდან, ბატონიშვილმა ლეონმა...

– როგორ ბრძანდება მისი ბრწყინვალეობა? – ისევ შეაწყვეტინა ბესიკმა, – გავიგე ცოლი შეურთავს.

– ძალიან გვიან კითხულობთ მის ამბავს. ისე გაჯავრებულია თქვენზე, რომ ძალიან მეეჭვება მისი გული მოიგოთ. ბატონიშვილმა ინება ეს ბარათი თქვენთვის გამოევზავნა, მხოლოდ იმ პირობით, რომ წაიკითხავთ და ისევ დამიბრუნებთ.

ბესიკმა აკანკალებული ხელით გამოართვა ბარათი, ლუქი ააგლიჯა, ჩალათა გახსნა და ოთხადშეკეცილი წერილი გაშალა.

“მე ბატონიშვილმა ლეონმა, შენ, სასიკვდილოდ განწირულს, თავმოსაკლავად გამზადებულს სიცოცხლე გიწყალობე. ნუთუ დაგავიწყდა, რომ შენი თავი მე მეკუთვნის. ერთ წელზე მეტია, რაც აქედან გარდაიხვეწე და შენგან ერთი ფოთლისოდენა ფარატინა ბარათიც კი არ არის. რაკი მდივანმწიგნობრობა გიწყალობეს, სამეფო კარზე დიდის პატივით მიგიღეს, ყოველივე დაგავიწყდა? ან იქნებ ფიქრობ, რომ სამშვიდობოს გახველ და ან მამაჩემი ან მე, თუ მოვისურვებთ, ვერას დაგაკლებთ. თუ ჩემი სიყვარული მთლად არ ამოვირეცხია გულიდან, წერილად მომწერე, რას უპირებს მეფე თავის ძეს ალექსანდრეს და განდგომილ დიდებულებს. ჰაი ღედასა, როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო, იტყვიან, და ეს შენზეა ზედამოჭრილი. ჩვენ კი მრავალჯერ გინატრეთ, რომ ჩვენს დარბაზში შენი სიმღერა არა გვსმენია. დავითმა და თამარმა საღამი და მრავალი კარგი, მოკითხვა შემოგიტყალეს. ჭაბუა დადის და სულ იმას გაიძახის, ბესიკი მე შევავედრე ბატონსაო. ჯადო ხომ არ აჭამე, სულ შენ ქებაშია იცოდე, ბეჯითად იყავ და ბარათი ძალე მომწერე, თუ არა გსურს მართლა რომ აგისრულო დანაპირები“.

ბესიკს თავბრუ დაახვია ამ წერილმა. ლეონი, მართალია, გაგიჟებით უყვარდა და იმისთვის თავსაც კი გაწირავდა, მაგრამ მისმა ამ თავისებურმა ქედმაღლურმა უტიფრობამ, ცოტა არ იყოს, კიდეც გააბრაზა.

იმასაც კი ამადლიდნენ, რომ ამქვეყნად ცოცხალი დადიოდა.

რისთვის? რა დანაშაული მიუძღოდა მათ წინაშე? თვითონვე ბრალი დასდეს, სრულიად უდანაშაულო დილეგში ჩააგდეს, სიკვდილით დასჯა დაუპირეს და ახლა ეუბნებიან, რადგან სიცოცხლე გიწყალობეთ, შენი თავი ჩვენ გვეკუთვნისო.

რადა? რისთვის? რა უფლებით?

ბაგრატიონთა გვარის თითოეულ წარმომადგენელს რომ ჰკითხო, ყოველ მათგანს თავი ქვეყნის მზრუნველად და უანგარო მსახურად წარმოუდგენია. ნამდვილად კი ყველანი მზად არიან ერთმანეთიც შეჭამონ, ხალხიც და ქვეყანაც.

ფიქრებში წასული ბესიკი კარგა ხანს დუმდა, მერე თავი აიღო, ფრანჩესკოსთვის არც კი შეუხედავს, თითქოს სივრცეს ელაპარაკებოდა ისე წაიდულუნა:

– როდესაც საჭირო იქნება, ყოველივეს ვაცნობებ ბატონიშვილს. აგვისტოს ბოლოს მოზდოკს კაცი წარგზავნოს ან თუ თვითონ ინებებს წაბრძანებას, კიდეც უკეთესი. მე გზად გავივლი და დამიხვდეს. თუ გავასწარი, ჩემი ბრალი არ იქნება.

* * *

ბესიკი ისე გაემგზავრა ქუთაისიდან, რომ მეფისა და შინაურების გარდა, მისი წასვლა არავის გაუგია. დილით კარგა გათენებულიც არ იყო, რომ ის და მისი მხლებლები შესხდნენ დახურჯინებულ ცხენებზე და ნაქერალას ქედისაკენ გაყვნენ გზას. წინაღამით ბესიკი კვლავ გამოიძახა მეფემ. მათ საუბარს არავინ არ დასწრებია.

მეფის ბრძანებით ბესიკს ორი კაცის ნაცვლად სულ უკანასკნელი ათი კაცი მაინც უნდა წაეყვანა მხლებლად. სოლომონის აზრით, ასე შორ გზაზე მიმავლისათვის მცველად და ამბის წამლებად ესეც კი ცოტა იყო. გარდა ამისა, იმერთა მეფეს არ შეეფერებოდა ისეთი მცირე ამაღა ეახლებინა გზაში თავის კაცისათვის. რას იფიქრებდნენ ის მთავრები ან მეპატონეები, რომელთა საბრძანებელზე უნდა გაევილო ბესიკს და მერე, რაც მთავარია, არც სპარსეთის ყაენის თვალში ვარგოდა დაკნინებულად გამოჩენა. გარდა ამისა, სოლომონს სურდა უცხო ქვეყნების მოვლაში რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოეწავა.

ბესიკი იძულებული გახდა იმწამსვე შედგომოდა თადარიგს. მან განზრახული თანამგზავრების, დათუკა გძელიძისა და სადუნას გარდა, თავის მოხელენი ლევონტი ნიჟარაძე, ივანე ამირანაშვილი და დავით ლაშხიშვილი აირჩია წასაყვანად. ამათ კიდევ თავისი მსახური და მზარეული, მეგრული ივანე მიუმატა. ამ ექვსი კაცის გარდა ასე სახელდახლოდ შეუძლებელი გახდა ვინმეს მოძებნა. ესენიც ისე შეაშფოთა ბესიკის წინადადებამ, რომ არც ერთ მათგანს დანა კბილს არ უხსნიდა. მარტო დათუკა გძელიძე იყო არხენიად და ღიმილით ეკითხებოდა ყოველ მათგანს:

– რა მოგივიდათ, კაცო, აბა ჩვენ რაღა უნდა გვეთქვა?

ივანე ამირანაშვილს მოწყენილი მამალივით ჩაემალა თავი მხრებში და ბიბილოსფერად აღაჟღაჟებული შუბლი და ღაწვები სიმწრის ოფლით დაცვაროდა. ლევონტი ნიჟარაძე გალიაში დამწყვდეული მელისავით წრიალებდა და წამდაუწუმ იმეორებდა:

– ქვიტირში ვერ ჩავსულვარ ქუთაისიდან და სპარსეთის მომვლელი ვარ მე? მეტი არაა შენი მტერი!

დავით ლაშხიშვილი ჩუმად იყო. ხანდახან უცნაურად აიქნევა მკვლავებს, ბატი ან იხვი რომ ფრთებს ისწორებს ისე, და ასევე ბატივით წამოიყვირებდა:

– ვაი ჩემს თავს, ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!

ამ ქოთქოთში რომ იყვნენ, სამღივნოში სადუნამ შეიხედა, სათითაოდ გადახედა ყველას და გაოცებით წამოიძახა:

– დედაა, მე მგონია სიზარულით ფერხულს უვლიან-თქო და ამათ რა ამბავი ჰქონიათ აქ! ესაა თქვენი აზნოურიშვილობა? არავინ დაგინახოთ, თორემ ხომ მოგეჭრათ თავი. წადით ახლა, თუ რამე გაქვთ ბარგი ან ხორაგი, ჩააწყვეთ ხურჯინებში, ხვალ დილას უთენია გაეუღებთ გზას.

– წადი, ჰო, ისე იძახი თითქო ქორწილში მეპატიჟებოდნენ, – შეუყეფა დავით ლაშხიშვილმა და მხრები აწურა.

– აბა მე რაღა უნდა ვთქვა? – შეედავა სადუნა.

ახლა ლევონტი ნიჟარაძე აფეთქდა:

– დაიკარგე აქედან... დღ... – ეს სიტყვები მან თითქმის უხმოვნოდ წარმოთქვა და კაცი იფიქრებდა ენა დაებაო, – შენ რა გაწუხებს, სახლი თუ კარი, ცოლი თუ შვილი. დადინარ, დაეთრევი (აქ ერთი უზრდელი სიტყვაც მიაყოლა) და სადარდებელი რა გაქვს.

მიუხედავად ამისა, ყველანი მაინც იძულებული იყვნენ ბედს შერიგებოდნენ და თადარიგს შედგომოდნენ. ამოიღეს სკივრებიდან თავისი საკაიდლეო ტანსაცმელი და ჩაალაგეს ხურჯინებში. ზოგი ხორაგს დაეხარბა და ჭამისმოყვარულმა ივანე ამირანაშვილმა ისე მოპირა საგზლით თავისი ხურჯინი, რომ ორმა კაცმა ძლივს გადაკიდა უნაგირზე. მარტო ლევონტი ნიჟარაძე არ ზრუნავდა არაფერზე. მას რაც ტანზე ეცვა, იმის გარდა არც საშინაო გააჩნდა ტანსაცმელი, არც საგარეო. სურსათისათვისაც ხომ სულ არ შეუწუხებია თავი. მას ერთი თათრული ფარა არ შეუტანია სახლში, მთელ თავის ჯამაგირს სულ სამიკიტნოში ხარჯავდა და აქამდე თვითონაც ვერ გაეგო, მისი ცოლ-შვილი რითი ირჩენდა თავს. ამიტომ, რაც არ ეგულებოდა სახლში, რა უნდა მოემზადებია წასაღებად. ერთი გაცვეთილი ნაბადი ინათხოვრა მეზობლისაგან, კოხტად დაახვია და უნაგირს მიაკრა თასმებით. ეს იყო და ეს.

გამგზავრების წინ დავით კვინიხიძემ დაწვრილებით აუხნა ბესიკს, თუ რა გზით უნდა გადასულიყვნენ კავკასიონის ქედზე და რუკაც კი გაატანა, ამ რუკაზე ყოველივე დაწვრილებით იყო აღნიშნული.

მართალია, ძალზე ადრე გაუღვინე გზას, მაგრამ აგვისტოს ცხელი ღამე ოდნავადაც არ განელბულიყო. სანამ ნაცნობ გზას გაივლიდნენ და გელათს გასცილდებოდნენ, ბესიკს აბეზარი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. მას განუწყვეტლივ უტრიალებდა თავში ლეონის მონაწერი ამბები, ადარდებდა ანასთან განშორება, რადგან საშიში მეტოქე აპირებდა დაუფლებოდა ამ ქალის გულს. პირველ ხანებში ბესიკს არაფერი არ ახალისებდა. არც ფუნჩულა ღრუბლით მოფენილი საოცრად ლურჯი ცა, არც ტყეთა მწვანე კრაველით გადახუჭუჭებული გორაკები, არც მოშრიალე სიმინდის ყანები. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც გელათს გასცდნენ. აქ ერთ ადგილას სადუნამ შეაჩერა და აჩვენა მიწის წიაღიდან გლეხი ოსტატები გიშერს როგორ თხრიდნენ.

– ა, ბატონო, ასე ამოდის მიწიდან ეს, – უხსნიდა სადუნა, – ამას ახლა გაახვევენ აყალო მიწაში, რომ სულ ნელლად იყოს და თვლების გამოჩარხვას ან ძვირფასი ნივთის გამოთლას რომ შეუდგებიან, მაშინ შემოაცლიან აყალოს და ისე გათლიან. თუ გაშრა, მერე ამისგან ვერაფერს გააკეთებენ. იფშენება. ისე კი მართლა კარგი რამე კეთდება. ბეჭდის თვალი, კრიალოსანი, მძივები, ხატ-ჯვარი, რა გინდა რომ ამისგან არ კეთდებოდეს. ჩვენ რომ ერთი ხურჯინი აგვიდეს, ხონთქართან მისართმევი, ამათი ნაკეთებია სულ. ახლა, ამის ზევით რომ წავალთ, ნაქერალის მთის ძირში, იქ ამისთანა ქვა გორებადაა სულ, მარა გიშრად არ ითვლება, ქვანახშირს რომ იტყვიან, ისაა. დიდება შენდა, ღმერთო. ქვას ცეცხლი ეკიდება! ნამეტნავი კაი სანახავია. რაფრად გოუჩენია ღმერთს ეს ქვეყანა, დიდება შენდა ღმერთო. ქვას ცეცხლი ეკიდება! მარა ისიც მინახავს, შენი ჭირიმე, მიწიდან წყალი გამოდის და იმასაც ცეცხლი ეკიდება, ზემოთკენ, საწერეთლოშია ერთ ალაგას. მარა კიდევ უფრო საკვირველი ამბები გითხრა. კაცში ერთი ადგილია, კლდიდან წყარო გადმოქუსს. მიუდგამ კალათს და აივსება თევზებით. ერთი, ჩვენსკენ რომ ვიქნებით, შენი თვალით უნდა გაჩვენო. ნამეტანი საკვირველი რამეა. ახლა კიდევ, ნაქერალას რომ ავითავებთ და შაორის მინდვრებზე გავალთ – დედა რა ადგილებია! იქ ერთი ადგილია, მდინარე მიდის და უცბად იკარგება მიწაში. ერთი ასეთი მდინარე ახლა აქეთ გვრჩება მხარმარჯვნივ, ძევრს ეტყვიან, ქე გინახავთ, ალბათ, საწერეთლოდან რომ მობრძანდებით ქუთაისში, აქედან მიდის, მიდის ეს წყალი, უცბად მიებჯინება კლდეს და იკარგება. მერე ამ კლდეს რომ გადაივლი და ქედის გადაღმა დაბლა დაეშვები, იქ გამოქუსს კლდიდან, მარა რაფერ!

სადუნა ყბამოულლელად ლაქლაქებდა. ხანდახან თავგაბეზრებული დათუკა, რომელიც იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, დატუქსვით ეტყოდა ხოლმე თავის თანამგზავრს:

– ნუ წავგვამე, ბიჭო, ყურები, სულ შენ უნდა ილაქლაქო ამ გზაზე? იქნება ჩვენც გვინდა ვთქვათ რამე.

– თქვი მერე, მე გიშლი თუ? – შეუტევედა სადუნა თავის თანამგზავრს, – მეტი არაა შენი მტერი, შენ ხმისამომღები არ იყო, მუნჯის ჯიშის ხარ. თუ გინდა დასაჯო ვინმე, შენთან უნდა დააბა. ერთ თვეში თავს მოაკვლევინებ კაცს. ლულადის ბებერი ხარივით ხმას არ ამოიღებ. ბესიკს ვენაცვალე, ტყუილს ვამბობ?

– ილაპარაკე, სადუნა, ილაპარაკე, – გაამხნევა ბესიკმა, – მხოლოდ ეცადე მთლად არ დახარჯო ამბები, იმოდენა გზა გაქვს გასავლელი, რომ ვაი თუ აღარ გეყოს სათქმელი.

რაც უფრო შორს მიდიდნენ, ბესიკი ხედავდა, რომ მისი გული სულ უფრო და უფრო გრძნობდა შვებას. ახალი ადგილები, უჩვეულო სანახები, სტუმართმოყვარე მასპინძლები, თანდათან უქარვებდნენ მოზღვავებულ მძიმე ფიქრებს. გზაზე მოსახლეობა დიდის მოწიწებით ეგებებოდა მათ და ყველგან ერთი და იგივე გაისმოდა: მეფის კაცები მოდიანო. მთელი სოფლები გამოდიოდა შარაზე, თეთრწვერა მოხუცები, დედაკაცები, ფეხშიშველა და

ცხვირმოძურული ბავშვები, ყველანი გამორბოდნენ. ზოგი ყორეს ეფარებოდა, ზოგი გზაზე თამამად გადმოძღვარიყო და ხარბად ათვალიერებდა ამ თვალისმომჭრელად ჩაცმულ-დასურულ უცხო მგზავრებს. ახალგაზრდა გოგოები ხმამაღლა და დაურიდებლად გამოთქვამდნენ თავიანთ ალტაცებას ამ უცხო და ლამაზი მამაკაცების დანახვაზე: „გოო, შეხედე, შავია მარა ცეცხლს რო წავიკიდებს იმისთანაა“. „პელა, პელა, ხედავ ემ ხუჭუჭთმიანს? არ გინდა ემან რომ მოგიტაცოს?“ „ემ ნასუქ ქოსმენას დამიხედეთ, რანაირი თვალით გვიყურებს. მტერს ემის ცოლობა. გინდა ხე დაგცემია თავზე გინდა მაგ“.

განსაკუთრებით მოხიბლა ბესიკი რაჭვის წარმტაცმა ბუნებამ. ჯერ შაორის მინდვრებზე მობიბინე ყვავილნარმა, მერე რიონის ხეობამ, ხოლო ხიდიკარის ვიწრო დერეფანმა და კლდეებზე მიშენებულმა სადარაჯო კოშკებმა დარიალის ხეობა მოაგონა; ბარაკონის დიდებულმა ტაძარმა კი განაცვიფრა თავისი მშვენიერება და სიდიადით. არ მოელოდა, რომ ამ უდაბურ მთებში სამთავისის ან მცხეთის ტაძრის ბადალს ნახავდა. დაათვალიერა როსტომ ერისთავის გავერანებული სასახლე და ციხე-კოშკები. უჩვენეს, თუ სად დაურბოდა ამ ზვიად მთავარს ირმის ჯოგები, ან სად ჰქონდა გამართული სტამბა, ან რომელ კოშკში ჰყავდა ჩაკეტილი თავისი ხასა, რომელიც იაშვილს წართვა და მერე ცოლად შეირთო. როსტომის სახლს რომ აწიოკებდნენ სოლომონის ჯარისკაცებმა ფეხით ათრიეს ეს ფეხმძიმე ქალი და უბედური მაშინ მუცელს გადაჰყვა.

ონში და შემდეგ დაბა უწერაში (ეს უკანასკნელი რიონის ორივე მხარეს იყო გაშენებული), ბესიკს უჩვენეს ადგილი, რომელსაც სასუნებელს უწოდებდნენ. მიწიდან თბილი ჰაერი ამოქშუოდა ისეთი ძალით, რომ მისი სუნი ცას წვდებოდა და ძირს აგდებდა მასზე გადაფრენილ ფრინველს. უწერის ზემოთ კი დაანახვეს დიდი ეკლესია სიონი, სადაც, მეგზურთა თქმით, კამარის ქვეშ თამარ მეფის ნაწნავი ეკიდა.

უწერიდან დაიწყო ნამენარები. ამ წარმტაცმა სანახებმა სრულიად დაავიწყა ბესიკს წარსული სიმწარენი და მომავალი გზის სიძნელენი. ის ხარბად ათვალიერებდა ყველაფერს. ზღაპრულმა სოფლებმა ჭიორამ და ღებმა, ქვიტკირით ნაგები დუროიანი სახლებით, კოშკებითა და გოდლებით, ხომ ალტაცებაში მოიყვანა.

ღებლები უკვე შერჩეულები იყვნენ მეფის კაცების შეხვედრას, რადგან მათ ხშირად უხდებოდათ რუსეთში მიმავალი ელჩების გადაყვანა დიგორში ღების უღელტეხილით. ეს გზა სოფელ ღებთან რიონის ჭალიდან მდინარე ჭიშურას ხეობით მიემართებოდა, ჯერ ტყე-ტყე მიუყვებოდა. იმ ადგილიდან, სადაც ვეძის მძლავრი ნაკადი შადრევანივით ამოქუხდა მიწიდან და კალოსოდენა მორევს ადუღებულებით აბუფუყებდა, გზა, ან უფრო სწორად, გასავლელად მიკვლეული გეზი, ვიწრო და ლოდებით ამოხორცილ ხეობაში შედიოდა. აქედან იწყებოდა კირტიშოს დიდი ყინვარი. ამ ყინვარს რომ აითავებდა მგზავრი, აღწევდა იმ უღელტეხილს, რომელსაც დიგორის მცხოვრებნი ღები-ვცეკს უწოდებდნენ. ამ გზით დიდი სიფრთხილით იყო შესაძლებელი ცხენების გადაყვანა, მხოლოდ მგზავრი აუცილებლად ქვეითად უნდა წასულიყო და თავისი ცხენი გამოცდილი მეგზურისათვის ჩაებარებინა. ამიტომ ჩვენი მგზავრები ვეძის წყაროსთან ჩამოქვეითდნენ, წულამესტები და მასიები გაიძვრეს, ნაცვლად თომით გატენილი ბანდულები ჩაიცვეს და დაწალიკებით შეუდგნენ მძიმე აღმართს. ცხენები საგანგებოდ წამოყვანილ ჩალვადრებს მიჰყავდათ.

სადუნა ბესიკის უკან მიაბიჯებდა და ხანგამოშვებით კიდევ ახერხებდა ლაქლაქს, მაგრამ, რაც უფრო მალლა მიიწვედნენ, მით უფრო უკლებდა ლაპარაკს, ხოლო როდესაც ყინვარზე ავიდნენ პირველარი გამოისახა და ძლიერს ამოილულულა:

- ეს რა არის, თქვენი ჭირიმე!
- რაო, არ გინახავს ყინვარი? - ჰკითხა ბესიკმა.
- ღმერთო, შენ მიშველე. ეს ამდენი ყინული რამ მოაგროვა, მარიობის თვეში ამდენი თოვლი და ყინული რომ ვნახე ვინ დამიჯერებს?

მერე ნაპრალებს წააწყდა და შიგ რომ ჩაიხედა, გულგახეთქილი უკან გადმოქანდა.

– ხედავ ყინულის უფსკრულს? ამაში რომ კაცი ჩავარდეს, იმას რაღა უშველის. ღმერთო, ნუ მიწყენ და შენ თუ ამ სიმაღლეზე ბრძანდები, ის მაინც გამაგებინე, ამ ყინვებში რა გაძლებინებს ნეტავი.

მთელი დღე მიდიოდნენ ქვალორლით დაფარულ ყინვარზე. ეს ყინულის ვეება მდინარე გველემაპივით ჩამოწოლილიყო მთებს შორის და თავისი კლანჭებიანი ტორებით თითქოს ჩამოეკაწრა პირქუში ქარაფები. ქვევით კი უნაპირო ზღვასავით გადაფენილიყო თეთრი ღრუბელი, ხოლო მწვერვალებს ეს ღრუბლების ზღვა აქა-იქ თავისი წვეტიანი ეშვებით ამოეჭრათ ქვემოდან. მზე თუმცა ჩასული არ იყო, მაგრამ აღმოსავლეთიდან ღინჯად ამოცურებულები ყბამოქცეული მთვარე. ამ ზვიადი და წარმტაცი სანახაობით მოჯადოებულმა ბესიკმა უნებურად შეანელა ნაბიჯი და მერე მოხერხებულ ადგილას სიპზე ჩამოჯდა. უჩვეულო სიჩუმე სუფევდა გარშემო. მწვავე სიცივე უკვე მწარედ კბენდა ხელებსა და სახეზე, მაგრამ ბესიკს ეზარებოდა ამ დიდებული სანახაობის მიტოვება. დაწინაურებული თანამგზავრები ეძახდნენ და აჩქარებდნენ, რომ უღელტეხილი დროზე გადაეღახათ და ღამის სათევ ადგილამდე მისულიყვნენ. ბესიკი იძულებული იყო დადევნებოდა მათ და ნაბიჯი აეჩქარებინა. თუმცა ამ ლოდებით და ღორღით დაფარულ ყინვარზე არც ისე ადვილი იყო სიარული.

ბოლოს, როგორც იქნა, უღელტეხილი გადალახეს, გადალმა ყინვარი ჩაიარეს და კლდეებში მოხერხებული ღამის გასათევი ადგილი მოძებნეს. მეგზურებმა მანლობელ ფერდობებზე დეკა აჩენეს და დიდი გაჭირვებით ცეცხლი დაანთეს. კრუხივით აფხორილი საღუნა პირდაპირ მიძვრებოდა ცეცხლში და ხანგამოშვებით ეკითხებოდა ბესიკს:

– კიდევ შორსაა, სადაც ჩვენ მივდივართ?

ლევონტი ნიჟარაძე მხიარულად წკურავდა თვალებს და, თუმცა თვითონაც საკმაოდ იყო დაღლილი, თავი მაინც კარგად ეჭირა და საღუნას დაცინვით უთხრა:

– რა იყო, გაგაჭირდა? ჯერ სადა ხარ, აწი უნდა ვნახო შენი კვნესა. იცოცხლე, ვიჯერებ გულს.

– სულ მოიშალა ეს უბედური სახსრებში, – თავისი უცნაური ყროყინა ხმით დასძინა დავით ლაშხიშვილმა და თან გულიანად გაიცინა. ეს სიცილი ისეთი უცნაური ბგერებისაგან შედგებოდა, რომ ჩვეულებრივი ანბანით მისი გამოსახვა შეუძლებელია.

– მე ახლა მოვიშალე და შენ სულ მოშლილი დადიხარ, – შეუღრინა საღუნამ, – სიცილი იცი მაინც ნამეტანი შნოიანი.

– არ მოგეწონება?

– ხონთქარს გადაუწყვეტია ჩემი ჰარამხანის ქალებს უნდა ვასწავლო დათუნია ლაშხიშვილის სიცილიო და კაცი გამოუგზავნია თარგის გადასაღებად. დამანებე თავი, ბიძია, გირჩევნია. სიტყვას შენ კი არა, მეფისკარის მასხარა ვერ მომიჭრის.

კარგა ხანს ქილიკობდნენ ასე, მაგრამ დაღლამ თავისი გაიტანა და ნაბადში გახვეულები ყველანი ცეცხლის გარშემო მილაგდნენ. არ ეძინათ მარტო ცხენებს, რომელნიც მაღიანად ახრამუნებდნენ მეგზურების მიერ საგანგებოდ დათხრილ ბალახს.

* * *

დილით, როდესაც გაიღვიძეს, ღრუბელი ქვემოდან ზემოთ ამოცოცებულიყო, თითქმის მათ ბანაკს მოზღჯნოდა, და ახლა მზის სხივებით აბრწყინებული, ზღვასავით გადაშლილი თვალისმომჭრელად ბზინავდა და ელავდა. მეგზურებმა ცხენებს უნაგირები დაადგეს და ბარგიბარხანა აჰკიდეს.

საღუნამ ჩაფერფლილი ნალვერდალი მოქექა და ხელები გაითბო.

ის იყო უნდა გადგომოდნენ გზას, რომ უღელტეხილიდან ძახილი მოესმათ. ვიღაც გადმოდგარიყო ქედზე და მთელი ძალ-ღონით უყიოდა მგზავრებს, მოიცათ, მოიცათო.

ყველანი გაოცებულნი შეჩერდნენ და უღელტეხილს ახედეს. უცნობმა იგრძნო თუ არა, რომ მისმა ხმამ მგზავრთა ყურამდე მიაღწია, მაშინვე თავგამეტებით დაეშვა თავდაღმართში და სულ მალე ბესიკის წინ შეჩერდა. სახეზე ხვითქი სდიოდა და მძიმედ სუნთქავდა:

– რა მოხდა, რა ამბავია? – ჰკითხა ბესიკმა უცნობს. – შენ ვინა ხარ?

– გზირი გახლავარ, შენი ჭირიმე. მეფის იასაულები მოდიან. მე წინ გამომგზავნეს და დამაბარეს, მოგვიცადეთო.

– შორს არიან?

– არა, შორს არ იქნებიან, ახლა კირტიში ამოთავებული ექნებათ.

– რა გვინდაო, არ უთქვამთ?

– რა მოგახსენო. მეფის ბრძანებით დაგდევნიბან, მეორე თუ მესამე დღეს თქვენ რო წამობრძანებულხართ და დღე და ღამე მოდიოდნენ თურმე. ასე ებრძანებიათ, თუ დიგორში გადასული არიან, თავი დაანებეთო. წუხელი დაბრუნებას აპირებდნენ, მარა ჩაფრები აღარ მოეშვენ...

– დიღუ! ვიღაცას იჭერენ, – სწრაფად წამოიძახა გამოცდილმა ლევონტიმ და გამწარებით დაიწყო უღვაშების გრეხა. თვალი მოავლო თანამგზავრებს, თითქოს სურდა გამოეცნო, თუ ვის აპატიმრებდნენ, მერე გზირს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ბარემ გვითხარი, ვის მოსდევენ, დროზე გავიგოთ, რომელია ჩვენ შორის გაწირული.

– რა მოგახსენოთ, მე არაფერი ვიცი. იქნება არც ქე იჭერენ ვინმეს.

– რომელს მოსდევნენ ნეტავი? – თითქო თავისთვის წაისისინა ლევონტიმ და შეშინებულმა ისევ მიმოიხედა.

– იმან იწუხოს, ვისაც ცოდვა მიუძღვის რამე, – არხეინად ჩაილაპარაკა სადუნამ და ლევონტის დამცინავი ღიმილით გადახედა, – რა მოგივიდა? ფერი მთლად დაჰკარგე, შენ ხომ...

– გამასხრებ მე შენ! – გაისვა ხანჯალზე ხელი ლევონტიმ და ერთი ნაბიჯი წინ წადგა.

შეშინებული სადუნა ბესიკს ამოეფარა.

– კარგია, გეყოფათ, – მშვიდად მიმართა ბესიკმა ორთავეს, – იქნებ სხვა საქმისათვის დაგვედვენენ. რამ შეგაშინათ.

– არა, ბატონო, – მძიმედ გაიქნია თავი ივანე ამირანაშვილმა, – რადგან ჩაფრები ასე გულმოდგინედ მოგვდევნენ, ალბათ, დასაჭერია ვინმე.

– რად ფიქრობ?

– დაჭერილს რაც აღმოაჩნდება თოფ-იარაღი, ფული, ტანისამოსიც, ყველაფერი ჩაფრებს ეკუთვნის, იმისთვის გარბიან ასე თავქუდმოგლეჯილი კაცის დასაჭერად. თოფ-იარაღი კი არა, ერთი აბაზის გულისთვის მშობელ მამას დაკლავენ, იმისთანა ძაღლები არიან.

– იქნებ ყველას გვატუსალებენ? – მწარედ გაიცინა ბესიკმა.

– არა, შენი ჭირიმე, აგრე რომ ყოფილიყო, წინასწარ კაცს არ გამოაგზავნიდნენ.

ბესიკი იძულებული იყო დაეცა და მოუთმენლად იცქირებოდა უღელტეხილისაკენ. ყველანი გაჩუმდნენ და ეტყობოდა თითოეული მათგანი გუნებაში შიშს განიცდიდა. ლევონტი ნიჟარაძე მოუსვენრად წრიალებდა და მიდამოს ისე ათვალიერებდა, თითქოს საჭიროების შემთხვევაში გასაქცევ გზას ირჩევდა. ივანე ამირანაშვილი წამდაუწუმ თავის სქელ გულმკერდს იქეჭავდა, თან ჩაწითლებული თვალებით უღელტეხილს გასცქეროდა. დავით ლაშინიშვილი გარინდულიყო და ქათამივით ისე ჩაჰკირკიტებდა უზარმაზარ ლოდს, თითქო ამ ლოდის ქვეშ საკენკი ეგულებოდა და ახლა იმის ფიქრში იყო, ეს უზარმაზარი ქვა როგორ აეყირავებინა. დათუკა გძელიძე ხანგამოშვებით პირჯვარს გადაისახავდა და ფშვინვით ისე ამოიხრებდა, რომ კარგად გამოცდილი ყური გაარჩევდა „ღმერთო, შენ გვიშველე“.

მოულოდნელად გზირმა დაიძახა:

– მოდიან!

ამ დაძახილზე ყველა შეკრთა, უღელტეხილისაკენ გაიხედეს. კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ, როგორც იქნა, დაინახეს, ჭიანჭველასავით პატარა მოძრავი წერტილები, რომელნიც ერთი შეხედვით საოცრად ნელა მოიწვედნენ წინ. ნამდვილად ისინი საკმაოდ ჩქარა მოდიოდნენ და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე ბანაკში იყვნენ. ჩაფრებს წინ კუწუწა აბაშიძე მოუძლოდა, რომელმაც ბესიკს შორიდანვე სალაში მისცა და დაღლილმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიაძახა:

– ძლივს არ დაგეწიეთ! ამ ცაში რამ ამოგიყვანათ?

– ეს ვინ არი? – მხიარულად გასძახა სადუნამ და შესაგებებლად გაემართა, მაგრამ სანამ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, კუწუწამ თვალთ ანიშნა ჩაფრებს და ისინიც იმავე წუთში გარს შემოერტყნენ ამ უდარდელ მსახურს.

– ჩე... ჩემთან რა გინდა? – ძლივს ამოილულულა უცბად ფერდაკარგულმა სადუნამ და ბესიკისაკენ გაიწია, თითქოს სურდა ამოფარებოდა, მაგრამ ჩაფრებმა ელვის სისწრაფით აართვეს იარაღი, გახადეს ჩოხა და ამ ბლლამაბლლუქში ახალუხი სულ შემოახიეს ტანზე.

აღშფოთებულმა ბესიკმა ხმალზე გაისვა ხელი და ჩაფრებისაკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს კუწუწა გადაეღობა და დალუქული ჩალათა გაუწოდა.

– ეს მეფემ გამოგიგზავნა.

ამ უბრალო მოძრაობამ და ბარათის დანახვამ ბესიკი დააბნია. ხმალს ხელი უშვა და რამდენჯერმე ბარათს დააცქერდა, თან კუწუწას უყურებდა, მერე ნელა ჩამოართვა, ეამბორა, თავზე დაიდო და ამის შემდეგ გახსნა.

“ჩვენს სახელოვან დესპანს ბესარიონ გაბონს მეფე იმერთა სოლომონ მრავალს მოკითხვას მოვასწავნებ. ჩვენი ბრძანება არის, თქვენი მსახური სადუნა ამ ჩვენს ჩაფრებს დაატუსაღებინო და თუ მსახური დაგაკლდეს, თან იახლო ეს კუწუწა აბაშიძე და თუ არა, უკანვე გამოგზავნე. მაღალ ღმერთს შევსთხოვ ბედნიერის ფეხით მოგვევლოთ ყაენის საბრძანებელი. კიდევ ჩვენი ბრძანება არის, მოზღოკს კარგად გაგვიგო, ვინ იმყოფება ერეკლე მეფის კაცი, ან თუ წასულა ვინმე პეტრებურხს. კიდევ დადიანის კაცები ხომ არ ყოფილა რუსეთს მიმავალი, ან შერვაშიძის. თუ რამე გაიგო, მაშინვე გვაცნობე“.

ბესიკმა კითხვა დაამთავრა, ბარათს ეამბორა და კუწუწას უთხრა:

– მოახსენე მეფეს, რომ მის ბრძანებას შევასრულებ და ყოველივეს ვაცნობებ, – მერე სარივით გამხმარსა და უცნაურად აწოწილ იასაულს უბრძანა: – ხელი უშვით ახლავე ტუსაღს. განა გამქცევია, რომ ათი კაცი შემოსევიხართ!

– მე მეფის ბრძანებას ვასრულებ და შენი რა საქმეა ჩემს საქმეში რომ ერევი, – უზრდელად უპასუხა იასაულმა, მაგრამ სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ბესიკი ერთი ნახტომით გაჩნდა მასთან და სახეზე მათრახი ისე გადააწნა, რომ იასაული იმწამსვე ჩაიკეცა. ბესიკი გაცეცხლებული მოუბრუნდა ჩაფრებს და ისე დასჭყვივლა, რომ შეშინებულებმა მაშინვე ხელი უშვეს სადუნას და დაბნეულებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ. იასაულს შეაცქერდნენ, ის ისევ ჩაჩოქილიყო და გამწარებით ისრესდა სახეს.

– თქვენ მეფის მსახურები ხართ თუ მძარცველები? – უყვირა მათ ბესიკმა, – დაჰყარეთ ახლავე ყოველივე.

დავალებათა შესრულების დროს ჩაფრები დიდი ხანია, რაც შეჩვეულნი იყვნენ ძარცვა-გლეჯას და დამყარებული ადათის მიხედვით ნამარცვი მათ კანონიერ საკუთრებას შეადგენდა. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ მას შემდეგ იჩინა თავი, რაც გამძლავრებულმა, მართლმორწმუნე თურქმა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ადამიანებით ვაჭრობა შემოიღო და საქართველოდან ტყვე ქალ-ვაჟთა წაყვანას შეუდგა. მეზატონეები ხშირად მთელი ოჯახით იპყრობდნენ თავიანთ ყმებს, შერისხულ ქვეშევრდომებს ან მტრადმოკიდებულ მეზობლებს და თურქ მოვაჭრეებში

ჰყიდდნენ მონებად და ჰარამხანათა დასამშვენებლად. ამ უბედურთა შესაპყრობად გაგზავნილმა ჩაფრებმა, რაკი იცოდნენ, რომ მებატონენი ჯილდოდ დატუსაღებულთა ქონებას უბოძებდნენ, ისედაც არაფრის მქონე გლეხებს ტანსაცმელსაც კი ხდიდნენ და ასე დედიშობილა მიჰყავდათ ბატონთან. ბევრჯერ უნახავთ ქალაქის ან სოფლის მცხოვრებლებს ხელშეკრული მთლად შიშველი ბანჯგვლიანი ყაზახი, რომელიც ჩაფრებს მიჰყავდათ ხოლმე. ქალებს ის ბედნიერი უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი შიშველი ტანის დაფარვას ნაწილობრივ გამლილი თმებით მაინც ახერხებდნენ და რადგან მათ იშვიათად თოკავდნენ, სახეზე ხელების აფარებით იხსნიდნენ თავს სირცხვილისაგან.

მართალია, სოლომონმა ტყვეებით ვაჭრობა სასტიკად აკრძალა და დამნაშავეებს თვალის დახამხამებაში აგდებინებდა თავს, მაგრამ შეპყრობილი ადამიანის გამარცხვა მაინც ჩვეულებად დარჩა და აქამდე ამ წესის აღმოფხვრისათვის, რატომღაც, არავის არ მიუქცევია ყურადღება. ერთხელ თავგასულმა ჩაფრებმა ნიკორწმინდის ეპისკოპოსიც კი ტიტლიკანა წარუდგინეს სამეფო სამსჯავროს. კიდევაც დასცინოდნენ გრძელწვერა მოხუცს, რომელიც სასირცხვო ადგილებს ხელებით იფარავდა და ეუბნებოდნენ: მაგ ხელებით როგორ უნდა შეეხო აწი ბარძიმფეშხუმსო. ამ ამბავმა სოლომონის ყურამდე მიაღწია. მეფემ განიზრახა ამ ჩვეულების აღმოფხვრაც, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. შეუძლებელი შეიქნა ჩაფრების გაგზავნა ისეთ საქმეზე, რაც დაკავშირებული იყო რაიმე ხიფათთან, ამიტომ სოლომონმა ხელი ჩაიქნია და მანდატურთა ამ თავგასულობას ყურადღებას აღარ აქცევდა. ერეკლეს კარზე აღზრდილ ბესიკისათვის კი ეს იმდენად უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა, რომ ვეღარ მოითმინა და ამიტომაც ასე გაცეცხლებული ეცა ჩაფრებს.

ეს შეჯახება შესაძლებელია სისხლისღვრით გათავებულიყო, რადგან მეცხვარის ნაგაზებივით დაგეშილი ბრაზიანი ჩაფრების მოგერიება ან დაშინება ძნელი საქმე იყო, მაგრამ სახეზე გადაწულმა მათრახმა მოულოდნელად გამოაფხიზლა იასაული. ბესიკის ამ თამამმა შეტევამ ის გავლენა იქონია, რომ იასაულმა პატიება სთხოვა მეფის ამ დიდ მოხელეს და თავის ჩაფრებს შეუტია:

– ვერ უნდა გასწავლოთ წესი და რიგი, თქვე მართლა ძაღლებო, თქვენ?! უმცროს-უფროსობა არ უნდა იცოდეთ? ხვალ, ალბათ, მეფესთანაც ასე მოიქცევით. რავა, ეს კაცი გაგირბით სადმე, თუ რამ გადაგრიათ, ყველაფერი რომ შემოახიეთ ტანზე?!

ახლა კუწუწამაც შეუტია და ჩაფრები იძულებული იყვნენ ბესიკისათვის პატიება ეთხოვათ. გაოგნებულ სადუნას ჩონა ფეხებთან მიუგდეს, მაგრამ ის არც კი ფიქრობდა მის ჩაცმას. ხან კუწუწას შესცქეროდა, ხან იასაულს და შემლილივით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– რა მოხდა ჩემს თავს, ბიჭო, რა მოხდა ჰა! რა მოხდა ჩემს თავს, ბიჭო, რა მოხდა ჰა... რა მოხდა...

ბესიკმა უარი უთხრა კუწუწას თანხლებასზე, შეეცადა სადუნა დაემშვიდებინა, ნურაფრის შეგეშინებო, და თავისიანებს უბრძანა, გზას გადგომოდნენ. როდესაც თავდადმართს დაუყვნენ, მათ შორის ივანე მეგრელი აღარ აღმოჩნდა, მიიკითხ-მოიკითხეს, უძახეს და ბოლოს როგორც იქნა გაიგონეს მისი მისუსტებული ხმა. ქვებში ჩამალულიყო და ახლა ამოსვლას ვეღარ ახერხებდა. ამოათრიეს და გარს შემოეხვივნენ.

– შენ რაღამ შეგაშინა? – გაოცებით ჰკითხა ბესიკმა, – ან როდის გაგვეპარე ასე იდუმალად?

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, სამეგრელოდან გამოქცეული ვარ და ყველაფერს იფიქრებს კაცი ჩვენს დროში, იქნება ჩემ დასაჭერად მოვიდნენ-თქო...

– შე სულელო, შენი გულისთვის ცხრა მთას გადმოივლიდნენ? ასე როგორ შეგეშინდა? – გაიცინა ბესიკმა.

– მაგას ნუ იტყვი, – ჩაერია ლაპარაკში ლევონტი, – ივანე კი არა, მე რაფერ მეშველა თავისთვის არ ვიცოდი.

– შენ რაღა?

– რა ვიცი, რას გაიგებ ამ ჩვენი უკუღმართი ცხოვრებისას. კაცის გაფუჭება რაღა უნდა გაგეხარდეს, მაგრამ იმ უბედურს რომ ხელი სტაცეს, ცას ვეწიე, გამეხარდა, მე რომ არ დამიჭირეს, დანაშაული კი არაფერი მიმიძღვის, იცის ღმერთმა, მაგრამ სასახლის კარის მსახური ყველაფერს უნდა მოელოდე. მე ვიფიქრე, იმ ჩემი ნათესავი კაცის მერაბ ნიჟარაძის გულისთვის ხომ არაფერს მიპირებენ-თქვა. მე კი არა, არც ერთ ჩვენგანს ფერი აღარ ჰქონდა სახეზე. რა იცი უბედურება სად გაგეხლართება კაცს ფეხებში ეკლის ბარდივით. არ დაგიჭირონ, თორემ დანაშაული კიდევაც რომ არ გქონდეს, მერე მოგინახავენ. ეჰ, წავიდეთ, შენი ჭირიმე, წავიდეთ, ჩვენს გზას ვეწიოთ. ეგ უბედური რაზე გაძაგრეს ნეტავი ის მაინც გამაგებინა.

სადუნას შეპყრობამ ბესიკი ძალზე დააფიქრა. მართალია, გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, მაგრამ გულში ხინჯად გაჰკრა, რადგან ძალზე ცუდად ენიშნა, რომ სწორედ სადუნამ შეახვედრა ის პატრ ფრანჩესკოსთან. ცხადია, ის ბიჭი საეჭვო ურთიერთობაში იყო გახლართული და კარგი დღე არ მოელოდა. მეფის ჯალათები მას აწამებდნენ და ყველაფერს დაამღერებინებდნენ. შეიძლება შემდეგ პატრი ფრანჩესკოც შეეპყრათ. მართალია, ლეონის ბარათი მან ბესიკის თვალწინ დასწვა ცეცხლში, მაგრამ თუ წამებაზე მიდგებოდა საქმე, ისიც ბევრ რამეს წამოაყრანტალებდა.

ნისლის ზღვა მალლა მოიწვედა და ნელ-ნელა სძირავდა მწვერვალებს. ბესიკი და მისი თანამგზავრები დაწალიკებით დაეშენენ თავქვე და მალე ყველანი ნისლში გაუჩინარდნენ.

ტანსაცმელშემოფლეთილი სადუნა კი თვალს არ აშორებდა მის ფეხებქვეშ ბორიყვივით ატრიალებულ ნისლს, გუნებაში წყველიდა თავის ბელს, რომელმაც თანამგზავრებს ასე მოულოდნელად დააშორა და უაზროდ იმეორებდა:

– რა ამბავია, ბიჭო, ჩემს თავზე ეს, რა ამბავია? გამაგებინა ნეტავი.

გაცეცხლებულმა იასაულმა, როგორც კი ბესიკი საკმაოდ შორს დაიგულა, სადუნას ერთი-ორი წიხლი უთავაზა და წინ გაიგლო.

– შენი გულისათვის მომხვდა მათრახი. წამოეთრე და იქ გაიგებ, რა ამბავიცაა შენს თავზე.

* * *

მამისაგან განდგომილი ალექსანდრე ბატონიშვილი დიდ გასაჭირში ჩავარდა. სამასკაციან ამაღას შენახვა სჭირდებოდა. თავდაპირველად ბატონიშვილს იმედი ჰქონდა, რომ ერეკლე მას განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობოდა და მფარველობას აღმოუჩენდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მართალია, ერეკლეს ცუდად არ მიუღია ალექსანდრე, მაგრამ ვინაიდან ერეკლეს სოლომონთან არ სურდა მდგომარეობა გაემწვაკვებინა, არც თვითონ ბატონიშვილი და არც მისი ამაღა სამსახურში არ მიიღო. ბატონიშვილს, პირიქით, ურჩია მამას შერიგებოდა და შუამავლობა თვითონ იკისრა. ამისთვის საგანგებოდ დაავალა იმერეთში თავის სიძეს არჩილს, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მამა-შვილი მოერიგებინა.

მოლაპარაკება გაჭიანურდა. ალექსანდრეს, რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი შემოეხარჯა და ერეკლეს ვაჟიშვილები რომ არ მიშველებოდნენ, ხალხი შიმშილით დაუწყდებოდა. მაინც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, რადგან ბატონიშვილების მიერ ხანგამოშვებით და ისიც ძღვნად გამოგზავნილი სურსათი ან საკლავი ყველას არ წვდებოდა. უბედურება ის იყო კიდევ, რომ ბატონიშვილს თბილისში თავისი ბიძის არჩილის სასახლეში მოუხდა დაბინავება და ცხელი ზაფხული და შემოდგომა იძულებული იყო ქალაქში ეცხოვრა. ამ დროს კი მთელი ქალაქი თითქმის დაცარიელებული იყო და მდაბიოთა გარდა ყველანი სააგარაკოდ იყვნენ წასულნი.

შემოდგომის მიწურულს თბილისში ღამობით უკვე ისე აცივდა, რომ წალოდან თბილი საბნების გადმოღება შეიქნა საჭირო. სააგარაკოდ წასული თავადები და სოვდაგრები ქალაქში მოეშურებოდნენ და საქართველოს ყოველი კუთხიდან ახალ-ახალი ამბები ჩამოჰქონდათ. ყოველდღე გამართული იყო ერთი მისვლა-მოსვლა. უმეტესობა სასახლეში მიეშურებოდა, სადაც დიდიდან საღამომდე ფუტკრის სკასავით გაუთავებელი ზუზუნი, ისმოდა. მოტანილ ამბავთა შორის ბევრი რამ იყო საგულისხმო. ერეკლეს უკმაყოფილო ქართლის თავადთა შორის რაღაც ფუსფუსი ამტყდარიყო. ვიღაცას ხმა დაერხია, რომ მალე ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის-ძე ფათალიხანის ჯარებით მოადგება ქართლს და ერეკლეს კუდიტ ქვას ასროლიებსო. ამას თან დაერთო ბესიკის სპარსეთში გაგზავნის ამბავი, რომელიც პატრმა ფრანჩესკომ სომეხი ვაჭრის გარეგინას პირით აცნობა ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლე ამ ამბავმა ძალზე შეაშფოთა, ორი რამ იყო საფიქრებელი: სოლომონი ან სპარსეთის ყაენთან აპირებდა საიდუმლო შეთანხმებას ან კიდევ ალექსანდრე ბაქარის-ძესთან სურდა კავშირი დაემყარებინა. იქნებ თავისთანაც იბარებდა. უდაო იყო, რაკი ერეკლემ სოლომონის განდგომილი შვილი შეიფარა და თბილისში ბინა მისცა, იმერეთის მეფეს საკმაო საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს, თუკი დასჭირდებოდა, ყოველთვის შეეძლო მამისაგან განდგომილი ბატონიშვილი შეეგულიანებინა იმერეთის ტახტისათვის საბრძოლველად. ერეკლეს ასეთი განზრახვა იქნება კიდევაც ჰქონდა გულში, მაგრამ ახლა მისთვის უმჯობესი იყო სოლომონთან ურთიერთობა არ გაემწვაკვებინა. აღმოსავლეთიდან ცუდი ამბები მოდიოდა: განჯის ხანი გადაუდგა და ხარკის გამოგზავნაზე უარი განაცხადა; ერეგინის ხანმაც ისეთი ბარათი მოწერა, რომ უეჭველი იყო, ისიც განდგომას აპირებდა; ყუბელმა ფათალიხანმა ხომ მოწოდებით მი მართა მეზობელ სახანოებს ერეკლეს წინააღმდეგ ხმალი აღემართათ და ბოლო მოეღოთ ამ გაიურის მძლავრობისათვის.

მთელი ეს ამბები აიძულებდნენ ერეკლეს სასწრაფოდ მოგვევარებინა ურთიერთობა იმერეთის მეფესთან და დასავლეთის მხრიდან თავისი ზურგი მაინც უზრუნველყო. ამიტომ მან დაიბარა სოლომონის ვაჟი და გადაჭრით მოსთხოვა შერიგებოდა მამამისს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ შეპყრობილს გაგზავნიდა იმერეთში.

ალექსანდრე გულშემოყრილი დაბრუნდა შინ და თავისიანებს ყოველივე გულახდილად უამბო. მთელ სახლში ერთი ტირილ ზუზუნი ატყდა. განსაკუთრებით თავზარი დაეცათ დავით აბაშიძეს და მერაბ ნიჟარაძეს. ერთიცა და მეორეც კარგს არას მოელოდა იმერეთის მეფისაგან და არც ერთ მათგანს არ სურდა უკან დაბრუნება.

– დიდუ, რა გავიგონე ეს, – წრიალებდა წაღმა-უკუღმა მერაბ ნიჟარაძე და შუბლზე ხელს იტკაცუნებდა, – მიტირეთ, მიტირეთ, ახლავე გამომიტირეთ ბარემ.

– წავიდეთ, ვთხოვთ ერეკლეს, თვითონ დაგვსაჯოს აქვე და იქ ნუ დაგვაბრუნებს, – წაიდუღუნა დავით აბაშიძემ, – რაზე გაგვიწირა, რა დავუშავეთ ასეთი. იმერეთის მეფემ მთელი ქართლ-კახეთის განდგომილი თავადები და აზნაურები შეიფარა და ეს დალოცვილი იმათ გულისჯვარს ჩვენზე იყრის?

– ჩემს თავს რას დავეძებ, ბატონიშვილზე ვდარდობ, – თავისქნევით იმეორებდა მერაბი, – ამას არაფერი ავნოს, თორემ მე ჭირს წავუღივარ. რას მიზამს, ეს ერთი გაზრეკილი თავი მაქვს და მოკვეთის მეტს ვერაფერს დამაკლებს.

– ასე არ გამოგვადგება, უნდა ვიღონოთ რაღე, – ამოიგმინა როგორც იქნა თამაზა მესხმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და მართო თვალებს ამოდრავებდა ისე, თითქოს თვალების მოძრაობით მუსაიფობდა.

– რა ვქნათ? – ჰკითხა მერაბმა.

– ბატონიშვილი წაბრძანდეს და ეახლოს მამამისს, ჩვენ წავიდეთ ახალციხეში ფაშასთან.

– ჰა, რას ამბობ მაგას, – იუარა დავით აბაშიძემ. – ჩვენ თავს ვუშველოთ და ბატონიშვილი პირში მივცეთ? ის კი არა, უნდა ვეახლოთ და ვეცადოთ დანაშაული ყველამ

გავინაწილოთ. სასჯელი არ აგვცდება, მაგრამ თუ აქეთ-იქით გავიქეცით, უარესია. თამამად მისვლა ჯობია. მივიდეთ და ვუთხრათ, ბატონიშვილმა თქვენს დაუკითხავად ქალი შეირთო და თქვენი რისხვის შეეშინდა, მარტო ვერ გავუშვით, ვეახელით, ახლა იმას გთხოვთ, მაგას ყოველივე აპატიეთ და ჩვენ დაგვსაჯეთ-თქო, დამიჯერეთ, ასე ჯობია, – ეშმაკურად მოჭუტა თვალი დავითმა და განაგრძო: – ხომ იცი ასე პირდაპირ რომ გვნახავს, ვერაფერს გაგვიბედავს, თორემ თუ დავემალეთ, დედინაბუდიანად მოგვთხრის.

– ლაპარაკი ადვილია, მაგრამ საქმე თქვი შენ, – მწარედ ამოიგმინა მერაბმა. – სოლომონს თვალეებში მტერმა შეხედა... დედა! ახლავე მაზრიალებს შიშით და იქ რა მომივა.

– შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. წამოდი, ბატონიშვილთან ვითათბიროთ.

მეორე ოთახში ალექსანდრე ამშვიდებდა თავის მეუღლეს, რომელიც გულამომჯდარი ზღუქუნებდა. გარშემო მოახლეები შემოხვევოდნენ და ვითომ ისინიც ამშვიდებდნენ, თვითონ უფრო წუწუნებდნენ, თუმცა გუნებაში კიდევაც უხაროდათ, რომ შინ ბრუნდებოდნენ. ამ უცხო ქალაქში გაჭირვებული ცხოვრებით თავი ჰქონდათ გაბეზრებული. მარტო გადია იხოკავდა პირს და ბატონიშვილის წინ დამხობილი მოთქმით ევედრებოდა:

– არ წახვიდე, შვილო, ნუ დამიღუპავ ჩემს ანგელოზს და ნურც შენ იღუპავ თავს.

ოთახში დიდებულები შემოვიდნენ. მერაბ ნიჟარაძემ მელიასავით სწრაფად მიმოავლო თვალი ოთახში ქალებს და დაუცაცხანა:

– გადით ახლა გარეთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს. ტირილი და წუწუნი რომ საქმეს შეველოდეს, მაგაში თქვენ გვაჯობებდით!

ქალები ოთახიდან გაიკრიფნენ, გარდა ბატონიშვილის მეუღლისა, რომელიც ტირილს განაგრძობდა.

– რა გადაწყვიტე, ბატონიშვილო? – ჰკითხა დავითმა ალექსანდრეს.

– თქვენ რას მირჩევთ?

– რჩევით რა უნდა გირჩიოთ, როდესაც მეტი გამოსავალი არ არის! ახალციხეს წავიდოდით ყველანი ფაშასთან, მაგრამ მამინ მამაშენს საბოლოოდ მტრად მოვიკიდებთ და არც ეგ გვინდა. მამაშენის მტრობა გულში არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონია და არც ექნება. ერთი გველი შეაცურდა გულზე და ის მინდოდა მომეცილებია, თორემ სოლომონის გულისთვის, როდესაც არ უნდა მითხრას, ჩემს სამ შვილს დაგკლავ ჩემი ხელით. თუ ღმერთმა მოგვხედა, ვენაცვალე მის სახელს, და არ გავგწირა, შიში ნურაფრის გვექნება. ერთადერთ შვილს, ტახტის მემკვიდრეს არ გაწირავს. მე დავიბრალე ყველაფერს.

დავითმა თვალეებში შეხედა ბატონიშვილს, რომელსაც ცრემლები მოერია და გულაჩუყებული გადაეხვია სახლთუხუცესს.

– მეუღლეს, ჩემს მეუღლეს რა ვუყო.

– არა უშავს რა. მაგის მამულში გზად გავივლით. მამასთან დავტოვოთ. მეფეს ვეახლოთ, თავი შევავედროთ. ეგებ გული მოუღებეს და მერე ესეც ვაახლოთ. ამის შევენებას რომ ნახავს, ქვის გულიც რომ ჰქონდეს, მაინც მოუღებება.

ბატონიშვილი კიდევ ყოყმანობდა. მან ახლა მერაბს შეხედა; მერაბი თავის ფიქრებს გაეტაცნა და თავს ისე აქიციანებდა, თითქოს რაღაცას გაეკვირვებია.

– შენ რას იტყვი მერაბ?

– მე? – შეკრთა მერაბი, – წავიდეთ, ბატონო, წავიდეთ. თუ ღვთისაგან განწირულები არა ვართ არაფერი გვიშავს, და თუ ღმერთმა აგვადო ხელი, სულ ერთია, ცხრა მთას იქით რომ გადავიკარგოთ, მაინც არ იქნება ჩვენი საშველი. ჰო, ჰო, ჰო, ბერი წულუკიძე რომ გაიგებს ჩვენს ამბავს, ჰო რა გაინარებს, ჩამივარდა ყველა ხელშიო. წავიდეთ. გინდა აქ ამომძრობია სული შიშით, გინდა იქ წაუცლია ჩემთვის თავი მამაშენს, ოღონდ შენ იყავი კარგად.

– შენ, თამაზა? შენ რას იტყვი?

თამაზა ერთხანს უძრავად იჯდა გარინდული, მერე ბატონიშვილს შეხედა, მხრები აიწურა და ასე უსიტყვოდ ანიშნა, მეტი რა გზა გვაქვსო.

თათბირი ამით დაამთავრეს და მაშინვე შეუდგნენ სამზადისს. ფარეშები, ქეშიკები, ბაზიერები და მეთოფურები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. მაშინვე მოდენეს ის თხუთმეტიოდე ცხენი, რომელიც შერჩენოდათ, უძრავლესობა საპალნეებისათვის გამოიყენეს, დანარჩენებზე ბატონიშვილი, მისი მეუღლე და სამი დიდებული შესვეს და დილაადრიან გზას გაუდგნენ. ბატონიშვილის გასაცილებლად მარტო ლეონი და დავით ორბელიანი მოვიდნენ. ლეონმა ერეკლესაგან ორი ბარათი გადასცა ალექსანდრეს, ერთი სოლომონისათვის გადასაცემად და მეორე არჩილისათვის, თანაც ურჩია, რომ მამამისთან თავისი ბიძის არჩილის თანხლებით მისულიყო. გარდა ამისა, მან დაახვედრა ქალაქის ბჭესთან ორასი მხედარი, რომელნიც ბატონიშვილს იმერეთის საზღვრამდე მიაცილებდნენ.

ალექსანდრე გამოეთხოვა ლეონს და თავისიანებს ნიშანი მისცა დაძრულიყვნენ. ლეონის ცხენოსანი რაზმი გარს შემოერტყა მგზავრებს და ქალაქელები გაცივებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ეს რა ამბავია, ტუსაღები ხომ არ მიჰყავთო. ალექსანდრეს ამაღლა მართლა წააგავდა ტუსაღთა ბრბოს. დაკონკილკაბიანი ფეხშიშველა დედაკაცები, ზოგს ჩითის ნაჭერში გაკრული ფუთა მოედო ზურგზე, ზოგს ძველი ხურჯინი და ისე მიაბიჯებდა შარაზე. მამაკაცებს ჩონის კალთები აეკეცათ, დაფლეთილი შარვალი მუხლებამდე აეკარწახნებიათ, ვისაც ჰქონდა – თოფი გაედო მხარზე, ვისაც არა – კომბალი. ბარგით დატვირთული ცხენები ისე იყვნენ დაზურგულნი, რომ კაცი იფიქრებდა, ეს საცოდავი ცხოველები რაღაც მანქანებით შეკრული ლებ-საბნების გორაკების ქვეშ შეუძვრენიათ, ამათაც ეს ტვირთი ზურგით ოდნავ ზევით აუწევიათ და გაჭირვებით მიაჩოჩებენო, ხოლო ერთ ასეთ დატვირთულ ცხენზე მოხუცებული გადიაც კი შეესვათ.

ყველაზე ხალისიანად და უდარდელად ენაგადმოგდებული ძაღლები მიზროდნენ. მათ, ალბათ, ეგონათ, რომ სანადიროდ მიჰყავდათ, კურბუალების ძახილს ყურს არ უგდებდნენ და მხიარული ყეფა ღავლავით მიდამოს აყრუებდნენ.

– ღმერთს ვფიცავ, თუ ეს ძაღლები უფრო ბედნიერები არ იყვნენ ჩვენზე, – ამოოხვრით უთხრა თამაზა მესხს მერაბ ნიჟარაძემ. – რა იქნებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს ძაღლად რომ გავეჩინე. მასმევენენ, მაჭმევდნენ, სანადიროდ მატარებდნენ და ქე ვიქნებოდი ჩემთვის. თუ დავაშავებდი რამეს, ერთ ორ წინლს მითავაზებდნენ და ამით გადავრჩებოდი მთელ უბედურებას. ახლა კაცი მქვია, ჩემს სახლში მივდივარ, უნდა მიხაროდეს, და გული სიმწრით მეკუშმება. რას მიზამენ ეს მაინც ვიცოდე. ვაი თუ დასაკლავი ხარით დამადებინეს თავი ჯირკზე. ძაღლის ბედი როგორ უნდა მშურდეს და მენატრებოდეს ღვთისაგან გაჩენილ ადამიანს.

თამაზა მესხმა წარბშეკვრით გადახედა მერაბს და თითქოს თავისთვის წაიდუღუნა:

– ვითხარით, ახალციხეს წავიდეთ-თქო და არ ქენით. ახლა იყავით მაგრე.

* * *

პაპუნა წერეთელი დილიდანვე მოუსვენრად წრიალებდა. გზაზე წამდაუწუმ გზავნიდა გზირებს, მეფე ხომ არ მობრძანდებაო. უკანასკნელი კვირა იყო ხსნილისა, ორშაბათიდან შობის მარხვა იწყებოდა და ამიტომ შეუძლებელი იყო ქორწინების გადადება. სახლთუხუცესს დავით უფლისწულის დაზე, ქეთევანზე, უნდა დაეწერა ჯვარი და მისი კარ-მიდამო, სასახლის დარბაზები, მეზობელთა სახლებიც კი სავსე იყო სტუმრებით. ასეთი საქორწილო მზადება არასოდეს არ ახსოვდა საწერეთლოს. არათუ ჩვეულებრივი საკლავი: ძროხა და ცხვარი, რაჭული ხბოები და სავანის ბატკნები მზადდებოდა სუფრისათვის, არამედ ნანადირევით, ირმებით, ტანებით, კაკებებით და შურთხებით სავსე იყო სამზარეულო.

პაპუნას ვარაუდით მეფე შაბათს უნდა მობრძანებულიყო, მაგრამ ის მეორე დღესაც კი არ ჩანდა და არც რაიმე ამბავს იტყობინებოდა. ნაშუადღევს უკვე მეტი ცდა შეუძლებელი იყო და პაპუნა დათანხმდა მაყრები გაეგზავნა, რომ საპატარძლო ტაძრამდე მიეცილებინათ. თვითონაც მოემზადა და, როგორც კი გაისმა მაყრების დამბაჩა-თოფების ბათქაბუთქი, მაშინვე გაემართა ტაძრისაკენ.

ეკლესიის ეზო და გარშემო ნაპურალები სავსე იყო ხალხით. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ მაყრიონის გამოჩენას. ხალხში ხმა გავარდა, ქორწილს სოლომონ მეფე დაესწრებაო და, ვისაც კი სიარული შეეძლო, ყველა ტაძარს მოაწყდა. გარდა თითო-ორიოლა გლეხისა, რომელთაც ლაშქრობაში მეფისთვის შორიდან მოეკრათ თვალი, სოლომონი არავის ენახა. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ერთი ჯგუფი, სადაც მღვდელივით წვერებცანცარა გლეხი ნარიმანა გულაძე სიცილით ზოცავდა ხალხს. ახლად მოსულები ცდილობდნენ წინა რიგებში გაჭრილიყვნენ და სიცილით გადაფიჩინებულ დამხვდურებს გაფაციცებით ეკითხებოდნენ:

- რა თქვა ნარიმანამ, რა?
- ოჰ, ღმერთმა დასწყევლოს მაგისი თავი. რას არ იტყვის ეგ გაუბედურებული.
- აღარ შემიძლია მეტი, მომკლა სიცილით.
- როგორ იგონებს მაინც ამისთანა ამბებს? - ისმოდა აქეთიქიდან და ისევ ხან ერთი გადაბჟირდებოდა სიცილით, ხან მეორე.

ნარიმანა არაფერს ისეთს არ ამბობდა, ჩვეულებრივ ამბებს ჰყვებოდა. მაგრამ ისე ოსტატურად უსვამდა მახვილს ნამბობს, ისე მოულოდნელად შეაბრუნებდა სიტყვას, რომ რაც არ უნდა ეთქვა, მაინც სიცილს იწვევდა, - თუნდაც გასვენებასა და მიცვალებულზე ელაპარაკნა. ახლაც სწორედ ასეთ ამბავს ჰყვებოდა.

- წავედით სატირაღში, - განაგრძობდა თავის ამბავს ნარიმანა, - მოდის ეს ჩვენი სილიონი. გუნებაში ვამბობ, ბიჭო, რაფერ უნდა იტიროს ამან ეს გადახჩუებული ასი წლის ბებერი, ამის თვალზე ცრემლი, საკუთარი მამა რომ მოუკვდა, მაშინ არ უნახავს კაცს-მეთქი. მივედით, შემოიკრა შუბლზე ხელი, ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს თავსო, იძახის და მოდის ცრემლი მარა რამდენი, ნეტავი ჩვენი წყარო იყოს ისე ბარაქიანი. ტირის, ტირის, ვერაფრით ვეღარ შეიკავა ცრემლი. გავასვენეთ მიცვალებული, დავჯექით საქელეხოდ. ეს გაუბედურებული ტირის, - არ ტირის, მარა მოდის ცრემლი, ვერაფრით ვერ შეიკავა. მიშველე, ნარიმანაო, მეუბნება. სახლიდან რომ მოვდიოდი, ცოლმა ჩოხის ჯიბეში ერთი თავი ხახვი ჩამიგდო, ეს მაინც მოისვი ქუთუთოზე, შე უღვთო, იქნება ზრდილობისათვის ერთი ცვარი ცრემლი მაინც მოიდინო თვალზე, თორემ რას იტყვის ხალხიო. მოვისვი და ზომ ხედავ, გავთავდი კაცი, დავდნი ცრემლადო. ბიჭო, სად იშოვე ასეთი ცხარე ხახვი. შე სულელო, მეუბნება, როდის იყო წერეთლის და აბაშიძის ქალები ბოსტანში ხახვს რომ ბუნდიდნო, ჩემი ცოლის დარგული ხახვი აბა რა იქნებოდაო...

მეორე ჯგუფი შემოსეოდა გიჟ დედაკაც ვასასიას, რომელიც საგანგებოდ მოგროვილ ნემოში ჩამჯდარიყო, ხმელ ფოთლებს არჩევდა და სათითაოდ უბეში ილაგებდა, თან უაზროდ ბუტბუტებდა. არავინ არ იცოდა, საიდან იყო და ვისი ოჯახის შვილი იყო ეს ვასასი, ან სად ეძინა, ზამთარ ზაფხულ დადიოდა სოფელ სოფელ და ლუკმა პურს თხოულობდა. უწყინარი გიჟი იყო, საოცრად დაკვირვებული და ვაგლახად ვერაფერს გამოაპარებდი.

- ვასასი, რა არის მაგ უბეში რომ იწყობ? - ჰკითხა ერთმა.
- არაა შენი საქმე, - უპასუხა საქმით გართულმა გიჟმა დედაკაცმა.
- ტკბილიკვერი ჰგონია უბედურს, - დაასკვნა ერთმა ტლუ ბიჭმა, რომელიც ხანადაფრენილი უცქეროდა ვასასის საქმიანობას.

ხალხი აჩოჩქოლდა. მექორწილენი ცხენებს მოაგელვებდნენ. ისმოდა შეწყობილი მაყრული. გლეხები გაფაციცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სოლომონ მეფე რომელია მათ შორისო,

მაგრამ ამდენ დიდებულებში ყველას თვალი აერია. ცხენოსნები გალავანთან ჩამოქვეითდნენ და ცხენები მესერის გასწვრივ წვეტიან სარებზე დააბეს. მალე მთელი ეკლესიის გალავნის გარშემო თავისუფალი ადგილიც კი აღარ იყო ცხენების დასაბმელად. რა ჯიშის ან ფერის ცხენს არ ნახავდით აქ. კატასავით პატარა ფენმარდი მეგრული ცხენის გვერდით აქ დაინახავდით ძვლებამოკუზულ ოსურ გამხდარ ულაყებს, შველივით ტანწერწეტა ყარაბაღულ ბედაურებს, ყურებდაცქვეტილ, მუდამ დამფრთხალ ყაბარდოელ თონარიკებს და უფრო ხშირად კი უჯიშო ჩიჩვირჩამოშვებულ იაბო ცხენებს, სიარულშიაც და ჭამის დროსაც სულ ძილის გუნებაზე რომ არიან.

სოფლის ბავშვები მაშინვე გაცვივდნენ გალავნის გარეთ და ჯგუფ-ჯგუფად შორიდან ათვალიერებდნენ ცხენებს. უფროსები კი გზის გასწვრივ ჩამწკრივდნენ და მოწიწებით ესალმებოდნენ დიდებულებს. საყდარში პირველად ქალები შევიდნენ. გლეხები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ საპატარძლოს. პირველად ყველას ანა ეგონა სახლთუხუცესის საცოლვე, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ ის მხოლოდ მდადე იყო და საპატარძლო კი მის გვერდით მომავალი მორცხვად თავდახრილი გარუჯული არსება, ყველამ ტუჩი აიბზუა, ქალებმა თავსაფრები შეისწორეს და ერთმანეთს წაჩურჩულეს:

- ეს რა ართვალი ყოფილა.
- რა არის ჩაცმა. ჩვენს თათიას რომ აგრე ჩააცვა და დაახურო, არ გაანათებს მზესავით!
- შავგვრემანი ყოფილა. ზოგს შავი ქალი უფრო უყვარს. ეგ უნდა იყოს ახლა ჩვენი ქალბატონი!
- გაჩუმი, ქალო. მეფის ასულია, უბრალო ხომ არავინ გგონია.
- ი! მეფის ასული! მე მეგონა მზეთუნახავი იქნება-მეთქი.

მამაკაცები უფრო თამამად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. ხუმარა ნარიმანამ წვერზე ხელი დაისვა და ვითომ თავისთვის წაიღუღუნა:

- არა, ძმაო, პაპუნასხელა კაცი ვიყო, მაგისთანა ქალს მოვიწვევ გვერდში?!
- რას სულელობ, – წაულაპარაკა თეთრწვერა გლეხმა, რომელიც იქვე ნარიმანას გვერდით იდლით დაყრდნობოდა თავის შინდის ჯოხს და ცოცხალი თვალებით ათვალიერებდა მაყრიონთა მარაქს, – პაპუნას ქალები აკლია! მაგ ღვთისპირისაგან შეჩვენებულმა, ვისაც თვალი დაადგა, ნამუსი ახადა და სოფელი არ არის, რომ მაგის გაკეთებული ბავში არ დარბოდეს. ხელმწიფის ქალს მიტომ ირთავს, წყალობა არ მომაკლდეს და საბატონო დავიმკვიდრო. მაგის გულისათვის ქალს კი არა ეშმაკს ჩაიწვენს ლოგინში.

- გაჩუმი, არავინ გავიგონოს.
- გამიგონოს, თორემ ხახვი არ დამაჭრას კისერზე. ჩვენიანი, ვიცი, არავინ მიუტანს ენას და თვითონ რას გაიგონებს.
- სამეფო გვარის ქალის შერთვა, გინდა ასე თქვი გინდა ისე, მაინც სასახელოა, – დასძინა ნარიმანამ და მერე ხუმრობით იკითხა: – ერთი მაცოდინა, ჩვენი გლეხის ქალიც იმისთანაა, როგორც მეფის ასული...
- უჰ, დაგწყველა ჩემმა გამჩენმა, რას არ იტყვი, – ჩაიცინა მოხუცმა და ნარიმანას ზურგი შეაქცია.

მალე პაპუნამაც ჩაუარა გლეხების მწკრივებს და ეჯიბის, მდადის, მოურავისა და რამდენიმე სხვა ნათესავის თანხლებით ტაძარში შევიდა. მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია გლეხებისათვის, რომელნიც გზადაგზა მისასალმებელი შეძახილებით ეგებებოდნენ. წარბშეჭმუხვნილი შევიდა ტაძარში და ასევე მოღუშული დადგა საკურთხევლის წინ. ვერაფრით ვერ აეხსნა, თუ რა მიზეზით არ ესწრებოდა მეფე მის ქორწილს. ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში. ხან გუნებაში გაუელვებდა, თურქები ხომ არ დაგვესხნენ თავსო, მაგრამ ამ ამბავს ხომ მაშინვე აცნობებდნენ, ხან კიდევ იმის შიში კლავდა, ვაი თუ მეფე გაახელეს და ჩააგონეს, პაპუნამ შენი ბიძაშვილი მისთვის შეერთო, რომ ვერაგულად გიპირებს

ტახტიდან გადაყენებასო. ეს აზრი იმიტომ უფრო აწუსებდა პაპუნას, რომ ამისმაგვარი რაღაც მართლა ჰქონდა გუნებაში. რაკი სოლომონი სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარის-ძეს იბარებდა და ერეკლეს წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, ცხადია, ქართლ-კახეთის მეფეც შეეცდებოდა სოლომონის გადაყენებას და ამ აზრით მის ვაჟს ბეც ალექსანდრეს აამხედრებდა. თუ სოლომონი გაიმარჯვებდა, ცხადია, ის თავის შვილს ტახტზე აღარ აიყვანდა და მაშინ იმერთა მეფედ ანას ქმარი დავით გიორგის-ძე უნდა გამხდარიყო. თუ სოლომონი დამარცხდებოდა, მაშინაც საეჭვო იყო, რომ ერეკლეს იმერთის ტახტზე სოლომონის შვილი დაესვა, მაგრამ კიდევაც რომ დათანხმებულიყო, ვერც პაპუნა წერეთელი და ვერც ბერი წულუკიძე ამას ვერ შეურიგდებოდნენ. განდგომილი სანთოუსუცესი დავით აბაშიძე ორთავე ამ დიდებულს ძირიანად მოთხრიდა. ამიტომ გადაწყვიტა პაპუნამ ცოლად შეერთო დავით გიორგის ძის დაი და თავისი მდგომარეობა საშვილიშვილოდ განემტკიცებია. მეფემაც დაუდასტურა სურვილი და აღუთქვა ქორწილში დასწრება, მაგრამ...

...ჯვარისწერა აგერ თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა და ქუთაისიდან არაფერი ამბავი არ ისმოდა.

წარბშეკრული პაპუნა მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც მღვდელმა დაასრულა თავისი საქმე და ნათესავებმა მილოცვა დაიწყეს. სწორედ ამ დროს გარეთ ჩოჩქოლი შეიქნა და მალე ტაძარში მეფის შიკრიკი შემოიჭრა.

პაპუნამ ფეთიანივით მოიხედა და იკითხა:

– რა ამბავია?

შიკრიკმა საკურთხევისაკენ გაიხედა, პირჯვარი გადაისახა და შემდეგ პაპუნას გრაგნილი გაუწოდა:

– მეფემ ეს ბარათი გაახლათ.

– რა მოხდა.

– გუშინ ალექსანდრე ბატონიშვილი ჩამობრძანდა ქართლიდან ქუთაისს.

– რას ამბობ, ბიჭო! – ისე წამოიძახა პაპუნამ, რომ მისმა ხმამ ყველანი შეაშფოთა, მერე უცბად მიმოიხედა, შიკრიკს მაჯაში ხელი სტაცა და ეკვტერში გაიყვანა. – მოდი აქ, დალაგებით მიაბე ყველაფერი.

– გუშინ, შენი ჭირიმე, მეფე აქ წამობრძანებას აპირებდა. გამზადებული ვიყავით. ამ დროს გავიხედე, მოაგლო ცხენი ვილაცამ. ბატონიშვილი მობრძანდებო. გადვირიეთ ყველა. სულ აირია მონასტერი, რაღას იზამდა მეფე. გამოველით სუყველა გარეთ. გეკვიხდეთ, მოდიან.

– მარტო იყო?

– სამასი კაცი ახლდა.

– მაგას კი არ გეკითხები. დიდებულები ვინ იყვნენ მასთან.

– დავით აბაშიძე, მერაბ ნიჟარაძე, თამაზა მესხი...

პაპუნამ ტურზე იკბინა. შიკრიკი კი განაგრძობდა:

– გაეგება მეფე. დაიჩოქა ბატონიშვილმა: შენი მორჩილი ვარო.

– ცოლი ახლდა?

– არა.

ისევ იკბინა ტურზე პაპუნამ. მერე გრაგნილი გაშალა. მეფე უთვლიდა, დაუყოვნებლივ წამოდიო.

ერთხანს გარინდული იდგა პაპუნა და ქვის იატაკს ჩასცქეროდა, მერე სწრაფად მობრუნდა და ტაძარში გავიდა, ახლად ჯვარდაწერილ მეუღლეს მიუახლოვდა.

– ბოდიშს მოვითხოვ, რომ ქორწინების პირველ დღეს ბედმა არ მარგუნა საქორწილო სუფრაზე გხლებოდი, ვითარცა ნეფე. ქუთაისს უნდა გავემგზავრო დაუყოვნებლივ. იმედი მაქვს, რომ სტუმართ მიიღებთ, ვითარცა დედოფალი და ბატონ პატრონი დიასახლისი სახლისა

ჩემისა. ამიერიდან ჩემი ყმა და მამული, ჩემი სახლი თქვენი საკუთრებაა და იმედი მაქვს განაგებთ ისე, ვითარცა შეჭფერის ბაგრატიონთა სახლის შვილს.

მერე ანას და დავითს მიუბრუნდა:

– მომიტევე, დედოფალო, მაპატიე ბატონიშვილო, მაგრამ თქვენი იმედი მაქვს, უჩემობას ნუ დააჩნევთ საქორწილო ნადიმს.

ანამ უკვე კარგად იცოდა, რაც მოხდა, ყველაფერს მიხვდა და ახლა, გაიგო თუ არა, რომ პაპუნა დაუყოვნებლივ მიემგზავრებოდა ქუთაისს, განარებულმა ფუსფუსით უთხრა:

– დამშვიდებული ბრძანდებოდე, სახლთუხუცესო. მართალია, უჩვეულო ნადიმი კი გვექნება და პატარძალი ცოტა მოიწყენს, მაგრამ მეფეთა და ვაზირთა ბედია ხშირად მიატოვონ სახლი თვისი სახელმწიფო საქმეთა გამო.

– ცხენები!! – დაიძახა სახლთუხუცესმა და საყდრიდან გამოვიდა. გზადაგზა მოურავს ზოგი რამ დარიგება მისცა, შემდეგ ოციოდე შეიარაღებული მცველი იახლა, თავის დაულალავ ბედაურს მოეწლო და ადგილიდან მოსწყვიტა. ჩუბინები სულ ჭენებით დაედევნენ და გზაზე მტკვერის კორიანტელი დააყენეს. მალე ისინი თვალთაგან მიეფარნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ, შორეული გორაკის ქედზე გადადიოდნენ. პაპუნა ისევ თავგამეტებით მიაგელვებდა ცხენს და წინ მიუძღოდა თავის ამაღას.

* * *

მეფის კარის მასხარა ტაბიკა წიფლარიანი და ჯალათი ხოსია უგვარო განუყრელი მეგობრები იყვნენ. ტაბიკა ერთი ციდა ტანის კაცი იყო და თავისი მოტვლებილი თავით, ცანცარა გრძელი წვერით და ზვიადი სიღინჯით აუცილებლად ყოველ მნახველში ღიმილს იწვევდა. ხოსია კი, პირიქით, ვეება ტანის, დათვივით უშნო და მთლად ბანჯგვლით დაფარული ბრგე ვაჟკაცი იყო და მისი შეხედვა შიშის ხარსა ჰგვრიდა ყველას.

ორივენი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ტაბიკა სასახლის ამბებით ართობდა თავის მეგობარს. ხოსიას არათუ სასახლეში, სასახლის ეზოშიაც კი არ ჰქონდა შესვლის უფლება და მისთვის უდიდეს ნეტარებას შეადგენდა მოესმინა, თუ რა ხდებოდა სამეფო კარზე, ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა, ვინ რას ამბობდა.

– დიდი ბედნიერი კაცი ხარ, დიდი, – ეუბნებოდა ერთხელ ხოსია ტაბიკას. – ღმერთს რომ ჩემთვის კარგი ნდომებოდა, შენსავით დალეულს გამაჩენდა და შენს ხელობას მასწავლიდა.

– რა ყრია შიგ?

– როგორ თუ რა ყრია. სასმელი შენ არ გაკლია და საჭმელი, ჩაცმა და დახურვა. ქალიც ქე მოგგვარეს ორი შენსიგრძე. საქმემ, მე შენ გეტყვი, წელი არ მოგწყვიტოს. აცინე მეფე და ეგაა სულ.

– მეფის გაცინება შენ ხუმრობა საქმე გგონია?

– შე კაცო, რა უნდა მაგას?

– მიდი და გააცინე, თუ კარგი ბიჭი ხარ. თუ გუნებაზე არ არის, გაციინოს კი არა, შეიძლება იმისთანა მიგაყოლოს გვერდებში, რომ გაჩენა გაწყველინოს. ხელობა შენ რომ გაქ, მაგას რა ჯობია. ხარ შენთვის, გეძლევა ულუფა და გინდა დილას მოუღონინე, გინდა საღამოს, შეშა რო შეშაა, იმის მიტანაზედაც კი არ იწუნებ თავს. ეგაა, თუ დასასჯელად გამოგიგზავნენ ვინმე, ერთი წეიკაპიწებ და, მე შენ გეტყვი, ან მაგაზე გეხარჯება დიდი ჯაფა! ათასნაირი ჭახრაკები გაქ მისთანა, რომ ტყვილად თუ მიაკარე ადამიანს, დასაკლავი ხარივით აღრიალე.

– ყოველი კაცი რომ სხვის ბედს შენატრის. მე უბედურს, ჩემი დღეწუთისოფელი სულ მყრალ დილეგსა და ნესტიან სარდაფში მიხდება ტრიალი. უნდა მოკიდო ხელი ზეზეულად აქოთებულ ტუსაღს, თითო ბათმანი ტილი რო ასეგია თითოს და... დამანებე ერთი თავი, თუ

კაცი ხარ. ეს ღადის ამ გაკასკასებულ იატაკზე, თან ზედ ნოხი რომ უფენია, ფენი არ გაუცივდეს ან არ ეტკინოსო, შეცქერის ამ აფუებული ცომივით ნაპატიებ ქალებს და მე მეუბნება, შენი ბედი სჯობია ჩემს ბედსო. სულელი არა ხარ ახლა შენ?!

– სჯობია, ბიჭო, სჯობია. რა იცი შენ იმ გაკასკასებულ იატაკზე და იმ გაფუებულ დედაკაცებში რამდენი ცოდვის რისხვა ტრიალებს. აგერ გუშინესწინ... მარა შენთან რავა შეიძლება რაიმეს თქმა.

– ვიცი ახლა, რა მუცლის გვრემა გაქვს. ერთი ღოქი ძველშავი გინდა გამოწოპო, თორემ უმისოდ ყოველი სიტყვა ყელზე დაგადგება.

ხოსიამ ერთის ბურღუნით დაუწყო ხდა ქვევრს, კარგა მოზრდილი ღოქი პირამდე აავსო და ტაბიკა კერასთან მიიპატიჟა.

– მოდი, აქ დაჯექ, ჩემო ტაბიკა, – ხენემით უთხრა ხოსიამ, თვითონაც იქვე მოიკალათა, ნაცარდაყრილი მჭადი ცეცხლს მიუფიცხა და მერე დიდხანს აფათურა გარშემო ხელები. ნაპირებმოღეჭილ უშნო ყანწს დაეძებდა. ეს ყანწი ყოველთვის საძებარი ჰქონდა. ის ხან ტახტის ქვეშ ეგდო, ხან თაროზე, ხან კერაზე მიყრილ ფიჩხში ჰქონდა თავი ჩარგული, ხან კიდევ კალანჩხაზე ეკიდა.

– რეიქნა ეს რჯულძაღლი, – ხენემოდა ხოსია. – მოყევი ახლა, თუ ყვები რამეს, ეს ღოქი არსად გაგვექცევა.

– ასეა, ჩემო ხოსია, – ჭიკჭიკებდა სმის მდაზე მოსული და გამხიარულებული ტაბიკა. – ეს ქვეყანა ჩემი და შენი ყოფილა, ასე გამოდის. მე ვაცივებ ყველას, შენ ატირებ, ასე უბრძანებია ჩვენს გამჩენ ღმერთს და გაუნაწილებია ჩვენთვის ამ ცხოვრების სიამტკიბილობა და სიმწარე.

– ბიჭო, რას ამბობ ხოლმე იმისთანას, რომ ქვეყანას თურმე ჭიპზე ხეთქავ სიცილით. ერთხელ ჩემთვის მაინც გეთქვა იმისთანა რამე, რომ ერთი მეც გამცინებოდა.

– არაფერს, ჩემო ხოსია, არაფერს. მე თვითონ ვარ სასაცილო, ასე პატარა რო ვარ, დალეული. პირველად რომ მიმიყვანეს სასახლეში, ასე მეგონა, დღე და ღამე მოვლიდი ხალხს სიცილით-თქო, მარა შენც არ მომიკვდე. თუ მეფემ არ გაიცინა, ისე, შენ გგონია, ვაცივებ ვინმეს თუ? არ მომიკვდეს შენი თავი. სუყველა იმას უყურებს თვალებში. თუ გაიღიმა, იცოცხლე, გაჭრას შენი ტაბიკას ხუმრობამ. აგერ წინაზე ერთი იმისთანა ხუმრობა ვთქვი, წიგნებში იყო ჩასაწერი. შევხედე ხალხს. იგულება ყველა, ისე უნდათ ვაცივება, მარა ყველა მეფეს უყურებს. რას ბეუტურობს ეგ სულელი, გააგდეთ გარეთო. მკრეს პანღური და კისრით დამიშვეს კიბეზე. საღამოს, ვახშმად რომ ისხდნენ, კუთხეში ვიდექი ჩემთვის მოწყენილი, ცხვირი დავაცემინე. რა მოხდა მერე? არაფერი. ცხვირს ვინ არ აცემინებს, კაცს რო სურდო შეგეყრება, რამდენჯერ დააცხიკებ, ვინ იცის. ჰოდა, ცხვირი დავაცემინე, გაზრდა-თქო ვუთხარი ჩემს თავს და გადაბრუნდა მეფე, იცინის, იცინის, მარა შენ უნდა გეყურებია ამ დიდებულებისათვის. ოხო, ხო, ხო, რა იცინეს, შეასკდნენ ერთმანეთს. არა, ბატონო, კია ტაბიკა ღირსი, რომ აზნაურობა უწყალობოთო, ეუბნება ბერი წულუკიძე მეფეს. აზნაურობა არა, მაგრამ ერთი კაი ყვლივი კი გადმომიგდო მეფემ და, იცოცხლე, მოვულხინე იმ საღამოს.

– დალიე ეს, – გაუწოდა სავსე ყანწი ხოსიამ. – ღვინოს ხო გასმევენ ხოლმე?

– რავა არა. მწდე რომ ჩამოივლის, შევაგებებ ჯამს და რაც მე იქ ჩხავერი და ოჯალეში დამიღეგია, სათვალავი არა აქვს. – ტაბიკამ ყანწი ჩამოართვა. – ხოსია, იცოცხლე, შენს საქმეს გაუმარჯოს. ბევრი გეყვირებოდა ამ ქვეყანაზე ბრუნდი და მართალი, სულ ერთია, მაინც ერთი ფასი აქვს ყველას, შენ თვითონ არავინ აგაყვიროს, ესაა საქმე, მარა, ნუ გეშინია, ქვეყანა რო დეიქცეს, მაინც არავინ გახლებს ხელს. მეფისთვის შენისთანა საჭირო კაცი ერთი ღადის მის საბრძანებელში.

ტაბიკა ერთხანს დიდი გულმოდგინებით იმარჯვებდა ყანწს და მერე წრუპუნით ისე გააჭიანურა დაცლა, გეგონებოდა, რაღაც დაუღეველი სასმისი მოუყულებიაო.

– არც შენ ხარ ნაკლებად საჭირო, – უთხრა შექებით ნასამოვნებმა ხოსიამ. – კი, დამიჯერე, ასეა ეს.

– ვინ, მე? პატარა მჭადის ნატეხი მომაწოდე, ლობიო არა გაქვს?

– რავა არა. ავერ ქოთანნი.

– თუ არაფერი დავაყოლე, ისე გული ამიწვრიალდება, – თქვა ტაბიკამ, ქოთანს მიწვდა, მჭადის ნატეხი ამოუწო და მადიანად დაუწყო ჭამა. – ვაიმე, ბიჭო! უჩემოდ ვის შეუძლია გაძლება ქვეყანაზე. ამ მეფის დიდ ხალხს რომ უყურო, გაგიჟდები, სულ ერთმანეთს ჭამენ, ბრაზიანი ძაღლებივით უტრიალებენ ერთიმეორეს და ვინ ვის მოასწრებს და გადაყლაპავს, რა ვიცი. ავერ გუშინესწინ ბატონიშვილი ჩამობრძანდა ქართლიდან. მამა შვილს გეებუტება, რა ვუყვით მერე, შერიგდებიან, მარა უნდა გენახა რა ამბავი შეიქნა. შაბათ დილას ბატონიშვილი მობრძანდა, იმავე დღეს კაცი აფრინეს საჩხერეში სახლთუხუცესთან. ქალს ირთავდა, მიუტოვებია ეკლესიაში და დღეს რა დღეა, ორშაბათი გათენებული არ იყო, რო მოვარდა თავისი ამალით. მთელი დამე ჭენებით მოდიოდა თურმე. რაზე ახლა? ბატონიშვილს პირველი სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და ვეზირები მერაბ ნიჟარაძე და თამაზა მესხი ახლდნენ. ესენიც ეახლენ მეფეს. გაღირია, ალბათ, წერეთელი, იფიქრა – ადგილი მეკარგებაო, აქეთ ბერი წულუკიძე აფორიაქდა, იქით გოგია აბაშიძე, გარბიან და გამორბიან, იმდენი ქნეს, რომ ეს სამივე დიდებული დილეგში ჩააყრევინა მეფემ და დღეს ასამართლებენ. შენთვის არ დაუძახნიათ ჯერ?

– მე არაფერი ვიცი.

– მოვლიან, ნუ გეშინია. მე ვიცი, არსა გამთქვამ და უნდა გითხრა, რომ მაგ სამი დიდებულისთანა კარგი კაცი ამ ჩვენს თავადებში ერთი არ დადის, მარა ეს რომ გამიგოს ვინმემ, წიწილივით წამაწყვეტენ თავს. მეფის ორგულები არიან, მაგათ სოლომონის გადაყენება და მისი შვილის ტახტზე აყვანა უნდოდათო. მე შენ გეტყვი და დაბრალებას ვერ მოახერხებენ.

– აბა მომიხდება მაგათი გაწურვა სამატში.

– იმდენი შენ იცოცხლე და მე. ჰაი ბენასა. რაც მე დავით აბაშიძე და მერაბ ნიჟარაძე მიცინებია. თამაზას ხომ ნულა იტყვი, ნამეტანი ვუყვარდი სამივეს, რო რამე არ ერუქებიათ ჩემთვის, არ შეიძლებოდა. რა ნაკითხი და რა განათლებულია სამივე. ახლა შენთან მოვიდნენ და უნდა აყვირო და აღრიალო. ასეა, ჩემო ძმაო, ეს წუთისოფელი მოწყობილი. დალიე და დამილიე, თუ კაცი ხარ, თორემ ეს მადა კი ამიშალე და მეტი აღარ გინდა მაღირსო? დღეს ახლა თავი იმიტომ გავარიდე სასახლეში, არ მინდა სუყველას ეკალივით ვესობოდე თვალში. გლახა ხასიათზე დავდექი და გოგია აბაშიძემ მაშინვე ის მითხრა: შე სკინტლო, შენ, მაგათი დატუსაღება გეწყინა და იმიტომაა, რომ ხუმრობის მადა მოშლილი გაქვსო. წადი ახლა და სინდისი მოკითხე მაგ ღვთისპირისაგან გადავარდნილს. თვითონ ქე აქვს სასინარულო, ბიძის მამულებს დაეპატრონება. მაგის გულისთვის მაგ ბიძას კი არა და შვილს დაკლავს.

ტაბიკას ძალე ეკიდებოდა ღვინო და მესამე ყანწის შემდეგ, შიშიც დაჰკარგა, რიდიც და მოხსნა გუდას თავი:

– მეფეო, არა, რო თქვას კაცმა, მეფე არაა ურიგო კაცი. ბნედიანი ქეა საწყალი და რო მოუვლის ხოლმე, კვანავით დაახეთქებს ძირს.

– კაი კაცო, მართლა? – გაუკვირდა ხოსიას.

– რავა, არ იცოდი თუ? თუმცა, შეიძლება, არც ქე იცოდე. არ ამხელენ და ხმამაღლა რომ წამოგცდეს სადმე, შეიძლება თავიც წააგო. ჰოდა, იმას ვამბობდი. ეგ კარგი კაცია, მარა ეს კარისკაცები, ო, მაგათი სინსილა კი გაწყდეს, ეგენი არიან, რაც არიან. მაგენი ხან ასე გააგიჟებენ მეფეს, ხან ისე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ. ოღონ რითიმე აამონ და თვალები აუხვიონ. არაფერს არ ზოგავენ. როსტომ ერისთავი რო დაიჭირეს გეგუთში, მეფეს ერთგულება დავუმტკიცოთო, ერთად მიესიენ თვალების ამოსაკუჭავად. რაც ის აცოდვილეს

და აწვალეს, ვერაფრით თვალები ვერ დათხარეს კაცს. მერე თვითონ ასწავლა, თვალის კილოები ჩამაჭერით და მისით გადმოცვივა თვალებით. სულწასწრებულები რო არიან, შენ აქ არ იყავი? მოეყვანათ შენთან, ოსტატი კაცი ხარ, ერთი მოუქნევედი ხელს და გათავდა საქმე. არა! რახან მეფე გვიცქერის, აბა რომელი მოვასწრებთ, თავი მოვაწონოთო. დამისხი თუ მისხამ, მაგ ღოქი, გინდა ასე თქვი გინდა ისე, ხო უნდა დავლიოთ.

– ამ ღოქის ხელა არც ქე ხარ, – წაიბურღლუნა ხოსიამ და ყანწი აუვსო. – ბიჭო, ერთი ეს მითხარი, იმ სასახლეში თუ მასხრობ, ჩემთანაც წეიმასხრე რამე, გამაცინე მეც. რო დავდები და კაცი ვერ მოვლდის, იმდენს ლაპარაკობ, გამაცინე ერთხელ მეც, რა იქნება.

– მე, ჩემო ხოსია, სასაცილოს იქ არაფერს არ ვამბობ, პატარა ტანის რომ ვარ, იმ სულელებს ჰგონიათ, ჭკუაც პატარა მაქვს. ჩვეულებრივად რომ დავდივარ, არ ვლაპარაკობ, ესაა რო კლავს სიცილით ყველას. შემომხედავენ და გადაფიჩინდებიან, ეს რა არისო. რა აცინებთ იმ სულელებს. დევბადე ამისთანა და რა მოხდა მერე! კაკალი ზოგი მუშტის სისხლა და ფშუტი. ვითომ ახლა ისინი მითი მჯობიან, რომ ჩემზე ორჯერ გრძელეები არიან?

ტაბიკა ისევ შეუდგა ყანწის დაცლას წრუპუნ-წრუპუნით, რომ ამ დროს სახლში მეფის იასაული შევიდა და ხოსიას მიმართა:

- ადე, წამო, გიბარებენ.
- საქმეა რამე? – დათვივით უხერხულად ადგა ხოსია და იასაულს შეაცქერდა.
- მერაბ ნიჟარაძეს თვალები უნდა დათხარო. ამ მასხარას რა უნდა შენთან. ბიჭო, მაგ ყანწის სიგრძე სულ არა ხარ და რაფერ ეძებრები ზედ?
- ტაბიკამ მოწყვეტით ანება თავი ყანწს და იასაულს მიაცქერდა.
- რა თქვი, ბიჭო, მაგ? მერაბს თვალებს თხრიან?
- რა იყო, გეცოდება? – დამცინავი ღიმილით დააცქერდა ზემოდან იასაული ტაბიკას.
- ვიცი, რა ძალიცა ხარ! – გულმოსულად უთხრა ტაბიკამ იასაულს და ფეხზე წამოდგა.
- გინდა ახლა დამაცდენინო, მეცოდებაო, და მერე მეფეს ენა მიუბრუნო, შენი ორგული ეცოდებაო. წადი და უთხარი. არც შენი მეშინია და არც მეფის.

– ვაი შენს ჭკუას, დაგაბეზლო, თორემ თანამდებობა შემშურს შენი, რო დალუულხარ ნაგვალავი პანტასავით, ვის რად უნდა შენი დაბეზლება? – მერე მიუბრუნდა ხოსიას, რომელიც ტყავის ჭუჭყიან წინსაფარს იკრავდა. – ესეც რო კაცებში ერევა, ეს ჭინკა. მზად ხარ უკვე? წავიდეთ აბა!

ხოსიამ ტაბიკას გადახედა და ჰკითხა:

- დარჩები თუ წამოხვალ?
- წამოვალ თუ წამიყვან თან და მაყურებიებ. იქნება კიდევაც დაგჭირდე რამეში. მოგეხმარები.

* * *

რიონის პირას, ქალაქის ზღუდის ჯიხურთან, სადაც მსჯავრდადებული უნდა დაესაჯათ, შეგროვილიყვნენ მსაჯულები, სარდლები და სასახლის კარის დიდებულები. ყველანი მწკრივად ჩამომსხდარიყვნენ სხლტეზე და რაღაც უცნაური ნამალადევი მხიარულებით მასლაათობდნენ. პაპუნა წერეთელი თავისი გადიის სასაცილო შემთხვევას უამბობდა მსმენელთ და ყველაზე მეტს თვითონ იცინოდა.

რიყეზე ორი კაცი ანძუსს ამაგრებდა.

რიონის გაღმა ცნობისმოყვარე მოსახლეობა მოგროვილიყო. აქ იყვნენ უმთავრესად ზედა ქუთაისის მცხოვრებნი და ახლომახლოდან მოსული სოფლელები. ისინი ხშირად ყოფილან ასეთი სანახაობის მოწმე და ამიტომ ეს სამზადისი ახლა არავისში არ იწვევდა დიდ გაოცებას. იმ ადგილზე, სადაც ახლა ნიჟარაძე უნდა დაესაჯათ, მუდამ გამოჰყავდათ ბელით

განწირული მსჯავრდებული და ჯალათი ხოსია აქ ასრულებდა თავის მოვალეობას. აქ დააყრევინეს თავები მღივმევის მონასტრის მონაზვნის გამტაცებლებს, დაჭრეს ხელები ქალაქში დაჭერილ ქურდებს და აწამეს დადიანის მხარეზე გადასული გლეხები.

მალე მდინარის ორივე მხარზე შეგროვილნი აჩოქქოლდნენ. იასაულებს და ჩაფრებს ხელშეკრული მერაბ ნიჟარაძე მოჰყავდათ, მათ უკან მოჰყვებოდა ჯალათი ხოსია, რომელსაც თავისი იარაღები აელღიავენინა და სულ ბოლოს ბანჯგვლიან ფინიასავით მოცუნცუნებდა ტაბიკა.

ტუსალი სვეტთან მიიყვანეს და ზედ მიაკრეს. მერაბი თვალს არიდებდა დიდებულებს. რაც შეიძლება კისერი მოიღრიცა და ხარბად უცქეროდა ცას, მთებს და ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, რადგან ყოველივე ამას უკანასკნელად ხედავდა. მსაჯულმა გრაგნილი გაშალა და განაჩენის კითხვას შეუდგა. დიდებულები ჩუმად იღვინ და ტუსალს უცქეროდნენ. ყოველ მათგანს აღელვება ეტყობოდა. პაპუნა წერეთელმა მსაჯული შეაჩერა და მერაბს შეეფფვიტ მიახალა:

– მოიხედე აქეთ, შენზეა ლაპარაკი.

მერაბმა ერთი წუთით მოიხედა, ზიზღით აღსავსე მზერა მიმოავლო ყველას და ისევ მთებს შეაცქერდა.

– შენ გეუბნებიან, – გაუმეორა პაპუნამ.

მერაბმა ყურადღება არ მიაქცია. ის ახლა სინათლის შეგრძნობით იყო შეპყრობილი. ცოტა ხანს თვალები მაგრად დახუჭა, რომ განეცადა, თუ როგორი იქნებოდა მისთვის სამყარო დაბრძანების შემდეგ. იყო ერთხანს ასე თვალდახუჭული, მერე უცბად გაახილა და თითქოს დიდი ხნის ყვინთვის შემდეგ ამოვარდნილიყოს წყლიდან, მძიმედ მოითქვა სული. უცბად ისე ძლიერად გაიღვიძა მასში თავის დახსნის სურვილმა, რომ მთელი ტანით გაიბრძოლა. მან ახლა მეტი სიძლიერით განიცადა ის საშინელება, რომელიც მოელოდა და თავდახსნის სურვილმა დენთივით ააფეთქა. გამწარებული ცდილობდა დაეწვევია ჯაჭვები, გაეთავისუფლებია ხელები, მაგრამ ტყუილუბრალოდ წვალობდა და ქანცგაწვევტილმა ამოიხვრით ისევ მძიმედ მოითქვა სული. გიჟივით მიმოიხედა იმ იმედით, იქნებ ისეთ რამეს მოეკრა თვალი, რაც დამეხმარება და თავს დამახსნევენებსო და, როდესაც დარწმუნდა, რომ სანუგეშო არსად არა იყო რა, ისევ გაიბრძოლა, დაჭრილი ნადირივით აზმუვლდა და თავს ისე გამწარებით იქნევდა, რომ მთელი ძალით ახათქუნებდა სვეტზე. ამ ჯაჯგურში ტანსაცმელი ალაგ ალაგ კიდევაც შემოასკდა ტანზე და გადატყაული მკლავებიდან სისხლმა დაიწყო ცვარვა.

მსაჯულმა განაჩენის კითხვას თავი ანება და უხერხულად მიმოიხედა; ყველანი ისე გაფითრებულყვნენ, რომ არც ერთ მათგანს ადამიანის ფერი არ ედო სახეზე.

– აჰ, ამის ცქერა მე არ შემიძლია, – წაიღულუნა ელიზბარ ერისთავმა და სასახლისკენ მოუსვა.

მას დანარჩენებიც დაედევნენ და მალე ტუსადთან მეციხოვნეთა გარდა მარტო პაპუნა წერეთელი, მსაჯული ხელთუფლიშვილი, ჯალათი ხოსია და მასხარა ტაბიკა დარჩნენ.

ხალხის წასვლამ მერაბი თითქოს დაამშვიდა, თუმცა ჯაჯგურსა და ჯაჭვების დაწვევტის ცდას მაინც განაგრძობდა.

– კარგია ახლა, რა მოგივიდა, ვაჟკაცი არა ხარ? – უთხრა პაპუნამ. – მთლად კი ნუ წახდები.

ამ სიტყვებმა უცნაური გავლენა იქონია მერაბზე. ის სრულიად მოწყდა და დაკლულივით დაეკიდა სვეტზე.

– რას მერჩოდა მეფე, წერეთელო? – თითქოს მიწას ჩასძახოდა, ლულულებდა მერაბი. – მე თუ მის ვაჟიშვილს ვურჩიე ცოლის შერთვა, თვითონ ხომ გააგდება? რაზე მთხრის თვალებს; ბერი წულუკიძე მიშვება ამას. თავისი ბოზი გოგო უნდა რომ შერთოს

ბატონიშვილს და ხომ გააკეთე საქმე. ჯერ თავისი ნაქვრივალი და გაასალა, ახლა ქალიშვილი...

– რა ვქნა, წავიკითხო განაჩენი? – ჰკითხა მსაჯულმა პაპუნას.

– არა, შენ მაგის წავითხვას ერთ საათს მოუნდები და ეს კიდევ წამოროშავს რამეს. ხოსია, მიხედე შენს საქმეს!

ჯალათი დაღვრემილი იდგა და თავდახრილი სქელი წარბების ქვემოდან უცქეროდა მერაბს. პაპუნას სიტყვებმა გამოარკვია. ნელა მიუახლოვდა თავის მსხვერპლს და სვეტიდან ასხნა დაუწყო.

– ნუ გეშინია, – წასჩურჩულა მან მერაბს, – ვერც კი გაიგებ ვერაფერს. რა ვქნათ ახლა. თუ ხელს არ შემიშლი, არც კი გატკენ. აგრე იყავი. ჩაჯექი, აგრე, ახლა კეფა დამაყრდნე მუხლებზე, ახლავე გაგანთავისუფლებ...

– ხოსია, – ამოიგმინა მერაბმა, – ერთი კიდევ შემახედე, ბიჭო, ცას, ერთი წუთი, დამანახვე სინათლე...

მესერზე მოსეულმა ცნობისმოყვარე ქალებმა ერთი კი იკვილეს და ქათმებივით აფორიაქებულნი იქით-აქეთ მიმოიფანტნენ. ღობეებთან და წყალგალმაც მარტო მოხუცი მამაკაცები დარჩნენ. ისინი ბოლომდე უცქეროდნენ, როგორ წამოიმართა ზეზე ჯალათი, აკრიფა თავისი იარაღები და წავიდა. მეციხოვნეებმა მერაბს ხელები შეუხსნეს და იქვე მიწაზე გაშლართული დატოვეს. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მარტო ტაბიკა არ იძროდა ადგილიდან, მერე მიუახლოვდა თვალდათხრილს, ჩაიჩოქა და თმებზე ხელი გადაუსვა.

კარგა მოგვიანებული იყო, როდესაც ტაბიკამ ხოსიას ქონში შეიხედა და წყნარად იკითხა:

– გძინავს, ხოსია?

– შემოდი, შემოდი. სად იყავი აქამდე?

ხოსია მოწული ჩელტიდან ჩამობობლდა, კერასთან ჩაიკეცა და თან ტაბიკას სამფეხა სკამი გაუწოდა.

– დაჯექი. მომიყვი ახლა ყველაფერი. იმ უბედურს რა უქნეს?

– არაფერი, ეგდო ასე, ჩემს მეტი ჭირისუფალი არავინ არ ჰყოლია. ხმას კი ვერ იღებდა. მოვეფერე საწყალს. წყალი დამალევიწყო, მითხრა. მერე მომიყვა უბედური. ბატონიშვილს რომ ქალი შეურთავს, მაგას უნახავს, უქია ბატონიშვილისთვის, ჰოდა, მაგ თვალებით კიდევ რომ ჩვენთვის არასასურველი არ დაინახოს, დათხარეთ ამას თვალებით, უბრძანებია მეფეს.

– იქ არის ისევ?

– არა. ჩამოვიდნენ ნათესავები, დაავდეს ურემზე და წაიყვანეს. ახლა გითხრა სასაცილო ამბავი. სადუნა რომ იყო ერთი, ხომ გახსოვს სახლთუხუცესის ფარეში.

– ვიცი... ისე მაწამებიეს უბედური, მისი ღრიალი ცას წვდებოდა. არ გატყდა.

– რას გატყდებოდა. იმას აბრალებდნენ თურმე იმას, რის გულისთვისაც ეს მერაბი დასაჯეს. კუწუწა აბაშიძეს ჩამოეტანა ამბავი, ევგენ აბაშიძის ქალი პაპუნა წერეთლის ფარეშს სადუნას უქია ბატონიშვილისთვის და იმას უნახვებიაო, გადაირია მეფე. მომგვარეთ აქაო. საიდან მოჰგვრიდნენ, ის გაბაშვილს გააყოლეს სპარსეთში. აფრინეს კაცი და ღიგორში დაწეოდნენ. ჩამოიყვანეს აქ და რაც იმას ღლე დაადგა, შენ უკეთ იცი ჩემზე. ღლეს, ახლა, მიუეზავნია ციხიდან კაცი სახლთუხუცესისათვის, რასაც მბრალეობდით, ხომ გავმართლდი და გამომიშვით გარეთო. პაპუნამ მეფეს ვკითხავო. ამასობაში ვხედავ, კუწუწა თავის ბატონს ეხვეწება, ჭალაში გამიშვი, ამბავი ჩამომივიდა, მამა მიკვდებო. რის მამა, უნდა თავს უშველოს. შეჯდა ცხენზე და ახლა სკანდეს იქნება გაცილებული, ალბათ. პატარა ხანი გავიდა, ქე არ გამოუშვეს სადუნა. მოვიდა სასახლის ეზოში, შეგეხედა – შეგეცოდებოდა. რათი ელო ეს მიწისფერი. გაჩეჩა თმა, წვერი, ნამღვილი ქაჯი იყო, იასაული არ უშვებდა. ვინ ხარ შენო. ვეღარ იცნო. ილბალზე პაპუნამ დაინახა, მოუარეთ, არიქა ჩქარა ღვინოო.

ტაბიკა შედგა და მიმოიხედა.

– ამ განხილვაზე, ის დოქი რა უყავი.
– აგერაა. ყანწი ვეღარსა ვნახე. დოქით მოიყუდე ხოლმე, – მიაწოდა ხოსიამ დოქი და შემდეგ კერაზე ფიჩხი წინ წამოწია. – მერე, მერე?
– მერე და დალია ერთი ჯამი და იკითხა კუწუწა აბაშიძე სადააო? გაუგია ვინც დაკლა... ახლა უყურე შენ მაგ ნაბიჭვარ საღუნას, რა უყოს მაგან იმ მელიას. იმიტომ მოუსვა ქუთაისიდან, მაგრამ სად წავა. ეს იმისთანა ჯიბიდან გავარდნილი ვინმეა, მიწაში რომ ჩაძვრეს, იქ არ დააყენებს. ბედი არ აქვს თუ! გამოსული არ იყო ციხიდან, ჯერ პაპუნა მოვიდა თვითონ, მოიკითხა და ფარეშებს უბრძანა, ამას საპნით ტანი დაბანეთ, დავარცხნეთ, კბენარი მოაშორეთ და სუფთა ტანისამოსი ჩააცვითო, მერე ეზოსმოდღვარი მოვიდა, მეფეს გამოუგზავნია ჩოხა-ახალუხი და თავისი ნაცვამი მაშიები ებოდებინა. რახან დანაშაული არ ჰქონია და ჩვენი გულისთვის ამდენი ტანჯვა განიცადა, ეს მიართვით და ბატონიშვილის პირისფარეშობა ებოდოსო. ხედავ, რა ბედი ეწვია!
ტაბიკამ დოქი მოიყუდა და კარგა ხანს აწრუპუნებდა. მერე სული მძიმედ მოითქვა და ულვაშებზე ხელი გადაისვა.
– ეს კი უნდა გითხრა, ჩემო ხოსია, რომ რა ხელობისაც არ უნდა იყო კაცი, შენი საქმე მართლა კარგად უნდა იცოდე. რაზე ვამბობ, იცი? შენ რომ გიყურე დღეს, პირდაპირ გაკვირდი. ასე თვალის დახამხამებაში რაფერ დათხარე ორივე თვალი. სულ გიკვირებდები, მე ვთქვი, ერთი დავინახო – რას უზამს-მეთქი და, გაგიგონია, თვალი ვერ მოგასწარი.

* * *

სოლომონსა და კათალიკოს მაქსიმეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მეფემ მოისურვა თავისი შვილის განქორწინება კანონიერად მოეხდინა და კათალიკოსისაგან ნებართვა ითხოვა. მაქსიმემ უარი შეუთვალა. მაშინ მეფემ კათალიკოსს საეკლესიო კრება მოაწვევინა და თავისი თხოვნა მათ სამსჯავროზე გაიტანა. სოლომონს იმედი ჰქონდა, ეპისკოპოსები ჩემი შიშით მხარს დამიჭერენო, მაგრამ აქაც მოულოდნელად წინააღმდეგობას წააწყდა. საეკლესიო კრებამ კათალიკოსს დაუჭირა მხარი და მეფეს გადაჭრით უარი მოახსენა, ჩვენ საეკლესიო წესს ვერ დავარღვევთ და ღმერთს ვერ განვარისხებთო.

ყველა მოელოდა, რომ მეფე კათალიკოსსაც გადააყენებდა და ეპისკოპოსებსაც ჩამოართმევდა თანამდებობას, მაგრამ ჯიუტი ხასიათის სოლომონმა ვერ გაბედა ეკლესიის გადაშტერება, რადგან ძალზე ღვთისმოსავი და მორწმუნე იყო. მან თავი ანება საეკლესიო კრებას, თავისი კარის ხუცესი დაიბარა და უბრძანა, ჩემს შვილს ბერი წულუკიძის ქალზე ჯვარი დაწერო. ხუცესმა უარი ვერ გაბედა, მუხლებში ჩაუვარდა და შეევედრა, რად მღუპავ, კათალიკოსი გამპარსავსო. მაშინ მეფე შეპირდა, შენ ოღონდ ჯვარი დაწერე ჩემს შვილს და თუ კათალიკოსი გაგპარსავს, სასახლის კარზე ისეთ თანამდებობას გიბოძებ, მღვდლებს სულ შიშის ზარსა ჰკვირდელი.

დეკემბრის დამლევს ბატონიშვილს ბერი წულუკიძის ქალზე ჯვარი გადაწერეს და მისთვის ახლად მიბოძებულ სოფელ გეგუთში გაისტუმრეს. აქ რიონის პირად შუაგულ მინდორში ძველი დაზიანებული სასახლე იდგა. ამბობდნენ, თითქოს ეს სასახლე თამარის აშენებული ყოფილი ყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სოფელი გეგუთი თურქებმა მოაოხრეს, ამ სასახლეში აღარავის უცხოვრია. სახურავი ალაგ-ალაგ ჩაიქცა და გარშემო, რაც კი რამ ნაგებობა იყო, მთლად გავერანდა. ეს სასახლე შემდეგში სოლომონმა რაჭის ერისთავს მიუბოძა პირველად შერიგების დროს და საკუთარი ხარჯით შეკეთებაც აღუთქვა. ერისთავი მაშინ ამ მიდამოებს სულაც არ მიკარებია და ისევ რაჭაში გაიქცა. მერე შერვაშიძეებს მიუბოძა მეფემ, მაგრამ ისინიც გაეცალნენ და აფხაზეთისაკენ მოუსვენს. ახლა თავის შვილს უწყალობა და მასაც შეპირდა გაზაფხულზე ამ სასახლეს სრულიად განვაახლებ, მანამდე კი იქვე ძელურ სახლში

დაბინავდი შენის მსახურებით და ფარეშებითო. ჩხერის ციხეში დაბრუნების ნება კი აღარ მისცა და მთელ იმ მამულებზე მიცემული სიგელი გაუუქმა. ბატონიშვილი იძულებული იყო ბედს შერიგებოდა და თავისი ახალი ცოლით სიჭყვის შეუბრუნებლად გადაბარგდა.

შვილის დაბრუნებამ სოლომონს ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი მანც არ აალებინა. მან საგანგებო დავალებით გაგზავნა ქართლში თავისი სიძე ელიზბარ ერისთავი, რომელსაც საიდუმლოდ უნდა დაეველო მთელი ის მხარე, მოენახულებინა ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადები, შეთქმულების ქსელი დაეხლართა და წინასწარ ისე მოემზადებია ნიადაგი, რომ ალექსანდრე ბაქარის-ძის ჩამოსვლასთან ერთად ისინიც ამბოხებულიყვნენ.

სოლომონის განზრახვას ხელს უწყობდა ისიც, რომ ერეკლეს საქმეები ძალზე ცუდად მიდიოდა. გაზაფხულის პირს ქართლ-კახეთის მეფეს განდგომილ განჯის ხანის წინააღმდეგ მოუხდა ვალაშქრება. ამ საქმეში მას ეხმარებოდა ყარაბაღის პატრონი იბრეიმ-ხანი, რომელთანაც მტკიცე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. მართალია, ერეკლემ ხელახლა დაიპყრო განჯა, მის გამგებელს მაჰმად-ხანს თვალები დათხარა და ეს სახანო კვლავ თავის მოხარკე გახდა, მაგრამ ახლა მას ერეკლის ხანი განუდგა და იძულებული იყო მის წინააღმდეგ სალაშქრო სამზადისს შედგომოდა.

ელიზბარ ერისთავმა თავისუფლად დაიარა ქართლი, მოინახულა უკმაყოფილო თავადები და მოუწოდა მათ ამხედრებულიყვნენ ერეკლეს წინააღმდეგ. უმრავლესობა ერთსა და იმავეს იმეორებდა: ოღონდ ალექსანდრე ბაქარის-ძე მობრძანდეს და მთელი ქართლი ფეხზე დადგებო. ელიზბარი წინდაუხედავად ბერავდა ალექსანდრე ბაქარის-ძის ჩამოსვლას, ამბობდა, რომ თითქოს ყანის მისთვის უთვალავი ჯარი ებოძებინოს, გარდა ამისა, ჩერქეზთ ბატონს ქედზე კაცი მოეხმოს მის დასახმარებლად, ხოლო იმერეთის მეფე ხომ დიდ ჯარს აგროვებდა თურმე. ვინ იცის, იქნებ ამ ბაქიბუქის ბრალი იყო, რომ ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებს ფრთები შეესხათ და სათანადო თადარიგს შეუდგნენ. ელიზბარი აღფრთოვანებული დაბრუნდა ქუთაისს და თან ჩამოიყვანა რამდენიმე ქართლელი მებატონე, რომელთაც სოლომონს დაუდასტურეს, რომ მზად იყვნენ ამხედრებულიყვნენ ერეკლეს წინააღმდეგ.

ამგვარად სოლომონის განზრახვას თითქოს არაფერი ელოებოდა წინ და იმერთა მეფე ახლა მოუთმენლად ელოდებოდა ბესიკის დაბრუნებას სპარსეთიდან. მას მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა, ზურგი არ ჰქონდა მაგარი. გურიელი, მართალია, დამორჩილებული ჰყავდა, მაგრამ მას შეეძლო ყოველ წუთს ელაღატნა. დადიანი ხომ თავის ნებაზე მთავრობდა და იმერთა მეფის უფლებას სრულიადაც არ სცნობდა. შერვაშიძეებიც ასევე განზე გამდგარიყვნენ და მსტოვართა ცნობების თანახმად თვითონ ემზადებოდნენ სალაშქროდ. გარდა ამისა, სოლომონს გაგებული ჰქონდა ისიც, რომ ერეკლეს მჭიდრო კავშირი გაება როგორც დადიანთან და გურიელთან, აგრეთვე შერვაშიძეებთან და საფიქრებელი იყო, რომ კიდევაც აქეზებდა მათ საჭიროების დროს ამხედრებულიყვნენ იმერთა მეფის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სოლომონისათვის ჯარის შეკრება და ალექსანდრე ბაქარის-ძის დასახმარებლად ქართლში გადასვლა არც ისე ადვილი საქმე იყო. გარდა ამისა, სოლომონის ძმა არჩილი თბილისიდან ფეხს არ იცვლიდა, ის თავისი სიმამრის ერეკლეს უადრესი ერთგული იყო. როგორც ეტყობოდა საიდანაც, თავისი ძმის ყოველ განზრახვას დაწვრილებით გებულობდა და ზედიზედ უგზავნიდა საყვედურებით აღსავსე წერილებს.

ამ წერილმა სოლომონი ისე გააცეცხლა, რომ პაპუნა წერეთელს უბრძანა, რაც არ უნდა დაგიჯდეს, აღმოძიინე, არჩილს ვინ უთვლის სასახლის საიდუმლოებებს, რომ სანიმუშოდ დაესაჯო.

– ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს, – ცხარობდა სოლომონი, – ცხვირი ვერ დავაცემინე ისე, თბილისში რომ არ გაიგონ. ვილაც მყავს მოჩენილი და კბილის ჭიასავით მოსვენებას არ მაძლევს. ამ გულში ხომ არ მიზის ვინმე, რაც გავიფიქრე, ყველაფერს რომ ერეკლეს უთვლის.

სოლომონის აზრით შუა ზაფხულისათვის ბესიკი უკვე უნდა ჩამოსულიყო სპარსეთიდან და ამისათვის შესაგებებლად ხალხიც კი გაგზავნა დიგორში. არჩილს კი შეუთვალა ქუთაისს წამოსულიყო და თავისი ძმის ბაგრატის ქორწილს დასწრებოდა. ბაგრატი გიჟი იყო და კოშკში ჰყავდათ დამწყვდეული. ბერი წულუკიძემ ურჩია მეფეს, მოდი ბატონიშვილს ცოლი შევროთ, იქნება დაჭკვიანდესო. საცოლევც თვითონ მოუნახა ოცდაათი წლის გაუთხოვარი ნიჟარაძის ქალი, რომელიც ოღონდ გათხოვილიყო და არათუ გიჟ ბატონიშვილს, არამედ ეშმაკსაც კი გაჰყვებოდა ცოლად. პატარა ქორწილი მართლაც გადაიხადეს და საქორწილო სუფრაზე თვითონ პატარძალი აკავებდა ბაგრატს, რომელიც ხან უაზროდ აცეცებდა ხელებს, რომ ლანგრებიდან თავისთვის ნაჭრები დაეთრია, ხან კი ქალებს უპაჭუნებდა თვალებს და სისულელეს რომავდა.

არჩილი ამ ქორწილს არ დასწრებია. მან კვლავ მოსწერა ბარათი ძმას და ემუქრებოდა, თუ ერეკლეს წინააღმდეგ ცუდ განზრახვაზე ხელი არ ავიდია, შენს საბრძანებელში ფეხსაც აღარ შემოვდგამო. თან ისიც აცნობა, რომ სპარსეთის ვექილი და მბრძანებელი ქერიმ-ხან-ზანდი ამა წლის თებერვალს გარდაიცვალა და ტყუილად ფიქრობ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ირანიდან ჯორკიდებული ჩამოვივა. ირანში მისთვის ახლა არავის სცალიაო.

ამ ამბავმა სოლომონი ძალზე ჩააფიქრა.

უდავო იყო, რომ სპარსეთის მხრიდან ქართლის ტახტის მამიებელს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა. რუსეთი, პირიქით, სდევნიდა, რადგან ეკატერინეს არ დავიწყებოდა ალექსანდრეს მეგობრობა პეტრე მესამესთან. ამის გულისთვის განდევნა კიდევაც რუსეთიდან და ჩამოართვა ყოველივე ღირსება. ერთადერთი ისევე ყუბის პატრონი ფათალი-ხანი თუ დაეხმარებოდა, ისიც საეჭვო იყო, რადგან ფათალი-ხანს თავისი დარდი აწუხებდა და თანაც ის იმ ხანებში რუსეთთან ურთიერთობას ამყარებდა. საეჭვო იყო, რომ ის რუსეთიდან განდევნილ ალექსანდრე ბატონიშვილს დახმარებოდა.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც მეფეს ბესიკის შიკრიკი ეახლა და მოახსენა, ალექსანდრე ბაქარის-ძე უღელტეხილზე გადმოვიდა და ახლა საწალიკეზე ან შქმერზე გადმოვლით მალე საჩხერეში ჩამოვაო.

სოლომონმა ინება, რომ ქართლის ბატონიშვილს შორიდან შეგებებოდა, პაპუნა წერეთელი იახლა და დიდი ამალით გაემგზავრა საჩხერისაკენ.

კვირიკობისთვე იწურებოდა, ქუთაისიდან მეფემ გეგუთში გაიარა და თავისი ვაჟიშვილი მონიხულა. სანამ მეფე შვილთან საუბრობდა, საღუნამ დაიმართოხელა თავისი ყოფილი ბატონი, განზე გაიყვანა და ჩურჩულით უთხრა:

- მიშველე, ბატონო, შენი ჭირიმე, მიხსენი.
- რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა?
- ვინ არის ეს ღვთისპირისაგან გადავარდნილი?
- ვინ, ბიჭო? – გაოცდა პაპუნა.

– ვინ და ბატონიშვილი, შენი ჭირიმე. ეს რა მხეცი და ნადირი ყოფილა. სისხლს ჯერ არ სვამს ჩვენსას, მაგრამ მალე დალევს, ალბათ. შეიკლა ყოველი კაცი ხელში. ციხეში ჩავმპალიყავი მერჩია. ეს... ეს ვინ არი, თქვენი ჭირიმეთ.

– გამაგებინე ბიჭო, რა მოგივიდათ.

– რა ვიცი, გენაცვალე. რა ბუზარა შეუჯდა მაგ უგამჩნოს. აქამდე არ იყო ამისთანა ხასიათის, პირიქით, მაგაზე ამბობდნენ, მაგისთანა ღვთისნიერი ადამიანიშვილი არ გვინახავსო. ახლა, დეედა! სუყველაფერზე ისე მოდის გული, ზაფრანის ფერი დაეღება ხოლმე. თუ რამე მოხვდა ხელში, არაფრით არ დაგზოგავს. გუშინ მოახლე გოგო სულ დანით დასერა საცოდავი, ეგერ ავდია ბუჩქებში, როდის მოკვდება არ ვიცი. მე, შენი ჭირიმე, – გაიხსნა გულისპირი საღუნამ, – ამას ხელავ, ბატონო? გავარვარებული რკინა დამადვა ზედ, უნდა

დავდალოვო. ხახუტას ბიჭს ყურები დააჭრა. ჩვენი საშველი აღარ არის. თუ ასე იქნა სულ, მაგას ვილაცა მოწამლავს...

– სსუტ! – გადაუბრიალა თვალები პაპუნამ სადუნას, ხელი წაავლო და ტყისაკენ წაათრია.
– წამოდი აქ, არავინ გაგიგონოს რამე. მოწამლავსო! რითი უნდა მოწამლონ, რას სულელობ.

– მაგას რა უნდა, შენი ჭირიმე. ერთი ბებერა სოკოს ჩაუგდებს ვინმე საჭმელში და გათავდა, ერთ წუთში გაჭიმავს ფეხს. მიშველე, შენი ჭირიმე, მიხსენი, წამიყვანე აქედან.

პაპუნა ერთ ხანს დაფიქრებული იდგა და სადუნას ხვეწნა-ვედრება სრულიად არ ესმოდა, ბოლოს თავი აიღო და ხმადაბლა ჰკითხა:

– თუ იცი, მაგ ხომ არ აგზავნის წერილებს თბილისში, ხომ არ დაგინახავს, რომ ან ვისმესთვის გაეტანებოდა, ან შენთვის ხომ არ უთქვამს.

– არა, შენი ჭირიმე, არ დამინახავს. ეს არა, სხვა ვინმე იქნება. უი ვიცი! – დაიკრა მუხლზე ხელი სადუნამ, – ვიცი! კუწუწა აბაშიძე დაძვრებოდა ხოლმე არჩილ ბატონიშვილის მეუღლესთან. ერთხელ ჩამაცვიდა, გამიგე და გამიგე რა საქმეზე მიდის ბესიკი სპარსეთშიო. ფულსაც შემპირდა, ოღონდ გამიგეო. მერე გავაყოლე თვალი, მაგ რას გამომაპარებდა, გევიხედე და მელიასავით შეძვრა ელენესთან...

– მართალს ამბობ, ბიჭო, მაგას? – ბრაზიანი თვალებით დახედა ზემოდან პაპუნამ ფარეშს.

– იცოდე, რაც გადაგხდა, ის სიზმარი იქნება იმასთან, რაც დღე დაგადგება, თუ ტყუილს მეუბნები.

– მე ვიყო შეჩვენებული, მაღალმა ღმერთმა გამიპოს მიწა და შიგ ჩამიტანოს, თუ ტყუილს ვამბობდე. შენი მუხლების ჭირიმე, მიხსენი, მიმსახურე რავარც გინდა, თუ გინდა წისქვილის ქვა მაბრუნებე, ოღონდ წამიყვანე შენთან, მომამორე ამ უღვთოს...

– მოიცა. შენ საჭირო ხარ. ტყუილად კი არ გაგამწესე ბატონიშვილთან. როცა დრო იქნება, წავიყვან. თუ ნამეტანი გაგიჭირდეს... – პაპუნამ მიმოიხედა, მერე სადუნას მათრახის ტარი წაუთათუნა და ანიშნა მომეყეო, – წამოდი აქ, რაღაც უნდა გითხრა...

სადუნამ დავემილი მეძებარივით იგრძნო, რომ სახლთუხუცესს რაღაც დიდი და საიდუმლო დავალება უნდა მიეცა მისთვის და ისეთი ხალისით გაჰყვა, რომ მისი ტანის მოძრაობას მარტო კუდილა აკლდა რომ ექიცილებინა.

* * *

საჩხერეში ცხენოსანთა ტევა აღარ იყო. დილიდან საღამომდე ამ პატარა დაბის გრძელ ქუჩაზე წალმა-უკულმა დაათქარუნებდნენ ცხენებს ქეშიკები, ჩუბინები, იასაულები, ფარეშები და შიკრიკები.

კვირიკობისთვის პაპანება სიცხე იდგა და ცხენებით დაჯეგეილ ქუჩაზე მტვრის ბუდი ტრიალებდა. ტიტლიკანა და მუცელდასიებული ებრაელი ბიჭები ხელგამვერილი დასდევდნენ ცხენოსნებს და მისძახოდნენ:

– მეფის კაცო, შემეწიე, მეფის კაცო, შემეწიე.

მაგრამ მათ ხვეწნას და ჭიჭყინს არავინ ყურს არ უგდებდა. ყველანი საქმიანი სახით გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით, თითქოს ყოველ მათგანს რაღაც დიდი რამ ჰქონდა დავალებული: ზოგი დასაკლავ საქონელს ერეკებოდა, ზოგს ბატონის ცხენი მიჰყავდა დასაჭედად, ზოგი მეუნაგრეებთან მიდიოდა მოსართავის შესაკეთებლად და თითქმის ყოველი მათგანი ასეთი წვრილმანი საქმით იყო გართული. მაგრამ მათ გამალებულ ფუსფუსში ერთგვარი თავისებურება გამოკრთოდა. ყველას უნდა დაენახებინა სხვათათვის, აგრე ნუ მიყურებთ, მეც მონაწილე ვარ იმ დიდი საქმის, რაც ახლა საჩხერეში ხდებაო, თუმცა წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმაზე, რა ხდებოდა ამ საჩხერეში. ეს კი გაიგეს, რომ მეფე ქართლის ბატონიშვილს შეეგებაო, მაგრამ არც ფარეშებმა და არც მცხოვრებლებმა არ

იცოდნენ, ვინ იყო იგი, ან რისთვის ჩამოსულიყო ამ პატარა დაბაში. მთავარი ის იყო, რომ ეს ქართლის ბატონიშვილი სპარსეთიდან ჩამოსულიყო, ტანზე გასაოცარი ოქროსქსოვილი ხალათი ჩაეცვა, თავზე სპარსული ყაიდის ხვეული და შეგრეხილი აბრეშუმის ქუდი დაეხურა, შუბლზე ალმასის თვლებიანი ჯილა დაემაგრებინა და ამ მორთულობით თვალს ჭრიდა ყველას. საჩხერლები შორიდან უკირკიტებდნენ წერეთლის თვალუწვდენ ეზოს, სადაც ფართოდ გაშლილი კაკლების ჩრდილში ქვის ფიქალებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარიყვნენ იმერეთის დიდებულები და ქართლიდან ლტოლვილი თავადები. ალექსანდრე ბაქარის-ძე და სოლომონი დიდი კაკლის ძირში, ნოხგადაფენილ ქვის მერხზე ისხდნენ.

სოლომონი დიდი ზემით შეეგება ალექსანდრე ბაქარის-ძეს და განსაკუთრებით რომ გაეზვიადებინა ამ შეხვედრის მნიშვნელობა, ყველას შესახედავად, როგორც უმცროსი, ჯერ მხარზე ეამბორა და შემდეგ მკერდზე. მერე წამოუძღვა და თავისი სახლთუხუცესის პაპუნა წერეთლის სასახლეში მიიწვია. აქ ბატონიშვილს შემოსილი სამღვდელოება შეაგება და კარის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს.

სოლომონი ცოტა არ იყოს შეაფიქრა იმან, რომ ბატონიშვილი სპარსეთიდან უჯაროდ ჩამოვიდა. ბესიკსაც ასე დაავალა, რომ ალექსანდრემ, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, თუნდაც ერთი ხუთასი კაცი მაინც გამოსთხოვოს სპარსეთის ყაენსო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართლის მებატონენი, როგორც კი დაინახავდნენ, ბატონიშვილს უცხო ჯარი ახლავსო, ადვილად მიემხრობოდნენ მას. ეს კარგად ესმოდა ალექსანდრესაც და ვინ იცის იქნება კიდევაც მოეყვანა საკმაო რაოდენობის ლაშქარი, მაგრამ ქერიმ-ხანის გარდაცვალებამ მთლად ჩაუფუშა ჯარის მიღების იმედი. იძულებული იყო ხელცარიელი წამოსულიყო სპარსეთიდან. შირაქში იმედდაკარგულს ეგონა ფათალი-ხანთან მაინც გაახერხებდა რამეს და ჯარს იშოვნოდა, მაგრამ ყუბის პატრონი თვითონ დაეძებდა დამხმარე ლაშქარს ყარაბაღის ხანის იბრეიმის წინააღმდეგ და ალექსანდრეს მარტო კეთილი სურვილები უწყალობა. ქართლის ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს კიდევ შეეძლო ერთი გამოსავალი გამოენახა. დაექირავებინა ლეკის ჯარი, მაგრამ ჯიბეში სოლომონის გამოგზავნილი ორიოდე გროშის გარდა ფული არ გააჩნდა და კიდევაც რომ ჰქონოდა, ეს ჯარი უკვე თვითონ ერეკლეს დაექირავებინა ერეგვის ხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ერთადერთი იმედი ისევ სოლომონზე უნდა დაემყარებინა. ამიტომ ალექსანდრე გულის ცემით მოელოდა იმ გადამწყვეტ საუბარს, როდესაც მისთვის ყოველივე უნდა გამორკვეულიყო.

სოლომონი საქმიან საუბარს არ აჩქარებდა. მას სურდა ჯერ ბესიკი გამოეკითხა და შემდეგ, როდესაც ყოველივეს გაიგებდა, საქმეს აწონ დაწონიდა, მოლაპარაკებოდა ბატონიშვილს, თუ როგორ ემოქმედნა ერეკლეს წინააღმდეგ. ამიტომ საპატიო სტუმართან ეზოში მცირე ხანს ისაუბრა, ზრდილობიანად მოიკითხა, თუ როგორ იმეზავრა, ქერიმ-ხანის გარდაცვალების ამბავი შეიცხადა და სპარსეთის განმგებელი დიდი ქებით მოიხსენია. მერე მასპინძელს უბრძანა ნამგზავრი სტუმრისათვის მოევლოთ, თვითონ კი ბესიკი გაიხმო და მასთან ცალკე ოთახში ჩაიკეტა.

სახლთუხუცესმა ალექსანდრე ბაქარის-ძე იმ ოთახში მიიწვია, სადაც ერთხელ ბესიკს მოუხდა ღამისთევა. ახლაც ფარეშებმა იმავე წესით მოუარეს ბატონიშვილს, ტანი დააბანინეს, სუფთა საცვლები მოართვეს და აბრეშუმის ლოგინზე მოასვენეს. სანამ ფარეშები თავის საქმეს აკეთებდნენ, პაპუნა იქვე ტრიალებდა და ბატონიშვილს საუბრით ართობდა. ვინაიდან, წესის მიხედვით, პაპუნა ვალდებული იყო თვითონ მომსახურებოდა ბატონიშვილს, ამიტომ პირისაფერისად საკუარი ხელით აწვდიდა ხან საპონს, ხან პირსახოცს, ხან საცვლებს და მხოლოდ მაშინ გავიდა ოთახიდან, როდესაც მეზავრობით დაღლილმა და აბაზანით მოთენთილმა ბატონიშვილმა თვალები მიილულა.

ეზოში პაპუნას დიდებულები შემოესივნენ და ჩურჩულთ ეკითხებოდნენ, თუ რაზე ესაუბრა ალექსანდრე ბაქარის ძეს, ან რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ქართლის ტახტის

მაძიებელმა ბატონიშვილმა. ყველაზე მეტად ბერი წულუკიძე ცდილობდა გაეგო რამე, რადგან ის არც მეფემ დაისწრო ბესიკთან საუბრის დროს და ვერც პაპუნას გაჰყვა თავის დროზე, რადგან ეგონა, სოლომონი დამიძახებსო.

ქართლელი თავადები ერთად შეჯგუფულიყვნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. განსაკუთრებით აფრენილი იყო ელიზბარ ერისთავი, რომელმაც ალექსანდრე ბაქარის-ძეს შეხვედრის დროს არათუ მხრები და ხელები, არამედ მუხლებიც კი დაუკოცნა და სინარულით აქვითინდა. არანაკლებ მხიარულებდა ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც მოზღოკში შეუერთდა ბატონიშვილს და, ახლა, მომავალი გამარჯვებით დაიმედებული, სინარულით ფეხზე აღარ იდგა.

სულ სხვა სინარულს განიცდიდა ანა. ის მოუთმენლად მოელოდა ბესიკის დაბრუნებას არა მარტო იმისათვის, რომ მასთან ტრფიალი წყუროდა, არამედ იმიტომ, რომ მასაც გაღვიძებოდა ტახტზე ასვლის სურვილი და ამ ორომტრიალში ახლა ბესიკისაგან უნდოდა ბევრი რამ გაეგო. პირისპირ საუბარში პაპუნა წერეთელი პირდაპირ ეუბნებოდა ანას, ოღონდ არ გამამხილო და კაცი არ ვიყო, თუ შენი ქმარი – ეს ჩემი ცოლისძმა – ტახტზე არ ავიყვანოვო. პაპუნას, ცხადია, მოსვენებას არ აძლევდა ბერი წულუკიძის ასეთი დაახლოება მეფესთან. მართალია, გარეგნულად დიდად მოსიყვარულე ძმასავით იხუტებდა გულში წულუკიძეს, მაგრამ ბრაზით გულზე სკდებოდა, როდესაც ხედავდა, თუ როგორ ატარებდა თავის ჭკუაზე გულუბრყვილო მეფეს ეს კარისკაცი. იმასაც კი მიაღწია, რომ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ალექსანდრე სიძედ გაიხადა და აშკარა იყო, სოლომონის სიკვდილის შემდეგ მთლად ჩაიდებდა ხელში სახელმწიფო ძალაუფლებას.

საიდან და როგორ ფიქრობდა პაპუნა წერეთელი განეხორციელებინა თავისი განზრახვა და დავით გიორგის-ძე ტახტზე აეყვანა, ამაზე ანას წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, მაგრამ ეჭვი არ იყო, რომ ეს ძლიერი ნებისყოფის დიდებული ტყუილუბრალოდ არ დამოყვრებია მის ოჯახს. ანასაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა, შემოდგომა-ზამთრობით მუდამ თავის სასახლეში იწვევდა და საჩუქრებით ყელამდე ავსებდა.

მეორე დიდებულთაგანი, რომელიც ანას ასევე აიმედებდა იმერეთის ტახტზე ავიყვანო, მისი ბიძა – სოლომონ მეფის სიძე – ელიზბარ ერისთავი იყო. მართალია, მას ახლა ანასათვის არ ეცალა და საკუთარი საქმეებით იყო გართული, მაგრამ თავის დისწულისთვის ზრუნვა მაინც არ ავიწყდებოდა.

– როგორ მოგეწონა მომავალი მეფე ქართლისა – შენი ბებიის ბიძის შვილი? – ჰკითხა ელიზბარმა ანას, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. – არა ჰგავს იმ ვეშაპს ერეკლეს. ახლა ვუცქერდი და არ ვიცი მელანდებოდა თუ ნამდვილი იყო, მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ წმინდანით ნათელი ადგა თავზე.

– ერთი ეს მიბრძანე, ბიძაჩემო, მაპატიე კი ასეთი სულელური კითხვა, როგორ უნდა გაუმკლავდეს ბატონიშვილი ერეკლეს, ჯარი სულ არა ჰყოლია.

– ეგ სულაც ნუ გადარდებთ, თქვენო ბრწყინვალება, – უპასუხა ელიზბარის მაგივრად ალექსანდრე ამილახვარმა.

ანას ალექსანდრესაკენ არც გაუხედა. მას ემინოდა ცხვირმოჭრილ ალექსანდრესათვის შეეხედა.

– ერეკლე ერევანს ყოფილა სალაშქროდ წასული, – განაგრძო ალექსანდრემ. – ერევნის ხანი აგრე ადვილად არ დანებდება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავს. განჯის ხანივით ის თვალებს არ დაათხრევენებს ერეკლეს. ამაზე ხელსაყრელი დრო ჩვენ არასოდეს არ გვექნება. გადავალთ თუ არა ქართლში, ქართლის თავადები ჩვენ მოგვემხრობა. თითო თავადმა ასი კაციც რომ მოიყვანოს, სულ უკანასკნელი, ათი ათასი კაცი უნდა მოგვიგროვდეს. აქვე ჩვენ დიდებული სოლომონიც მოგვემელება და თბილისს ჩვენ უბრძოლველად ავიღებთ.

– თბილისის მცველად ერეკლეს გიორგი უფლისწული დაუტოვნია, – წაიფრუტუნა ელიზბარმა. – პა, პა, პა, რა მებრძოლია. წუმპეში ჩაწოლილი ღორისათვის ვის გიკრავთ წიხლი, გულმოსული რომ წაიჭყვირებს და მერე ღრუჩუნ-ღრუჩუნით და ხენეშით ადგება ზეზე. აგრე მოიქცევა, ალბათ, ის ვაჟბატონი, როდესაც თავზე დავადგებით. რა საცქერი იქნება. ოჰ, ერთი როლის მელირსოს თბილისში შესვლა. წუთებსაც კი თითებზე ვითვლი.

– მაშ თქვენ მალე აპირებთ წასვლას? – ჰკითხა ანამ ელიზბარს.

– ხვალვე, ჩემო დისწულო. დაყოვნება რა საჭიროა.

ანამ უნებურად ამოიხსრა. ისევ უნდა განშორებოდა ბესიკს, რომელიც, ალბათ, შეთქმულებს თან გაჰყვებოდა ქართლში. ერთხანს ისევ იჯდა ბიძამისის გვერდით და თითქოს დიდი გულმოდგინებით უსმენდა მათ საუბარს, ნამდვილად კი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მერე ადგა, მამაკაცებთან ბოლიში მოიხადა და სასახლისაკენ გაემართა. თავისი მული მოძებნა და განუცხადა, საღამოს ნადიმს ვერ დავესწრები, სასწრაფოდ წირქვალში უნდა წავიდეო. დიასახლისი კინალამ გაგაჟდა, სად მიდიხარ, მე შენი იმედი მაქვს, ამდენ სტუმრებს მოვლა უნდა და შენ თუ არ მომეხმარე მე როგორ ვუხელმძღვანელებო. ანამ დაამშვიდა, ნუ გეშინია, ხვალ დილით თუ კარგად ვიქენი, დავბრუნდები და ახლა შეუძლოდა ვარ, თავის ტკივილი მაწუნებს და ამდენი აურზაურის გაძლება არ შემიძლიაო. წირქვალშიც განა შორს არის, ცხენით ორი საათის სავალიც არ იქნება და მალე მოვალო. მერე ქმარი მოძებნა, დაარიგა, წვეთი ღვინო არ დალიო, თუ გინდა, რომ არ დაგძრახონო. ბოლოს თავისი მსახური როსთო გაიხმო განზე, აქეთ-იქით მიმოიხედა და მერე ჩურჩულით უთხრა:

– მე ახლა მივდივარ.

– ვხვდები.

– ნაგულში რომ სანადირო ქოხი მიდგას, იქ მოიყვან.

– ვის, ბატონო?

ანამ გამგმირავი თვალებით შეხედა როსთოს. მან კი დამნაშავესავით გაიხედა განზე და ორნავ გასაგონად წაიღულუნა:

– არა, მე ქე ვიცი ვინც, მაგრამ მაინც უნდა მითხრა.

– შენ საერთოდ ბევრი ლაპარაკი იცი. არავინ შეგამჩნიოს. მთვარიანი ღამეა, ჩქარა ივლით. აზნაურობას რისთვის გპირდები, მაგრამ დანაპირი რითი შეგისრულო, თუ ტახტს ვერ დავეუფლე.

– მიმსახურე, დედოფალო.

– ან იქნება, გგონია, შენი გიჟი ძიძიშვილის ტახტზე ათრევა აგრე ადვილი საქმეა. ისე წამოიყვანე, თვალი არავინ მოგლანდოთ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, აქედან სხვა გზით წამოდიოთ. შორიდან მოუარეთ. ღამით დასაძინებლად ხალხს იქით-აქეთ წაიყვან-წამოიყვანენ და იმ მისვლა-მოსვლაში ვერავინ ვერ გაიგებს თქვენ სად მიდიხართ. ეგონებათ დასაძინებლად მიგყავს ვინმესთან.

– კი, ბატონო, ეგ ადვილი საქმეა. ეგ არი, მეფემ თუ გამოუშვა. ახლაც მასთან არის ჩაკეტილი და კაცმა არ იცის რაზე აქვს ლაპარაკი.

– გამოუშვებს. წადი ახლა.

როსთომ თავი დაუკრა და წასვლა დააპირა, მაგრამ მაინც შედგა და ანას ჰკითხა:

– გულის უჯვრობისათვის მაინც უნდა გკითხო, ბესიკზე მიბრძანებთ ხომ? არ შემეშალოს.

ანას გაეცინა.

– ჰო! წადი ახლა, მიხედე ჩემს ქმარს, სისულელე არაფერი ჩაიდინოს, თორემ თავი მოგვეჭრება.

ბერი წულუკიძე უგუნებოდ დაბორიალობდა და თავის გრძელ უღვაშებს ისეთი გამალებით იგრუნდა, თითქოს ძირში უპირებდა მოწყვეტას. ნახევარ სიცოცხლეს დათმობდა, ოღონდ მეფისა და ბესიკის საუბარს დასწრებოდა. ბოლოს, გულის გადასაყოლებლად, ბესიკის თანამგზავრებს მიუახლოვდა და სთხოვა ეამბნათ, თუ რა გადახდათ თავს.

ლევონტი ნიჟარაძემ გულზე ხელი მიიღო, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

– მართალია, ღრანჭი მომეცა, იმდენჯერ მომაყოლეს ამბავი, მაგრამ თქვენ, ბატონო, პირიქით, მე უნდა შეგეხვეწოთ, ყური დამიგდეთ თქო.

– ჰო, თქვი ახლა, რაღა ბევრს აჭიანურებ, – უთხრა წულუკიძემ, ქვაზე ჩამოჯდა და ჩოხის კალთები შეისწორა. – რა ნახეთ?

– შენ ეს მიბრძანე, შენი ჭირიმე, რა არ ვნახეთ, თორემ, რა ვნახეთ-თქო, ამას ნულა იტყვი.

დამსწრეებმა გაიცინეს და მოსაუბრეებს გარს შემოერთყენენ. მალე მათ გარშემო იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ უკანა რიგებში მდგომნი არათუ ვერ ხედავდნენ ლევონტის, მისი ხმაც კი აღარ ესმოდათ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა თქვა გაგვაგებინეთო.

– ასე გადავედით ამ თოვლიან მთებზე, – გაიშვირა ხელი ჩრდილოეთისაკენ ლევონტი. – ლებს ეტყვიან სოფელს, იმაზე გავიარეთ...

– ვიცი, მივლია იქით, – უთხრა წულუკიძემ.

– თქვენ რაღა არ გეცოდინებათ. გადავედით გადაღმა, გზაში საღუნა რომ დაგვიჭირეს... მართლა, ამ გახსენებაზე, როგორაა იმისი საქმე?

– კარგად. გამართლდა, – ანუგეშა წულუკიძემ.

– უჰ, მადლობა ღმერთს. მეცოდებოდა საწყალი. ჰოდა, გადავედით ამ მთაზე. დავეშვით თავქვე, ღიგორში ნამეტანი პატივი გვცეს ოსებმა, კაი კაცი ყოფილა იმათი ბატონი. გავედით ამ მთებიდან, შენი ჭირიმე, და დაიწყო ვაკე, დაიწყო მარა რო აღარ გათავდა! დედა, რამხელა ყოფილა ეს ქვეყანა. მივდივართ, მივდივართ დილას, შუადღეს, საღამოს, ერთი დღე, მეორე, მესამე, მეათე, მეთხუთმეტე, სულ ასე ხელისგულივით ტრიალი მინდვრებია. მივედით მოზდოკს, იქიდან ყიზლარს და ასე გაუთავებელი სიარულით ბოლოს ასტრახანს, მე ვთქვი გათავდა ეს დედამიწა, მივედით კიდევ-თქო. გაგიგონია... მდინარეა იმხელა, რომ გემები დადიან ზედ. მერე რამხელა გემები. იალქნები აქ იმხელაა, ერთ სოფელს რომ გადაახურო, გადახურავ. ახლა, შენი ჭირიმე, ეკლესიები აქვთ იმსიმაღლე, ერთი დღის სავალიდან დაინახავ. გგონია, აგერ არი, ორ ნაბიჯზეო. მიდიხარ, მიდიხარ, ამოგივა სული, სანამ მიღწევდე. ასტრახანში, შენი ჭირიმე, სახელმწიფო გზებზე ბორბლებზე დადგმული სახლები აქვენ იქაურ დიდებულებს, შებნული ჰყავთ ცხენები და ისე დადიან. სახლები, მარა რაფერი, სულ ბროლის ფანჯრები და შიგნით აბრეშუმის ბალიშებით მოგებული საჯდომები...

– იჰ, ეგ რაფერაა. რას გვატყუებ, ყმაწვილო, – შენიშნა ვილაცამ.

– ტყუილი რა საკადრისია. ასტრახანში, შენი ჭირიმე, მოკურიგდით ხომალდის პატრონს და გავუდექით გზას სპარსეთისაკენ. ჯერ მდინარით მივდიოდით. მდინარეა იმსიგანე, ზღვა მეგონა, თურმე ჯერ სადა ხარ. მეორე დღეს გავედით ზღვაზე. დედა, რა ვნახე ეს. სადაა ან ნაპირი ან მიწა. მაშინ კი გადავიწერე პირჯვარი და ვთქვი, ღმერთო, აქედან მშვიდობით გამიყვანე, მიწაზე ფეხი დამადგმევინე და მერე რაც გინდა მომკითხე-მეთქი. გადავხედე ამ ჩვენს ბიჭებს, არც ერთს ადამიანის ფერი არა აქვს. მარტო ბესიკი ბრძანდება ისე, თითქოს აქ არაფერიაო. რა ვიცი მე უბედურმა, თურმე აწი იწყება ჩვენი უბედურება. გავიხედე, შენი ჭირიმე, მეორე თუ მესამე დღეს ატყდა ლელვა, მარა რაფერი. ადის და ჩადის ამ მთისოდენა ზვირთები და როდის გადააბრუნებს ამ ჩვენს გემს კაცმა არ იცის. თურმე გულისრევა ცოდნია, რომ მომაწვა ამ გულბოყვში, თქვენთან კი დიდი ბოდიში, მაგრამ პირდაპირ დედის ხსენი ამომალეგია. ვაგდივარ ამ გემის ბაქანზე ცოცხალმკვდარი, გადავწევ თავს და იმის მეშინია, ნაწლავეები არ ამომყვეს, თორემ სხვას არაფერს არ ვჩივი. დაიწყო ლელვა, მაგრამ

დასასრული უჩანს? გადის ერთი დღე, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, ვიღუპებით, აშკარად ვიღუპებით, მშვირები, საჭმელს პირში რა ჩამაკარებს, მარტო აშმორებულ წყალს ვსვამ ხანდახან და ეგ არის სულ. მეათე დღეზე ჩადგა ქარი, მაგრამ ჩვენ აღარც განძრევის თავი გვაქვს, აღარც სმა-ჭამის. მაგრამ, როგორც იქნა, ავბლოჭიალდით და ნაზამთრი ბუხებივით ნელ-ნელა დავიწყეთ მოლონიერება. ვჭამეთ პატარა რაღაც. ახლა ქარი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა, მაგრამ თურმე ჩვენ აღარ ვიცვლით ფეხს. გემი ერთ ადგილზე გაჩერებულა და ეს იალქნები ჰკიდია ჩერებივით. თურმე სანამ ქარი არ ამოვა, ვიქნებით ასე ერთ ადგილს...

– იქნებ ქარი ერთი წლის განმავლობაში არ ამოვარდნილიყო, – შენიშნა ბერი წულუკიძემ.

– ვიქნებოდით ისე შუაგულ ზღვაში. როგორც იქნა, მესამე თუ მეოთხე დღეს დაუბერა ქარმა და წავედით. გავიდა სამი დღე, უმატა ქარმა, აგორდნენ ისევ ვეებერთელა ტალღები. დავეშვით ისევ ძირს და დაიწყო ჩვენი წამება, მაგრამ, შენ წარმოიდგინე მეორედ ისე აღარ გამჭირვებია. ეჩვევა, თურმე, კაცი ყველაფერს. ოცდაცხრამეტი დღე ვიყავით სულ ზღვაზე და მერე, როგორც იქნა, მივედით ერთ ზღვისპირა ქალაქში, რომელსაც ეწოდება რაშტი. თლად ზღვის პირზე კი არაა, პატარა მოშორებითაა. ნამეტანი კარგი ქალაქია. გილანის სამთავროს უწოდებენ იმ კუთხეს. რაშტიდან ექვსი დღე მოვუნდით ქალაქ ყაზმინამდე მისვლას, მაგრამ რაღაი მიწაზე დავდგი ფეხი, რაღას დავეძებდი, შენი ჭირიმე. ყაზმინიდან ოთხი დღე მოვუნდით ერავის ქალაქ სავამდე. ერთი დღე იქ დავისვენეთ და იქიდან სამი დღის შემდეგ მივედით ყუმს, ასეთი ქალაქია.

– ისე როგორი ქალაქებია, ან როგორი ადგილები? ამ ჩვენს მიდამოს თუ ჰგავს? – ჰკითხა ბერი წულუკიძემ.

– ზღვიდან რომ გადმოვედით, იქ ადგილები მართლა კარგია, ტყიანი მთები გარშემო და მიდამოც ლამაზი, მაგრამ მერე, მერე ნულა მკითხავ. რამ გადარუჯა და გადაწვა ყველაფერი. ქალაქები კი, უნდა მოგახსენო, ჩვენსას ჯობია. ციხეებია მისთანა, რომ ნახვად ღირს, სასახლეები რო გაჩვენა, ასე იტყვი, რა ხელმა გააკეთაო. მეჩეთებია იმხელა, თვალს ვერ აუწვდენ, სულ ლურჯი მინანქრით მოჭიქული, თვალს მოგჭრის მათი შევენება. ხალხი ბევრია მდიდარი, მაგრამ მათხოვარი კიდევ უფრო მეტი. ჰოდა, რაღა ბევრი გაგაგრძელო, ბევრი ქალაქი გავიარეთ, ყველას სახელი აღარც კი მახსოვს, მივედით შირაზს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რა ვნახე, რა ვნახე! ამ ჩვენს ქუთაისს წაგავს იმით, რომ, ჩვენი არ იყოს, იქაც ბევრი ვარდები ცოდნია, სადაც არ უნდა გაიხელო, ვარდია იმდენი, გეგონება, ამის მეტი აქ არაფერი მოდისო. მაგრამ ვარდი ვის ახსოვს, რაც იქ სასახლეები ვნახე, ნეტავ არ მენახა. ქუჩები სულ თლილი ქვისაა და აგურით მოგებული, მე შენ გეტყვი და ფეხი დავესვრება, ჩვენში რომ წვიმა მოვა და ჩვენებური აყალო ტალახი ცხენებს ნალებს რო ადლელუხს ფეხზე, ისე კი არ არის. წაუდგამთ ფეხი იქაურებს ფოსტლებში. გინდა დიდებული იყოს, გინდა მდაბიო და დადიან ამ გაკრიალებულ ქალაქში. ნამეტანი სუფთა ხალხი ყოფილა. ამითი ცოტათი ქე გვგავან ჩვენ. ახლა ლოცვას ნულა იტყვი, სულ ლოცულობენ, დილას, შუადღეს, საღამოს. წაიჩოქებენ, პატარა ხალიჩები აქეთ იმაზე, ალაპყრობენ ხელს და ბუტბუტობენ ლოცვას. მივედით იქაურ ფუნდუკში, დავბინავდით. ეს ჩვენი ბესიკი წყალივით ლაპარაკობს იმათ ენაზე. მეორე დღეს მიგვიყვანეს ამ ჩვენს ბატონიშვილთან. გადიარია სიხარულით. გადაგვეხვია სათითაოდ ყველას. ისე კი, უნდა ითქვას, დიდი პატივით კი ჰყოლია მიღებული განსვენებულ ქერიმ-ხანს. ძალლი ჩააკვდა ხსენებაზე. ხარჯი შენი ჭირიმე, და ისე ფულად ყოველდღე უგზავნიდა თურმე. ეს ოქროქსოვილი ხალათი რო აცვია ახლა და შუბლზე რო ალმასის ჯილა ადგას, იმისი ნაწყალობებია ყველაფერი. ერთი კვირის შემდეგ ბატონიშვილი და ეს ჩვენი ბესიკი ეახლენ ყაენს. ჩვენ ვინ მიგვიშვებდა იმათთან. თურმე ყაენი ნაცნობა ამ ჩვენს ბესიკს და ნამეტანი გახარებოდა მისი ნახვა. ოთხმოცი წლის იყო, მაგრამ არც თვალს აკლდა, არც ყურს და კიდევ არ მოკვდებოდა ერთ ათ წელიწადს, რომ გულზე ლუკმა არ დადგომოდა. იმას მოუგუდავს უბედური. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მივიდნენ ეს ჩვენი ბესიკი

და ბატონიშვილი ყაენთან. სთხოვეს, გვისაშველე რამე და მოგვეცი ჯარი ერეკლე დავამხოთო. კარგო, უბრძანებია ყაენს. სამიათას კაცს მოგცემ, ახლა მეტი არ შემიძლია და იმ სამიათას კაცის მოსვლასაც სამი თვე უნდა უცადო, რადგან ეს ჯარი ალი მურადის სარდლობით ყანდარს მყავს გაგზავნილი და როგორც დაბრუნდებიან, შენ გაგატანო. ავფრინდით სიხარულით. რო ვართ დაიმედებული, ამასობაში ეს ყაენი გადაბრუნდა და მოკვდა. დეედა, დაგვეცა თავზარი. აქეთ ეცა ბატონიშვილი, იქით ეცა, გაგიგონია, ვისა აქვს ჩვენი თავი. თვითონ არ იციან, ვინ ავა ტახტზე. ეს ამხელა სახელმწიფო მანკეკალა სოკოსავით დეიფშენა. აჰ, ჩვენი საშველი არ არისო. ბრძანა ბატონიშვილმა. წავიდეთ, იქნება სხვაგან გაგაწყოთ საქმეო. წამოვედით. სად არ ვიყავით, ვის არ მივმართეთ. რამდენი სახანო გამოვიარეთ. ბოლიში თქვენთან და, ერბოიანი ფლავის ჭამით მუცელი გვქონდა გადმობრუნებული ყველას. ერთი ჩვენებური კეჟერი ფხალი მაჭამა-თქო სულ იმაზე ვოცნებობდი. ხომალდი რო დევინახე, ზო იმდენი სიმწარე მქონდა ნახული, სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი. ახლა კი მჯერა, სახლში დავბრუნდებით-თქო. ჩავსხედით, დაუბერა ქარმა და წამოვედით. იქიდან იმდენი გაჭირვება აღარ გვინახავს. ზღვა ისე ძლიერ არა დელავდა და არც გული აგვრევია ისე ძალიან. ასე იყო თუ ისე, მოვედით იმ დასაქცევ დარუბანდში ფათალი-ხანთან და იქიდან მერე სულ ხმელეთით მოვდიოდით. ასე ჩამოვედით, შენი ჭირიმე, ამ ჩვენს სამშობლო მხარეში, – დაამთავრა ამბავი ლევონტიმ და დათუკა გძელიძეს მიუბრუნდა! – ახლა შენ თქვი დანარჩენი, თორემ ეს ღრანჭი მომძვრება სულ და ვინდა მიმამაგრებს მერე თავის ადგილას.

– მე რაღა ვთქვა, რაც იყო, ჩამოფქვი ყველაფერი, – უპასუხა დათუკამ.

აქა-იქ გაიცინეს.

მეფის კარის მსახურნი და დაბალი თანამდებობის მოხელენი შურით შესცქეროდნენ სპარსეთიდან დაბრუნებულ ბესიკის თანამგზავრებს, რომელთაც ძვირფასი აბრეშუმის ყიზილბაშური ხალათები ეცვათ, ასეთივე ძვირფასი ქუდები ეხურათ და ფერადი მაშიები უმშვენებდათ ფეხებს. როდესაც ბესიკთან ერთად ლევონტი ნიჟარაძეს, დათუკა გძელიძეს, ივანე ამირანაშვილს, დავით ლაშინიშვილს და ივანე მეგრელს უბრძანეს სპარსეთში გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ, მაშინ სასახლის ყოველი მსახური ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ იმ დასაქცევში მგზავრობა ასცდა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველანი ასე უნებლად დაბრუნებული დაინახეს, თანაც ასე ძვირფას ფარჩულში გამოწყობილნი, ახლა ყოველ მათგანს გული წყდებოდა, რატომ მე არ ვახლდი ბესიკს სპარსეთშიო, ასეთი ტანსაცმელი იშვიათად ეღირსებოდა რომელიმე მათგანს, რადგან უმეტესობას შინ ნაქსოვი ჯვალოს სამოსი უხრავდა ტანს და, გარდა ამისა, ყველას ეგონა, რომ ბესიკის მხლებლებმა სხვაც ბევრი რამ ჩამოიტანეს უცხო ქვეყნიდანო.

ამიტომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა მეფის მსახურთა გესლიანი შენიშვნები:

– ჰო, ჰო, ლევონტის შეხედე, მეფის ცოლისძმამ კაცად ჩამთვალაო და მაგას მოლლი ახლა ლაპარაკით!

– ნეტავი თუ გვერა ახლა, რასაც მაგ ლაპარაკობს. ერთი სიტყვა არაა მაგათი დასაჯერებელი.

– ივანე ამირანაშვილს შეხედე, რავა იბერება მესტვირის გუდასავით, გამარჯობა კი აღარ იკადრა, ჩემთვის რო ეთქვა. დაავიწყდა, სოხანეზე რო ეგდო და მწვირე ჭამდა?

– დათუკა გძელიძეს შეხედე, კაცს დამგვანებია. რამდენ რამეს მოიპარავდა ახლა მაგ, სადაც მოახლებდა.

ასე ლაპარაკობდნენ ყოველ მათგანზე, თუმცა არც დათუკა გძელიძე იყო ქურდი, არც ივანე ამირანაშვილი ამაცი და არც ლევონტი ნიჟარაძე მატყუარა და ტრახანა. შეიძლება ამ მანკიერებით თვითონ გესლით აღსავსე ის მსახურნი უფრო იყვნენ დაჯილდოვებულნი, რომელნიც ასე ზრახვიდნენ ბესიკის თანამგზავრებს, მაგრამ მუდამ სხვათაგან წყალობის

მომლოდინე და მათხოვრობას შეჩვეულ შურიან კარის მსახურებს სხვაგვარად არც შეეძლოთ გული მოეფხანათ.

მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრებოდა, როდესაც ნამძინარემა ქართლის ბატონიშვილმა აივანზე გამობრძანება ინება. სოლომონს უკვე დაემთავრებინა ბესიკთან საუბარი და, დაინახა თუ არა ალექსანდრე ბაქარის-ძე ამდგარი, მაშინვე უბრძანა ეჯიბს სანადიმო სუფრა გაეშალათ. თვითონ კი ბატონიშვილს შეეგება, თავაზიანად მოიკითხა და მერე ეზოში ჩაუძღვა, იქ, დიდი კაკლის ჩრდილში სეფა იყო გაშლილი და ფარეშები უკვე აწყობდნენ სუფრაზე თონის ცხელ პურებს, ხაჭაპურებს და გომიჯებს.

* * *

ალექსანდრე ბაქარის-ძე პირველად ნახულობდა თავის სამშობლო კუთხეს, ქართლს. საჩხერიდან ბატონიშვილი თანამგზავრთა რჩევით ყვირილის ხეობას შეუყვია და სოფელ ჭალაზე გადავლით ავიდა პერანგას მთაზე, სადაც საიალლო საძოვრები იყო, იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ქართლის თვალწარმტაცი დაბლობი, რომლის შუაგულზე ვერცხლის ზოლივით მოიკლაკნებოდა მტკვარი. სამხრეთით გადაგრაგნილიყვნენ ერთმანეთზე მიჯრილი, მწვანე ნაბდებში შეხვეული, ღრუბლისქედებიანი მთები. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კი ამართულიყვნენ თოვლ-ყინულით შემკული კავკასიონის მწვერვალები, ცაზე მოფენილი ღრუბლის ქულები ცხვრის ფარასავით გაშლილიყო.

როგორც კი აივაკეს აღმართი და პერანგას წვერზე ავიდნენ, ეს ზვიადი და წარმტაცი სანახაობა ისე მოულოდნელად გადაიშალა მგზავრების თვალწინ, რომ ყველანი მოჯადოებულებივით შეჩერდნენ და ერთნაირი კვნესისმავგარი აღტაცება აღმოხდათ გულიდან. ალექსანდრე ბაქარის-ძე ცხენიდან ჩამობრძანდა, მუხლებზე დაეშვა, მიწას აკოცა და ბავშვივით აქვითინდა. დიდებულები გარს შემოერტყნენ და დამშვიდება დაუწყეს. ბევრს მათგანს ბატონიშვილის ცრემლებმა გული აუჩუყა და თვითონაც აქვითინდნენ. მარტო ბესიკი იყო პირგამეხილი. მას აქამდე ეგონა, რომ ალექსანდრე ბაქარის-ძე ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნავდა და ამისათვის ებრძოდა ერეკლეს, ებრძოდა, რათა მრავალტანჯული ქართველი ხალხისათვის შეემსუბუქებინა მძიმე ტვირთი, აღეკვეთა პირადი სურვილების და ზრახვებისათვის სხვათა მსხვერპლად შეწირვა, პატივი ეცა სწავლულთა და მეცნიერთათვის, დაბალი აემღლებინა და მაღალი ან ზვიადი დაემდაბლებინა, ეზრუნა მისთვის, რათა აღედგინა საქართველოს ძლიერება. ეგონა, რომ ბატონიშვილს სწორედ ეს დიადი მისწრაფებანი ამოდრავებდნენ, მაგრამ მან ისე გადმოიარა კავკასიონის ქედი, გაიგონა რიონის ხეობაში მოსახლე გლეხების დინჯი ქართული, გადმოვლო რაჭა-იმერეთის ქედი, ასევე მაღლიდან გადახედა ყვირილის მომნიბლავ ხეობას, ხალიჩასავით მოქარგულ საწერეთლოს ხოდაბუნებს და ერთხელაც არ აღმოხდენია აღტაცების ამოძახილი, არ გამოუთქვამს სიხარული, რომ ქართულ მიწაზე დააბიჯა ფეხი. მაგრამ მაშინ აცრემლდა და აუჩუყდა გული, როდესაც საკუთარ მამულებს გადახედა, ეს მამულები ახლა მას აღარ ეკუთვნოდა. ბესიკმა უცბად იგრძნო, თუ რამდენად უბადრუკ ბატონიშვილს ჩამოუძღვა სპარსეთიდან. ის იყო ქონების მაძიებელი მემამულე და არა სახელმწიფო მოღვაწე. ბესიკმა ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მტრობდა ერეკლეს, უაღრესად დიდი პატივისცემა იგრძნო ქართლ-კახეთის ამ მებრძოლ მეფისადმი, ბევრი ნაკლოვანება ჰქონდა ერეკლეს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე ის გაცილებით მაღლა იდგა ალექსანდრეზე და უღაჳო იყო, მას უკეთ ესმოდა, თუ როგორი პატრონობა უნდა გაეწია ქვეყნისათვის. სხვა რომ არა ყოფილიყო, მარტო მისი სარდლობა ღირდა იმად, რომ სამეფო ტახტი სჭეროდა. ეს კი დასცქეროდა ქართლს, როგორც წართმეულ საკუთარ ქონებას და იცრემლებოდა.

ზიხლით შეაქცია ზურგი ბატონიშვილს. რა ტყუილუბრალოდ დაუმეგობრდა და შეიყვარა თურმე იგი ბესიკმა. ნუთუ ამას უნდა შეეცვალა ერეკლე?

სანამ ელიზბარ ერისთავი სხვებთან ერთად ამშვიდებდა ბატონიშვილს, ბესიკმა შეუმჩნევლად გაიარა მაღალი ბალახით დაფარული კორდი, მოხერხებულ ადგილზე ჩამოჯდა და მთებით შემოზღულული ქართლის თვალუწვდენელ დაბლობს გადახედა. ალაგ-ალაგ ყანები უკვე გაეჭრათ და ნაპურალები მუქ ზოლებად ჩაფენილიყვნენ გადაყვითლებულ ტაფობებსა და ვაკეებში.

ბესიკს ახლა გაახსენდა, რომ გახურებული ალო იყო და ასეთ დროს საეჭვოა, რომ მეამბოხე თავადები შესძლებდნენ სალაშქროდ დაძვრას. რატომღაც ამაზე აქამდე არავის უფიქრია და ერთხელაც არ გახსენებია რომელიმეს, რომ მათ საქმეს ელობებოდა ეს ფრიად საყურადღებო დაბრკოლება. მთელი უბედურება ის იყო კიდევ, რომ ის, ვინც სალაშქროდ ვარგოდა, თვითონ ერეკლეს ჰყავდა წაყვანილი ერეკნის ხანის წინააღმდეგ, ხოლო სახლში დარჩენილებს კიდევაც რომ შეძლებოდათ იარაღის ტარება, სალაშქროდ არავინ გამოცხადდებოდა, სანამ ყანას არ მომკიდნენ.

უნებურად მიმოიხედა ბესიკმა, უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი მოსაზრება. სწრაფად წამოდგა, რათა ელიზბარ ერისთავი მოენახა.

ბატონიშვილის ამაღა უკვე დაძრულიყო და მათი მარაქა გრძლად ჩაბაწრულიყო თავდადმართზე. ელიზბარი ბატონიშვილს მიჰყვებოდა კვალდაკვალ და ბესიკს ზეგანზე აღარ დახვედრია.

“წაგებულია ჩვენი საქმე, – გაიფიქრა ბესიკმა. – ტყუილუბრალოდ მივდივართ ქართლს. თავიდანვე უბედობა დაჩემდა ამ საწყალობელს. არც ქერიმ-ხანმა მისცა ჯარი, არც ფათალიხანმა, სოლომონიც ეშმაკურად განზე გაუდგა, შენ ქართლი ააჯანყე, ჯარი მოიხმე და მე მაშინვე მოგეშველებიო. ეს რა დახმარებაა, თუ შეველა უნდოდა, მიეცა ერთი ათიათასი კაცი. ისე ვინ მივა მაგ უბედურთან. ეეჰ, მართალი უთქვამს ხალხს, სხვისი იმედით ფართო კარავს ნუ გამოლიო“.

ღამე ტყეში გაათიეს, ხოლო მეორე დღეს ჯერ კიდევ დილა ითქმოდა, როდესაც ისინი ნიქოზში შევიდნენ. ამ სოფელში საეპისკოპოსო საკრებულო არსებობდა და ათანასე ეპისკოპოსის სადგომი, ქვიტკირის პალატები იქვე დიდი ტაძრის გვერდით იყო აგებული. ტაძარს საკმაოდ დიდი გალავანი ერტყა და ლეკთა თავდასხმის დროს მთელი სოფელი აქ აფარებდა თავს.

როდესაც ათანასეს მოახსენეს, ვახტანგ მეფის შვილიშვილი მოვიდაო, მოხუცი მაშინვე მიხვდა, რომ ის ერეკლეს წინააღმდეგ ამბოხების მოსაწყობად მოსულიყო, და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გული გაიმაგრა, იფიქრა, მე სასულიერო პირი ვარ, მაგათ საერო საქმეებში არ ვერევი და ისე კი ჩემი მოვალეობაა შევიყვარო მოყვასი ჩემი, ვითარცა თავი ჩემიო, თავისი კრებული იხმო და დიდი ზეიმით გაეგება ბატონიშვილს, მერე ტაძარში მიიწვია, პარაკლისი გადაუხადა და ქართლში მშვიდობით მობრძანება მიულოცა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა ნიქოზში დაბინავებულიყო და აქედან გაეგზავნა მოციქულები ქართლის თავადებისათვის, გამოცხადებულიყვნენ მასთან და ელიარებინათ მეფედ.

ასეც მოიქცა. დაწერა ვრცელი მოწოდება, გაამრავლებინა გადამწერებს და გაგზავნა ქართლის ყოველ კუთხეში, შემდეგ დაუწყო ლოდინი მეამბოხე თავადებს.

გავიდა რამდენიმე დღე. არსაიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ერთ დილას ნიქოზის ტაძარში ატყდა ზარების რეკვა. დაფეთებული ბატონიშვილი ხან ერთს ეკითხებოდა, ხან მეორეს: რა ამბავიაო. მალე ყოველივე გამოირკვა. შიკრიკმა თბილისიდან მოიტანა ანტონ კათალიკოსის წერილი და ვრცელი მოწოდება. ანტონი ლოცვა-კურთხევას უთვლიდა ალექსანდრე ბაქარის-ძეს, სცნობდა მას ქართლის ტახტის მემკვიდრედ და მოუწოდებდა ქართლის თავადებს ელიარებინათ იგი მეფედ.

ამ ბარათმა წარმოუდგენლად ადაფრთოვანა შეთქმულნი. ისინი ალტაცებით ეხვეოდნენ ერთმანეთს და თავისი საქმე თითქმის მოგებულად ჩათვალეს. ცოტა გახდა, ბატონიშვილი პირდაპირ თბილისისაკენ არ გაემართა, აღარც კი სურდა დალოდებოდა თანამოზიარე თავადებს. ისევ ელიზბარ ერისთავმა და ბესიკმა შეაჩერეს, რადგან იცოდნენ, რომ მარტო ანტონ კათალიკოსის ლოცვა-კუთრხევა არ კმაროდა თბილისის ასაღებად. ჯარი იყო საჭირო და ეს ჯარი არსად ჩანდა.

ორი კვირის განმავლობაში ელოდებოდნენ მეამბოხე თავადებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ფალავანდიშვილები ეახლენ და ოცდათხუთმეტი კაცი მოიყვანეს. იქიდან მხოლოდ ხუთს ჰქონდა თოფი, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრე ამილახვარს თავის ყოფილ საბატონოდან ორმოცდარვა კაცი ეახლა. ამათგან თოფები თითქმის ყველას ჰქონდა, მაგრამ აქედან ორი თუ სამი ვარგოდა, დანარჩენებს ზოგს ჩახმაზი ჰქონდა მოშლილი, ზოგს – კონდახი მოტეხილი და ზოგს – ლულა ჩაჟანგულ-ჩაბიღნილი. ტყვია-წამალიც სულ თითო-ოროლა გასროლა თუ მოეპოვებოდათ.

მეტი არავინ არ მოსულა. სამაგიეროდ ყოველდღე მოდიოდა მეამბოხეთათვის თავზარდამცემი ამბები. ცხინვალის მოურავს ბატონიშვილის მოსვლის პირველ დღესვე ეფრინა კაცი თბილისში, მომეშველეთო. მალე ხმა გავრცელდა, ერეკლე ბატონს ერევის ხანი დაუმარცხებია და თბილისში ბრუნდება დიდი ჯარითო. მეორე დღეს კი ცხინვალში შიკრიკი მოსულიყო და ამბავი მოეტანა, ბატონი თბილისში მობრძანდა უთვალავი ჯარით და ხვალ დილით უკვე თავისი დიდძალი მხედრობით სასწრაფოდ მობრძანდება გორშიო.

შეთქმულნი დაიბნენ.

ელიზბარ ერისთავმა ბესიკი გაიხმო და გულდაწყვეტით უთხრა:

- მგონი დროა ჩვენც თავს ვუშველოთ და იმერეთისაკენ მოვუსვათ.
- მე უკვე შირაზიდანვე ვიგრძენი, რომ ეს საქმე წაგებული იყო, – უპასუხა ბესიკმა, – არ ვიცი რატომ და გულმა კი ასე მამცნო. ბედი არა გექონია.
- როგორ მოვიქცეთ?
- ვურჩიოთ ბატონიშვილს, გაეცალოს. აბა, მაშ ამ ჩვენი ორასი კაცით ხომ ვერ შეებმება ერეკლეს? იმას თორმეტი ათასი კაცი ჰყოლია. ისეთ დღეს დაგვაყრის, ზურგზე ბოლი აგვიდოდეს.

ელიზბარმა კბილები გაახრჭიალა.

– მოდი ახლა და ამ დავარდნილი თავადების იმედი გქონდეს. მპირდებოდნენ, ოღონდ ბატონიშვილი მობრძანდებოდეს, ქულზე კაცი გამოვალთო. სად არიან, მაგათი... – უშვერად დააგინა ელიზბარმა. – მანამდე სულ გაიძახოდნენ, ერეკლე სულს გვხდის, გვანადგურებს, მაგის სისხლს დავლევეთო, ახლა თავგებივით შეძვრნენ სოროში. ჰაი დედასა, რა ჯადო ჰქონია ძალას. შიში შეიქმს სიყვარულსაო, რუსთველისა არ იყოს, აბა ბატონიშვილს ერთი ათი ათასი ყიზილბაში მოეყვანა, მაშინ ხომ ყველანი თავქუდმოგლეჯილი ეახლებოდნენ.

– ეჰ, ვინ იცის. გუშინ გლეხების საუბარს მოვკარი ყური. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ არის ეგ ბატონიშვილი, მაგის პატრონის დედაო. ან აქ რად მოთრეულა, რა უნდა ჩვენგანო. ამ ჩვენს ბატონ მეფეს რომ ტახტს ედავება, თუ მაგისი იყო, რატომ ახლაც მაგისი არ არის, ხომ არავის წაურთმევიანო. ვიდაც ოხერი მოთრეულა, აქედან წავიდეს, თორემ, მამაჩემსა აქვს ცხონება, კარგი დღე არ დაადგებაო. ასე ლაპარაკობდნენ გლეხები. იმათ არც კი იცინან, ვინ არის ალექსანდრე. მაგისი პაპა ამ ორმოცდაათი თუ სამოცი წლის წინათ წასულა ქართლიდან და ვისღა ახსოვს, ან ვახტანგ მეფე, ან მისი ძე ბაქარი, ან კიდევ ესა. ახლა კიდევ, რით უნდა რომ მოიმხროს ხალხი? განა მარტო თავადების მომხრობა არის საკმარისი! ხალხი უნდა გაჰყვეს და ხალხს კი ჯერ ერთი განა მაგისთვის სცალია და მერე ვინ იცის, რა კაცია ეს ალექსანდრე. რით გაუთქვამს სახელი, სიბრძნით, ქველობით თუ მჭევრმეტყველობით? ან იქნებ უბადლო სარდალია და დიდი მეომარი. ერთადერთი ეგაა, რომ

ვახტანგ მეექვსის შვილიშვილია. აქ კი ვახტანგი გლეხებს კი არა თავადებსაც აღარ ახსოვთ. წავიდეთ, ჩემო ელიზბარ, მე და შენ, დროზე ვუშველოთ თავს, სანამ ერეკლე ჩაგვიგდებდეს ხელში და ცოცხლად გაგვაძრობდეს ტყავს. ისევ იმერეთს მივაშუროთ და ბედს შევუვრივადეთ.

– ნუთუ ის ჩემი ცოლისძმა ჯარს არ მოგვაშველებს? – თითქო თავისთვის იკითხა ელიზბარმა და მერე ბესიკს შეხედა.

– არა, ის ჩვენზე უფრო ჭკვიანია. მთელი დღე ჩემთან რომ იყო ჩაკეტილი, დაწვრილებით გამოძკითხა ყოველივე. მითხრა ბატონიშვილს შენ ადრეც იცნობდი, ახლა ეს დიდი გზა მასთან ერთად იმგზავრე, ადამიანს ყველაზე კარგად გზაში გაიცნობ და ყოველივე გულახდილად მიამბეო. ისეთ წვრილმანებს მეკითხებოდა ბატონიშვილზე, გამიკვირდა. მერე დიდხანს იყო ჩაფიქრებული და ბოლოს გულახდილად მითხრა, მეგონია, ჩემო ბესიკ, მე და შენ ტყუილებრად ვიშრომეთ, ისე ვატყობ, რომ მაგისგან არა გამოვა რაო. უნდა ვითხრა, გულში მეც ვგრძნობდი ამას, მაგრამ ჩემს თავსაც ვერ ვუშხელდი და მაინც ვინუგემებდი თავს, იქნება ვცდები-მეთქი. მიხვდა სოლომონი, ეგ სამეფო კაცი არ არის და ერეკლესთანა ლომთან მაგისთანა მოუქნელი ფოცხვერი ვერას განდებო. მაინც ვცადოთ, თუ ქართლის თავადები მართლა ამხედრდნენ და მიემხრნენ, ხომ კარგი. ერთი სამი ათასი კაციც რომ მოაგროვოს, სანამ ერეკლე ერევის სახანოშია, იქნება მაგან მოასწროს და თბილისი აიღოს, მაშინ ახალციხის ფაშა ერეკლეს თბილისისკენ გზას გადაუჭრის და მეც აქედან მივეშველები, მანამდე კი მაგას ჩემი იმედი ნუ აქვს, თუ ქართლის თავადები არ მიემხრნენ, მაგის გულისათვის მე ერეკლეს თავს არ შევაკლავო.

– ეგ ჩვენც გვითხრა, მაგრამ თუ არ მიეშველებოდა ის დალოცვილი, რაღად იბარებდა სპარსეთიდან.

– იბარებდა, რა, განა იმას პირდებოდა, შენ ოღონდ ჩამოდი, ქართლს მე წავართმევ ერეკლეს და შენ მოგიდგნიო. კაცი იხრჩობოდა, – ღმერთო, მიშველეო, გაანძრე ხელი და გიშველიო. ისეა მაგის საქმეც. მიეშველებოდა, რომ დაენახა, მართლა მიემხრო ხალხიო. სად არიან? სამიოდე თავადი მოკინკილდა, ისინიც იქით-აქით იხედებიან, არავინ დაგვინახოსო და გასაქცევად უჭირავთ თვალი. დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. ჩვენ ამსალამოსვე თუ არ მოვუსვით აქედან, ხვალ დილით ალყას დაგვარტყამენ.

მართლაც, სალამოს მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, ტყვიავისაკენ ჯარები მოდიან ლევან ბატონიშვილის მეთაურობითო.

ალექსანდრე იძულებული იყო იმსალამოსვე გაცლოდა ქართლს და ჯვავაზე გავლით დიგორში გადასულიყო. მას თან გაჰყვა ალექსანდრე ამილახვარი, ხოლო ელიზბარ ერისთავი და ბესიკი იმერეთში დაბრუნდნენ.

* * *

შემოდგომაზე ანა ქუთაისს გაემგზავრა. უნდოდა ზამთარი იქ გაეტარებინა. თანაც ფენხმძიმედ იყო და სურდა ქალაქში მოემშობიარებინა, დედოფალმა გულქანამ საგანგებოდ გაგზავნა წირქვალში თავისი ვაჟი მაქსიმე ქაჯაია და ბარათი გაუგზავნა ანას, ამ ზამთარში აუცილებლად ჩემთან ჩამოდი, მანდ რა გაგაძლებინებსო.

ქუთაისში ანას ფენხმძიმობამ ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ამდენი ხანია გათხოვილია და აქამდე არ გაჩენია შვილი, ახლა ნეტავ რა მოხდაო. გოგია აბაშიძე ფიცით იჭაჭებოდა, თავს გადავდებ, თუ მაგ დავით ბატონიშვილის შვილი იქნება, ვიღაც სხვას მიუძღვის ამ საქმეში დანაშაულიო. თითებზე ითვლიდა და ამბობდა, თუ ბავშვი თებერვალში დაიბადა, მაშინ მამამისი, უეჭველად, ქელაიშბეგ შარვაშიძე იქნება, ამბავი მომივიდა ამ ზაფხულს საიდუმლოდ კაცზე გაეუფლო. თუ მარტში დაიბადა, მაშინ რუსების დესპანის იქნება, სწორედ ერთი თვის შემდეგ ჩამოევლო მის სოფელზე და ერთი სამი დღე სტუმრობდა თურმე წირქვალში

მაგათთან, მაგრამ თუ ბავშვი აპრილში დაიბადა, მაშინ ეშმაკმა უწყის მამა მაგისი ვინაა, სწორედ კვირიკობისთვის დამლევს ჩამოვიდა იმერეთს ალექსანდრე ბაქარის-ძე და მაშინ ქვეყნის ხალხი ირეოდა საჩხერეშიო.

შემოდგომა და ზამთარი საოცრად მშრალი და უქარო იყო, რაც იშვიათად ღირსებია ქუთაისს. დიდგვარიანი თავადები ამ ხნის განმავლობაში უმეტესად ქუთაისში იყვნენ და სასახლის კარზე ტრიალებდნენ. სოლომონიც არ გაცილებია სასახლეს, მარტო სანადიროდ თუ გავიღოდა ხან ქორ-მიმინოებით, ხან მწვევარ-მეძებრებით, თორემ ისე სულ სასახლეში იჯდა და ყოველდღე იბარებდა ქუთაისში ახლად მოსულებს, რომ დაწვრილებით გამოეკითხა. მას განსაკუთრებით თბილისის ამბები სურდა გაეგო და იქიდან მათხოვარიც რომ გამოჩენილიყო, იმასაც კი ეკითხებოდა, რა ნახე და რა გაიგეო. მართალია, მას თბილისში თავისი ჯაშუშებიც ჰყავდა და ხანგამოშვებით წერილებიც მოდიოდა მათგან, მაგრამ ხშირად ვაჭრებისაგან ან კათოლიკე მისიონერებისაგან უფრო მეტს გებულობდა, ვიდრე თავისი მსტოვრებისაგან.

თბილისის ამბების გაგებაში განსაკუთრებით ეხმარებოდნენ ელიზბარ ერისთავი და ბესიკი. ორთავენი ხშირად დადიოდნენ ქალაქში, სადაც ნაცნობობა ჰქონდათ ვაჭრებსა და მისიონერებს შორის და ყოველდღე ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდათ.

ერთ დღეს კათოლიკე პატრებმა თავზარდამცემი ამბავი შეატყობინეს ბესიკს: ერეკლე მეფე ანტონ კათალიკოსზე განრისხებულა, როგორ გაბედე ალექსანდრე ბაქარის-ძე ქართლის მეფედ დალოცვო და კოშკიდან გადმოუგდიაო. ანტონი იქვე გარდაცვლილა, ხოლო ერეკლეს კარის მსახურთ ხალხში ხმა გაუვრცელდებიათ, კათალიკოსი თვითონ გადმოვარდა შემთხვევით კოშკიდანო.

ბესიკმა მაშინვე აცნობა ყოველივე სოლომონს, რომელმაც ამ ამბავს პირველად ეჭვის თვალით შეხედა, ეს სულაც ბესიკის მამის ზაქარიას მოგონილი ხომ არ არისო, მაგრამ მალე მსტოვარისაგან ბარათი მიიღო, სადაც სიტყვასიტყვით იგივე იყო განმეორებული. შემდეგ იგივე ამბავი ქართლიდან ჩამოსულმა ვაჭრებმა ჩამოიტანეს, თან ისიც დასძინეს, თბილისში რომ გაგიგონ, რომ ეს ვინმეს უამბე, მაშინვე ენას მოგჭრიან ძირში, არ დაგინდობენ, გინდა თავადი იყო, გინდა სულ უბრალო მდაბიო.

სადამოს სოლომონმა ბესიკის მამა ზაქარია დაიბარა და განგებ სახეშეკრულმა უთხრა:

– გაიგე, მამაო, შენი დაუძინებელი მტრის ბედი? ეს რა უქნია ერეკლეს?

– არა, მეფეო, ერეკლე არაფერ შუაშია, – ოდნავი ქსინტვით უპასუხა ზაქარიამ, მას გულის ხუთვა აწუხებდა. –ის თავისმა ცოდვებმა გადაავლო უფსკრულში, ვენაცვალე მაღალ ღმერთს, მის ძლიერებას, მიუზღო მისაგებელი. ახლა აღარაფერი მაქვს სადარდო. აწი მაინც დარწმუნდება ერეკლე, თუ ვინ მოიყვანა თავისი ეკლესიის განმგებლად. ის ღმერთს დალატობდა და ერეკლეს დაინდობდა? უღალატა, მაგრამ როგორ? ზურგში მოუქნია მახვილი.

ბესიკი თვალს უშვებოდა მამამისს, გაჩუმდი, ნუ ლაქლაქებო, რადგან ანტონი ამ შემთხვევაში სოლომონის თანამოაზრედ გამოდიოდა და ამგვარად დახასიათება მისი, სხვა რომ არა, დიდი წინდაუხედაობა იყო. მაგრამ მოხუცი ზაქარია ვერაფერს ამჩნევდა და მოშლილი წისქვილივით ჩიფჩიფებდა.

– იქნებ ახლა მაინც შეგირიგოს ერეკლემ? – უთხრა სოლომონმა.

– აჰ, აჰ, აჰ, – გაასავსავა ხელები ზაქარიამ. – ეგ შეუძლებელია. ჩემმა შვილმა ალექსანდრე ბაქარის-ძე ჩამოიყვანა სპარსეთიდან და მე როგორ შემირიგებს! ანტონი თუ მართლა კოშკიდან გადმოავლო, მე ჭაუხზე ამიყვანს და იქიდან გადმომიშვებს კისრით. ერეკლეს ამბავი ვიცი. მე არა და, მეფეც, შენ კი უნდა შეურიგდე. იმასთან მტრობა არ გამოგადგება. უნდა მიუგზავნო კაცები, უთხრა, მე არაფერ შუაში ვარ-თქო. ალექსანდრე ბაქარის-ძემ არ გაგვიმართლა და რას იზამ ახლა. ისევ ჯობია დაზავდეთ.

სოლომონს ეს შერიგება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და ზაქარიას ამ რჩევამ უცბად გაუხსნა შუბლი. მან ღიმილით გადახედა დიდებულებს, რომელნიც ამ საუბარს ესწრებოდნენ და თავის ცოლისძმას ბერი წულუკიძეს უთხრა:

– მგონი, მართალს ამბობს ეს მოხუცი.

– მართალს მოგახსენებს, თქვენი დღეგრძელობა ნუ მომაკლოს ღმერთმა, – დაუმოწმა წულუკიძემ. – ახლავე უნდა ვიზრუნოთ მაგაზე და დროზე გაუუგზავნოთ დესპანები. აგერ ჩვენი განათლებული მდივანბეგი დავით კვინიხიძე წარვეგზავნოთ, თუ ინებებთ, მეც გეახლები და ყველაფერს მოგახსენებთ. ქვე მართლა არ იფიქროს, რომ შენ რამე შუაში ხარ. ბესიკი რომ გაგზავნე სპარსეთში, ეს არც ქე ეცოდინება და ბატონიშვილმა ისე თუ გაიარა შენს მიწაზე, სტუმარს ხომ ვერ გააგლებდი, მერე, თუ გინდა იცოდეს ისიც, რომ ბესიკი სპარსეთში გაგზავნე, იმის ჩამოსაყვანად ხომ არ გაგიგზავნია, მეფეს სხვა სამეფოს მეფეებთან რამდენი საქმეები აქვს ვინ მოთვლის. შენ შენი საქმე გქონდა, ზონთქარს გინდოდა მორიგებოდი და ყაენს სთხოვე დახმარება. კაცი გაგზავნე. თუ ბესიკს იქიდან ბატონიშვილი წამოჰყვა, ქვე რა შენი ბრალია. ჯარი მიაშველე, ფულები მიეცი თუ რა?! არა, შენი ჭირიმე, მე გამიშვი და მოველაპარაკები იმას. მართლა მაგრე კი არ არის საქმე. ახლა თქვენი წაკიდება რავა შეიძლება. მე მოგარიგებთ ორივეს, შენ ნუ გეშინია.

– ვაი თუ ღმერთი განვარისხო. თუ მართლა კათალიკოსი გადააგდო კოშკიდან, ჯვარი აქაურობას, ის მეფე კი არა, ეშმაკის მოციქული ყოფილა. ეს რა საშინელება ჩაუდენია. ასეთ ადამიანს შეეურიგდები კი არა, თავი უნდა შევაკლა, – თქვა სოლომონმა და გამომცდელი თვალით ისევ გადახედა დიდებულებს.

– მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, მაგას ნუ იტყვი, – შეედავა ბერი წულუკიძე.

მას შემდეგ, რაც სოლომონმა თავისი ვაჟი ცოლს გააცილა და ბერი წულუკიძის ქალი შერთო, იმერეთის კათალიკოსი თითქმის მტრად გადაეკიდა მეფეს. განსაკუთრებით ბერი წულუკიძეს წყევლიდა თურმე მაქსიმე და ამბობდა, რომ ამ კარისკაცის სახით მეფეს ცბიერი გველი შეპარვია, საოცრად მოუჯადოვებია და მომაკვდინებელ ცოდვებს აღენიებსო. წულუკიძემ ყოველივე ეს იცოდა და ახლა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ამ საშინო მოწინააღმდეგის მდგომარეობა როგორმე შეერყია.

– მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, – განაგრძობდა წულუკიძე, – მგელს რომ ანაფორა ჩააცვა, ის თავის მგლობას მაინც არ მოიშლის. მაქსიმეს რა დავუშავეთ ან მე, ან შენ, რომ ყოველდღე გვწყველის თურმე და ღმერთს ევედრება, ამობუგე ორივე ძირფესვიანადო. შენს შვილს, ტახტის მემკვიდრეს ცოლს არ გავყრიო, რომ დაიჩემა, ვითომ რატომო. თამარ მეფე გაჰყარა ქმარს ეკლესიამ და მეორე ქმარი მოჰგვარა, როცა დაინახეს, რომ სამეფოსთვის აგრე ჯობდა და ეგ რა წმინდა კაცი გამოვიდა იმისთანა, რომ იმდროინდელ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე მიქელ მირიანის-ძეზე და თეოდორე მეორეზე უფრო მეტი იყოს და უფრო წმინდად იცავს საეკლესიო საქმეებს. ასეა, შენი ჭირიმე, აბაშიძის გვარის კაცს სამეფო ტახტი ვაღირსეთ და თავზე დაგვაჯდა. ეგგენი აბაშიძე მაგის სახლის კაცია და ეგეც იმისთვის დადგა უარზე, თორემ, აბა, სხვა გვარის ქალი ჰყოლოდა შერთული ჩემს სიძეს, მაშინვე გაჰყრიდა.

– აჰა, მოხსენი ახლა გუდას თავი, – ღიმილით უთხრა სოლომონმა თავის ცოლისძმას, – ჯობია, ეკლესიას ნუ განვარისხებთ. ღმერთი არ გვაპატიებს. შენ, უკეთესია, ქართლში სამგზავროდ მოემზადო.

გადაწყდა, რომ დაყოვნება საჭირო არ იყო და ბერი წულუკიძე ორ დღეში უნდა გამგზავრებულიყო თბილისს. კიდევაც შეუდგნენ მზადებას, მაგრამ სწორედ გამგზავრების წინა დღით მეფეს თავზარდამცემი ამბავი აცნობეს: მისი ერთადერთი ვაჟი ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მოულოდნელად გარდაცვლილიყო.

მეფე თავის დიდ დარბაზში ბრძანდებოდა, ბუნართან იჯდა და თავის დიდებულებთან საუბრობდა. აქ იყვნენ სარდალთუხუცესი პაპუნა წერეთელი, მდივანბეგები ბერი წულუკიძე და დავით კვინიხიძე, მწიგნობართუხუცესი გოგია აბაშიძე, სარდალი ზურაბ წერეთელი, მდივანმწიგნობარი ბესიკ გაბაშვილი და კიდევ რამდენიმე კარის მსახური, როდესაც ეზოდან კვიცილი მოესმათ. ვიღაც ჩახლენილი ხმით ყვიროდა და უცბად ატეხილმა ჩოჩქოლმა ყველა შეაშფოთა.

– რა ამბავია ჩვენს თავს? უეჭველია, რაღაც უბედურება გვეწვია? – თქვა სოლომონმა.

მალე ქალებმა ატეხეს წივილი, დარბაზის კარი გაიღო და იქვე ზღურბლთან ჩაიჩოქა სახედაკაწრულმა და მკერდმოღლეტილმა სადუნამ.

– მომკალით და ჩამქოლეთ, რად მომასწრო ღმერთმა ამ დღეს. ჩემი მზე, ბატონიშვილი, ჩემი თვალის სინათლე... – ხრიალებდა სადუნა და ყველასათვის ცხადი გახდა, რაც მოხდა.

ერთ წუთს ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, რომ ხმის ამოღებაც კი ვერაინ მოახერხა. ბერი წულუკიძე გაფითრდა და გაქვავებულივით ადგილიდან ველარ იძროდა. მას გულში მწარედ გაკრა ამ საშინელმა ცნობამ. ქალიშვილმა დარეჯანმა რამდენჯერმე შეჩვილა, ან მე მოვიკლავ თავს ან მაგას მოვკლავ, თორემ მაგ მტარვალის გაძლება აღარ შემიძლია, კატა თავს ვერ აწამებს ისე, მაგ რომ მაწამებსო. „იმ შეჩვენებულმა მართლა ხომ არ მოწამლა“, – გაუელვა ახლა გულში წულუკიძეს. ასევე გაფითრდა პაპუნა წერეთელიც. ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ბატონიშვილი თავისით არ იყო მკვდარი და სადუნას ცოტა ადრე შეესრულებინა საიდუმლო დავალება. შემფოთდა დედოფალი გულქანაც, რომელსაც საერთოდ აბრალებდნენ მამა-შვილის წაჩხუბებას და, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე შეურიგდა მამას და გულქანას ძმისწულიც კი ცოლად შეირთო, აქა-იქ დიდებულებში მაინც ამბობდნენ, დედოფალი თავის გერს სულ ერთია არ გაახარებსო. ამ მითქმა-მოთქმამ მაშინ გულქანას ყურამდე მიაღწია და ახლა, როგორც კი გაიგო ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება, შიშით მუხლები მოეკვეთა, ჩემზე გადამტერებული თავადები ამასაც მე დამაბრალებენო.

არანაკლებ შემფოთებული იყო გოგია აბაშიძე. თავის მოგვარეთაგან თითქმის ერთადერთი ეს იყო, რომელიც არ მტრობდა სოლომონს და მის კარზე მსახურებდა. მიუხედავად ამისა, მასაც ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველანი. სოლომონიც ავდებულად ეპყრობოდა და გოგიას ათას ხერელში გაძრომა სჭირდებოდა, რომ მეფისთვის ერთგულება დაემტკიცებინა. ამიტომ ამასაც მწარედ გაკრა გულში, ვაი თუ ეს უბედურება აბაშიძეების დატრიალებულია და აქ არაფერში გავებაო.

ალბათ, ამის მიზეზი იყო, რომ სასახლის კარის კაცნი გადაჭარბებული ღრიალით, სახის ხოკვით და ტანსაცმელის შემოხევით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავისი მლიქვნელური ერთგულება მეფისადმი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბერი წულუკიძე, პაპუნა წერეთელი, გოგია აბაშიძე და თვით დედოფალიც. ბერი წულუკიძე რამდენჯერ წაივლებდა თმებზე ხელს, იმდენჯერ ბლუჯად ჩამოჭონდა თმები. გოგია აბაშიძე ისე იბაგუნებდა გულ მკერდზე მუშტებს, თითქოს გულის ფიცრის ჩამტვრევას ლამობდა, გახელებული დარბოდა ხან აივანზე, ხან ეზოში, ხან დარბაზებში და ყველას შებლაოდა:

– გაიგეთ, რა მოგვივიდა, გაიგეთ? დაგვიბნელდა მზე, ჩავვიქრა სინათლე...

რამდენიმე საათის განმავლობაში სასახლეში ყურთასმენა აღარ იყო. ბოლოს, მეფე შებრძანდა ცხენზე და გეგუთში გაემგზავრა. მას თითქმის მთელი ქუთაისი გაჰყვა თან.

ამ აღიქოთში პაპუნა წერეთელი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემარტოხელებინა სადუნა. როგორც იქნა – მოახერხა, თავისი ყოფილი მსახური ცალკე ოთახში შეითრია და დამაბული ჩურჩულით ჰკითხა:

– მითხარი, შე გაუბედურებულო, შენი საქმეა ეს?

– დედას ვფიცავარ, თუ ვიცოდე რამე, – გულწრფელად უთხრა საღუნამ, – მე არაფერ შუაში ვარ. რაფერ მოხდა, ან რა მოუვიდა, არ ვიცი.

– ავად იყო?

– არა. დილას რო ადგა, ერთი კი შეუპირბინა თავისებურად, მარა მერე არაფერი. ასე, შუადღე იქნებოდა, ახალი ნასადილარი იყო, უცბად გახდა ცუდად. დეიძახა, ვკვდებიო. მივევადით – თავდება კაცი. ძლივს ფეთქავს. აი აქეთ, აი იქით, დავიძახეთ: ექიმი! ექიმი: სადაა ექიმი! ქუთაისში არ მოიძებნება და ახლომასლოში მით უმეტეს. არიქა, რიონგალმა დედაბერია, შელოცვა იცისო, ვაფრინეთ კაცი. სანამ ის მოვიდოდა, ქე გათავდა უბედური.

– ვისზე გაქვს ეჭვი?

– ვითამ მოწამლულია? – თავის თავს ჰკითხა საღუნამ და მერე ბატონს შეხედა: – თუმცა რას გაიგებ, ტკივილით არაფერი ტკიოდა, ავად მაგ არ ყოფილა. გულისრევა კი ოუტყდა ერთ ხანს. მერე სულ შეუკრა ხელ-ფეხი და ძიგძიგი დააწყებია.

– ბნელა ხომ არ მოსვლია?

– რა ვიცი. წინათ არ ჰქონია და ახლა, მით უმეტეს, რაზე უნდა დამართოდა.

– ცოლმა ხომ არ გაწირა იმ გაუბედურებულმა?

– რას გაიგებ. ყველა ისე ჰყავდა გაწამებული და დაშინებული, ვიღაცამ მოულო ბოლო. აშკარაა! ერთი რომ ვინმე ჰყოლოდა ამოჩემებული, მაშინ კიდევ იფიქრებდა რაღაცას კაცი, მაგრამ მაგისტოვის ყველა ერთი იყო, ერთნაირად აწამებდა ცოლსაც და მოახლე გოგოსაც, მოურავსაც და ფარეშსაც. რას გაიგებ, რომელმა მოულო ბოლო.

– სახეზე არავის შეეტყო?

– რას ბრძანებ. არაფერი დაგებრალდესო და მოიკლეს თავი ტირილით. ისე კი, სიმართლე უნდა ვთქვა, არც ერთი არ იღვა ფეხზე სიხარულით...

– სსუ...ტ! – მიაფარა პირზე ხელი პაპუნამ და თვალები გადაუბრიალა: – მოგპულდა თავი?

* * *

სოლომონსა და კათალიკოსს შორის შეურიგებელი მტრობა ჩამოვარდა. როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ქუთაისში მოასვენეს, კათალიკოსმა მიცვალებული არც ეკლესიაში შეატანინა და მღვდლებსაც აუკრძალა მისთვის წესი აეგოთ. არსებული წესის თანახმად, ბატონიშვილი მთავარანგელოზის ეკლესიის საკურთხეველთან უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ კათალიკოსმა ეზოშიაც კი არ მისცა მისი დასაფლავების უფლება. ნაკურთხ მიწაში არ შეიძლება ქრისტეს მცნების დამრღვევისა და მკრეხელის დასაფლავებაო.

სოლომონმა რამდენჯერმე მიუგზავნა მოციქული კათალიკოსს, ეძუდარა, აღუთქვა, ჩემი შვილის ცოდვათა მოსანანიებლად ათას კომლ გლეხს შევწირავ ეკლესიას, ოღონდ უფლება მომეცი, ბატონიშვილი ქრისტიანული წესით თუნდაც ეკლესიის ეზოში საერთო სასაფლაოზე დავმარხოო, მაგრამ კათალიკოსმა გადაჭრით უარი მოახსენა. მთელ სამღვდლოებას თითქოს პირი შეეკრა, არც ერთი მღვდელთაგანი არ გადაახტა კათალიკოსის ბრძანებას და სასახლეს არ გაჰკარებია. ისევ მოიშველიეს ის შინაური მღვდელი, რომელმაც ჯვარი დაწერა ბატონიშვილს და ამის გულისთვის მაქსიმეს მიერ ღირსებახდილი იყო. ისევ ის გაუძღვა მიცვალებულს და წესიც აუგო.

ეკლესიის გალაგნის გარეთ, სამხრეთ მხარეზე დაასაფლავეს ბატონიშვილი. კათალიკოსთან შეხლამ ისე გააცეცხლა სოლომონი, რომ შვილის სიკვდილიც კი დაავიწყა. ის წარბშეკრული მაცილებდა შვილს და ერთხელაც არ მოუსვამს ხელი თვალზე. პირგამეხილი იცქირებოდა სიერცეში და თუ ვინმეს შეხედავდა მისი განმგმირავი მზერა, მუხლებს კვეთდა ყველას.

ხალხში ამ ამბავმა ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დიდი უმეტესობა სოლომონის მხარეზე იყო და ათასნაირად ჰკიცხავდნენ კათალიკოსს. ამბობდნენ, თვითონ სახარება გვასწავლის,

რომ თუ კაცი მოინანიებს, მას ღვთის მიერ ყოველივე შეცოდება უნდა ეპატიოს და ახლა თავისი ჯიუტობით კათალიკოსი თვითონ არღვევს ქრისტეს მცნებასო.

განსაკუთრებით გააფთრდა ბერი წულუკიძე. ჯერ კიდევ გუშინ ის ბედნიერების მწვერვალზე იდგა, იმერთა მეფე მისი სიძე იყო, იმერთა მეფის ვაჟი – ტახტის მემკვიდრეც მისი სიძე იყო. აწმყო და მომავალიც ბერი წულუკიძეს ეკუთვნოდა. თუ სოლომონის დროს ის არსებითი მმართველი იყო ქვეყნისა, თვითონ მეფე ამბობდა, მეფე მე კი არა ვარ, ბერი წულუკიძეაო. ალექსანდრეს დროს, მით უმეტეს, მთელი სამეფოს ბედ-იღბალი მის ხელთ უნდა ყოფილიყო. საათივით ააწყო საქმე, მაგრამ მომავალი ერთი მოქნევით მოუცვლეს, ხოლო აწმყოს, ვინ იცის, რას უქადიან.

გაოგნებული დაეხეტებოდა სასახლის დარბაზებში წულუკიძე, ხან ბუნარს მიუჯდებოდა და საათობით ჩაცქეროდა ცეცხლს, ხან ტახტზე მოიკეცავდა და გამწარებით იცემდა მუხლებზე ხელს. ერთ საღამოს მივიდა სოლომონთან და თითქოს ჩახმაზი დაესხლიტოს, ისე ჰკითხა:

– რას უპირებ ახლა იმას?

– ვის? – გაოცებით შეხედა ცოლისძმას სოლომონმა.

– ვის და მაქსიმე იუდას. კათალიკოსად რომ დაასკუპე. თუ, გინდა უცადო, მანამდე, სანამ შენც მოგიღებდეს ბოლოს. გითხარი, მგელი მგლობას არ მოიშლის-თქო და გამართლდა. მეფედ კი არა, უკანასკნელ ბოგანოდაც აღარ ჩაგაგდო. შერჩეს ახლა ეს იმას? რას გაჩუმებულხარ? მითხარი რამე, თორემ ამოვიდა სული, აღარ შემიძლია მეტი. შენ თუ გეშინია ღმერთის წყრომის, მე არ მეშინია. მგელს რომ თავი წავაწყვიტო, ღმერთი ამას არ მიწყენს. იმდენი გვწყევლა, სანამ არ გაჭრა, არ მოგვეშვა. არ დაიჯერო, რომ ბატონიშვილი თავისი დღით გამოგვეცლოდეს ხელიდან. კისერს მოვიჭრი, თუ მაგან არ მოუგზავნა ვინმე და არ მოაწამვლინა. აგერ ვნახოთ, რას გამოიძევეს დავით კვინიხიძე.

ბატონიშვილი რომ გარდაიცვალა, პირველად ისე აერია თავგზა ყველას, არავის არ გახსენებია თვალყური ედევნებინა მსახურთათვის. ხოლო როდესაც ცოტათი დამშვიდნენ და შეუდგნენ იმის კვლევას, თუ რა უნდა ყოფილიყო ალექსანდრეს ასე მოულოდნელად გარდაცვალების მიზეზი, უეცრად აღმოაჩინეს, რომ ორიოდ დღის წინათ თავშეფარებული სოსე გაპარულიყო. ეს სოსე ქართლიდან იყო გამოქცეული და ბატონიშვილს ეახლა, შემოფარე და მიემყო. ვინაიდან იმ ხანებში ასეთი შემთხვევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არავის არ გაკვირვებია ამ ნახევრად შიშველ-ტიტველი ყმის მოხეტება ბატონიშვილის კარზე და მოურავმა მას მზარეულისთვის შეშის ჭრა დაავალა. ახლა ეს სოსე უგზო-უკვლოდ გაქრალიყო. ეტყობა, ბიჭი მიხვდა, შეიძლება რამე დამაბრალონო და დროზე უშველა თავს. დიდებულებმა და თვით სოლომონმაც კი ეს ამბავი სხვაგვარად ახსნეს და, ვინ იცის, შესაძლებელია, კიდევაც ეფიქრათ, ის სოსე ერეკლეს მოგზავნილი კაცი ხომ არ იყო, მაგრამ მალე კიდევ თორმეტამდე ფარეში და მოახლე დაკარგულიყო და ახლა მთლად აერიათ თავგზა. ცხადი იყო, რომ მსახურნი თავს შველოდნენ რაიმეს დაბრალებისა და მომავალი წამების შიშით და უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ.

სოლომონმა დავით კვინიხიძეს დაავალა გამოეკვლია ყოველივე და თუ მართლა დამტკიცდებოდა, რომ ბატონიშვილი მოწამლული იყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დამნაშავე აღმოეჩინა. კათალიკოსთან კი კაცი გაგზავნა გელათში და თავისთან დაიბარა, მაგრამ იქიდან ამბავი მოუვიდა, რომ მისმა უწმიდესობამ ერთგულთა რჩევა დაიჯერა და ქართლში წაბრძანდაო.

ამ ამბავმა კიდევ უფრო მეტი საფუძველი მისცა ბერი წულუკიძეს, თავს დასხმოდა კათალიკოსს:

– თუ კული არ ეწვოდა, რაზე გაგეცალა და მოუსვა ქართლში. ერთი ანდაზისა არ იყოს, აგერ დათვი და აგერ კვალიო. რას ერჩი სხვას? ის ყოფილა ყველაფრის თავი.

პაპუნა წერეთელი გარეგნულად წულუკიძის ყოველ სიტყვას ეთანხმებოდა, ვითომ დიდადაც თანაუგრძობოდა, მაგრამ გუნებაში ცას წვდებოდა სიხარულით. კათალიკოსსაც მან მიუგზავნა კაცი და საიდუმლოდ შეატყობინა: მეფე გლახა საქმეს გიპირებს და გაეცალეო. ახლა კი ყოველნაირად კიცხავდა მაქსიმეს და, რაც შეეძლო, ახელებდა ბერი წულუკიძეს.

– მართალს ბრძანებ, ჩემო ბერი, მართალს, ისე შემოგვიჩნდა, ისე აგვითვალწუნა, ღვთის მსახურს როგორ ეკადრება ასეთი ყოფაქცევა! აბაშიძეების გულისთვის, ეგენისა და დავითის გულისთვის, გაგვწირა ყველა. ჩვენს თავს რას დავეძებთ, თვით მეფე არ დაინდო და მისი ერთადერთი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე უკუთხს მიწაში დაგვამარხია.

ასე ეუბნებოდა წულუკიძეს მეფის თანდასწრებით, მაგრამ როდესაც ცალკე ჩაუვლიდა ანას, ან ელიზბარ ერისთავს სახეზე ღიმილგადაკრული, თითქოს გაჭირვებით აძვრენდა კბილებიდან სიტყვებს და ძლივს გასაგონად ჩაულაპარაკებდა:

– თქვენ უყურეთ სეირს. სულ გადავრევ მაგ უბედურს.

მაღე სასახლეში შესამჩნევი გახდა, რომ კარისკაცი, რომელნიც ღღემდე ბერი წულუკიძის გარშემო იყრიდნენ თავს და ცდილობდნენ ამ ღიღებულის ყურადღების ღირსნი გამხდარიყვნენ, ახლა პაპუნა წერეთელს ეგებოდნენ ფეხქვეშ, სახეში შესცქეროდნენ და ცდილობდნენ იმით ეამებინათ, რომ ყოველ წუთში ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ და ენატანიობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ბერი წულუკიძე მაღე მიხვდა, რომ მას ხელიდან ეცლებოდა სასახლის კარზე მოპოვებული ძალაუფლება და თუ აქამდე ის, მეფის შემდეგ, პირველ კარისკაცად ითვლებოდა, ახლა ეს ადგილი პაპუნა წერეთლისათვის უნდა დაეთმო. ის კარგად ხედავდა, თუ რისთვის დაუახლოვდა სახლთუხუცესი ქართლიდან გადმოხვეწილ თავადებს და რად დაუმოყვრდა დავით გიორგის-ძეს. ახლა მას საშუალება ეძლეოდა იმერეთის ტახტი, მომავალში, თავისი ცოლისძმისთვის გაემზადებია და საბოლოოდ დაესაკუთრებია სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება.

– კაცი არ ვიყო, თუ მაგათ ჩალა არ გამოვავლო პირში, – დაემუქრა სახლთუხუცესს და მათ დამქაშებს წულუკიძე.

დაემუქრა და ნაწილობრივ ეს მუქარა კიდევაც შეასრულა. ბატონიშვილის გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე თბილისიდან ქუთაისს მოვიდნენ არჩილ ბატონიშვილი თავისი მეუღლით და ვაჟიშვილით თორმეტი წლის დავითით. ბერი წულუკიძე იმ ცხელ გულზე მაშინვე შეუჩნდა მეფეს, ურჩია ეშვილებინა და ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა ახალგაზრდა დავითი. ამითი სოლომონი აუცილებლად მოიგებდა ერეკლეს გულს, თუკი მის შვილიშვილს იმერეთის მემკვიდრეობას დაულოცავდა და საბოლოოდ გააქარწყლებდა ყოველივე ეჭვს, რაც კი შეიძლება ჰქონოდა ქართლ-კახეთის მბრძანებელს იმერთა მეფის მიმართ.

სოლომონს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ბევრი არ დაუყოვნებია და ორმოცის გადახდის შემდეგ, როგორც კი შავები გაიხადეს, წვერი დაიპარსეს და სახსნილო საჭმელი ჭამეს, სოლომონმა მოიხმო დიდებულნი და გამოუცხადა ყველას, რომ თავის ძმისწულს დავით არჩილის ძეს აღიარებდა შვილად და თავის შემდეგ ულოცავდა იმერეთის ტახტს.

ამ ამბავმა პაპუნა წერეთელზე და მის მომხრეებზე მეხის დაცემასავით იმოქმედა. მართალია, გარეგნულად პაპუნას წარბიც არ შეუხრია, პირიქით, დიდად მოუწონა მეფეს ასეთი გადაწყვეტილება, მოულოცა ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ როგორც კი ელიზბარ ერისთავთან და ბესიკთან ცალკე დარჩა, სულ ცეცხლს აფრქევდა პირიდან.

– სად დაგვიდო კვანტი იმ სულძაღლმა, ხედავ! – უთხრა მან ამ ორ იდუმალ თანამოაზრეს. – შეხედე, რა ოინბაზია. იფიქრა, არც მე, მაგრამ არც თქვენო და ა! მაგ ისეთი გაიძვერა, იმ თავის ქვრივ ქალიშვილს ამ თითის სივრძე ბატონიშვილს შერთავს. თუ გუნებაში არ ექნება, თუ გინდა კისერს მოვიჭრი. ისევე უნდა ხელში ჩაიგდოს ყველაფერი. ეს

ულვაში ააპარსე პაპუნა წერეთელს, თუ შენი გაგაყვანიო. თუ კაცი ვყოფილვარ, გაგიხდი საკვნესად საქმეს. ჯერ ერთი დაამთავროს დავით კვინიხიძემ საქმის გამოძიება! მე ისეთი ცნობები მომდის, ბატონიშვილი თვითონ მაგის ქალიშვილს უნდა მოეწამლოს.

– ეგ ყოვლად შეუძლებელია! – ერთად აღმოხდა ორთავეს.

– აგერ ვნახოთ, ბატონო. აღდგომა და ხვალეო.

გამოძიება როგორც იქნა დამთავრდა, მაგრამ სანუგეშო არა გამოირკვა რა. დავით კვინიხიძემ ვინ აწამა, ვის ტკბილი სიტყვით ესაუბრა, ზოგს დაემუქრა, ზოგს საჩუქრები შეპირდა, ბოლოს მოიწვია კათოლიკე მისიონერები, რომელთაც ექიმების სახელი ჰქონდათ დავარდნილი, მათ ესაუბრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბატონიშვილი თავის დღით უნდა მომკვდარიყო. ალბათ – წვეთის დაცემით და ამგვარად ბრალიც არავის არ უნდა დადებოდა. მართალია, მოსამსახურენი და ფარეშები უგზო-უკვლოდ გადაიკარგნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ თორმეტი ან ცამეტი კაცი შეთქმული ყოფილიყო და მათ ისე ჩაედინათ დანაშაული. ამას ისიც ადასტურებდა, რომ პირველად ორი დღის წინათ მოსული ქართლელი გაიპარა. ის კი შეუძლებელი იყო შეთქმულთა მონაწილე ყოფილიყო. უეჭველია, ყველანი რაიმეს დაბრალების შიშით მიმოიფანტნენ და დანაშაული არც ერთ მათგანს არ მიუძღოდა.

პაპუნა წერეთელი მაინც ვერ დამშვიდდა და დავით კვინიხიძეს პირდაპირ საუბარში კიდევაც უსაყვედურა, ალბათ, ხელს აფარებ წულუკიძის ქალიშვილს, თორემ აგერ ბატონიშვილის პირისფარეში საღუნა ფიცით იჭაჭება, თავს მოვიკლავ, თუ ბატონიშვილი მოწამლული არ იქნებაო.

– ეჰ, ახლა მაგის კვლევას გვიჯობს თავი ვანებოთ, – უთხრა დავით კვინიხიძემ სახლთუხუცესს, – სხვა უფრო მეტი გვაქვს თავსაცემი და სადარდო. ამბავი მოგვივიდა, რომ ქელაიშბეგ შარვაშიძე თურქების წაქეზებით ოდიშზე აპირებს თურმე გალაშქრებას. თუ ახლავე ერეკლესთან არ შევრიგდით და ზურგი არ გავიმაგრეთ, ჩვენი საქმე წასულია. რუსეთიდან შევლას ნუ მოველით. ჯერ წინათაც რა გაგვიკეთა მათმა მოსვლამ და ახლა, როცა აქ არ არიან, რისი იმედი უნდა გვქონდეს.

– იქნებ ქელაიშბეგს თვითონ ერეკლე ამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ.

– არც გამიკვირდება. ჩვენ აგერ, ალექსანდრე ბაქარის-ძე ჩამოვიყვანეთ და ოჯახში ამბოხებას ვუწყობდით, გგონია გვაპატიებს?

– ახლა ვნანობ, შერვაშიძეები რომ გავუშვით მაშინ, – გულისწყრომით თქვა პაპუნამ. – თუმცა, კაცმა რომ თქვას, გაგვეპარნენ. მძევლები უნდა მოგვეთხოვა მათთვის.

– ეჰ, უკვე გვიანაა თითზე კბენანი.

* * *

ზამთარი მოსაწყენი იყო. დასავლეთიდან გამუდმებული ცივი ქარი უბერავდა და თოვლჭყაპისგან გზებზე გაუვალი ჭენჭენი იდგა. ხანდახან კიდევაც ჰყინავდა და გუბეებსა და კვალში ჩამდგარ წყალს ყინულის მინები გადაეკვროდა ზემოდან. სასახლეშიაც მიჩუმდა ცხოვრება. მგლოვიარედ მყოფი მეფე იშვიათად გამოდიოდა დარბაზში სასაუბროდ ან გასართობად. ის უმეტეს ხანს ლოცვაში ატარებდა ან წიგნების კითხვით ერთობოდა. ბოლო ხანებში ბნელამაც უხშირა და ვინაიდან წინასწარ ყოველთვის გრძნობდა, ავადმყოფობა როდის მოუვლიდა, ადრინადად ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის საწოლ ოთახში. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მაშინ მასთან რჩებოდა, ბერი წულუკიძე იყო. მეტს არავის არ იკარებდა.

ბესიკი უმეტეს დროს თავის სახლში ატარებდა და სასახლეში იშვიათად ჩამოდიოდა. მართალია, ანა მთელი ზამთარი ქუთაისში დარჩა და ბესიკს საოცრად სურდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ორთავენი იძულებული იყვნენ ძალზე თავდაჭერილი ყოფილიყვნენ და, სხვებს რომ არა შეემჩნიათ რა, თითქმის არც კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მთელი

ზამთრის განმავლობაში ანამ მხოლოდ რამდენჯერმე მოახერხა პირისპირ შეხვედროდა ბესიკს და დალაპარაკებოდა. პირველ შეხვედრაზე მან მაჯაში სტაცა ხელი მგოსანს და მისი ხელი მუცელზე დაიდო, ცრემლით სავსე თვალები შეანათა და რაღაც გამოუცნობი აღტაცებით გაუღიმა.

აღელვებისგან ბესიკს სული შეეხუთა და გულის ჩქროლვა აუტყდა. უსიტყვოდ მიხვდა ყოველივეს. დაიჩოქა და კაბის კალთაზე ეამბორა. ანამ თმებში ჩაავლო ხელი, თავი გადაუწია, თავისკენ აახედა და ჩურჩულით უთხრა:

- შე საზიზღარო, განა ღირსარ, ამდენი უნდა ვიტანჯო შენთვის?
- ჩემო ღვთაებავ, ჩვენ აქ თითქოს უბრალო ვართ, ისე უნდა ვიყოთ.
- ვიცი.
- ათასი თვალი გვიცქერის. მარტო გოგია აბაშიძის ჭორების ბაღეში გაბმა... სიკვდილს უღრის.

- ვიცი, ოჰ, რომ იცოდე, როგორ მეზიზღება ის ნამდვილი ფურნის კატა ისა. ორჯერ გზა გადამიღობა და მითხრა, თუ მიკადრებ მონად, რასაც მიბრძანებ, მზად ვარ შეგისრულო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდესო. მე ვუთხარი, გიბრძანებ თავაზიანად გეჭიროს თავი და უნებართვოდ ჩემთან დალაპარაკებას გიკრძალავ-მეთქი. მერე ამბავი მომიტანეს, დამმუქრებია და კიდევაც წაუტრაბახებია... მაგრამ კიდევ უარესი. დადის და თურმე ჩემზე ამბობს, მაგ ფეხმძიმედ ქმრისაგან არ იქნებაო. ოჰ, თუ დედოფლობა მეღირსა...

- ჩუმაღ! - წამოიჭრა ფეხზე ბესიკი და მიმოიხედა, - ჩუმაღ იყავ. აქ ერთი რამ კანონად დაიწესე: გიჯობს სხვებს უსმინო და შენ ჩუმაღ იყო.

ამის შემდეგ ისინი დიდი სიფრთხილით ეპყრობოდნენ ერთმანეთთან შეხვედრებს და მართლაც არავისთვის საბაბი არ მიუციათ მათზე ეჭვი აელოთ.

გაზაფხული საოცრად თბილი დაიჭირა. მარტში უკვე ყვაოდნენ ტყეშელები, ხოლო აპრილში ნამდვილი სიცხეები დადგა. ბესიკი ახლა უმეტეს ხანს სასახლეში იყო, რადგან საქმეები მოულოდნელად დაგროვდა. აპრილის დამდეგს ოდიშიდან დიდებულები ეახლენ სოლომონს და სამეგრელოს მთავრის წერილი მოართვეს. კაცია დადიანი უთვლიდა მეფეს: ქელაიშბეგ შერვაშიძე აპირებს ჩემზე გამოლაშქრებას და თუ ჩემი ქვეშევრდომობა არ გაუქმებულა, გთხოვ მომეშველეო.

ვინაიდან სოლომონს ერეკლესთან ურთიერთობა უკვე მოწესრიგებული ჰქონდა და გარდა ამისა თვით ქართლ-კახეთის მეფე უთვლიდა - შერიგებოდა ცოლისძმას კაცია დადიანს, გადაწყვიტა დახმარებოდა თავის ურჩ მთავარს და სალაშქრო სამზადისს შეუდგა. მაშინვე დაგზავნა შიკრიკები თავის სამეფოს ყოველ კუთხეში და ლაშქარი მოიხმო. გურიელთანც აფრინა კაცი, შეუთვალა ჯარი შეეკრიბა, ბანძაში მოსულიყო და იქ შეერთებოდა შიგა იმერეთის ჯარს. კაცია დადიანის მოციქულებს კი დარიგება მისცა, ხმა გაეკრცელებიათ, თითქოს სოლომონი ქობულეთისაკენ აპირებდა გალაშქრებას და სამეგრელოს მთავრისათვის ვითომ უარი შეეთვალა.

ლაშქრის შეკრება მეფემ მაისის პირველი კვირისთვის დანიშნა. მდივნები დიდიდან საღამომდე წერდნენ ბრძანებებს. სათითაოდ ყოველი თავადისათვის პირადად უნდა გაეგზავნათ ასეთი ბრძანება, რადგან რაკი ერთს მიუვიდოდა მეფის უსტარი მეორესაც რომ ასეთი ქაღალდი არ მისვლოდა, ფეხსაც არ გადაადგამდა გარეთ.

ბესიკმა სამდივნოში მოძებნა იმერეთის თავადთა საგვარეულო სიები და იმისდა მიხედვით კარნახობდა მდივნებს იმ თავადთა სახელსა და გვარს, ვისთვისაც ბარათი უნდა მიეწერათ. ხანგამოშვებით შემოდოდა გოგია აბაშიძე, გამზადებულ ბარათებს დააგროვებდა და მიჰქონდა მეფესთან ბეჭდის დასასმელად. შემდეგ ისევ მოჰქონდა ეს ბარათები უკან და ბესიკი სათითაოდ აბარებდა მათ საგანგებო შიკრიკებს.

– გაიგე ახალი ამბავი? – ჰკითხა გოგია აბაშიძემ ბესიკს, როდესაც საღამოჟამს დახვავებული უწყებები დაუბრუნა. – ანას, ბატონიშვილის მეუღლეს, ვაჟი შეძენია. თან გესლიანად ჩაიცინა.

– როდის? – წარბშეკვრით ჰკითხა ბესიკმა. თუმცა გული შეუხტა და ტანში შეაჟრჟოლა.

– დღეს.

გოგიას კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ბესიკმა ქალაღები ჩამოართვა და მომლოდინე შიკრიკებს მიუბრუნდა:

– ქვიტირისაკენ ვინ მიდის! – იკითხა მან და პირველი ქალაღი ხელში აიღო. – ეს ბარათი როსტომ ნიჟარაძეს მიერთვას.

ამ სახელის ხსენებაზე ერთი ხარხარი ატყდა და ბესიკმა გაკვირვებით გადახედა ყველას. განსაკუთრებით გოგია აბაშიძე იჭაჭებოდა.

– იმისია ეგ ბარათი? რატომ არ ვიცოდი. იმას თუ ბარათი არ გაუგზავნეთ, ისე რავა დამიდგება.

ბესიკს რამდენჯერმე ჰყავდა ნახული ეს როსტომ ნიჟარაძე და პირდაპირ მოხიბლული იყო მისი გარეგნობით. მაღალი, მხარბეჭიანი, მტკაველი უღვაშებით ის ნამდვილ გოლიათ ვაჟკაცს გაგონებდა. სუფრაზე ისე მოხდენით იჯდა, ისეთი სიტყვა-პასუხი და წარმტაცი სიმღერა იცოდა, რომ ბესიკმა გუნებაში ის დავით ორბელიანს შეადარა და იფიქრა, იმაზე უფრო დიდი ვაჟკაცი, ალბათ, იმერეთში არ დადისო. ასე ფიქრობდა მაშინ, მაგრამ ახლა ლევონტი ნიჟარაძემ ყოველივე უამბო. თურმე ნუ იტყვით, და იმაზე ქალაჩუნა მსოფლიოში ადამიანი არ მოიპოვებოდა. ხრესილის ომში ხლებოდა სოლომონს და მთელი ბრძოლის განმავლობაში მეფის ამაღლის უკან ჩირგვებში იმალებოდა. იმ ომში, გადამწყვეტ წუთს, როდესაც ქართველთა ბედი კინაღამ უკუღმა დატრიალდა და თურქთა ჯარებმა ის-ის იყო თვით სოლომონ მეფეც კი ჩაიგდეს ხელში, ერთი ვიღაც ოკრიბელი გლეხი, გვარად ბრეგვაძე, საოცრად ბრგე ვაჟკაცი და რინიანი ხმის პატრონი, ასულიყო დიდ მუხაზე და აეტეხა ყვირილი:

– გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარი!

ამ ყვირილმა მაშინ საოცარი გავლენა მოახდინა სოლომონის ჯარზე და სრულიად სხვაგვარად გადაწყვიტა ომის ბედი. გამხნეებული ქართველები ეკვეთნენ თურქებს და ძირფესვიანად გაანადგურეს. ომის დამთავრების შემდეგ სოლომონმა დაიბარა ის გლეხი, ტახტის აზნაურობა უწყალობა, მერე უბრძანა ასულიყო ისევ ხეზე და ეყვირა:

– გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო ყოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლაფი დაესხა მარტო როსტომ ნიჟარაძეს!

– მოგვკვრა თავი მთელ ნიჟარაძეებს, – დაასრულა ლევონტიმ ამბავი. – მაინც იმხელას ღრიალებდა ის ოჯახამოსაბუგავი ბრეგვაძე თურმე, რომ იმის ხმა ხრესილიდან საწირეში ესმოდათ.

– ნუთუ მეფემ არ შერისხა ასეთი ლაჩრობისათვის?

– შერისხა?! რას ამბობ, ისე უყვარს მეფეს ეგ ღვთის პირისაგან შეჩვენებული, თვალში რომ ჩაუვარდეს ხელს არ ამოისვამს. ახლა იქნება გამოიჩინოს ვაჟკაცობა, ვნახოთ ერთი, – თქვა ლევონტიმ, ბარათი ჩამოართვა ბესიკს, ფეხშიშველა და კანჭებდამაშრულ ხელჯონიან შიკრიკს ხელი დაუქნია, მომიანლოვდიო, და ქალაღი გაუწოდა. – წადი, ბიჭო, მიართვი ეს ქალაღი როსტომს. ხომ იცი სადაც სახლობს?

– იმე, როსტომი რავა არ ვიცი.

– გასწი!

საღამომდე საქმე მოთავდა და ბესიკი სანამ შინ წამოვიდოდა, ელიზბარ ერისთავის სანახავად გაემართა.

ელიზბარი ქვედა ქუთაისში ცხოვრობდა, საკუთარ სასახლეში, რომელიც ჯაჭვის ხიდთან იდგა და რიონს გადაჰყურებდა, აქ ხშირად თავს იყრიდნენ ერეკლესაგან განდგომილი და

ქართლ-კახეთიდან გადმოხვეწილი თავადები, რომელთაც იმედი არ დაჰკარგოდათ, რომ ოდესმე მაინც დაიბრუნებდნენ თავიანთ მამულებს. ხშირად თათბირობდნენ, როგორ ან რა გზით შეერყიათ ერეკლეს მდგომარეობა. დიდი აღმაფრენით მოელოდნენ ისინი სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარის-ძის ჩამოსვლას. მართალია, მთელი ეს მათი განზრახვა სრულიად ჩაიფუშა და ტახტისმადიებელი ბატონიშვილიც ოსეთში გადაიხვეწა, მაგრამ არც ელიზბარ ერისთავი და არც მისი თანამოაზრენი მაინც არ ჰკარგავდნენ იმედს და კვლავ ხავესს ეპოტინებოდნენ. ახლა მათ გაეგოთ, რომ ალექსანდრე ბაქარის-ძე ახალციხეს გადასულიყო და იქიდან აპირებდა თურმე ქართლში შეჭრას. ეს ამბავი კათოლიკე მისიონერმა ჯულიანომ ჩამოიტანა და ელიზბარის თანამემამულენი კვლავ აფორიაქდნენ. ამიტომ, როდესაც ბესიკმა სასახლის ქვის კიბეები აიარა და დარბაზის კარები შეაღო, გოცებით შედგა: ყველანი აქ მოგროვილიყვნენ. მათ შორის მამამისი ზაქარია, ძმები ოსე და ნიკოლოზი, დაი მელანოც კი იყო. ყველას სასიამოვნო აღელვება ეტყობოდა.

– რა ამბავია? – უნებურად იკითხა ბესიკმა.

– ორი სასიხარულო ამბავია, შვილო, – უპასუხა მასპინძლის ნაცვლად მამამისმა ზაქარიამ, – ერთი ის, რომ დიდი ბატონიშვილი ახალციხეს ჩაბრძანებულა. ვინ იცის, იქნებ კიდევ მეღირსოს სიონის ზღურბლზე დაჩოქება; მეორე ის, რომ ჩვენს იმედს და ნუგეშს მემკვიდრე ვაჟი მიუბოძა უფალმა.

– ნუთუ ახალციხეს ჩასულა? – გაიოცა ბესიკმა და ანას ვაჟის შეძენაზე კი არაფერი არ უთქვამს. – ტყუილუბრალოდ დამაშვრალა ბატონიშვილი. რაკი სოლომონი და ერეკლე ბატონი დაზავდნენ, ახალციხის ფაშა ალექსანდრეს ვერ გაუმართავს ხელს.

– რატომ? – თითქმის ერთსა და იმავე დროს ჰკითხეს ელიზბარმა და ზაქარიამ.

– ახალციხის ფაშამ განა ტყუილუბრალოდ შემოუთვალა სოლომონს, ოღონდ რუსები არ შემოუშვა შენს ქვეყანაში, გიშვილებ და რასაც მთხვოვ აგისრულებო!

– მერე? – ჰკითხა ელიზბარმა.

– მერე ის, რომ სოლომონი იძულებულია ახლა, ზურგი რომ გაიმაგროს, ერეკლე არ გააჯავროს. თუ ახალციხის ფაშამ ალექსანდრე ერეკლეს შეუსია, სანამ ჩვენ აქ აფხაზთა მთავრებთან ბრძოლაში ვიქნებით ჩაბმული, ერეკლე იფიქრებს, ეს კვლავ სოლომონის საქმეაო, ქორივით დაგვაცხრება თავზე და...

– ეეჰ, გატყობ სულ გული აიცრუე ალექსანდრე ბატონიშვილზე, – უთხრა ზაქარიამ შვილს, – აქ ხასიათს ნუ გვიფუჭებ, სიხარულით არც ერთი ფეხზე არა ვდგავართ. მამ ტყუილუბრალოდ იმგზავრეთ სპარსეთში, თავი კინალამ წააგე იმის გულისათვის, აქ ჩამოიყვანე და პირველმა მარცხმა აგრე გაგიტეხა გული?

– თავი დაანებეთ იმაზე ფიქრსა, – დაღვრემით თქვა ბესიკმა, იატაკს ჩააცქერდა და თითქო თავისთავს ელაპარაკებოდა, ისე განაგრძო: – ის უბედური ყოფილა და...

უნდოდა ეთქვა უჭკუოცაო, მაგრამ თავი შეიკავა.

– ...და ვერასოდეს ვერ ეღირსება ქართლის ტახტს. თუ ბედი გწყალობს, ქვეყნად არაფერიც რომ არ გებადოს, არავინ არ გყავდეს მშველელი, სულ თითივით იყო უდაბნოსა შიგან, ყველაფერი ერთად გაჩნდება, მიწიდან წყარო ამოხეთქს, ციდან მანანა დაეშვება და, რა ვიცი, რა არ მოგიგორდება ფეხებთან. მაგ უბედურს თითქოს ყველაფერი უღიმოდა. სპარსეთის ყაენს ჯარი უნდა მიეცა, მეორე დღეს რომ უნდა ებრძანებინა, ლაშქარი მოუშზადეთო, წინაღლით ფეხები გასჭიმა, ფათალი ხანი ბარათით უთვლიდა, მოდი და ჯარი ჩემს კისერზე იყოსო, უარით გამოისტუმრა, ბოლოს სოლომონმა ხომ საგანგებოდ დაიბარა, ჩამობრძანდი, დანარჩენი მე ვიციო და... ყველაფერი, ყველაფერი ხელიდან გამოეცალა უბედურსა. თქვენ კი ფიქრობთ, რომ ახალციხის ფაშა უშველისო. ახალციხის ფაშას რომ რაიმე შეძლებოდა, თვითონაც კარგად შეექცეოდა ქადას.

* * *

კვირას დილიდანვე იწყო ლაშქარმა მოგროვება. მზიანი დღე იდგა, ცაზე აცურებულებიყვნენ თეთრი ღრუბლის ქულები. მზე საოცრად მცხუნვარე იყო, მხოლოდ ხანგამოშვებით, როდესაც ღრუბელი ჩამოეფარებოდა, საამოდ გრილოდა.

ლაშქარი მოედანზე იყრიდა თავს. ახლად მოსულები მოდიოდნენ ქვის კვარცხლბეკზე ამართულ რვასვეტიან თალართან და მათი წინამძღოლი თავადი ან აზნაური მორიგე სარდალს უპატაკებდა:

– მეფეს ვახლავართ (ამდენი და ამდენი) ცხენოსანით და ქვეითით.

ან უფრო ხშირად:

– მეფეს ვახლავარ ჩემი (ამდენი და ამდენი) ვაჟით და სიძეებით.

და ასახელებდა თავის სახელსა და გვარს. მდივნები იქვე იწერდნენ დავთრებში, თუ რომელი თავადი ან აზნაური მოვიდა და რამდენი კაცი მოიყვანა ცხენოსანი ან ქვეითი.

ყველა, თავადიც, აზნაურიც, და უმეტესად გლეხობა საოცრად დაქექილ-დაფლეთილი ტანსაცმლით წამოსულიყო და ისინი უფრო მათხოვრებს ჰგვანდნენ, ვიდრე მებრძოლებს. გლეხებში ბევრს მართლა მეტი არაფერი გააჩნდათ, თავადებს და აზნაურებს კი განგებ ჩაეცვათ ძველმანები, რადგან სამეგრელო-აფხაზეთის ძეგებში სულ ერთია ტანზე მაინც არაფერი შერჩებოდათ მთელი. იარაღიც ძალზე იშვიათად ჰქონდა რომელიმეს. თავადებს თითქმის ყველას ამშვენებდა ხმალიც, ხანჯალიც, თოფიც და დამბაჩაც, მაგრამ აზნაურებში თოფი ან დამბაჩა იშვიათად ჰქონდა ვინმეს, გლეხებში კი ყველაზე შეიარაღებული ის იყო, ვისაც ხანჯალი ეკიდა. უმეტესობას მართო წალდი გაერჭო წელში და ბევრ მათგანს გრძელი ჯოხები გაეთალა შუბისტარებად, ალბათ, იმ იმედით, რომ რკინის შუბისთავებს ქუთაისში დაურიგებდნენ. მართლაც, ქუთაისელი მჭედლები მთელი დღის განმავლობაში უჭედდნენ მათ შუბისთავებს ბერი წულუკიძის ბრძანებით.

სადროშოებად ჯარების დაწყობას დილიდანვე შეუდგნენ. მთელი მოედანი სამ ნაწილად გაჰყვეს; ერთ მხარეზე მემარჯვენე ჯარი უნდა დაეწყოთ, მეორეზე მემარცხენე, ხოლო შუაზე მეწინავე ლაშქარი. ყოველ სადროშოს თავისი სარდალი ჰყავდა და ამ სარდლებს კიდევ თავთავიანთი მიმბაშები და უზბაშები. სარდლებმა ზეპირად იცოდნენ, ვინ რომელ სადროშოს ეკუთვნოდა და ახლად მოსულებს ამისდა მიხედვით მაშინვე ანაწილებდნენ.

ბესიკი მთელი დღე თალარში იდგა, სადაც იმის გარდა იყვნენ ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი, ქვეითი ჯარის სარდალი ბერი წულუკიძე, მდივანბეგი დავით კვინიხიძე და სამი თუ ოთხი მდივანი.

მდივანი კვინიხიძე მდივნებს კარნახობდა, თუ რომელ დავთარში რა ჩაეწერათ და ბესიკს გზადაგზა აცნობდა ახლადმოსულებს.

– ხელავ, ფიცისკაცები მოვიდნენ, აი, ისინი, მაღალ-მაღალი და მელოტნი ლორთქიფანიძეები არიან ახალბედისეულიდან, ტანდაბალი და გრძელ ულვაშიანები გვარად მესხები, ცხუკურიდან, აგერ კიდევ ავალიანები, გვიშტიბიდან და იოსელიანები ჩუნეშიდან, ისინი წყალტუბოშია ც სახლობენ, მაგათ მამულშია სამკურნალო ტუბოწყალი. აგერ უქნარა ლოღობერიძეები, ჩხუბისთავი მიქაბერიძეები, მაგათთან ლხინში არ გირჩევ პურის ჭამას, წავამწარებენ, აგერ ყიფიანები, საუკეთესო მომღერლები, ხოლო სმაში ჭინჭყლები.

– რაო? – გაიკვირვა ბესიკმა.

– ჭინჭყლი არ გაგიგონია? ჭირვეული. აგერ ქორქაშვილებიც მოსულან ოფიჩხეთიდან, მაგათი გვარი დარბაისლობით გამოირჩევაო, იაშვილებიც აქ არიან ლხინში პირველნი და რიხიანნი, უგრეხელიძეები საოცრად დაგრეხილი ულვაშებით, თავკომბალა გრიგორაშვილები და სვანეთიდან ჩამოსახლებული ჭაბუკიანები.

– რად უწოდებენ ფიცისკაცებს?

– ეგენი ყოველწლიურად თხუთმეტ მაისს იკრიბებიან თავიანთი ყმებით, სამღვდელოებით და ხატებით ერთი დიდი მუხის ძირას, ლეკერწას რომ უწოდებენ გურეშევის ზემოთ, და იქ ფიცს დებენ მეფის ერთგული ვიყოთო. ფიცისკაცები ერთ სადროშოს შეადგენდნენ და მაგათი სარდალია აი ის ჭალარა ბერი ლორთქიფანიძე, რომელმაც თავადობა გაიკრა ქუთაისის ციხის აღებისათვის.

შუადღისათვის თითქმის მთელი ლაშქარი შეკრებილი იყო. დააგვიანდათ მხოლოდ რაჭველებს, მაგრამ ცნობა მიიღეს, რომ დილით მათ უკვე გადმოველთ ნაქერალას ქედი და, ალბათ, მალე ისინიც მოვიდოდნენ. მოლაშქრენი ჯგუფურად ისხდნენ მათთვის მიჩენილ ადგილებზე. ზოგი მადიანად ილუკებოდა, ზოგი ბანდულებს ან ქალამნებს იწყობდა, ვინ შუბის თავს ამაგრებდა სუფთად გათლილ გრძელ ჯოხებზე, ვინ საგზლით გატენილ გულაში აფათურებდა ხელს. ალაგ-ალაგ სიმღერა და ცეკვა-თამაში გაეჩაღებიათ. მოლაშქრეთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელთაც არც საგზალი ჰქონდათ, არც იარაღი და თითქმის ტანზედაც არ ეცვათ არაფერი, მაგრამ სამაგიეროდ აღსავსე იყვნენ იმედებით, რომ ამ ლაშქრობაში ყველაფერს იშოვნიდნენ.

მთავარანგელოზის ეკლესიის სამრეკლოზე ატყდა ზარების რეკვა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და მხოლოდ ახლა გამოჩნდა მოედანზე ჯარის სიმრავლე. გრძელი შუბების ტყე წამოიმართა. ეკლესიიდან შემოსილი სამღვდელოება მოვიდა ქუთაისის ეპისკოპოსის მეთაურობით. ამავე დროს სასახლიდან მეფე გამობრძანდა თავისი ძმის, არჩილის და დიდებულების თანხლებით. მეფე მიუახლოვდა ეპისკოპოსს, დაიჩოქა და ლოცვა-კურთხევა მიიღო. შემდეგ თალარში ავიდა, ხოლო ეპისკოპოსმა ჯარს ჩამოუარა და ყველას აიაზმა ასხურა. თალართან ცხენი მოაგელვა მეფის ბაირახტარმა, საჩინოელმა ოტია ლორთქიფანიძემ. მას ხელში ეჭირა სამეფო დროშა, ტარზე დახვეული და თასმებით შეკრული. მან დროშის ტარს თასმები შესხნა, სამეფო ალაში ხელში ტრიალით გამალა და მალლა აღმართა. მთელი ლაშქარი და თვით მეფეც პირჯვრის წერით მუხლებზე დაეშვა. ეპისკოპოსმა დროშა აკურთხა, მცირე პარაკლისი გადაიხადა და შემდეგ შეიქნა ჯარების გამახილ-გამომახილი:

– გიორგი წულუკიძის რაზმი გაუდგეს გზას. იმას მიჰყვება ზურაბ მიქელაძე თავისი ჯარით. მიქელაძეს დაედევნება ქაიხოსრო ჭაჭიაშვილი.

– ჭაჭიაშვილს კონსტანტინე კოპაძე მიჰყვებს.

– გეგელაშვილო, მიჰყევი კოპაძეს.

– ჩიკვაიძე, არ ჩამორჩე გეგელაშვილს და გზაში კატებს არ დაუწყო დევნა.

დავით კინიხიძემ ამის გაგონებაზე გადინარხარა და ბესიკს მოუბრუნდა. ბესიკი ამ დროს ჯარის მოძრაობას ადევნებდა თვალს:

– ამ ჩიკვაიძეს იცი რად უთხრეს, კატებს არ დაუწყო დევნაო?

– არა.

– ქუთაისის ციხეს რომ იღებდნენ ფიცისკაცები, ეს ჩიკვაიძე ხლებია თავის სიმამრს ავალიანს და ციხის ეზოში გასურებული ბრძოლის დროს თვალი მოუკრავს ხეზე გასულ ხატაური ჯიშის კატისათვის. ამ ჯიშის კატას ჩვენში ბარგის კატას ვეძახით, გინახავთ, ალბათ.

– როგორ არა, გრძელი ბეწვი აქვთ და დიდი ფუნფულა კუდი.

– დიახ, ასეთი. ჰოდა, მიუტოვებია ამ ჩიკვაიძეს ბრძოლა და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორომტრიალში გამოკიდებია კატას. მერე შემთხვევით გულზე შეჯახებია თავის საშველად გაქცეულ თათარს და ხვეწნა დაუწყია, ეს კატა დამიჭირე და რა გინდა ჩემგან ქირაო. ის თათარი თურმე გუნებაში ფიქრობდა, ვაიძე დავიღუპე, წავაგე თავიო და გასაქცევად გზებს ეძებდა. ამ სიტყვებზე გამოფხიზლებულა, ერთი კი წაუსვამს ხელი შერჩენილ ბებუთზე და გადაყვებოდა ჩვენი ჩიკვაიძე კატის ძებნას, მაგრამ იღბლად რუსის ჯარისკაცი შემოსწრებია და თათარი ხიშტზე აუვია...

კარგა ხანი დაჭირდა ქვეითი ჯარის გზაზე დაყენებას. ამასობაში ცხენოსანი ლაშქარიც დაეწყო და მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა, როდესაც მოედანი მთლიანად დაცარიელდა. ყველაზე ბოლოს მეფე გაემგზავრა თავისი პირადი ამალით. ამ ამალაში უმთავრესად სასახლის მსახური დიდებულები და სახელმწიფო სამდივნოს მოხელეები შედიოდნენ. მათ შორის იყო ბესიკიც.

მეფე ოლასკურას არ იყო გაცილებული, რომ გზაში სასახლის ფარეში დაეწია და მოახსენა, რუსეთიდან ელჩები მობრძანდნენ და არ ვიცით როგორ მოვიქცეთ, ჩვენ კერაფერი გავაგებინეთ და რუსულის მცოდნე სასახლეში არავინ იყო.

– რუსეთიდან ელჩებიო! – გაოცდა სოლომონი და დავით კვინიხიძეს გახედა. – ეს რაღაც ან ძალიან კარგი ამბავია ან ნამეტანი ცუდი, გზიდან მობრუნება არ ვარგა, ცუდად მაქვს დაცდილი, წაბრძანდი და მომგვარე, ჩვენ ნელა წავალთ და გუბის წყალთან დაგელოდებით.

დავით კვინიხიძემ ბესიკს უთხრა, ერთად წავიდეთო, და ორივენი უკან გამობრუნდნენ.

– ნეტავ რა ამბავია? – ეკითხებოდა დავითი ბესიკს. – იქნებ მოგვხედოს ღმერთმა და რუსეთს კვლავ გავახსენდით.

– ალბათ, იმპერატრიცას დავჭირდით თურქების წიააღმდეგ, თორემ ჩვენი გულისთვის დედოფალი თავს არ აიტკივებს.

– შენ აგრე ფიქრობ?

– უფრო კი მგონია, რომ აქ თავისი აღარავინ ჰყავდათ და სასახლის კარზე ჯაშუში მოგვიგზავნეს, ისე როგორც თბილისში. იქ ერთი რეინეგსი იყო მეფის კარის ექიმი.

– ვიცი, აქაც ყოფილა წინათ.

– ერეკლე რომ ახალციხეს ლაშქრობდა, მაშინ გაჰყვა ტოტლებენს. ახლა გავიგე, კვლავ დაბრუნებია ერეკლეს და იქ ტრიალებს თურმე. კნიაზ პოტიომკინს გამოუგზავნია თბილისში თავის ელჩად.

– ახლა უკვე ვიცი, ვინ იქნება ჩვენთან. შენ მართალი ხარ, რუსებმა ალბათ ექიმი გამოგვიგზავნეს. სოლომონმა რამდენჯერმე მისწერა ბარათი იმპერატრიცას, ექიმს სთხოვდა, გამომიგზავნეო. მაგ უბედურს როდის მოუვლის ხოლმე ბნედა არ იცის და, გარდა ამისა, ბუასილი აწუხებს. ექიმი მუდამ უნდა ჰყავდეს გვერდით. ის იქნება.

მართლაც, როდესაც ორთავენი სასახლეში მოვიდნენ, მათ წინაშე წარსდგა შუა ტანის ქერათმიანი კაცი, რუსული სერთუკით და სამკუთხა ქუდით.

– ნიკოლაი ფონ ვიტენბურგი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სასახლის ლეკარი, – გააცნო მან თავი დავითს და ბესიკს. – წარმოდგენილი ვარ სოლომონ მეფის კარზე იმპერატრიცის ბრძანებით.

– სასიამოვნოა, სასიამოვნოა, – უთხრა დავითმა. – გზაზე დაიღლებოდით, მაგრამ იძულებული ვარ კვლავ შეგაწუხოთ და გთხოვოთ წამობრძანდეთ ჩვენთან ერთად. მეფე მოუთმენლად მოგელით. ჩვენ მას მალე დავეწვევით.

– რა გაეწუხება, – ამოიხვრით უთხრა ახალმა სტუმარმა დავითს, – თუმცა უნდა მოგახსენოთ, ისე ვარ დაღლილი, რომ ცხენზე თუ არ შემსვეს, შეჯდომა აღარც შემიძლია. ხუმრობა ხომ არ არის, ამოდენა გზის გამოვლა.

ვიტენბურგს ათამდე მსახური ახლდა, რომელნიც დავითმა ეზოსმოდღვარს ჩააბარა, მიხედვით და უპატრონეთო. შემდეგ სამივენი შესხდნენ ცხენებზე და ქვიტირის შარას დაადგნენ,

სადამოვდებოდა, როდესაც ისინი მეფის ამალას დაეწიენ და დავითმა წარუდგინა სოლომონს იმპერატრიცის გამოგზავნილი ექიმი.

ბანდაში სოლომონს გურიის მთავარი დაუხვდა თავისი ჯარით. გურიელს სულ ორი ათასი კაცი თუ ახლდა და იმის ლაშქარი ბევრად არ განირჩეოდა სოლომონის ლაშქრისაგან არც ჩაცმულობით და არც შეიარაღებით. მარტო თავადებს ამშვენებდა ლამაზად შეკერილი ჩაქურები და ყოველ მათგანს მოსირმული ყაბალახებით კონტად გაეკრა თავი, თორემ დანარჩენებს, აზნაურსაც და გლეხსაც, თითქმის ერთნაირად ღარიბულად ეცვათ. ეგ იყო, რომ აზნაურებს ფეხზე წულები ან ქალამნები ჰქონდათ, მაშინ, როდესაც გლეხები თითქმის ყველანი ფეხშიშვლები იყვნენ. გურულები შეიარაღებულნი იყვნენ უკეთესად. ბევრ მათგანს ძალზე ლამაზი, სადაფით მოჭედილი თურქული თოფი გადაეკიდა მხარზე და ხვანჯარში, ზედ ჭიბთან, მძიმე და უშნო დამბახა ჩაეჩხირა.

სოლომონმა გურიელის თანხლებით თავისი თეთრი ცხენით ჩამოუარა გურულების რაზმებს, მთავარს მოუწონა მათი შეიარაღება და შეკურვილობა და შემდეგ ბრძანა, რომ გზას გადგომოდნენ. გურიელის რჩევით სოლომონმა მოკლე გზით წასვლა ირჩია. ნოქალაქევიდან მან მთავორებზე გაატარა ჯარი და ლესიჭინეზე გავლით პირდაპირ ჩავიდა ზუგდიდს.

სოლომონს სურდა მალვით სტუმრებოდა დადიანს, მოულოდნელად წადგომოდა თავზე და ხუმრობით დაეტუქსა მისი მასპინძლობა, მაგრამ საოცარი იყო, როგორ ასწრებდა სოლომონს წინ ცნობა მისი ჯარის მოძრაობის შესახებ. ის ჯერ კიდევ ლესიჭინედან არ იყო გასული, რომ ზუგდიდში უკვე ჩაფრინდა ამბავი, მეფე მობრძანდება უთვალავი ჯარითო. კაცია მაშინვე წამოიჭრა და ათასი კაცის თანხლებით გზაში შეეგება მეფეს. მან თავში ერთის მუშტის ცემით და ვაივიშით მოუსამძიმრა სოლომონს ერთადერთი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება და თანაც ბოდიში მოიხადა, რომ დასაფლავებას ვერ დაესწრო.

– ჩემს საშველად კი არა, დასასჯელად უნდა მობრძანებულიყავი, მომეჭრა თავი, საკუთარი დისწულის დაკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ ბოროტი და ღვარძლიანი ხალხის ბრალია ყველაფერი, ერთმანეთის სისხლი და ხორცი გადაგვკიდეს, არაფერში დამზოგო, არაფერი მაპატიო, – იძახოდა მოხუცი კაცია და სოლომონის მხარზე ცხარე ცრემლს ღვრიდა.

რამდენიმე საათი დასჭირდა დიდებულთა ერთმანეთის მისალმებას და მოკითხვას. სამეგრელოს და გურიის თავადები სათითაოდ მიდიოდნენ მეფესთან, მხარზე კოცნიდნენ, მერე არჩილ ბატონიშვილს და მისი თორმეტი წლის ვაჟს დავითს მდაბლად უკრავდნენ თავს და ბოლოს დანარჩენ დიდებულებს ესალმებოდნენ. კაცია დადიანი სათითაოდ ესალმებოდა იმერეთის დიდებულებს და უმეტესობას დაწვრილებით ეკითხებოდა მის ავ-კარგს. როდესაც ბესიკი წარუდგინეს, კაცია აღფრთოვანებით გადაეხვია მას და ქება-დიდებით თავბრუ დაახვია:

– რაც მე შენზე ამბები მსმენია, ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ, საკუთარი თვალით რომ გიხილე. ამბობენ მთქმელი ყოფილხარ ლექსთა და ბრძენი ოქროპირი.

მარტო ბესიკს არ შეგებებია დადიანი ასე აღტაცებით. ის მელიასავით ელაქუცებოდა მეფესთან დაახლოებულ დიდებულებს და თითქმის არც ერთი არ დაუტოვებია ისე, რომ საჩუქარი არ მიერთმია. თვით მეფის კარის მასხარას ტაბიკასაც კი დიდი ამბით მიეგება და საჩუქრად ისეთი ახმახი ცხენი უწყალობა, მთელი ლაშქარი ამ ცხენს შესცქეროდა. ნამდვილი აქლემის სიმაღლე იყო და ყოველი კაცი სიცილით იჭაჭებოდა ამ სიმაღლე ცხენზე ეს თითისიგრძე ადამიანი როგორ შეჯდებოდა.

დადიანი განსაკუთრებით ეგებოდა ფეხქვეშ სოლომონის დიდებულებს, რადგან ემინოდა, იმერეთის მეფე ვაი თუ შერიგებოდა ქელაიშბეგ შერვაშიძეს. დადიანის კაცები თავისუფლად შედიოდნენ აფხაზეთის ბანაკში და იქიდან ყოველი ამბავი გამოჰქონდათ. იმათგან იცოდა კაცია, რომ აფხაზეთის მთავრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუკი დადიანს სოლომონი მიეშველებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მორიგებოდნენ იმერეთის მეფეს, და თუ გაჭირდებოდა, კიდევაც ეღიარებინათ მისი ძალაუფლება. რატომღაც აფხაზთა შორის ხმა გავრცელებულიყო, სოლომონს ისეთი თვალი აქვს, ვისაც არ უნდა შეხედოს, ქვეითს წააქცევს და მხედარს ცხენიდან ჩამოაგდებსო. ამ ხმებს ისე დაემინებია ცრუმორწმუნე

აფხაზები, რომ ყოველი მათგანი ერთსა და იმავეს იმეორებდა თურმე, თუ სოლომონი მოვიდა, ჩვენი საქმე ცუდად იქნებაო. ყოველივე ეს საეჭვოდ ხდიდა აფხაზთა გამარჯვებას, თუმცა მათი ჯარის საერთო რიცხვი თორმეტი ათას აღემატებოდა და შეიარაღებულნიც უკეთ იყვნენ. ზარბაზნების გარდა მათ ასიოდე ჯაზირი ჰქონდათ და, გარდა ამისა, იმ მეომრებს, რომელთაც თოფი არ გააჩნდათ, ამის ნაცვლად ძველებური მშვილდ-ისრები გაეწყოთ და ეს იარაღი უფრო საიმედოდაც მიაჩნდათ. ახლო მანძილიდან თოფი სრულიად უვარგისი იყო, რადგან ლულიდან მათ გატენას და ჩახმანზე ფალიის დაყრას დიდი დრო სჭირდებოდა, ხოლო კაპარჭიდან ისრის ამოღება და მშვილდის მოზიდვა თვალის დახამხამებაში შეიძლებოდა, ისრებიც ყველას უმეტესად ან რკინის ჰქონდა, ან კიდევ ხისა ფოლადის წვეროებით და ისე წამახვილებული, რომ თუ ადამიანს აბჯარი არ ფარავდა, ასეთი ისარი მკერდზე დაცემული ზურგში გაყოფდა თავს.

შერვაშიძეებს, ცხადია, იმედი ჰქონდათ, რომ სოლომონი არ მოეშველებოდა დადიანს და მაშინ ისინი ადვილად გაუსწორდებოდნენ თავის მოწინააღმდეგე მთავარს, მაგრამ ხმებმა მათ ყურამდეც მიაღწია და აფხაზეთის მპყრობელნი ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ, ოთხივენი მაშინვე შეიკრიბნენ და წინასწარ გამართეს თათბირი როგორ მოქცეულიყვნენ, თუ სოლომონი მართლა მოეშველებოდა კაციას. განებივრებული და მუდამ ტანტზე გორაობას შეჩვეული ქელაიშბეგი შერიგების მომხრე იყო. მართალია, მას თურქები ამისათვის მაღლობას არ ეტყობდნენ, მაგრამ დამარცხების შემთხვევაშიც დიდად არ მოეფერებოდნენ. შერიგების მომხრენი იყვნენ აგრეთვე ზურაბიც და ლევანიც, მხოლოდ წინასწარ იმ პირობით, თუ დადიანი საბოლოოდ აიღებდა ხელს სამურდაყანოზე. მარტო უბადლო ვაჟკაცობით განთქმული ბექირბეგი მოითხოვდა, რომ რაკი ხმალი ამოღებული იყო, ის უსისხლოდ ქარქაშში აღარ ჩაეგოთ.

ყოველივე ეს კაციას გაგებული ჰქონდა. მას შერიგების იმიტომ ეშინოდა, რომ საბოლოოდ დაჰკარგავდა აქამდე მოპოვებულ ძალაუფლებას და იმერთა მეფე მიაღწევდა იმას, რისთვისაც დღემდე ვერ მიღწია; ურჩობის შემთხვევაში ეს მრისხანე მეფე, სამეგრელოს მთავარს წიწილივით მოუგრებდა კისერს.

კაცია დიდი ამბით სთხოვა მეფეს სანადიმოდ წვევოდა, მაგრამ სოლომონმა ღიმილით უთხრა, მინდოდა მალულად გსტუმრებოდი, მაგრამ ვინაიდან ზუმრობა წამიხდა, ნადიმი ომის შემდეგ გაემართოთ წესისამებრო, და მაშინვე ბრძანა, გზას გადგომოდნენ. ზუგდიდიდან რუხის ციხემდე არც თუ ისე დიდი მანძილია და დაბინდებისას იმერთა ლაშქარი მეგრელთა ჯარების გვერდით დაბანაკდა. აფხაზთა ჯარები უკვე მოდგომოდნენ ინგურს, გადმოელახათ მისი მთავარი ტოტი და დაბანაკებულიყვნენ იმ ვრცელსა და თვალუწვდენელ მინდორზე, რომელიც ვაკეში მრავალ ტოტებად გაბნეულ ინგურის ერთ-ერთ კუნძულს წარმოადგენდა.

სოლომონმა დაათვალიერა ინგურის პირად ადრევე დაბანაკებული დადიანის ჯარი. მეგრელები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და უდარდელად ღილინებდნენ, როდესაც დაინახეს მეფე მობრძანდებო, ყველანი ცქვიტად წამოხტნენ და მეფეს თავდახრით ესალმებოდნენ. ესენიც ასევე ღარიბულად იყვნენ ჩაცმული. ყოველ მათგანს ტანს უფარავდა ტომარასავით უმნოდ შეკერილი გრძელი ხალათი, რომელიც კაბას უფრო წააგავდა და მათ მუხლამდე წვდებოდა. ბევრს თურმე შარვალი სრულიად არ ეცვა და მის მაგივრობას სწევდა მაღალი პაჭიჭები. მეგრელებიც ფეხშიშველები იყვნენ ზოგიერთის გარდა, მაგრამ მთელ ჯარში არ იყო არც ერთი, რომელსაც აბრეშუმის ან ხამის ბაშლაყი არ ჰქონოდა მხარზე გადაგებული. სოლომონმა იცოდა, რომ აფხაზებიც ამგვარადვე იყვნენ ჩაცმულნი და ასევე ატარებდნენ ყაბალახებს, ამიტომ ბრძანა, რათა მეგრელებს ყაბალახები მხარიღლივ შეეკრათ და ისე ეტარებინათ, რომ ბრძოლის დროს გურულებს და იმერლებს ადვილად გაერჩიათ ისინი მტრის მეომრებისაგან.

შემდეგ სოლომონმა ბრძანა, ჯარები სადროშოების მიხედვით შორი-შორს დაებანაკებინათ და რაც შეიძლება მეტი კოცონები დაენთოთ, რომ მათი სიმრავლით თავზარი დაეცათ მოწინააღმდეგისათვის.

აფხაზებიც, ეტყობოდა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ და იმათაც უამრავი კოცონი გააჩაღეს და თანაც თავგამეტებით გაჰკიოდნენ „ვაი-და ვარირას“. მაგრამ ეს მათი მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. სოლომონის ბანაკს განუწყვეტლად ემატებოდა და ემატებოდა კოცონები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და გარს ერტყმოდა აფხაზთა ბანაკს. ამათაც თანდათანობით უკლეს სიმღერას. მალე სრულიად მიჩუმდნენ და მღუმარედ გასცქეროდნენ სიბნელეში აციმციმებულ უთვალავ კოცონებს.

კაცია დადიანმა მაინც არ დაიშალა და აბიბინებულ მინდორზე მეფეს უხვი სუფრა გაუშალა. კარგა მოშორებით, სამ ადგილას აბრიალებული იყო კოცონი, რომელთა სინათლე დღესავით ანათებდა. მეფეს გვერდით უსხდნენ სამეგრელოს წარჩინებული თავადები: ჩიქვანები, ფალავები, საბახტარაშვილები და კიდევ მრავალი სხვა, ხოლო დადიანთან ისხდნენ გურია-იმერეთის წარჩინებულნი. მსახურები წალმა-უკულმა გარბი-გამორბოდნენ და წამდაუწუმ მოჰქონდათ შემწვარი ცხვრები, მოხარშული ძროხის ხორცი, ჩახრაკული ჯიგარი ან შამფურებზე ასხმული სუკის მწვადები. მეწდეები დოქებით დაატარებდნენ ოჯალეშს და რიგრიგობით უვსებდნენ მესუფრეებს მოზრდილ ყანწებს. პურის ნაცვლად სტუმრებს ნიგვზის ფოთოლზე დადებული ღომის გუნდები ჩამოურიგეს. მარტო მეფეს მიართვეს ერთი პური, რომელიც მან სიცილით თავის სიძეს ელიზბარ ერისთავს და ბესიკს გაუგზავნა, – იმათ მიართვით, რადგან ღომის ჭამა არ იციანო.

მასპინძელს სურდა ნადიმი დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ სოლომონმა ადრინადა აშალა სუფრა და თავის კარავში გაემართა.

მთელი ბანაკი ძილში გაეხვია. მარტო გუშაგები ფხიზლობდნენ და თვალს არ აშორებდნენ მოწინააღმდეგის მხარეს.

ღამით კაცია დადიანმა მზვერავეები გაუშვა აფხაზების ბანაკში. მას სურდა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე სოლომონის ჯარების მოსვლამ, ან რას აპირებდნენ შერვაშიძეები.

მზვერავეები ცისკრის ამოსვლის ჟამს დაბრუნდნენ და თავის ბატონს ყოველივე აცნობეს. შერვაშიძეებს, როგორც კი გაეგოთ იმერთა მეფის მოსვლა, თავზარი დასცემოდათ და მართლა გადაეწყვიტათ მოლაპარაკება გაემართათ სოლომონთან.

კაციამ წარბშეკვრით მოისმინა ეს ამბავი, მაშინვე შეკრიბა თავისი თავადები და გულშემოყრილი ხან ერთს ეკითხებოდა, ხან მეორეს:

– რა ვქნა, მირჩიეთ? ამაზე უფრო ხელსაყრელი დრო მე არასოდეს არ დამიდგება. თუ ახლა შერვაშიძეებს არ გავუსწორდით, მერე რა იცი, რა მოხდება.

– რას ვუცდით შერიგებას! გათენდება და დავიწყით ჩვენ. მერე რაღას იზამს მეფე! – ურჩია სახლთუხუცესმა.

– აჰ, ეგ შეუძლებელია. მეფე აქ ბრძანდება და მე რომ გავბელო და წინ გადავუსწრო, სულ აიღებს ხელს ჩემზე.

– კი, მაგრამ, რა ვიცით, რომ მორიგდებიან? – ჰკითხა კაციას მისმა ძმამ სარდალმა გიორგიმ.

– მაგას რაღა კითხვა უნდა. მაგენს მორიგება ურჩევნია. მაშინ მე გამოთოკავენ, არ იცი შენ. ერთს დაუქნევს ხელს სოლომონი შერვაშიძეებს და, თუ მოინდომებს, წიწილივით გამგლეჯენ შუაზე. ეს ჩემი სიძე ბატონი რუსებს მეტს არაფერს არ ეხვეწებოდა, დადიანი დამიმორჩილეო. ახლა ვითამ ჩემს საშველად გამოიქცა და ნამდვილად ზურგიდან უნდა ხელები გამიკრას. მაგაზე ნაკლები მეფე შევარცხვინე, მამულები აქვს ჩემდენი თუ ქონება. რაჭის ერისთავს თვალები დათხარა, რაც ჰქონდა ყოველივე წაართვა და იმით მოაქვს თავი. მე ვერ მომერია,

თორემ უარეს დღეს დამაყრიდა. – კაცია მძიმეა და შემდეგ თავის პირისფარეშს უბრძანა: – წადი, ჩემი ძიძიშვილი კიწი ეშბაია მომგვარე აქ.

მერე თავადებს მიუბრუნდა:

– თქვენ წაბრძანდით და მოისვენეთ.

ყველანი წავიდნენ, კარავში კი შავწვერა და თვალეზბრიალა ეშბაია შემოვიდა და ჩაფერფლილ ცეცხლთან ჩაჯდა.

– გაღმა გახვალ, – უთხრა ჩურჩულით კაცია თავის ერთგულ ძიძიშვილს, რომელიც მისთვის ცეცხლში გადავარდებოდა. – აი ეს ქისა წაიღე, შიგ ათი ოქროა, მოძებნე ლევანი, შერვაშიძის მეზარბაზნე, შენი მამიდის ქმარი. ხვალ თუ იმათ მოსარიგებლად კაცი გამოგზავნონ, ეს ფული აჩუქე იმ მეზარბაზნეს და უთხარი, ნიშანში ამოიღოს მეფის კარავი, როგორც კი იმათი შუამავალი კაცი სოლომონ მეფის კარავიდან გამოვა, მაშინვე ესროლოს ზარბაზანი...

– ვის, მეფეს? ოჰ! – აღმოხდა გოცებისაგან ეშბაიას.

– გაჩუმდი! – ისე შეუწყრა კაცია, რომ ეს სიტყვა უხმოვნოდ წარმოთქვა და ისიც სამი თანხმონით, ისე რომ გაჩუმდის ნაცვლად გაისმა: გჩდ! – იძახე ახლა ოჰ და ვაჰ! მეფის კარავს ხომ იცნობ რომელია?

– როგორ არა. ვნახე მე თვითონ. ზედ ფერადი ბაირალი რო ფრიალებს.

– გორაკზე რომ დგას.

– ვიცი. არ შემეშლება.

– ჰოდა, თუ იცი, რუხის ციხის კოშკზე მეყოლება კაცი, სამეფო კარავი რომ ნიშანში ამოიღოს, მერე თქვენ რუხის ციხეს უყურეთ. იქიდან ყაბალახით რომ განიშნებენ, მაშინ ბუთქეთ.

– მეფეს რომ მოხვდეს?

– შენ რას კითხულობ, ვის მოხვდება. იქიდან მეფეს კი არა, კარავსაც თუ გაარტყა, ისიც კარგი ბიჭობაა.

– აუიჰ, ის იმისთანა მსროლელია ბუხს არ ააცდენს.

– ბუხს კი არა კოლოს. წადი, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

ეშბაია მოჩვენებასავით გაქრა ბნელში, კაცია კი უბრძანა მსახურებს, ნაბადი გაეშალათ მისთვის და დასაძინებლად მიწვა.

დილით, გაიღვიძეს თუ არა, მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან უცნაური გაბმული ყვირილი მოესმათ. მოლები სალოცავად მოუწოდებდნენ ჯიქებს, ალანებს, მაჰმადიან აფხაზებს. მეგრელთა სარდალი გიორგი დადიანი მაშინვე მიიჭრა ძმასთან და ფუსფუსით უთხრა:

– თუ გამარჯვება გვინდა, ახლა უნდა დავესხათ თავს, ისინი სალოცავად რომ დაიჩოქებენ, მორჩა, სუყველა უსისხლოდ ჩაგვივარდება ხელში.

– სანამ მეფე არ დაძრავს ჯარებს, მტერთან ჩვენი შებმა არ შეიძლება, – უპასუხა კაცია, – ჯერ ერთი, რა საკადრისია, ისინი ლოცულობენ და ჩვენ თავზე დავესხათ და, მერე, ჩვენ რომ აფხაზებს ვეტაკოთ, მე რა ვიცი, სოლომონი იქნება სულაც არ ჩაერიოს ომში და სეირს უყუროს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიფრთხილეა საჭირო. რა იცი, იქნება საიდუმლოდ მორიგებულციკა შერვაშიძეებთან. თქვენ მაგას ურტყით და მე სეირს გიყურებთო.

– ძალზე ეჭვიანობ, არც მაგრე ვარგა, – უსაყველურა ძმას გიორგიმ, – წავიდეთ, ვეახლოთ, ვეთათბიროთ.

– თვითონ უნდა დაგვიბაროს. მე რაზე უნდა მივეხეტო? მართლაც მალე კაციას ეახლა მეფის ქეშიკი და მოახსენა, მეფე გთხოვთ სათათბიროდო.

კაცია მაშინვე მოიხმო თავისი დიდებულები, მათთან და თავის ძმასთან ერთად გაემართა მეფის კარვისაკენ. ჯარი უკვე აშლილიყო და მეგრელი გლეხები მოწიწებით ესალმებოდნენ თავის მთავარს.

სამეგრელოს დიდებულები სოლომონის კარავს დაუახლოვდნენ. სწორედ ამ დროს გაისმა ძახილი ენგურის მხრიდან და, როდესაც მოიხედეს, სამი კაცი დაინახეს. ერთი მათგანი ჯირკზე შემდგარიყო, ყაბალახს აფრიალებდა და ქართულად ყვიროდა: „არ მესროლოთ, შუაკაცი ვარ, არ მესროლოთ, შუაკაცი ვარ“.

კაცია შეკრთა და ფეთიანივით აწრიალდა;

– შეხედე! აკი ვთქვი!

სოლომონის სადგომიდან რამდენიმე მხედარი ჩაეგება შუაკაცად წარმოგზავნილ უჩარდიას და მეფის კარვისაკენ წამოუძღვა. უჩარდიას ორი მხლებელი ცხენებთან დარჩა.

კაციამ ანიშნა მხლებლებს და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა მეფის კარვისაკენ.

აქ უკვე მოგროვილიყვნენ იმერთა ჯარის მთელი სარდლობა და აქვე იყო გურიის მთავარიც.

კაცია მიესალმა დიდებულებს და პაპუნა წერეთელს ჰკითხა:

– მეფეს უნებებია ჩვენთან თათბირი?

– ასე სურდა, მაგრამ შერვაშიძეებმა თავისი კაცი წარმოგზავნეს, გვარად უჩარდია, და ვინაიდან მან სთხოვა მეფეს, ნაბრძანები მაქვს მარტო თქვენ მოგახსენოთ ყოველივე, ამისთვის ნურავის დაისწრებთ ჩვენი საუბრის დროსო.

– იქნება მშვიდობით გათავდეს ყოველივე, – მიამიტად ინატრა კაციამ. – მაგრამ მარტო როგორ შეუშვით მეფესთან, რაიმე ვერაგობა არ ჩაიდინოს?

– არა, მაგისი ნუ გედარდებათ. იარაღი არაფერი აქვს, გავჩხრიკეთ. გარდა ამისა, არჩილიც იქ ბრძანდება.

– ხომ არ გვატყუებენ რამეს? – ისევ იკითხა კაციამ. – იქნება დრო უნდა მოიგონ?

– ნამდვილად გვატყუებენ, თორემ მაგათ შერიგება როგორ უნდათ, – დაემოწმა გიორგი თავის ძმას. – საიდან არ მოუყვანიათ ჯარი: ჯიქები, ალანები, ყირიმელი თათრები, კე-მურგელნი, ყივჩაღები, საკუთრად აფხაზები ხომ ჰყავთ და ჰყავთ. მაგას ვინ დაიჯერებს, რომ მაგენი უომრად დადგებიან.

– ტყუილად ჰკარგავს დროს მეფე, – ახმაურდნენ მეგრელი თავადები. ისინი სათითაოდ მიმართავდნენ სოლომონის დიდებულებს და ისეთი ყაყანი ატყდა სამეფო კარვის გარშემო, სახლთუხუცესი იძულებული გახდა ყველანი გაეჩუმებია. ახლა ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ნელ-ნელა ისევ აუწიეს ხმას და კვლავ აყაყანდნენ. სახლთუხუცესმა ისევ გააჩუმა ყველანი.

* * *

მაღალი და ოდნავ ბეჭებში წახრილი უჩარდია თავდახრით წარსდგა სოლომონის წინაშე. არჩილ ბატონიშვილი გვერდით უჯდა მეფეს და ამან ცოტა არ იყოს დააბნია აფხაზთა მოციქული. მან არ იცოდა მათ შორის რომელი იყო მეფე და ამიტომ ისეთი მდგომარეობა დაიჭირა, რომ ვერ გაარჩევდი, პირველად რომელს ესალმებოდა.

– სალამი და დიდება იმერთა მეფეს ჩემი მბრძანებლის ქელაიშბეგ შერვაშიძისაგან.

– დღევრემლნი იყვნენ ჩემი სამეფოს მშვენებანი მთავარნი აფხაზეთისა, – უპასუხა სოლომონმა.

ახლა უკვე იცოდა უჩარდიამ, მათ შორის რომელი იყო მეფე, გულზე ხელები ჯვარედინად მიიღო, თავი უფრო დაბლა დახარა და მოახსენა:

– მოციქულად ვარ გამოგზავნილი შენთან, დიდო მეფევე.

– შენ რა გვარი ხარ?

– უჩარდია გახლავარ, მეფევე.

– ქრისტიანი ხარ, თუ შენც გამაჰმადიანდი შენი ბატონივით.

– აჰ, რავა გეკადრებათ, ქრისტიანი ვარ, ბატონო, ილორის წმინდა გიორგის ხატს გეფიცებით, – და უჩარდიამ პირჯვარი გამოისახა.

– კიდეც კარგი, თორემ ამ დილით თქვენთან მოვლებმა რომ დაიწყეს კვილი, გულს შემომეყარა.

– ის, დიღო მეფევე, ჯიქებსა და ალანებს უძახდა, ჩვენთანაც არიან, მაგრამ ცოტა.

– აბა გვითხარი, რაზე მოსულხარ?

– მეფევე დიდებულო, ჩვენმა მთავრებმა რომ თქვენი მობრძანება შეიტყვეს, ნამეტანი შეწუხდნენ, სოლომონ მეფესთან ჩვენ რა გვაქვს სამტროლო. ამისთვის გამომგზავნეს მომენსენებია თქვენთვის.

– მეც ავრე ვფიქრობ. ჩვენ სამტრო რა გვაქვს. ერთმანეთში ტკბილი სიტყვით უნდა მოვრიგდეთ და მშვიდობიანად ვიყოთ. მტერი ჩვენ გარეშეც გვეყოფა.

– ჩემი ბატონები მოგახსენებენ, კაციას ბრალია ყველაფერი, იმან აგვშალა, მოსვენებას არ გვაძლევს, ჯოგები არ დაგვიყენა, ხალხს გვიწიოკებს, იცის, რომ თქვენი მორჩილების მსურველები ვართ. ხუტუნია შერვაშიძის თავდადება არც ჩვენ დაგვივიწყებია, არც მის შვილებს – ლევანს და ზურაბს, ახლა ორივე გითვლის და გვეედრება, როგორც საკუთარ მამას, კაციას ნუ დაგვაჯენ თავზე, უკან გააბრუნე და ჩვენი თავი როგორც გენებოს ისე იმსახურეო. დადიანი აგვიტყდა, იძახის, სამურდაყანო ჩვენიაო. ღმერთო კი მომკალი, საიდანაა მაგისი, ამ ქვეყანას სამურდაყანო თავიდანვე მურდაყან შერვაშიძის სახელი შერქმევია და ეს გადადიანებული, ნაცრიდან გამომძვრალი ჩიქვანი რას გადაგვეკიდა, გვეედრებით, მოგვაშორეო. თუ მაგის პირობას მოგვცემ, ახლავე ავიყრებით, წავალთ, ჯარებს დავითხოვთ და თვითონ ჩვენ თავყანისცემით გეახლებითო. – უჩარდიამ ხმას დაუწია: – თუ ჩვენ უსისხლოდ მოვრიგდებით, მეფევე, დადიანი ხელში გეყოლება, შენი და ჩვენი შიშით უბატონოდ ხმასაც ვერ ამოიღებს. კაციას ახლა ყველაზე უფრო ჩვენი მორიგების ეშინია. თუ გნებავთ, დაიბარე და იმასთან ვილაპარაკოთ. ქვას ისვრის და თავს შეუშვებს.

– სხვა რა გვინდაო, პირობა არ უთქვამთ?

– სხვა რა უნდა გვინდოდეს, თქვენი ჯანმრთელობის მეტი. ჩვენ თუ რამე გვინდა სხვა, დადიანს მოვთხოვთ, მაგასთან სხვა ანგარიშები გვაქვს. ომით კი არ ვეომებით, ისე მოვრიგდებით შენი დახმარებით, დიღო მეფევე. ამაზე მეტი რაღა მოგახსენო?

– კარგი, მე თანახმა ვარ, მოვრიგდეთ, მხოლოდ ჩემი პირობები კარგად მოისმინე და ისე მოახსენე. არა არს რა ქვეყნად ჩემთვის მიზანი უფრო ღიადი, გარდა იმისა, რომ აღვადგინო ძლიერება და დიდება ჩვენი ქვეყნისა. შერვაშიძეთა მორჩილება მე ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის მსურს და არა ქონებისა და სიმდიდრის მოხვეჭისათვის. მე მინდა ბოლო მოვულო ჩვენს ქვეყანაში თურქთა მძლავრობას, აღკვეთო თარეში მათი, რათა ქვეყანამ შევებით მოითქვას სული. მე არაფერს არ მოვითხოვ შერვაშიძეთა საბატონოდ, არც ხარკს, არც მძევლებს, არც ბეგარას, მხოლოდ ერთსა ვთხოვ, აღიარონ მორჩილება ჩემი, ისე როგორც მათი წინაპარნი აღიარებდნენ, მტერი ჩემი იცნონ თავის მტრად და მტერი მათი ვიცნო ჩემად მტრად. მომცენ პირობა ერთგულებისა და როდესაც მოვუხმო ომში, მობრძანდნენ ლაშქრით და ჩემთან ერთად იღვაწონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ თანხმობა განაცხადონ, წამობრძანდნენ და მე ინგურის პირად მივეგეგები ოთხთავ შერვაშიძეთა, დღეს სტუმრად მოვიწვევ კარავსა ჩემსა, ხოლო ხვალ თვით ვესტუმრები თქვენს ბანაკში.

უჩარდიამ გაბრწყინებული თვალებით შეხედა მეფეს. ის არ მოელოდა საქმის ასე კარგად შებრუნებას.

– უთხარი ისიც, – განაგრძო სოლომონმა, – ოთხივეს ვუბოძებ უპირველს თანამდებობას, ხოლო ბიჭვინთის ეპისკოპოსს მივუბოძებ სრულიად აფხაზეთ-იმერთა სამწყსოს.

– ღმერთო დიდებულო, – გადაისახა პირჯვარი და აღაპყრო მაღლა ხელები უჩარდიამ, – გმადლობ, რომ ასე კეთილად დააბოლოვე საქმე ჩვენი და გვაშორე ძმათა სისხლისღვრა. მეფევ, ახლავე შემიძლია მოგილოცოთ და მოგახსენოთ, რომ ჩემი მეზატონეები უსიტყვოდ დათანხმდებიან თქვენს პირობებს.

სოლომონმა ტაში დაჰკრა და ქემიკს უბრძანა: დადიანი, გურიელი, პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე, ელიზბარ ერისთავი და მდივანი გაბაშვილი, მოეხმოდ კარავში. როდესაც ყველანი ეახლნენ მეფეს, მან გაამეორებინა უჩარდიას შერიგების პირობები დიდებულებთან და სათითაოდ სთხოვა ყოველ მათგანს აზრი გამოეთქვა.

უჩარდიას დადიანის შესახებ, ცხადია, კრინტი არ დაუძრავს და ამან უარესად დააეჭვიანა კაცია. ამიტომ მან მდაბლად დაუკრა თავი მეფეს და მოახსენა:

– გავკადნიერდები და მოგახსენებ, მეფევ, რომ შერვაშიძეების სიტყვა დასაჯერებელი არ არის. მათ რალაც ვერაგობა აქვთ განზრახული და განგებ მოგვიგზავნენ მოციქული, რომ დრო მოიგონ.

– გურიელი რას იტყვის? – მიუბრუნდა სოლომონი გურიის მთავარს.

– მე რას მოგახსენებთ, შენი ჭირიმე, და ერთი ანდაზისა არ იყოს, ღამის ქურდს დღისით დაიჭერენო, თუ გვატყუებენ, აგერ გამოჩნდება. ეს კაცი გვპირდება, შერვაშიძეები ინგურს გამოლმა გამოვლენ და ბატონს ეახლებიანო. შევხედოთ, და თუ მოვლენ, მივეგებოთ. თუ მოვრიგდებით, რა ჯობია მაგას, ამ ძმებში სისხლისღვრას რას გამოვრჩებით? თუ არ მოვლენ, აგი ხმალი ხელში გვიჭირავს და ვნახოთ. მე მაინც ძლივძლივობით ვაკავებ ჯარს, ერთი სული აქვთ, სანამ გადაცვივდებოდნენ ბიჭები. გაუხურდათ სისხლი ხალხს და დროზე თუ არ მიუშვი, ჯაჭვითაც ვეღარ დააკავებ მერე.

– წერეთელი რას ბრძანებს?

– გურიელი მართალს მოგახსენებთ. მშვიდობიანად საქმის მოთავებას რა ჯობს. რასაც თურქი დღეს გვაყრის, ის არ გვეყოფა, რომ ახლა ძმებმა ერთმანეთს არ დავლადროთ ყელი? ჭეშმარიტად მოსალოცია ასე ბედნიერად დაბოლოება ამ საქმის.

– წულუკიძე რას გვიბრძანებს?

ბერი წულუკიძეს ეწყინა, მეფემ რატომ პირველად არ მკითხა აზრი გამოეთქვაო და გულმოსული სულაც არ გაცემდა პასუხს, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო. ისე ერთ ხანს გაბერილი იდგა და კარვის ჭერს ჩუმად შესცქეროდა, თითქოს სურდა პასუხი მოეფიქრებია.

– მე რალა უნდა ვთქვა, ყველაფერი მოგახსენეს და სწორს მოგახსენებენ, – თქვა ბოლოს წულუკიძემ.

მეფე მიუხვდა და უნებურად მარტო თვალბეჭეში შეეტყო ღიმილი, მერე მოიხედა და ელიზბარ ერისთავს უსიტყვოდ აგრძნობინა, შენ რალას იტყვიო.

– ჩემი თათბირი იქნება დასტური თქვენი სურვილისა, მეფევ, – უთხრა ელიზბარმა.

– მაშ კარგი, – თქვა სოლომონმა, მოიხედა და ბესიკი მოხვდა თვალში, მაგრამ მისთვის არაფერი უკითხავს, ერთ წუთს დაფიქრებული შეჩერდა, უნდოდა მოეგონებია რისთვის დაუძახა მას, ვერ მოიგონა და უჩარდიას მიუბრუნდა: – წაბრძანდი და ყოველივე განუმეორე მათ. ერთ საათს მოვიცდი, – ამოიღო ჯიბიდან სოლომონმა საათი და ანიშნა: – ერთი საათის შემდეგ თუ თქვენგან არაფერი ცნობა იქნა...

– ერთი საათი რად გნებავს. ახლავე მობრძანდებიან, – დახარა თავი უჩარდიამ და კარვიდან გავიდა.

– სარდლები თავთავიანთ ადგილზე წაბრძანდნენ და მზად იყვნენ, – ბრძანა სოლომონმა.

დიდებულებმა თავი დაუკრეს მეფეს და კარვიდან გავიდნენ. პირველი დადიანი გავიდა და შეგებებული სამეგრელოს თავადები თან გაიყოლია. ჭრელი ბაღდადი ამოიღო, დაიქნია, თითქოს ბერტყავდა და ოფლი მოიწმინდა.

– გვატყუებენ აფხაზები! – დაიძახა ხმამაღლა კაცია, რომ გზადაგზა სხვებისთვისაც გაეგონებია, – გვატყუებენ, ვიცი მაგათი ამბავი.

თქვა ეს და კიდევ დაბერტყა თავისი ჭრელი ბაღდადის ხელსახოცი, რომ ოფლი მოეწმინდა.

უეცრად აფხაზების მხრიდან ზარბაზნმა დაიქუსა და მეფის კარავთან ყუმბარამ თხლამანი მოადინა.

– აი! – იყვირა კაცია, – ხომ ვამბობდი!

– ღალატი, ღალატი! – იყვირეს სამეგრელოს თავადებმა და მთელი ბანაკი უცბად აფორიაქდა.

უჩარდია უკვე ინგურს უახლოვდებოდა, იქ მას ორი მხლებელი ელოდებოდა, როდესაც მოისმა ზარბაზნის ხმა. მისთვის ეს გასროლა სრულიად მოულოდნელი იყო და თავზარდაცემული ერთ წუთს ადგილზე გაქვადა.

გაკვირვებული იცქირებოდა თავის ბანაკისაკენ.

სანამ ეს უბედური მოისაზრებდა, თუ რა მოხდა, კაცია დადიანმა იყვირა, ის წუწუკი არ გაუშვავთ ცოცხალიო, სამეგრელოს მთავარს გაახსენდა, რომ უჩარდიას შეეძლო გაესწრო გაღმა და მაშინ ხომ ყოველივე გაიხსნებოდა. ამიტომ მხლებლებს უბრძანა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, აფხაზთა მოციქული მოეკლათ და, ვინც იმის თავს მოუტანდა, ღიდ ჯილდოსაც ჰპირდებოდა.

მსახურებმა მაშინვე გადმოიღეს გრძელულიანი მძიმე თოფები და უჩარდიას სეტყვასავით დააყარეს ტყვიები. საბრალომ სცადა გაქცევა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ მოასწრო, რომ განგმირული წაემხო ბუჩქზე. ეტყობოდა, იგი უცბად მოეკლა მოხვედრილ ტყვიას, რადგან სრულიად აღარ ინძრეოდა, მაგრამ მეგრელი ჩუბინები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ზედიზედ ახლიდნენ და ახლიდნენ თოფებს.

აფხაზებმა სროლას სროლით უპასუხეს და მათი ლაშქარი ამოდრავდა საიერიშოდ. ისინი დას-დასად ეწყობოდნენ და დროშებს საბრძოლოდ შლიდნენ. ისმოდა ბუკების ყურისწამლები ყვირილი და საბრძოლო „ვაი-და ვარირა“.

სოლომონს და კაციას უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ იმით, რომ მათი ჯარები ოდნავ შემაღლებულ ზეგანზე იყო დაბანაკებული და ზემოდან გადაჰყურებდა ინგურის იმ განიერ კალაპოტს, რომელიც ამ მდინარის წვრილი ნაკადულისოდენა ტოტებით საკმაოდ მოზრდილ კუნძულებად იყო დაყოფილი.

სოლომონის გეგმით ბრძოლაში პირველად ქვეითი ჯარი უნდა ჩაბმულიყო და ცხენოსან ჯარს მხოლოდ მაშინ უნდა მიეღო მონაწილეობა ომში, როდესაც გამოირკვეოდა, თუ სად იყო საჭირო მათი მიშველება.

ბესიკი სასახლის კარისკაცებთან ერთად იმ სამარქაფო ცხენოსან რაზმში მოხვდა, რომელსაც გაქცეულთათვის გზა უნდა გადაეღობა, სულ უკან უნდა მდგარიყო და მხოლოდ მაშინ მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში, თუ რომელიმე უბანზე გაჭირვება შეიქმნებოდა და მტერი გადმოსალვას დაიწყებდა. ამიტომ თითქმის მთელი ბრძოლის განმავლობაში ის და დავით კვინიხიძე შორიდან უთვალთვალებდნენ ბრძოლას და დავითი დაწვრილებით უხსნიდა, თუ სად ვინ იბრძოდა ან რა ხდებოდა.

სოლომონი თითქოს არც კი ჩქარობდა იერიშზე გადასვლას. როდესაც ზარბაზნის ყუმბარამ მის კარავს გაჰკრა და შეაზანზარა, ის მაშინვე გამოვიდა კარვიდან და გაკვირვებით იკითხა, რა მოხდაო.

მასთან მეგრელი თავადები მიცვივდნენ და, თუმცა მართალია, მოწიწებით იყვნენ და საკმაოდ შორს იდგნენ, აღშფოთებულნი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ისე აყრიდნენ ბეჭებს:

– ხომ მოგახსენებდით, მეფევ...

- ხო, ხო, ხო, ეს რასა ჰგავს, ამისთანა ვერაგობა იქნება?.
- მოლაპარაკებაც კი არ გვაცალეს.
- გუეუნებით, ის უჩარდია განგებ მოაგზავნეს, რომ ცოდნოდათ მეფის კარავი რომელი იყო.
- მართალია, არ გაუშვით, უნდა მოვკლათ ის უჩარდია...
- მოვკლათ რომელია, მოჰკლეს უკვე...
- ბატონმა დადიანმა თვითონ მოჰკლა...
- უბრძანე, მეფე, ჯარს, გვიბრძანე, თორემ მოგვასწრებენ ის ურჯულოები...

ბერი წულუკიძემ ვერ მოითმინა და მწყრალად შეუტია:

-თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ. ჩვენ გვაცალეთ ახლა.

სოლომონი ღურბინდით გასცქეროდა აფხაზების ბანაკს, თვალს ადევნებდა მათ მოძრაობას და მოკლე განკარგულებებს იძლეოდა:

- ბერი წულუკიძე, შეუთვალე დადიანს, ნულარ აყოვნებს.

ცოტა ხნის შემდეგ მეგრელთა ბანაკში ხმაური ატყდა, მათი მედროშეები წინ გამოიჭრენ და დადიანის ლაშქარი ერთი ყიჟინით და შემზარავი კვილით გაიშალა რიყეზე. იმავე წუთში იხუვლეს ზემოიძერლებმა, რომელთაც ქაიხოსრო წერეთელი სარდლობდა და მიჰყვნენ თავის დროშას.

- აგიაშვილს აცნობეთ, დიდ მუხიდან დაუაროს თავი მტერს, - ბრძანა სოლომონმა და შიკრიკი თავქუდმოგლეჯილი გავარდა ბრძანების შესატყობინებლად.

მალე დიდ მუხასთან გამოჩნდა აგიაშვილის ჩალისფერი ალამი, რომელიც თხმელების თავზე ფრიალით მიცურავდა. მეომრები არ ჩანდნენ.

აფხაზებში პირველად ცოტა არეგ-დარევა მოხდა. ამის მიზეზი მათი მხრიდან ზარბაზნის უცაბედი გავარდნა იყო. ბექირბეგმა გაოცებით ჰკითხა ქელაიშბეგს, რა მოხდა, ან ვინ ბრძანა ზარბაზნის გასროლო. წინადლით ქელაიშბეგი ურჩევდა თავისიანებს, მოდი, გავიგოთ მეფის კარავი სად დგას და ზარბაზანი ვესროლოთ, თუ სოლომონი ვიმსხვერპლეთ, გამარჯვება ჩვენს ხელთ იქნებაო. ამაზე ბექირბეგმა კარგა გამოლანძღა თავისი სახლიკაცი, არც კი გრცხვენია, რომ ასე ლაჩრულად და ვერაგულად აპირებ ბრძოლის მოგებასო.

ახლა კი ეგონა, რომ ეს სროლა ქელაიშბეგის ბრძანებით იყო, მაგრამ მან ფიცი თქვა, არაფერი ვიციო. მაშინ ბექირბეგი მოეწლო ცხენს, გაცეცხლებული მივარდა მეზარბაზნეს და დასჭყვივლა:

- ვინ გითხრა, ისროლეო?

მეზარბაზნე გაფითრდა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ რაღაც საშინელება ჩაიდინა, რისთვისაც თავი შეიძლება წაეგო. „ვინ მომაშავებდა აბა ტყუილუბრალოდ ხუთ ოქროს, - მწარედ გაუელვა გუნებაში, - დამლუპა იმ ჩემმა ცოლისძმის შვილმა“.

- ვინ გითხრა, არ გესმის? - დასჭექა მეორედ ბექირბეგმა.

- რა ვიცი, შენი ჭირიმე? - დაეცა მუხლებზე მეზარბაზნე. - მტერს უნდა ვესროლო, აბა რა ვქნა?

- ჰეი, ყორჩიბაშო, წაიყვანე ეს და ათქმევიწე ყოველივე, - გასძახა ბექირბეგმა იქვე, თითქო მიწიდან ამომძვრალ, თვალსისხლიან მსახურს და თვითონ უკანვე თავგამეტებით დაეშვა.

* * *

ბესიკი ბრძოლის ველს მთლიანად ვერ ხედავდა, თუმცა ის და დავითი მალლობზე ავიდნენ და ცხენებზე შემსხადრნი გასცქეროდნენ მიდამოს. ადამიანები ჭიანჭველებივით ჩანდნენ და ისეთი ფუსფუსით ირეოდნენ ერთმანეთში, თითქოს კი არ ომობდნენ, კუკუმაღულობას თამაშობდნენ. კვინიხიძე, მართალია, ჭოგრიტით გასცქეროდა ბრძოლის ველს, მაგრამ ისედაც გასაოცარი აღლოთი გრძნობდა, სად ვინ იბრძოდა ან რომელი დროშა ვის ეკუთვნოდა.

– ზემოიძერლები მარჯვედ არიან, – უთხრა მან ბესიკს, – იმათ ჯიქები და ალანები დაუხვდათ, მაგრამ ხედავ, რა დღეს აყრიან? უკვე იფრინეს. ქვემოიძერლებს და მეგრელებს უჭირთ. აი იქ, ხედავ, წითელტანსაცმლიან მხედარს, ცხენს რომ მიაქროლებს, ის ბექირბეგ შერვაშიძეა. აი ამ ჭოგრიტით გახედე. ხედავ?

სანამ ბესიკი ჭოგრიტს მოიმარჯვებდა და ბექირბეგს თვალს მოლანდავდა, ის უკვე აღარ ჩანდა.

– ეს ვინაა, ასე მამაცად რომ მიუძღვის თავის რაზმს? – ჰკითხა ბესიკმა და ერთ გუნდზე მიუთითა, რომლის მეთაური გულადად მიაჭენებდა ცხენს და ჰაერში ხმაღს ატრიალებდა.

– ეგ ჩიჩუა უნდა იყოს. მარჯვედ კი მიდის. აგერ ხედავ, გიორგი დადიანი, რა მარჯვედ იბრძვის ეს ერთი მტკაველი კაცი, როგორ კლდესავით მაგარია.

ბესიკმა ვერც ჩიჩუა დაიჭირა ჭოგრიტით, ვერც დადიანი, სამაგიეროდ ნათლად არჩევდა ბრძოლის ცალ-ცალკე სურათებს და დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს მებრძოლთა შეჯახებებს. გასაშლელი გრძელი ჭოგრიტის ჭერა ცოტა უხერხული იყო, ხელი კანკალებდა და ძნელად დაიჭერდი ერთსა და იმავე წერტილს, მაგრამ ბესიკი მაინც ასწრებდა მოელანდა თვალი და ნათლად დაენახა ადამიანთა საბედისწერო შეჯახება. ვერც მტრისა და ვერც საკუთარი მეომრის გარჩევა შეეძლო. მარტო იმას ხედავდა, როგორ შეეხლებოდნენ ხოლმე ერთმანეთს მეომრები, ერთი მეორეს დასძალავდა, მაგრამ წაქცეულს მეორე წამოეშველებოდა, ან შუბს აძგერებდა, ან ხანჯალს დასცემდა თავში. აგერ მათ სხვები ჩაუქროლებდნენ, იქ ცხენოსანი მიქროდა. განსაკუთრებით დროშების გარშემო ირეოდა ხალხი.

უეცრად შიკრიკი მოვარდა და დაიძახა:

– ცხენოსნები მეფეს მიჰყვებით!

დავითმა და ბესიკმა სხვებთან ერთად მიატოვეს მალღობი და ცხენების ჭენებით დაემშენნენ თავიკვე.

მეფის ცხენოსანი სამარქაფო რაზმი უკვე გაბაწრულიყო ტყეში და თქარათქურით მიემართებოდა გამოუცნობ მხარეს.

– სად მივდივართ? – იკითხა ბესიკმა, მაგრამ მას პასუხი არავინ გასცა. ის უნებურად მიჰყვა ცხენთა ამ მდინარებას. სრულიად მოულოდნელად მის გვერდში სადუნა აღმოჩნდა, იგი წითურ ცხენზე შემჯდარიყო და თავმოწონედ მიაჯირითებდა.

– სადუნა, საიდან? – შესძახა ბესიკმა.

– უიბე, შენ ხარ, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი, ჩემო ბატონო! – სინარულით აღმოხდა სადუნას. – შორიდან სულ გხედავდი ბატონებთან, მაგრამ მოსვლა ვერ გავბედე.

– სად მივდივართ, არ იცი?

– თავს უნდა დავუაროთ აფხაზებს. ასე უბრძანებია მეფეს. ჰო, რა ღვთის ტირილია, ვერ ხედავ? ღორებივით ჰკლავს ხალხი ერთმანეთს.

– ომია, რას იზამ! – თქვა ბესიკმა.

სადუნამ რაღაც უპასუხა, მაგრამ ბესიკს არ გაუგონია. რადგან წინწასულმა მხედრებმა ცხენებს მათრახი გადაჰკრეს, ჭენებით წავიდნენ და ბესიკიც ასევე ჭენებით მიჰყვა მათ. მალე ყველანი ერთ დიდ მინდორზე გავიდნენ, აქედან სწრაფად მოუხვიეს მარჯვნივ, თხელი და დაბალი თხმელნარი შლიგინით გაიარეს და ისე მოულოდნელად შეესივნენ ზურგის მხრიდან აფხაზებს, რომ იმათ გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრეს. ამ იერიშმა საბოლოოდ გატეხა მათი უძლევი წინააღმდეგობა და ბრძოლის ბედიც გადაწყდა. მართალია, ბექირბეგი ვეფხვივით დაქროდა თავის არეულ ჯარში, ამხნევებდა მებრძოლებს და ისე ოსტატურად იძლეოდა განკარგულებებს, რომ სადაც კი მიწვდა, თითქმის ყველგან რაზმებს წესიერად დაახევინა უკან და თავისი ჯარის უმრავლესობა უვნებლად გაიყვანა ბრძოლის ველიდან. ზარბაზნებიც კი ყველა გადაარჩინა და დროზე გააზიდვინა, გარდა ერთისა, რომელიც ჩიჩუას და ფალავას კაცებს ჩაეგდოთ ხელში და დიდი ამბით მიაგორეს მეფესთან.

ბესიკს აღარც კი ახსოვდა, სად დააჭენებდა ცხენს, ვის მოუქნია ხმალი, ან ვის ჩაუქროლა გვერდით. მის თვალში და გონებაში ყველაფერი ერთმანეთში აირია, ნახულიც და განცდილიც. ერთ ადგილას თვალი მოლანდა, რომ ჩასაფრებულმა აფხაზმა მშვილდი მოზიდა და ისარი სტყორცნა. ბესიკი განზე გადაწვა და ისარმა მას თავთან გაღუწივლა. აფხაზი წამოხტა და კურდღელვით ხტომა ხტომით მოჰკურცხლა. ბესიკს არც კი უფიქრია დადევნებოდა, მისი ყურადღება ახლა სხვა ამბავმა მიიპყრო. ვიღაც ფაფანაკიანს მოწინააღმდეგემ მოასწრო და ხმალი გამეტებით მოუქნია. ფაფანაკიანმა თავისი ხმალი აუკრა, მაგრამ ცხადი იყო, მთლად ვერ აიცდინა და დაიჭრა. სისხლმა თქრიალით დაუწყო მკერდზე დენა. ალანმა მეორედ მოუქნია ხმალი ფაფანაკიანს და კიდევაც წააგდებინებდა თავს, რომ ამ დროს წამოწეული ბესიკი არ მოშველებოდა თანამებრძოლს. ფრანგული აღმართა, გაისმა შეჯახებული ფოლადის წკრიალი და ალანს ხმალი ხელიდან გაუვარდა. ცხენების ამ შეხლა-შემოხლაში და ტრიალში ალანმა დრო იხელთა და გაჰქუსლა, ბესიკი ახლა მიუბრუნდა ფაფანაკიანს, რომელიც ცხენზე ჩამოეკიდა და ჩამოვარდნას აღარა უკლდა რა.

– ლევონტი, შენა ხარ? – გოცებით შეჰყვირა ბესიკმა, როდესაც იცნო თავისი თანაშემწე მდივანი, – ძალიან ხარ დაჭრილი?

– არა, არა, – ლულულდით უთხრა საოცრად გაფითრებულმა ლევონტიმ. – მეონია, არ უნდა ვიყო სასიკვდილოდ. წადი, მიჰყევი იმას. რაზე გაუშვი? წადი, მე არა მიშავს რა.

– რას სულელობ, როგორ თუ არა გიშავს რა, – უპასუხა ბესიკმა. ცხენიდან ჩამოხტა და ლევონტი ძირს ჩამოსვა. ხმლის წვერს მისთვის მკერდზე გაეწვო და ერთი შეხედვით ჭრილობა მართლაც არ იყო საშიში. ბესიკმა ბაღდადი ამოიღო და ლევონტის ჭრილობა მაგრად შეუხვია.

– რა სულზე მომისწარი! – უთხრა ლევონტიმ. – ორნი დამესხნენ თავს. ერთს მოვასწარი და გავისტუმრე მის წინაპრებთან. აგერ აგდია, შეხედე.

მოიხედეს. მართლაც, დიდ ლოდთან, ბალახებში ეგდო დაჭრილი ალანი, რომელიც სულს დაფავდა.

– ცხენი რა იქნა მაგისი.

– ცხენის დარდი გაქვს! – უთხრა ბესიკმა, – წადი ბანაკში. იქ თურმანიძეა და ჭრილობას შეგიხვევს, ან რუსი ექიმი რომ გვესტუმრა, მეფის კარავში იქნება.

– დამაცა, ჩემს მოკლულ კაცს იარაღი მაინც ავხსნა. აგერ ის ხმალიც, – არ იშლიდა ლევონტი და, მართალია, ჭრილობა საკმაოდ აწუხებდა, მაინც ადგა, ალანს მიუახლოვდა და მარჯვენა ხელით იარაღის აყრა დაუწყო.

ბესიკი იძულებული იყო მიშველებოდა. მოკლულს იარაღი აჰყარეს, შემდეგ ბესიკმა ლევონტი დიდი გაჭირვებით შესვა ცხენზე, ნადავლი იარაღი მიაწოდა და ბანაკში გაისტუმრა, თვითონ კი ისევ მოეწვო ბედაურს და გაჰქუსლა იმ მხრისაკენ, საიდანაც ყიჟინა და ხმაური ესმოდა. ეგონა, გახურებულ ბრძოლაში მაშინვე შეიჭრებოდა, მაგრამ კარგა ხანი გავიდა, სანამ ის თავის დრომას მოჰკრავდა თვალს და წინა რიგებამდე მიაღწევდა. ბრძოლა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. დიდი მინდორი, რომელიც გადაიშალა ბესიკის თვალწინ, ბალახით დაფარული რიყე აღმოჩნდა. გაქანებულმა ცხენმა კინაღამ ორივე ფეხი წაიმტვრია და ბესიკი ძლივს დამაგრდა უნაგირზე. მთელი მინდორი მოფენილი იყო ქვეითი მებრძოლებით. ზოგი ალაფს აგროვებდა, ზოგი დაჭერილ ტყვეებს ერეკებოდა ან ხელ-ფეხს უკრავდა, ზოგი საკუთარ ჭრილობებს იხვევდა. ბრძოლა ახლა ინგურის გაღმა მიმდინარეობდა. იქ ცხენოსნები გაჭრილიყვნენ და ბექირბეგი თავისი მებრძოლებით გააფთრებული ივერიებდა მოძალებულ მტერს.

ბესიკმა კვლავ გააქანა თავისი ცხენი, დგაფუნით გადაიარა ინგურის რამდენიმე ტოტი და როდესაც მეორე ნაპირი აივაკა, დიდ მუხასთან შეჯგუფულ მეომრებს მოჰკრა თვალი.

შორიდანვე იცნო მათ შორის პაპუნა წერეთელი და მაშინვე მათკენ მიაშურა. ისინი თითქოს რაღაცას აღევნებდნენ თვალს და მოუსვენრად ტოკავდნენ ადგილზე.

– ვეფხია, ნამდვილი ვეფხვი! – მოესმა ბესიკს სოლომონ მეფის სიტყვები, როდესაც დაუახლოვდა მუხასთან თავმოყრილ ცხენოსნებს.

სოლომონს ის იყო მოეჯირითებინა თავისი თეთრი ბედაური და ბრძოლის ველს გადასცქეროდა, ჭენებით გახურებული ცხენი ბრდგვინავდა და ადგილზე ვერ ისვენებდა.

– ვეფხვია! – გაიმეორა სოლომონმა. – მაგ ბექირბეგი რომ არ ჰყოლოდათ აფხაზებს, მთელ ჯარს ხელში ჩავიგდებდით.

მერე პაპუნას მოუბრუნდა:

– უბრძანე, ბუკი დაჰკრან და ცხენოსნები უკან იხმონ. სადამდე უნდა სდიონ ამ ბარდებში მტერს. უკან გზასაც ვეღარ გამოივნიებენ.

მაღე ყოველი მხრიდან გაისმა ბუკთა ყურისწამლები ყვირილი და ჯარმა ნელ-ნელა იწყო თავიანთი დროშების გარშემო თავმოყრა.

სოლომონი გორაკზე ავიდა და იქიდან გადასცქეროდა მიდამოს. მაღე მასთან კაცია დადიანი მივიდა და მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება, თან სიცილით ეუბნებოდა, შენ რომ ცხენოსნები აშაღე და წახვედი, მე მეგონა, მიმატოვე და კინაღამ გული გამისკდა შიშით. თურმე ასე ბრწყინვალედ მოგიფიქრებია მტრისათვის მარცხნიდან მოგველო და მე კი რა ვიცოდით.

ცოტა ხნის შემდეგ გურიელმაც მოაჭენა თავისი ცხენი. დაიწყეს მოგროვება სარდლებმა. მოვიდა არჩილ ბატონიშვილიც. ყოველი მათგანი ულოცავდა მეფეს გამარჯვებას და მოკლედ უამბობდა, თუ რა ბრძოლა გადახდა მის სადროშოს, ან ვისთან მოუხდა შეტაკება. მაღე თანდათან გამოირკვა და გამოისახა ბრძოლის მთელი სურათი. მართალია, ზოგიერთი სარდლის ნაამბობში ბევრი ტრაბახი ერია და უფრო მეტად ის ტრაბახობდა, ვისაც ყველაზე ნაკლები გაეკეთებია, მაგრამ სოლომონი ყოველ მათგანს კარგად იცნობდა და, უმეტეს შემთხვევაში, არ შეეშლებოდა, ვინ ეუბნებოდა მართალს და ვინ ცრუობდა. ბევრმა ცოცხლად დაჭერილი ტყვეები მოჰგვარა მეფეს. ასეთებს მეფე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა და აუცილებლად ასაჩუქრებდა.

მოულოდნელად მეფის გარშემო შეგროვილთა წრე გაირღვა და როსტომ ნიჟარაძემ მეფეს წარუდგინა ხელგაკრული ტყვე.

– ეს რა ამბავია? – ღიმილით იკითხა სოლომონმა.

– მოგართვი, ბატონო, ცოცხლად დავიჭირე ეს წუწუკი, – შუბლზე ოფლი მოიწმინდა როსტომმა და თავის ტყვეს თავმომწონედ გადახედა.

– მაგის დატყვევება მართლა ვაჟკაცობაა, – თქვა სოლომონმა.

ტყვე მართლაც გამოირჩეოდა თავისი ახოვანი გარეგნობით. მაღალი, მხარბეჭიანი და ისეთი მკვრივი აგებულების, რომ ყველა მოიხიბლა მისი ვაჟკაცური თვალტანადობით.

– ა, ბატონო, კიდევ იტყვიან ჩემზე ლაჩარიაო? ერისკაცად არ ვარგა, ბერად უნდა შედგესო! წამოდექი წინ, შე წუწუკო! – უყვირა ტყვეს როსტომმა და თოფის კონდახი ჩასცხო ფერდში.

როგორც ეტყობოდა მოქნეული კარგად ვერ მოზომა როსტომმა, რადგან ტყვემ ერთი კი დაიდრიალა და იქვე ჩაიკეცა.

– ვაიმე, მომკლა ამ უგამჩნეომ! – ამოვიმინა მან ქართულად. – ჩამიქცია ტყელიპი.

– რა ამბავია? – გაოცდა სოლომონი და როსტომს გადახედა. – შენმა აფხაზმა როდის ისწავლა ქართული?

– ქვიტირელი ვარ, ბატონო, ახლობე, – კვნესით ამოვიმინა ტყვემ. – რა მიგავს აბხაზს. გამირიგდა, ხელებს გაგიკრავ და მეფეს მიგვკრი, ვითამ ტყვედ დავიჭირეო... საჩუქარს

დამპირდა, რა ვიცოდი მე უბედურმა, თუ ტყლიპს ჩამიქცევდა. აფხაზმა ვერაფერი დამაკლო და ეს მკლავს.

– ამას უყურე ახლა შენ! – იყვირა გაფითრებულმა როსტომმა, – ამას უყურე ახლა შენ...

ისე დაიბნა, რომ მეტი ვერაფერი მოახერხა და წამდაუწუმ ამ ოთხ სიტყვას იმეორებდა.

დიდებულებმა საოცარი უხერხულობა იგრძენეს და არ იცოდნენ, როგორ გამოსულიყვნენ ამ მდგომარეობიდან. ისევ ტაბიკამ იხსნა ყველანი. თავისი ახმახი ცხენით შეგროვილთა წრე გაარღვია და იყვირა:

– ვინ ხართ ქრისტიანი, ჩამომსვით ამ ცხენიდან. მიშველეთ, ხალხო...

ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი და ამ არევ-დარევაში როსტომი თავისი ნაჭირავები ტყვეთი წრიდან გაიყვანეს. მხოლოდ არჩილ ბატონიშვილი მიუბრუნდა თავის ძმას და შეევედრა:

– თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ეგ როსტომი მე დამითმე.

– რატომ? – გაიკვირვა სოლომონმა.

– ორ თვეში უკან დაგიბრუნებ, მაგრამ მაშინ მართლა ვაჟკაცი იქნება. დედის კალთაში ნებივრად გაზრდილი ხომ ხედავ როგორი ქალაჩუნა გამოვიდა. საქვეყნოდ თავი მოეჭრა მაგ უბედურს. მაგ თუ ვერ გავაგულადე, კაცი არ მერქვას.

– ბატონი ბრძანდები, წაიყვანე, მხოლოდ ორი თვე არ გეყოფა, – სიცილით უთხრა სოლომონმა.

ბესიკი წრეს მოცილდა. მისი ყურადღება მდინარის პირზე ატეხილმა ჩოჩქოლმა მიიქცია. ვიდაც თავგამებტებით ცდილობდა შემოსეულთა წრე გაერღვია და გაცოფებული ყვიროდა.

ხმაზე ლევონტი ნიჟარაძე იცნო ბესიკმა და თავქვე დაეშვა.

ლევონტის დაჭრილი მარცხენა ხელი გაკრულ ყაბალახში დაემალა, ხოლო მარჯვენა ხელით ხანჯალი ეძრო და გაცეცხლებული ყვიროდა:

– გამიშვით, უნდა მოგკლა მაგ თავსლაფდასხმული, ჩვენს გვარში საიდან გამოერია ეგ... (აქ ერთი უკადრისი სიტყვაც მიაყოლა). თფუი მაგის კაცობა! გამიშვით, მაგისი სისხლი უნდა დავლიო, მაგისი.

– რა მოგივიდა, ლევონტი, ვინ გაგაჯავრა? – უთხრა ბესიკმა და წინ გადაეღობა.

ლევონტი გამწარებული იკბენდა ტუჩებს, მერე თვალცრემლიანი მიუბრუნდა ბესიკს და ჩახლექილი ხმით უთხრა:

– რაზე გადამარჩინე, რაზე მაჩუქე სიცოცხლე. მოვეკალი იმ აფხაზს, არ მიჯობდა?! რას გეჭრის თავს ამ ნიჟარაძეებს ეგ ღვთის პირისაგან გადავარდნილი. ახლა გადამირჩა, მაგრამ მაგას მაინც არ გავუშვებ ცოცხალს...

– კარგია, დაწყნარდი, გეყოფა, – სიცილით მოხვია ხელი ბესიკმა ლევონტის, წრიდან გაიყვანა და ხანჯალი ჩააგებინა.

– მოვდივარ, მომიხარია, მინდა მეფეს გამარჯვება მივულოცო, – თქვა ოღნავ დამშვიდებული ხმით ლევონტიმ, – ამ დროს დამახვედრეს ამბავი, როსტომმა ისევ მოგჭრათ თავი ნიჟარაძეებსო. რაი-თქო, ვეკითხები, მითხრეს, რაც იყო. რა უნდა ვუყო ახლა მაგას? არა, ტყუილია! მაგას, ვატყობ, ჩემი ხელით უწერია სიკვდილი.

* * *

სოლომონი ორ კვირას დარჩა დადიანთან. ამ ხნის განმავლობაში სამეგრელოს მთავარი უხვად უმასპინძლებოდა თავის დიდებულ სტუმარს. პირველ დღეს მან მთელი ლაშქარი დასვა სანადიმოდ და არავისთვის არ დაუკლია არც ღომი და არც ღვინო. საკლავიც უამრავი დააკვლევინა. მართალია, მთავრის გზირები მგლებივით დაქროდნენ სოფლებში და ბევრი გლეხის ოჯახი აატირეს, ვის ძროხა წაართვეს, ვის ღვინო ამოუხაპეს ქვევრიდან, ვის გაცეხვილი ღომი ამოუხვეტეს ვარცლიდან, მაგრამ ამაზე თავს ვინ აიტკივებდა. ამდენ ჯარს

გამასპინძლება ეჭირვებოდა. კიდევ კარგი, რომ სოლომონი წინდახედულად მოიქცა და მეორე დღეს მთელი თავისი ჯარი დაითხოვა. თავისთან მარტო სასახლის დიდებულები, თავადები და ტახტის აზნაურები დაიტოვა; ესენი მის ამაღლას შეადგენდნენ. მაინც მეფესთან ათას კაცამდე დარჩა და, ცხადია, ორი კვირის განმავლობაში არც მათი შენახვა იყო აღვილი საქმე. დადიანის გზირებს სულ უფრო და უფრო შორს სჭირდებოდათ წასვლა სურსათის საშოვნად, რადგან ახლომახლო გლეხებს უკვე აღარაფერი არ გააჩნდათ. მართალია, იმ ათასი კაციდან სანადიმო სუფრაზე ასი კაციც კი არ ჯდებოდა, რადგან არსებული წესით და საერთო დებულების თანახმად მეფესთან სუფრაზე განსაკუთრებული ნებართვის გარეშე დაჯდომის უფლება მხოლოდ მთავრებს, მდივანბებს, სადროშოთა წინამძღოლ სარდლებს და ლიდგვარიან თავადებს ჰქონდათ, ისიც სათანადო უმცროს-უფროსობის სასტიკი დაცვით. გარდა ამისა, თანამედვერობით მთავრები მეფეს უნდა მომსახურებოდნენ, პირველი გვარის თავადები მთავრებს და ასე თანმიყოლებით. დანარჩენი, დაბალი ღირსების თავადები, აზნაურები და კარის მსახურნი ფეხზე უნდა მდგარიყვნენ და შორიდან ეცქირათ დიდებულთა განცხრომისათვის. შესაძლებელი იყო, რომ იმათგან მეფე რომელიმეს მოჰკრავდა თვალს და რაიმე დამსახურების პატივსაცემად სუფრაზე მიიწვევდა. ეს მეფის ღიდ წყალობად ითვლებოდა და ამიტომ ნადიმობის ფეხზე მდგომი მოწმენი ცდილობდნენ, როგორმე მოხვედროდნენ მეფეს თვალში და მისი ყურადღების ღირსნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ასეთ მიწვევას იშვიათად ეღირსებოდა ვინმე და უმეტესობას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ ნადიმის დამთავრებამდე ნერწყვი ეყლაპა და შემდეგ ნასუფრალზე მოეღინა. აქაც ღიდი სიმარჯვე სჭირდებოდა ყოველ მათგანს, რადგან საათობით გემრიელი საჭმელების მაქცერალი მშვიერი თავდაზნაურობა ყოველგვარ ზომიერებას ჰკარგავდა და ყველანი ისეთი გააფთრებით ეცემოდნენ ხოლმე ნასუფრალს, რომ თვალის დახამხამებაში გადასანსლავდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ამიტომ ბევრი მათგანი მშვიერიც კი რჩებოდა. თუ აქამდე მათი ყოფაქცევა სანიმუშო ზრდილობის ნამდვილი განსახიერება იყო და ბატონთა ნადიმი განუწყვეტლად სამ ღღესაც რომ გაგრძელებულიყო, ერთიც კი არ შეიმჩნევდა თუ პური შიოდა, ახლა, როდესაც მათ უფროსთაგანი აღარავინ უცქეროდა, ეღვის სისწრაფით ანადგურებდნენ საჭმელს, სვაგებივით დაუღეჭავად ყლაპავდნენ ყველაფერს და ძვლებს სულ ხრამიხრუმს აწყებინებდნენ.

სამეფო კარზე გაზრდილ ბესიკისათვის ამ ჩვევებში არაფერი იყო გასაოცარი. მართალია, ის წოდებით ჯერ კიდევ აზნაური იყო, მაგრამ, როგორც მეფის მდივანმწიფნობარს, სუფრაზე ყოველთვის საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩნეული, მაგრამ ახლა რამდენიმე ღღის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობა შეხვდა და ნადიმებს არც დასწრებია. ის სასოტბო ღიდი პოემის წერას შეუღდა; ეს პოემა მას ზუღდიდში საგანგებოდ გამართულ ნადიმზე უნდა წაეკითხა. გარდა ამისა, სიგელებიც უნდა ეწერა. სოლომონმა ბრძოლაში წარჩინებულ თავადებს, აზნაურებს და გლეხებს ჯილდოები უწყალობა. ზოგს ხარისხი, ზოგს მამული, ზოგს აზატობა. დაჯილდოებულნი ჩქარობდნენ, მეფეს ეს წყალობა არ დაავიწყდესო და მდივნებს მოსვენებას არ აძლევდნენ, გვიშველეთ და საჩქაროდ დაგვიწერეთ სიგელი, რომ ახლავე დავასმევიოთ ზედ ბეჭედი ჩვენს მეფეს, თორემ შემდეგ ვაი თუ დაავიწყდეს და დავიღუპებითო. ბესიკი იძულებული იყო თავისი ხელქვეითი მდივნები მოეგროვებინა, მათ შორის დაჭრილი ლევონტიც, და ყველანი დაესხა საწერად.

ამ სიგელების წერის ღღოს შეიტყო ბესიკმა, თუ ვის რა გაეკეთებინა, ან რა დამსახურება მიუძღოდა. რაღაც გამოუცნობი ალღოთი გრძნობდა, თუ რომელ მათგანს ნამდვილად ჩაედინა მართლა სავაჟკაცო საქმე და რომელი ტყუოდა. ჰეშმარიტ გმირს ყოველთვის უბრალოდ ეჭირა თავი, წყნარად უამბობდა ყოველივეს და თუ მოწმეები, პირიქით, აჭარბებდნენ მის დამსახურებას და ზედმეტებს ჩმახავდნენ, ის უარს ამბობდა, მე ასეთი არაფერი ჩამიღინაო. ხოლო ისეთი ცრუ გმირი, რომელსაც, შეიძლება, სულ არაფერიც კი არ გაეკეთებია, მაშინვე

რინით მოჰყვებოდა თავის საგმირო საქმეებს, ფიცით იჭაჭებოდა, მოწმეს იშველიებდა, დასისხლიანებული ჩოხის კალთებზე უთითებდა, ხედავთ, რამდენჯერ მომიხდა ჩემი ხმალის გაწმენდაო. საღუნა ფიცით ჩასწურულვდა ბესიკს, ჩემი თვალთ დავინახე, რომ გოგია აბაშიძემ ვილაცას მიერ მოკლულ მტრის ჯარისკაცის სისხლში სვრიდა ხმალს და ახლა ყურები წაგვაჭამა ყვირილით, ათი კაცი მოვკალიო.

ბესიკს განზრახული ჰქონდა თავის სახოტბო ლექსში ნამდვილი გმირები მოეხსენებია, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. თუ ამ პოემას სანადიმო სუფრაზე საზეიმოდ წაიკითხავდა და გმირებად არ მოიხსენებდა უპირველეს წარჩინებულებს, ამით მათ მტრად მოიცილებდა. იმიტომ ის იძულებული იყო პირველ გმირად თვით მეფე მოეხსენებინა, შემდეგ კაცია დადიანი, მისი ძმა გიორგი, ამათ მოჰყვინენ თანამიმდევრობით პაპუნა წერეთელი, გიორგი წულუკიძე, რომელსაც მართლა განეცვიფრებინა ყველანი თავისი გმირობით, ელიზბარ ერისთავი და ყველაზე ბოლოს თავადი ჩიჩუა, რომელზედაც ბევრი ამბობდა, ამის ბადალი მებრძოლი და წინამძღოლი თავისი რაზმისა ჩვენ არ გვინახავსო.

შეიძლება ბესიკს დანარჩენებიც მოეხსენებინა ამ სახოტბო სიმღერაში, მაგრამ არ დააცალეს. მეფეს ებრძანებინა, გავიგე, ბესიკი აღწერს რუხთან მომხდარ ბრძოლას და ჩვენ მოუთმენლად მოველით სახელოვანი მგოსნის ლექსთა მოსმენასო. მეფეს უნდოდა თავი მოეწონებინა, ყველასათვის ეჩვენებინა, რომ მის კარზე ასეთი უბაღლო მგოსანი იღწვოდა და გაეკვირვებინა თავისი ქვეშევრდომნი, განსაკუთრებით გურიისა და სამეგრელოს მთავრები. ამიტომ ბესიკი იძულებული გახდა, რაც დაწერა, იმით დაემყოფილებულიყო. დაუყოვნებლივ გამოცხადდა ნადიმზე და ნაწერი რეგული გადაშალა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ადამიანი ბუზის გაფრენას გაიგონებდა. ბესიკისადმი მსმენელთა განსაკუთრებულ მოწიწებას აძლიერებდა ისიც, რომ ის ზეპირად კი არ ლაპარაკობდა, არამედ კითხულობდა. თანაც ამ სახოტბო ლექსს ბესიკმა შესავალად ის წინათქმა წაუხმდევარა, რომელიც მან სააღდგომოდ წარმოთქვა ქუთაისში. მართალია, როგორც მაშინ, ახლაც ვერაფერი ვერ გაიგეს მსმენელებმა ამ წინათქმიდან, მაგრამ შთაბეჭდილება უფრო მეტი იყო. ყველას ისე ეჭირა თავი, ვითომ ყოველივე ესმოდა და აღტაცებით უსმენდა მგოსნის ამ ბუნდოვან და გაუგებარ მჭევრმეტყველებას.

„...და რამეთუ ძეცა მისი, – ზვიადად და მჭექარედ კითხულობდა ბესიკი, – ბრძენი იგი, სახელსაზე სიბრძნისა და თანამძღვანელი, შენთვის დღეს ხელჰყოფს შენისავე შესხმისა აფთრათისა წერად. კალამიმხებელი თუმბუთურისა თანად მელნისა“...

ასევე ვერ გაიგეს შესავალი ტაეპი, თუმცა ის უფრო ნათლად იყო დაწერილი. მაგრამ შემდეგ, როდესაც ბესიკი გადავიდა ამბის აღწერაზე, სადაც ყველაფერი თუ მაინცდამაინც ისე გასაგები არ იყო, რალაცის გაგება შეიძლებოდა, ყველას გულზე მოეშვა და სიამოვნებით სახე გაეხადრა.

„ოდეს ვისცა ეშმა ბრძოდეს, მუნ იცნობის კაცი კაცად.

– უდავოა, სიმართლეა, – დაემოწმა კაცია დადიანი ბესიკს და სოლომონს გადახედა. მან კი ანიშნა ხელს ნუ უშლიო.

ოდეს ვინ სძლოს ძალსა მძლავრსა, ჯილდო უძღვინ ქცევა

და ცად.

დიდთა მღობთა საქმე – ცუდთა ბრძენი უწმიდს

არ – მამაცად,

და მამასადმე, ჯერია და სიმდაბლე გვიჩნს ხელსატაცად“.

კაციას აქაც უნდა ეთქვა, რომ მგოსანი უდავო ბრძნულ ჭეშმარიტებას ღალადებსო, მაგრამ, როდესაც სოლომონს შეხედა, დაინახა რომ ის დაძაბული ყურადღებით უსმენდა პოეტს და გადაიფიქრა. ბესიკი კი განაგრძობდა:

„მართ ჰგვანდა ნდომა აფხაზთა და ცუდნი გამორჩევანი.
ბეჭირბეგს ასტეხს ქელეშ-ბეგ და ზურაბს ასტეხს ლევანი.
ოთხივე ძმანი შეითქვნეს, შარვაშის-ძენი მძლევეანი,
და დესპანთა ფრენით მოიხმეს ლაშქარნი ქვეყნის მგრევანი“.

– მაგას სწორს არ ბრძანებ, ვერაფერი ქვეყნის დამანგრეველი ჯარი ყოფილა, კუდით ქვა ვასროლიეთ, – დაურიდებლად შეაწყვეტინა გოგია აბაშიძემ. ის შურით გულზე სკდებოდა, რომ მეფის, მთავრებისა და დიდებულთა ყურადღება ბესიკს ასე მიეპყრო.

– აბა, მაშ შენი ჭკუით, თხებთან გვივაჟაკცნია, – გადაუბრიალა თვალები სოლომონმა. აბაშიძემ ენაზე იკბინა და ბოდიში მოიხადა: მე მაგ აზრით არ მომიხსენებიაო.

– რომ გვაცლიდე, ის აჯობებს, თუ არ გინდა უღვაში ავიწიო, – ნახევრად ხუმრობით უთხრა მეფემ და შეძღვე ბესიკს მიუბრუნდა: – განაგრძე.

„მოკრბა დას-დასად, მწყობრ ბევრ ათასად შარვაშის-ძეთა
ეზო-კარებსა:
ვინ იდგეს შორად ანუ მთავორად, ფარ-ხმალიანად ვლეს
მათს არებსა,
ჯაჭვ-თოროსანნი, ისარ ფრთოსანნი სიმრავლით სცემდნენ
თვალთა ზარებსა
და აღთქმულნი ქრთამით ვლიდენცა ღამით ვეჭვ,
იმზადებდნენ სასამარესა!“

მეფემ კმაყოფილად გადაინარხარა, დანარჩენებმაც ხათრით ასტეხეს ერთი სიცილ-ხარხარი, თუმცა ბევრს არც კი ესმოდა, რაზე იცინოდა სოლომონი. ისინი არ იყვნენ შეჩვეულნი რთული ფორმის ლექსების მოსმენას და, თუკი მათი ყური ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებულს ისმენდა, კარგა ხანი უნდა გასულიყო, ან საგანგებო განმარტება იყო საჭირო, რომ რომელიმე მათგანს წარმოთქმულის შინაარსი გაეგო. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ბუნებით არ შეეძლო ლექსის მოსმენა და ისინი სიამოვნების ნაცვლად თავის ტკივილსა და გულისრევას გრძნობდნენ. ამიტომ ახლა ამ გაჭიანურებული და გაუგებარი ლექსის კითხვის სმენა მათთვის ნამდვილი წამება იყო, მაგრამ იძულებული იყვნენ მოთმინებით დაეგდოთ ყური ბესიკისათვის და ხანდახან სხვათა გასაგონად აღტაცებაც კი გამოეთქვათ, ხოლო თუ მეფე გამოხატავდა ან მოწონებას, აღფრთოვანებას, ან კიდევ გაიცინებდა, მაშინ ხომ სულ გიჟდებოდნენ.

„ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კეპურგელთ ამცნეს ცნობითა,
ყივჩალთა შემოიწვედნენ, ინდობდნენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევე ძღვობითა,
და მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითა“.

კაცთამ მკერდზე მუშტი შემოირტყა და თავი გადააქან-გადმოაქანა. მეგრელებმა თავის მთავარს მიბაძეს და ყველას აღმოხდა: „ოჰ! ოჰ!“

პოემა თანდათან გასაგები ხდებოდა და მსმენელები ნელ-ნელა შევიდნენ მოსმენის ეშხში. მართალია, აქა-იქ კიდევ ბევრი იტანჯებოდა და გუნებაში ნატრობდა, ნეტავი ისეთ ბედნიერებას გვალირსებდეს ეს მგოსანი, რომ მალე დაამთავრებდეს თავის ლექსსო, მაგრამ გარეგნულად მათ არაფერი არ ემჩნეოდათ. მარტო ღვინისაგან გაბრუნებული შორაპნის ცინისთავი ოტია მაჭავარიანი უთავბოლოდ აცეცებდა თავის გადმოქარულ თვალებს, სულელურად იდიმებოდა და ხანგამოშვებით ქოსმენივით ხვნეშოდა.

ხოტბის პირველი თავი შეიცავდა შერვაშიძეთა ამხედრებისა, დადიანის მიერ იმერთა მეფესთან მოციქულების წარგზავნისა, სოლომონის სალაშქროდ წასვლისა და რუსთან დაბანაკების ამბავს. მეორე თავში ნაამბობი იყო უჩარდიას წარმოგზავნა, ვერაგულად ზარბაზნის სროლა შერვაშიძეთა მიერ და ბრძოლის დაწყება. შემდეგ ამ თავში ჩამოთვლილი იყო ცალკეულ პირთა გმირობანი. პირველად შექებული იყო მეფე, რომელიც ბექირბეგს შეხვედროდა პირდაპირ ბრძოლაში, მისგან ნასროლი ისარი ხმლით აეცდინა და დადევნებოდა, მაგრამ ამ მამაც მთავარს მეფესთან ბრძოლისათვის თავი აერიდებინა, უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო დანარჩენებსაც მათთვის მიებაძათ და:

„რა ნახეს მეფე მიჭრილი, გულსა შეაქნეს ბაბანი,
დაყარნეს ყოვლი სახმარნი, გზა ძიეს გასასწრაფანი,
ლეკურსა დრო ხელა, მოჰკაფდა, ვით ნახა ზურგი ჯაბანი,
ჰაერსა შიგან ფრინვიდა ხმალი სისხლითა ნაბანი“.

ამის შემდეგ მიყოლებულ ტაეპებში აწერილი იყო, თუ ზოდიაქოს ვარსკვლავდნი როგორ იფარავდნენ მეფეს, რომელიც მარტოდმარტო შეჭრილიყო მტრის რიგებში, მუსრს ავლებდა მათ და როგორ რისხვად ატყდებოდა მათ თორმეტი ცისა ზოდი აგარიანთა რიგებს.

აქაც ვერაფერი გაიგეს მსმენელებმა, მაგრამ მალე ბესიკი იმ ტაეპთა კითხვას შეუდგა, სადაც მოხსენებული იყო ჯერ კაცია დადიანის და შემდეგ მისი ძმის გიორგის სახელოვანი ბრძოლა.

მსმენელები უცხად გამოცოცხლდნენ.,

„ეთერისა ცეცხლსა მგვანი, ქების ღირსი დადიანი,
სახელ კაცი, საქმე-ბრძენი, ხმალ-ძლიერად ვადიანი,
ვით მზე ლომსა ზურგსა მჯდომი, გმირთან გამოცხადიანი,
გვართ მაგვართ განახარჯი ქებათ დაუზადიანი“.
„ხმა ლომის გვარად მიმზრახი მისჩეხდის, იტყვის ამასო,
ათი ათასთა დაფრეწო – ვითლა შემიცდი სამასო!“.

ჩიქოვანებს და ფალავებს აღტაცების კვნესა აღმოხდათ:

- აუიჰ!
- დიდებული ნათქვამია!
- არ ეკუთვნის თუ!

მალე ბესიკმა გიორგი დადიანი ახსენა, შეამკო მისი გმირობა და შემდეგ პაპუნა წერეთლის ქება-დიდებას შეუდგა:

„აწ შენი მსურს ქების კონვა, ვინ სარდლობდი, წერეთელო,
მაშინ ჰგავდი მეხთა ტეხვას, ჯგუფთა, რაზმთა განბნეველო,
ელვის სახელ მტერთა თვალის დამხუჭებო, შემზარველო,
გმირის ხმათა დამქუხებო, თხემთა ტვინის დამთხვეველო“.

პაპუნა დამაბული ყურადღებით უსმენდა და გუნებაში იმეორებდა: „ვამ შენი ბრალი, თუ ბერი წულუკიძესაც ასე დაუწყე ქება. აღარვინ არ დაიჯერებს მაგ შენი ლამაზი სიტყვების სიმართლეს. იმაზე ნურაფერს იტყვი და მე თუ გინდა მლანძღე“.

ბესიკმა კი ლექსს სახოტბო სიტყვა მიაცილა:

– შეჰგვანდა მაშინ შენისა ლომთალომისა მამისა მსგავსება ოდეს მეფისაგან მარტოდ ჭირსა და შიგან შესვლა მოიხილე, და ვითა, ჩვეულებისა გვარი გაწვევდა, უხილავი ცეცხლი

ეგრეცა მოგეხვია ერთგულსა გულსა ზედან. ამისათვის თურმე უთქვამთ „კარგისა პატიოსნისა წინაშე საამოა ყმისა სიკვდილიო!“ შენ თუმცა არა გვითხარ ჭირი შენი, ჩვენ ეგრეცა ლხინად შემცველთა, გაიბოთ ვალი თქვენისა გარჯილობისა მოკლედ მრავლისა წარმწერელთა:

„შაბაშ, შაბაშ, შენდა! ვაშა! თუმც შეგამკე ვერა დია,
შენი გვესმა მცირე ცეცხლი დიდთა ხეთა მწველადია:
ისპად მსროლი თოფისა და ლეკურის ხარ ბელადია
და ბრძენთა ენამ ოდეს გაქონ ყოვლთვის შესაფერადია“.

– ჭეშმარიტად, – დაიძახა სოლომონმა, – ჭეშმარიტად ქებისა ღირსი ხარ და შენს ამაგს არასოდეს დავივიწყებ, წერეთელო!

პაპუნას სიამოვნებით სახე გაეხადრა. ის ფიცხლად წამოიჭრა ზეზე, მეფეს თავი მდაბლად დაუკრა და მოახსენა:

– არა ღირს ვარ, მეფეო!

ბესიკმა ცოტა შეისვენა და, როდესაც მსმენელებმა კვლავ მიაპყრეს ყურადღება, კითხვა განაგრძო. ახლა გიორგი წულუკიძე შეაქო.

მონადიმეთა ყურადღება თანდათან დაიძახა, რადგან ბესიკის ხელში ნაწერი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და ყველა გულის კანკალით ელოდებოდა, აბა მეც მომიხსენებს თუ არაო. ბესიკმა ბევრს მართლაც აღარ გაუმართლა მოლოდინი და ელიზბარ ერისთავის შექების შემდეგ მან მხოლოდ ჩიჩუას მიუძღვნა ბოლო სტრიქონები და ამით დაასრულა სახოტბო პოემის კითხვა.

– ჭეშმარიტად რუსთველის შემდეგ არა მსმენია ასე საამო შაირი, – უთხრა კაცამ მეფეს, – მართალია, ბედნიერი ხარ, მეფეე, რომ შენს სამეფო კარზე მოსულა ასეთი ბრძენი ოქროპირი. იმ ჩემი მოყვარე სიძე ბატონის ერეკლეს საქმე მაკვირვებს, ამას როგორ მოვიშორებდი და დავსჯიდი.

პაპუნა წერეთელმა რაღაც ჩასჩურჩულა მეფეს. სოლომონი უსმენდა და ცალ წარბს ათამაშებდა, შემდეგ დავით კვინიხიძეს მოუბრუნდა და უბრძანა:

– ებოძოს ჩვენს მდივანმწიგნობარს ბესარიონ გაბაშვილს თავადობის ხარისხი და მამული ქუთაისს, ქალაქის სამხრეთით – გორა და სახნავი ოლასყურამდე, რაჭაში – ტოლასა და ბუგეულს – სავენახოები, ხვამლს – საბალახონი და ჭომას ტყე საშემედ.

* * *

ტკბილი შემოდგომა შეპაროდა ზემო იმერეთის მთა-გორებს. სისხლისფრად გადაწითლებულიყო თრიმლით დაფარული კლდეები და ფერად ხალიჩასავით აჭრელებულიყვნენ ტყეები.

აგერ ხუთ თვეზე მეტი იყო, რაც ანას ბესიკი არ ენახა. როგორც კი სოლომონმა მაისის დამლევს თავისი ჯარები დადიანის დასახმარებლად წაიყვანა, ანა მაშინვე დაუბრუნდა თავის სოფელ წირქვალს და მთელი ზაფხული იქ გაატარა. ჯერ უნდოდა თავისი ქმარი მეფისათვის დაედევნებია, მაგრამ მერე იფიქრა, ვაი თუ არჩილ ბატონიშვილს არ ესიამოვნოს ჩემი ქმრის მეფესთან ხლებაო და გადაიფიქრა. ქმარი არც კი აწუხებდა. რატომღაც მას მიწის მუშაობა შეეყვარებოდა. ჯერ ზვნა-თესვა ესწავლა, მერე თონხა და დილიდან საღამომდე ყანაში იყო. გლეხები ზრახავდნენ, არ ეკადრება სამეფო გვარის წარმომადგენელს ხელში თონხის დაჭერაო, მაგრამ თანაც ეხალისებოდათ მისი ცქერა, ჩუმჩუმად სიცილით იჭაჭებოდნენ...

ანა კითხვით და საქარგავით ებრძოდა მოწყენას. ხანდახან საჩხერეში გაისეირნებდა და წერეთლის ქალებში ჭორებით იბერებოდა. ბავშვის დარდი არ აწუხებდა, რადგან ის ძიძასთან იზრდებოდა და ხანდახან თუ ინახულებდა.

ანას ბესიკის ნახვა სურდა და მოუთმენლად მოელოდა ლაშქრობიდან მის დაბრუნებას. იმედი ჰქონდა, რომ ის აუცილებლად ინახულებდა და თუნდაც რამდენიმე დღეს დარჩებოდა მასთან სტუმრად.

ლაშქრობა დამთავრდა. პაპუნა წერეთელმა თავისი მამული მოიარა და გზად ანაც ინახულა. უამბო ყოველივე, რაც გადახლოდა და მაშინ გაიგო ანამ, რომ ბესიკს თავადობის წოდება მიეღო.

გავიდა ზაფხული, მოიპარა შემოდგომა და ბესიკი კვლავ არ ჩანდა. არც დედოფალი გულქანი უთვლიდა ანას, ქუთაისში მესტუმრეო. მას შემდეგ, რაც სოლომონმა არჩილ ბატონიშვილის ვაჟი დავითი იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, გულქანისათვის უხერხული იყო ანას მიწვევა და ამიტომ ვეღარც ეს ბედავდა დაუპატიჟებლად წასვლას.

ასე მიდიოდა დრო და ანას უკვე საბოლოოდ დაჰკარგვოდა იმედი – ამ შემოდგომას და ზამთარსაც, ალბათ, არ მეღირსება ბესიკის ნახვას, როდესაც ერთ საღამოს მისი სასახლის დიდ ჭიშკართან ატყდა ნაგაზების ყეფა და ეზოში მდიდრულად ჩაცმული ლამაზი მხედარი შემოვირითდა.

ანამ იცნო ბესიკი და, თუმცა წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა გაბუტვოდა, ყოველივე დაავიწყდა და აღტაცებით შეეგება.

– ბესიკ! შე ხეკაკუნა, შენა! არ შემოუშვათ ეგ საზიზღარი, გააგდეთ აქედან, – სიცილით იძახდა ანა და შესაგებებლად გარბოდა.

– ვინ ბესიკია? – იკითხა ანას ქმარმა დავითმა და უჯიშო ნაგაზით გაბანჯგლული გაუპარსავი თავი კარებში გამოჰყო, – ოჰ! შენ ხარ? გამარჯობა შენი. გავიგე, თავადობა უბოძებიათ, მომილოცავს.

ბესიკს გაუკვირდა ბატონიშვილის ასე დალაგებული ლაპარაკი, მოწიწებით მიესალმა და ყველანი სახლში შევიდნენ.

მალე სამივენი აგუზგუზებულ ბუხართან ისხდნენ და ბესიკი დაწვრილებით უამბობდა ანას თავის თავგადასავალს.

– გავიგე, შერვაშიძენი ძალზე დაგიმარცხებიათ, – უთხრა ანამ.

ბესიკმა მწარედ ჩაიციხა.

– ჰმ! იმასაც მოვესწარ, რომ ძმათა სისხლისღვრაში ვერიე. დადიანმა მოგვიხმო, მიშველეთ, შერვაშიძეები დამესხნო. ჩვენც მივეშველეთ. მერე ორი კვირა არ გასულა, რაც ჩვენ ომიდან დავბრუნდით და უარესი შევიტყვეთ. ახლა შერვაშიძეები აშლოდნენ ერთმანეთს და გუშინდელი მტერი ზურაბ შერვაშიძე მოსულა დადიანთან და უთხოვნია, მომეშველე ქელაიშბეგის წინააღმდეგო. დადიანი, ცხადია, მიშველებია. ჯარები მოუგროვებია, ერთად წასულან და მთელი ზემო აფხაზეთი მოუწვათ, მოუოხრებიათ, მიდგომიან ცხომის ციხეს და გიორგი დადიანს ეს ციხეც აუღია. ქალაქი დაუწვავთ, ქელაიშბეგს, ამბობენ, ხომალდზე აუსწრია და მგონი თურქეთში გაქცეულა. ახლა ზურაბი და კაცია დადიანი დამზახლებულან. კაციას ვაჟს მანუჩარს ზურაბ შერვაშიძის ასული რუსუდანი ცოლად შეურთავს.

– იქნებ ახლა მაინც დამშვიდდნენ.

ბესიკმა ხელი ჩაიქნია.

– რა დაამშვიდებთ. ახლა ქელაიშბეგი მოიყვანს თურქეთიდან ჯარებს და ყოველივე თავიდან დაიწყება.

– ოჰ, როგორ გამეხარდა, რომ შენტვის მეფეს თავადობა უბოძებია. – უთხრა ანამ.

– თავადობა! – მწარედ გაელიმა ბესიკს. – სიტყვით მიბოძა, მაგრამ საქმით ჯერ ვერაფერს ვხედავ.

– რატომ?

– რატომ! – კვლავ ჩაიცინა ბესიკმა, – მოლა ნასრედინის არაკისა არ იყოს, სწორედ ის შემემთხვა. ერთხელ თურმე მოლასთან ვიდაც კაცი მოვიდა და ქება-დიდებათ თავი გაუსივა. ნასიამოვნებმა მოლამ უთხრა, ხვალ დილას მოდი ჩემთან, ას თუმანს გაჩუქებო. მაქებარს გაეხარდა და მეორე დღით აღრიანად ეწვია დანაპირების მისაღებად. გოცეხულმა მოლამ ერდოდან გადმოხედა სტუმარს და ჰკითხა, რისთვის მოსულხარო. იმ ასი თუმნის მისაღებად მოვედი, შენ რომ დაპირდიო. მერე რისთვის დაგპირდი იმ ას თუმანსო, კვლავ ჰკითხა მოლამ. აი ჩემი საუბრით რომ გაამეო. ჰოო, მე კიდევ შეპირებით ვაამე და ასე რომ ბარიბარს ვართო. სწორედ ასეა ჩემი საქმე. მე ჩემი ლექსებით ვაამე მეფეს, იმან კიდევ თავადობის შეპირებით მაამა.

– ვერა გამიგია რა. ხომ გიბოძა თავადობა, განა მეფის სიტყვას ძალა აღარა აქვს.

– წყალობით მიწყალობა, მაგრამ, რაც თავისი სიტყვით მაძულეები ჩამოთვალა, სულ სადავო აღმოჩნდა. ჩემამდე სამს უწყალობა თავადობა და სადაც კი თავისუფალი ადგილ-მაძული იყო, იმათ ჩამოირიგეს. ახლა, სანამ სადმე მაძულეები არ გამოჩნდება, ისე რა ფასი აქვს ცარიელი წოდების მინიჭებას. სიგელი ჯერ არც კი უბოძებია.

– არ უბოძებია? რისთვის?

– იმისათვის, რომ ჯერ მაძულეები უნდა გამოინახოს და სიგელი მერე დაიწეროს, თორემ თუ მაძულეები არ იქნა, შიგ რას ჩასწერენ. მაძულეების საქმეს ბერი წულუკიძე განაგებს და ის ჩემზე, ვატყობ, ნაწყენი უნდა იყოს, ამიტომ არ ჩქარობს. ოჰ, რომ იცოდე, დედოფალო, რამდენი ცოდვა ტრიალებს სამეფო კარზე და სად არის ჩვენი ხსნა. მე არც თავადობის მიღება მახარებს და არც მაძულეების დამტკიცება. ყველგან შური, ყველგან მტრობა. და მე ძალზე ვწუხვარ, რომ ბედმა საქართველოს ამ დაკნინების ჟამს მარგუნა ცხოვრება. როდის უნდა აღდგეს ჩვენი ქვეყანა ძველ სიდიადემდე?

ბესიკმა მიმოიხედა და ხმას დაუწია.

– არავინ გვისმენდეს, თორემ ეს ჩემი სიტყვები სოლომონმა რომ გაიგოს, ანძუხზე დამკიდებს.

– ნუ გეშინია, ჩემს მეტი აქ არავინ არის, – დაამშვიდა ანამ.

– ეგ ძალიან კარგია, თუ აგრეა, – კიდევ უფრო დაუწია ხმას ბესიკმა. – მე აქ დიდი საქმისათვის მოვსულვარ და ორთავემ ყური მიგდეთ.

ცოლი და ქმარი ყურადღებად იქცნენ.

– პაპუნამ დამავალა გაცნობით, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრეობას თქვენ გარგუნებთო. ანას აღტაცებისაგან ლოყები აეტკიცა.

– ჯერ რა დროს მაგაზე ლაპარაკია, – უთხრა მან ბესიკს. – მეფე ჯანმრთელად ბრძანდება...

– ჯანმრთელადო! აბა რას ბრძანებთ, დედოფალო, – შეაწყვეტინა ბესიკმა, – ამ ბოლო დროს რამდენჯერმე ისე მოუარა ბნედამ, თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა. რუსებმა, მართალია, გამოუგზავნეს ლეკარი, მაგრამ ის ვერაფერს შეეღის და, პირიქით, ჩუმად ყველა დაგვარწმუნა, მეფეს დიდი დღე არ უწერიაო.

– მერე, – აღელვებისაგან ანას ენა ებმოდა, – მართო პაპუნა რას განდება, თუ სხვები არ დაეხმარნენ?

– პაპუნას ელიზბარ ერისთავი ემხრობა, ფიცისკაცებიც მის მხარეზე იქნებოდნენ. გარდა ამისა, დადიანსაც უთქვამს, მემკვიდრეობა დავით გიორგის-ძეს უფრო ეკუთვნოდა, ნამდვილი და კანონიერი მემკვიდრე ის ბრძანდებაო.

– ოჰ, ღმერთო, ნუთუ დედოფალი გავხდები? – აღმოხდა ანას.

– რატომ არ უნდა გახდე, არ გეკუთვნის თუ? – უთხრა ქმარმა ანას.

– შენ არსად თქვა ეს ამბავი, – მწყრაღად გადახედა დავითს ანამ, – თორემ ტახტს კი არა, ნაცარცხელს არავინ გაღირსებს. ისე იყავ, ვითომ არაფერიც არ იცი. გაიგე?

– გავიგე, რატომ არ გავიგე?

– ჰოდა ასე. კრინტი არავისთან დაძრა.

– ვიცი, ვიცი, და ამ კაცს ვახშამი ვაჭამოთ, დალლილია და ნამგზავრი.

ანამ უბრძანა მოახლეს სუფრა გაეშალათ და ნავახშმევეს ბესიკს პატარა ფიცრულ ოთახში მოუსვენეს.

მეორე დღეს ბატონიშვილმა ბესიკი სანადიროდ მოიწვია, მაგრამ ანამ ქმარს ურჩია, სტუმარს საკუთარი ნანადირევით გამასპინძლებოდა, რადგან მეზავრობით დალლილ ბესიკისათვის დაუხანებლად ტყე-ღრეში ხეტიალი ვერაფერი სიამოვნება იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ბატონიშვილი საწალიკისკენ აპირებდა წასვლას ირმებზე სანადიროდ და, ალბათ, მთელი ერთი კვირა თოვლიან ქედებზე მოუხდებოდა რბენა. ბატონიშვილი დაეთანხმა და თავის მსახურთა თანხლებით გაემგზავრა სანადიროდ. ანამ კი ბესიკს უთხრა, მოდი მღვიმევის მონასტერში ჩავიდეთ და წირვა მოვისმინოთ, თანაც გზად ძიძასთან გავიაროთ და ჩემი შვილი მოვინახულოთო.

ბესიკი დაეთანხმა, თუმცა მღვიმევის მონასტრის ხსენებამ მწარე მოგონებები აუშალა.

ორივენი ცხენებზე შესხდნენ და თავქვე დაემუნენ. ანას სახლიდან მონასტერი არც ისე შორს იყო და ამიტომ ორთავეს წყნარი ნაბიჯით მიჰყავდათ ცხენები. თბილი მზიანი დღე იდგა, ხეებიდან უხვად ცვივოდა ყვითელი ფოთლები და ფრიალ ფარფატით ეფინებოდა მიდამოს. მალე ორთავენი თხილისა და ზღმარტლის ბუჩქებში შევიდნენ. ნახევრად ფოთოლგაცვივულ თხილის ბუჩქებს ბროწი ნაყოფი მრავლად შერჩენოდა ტოტებზე და ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა, რომ ბესიკმა ვეღარ მოითმინა და ცხენიდან ჩამოხტა. ანამაც მიბაძა და ორივემ ხალისიანად დაუწყეს კრეფა თხილს. ანა ზღმარტლის ბუჩქს წააწყდა. ბუჩქს მწიფე ნაყოფით ტოტები მთლად დახუძმლოდა. მისწვდა, რამდენიმე ცალი მოწყვიტა, ბესიკს მიუახლოვდა, ყველაზე კარგი ზღმარტლი აარჩია, ჯერ თვითონ მიიღო ტუჩზე, თითქოს ეამბორა, მერე ბესიკს მიადო ტუჩებზე.

– ჭამე, – უბრძანა მან ბესიკს, – როდესაც დაინახა, რომ ის გაკვირვებული უცქეროდა და პირი მოეკუმა.

– ესე არს ხე კეთილისა და ბოროტისა? – გაიცინა ბესიკმა.

ფოთლები კვლავ ფარფატებდნენ ჰაერში და ფეხებში ჩაფენილ ნეშოს შრიალი გაჰქონდა.

* * *

მოლით გადამწვანებულ კორდზე ფეხშიშველა გოგონები ბატებს მწყემსავდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ. სამს ბალახზე მოეკეცნა და კენჭაობა გაეჩაღებია, მეოთხე, ყველაზე უმცროსი, ფეხზე იდგა და მათ თამაშს თვალს ადევნებდა. ხანდახან მოთამაშეები რიგრიგობით ასძახებდნენ მორივე გოგონას:

– ე, გოო, ბატებს მიხედე.

– ე, გოო, შე სასიკვდილე, გამორეკე აქეთ, მერე შენც გათამაშებთ.

ბატები კი უდარდელად წიწკნიდნენ ბალახს, ხან მარჯვნიდან უმარჯვებდნენ ნისკარტს, ხან მარცხნიდან, თან არხეინად მუსაიფობდნენ თავიანთ ბატურ ენაზე. მერე ერთბაშად ატეხეს უცნაური ყვირილი და ფრთების ტკაცუნი. დაფეთებულმა გოგონებმა თამაშს თავი ანებეს და ხეზე წამოცვივდნენ.

– რა მოუვიდათ მათ უგამჩენობეს, – თქვა ერთმა მათგანმა, შესახედავად ყველაზე უფროსმა და ამ დროს თვალი მოჰკრა ბეჭობზე მომავალ ორ ცხენოსანს. თავდაღმართში მათ ცხენები ნელი ნაბიჯით მოჰყავდათ.

– უი, დედოფალი მობრძანდება! – წამოიძახა მან და თავგამეტებით დაეშვა ქვემოთ. ეტყობოდა, შინაურებისაგან ის წინასწარ გაფრთხილებული იყო, ვინიცოცხა თვალი მოჰკრა აქეთ მომავალ ბატონიშვილს და მის მეუღლეს, მაშინვე გვაცნობო.

გოგონამ ფეხის უცნაური ტყაპუნით ჩაირბინა თავდაღმართი და შერგო თუ არა თავი ორღობეში, შორიდანვე გასძახა:

– მოდიან, მოდიან.

ამ პატარა უბანზე სულ ხუთიოდე მოსახლე მოჩანდა. ესენი მოგვარე გლეხები იყვნენ, ერთმანეთისაგან განაყოფი ძმები, ბიძები და ბიძაშვილები. ყოველ მოსახლეს, კრამიტით ან ისლით გადახურული ძეღური სახლის გარდა, ცალკე ედგა სკივრით პატარა ბედელი, იელის წვრილი ტოტებით ლამაზად დაწული სასიმიინდე და წალმით გადახურული მარანი. შემორაგულ საჩხთან ზოგს საბძელიც კი წამოემართა.

გოგონას ძახილზე ატყდა ერთი ფუსფუსი. ყოველი სახლიდან გამოვიდნენ თავსაფრიანი ქალები და ტანსაცმლის სწორებით სტუმრების შესაგებებლად გაემართნენ. აქა-იქ ყავარჯენზე დაყრდნობილმა მოხუცებულებმაც გამოიხედეს.

ერთ-ერთი, ყველაზე კარგი სახლიდან, სადაც ცხადი იყო ძიძა ცხოვრობდა, გოგონებმა ფარდავი გამოარბენინეს და კაკლის ძირას გაფინეს. ყავარჯენზე იღლით ჩამოყრდნობილი პაპა აბესალომი განკარგულებებს იძლეოდა:

– ბაბუა, სკამები გამოიტანეთ, შვილო, სკამები. – მერე თვალი მოჰკრა ეზოში შემომავალ ქალებით გარშემორტყმულ სტუმრებს და ფუსფუსით გასძახა: – არიქა, გოგიტა, ანგია, ცხენები ჩამოართვით სტუმრებს, ცხენები.

ძიძას, ოჯახის ახალგაზრდა რძალს, რომელიც ეზოში მოფუსფუსე გოგონებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გრძელი კაბა ეცვა და კავებიან თავს ლეჩაქი უმშვენებდა, აკვანი აედლიავებინა და ეზოში გამოჰქონდა. მან აკვანი ხალიჩაზე დადგა და ანას მოწიწებით შეეგება.

ანამ შორიდანვე გასძახა:

– როგორაა, გულჩინავ, ჩემი ვაჟკაცი?

– შენ კი გენაცვალე, დედოფალო, ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეა, – უპასუხა გულჩინამ, ანას კაბის კალთაზე ეამბორა და აკვანისაკენ წამოუძღვა. ქალები მორიდებულად შორიასლოს შეჩერდნენ.

მოხუცმა აბესალომმა ბესიკს ხელით სკამზე ანიშნა:

– აქეთ მობრძანდი, შენი ჭირიმე, აგერ დაბრძანდი.

ბესიკი ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა ეზო-გარემოს, სახლებს, ფარდულში გამართულ საქსოვ დაზგებს. ერთზე შალი იყო გადაჭიმული, მეორეზე აბრეშუმი.

მოხუცს, ეტყობოდა, საუბარი ენატრებოდა და უცხო სტუმარს თვალს არ აშორებდა.

– შენ, ახლა, ქალაქში ნაქსოვ დარაიასთან და საჩოხე შალთან ჩვენებური ჯვალო და ხამი კი არ მოგეწონება, მარა ეს ჩვენი ქალები ქე ქსოვენ პატარ-პატარას, – ღიმილით უთხრა მოხუცმა ბესიკს, – რაღაი ამ ჩვენმა მეფე სოლომონმა თათარს ფეხი ამოაკვითინა ჩვენი მიწიდან, პატარა მოვითქვით სული და იქნება გვეშველოს რამე.

– განა წინათ არ ქსოვდით? – ჰკითხა ბესიკმა.

– იმე, რავა არა, მარა ვინ გვიყენებდა. რაც ბატონს მიქონდა, ხომ მიქონდა, მერე გაგვაწერდნენ, შენი ჭირიმე, თათრის იასაულები – ხონთქარს უნდა მივართვათო და იმისთვის უნდა გვექსოვა. ჩვენთვის ყაჭს თუ დაართავდნენ ჩვენი ქალები, თორემ ისე ვინ შეგვარჩენდა რამეს. მერე, შენი ჭირიმე, ბატონმა რომ თათრის ჯარი ჩხერიმელას ვიწროებში მოიმწყვდია, მაშინ ჯვანზე ვიყავი და მეც ვახლდი მეფეს, რო მოდგა, – მოხუცმა ხმას აუწია და ცოტა წაუწვრილა, – სულ კვანებივით დააყრევია თავები სუყველას. აპა!

ლაპარაკის მოყვარულ მოხუცს კიდევ სურდა განეგრძო თავისი ამბები და ის იყო ყავარჯენი მარცხნიდან მარჯვნივ გადაინაცვლა, ხმის ჩასაწმენდად ჩაახველა და დააპირა წამოეწყო თუ რაც გადახდა მას ჩხერის ომში, რომ ამ დროს ეზოში ანას მოურავი ლევან გამყრელიძე შემოჯირითდა და ეს განზრახვა ჩაუფუშა. მოურავი ცხენიდან ჩამოსტა, სადავისათვის ხელი არ უშვია, საერთო თავისდაკვრით მიესალმა ყველას და პირდაპირ გაეშურა ბატონიშვილის მეუღლისაკენ.

- რა მოხდა, მოურავო, ცუდი ამბავი ხომ არაფერი მოგატქვს?
- ახლავე უნდა წამობრძანდე, ჩემო ბატონო.
- რა ამბავია?

ლევანმა განზე გაიხმო ანა და ლაპარაკი ჩურჩულით განაგრძო. ბესიკს სიტყვები არ ესმოდა და ცდილობდა ანას სახის გამომეტყველებით ან ტუჩების მოძრაობით გაეგო თუ რაში იყო საქმე. მან თითქმის თავიდან ბოლომდე გაიგო ამ საუბრის შინაარსი.

- ვინ ვარო, არ თქვა? – ჰკითხა ანამ მოურავს.
- არა, ბატონო, არ თქვა.
- შენ ვერ იცანი ვინ არის?

– ვერა, შენი ჭირიძე, პირველად ვხედავ. ჩაცმულობაზე რომ შევხედე, ხონთქარის კაცი მეგონა, მარა სუფთა, მწიგნობრული ქართულით რომ დამელაპარაკა, მაშინ ვთქვი, ალბათ, ქართლიდან თუ მობრძანდა-მეთქი.

- წერილი არ გამოგატანა?
- არა, ბატონო, მაგრამ მითხრა, ეს მთავარი ქალბატონსო, – თქვა მოურავმა და უბიძგა ბაღდადის ხელსახოცი ამოიღო, განასკვული ყური გაუხსნა და იქიდან წითლად ამოანათა ცერის სიმსხო ლალის ბეჭედმა.

ასეთი საჩუქარი მხოლოდ მეფეს ან მეფის ტოლ დიდებულს შეეძლო გამოეგზავნა. ანამ დახედა ბეჭედს, მაგრამ ხელი არ ახლო. მოურავს უბრძანა, შეინახეო, და ბიჭებს ხელით ანიშნა, ცხენი მომგვარეთო. მერე ძიძას საჩუქრად თეთრი უწყალობა, ცხენზე შეჯდა და ბესიკისა და მოურავის თანხლებით უკან გაბრუნდა. ზოდის გზის ასაქცევთან ანამ ბოდიში მოიხადა ბესიკთან, სთხოვა, შინ მიდი და დამელოდეო, თვითონ კი მოურავს მიჰყვა. ორივემ ვიწრო ბილიკებით აიარეს საკმაოდ მაღალი ფერდობი და კლდის ქიმზე აგებულ დულაბით ნაშენ გოდოლს მიადგნენ. გოდოლთან სამი უცხოედი ჩაცმული მამაკაცი ჩამომჯდარიყო. სამთავე თავით ფეხამდე იყო შეიარაღებული. ანას დანახვისთანავე ისინი ფეხზე წამოიჭრნენ, ჯერ თავმდაბლად მიესალმნენ, შემდეგ ერთმა ცხენი ჩამოართვა, ხოლო ორი გოდოლის კართან დადგა და ანას თავაზიანად ანიშნეს, კოშკში მიბრძანდითო. მოურავი გარეთ დარჩა.

დღის სინათლეზე შეჩვეული თვალთ ანამ გოდოლში პირველად ვერაფერი ვერ გაარჩია. მის წინ აილანდა ვიღაც ახოვანი ვაჟკაცი, რომელიც ჯერ ფეხზე წამოიჭრა, შემდეგ მის წინაშე მუხლებზე დაემხო, შუბლით იატაკს შეეხო და კარგა ხანს იყო ასე გაქვავებული.

– მადლობა ალლაჰს და ჩემ ქრისტე ღმერთს... – ყრუდ დაიწყო უცნობმა, მაგრამ ანამ მაშინვე იცნო, რომ მის წინ დამხობილი მამაკაცი იყო ქელაიშბეგ შერვაშიძე.

ეს სტუმრობა აფხაზეთის მთავრისა ანასათვის სრულიად მოულოდნელი იყო. მართალია, როდესაც მათ პირველად გაიცნეს ერთმანეთი ქუთაისში, ძალიან დაასლოვდნენ და ქელაიშბეგმა ტროფობაც კი გაუმჟღავნა უფლისწულის მეუღლეს, მაგრამ ანამ შესძლო თავისი გრძნობების დაფარვა და ამ მომხიბლავ ვაჟკაცს აგრძნობინა, რომ ბევრ ეკალზე დაიკაწრავდა ხელს, ვიდრე ნანატრი ვარდის მოწყვეტას მოახერხებდა. ქუთაისიდან წასვლის შემდეგ ქელაიშბეგს აღარაფრით აღარ გაუხსენებია თავი, მხოლოდ ერთხელ, სტამბოლიდან ჩამოსულმა ვაჭარმა ანას იღუმლად ნობათი მოართვა – ფრანგული ხელობის ბროლის სარკე ვერცხლის ჩარჩოში, ვერცხლისვე ხელსაქმის ყუთი და პატარა ბარათი, სადაც აფხაზეთის მთავარი მორიდებულ სალამს უძღვნიდა ბატონიშვილის მეუღლეს.

ანას მაშინ სიხარულისაგან გული აუჩქროლდა, ის მართლა მოხიბლული იყო ქელაიშბეგის წარმტაცი გარეგნობით და იმ თავზიანი დამოკიდებულებით, რაც საერთოდ ქალების მოყვარულ მამაკაცებს სჩვევიათ.

ახლა კი, ეს წარმტაცი რაინდი მის წინაშე იყო დამხობილი.

– ...მადლობა უფალს, რომ კვლავ მაღირსა ხილვა თქვენი დიდებულებისა.

– შენ აქ საიდან, მთავარო! – ღიმილით შეეკითხა ანა. – არ გეკადრება აგრე დამხობა, აბრძანდი.

– მაპატიე, დედოფალო, ჩემი კანდიერება, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, რომ მხოლოდ ერთხელ უფლება მივცე ჩემს თვალებს, მხოლოდ ერთხელ იხილონ მშვენება თქვენი, მაშინ მიგულვით თქვენს უერთგულეს მონად, – კვლავ თავდახრით განაგრძო ქელაიშბეგმა.

– კარგია, გეყოფა დაცინვა ჩემი, ადექი. აი, აგერ დავსხდეთ ტახტზე და მიამბე აქ საიდან გაჩნდი. შენ ხომ სტამბოლში იყავ გადახვეწილი.

ქელაიშბეგი ადგა, კედელს ზურგით მიეყრდნო და ანას ხარბად დაუწყო ცქერა. მას ახლა არაფერი არ ესმოდა ამ ქვეყნისა.

– წამობრძანდით ჩემთან, მთავარო, აქ ასე იღუმალად რატომ გინებებიათ ჩემთან სტუმრობა? – უთხრა ანამ და კარებისაკენ გაიწია.

– აჰ, ღვთის გულისათვის, ნუ ინებებთ ჩემს განწირვას, – შეევედრა ქელაიშბეგი და ანას გზა გადაუღობა. – ძეხორციელმა არ უნდა იცოდეს თუ ვინა ვარ, ან აქ რად მოვსულვარ. აქ მოსვლა კი მხოლოდ იმისთვის გაებედე, რომ არაფერ არ მიცნობს.

– როგორ მომაგენი ამ უდაბურ მთაში?

– ახალციხეში ქუთაისიდან ჩამოსულ ვაჭრებში გავიგე თუ სად იმყოფებოდა თქვენი აღმატებულება... თუ ბრწყინვალეა... მაპატიეთ, ჯერ კარგად ვერ ვისწავლე ეს ახლებური წოდებანი. იქ მასწავლეს გზა – როგორ მოვსულიყავ კორბოულს, მერე წირქვალს. გზაში თქვენი მოურავი შემხვდა და ამ კოშკში მომიძღვა. შევევედრე, ქართლიდან მოვივიარ და საიდუმლოდ მსურს ბატონიშვილის მეუღლის ანას ნახვა-მეთქი.

– აქ რამ მოგიყვანა?

– შენმა სიყვარულმა, დედოფალო, – თითქმის ჩურჩულით თქვა ქელაიშბეგმა. – სტამბოლში ხონთქარმა ორმოცდაათი ხომალდი მიბოძა აფხაზეთზე სალაშქროდ, რათა ჩემი დაკარგული სამთავრო დამებრუნებია, მეც იმ ხომალდებს უნდა გამოვყოლოდი, მაგრამ ვარჩიე ხმელეთით მეგლო. ახალციხეზე გამოვლით დიგორში გადავალ, იქიდან ჩერქეზ ბატონს ვეახლები და სანამ ხონთქარის ხომალდები სუხუმს მოადგებოდნენ, მე ბზიფიდან დაუვული თავს. მალე მთელი აფხაზეთის სამთავრო ჩემს ხელთ იქნება, მაგრამ არაფერს ჩემთვის ფასი არა აქვს... ვიდრე არ მეცოდინება, რომ თქვენი ბრწყინვალეობა მიგულვებდეს მონად თვისთა.

– მთავარო, შენ ბევრის უფლებას აძლევ შენს თავს. – შეეცადა ანა მრისხანე გამომეტყველება მიელო და წარბები შეკრა.

– დედოფალო,

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან, არაბულისა ენითა,

მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხდომისა წყენითა;

ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა...“

ქელაიშბეგი ოდნავ შეჩერდა და მერე წყნარი ხმით, რომელშიაც ღიმილი იგრძნობოდა, დაამთავრა:

„...კვლავ ზოგთა ქვე უძს ბუნება, კეკლუცთა ზედან ფრენისა“...

ანა ერთხანს ჩუმად იყო და მოკრძალებით გარინდებულ ქელაიშბეგისთვის ცდილობდა გამემტრავი თვალებით შეეხედა:

– მთავარო, რაკი ვეფხისტყაოსანი ზეპირად გცოდნია, ალბათ ესეც გეცოდინება:

„წავიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ.

ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან, ცნობანი მიაფერენ.

„სიყვარული აგვამალლებს“ ვით ეყვანი ამას უღერენ“...

– ვიცი, დედოფალო, – სწრაფად დასძინა ქელაიშბეგმა, – ვიცი, და ისიც ვიცი, რომ:

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების,
მზისა შუქთა ვერმჭვრეტელი, ია ხმების, ვარდი ჭკნების,
თვალთა ტურფა საჭვრეტელი ყველას რამე ეშვენების,
მე ვით გავსძლო უმისობა ან სიცოცხლე ვით მეთნების“.

ანას აღარ ეყო ძალა მრისხანე სახე შეენარჩუნებია და მისი თვალებიდან უნებურმა ღიმილმა გამოანათა. შეაკრთო საკუთარი თავის გამოძევაზე, განზე გაიხედა და ერთ ხანს ჩვევისამებრ, დაბნეული წეწდა თავის ნაწნავის ბოლოს. შემდეგ ნელა წამოდგა და ოდნავ ათრთოლებული ხმით უთხრა ქელაიშბეგს:

– გზას დაგილოცავ, მთავარო. ღმერთმან თუ მალირსა დედოფლობა იმერთა, მიგულვე ერთგულ მეგობრად და მფარველად...

ქელაიშბეგმა ნელა წადგა ნაბიჯი. მან ამ ქალის გულისთვის მიატოვა თავისი ესკადრა, გადმოვლო მთელი ანატოლია, ამ ქალის გულისთვის, რომლის ლანდი მოსვენებას არ აძლევდა და მუდამ თან დასდევდა, შინა და გარეთ, დღისით და ღამით, მოვიდა აქ, დგას და ვერხვის ფოთოლივით თრთის მის წინაშე. ნუთუ ვერ უნდა გადალახოს გამბედაობის ის პატარა ზღუდე, ასე რომ უბორკავს ხელ-ფეხს, ნუთუ ვერ უნდა სძლიოს თავს, გადადგას მეორე ნაბიჯი, მივიდეს და მოხვიოს ხელი ამ მომხიბლავ ქმნილებას.

ქელაიშბეგმა ნელა გადადგა მეორე ნაბიჯი. ანა მოჯადოებულივით გაქვავებული შესცქეროდა.

* * *

ანა შინ გვიან დაბრუნდა. ჯვალაბობა მთლიანად დაწოლილიყო. მარტო პირისფარეში ფხიზლობდა აივანზე და ტახტზე ჩამომჯდარ ბესიკს ზღაპრებს უამბობდა.

ბობორა ნაგაზებმა ჯერ ყეფა ასტეხეს, შემდეგ მხიარული წკმუტუნით მიეგებნენ ეზოში შემოსულ ცხენოსნებს.

ანა ავიდა აივანზე და შეგებებული ბესიკი გაოცებით შეათვალიერა.

– შენ არ გძინავს? – ჰკითხა მან სტუმარს, შემდეგ პი რისფარეშს მიუბრუნდა: – ლოგინი გამლილია?

– კი, ბატონო, ვახშამს არ მიირთმევ?

– არა. ძილინებისა, ბესიკ.

– თქვენც მასვე გისურვებთ, – ოდნავი გაოცებით უპასუხა ასეთი მოულოდნელი გულცივი შეხვედრით ბესიკმა და ანას თვალი გააყოლა.

იგი კი უხმოდ მიიძალა თავის საწოლ ოთახში და კარებიც მაშინვე მოიხურა.

აივანზე მოურავი ამოვიდა და სტუმარს მიესალმა.

– ძილი არ გინებებიათ ჯერ?

– არ დამეძინა რაღაც! – ჩურჩულით უპასუხა ბესიკმა.

მას არ უნდოდა ანასთვის მყუდროება დაერღვია.

– ნამეტანი კარგი ღამეა. ნავახში ბრძანდებით?

– არა, მაგრამ არც მინდა.

აივანზე ლანდით უხმოდ გამოვიდა პირისფარეში და მოურავს უთხრა:

– ქვეით პალატში ცეცხლის პირას სავსე ტაბლა დგას. გიცადეთ, გიცადეთ, აღარ მოხვედით. თუ ინებებთ, წამობრძანდით.

– წამობრძანდი, შენი ჭირიმე, ჩემი ხათრით მაინც წამობრძანდი, – შეეხვეწა მოურავი ბესიკს. – მე, მარტო, რომ მომკლა, ლუკმას ვერ ჩავიკარებ პირში.

სამივენი ჩავიდნენ პალატში. ფარეშმა შანდლებში ჩადგმული სანთლები აანთო და ბუხრისთავზე შედგა. ბესიკი და მოურავი მიუსხდნენ ტაბლას და ვახშობას შეუღვნენ.

ფარეშმა კათხები ღვინით აავსო და ჯერ ბესიკს მიაწოდა, შემდეგ მოურავს.

– ღმერთო, შემიწყალე, – გამოისახა პირჯვარი მოურავმა და კათხა მოიყუდა.

– შორს იყავით? – ფრთხილად დაიწყო გამოკითხვა ბესიკმა. მას მოთმინება არ ყოფნიდა და სურდა გაეგო ან სად იყო ანა, ან ვის შეხვდა ასე საიღუმლოდ.

– არა, შორს რაზე ვიქნებოდით, – უპასუხა მოურავმა, სველ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ჭამა განაგრძო.

– ასე რომ დაიგვიანეთ, კიდევაც შეგშფოთდით, ხომ არა შეგემთხვათ-მეთქი, – არ ეშვებოდა ბესიკი მოურავს, რომ როგორმე რამე დაეცდენინებია.

– რა უნდა მოგვსვლოდა ამ ჩვენს მამულში. ამ ხაჭაპურს რატომ არ მიირთმევ.

– გმადლობთ. ანა რაღაც უგუნებოდ ბრძანდება.

– უგუნებოდ? – ოდნავი გაკვირვებით შეხედა სტუმარს მოურავმა. – საწყენი არაფერი შეხვედრია და უგუნებოდ რაზე იქნება. შენ ნუ მომიკვლები, მოგჩვენებია.

– შეიძლება.

ფარეშმა ხელახლა აავსო კათხები. ბესიკი ახლა ღვინოს მიეძალა, ზედიზედ სცლიდა კათხებს და მოურავთან ალავერდს გადადიოდა, მაგრამ ის არხეინად წრუპავდა ღვინოს, სველ ულვაშებს ხელის გულით იწმენდა და ეტყობოდა, გათენებამდე რომ ესვა, ბრწყალი არ შეაგლჯებოდა. თვით ბესიკი დაითრო ისე, რომ ფარეშმა ძლივს მიიყვანა ლოგინამდე.

მეორე დღეს ანა არც დილით და არც შუადღით ბესიკს არ დანახვებია. თავის ოთახში ჩაიკეტა და თითქო დაავიწყდა, რომ მასთან ასეთი სანატრელი ადამიანი და მიჯნური სტუმრობდა.

მაშინ ნაწყენმა ბესიკმა ქუთაისს დაბრუნება გადაწყვიტა და დიასახლისს თავის განზრახვა აცნობა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ფარეშმა ორი ბარათი გამოუტანა, ერთი დედოფალ გულქანთან, ხოლო მეორე პაპუნა წერეთელთან მიწერილი და თანაც მოახსენა: ქალბატონმა შემოვიტვალა, მაპატიე, რომ ვერ განახულობ, ეს ბარათები ვისაცა ვწერ გადაეცი, ერთ კვირაში მე თვით ჩამოვალ ქუთაისში და მაშინ ყოველივეს გაცნობებო.

ბესიკის გულში ეჭვი ფათურობდა, სულს უხუთავდა და ბოლმით ახრჩობდა. კრიჭაშეკრული შეჯდა ცხენზე და ისე გამწარებით გადაჰკრა მათრახი, რომ დამფრთხალმა პირუტყვმა ისკუპა და გადასაბიჯზე გადაეგლო. მგოსანმა, ცხადია, არ იცოდა, რომ ანა იღუმლოდ უთვალთვალებდა სარკმილიდან, ხოლო როდესაც გაცეცხლებული ბესიკი ორლობეს გადასცდა, ანა მაშინვე გამოვარდა აივანზე და თავის ერთგულ მოურავს გასძახა:

– ლევან, ვაკემდე გააცილე, სადმე კლდეზე არ გადაიჩეხოს.

მოურავმა მოაყვანინა ცხენი, მკვირცხლად მოეგლო და ბესიკს დაედევნა.

ანა, არათუ ერთი კვირის შემდეგ, მთელი ზამთრის განმავლობაში არ გაკარებია ქუთაისს და არც ბარათი მიუწერია ბესიკისათვის. დეკემბრის მიწურულს რუსეთიდან დაბრუნებული ზურაბ წერეთელი ეწვია დავით ბატონიშვილს. ზურაბს სახლთუხუცესის თანამდებობა ეჭირა სოლომონის კარზე. რუსეთში გამგზავრების გამო ამ თანამდებობას, შეთავსებით, დროებით მისი ძმა პაპუნა ასრულებდა. ახლა სახლთუხუცესობა კვლავ დაუბრუნდა, მაგრამ სანამ

მოვალეობის ასრულებას შეუდგებოდა, ზურაბმა გადაწყვიტა თავისი მამულები მოენახულებინა, თან ახლად დამოყვრებულ დავით ბატონიშვილსაც ესტუმრა.

ზურაბმა მოიტანა წირქვალში ახალი ამბები და მათ შორის ისიც, რომ აფხაზეთიდან განდევნილ მთავარს ქელაიშბეგ შარვაშიძეს თურქეთის და ჩერქეზების დახმარებით კვლავ დაეპყრო თავისი სამთავრო.

* * *

დადიანის შემომტკიცებამ და აფხაზეთზე ძლევამოსილმა ლაშქრობამ სოლომონს აფიქრებინა დაეწყო სამზადისი თურქეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და აჭარა-ქობულეთის გასანთავისუფლებლად. რაკი ჩრდილოეთით თურქეთის ბატონობა მთელ აფხაზეთში მუხლმოკვეთილ იქნა და იქიდან თავდასხმის საშიშროება აცილებული იყო, მომავალ ახალ გამარჯვებაში სოლომონს ეჭვი აღარ ეპარებოდა.

თვით ოტამანთა საბრძანებელშიაც, ეტყობოდა, კარგად გრძნობდნენ ამას და ამისთვის სტამბოლის მთავრობას ფოთში საგანგებოდ გამოეგზავნა ყაფუჩი-ბაში. იგი ჩამოსვლისთანავე შეეცადა დადიანთან და გურიელთან საიდუმლო კავშირი დაემყარებინა და თანაც ფოთიდან დაწყებული ქობულეთ-ჩაქვა-ბათომის გასწვრივ სიმაგრეების და სანგრების შენებას შეუდგა.

მართალია, ქელაიშბეგ შარვაშიძემ შეძლო დაკარგული სამთავროს დაბრუნება, მაგრამ ის, ეტყობოდა, იმერთა მეფესთან მტრობას არ აპირებდა, პირიქით, ძღვენიც კი მოართვა და დახმარებას ევედრებოდა. ამიტომ, სოლომონს შესაძლებლად მიაჩნდა შეტევაზე გადასულიყო, თურქების გეგმები ჩაეფუშა და თავისი მდგომარეობა საბოლოოდ გაემტკიცებია. მართალია, სოლომონი ცოტა არ იყოს ჭოჭმანობდა და რუსეთის დაუხმარებლად ვერ ბედავდა საქმის დაწყებას, მაგრამ სასახლის დიდებულები ისე შეუჩნდნენ, ისე დაახვიეს თავბრუ მლიქვნელური ქება-დიდებით, რომ მან გადაწყვიტა გაზაფხულის დასაწყისს გაელაშქრებინა თურქების წინააღმდეგ.

ამასვე ურჩევდა ეკატერინეს მიერ წარმოგზავნილი ექიმი ნიკოლაი ფონ ვიტენბერგი. მან მოახსენა მეფეს, რომ ვინაიდან რუსეთს თურქეთთან ზავი აქვს დადებული, იმპერატრიცისათვის უხერხულია ახლავე იმერეთში ჯარის გამოგზავნა, მაგრამ თუ სოლომონი გაილაშქრებს თურქეთის წინააღმდეგ, მაშინ ეკატერინეს საბაბი მიეცემა, თურქებს შარი მოსდოს საზავო ხელშეკრულების დარღვევაში და მაშინვე მოსაშველებლად ჯარს გამოგზავნისო.

ცხადია, ასეთ საეგებო დახმარებაზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ სახელმწიფო საქმეების გარეგნულად განმტკიცებამ სოლომონი ძალზე წაათამაშა. სარდალ პაპუნა წერეთლის მტკიცებით, იმერთა მეფეს ახლა ორმოცდაათი ათასი კაცი შეეძლო მოეგროვებია. აქედან მარტო ცხენოსანი ჯარი თხუთმეტ ათასზე მეტი იქნებოდა.

შემოდგომა და ზამთარი ქუთაისში საოცრად თბილი დაიჭირა. მზიანი დღეები ერთმანეთს ცვლიდნენ და ამიტომ სასახლეში სტუმრიანობას და ნადიმებს ბოლო აღარ უჩანდა. ყოველი თავადი, რომელსაც სასახლის კარზე თანამდებობა არ ეჭირა, მაინც ვალდებულად რაცხდა თავს მეფეს წვევოდა, ძღვენი მოერთმია და ერთი-ორი დღე მაინც მისი სტუმარი ყოფილიყო. ამ სტუმრობის დროს არავინ არ დარჩენილა ისეთი, რომელსაც ფლიდობის ოსტატობაში თავი არ გამოეცადა და მეფე ქება-დიდებით არ გაუბრუებია. განსაკუთრებით თავი ისახელა როსტომ მიქელაძემ. იგი კარგა ხანია ცდილობდა სასახლის კარზე რაიმე თანამდებობა მიეღო და თავს არ იზოგავდა.

– ეს ამინდებიც რომ თქვენი შესაფერისი დაიჭირა. – ეუბნებოდა ის სოლომონს, – თქვენი რისხვა ნუ მომეცა, ალბათ, მალაღ ღმერთს უნებებია, რაკი სოლომონ მეფე თათრის სასხენებელს სპობს, ბარემ ამ იმერეთს სამოთხედ გადაუქცევო, თორემ ამისთანა ზამთარი

ვის ახსოვს. მოთოვა, მაგრამ ამისთანა გემრიელი თოვლი თუ გინახავთ ვისმეს. ღამე გადაკრავს ყინვას, დღე მზეა მისთანა, ზაფხული მგონია. გახვალ სანადიროდ, ხელში მოგიბრის კურდღელი, შველი, ფრინველი. ჩვენსკენ რომ ინებებდეთ წამობრძანებას, ნანადირევით ავაკესებთ მთელ საიმერეთოს.

– კულაშში ებრაელებზე თუ ვინადირებთ, თორემ ისე იქ რას უნდა გამოვეკიდო, – ეხუმრებოდა მეფე როსტომს.

საიდანღაც უჩინმაჩინივით გამოჩნდა მეფის მასხარა ტაბიკა წიფლარიანი, წვერზე ღინჯაზ ჩამოისვა ხელი, მეფეს მძიმედ დაუკრა თავი და მიქელაძეს ირიბად გახედა.

– მაგან, შენი ჭირიმე, ერთი შაშვი დაიჭირა ხაფანგით და მთელი ზამთარი ასუქებს ღომით, მეფე რომ მეწვიოს, თავი უნდა ვისახელოო, – საგანგებოდ დაბონებული ხმით წამოიწყო ტაბიკამ, – იმით გიპირებს გამასპინძლებას. მიქელაძეებს, მეფევ, ბელურა არ გაუშვიათ დაუჭერელი და შეუჭმელი და მაგათ რა გადაურჩებოდათ!

– ეჰ, ჩემო ტაბიკა, სანამ ბატონი სოლომონი მოვევლინებოდა ამ საიმერეთოს, ბელურა კი არა ერთმანეთს არ ვზოგავდით შესაჭმელად, – უთხრა როსტომმა მეფის მასხარას. – შენ ახლა ქილიკობ, ხელობა შენი ეგ არის და ვინ დაგიზრახავს მაგ სიტყვას, მაგრამ განა ასე არ იყო? რამდენი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ყმა გლეხი იყიდებოდა ჩვენში.

– თქვენც ყიდდით.

– ჩვენც ვყიდდით. არ ვფიცავ. იყო ასეთი ღვთის წყრომა ჩვენს თავზე, მაგრამ ვინ აგვიხილა თვალები? ჩვენმა დიდებულმა მეფემ სოლომონმა. ვინ მოტენა კისერი ურჩებს და ქვეყნის მოღალატეებს? სოლომონმა. ახლა ვის შეუძლია შეარყიოს მაგის ძლიერება, მაგის მუხლების ჭირიმე, მაგის ფეხის ნაბიჯს ვენაცვალე, ვინ რას უზამს მეფეს. გვიბრძანოს თუ გინდა, ცეცხლში გადავცვივდებით. დიდებული რუსთაველი ბრძანებს: “ვინც რომ მოკვდეს მეფეთათვის, მათნი სულნი ზეცას რბიან“. ამისთანა დიდებული მეფისათვის სიკვდილი, ეს დაძაბუნებული საქრისტიანო ქვეყანა ფეხზე რომ წამოაყენა, სიკვდილი კი არა სიცოცხლე იქნება.

დაახლოებით ასეთი სახის ხოტბა ესმოდა სოლომონს ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს. ამან საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იმერთა თავდაზნაურობა მთლიანად მისი მორჩილი იყო და ამიტომ ყველაზე ხელსაყრელ დროს იწყებდა სამზადისს სალაშქროდ.

მაგრამ, თურმე, საბედისწერო იყო მისთვის ეს ლაშქრობა, ხოლო მისი სახელმწიფოს სიმტკიცე სულ მოჩვენებითი აღმოჩნდა.

სოლომონის უბედურება იქიდან დაიწყო, რომ შემოდგომაზე ძმა გარდაეცვალა. იმ ხანებში არჩილი თბილისში სტუმრობდა სიმამრთან, იქ ცუდად გამხდარიყო და ღვანკითში წასვლა განეზრახა, ავადმყოფი შემჯდარიყო ცხენზე. გზაში უარესობა დატყობოდა, უნაგირზე ველარ დამაგრებულყო და უკვე სულთმობრძავი ჩაეყვანათ თავის სოფელში.

ძმის დაკარგვამ სოლომონი ცოტა არ იყოს მოტენა და ძალზე დაადარდიანა. ავად თუ კარგად, არჩილი მაინც გამაერთიანებელი ხიდი იყო ამერ-იმერის ურთიერთობაში და მას დიდი ღვაწლი მიუძღოდა ერეკლესა და სოლომონს შორის მეგობრობის განმტკიცებაში. მართალია, არჩილს დარჩა მემკვიდრე ახალგაზრდა უფლისწულის დავითის სახით და იგი ჯერ კიდევ ადრე სოლომონმა ტახტის მემკვიდრედაც კი გამოაცხადა, მაგრამ სად მცირეწლოვანი უფლისწულის ყოლა გვერდით და სად ისეთი გულადი, ჭკვიანი და გამჭრიახი ვაჟკაცისა, როგორიც არჩილი იყო.

სოლომონმა ერთხანს კინაღამ გადაიფიქრა თურქების წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ დადიანის და გურიელის დაჟინებით თხოვნას ველარ აუარა გვერდი. თებერვლის შუა რიცხვებში შულტები დაგზავნა და მარტის დასაწყისისათვის ჯარები დაიბარა. სოლომონი ვარაუდობდა, ლაშქრობა სულ დიდი ორ-სამ კვირას არ უნდა გადაცილებოდა და აპრილისათვის ყველანი შინ იქნებოდნენ. ასე რომ, გლეხობა ხენა-თესვას არ მოცდებოდა.

მარტის დასაწყისს ლაშქარმა ქუთაისში დაიწყო თავმოყრა. მართალია, ყველანი დანიშნულ დღეს უნდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ ბევრმა ერთი-ორი დღე მაინც დააგვიანა, ზოგი წყალდიდობას უჩიოდა, ზოგი მანძილის სიშორეს.

ჯარის რაოდენობის მხრივაც არ გაუმართლდა სოლომონს მოლოდინი. როდესაც შეგროვილი ჯარი გადაითვალეს, სულ სამი ათას ხუთასი კაცი აღმოჩნდა. აქედან ცხენოსან მხედრობას მხოლოდ თავადაზნაურობა შეადგენდა და ისიც სულ რვაას თუ ცხრაას კაცს. ასეთი მცირე ჯარით რაიმე თვალსაჩინო საქმის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ სოლომონმა მაინც გადაწყვიტა გალაშქრება, რადგან იმედი ჰქონდა, რომ დადიანი, ასე დაჟინებით რომ ემუდარებოდა თურქების წინააღმდეგ ამხედრებას, სულ ცოტა ორი ათას კაცს მოიყვანდა, გურიელიც, ალბათ, ათას ხუთასამდე მოაგროვებდა, ასე რომ შვიდი ათასი კაცი თუ კიდევ შეიძლებოდა ცოტა რამის გაკეთება. მაგრამ მთელი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც სოლომონი თავისი ჯარით ქობულეთისკენ გაემართა, კაცია დადიანმა მაშინვე შეიკრიკა აფრინა თურქებთან, თქვენს წინააღმდეგ იმერეთის მეფე უკვე დაიდრა და მოემზადეთო, ხოლო გურიელმა მართალია, ჯარი მოაგროვა, მაგრამ არა იმისთვის, რომ სოლომონს მიშველებოდა, არამედ იმ განზრახვით, რომ მოხერხებულ დროს ზურგში მახვილი ჩაეცა.

დადიანიც და გურიელიც წინასწარ მოისყიდა თურქების მიერ წარმოგზავნილმა ყაფუჩი-ბაშმა, მდიდარი საჩუქრები გაუგზავნა და ხონთქარის ფირმანით აღუთქვა თავიანთ სამთავროებში ხელუხლებლად მართვა-გამგეობის უფლება.

ამგვარად, სოლომონი პირდაპირ მიემართებოდა თურქების მიერ დადგმული საფანგისაკენ.

* * *

ჯარი ნელა მიიწევდა წინ და ვიწრო გზაზე ისე გაიბაწრა, არც თავი უჩანდა, არც ბოლო. ცხენოსნები ქვეითებს გვერდ-გვერდ მისდევდნენ. ბესიკი საწერეთლოს ჯართან მოხვდა და სიამოვნებით აყოლებდა ხმას მათ ლაშქრულ სიმღერას. ზემოიმერლები ყველაზე მხიარულნი იყვნენ მთელ ჯარში. უმეტესობას, ქვეითსაც და ცხენოსანსაც, პატარა ტიკჭორებით ღვინო წამოეღოთ და გზადაგზა, როგორც კი შეისვენებდნენ, რიგრიგობით წაუხსნიდნენ ხოლმე თავს, და იყო ჭინჭილების წრუპვა.

ორპირთან კარგა ხანს დაჭირდათ ცდა, სანამ რიონზე გადავიდოდნენ ნავეით. სადუნამ ბესიკი მოძებნა და თავისიანებთან მიიყვანა.

– ა, მოგიყვანეთ ეს დიდებული, – უთხრა სადუნამ ახალგაზრდა მეომრებს, რომელნიც მაშინვე ფეხზე წამოცვივდნენ და ბესიკს მოწიწებით მიეგებნენ.

- მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ.
- რაღაი გვიკადრეთ, ნამეტანი მადლობელი ვართ.
- დაბრძანდით. შოშიტა, აავსე ჭინჭილა და მოართვი ბატონს.
- აგერ ხაჭაპური მიირთვით.
- ამ ქათმის ბარკალს თუ არ დაგვიწუნებთ.

ახალგაზრდა მეომრები თავს არ იზოგავდნენ და უნდოდათ განსაკუთრებული პატივი ეცათ მეფის მდივნისათვის.

ბესიკმა სიამოვნებით მოიკეცა მათ შორის, ხაჭაპური გატეხა, ჭინჭილას მიწვდა, დაილოცა და კარგა ხანს ალიკლიკა ტუჩთან.

– ეს, ამ ცხრა ბიჭს რომ უყურებ, ერთი დედამამიშვილია სუყველა, ეს ექვსი მეორე დედამამიშვილია! – მიუთითა სადუნამ ახალგაზრდებზე. – ამათ ოჯახში რომ მიგიყვანა, მართლა გაგეხარდება. შეძლებული გლეხები არიან.

ბესიკმა გულისყურით შეათვალიერა მეომრები. ბიჭები თითქო საგანგებოდ იყვნენ შერჩეულნი და ერთიმეორეს სჯობნიდნენ. ყველაზე უმცროსს სულ ახლად აყროდა წვერულვაში. მათ მოძრაობაში და სიტყვა-პასუხში იგრძნობოდა ისეთი სინატიფე, თავაზიანობა და მომხიბლავი ენაწყლიანობა, კაცი იფიქრებდა, ამათ დიდგვაროვანთა დარად საგანგებოდ მიუღიათ განათლებაო.

– ქართლიდან ბრძანდები, ბატონო? – ჰკითხა ბესიკს ყველაზე უფროსმა შავწვერა გლეხმა.
– საიდან შემატყვევ, რომ ქართლიდან ვარ? – გაუღიმა მას მეფის მდივანმა.
– მე, შენი ჭირიმე, ყველას ვცნობ ჩვენი ქვეყნის ხალხს. ვყოფილვარ თბილისში. არჩილ ბატონიშვილს ვასწავლი ამაღალაში, აცხონოს ღმერთმა ამ ხსენებაზე.

– შენი სახელი?
– გოგიტა.
– მოგეწონა ქართლი?
– რა ბრძანებაა. სად ეს იმერეთი და სად ეს ქართლი. იქ პური მოდის, ნახვად ღირს. ჩვენში უწინ მჭადს ვთესდით, მერე ეს სიმინდი რომ შემოვიდა, ახლა ამას მივღექით და იმით გაგვაქვს თავი. ხორბალი, აქ თუ მიწა არ დაასვენე ერთ წელიწადს, მეორე წელიწადს არ მოვა.

– სამაგიეროდ, აქ ღვინო მოგდით ბევრი.
– ეგ იცოცხლე. მაგით ჩვენი ხალხი მაგარია. მოვიდგამთ ერთ ჯამ ლობიოს, მოვიყუდებთ ამ ჭინჭილას და მეტი ჩვენ არ გვინდა. ჩამოასხი, შოშიტა, ამ გახსენებაზე, – გაუწოდა ჭინჭილა ახალგაზრდა მებრძოლს გოგიტამ.

– ეს რაა, რომ სუყველას წამოგიღიათ ღვინო? – იკითხა ბესიკმა.
– აქეთ, შენი ჭირიმე, ეს თუ არ წამოვიღეთ, წყალია იმისთანა დამძალი და დაგუბებული, მუცლის სახადი არ აგცდება. აბა, ჩემს სოფელში წყარო მაქვს, ცივწყაროს ვუძახით, იმასთან ან ღვინო რად გინდა, ან თაფლი, მკვდარს გააცოცხლებს.

– ჩვენში კიდევ ვეძა ისეთი, – დაიძახა ვიღაცამ, რომელიც შემთხვევით მოახლოვებოდა ამ ჯგუფს და საუბარს ყურს უგდებდა, – აბა ის უნდა დალიოთ.

– ახლა რაჭაში წამიყვანე წყლის გულისათვის, – გაიცინა გოგიტამ და უცნობს ჭინჭილა გაუწოდა: – მოდი, დაილოცე.

– თვარა ქვე შენისთანები მოდიან იმის დასალეკად, – ღიმილით უპასუხა რაჭველმა, დევივით ბრვე ვაჟკაცმა და ჭინჭილა ჩამოართვა, – ჩვენი ვეძა წამალია. ამ დედამიწის ზურგზე რა უნდა ტკიოდეს კაცს, რომ იმან არ უშველოს.

– მაგ მეც გამიგონია, მაგრამ ერთი ეს მითხარი, თუ კაცი ხარ, – გოგიტამ ეშმაკური ღიმილით შეათვალიერა რაჭველი. – თოფი შენ არ გაქვს, ხმალი და ხანჯალი, გულა-სტვირით ხომ არ აპირებ ომს თათართან?

– არ მქონდა და ქვე რა მექნა, – გულუბრყვილოდ უპასუხა რაჭველმა.
– შენი სახელი?

– ბელია, შენი ჭირიმე. ცოლი მეუბნებოდა, წალდი მაინც წაიღეო, იმას კაი კეტი ვარჩიე. დამანახვეთ ეს თათარი და მერე თოფსაც ვიშოვი და ხმალსაც.

– შენ მართლა არ გაგიჭირდება თოფის შოვნა. მაჯაზე გეტყობა. ჭიდაობა თუ იცი?

– აჰ, ღმერთმა დამიფაროს, ჯვარი აქაურობას, – პირჯვარი გამოისახა რაჭველმა. – ერთხელაც ცოდვას შემყარა გამჩენმა და ის მეყოფა მოსანანებლად. ამილახვართან სტუმრობდა ჩემი ბატონი. იქ გამოიყვანეს ერთი ფალავანი, ამიჩემეს, ეჭიდე და ეჭიდეო. ფიცი მტკიცე, ვეუბნები, არ ვიცი ჭიდაობა და რამე რომ მოვწიო, რაზე მაყენებთ ამ ცოდვაში, აჰ, არა, შენ თითონ მარჯვედ იყავი, მაგ ბეჭებით მიწა ქვე არ მოტკეპნო. გამოვიდა, შევხედე, ის ქვე რავა დამძრავდა ადგილიდან, წელში მეცა, გამამდგა მერე სარმა, მოვიკიდე ხელი, ერთი ტკეცა დაიძახა რაღაცამ, – ბელიამ კიდევ გადაიწერა პირჯვარი, – ჯვარი აქაურობას,

ღმერთმა აცხონოს უბედური, იქაურები მეუბნებოდნენ-ყე, იმისი ბრალი იყო, შენი არაფერი ბრალია, უნდა მოგყოლოდა და არაფერი ევნებოდაო, შენ ქვე რას იკლავ თავს, მაგის წერა ეგ ყოფილაო. ეჰ, იმას ღმერთმა სასუფეველი დაუძკვიდროს და თქვენ გაგიმარჯოთ.

ბელიამ ჭინჭილა მოიყუდა და ნეტარებით თვალები მინაბა.

– ჯობია შენს ვეძას? – ღიმილით ჰკითხა გოგიტამ და ბესიკს მოუბრუნდა: – ამას ახლა, ჩემო ბატონო, გუდასტვირი ექნება წამოღებული თან. თუ არ მოგისმენიათ რაჭველების შაირები, ვათქმევინოთ.

– აბა, ერთი მოვისმინოთ შენი შაირი, – მხიარულად მიმართა ბესიკმა.

ბელიამ ჭინჭილა დაცალა, მხარზე მოგდებული მოკლე ნაბადი გადასწია და მართლაც ილიის ქვეშიდან თავი გამოაყოფინა გუდასა და სტვირს. სასულეში ჩაბერა, ხოლო როდესაც გუდა საკმაოდ გაიბერა, სტვირი ააპიპინა და პირველად ბესიკს მიმართა:

– შენი სახელი მიბრძანე.

– ბესარიონ, ბესიკი.

ბელიამ ისევ ჩაბერა გუდას და, სანამ ტაეპს მოიფიქრებდა, რამდენიმე მუხლის გამეორება დაჭირდა სტვირზე. შემდეგ ღინჯად წამოიწყო:

„მინდვრები გადმოვიარე,
წინ დამიხვდა რიონიო,
ვატყობ, სწავლული ბრძანდება
ჩვენი ბესარიონი“.

– ჩემ სახელზე თუ მოაწყო, მე სადუნა მქვია.

ბელიამ ძიძედ გადახვდა სადუნას, გუდის სასულე პირში მოიგდო და ერთი მუხლის ჩაპიპინების შემდეგ წამოიღიღინა:

„ბევრი ფიქრი როდი მინდა,
შუბლზე ვატყობ, სადუნაო,
მელიაზე უკეთ იცი,
ქვრივს მიგნება სად უნდაო“.

ამ შაირმა სიცილ-ხარხარი გამოიწვია და თითქმის ყველამ ერთხმად დააყარა:

– აბა ერთი გოგიტაზე თქვი.

– შიოზე თუ მოაწყო.

– ამას ქაქუცა ქვია, ამაზე თქვი.

– ბუჭუნიაზე თუ იტყვი აგრე შეწყობილად.

– აი, თანდარუნზე თქვი და მაშინ დაგიჯერებთ მეღექსე რო ხარ.

ბელიამ ულვაშებში ჩაიციხა

– ჯერ გოგიტაზე ვთქვათ, – უთხრა მან მსმენელებს.

– კარგი, აგრე იყოს, – მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ისევ ჩაბერა გუდაში ბელიამ, თანაც თავს იმგვარად იჭერდა, ვითომ ლექსის გამართვა უჭირდა, რათა ამით უფრო გაელიზიანებია მსმენელებში მოსმენის მადა.

„ვაჟკაცი ხარ, გოგიტაო,
სტუმრებს ჭამა მოგვინდაო,
თუ ძან არ დავგზარდები,

პურ-მარილი მოკვიტაო“.

– შენ, ისე გატყობ, მაგ სიმღერაში ქირასაც ქე მომთხოვ, – სიცილით უთხრა გოგიტამ.

ბიჭები კიდევ აპირებდნენ მესტვირულის სიმღერით თავის გართობას, მაგრამ ამ დროს მოისმა ჯარჩების ძახილი. ბორანზე გასვლის ჯერი დამდგარიყო.

ყველანი ფუსფუსით აიშალნენ, რაჭველმა თავისი გულა დაფუქა და სადღაც ილღის ქვეშ მიმალა. ზემოურებმა საგზლის გულები და ხურჯინები ზურგზე მოიგდეს, თოფები მხარზე გაიდვეს და ბორანისაკენ გაემართნენ.,

ორი ნავისაგან შეკრულ ბორანის ბაქანზე ოცდაათი კაცი და ოთხი ცხენი თავსდებოდა. ოთხმა მებორნემ მდინარის ფსკერზე გრძელი ჭოკების მიბჯენით დაძრა ეს თავისებური ხომალდი ნაპირიდან. მათ მოლაშქრენი ეხმარებოდნენ და როდესაც იგი ნაპირს მოაშორეს მებორნეებმა, ახლა მდინარეზე გაბძულ ბაგირს ჩაავლეს ხელი და ისე დაიწყეს თავისკენ მოზიდვა, თითქო მეორე ნაპირი უნდოდათ გამოლმა მოეჩოჩებინათ. მაჯის სიმსხო ბაგირი მთლიანად ღორის ჯაგრისაგან იყო დაგრეხილი და როდესაც ბესიკმა სცადა სხვებთან ერთად თითონაც წაეტანებია ხელი, სიმწრისაგან წამოიყვია. ბაგირში გამოჩრილი ჯაგრის ბოლოები ეკალივით იჩხვლიტებოდა და ჭობოსანივით ხეხავდა და ატყავებდა შეუჩვეველ ხელს.

– აჰ, შე ნუ, ბესარიონს ვენაცვალე, – უთხრა სადუნამ, – ამას მე ვერ კვილებ ხელს.

– მაგარი ბაგირი ყოფილა. სად იშოვეს ამდენი ჯაგარი?

– ამას წლიდან წლამდე აგროვებენ ხოლმე სოფლებში. ებრაელი მეწვრილმანეები ღორის ხორცს არ ჭამენ, თორემ ამ ჯაგარს სოფელ-სოფელ აგროვებენ და მერე ქუთისში ყიდიან კვერცხს ხუთ ფარათ.

– როგორ კვერცხს?

– კვერცხის წონას. მერე მაგის ოსტატები არიან, შენი ჭირიმე, რიონის პირზე მუშაობენ, გრეხენ ჯაგრის ბაწრებს. ისე, მაგის დაგრეხა ჩვენში ყოველ ოჯახში იციან. ჯაგრის ბაწარი კანაფზე უფრო მაგარია. მაგის გაწყვეტა არ შეიძლება, არც გახეხვა. მერე მინდორში თუ ხარ და დაძინებას აპირებ, ეს ჯაგრის ბაწარი თუ გაქვს მიწაზე შემოვლებული გარშემო, ვერც უნასი, ჩვენში რო უხსენებელს ეტყვიან, ვერც მორიელი ვერ მოგეკარება. მე, როცა შორს მივიღვარ, ამისი ბაწარი აუცილებლად თან მიმაქვს.

ბორანი მალე გაღმა ნაპირს მიადგა. დაკარწახებული მებორნეები წყალში გადახტნენ და ნაპირიდან ბორანზე წნელებით შეკრული ბოგირი გამოდვეს. მოლაშქრეებმა პირველად ბესიკს დაუთმეს გზა და შემდეგ ყველანი მხიარული ხორხოცით გადავიდნენ ნაპირზე. რამდენიმე ბოგირზე ჩასვლას არ დაუცადა და პირდაპირ ისკუპა. მაგრამ ერთი ორმა ტყაპანი მოადინა წყალში და მათ სიცილი დააყარეს.

ჯარის გადაყვანა მთელი დღე გაგრძელდა. კიდევ ვერ დაამთავრებდნენ, მაგრამ ნაშუადღევს ვარციხიდან მენავეებმა ხუთი დიდი ნავი ჩამოაცურეს და ამან საქმე ძალზე დააჩქარა.

იმ ღამით სოლომონმა თავისი ჯარი ჯუმათში დააბანაკა.

* * *

ოზურგეთში სოლომონს გურიელი შეეგება და ორი ათასი კაცი დაახვედრა. აქედან ათას ორასი კაცი ახალციხიდან ჩამოყვანილი ლეკი იყო. ეს ჯარი ახალციხის ფაშამ, სულეიმანმა, საგანგებოდ გამოუგზავნა გურიელს და სწორედ ამათი დახმარებით უნდა გაეკეთებინა გურიის მთავარს თავისი ვერაგი საქმე. იმ ხანებში საერთოდ გავრცელებული იყო ჯარის ქირით მოწვევა, თვით სოლომონსაც ბევრჯერ ჰყოლია დაქირავებული ხან ლეკები, ხან ჩერქეზები, ამიტომ მას სულაც არ გაკვირვებია გურიელის მხედრობაში უცხო ჯარის დანახვა. პირიქით,

კიდევაც ესიაძვნა ასეთი გულმოდგინება და ხარჯების ანაზღაურებაც კი აღუთქვა. განსაკუთრებით სასიამოვნო დაურჩათ მეფესაც და დიდებულებსაც გურიელის გასაოცარი თავაზიანობა და ხელგაშლილობა. ის მორჩილი ძალღვივით სულ თვალებში შესცქეროდა სოლომონს და მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რა ესიაძვნებია მისთვის. ცხადია, კარგად გამოცდილ თვალს შეიძლება შეემჩნია, თუ რა იფარვოდა გურიელის ამ ზომიერად გადაჭარბებულ მლიქვნელობაში, მაგრამ იმ საბედისწერო ჟამს არავის არ მოსვლია აზრად რაიმე ეჭვი შეეტანა მთავრის ერთგულებაში. მით უმეტეს, რომ იგი ევედრებოდა მეფეს, თქვენს ჯარს წინ მე წავუძღვები ჩემი მხედრობით და თურქებსაც პირველად მე შევებმებო. მანვე ურჩია სოლომონს, სამეგრელოს მთავარს ნუ დაველოდებით, ჩვენ ახლავე მივუხტეთ მტერს ჩაქვთან, ქაჯეთის ციხე ავილოთ, მერე ბათომს დავესხათ, ამასობაში დადიანი ფოთის ფაშას გზას მოუჭრის, ჩვენც მოვბრუნდეთ და ეს შავი ზღვის ნაპირი მთლად გავწმინდოთ თათრებისგანო.

სოლომონმა ეს გეგმა მოიწონა, გურიელს უბრძანა, რომ ქაჯეთის ციხისათვის ალყა შემოერტყა, თითონ კი ვიწრო ხეობით პირდაპირ გაემართა ჩაქვისაკენ. სოლომონი ჩქარობდა, რათა მალე გასულიყო ამ სახიფათო ვიწროებიდან. გარშემო, მართალია, დაბალი მთები ამართულიყვნენ, მაგრამ ისეთი გაუვალი ჯვანარი ფარავდა ყოველ გორაკს, რომ საჭიროების შემთხვევაში იქ თავს ვერც შეაფარებდი და ვერც გაივლიდი. ბილიკიდან ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა არც მარცხნივ, არც მარჯვნივ და, მტერს შემთხვევით გზა რომ მოეჭრა, მთელ ჯარს ტყვედ ჩაივლებდა. მართალია, გურიელის გამოგზავნილი ეტიკები მეფეს ამშვიდებდნენ, აქ ნურაფრის გედარდებათ, საჭირო თუ შეიქნა, იმდენი ბილიკი ვიცით, საიდანაც გენებოთ, იქიდან გაგიყვანთ სამშვიდობოსო, მაგრამ ლაშქრობაში გამოცდილი მეფე კარგად ხედავდა, რომ ეტიკების ნაგულისხმევი ბილიკებით ერთი-ორი კაცის გაყვანა, მართალია, ადვილი იყო, მაგრამ მთელი ჯარისა – ისევე შეუძლებელი, როგორც ნემსის ყუნწში აქლემის გაძვრენა.

მალე წინ წასულმა მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, მიზანს თითქმის მივალწიეთ, ბექობიდან ზღვაც მოსჩანს და მთელი სანაპიროცო. მაშინ სოლომონმა სარდლები იხმო და ბრძოლის მთელი გეგმა დაუსახა. ჯარებს ერთსა და იმავე დროს უნდა მიეტანათ იერიში სანაპიროზე ჩამწკრივებულ სოფლებზე, რომ თურქებისათვის არ მიეცათ განგაშის ატეხის საშუალება და მეციხოვნეებს არ მოესწროთ ბათომისა და ფოთის ციხეებში დაბანაკებული ხონთქარის ჯარებისთვის ნიშნის მიცემა.

– არავინ გაბედოს იმ სახლის დარბევა, სადაც ქართულს გაიგონებთ, – გასცა განკარგულება სოლომონმა, – დანარჩენების, აქ ჩამოთესლებული და ჩამოსახლებული ურჯულოების სინსილა არ ვნახო. ვისაც წაეწიოთ, თავები დააყრვეინეთ სუყველას.

ჯარები სადროშოებად დაიყვნენ და თავიანთ აფრიალებულ ალმებს მიჰყვნენ. ისინი მდინარედან განტოტებულ ფშანებივით შეძვრნენ ჯერ კიდევ შეუფოთლავ ტყეებში და მალე გაუჩინარდნენ. ბესიკი მეფის ამაღლაში მოჰყვა. მათ დაიკავეს ზღვაზე გადამდგარი მაღალი ბექობი, საიდანაც მთელი ზღვისპირი ხელისგულივით მოჩანდა, და იქიდან დაუწყეს თვალთვალი ჯარების მოძრაობას. სოლომონს ხელში გრძელი გასაშლელი ჭოგრიტი ეჭირა და იმით ათვალიერებდა მიდამოს. ასეთივე ჭოგრიტები ეჭირათ ბერი წულუკიძეს და ელიზბარ ერისთავს. მარტო პაპუნა წერეთელი გასცქეროდა მიდამოს უჭოგრიტოდ და, ეტყობოდა, ყოველივეს მათზე უკეთესად ხედავდა.

– უჰე, შეესიენ რაჭველები ჩაქვს, – ამბობდა ის, მერე მოუსვენრად იცქირებოდა მარცხნივ: – ეს აგიაშვილი რას შერება აქამდი. აჰა, გამოჩნდა ისიც. ბიჭოს, თათრები სროლით შეეგებენ.

– სად ხედავ, სარდალო, მაგას? – გაცეხებული ეკითხებოდა მეფე.

– დაანებე მაგას, ბატონო, თავი, – მოახსენა სარდალმა მეფეს და ჭოგრიტზე თვალით ანიშნა, – სანამ მათი დავინახავ, ან მივაგნებ რამეს, ცხრაჯერ შეიძლება იძრას მიწა. აგერ, ბატონო, ტყემლის ყვავილებით რომ პატარ-პატარა ბოლი იფეთქებს ხოლმე ზღვის პირზე, ხედავთ?

– ჰო!

– ა, იქა ჩასაფრებული მტერი. მარა ხედავ, ჭიანჭველებით რომ მიეტანენ აქედან ჩვენები! ა, ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!

მეფემ კვლავ მოიმარჯვა ჭოგრი და როგორც იქნა გაარჩია საიერიშოდ მიტევილებული თავისი ჯარი. იმათ სწრაფად აირბინეს ფერდობი, აქა-იქ მზეზე იელვა ლაპლაპა ხმლებმა და მალე ყოველი მათგანი თვალთაგან მიეფარა. ცხადი იყო, რომ სოლომონის მხედრებმა მტერი დაიფრინეს.

მალე შიკრიკებმა დაიწყეს მოსვლა და ყოველ მათგანს სასიხარულო ამბავი მოჰქონდა, სარდლებს დავალება შეესრულებინათ, სოფლები აეღოთ, თურქებს სადაც კი წასტეხოდნენ, ყოველი მათგანი ან დაეტყვევებინათ, ან დაეხოცათ, ხოლო ვინც ქართულად ან მეგრულად დალაპარაკებული ენახათ, არავისთვის ხელი არ ეხლოთ.

ნაშუადღევს ჯარმა სამეფო კარავთან დაიწყო თავმოყრა. მხედრები რიგრიგობით მოდიოდნენ, ვის ტყვე მოჰყავდა, ვის ნადავლი მოჰქონდა, ვინ ნახირს ერეკებოდა. ახლად აბიბინებულ მინდორზე ჭიანჭველებით ირეოდა ხალხი.

სოლომონმა თავის კარავში სარდლები იხმო სათათბიროდ. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ბათუმზე გაელაშქრა, მაგრამ სანამ დადიანი არ გამოცხადდებოდა თავისი ჯარებით, შეუძლებელი იყო ამ განზრახვის შესრულება. ბათუმზე მისასვლელ გზას სადარაჯო ჯიხურები კეტავდნენ. საჭირო იყო ჯარის ერთი ნაწილით ამ ჯიხურების ალყის შემორტყმა, ხოლო მეორე ნაწილი მთავორებზე უნდა გადასულიყო და შორიდან მოვლით შეჭრილიყო ბათუმში. ეს ყველაფერი ადვილი განსახორციელებელი იყო, მაგრამ ჯერ არც დადიანი ჩანდა თავისი ჯარებით და არც გურიელის მხრიდან ისმოდა რამე.

– საღამომდე ვუცადოთ, – უთხრა ბერი წულუკიძემ მეფეს, – მანამდე თუ ისინი არ გამოცხადდნენ, ჩვენი გაგზავნილი შიკრიკები მაინც დაბრუნდებიან და ყოველივე გვეცოდინება.

მეფე დაეთანხმა, ამაღა იახლა და თავისი ნაბრძოლი ჯარის დათვალიერებას შეუდგა.

ჯარჩები დაწინაურდნენ და ძახილით ამცნეს ჯარს:

– მეფე მობრძანდება, მეფე მობრძანდება!

ჯარისკაცები, ქვეითნი იყვნენ ისინი თუ მხედარნი, გლეხნი თუ აზნაურნი, ყველანი ცალ მუხლზე დაჩოქილნი ეგებებოდნენ მეფეს და იმდროინდელი წესის მიხედვით, რაც კი რამ გააჩნდათ ნადავლი, ტყვე იქნებოდა, იარაღი თუ სხვა რამ ქონება, ყოველივე მეფისათვის უნდა მიერთმიათ. აქედან მეფე მებრძოლებისაგან მხოლოდ ზარბაზნებს, ციხის ჯაზაირებს და ზოგ ზედმეტ იარაღს თუ მიიღებდა და ამათშიაც საპასუხო საჩუქარი უნდა გაეცა. რაც შეეხება დანარჩენ ნადავლს, მათ შორის ტყვეებსაც, მეფე უკანვე უწყალობებდა მხედრებს.

* * *

– ესენი ვინ არიან, ბუჩქებში რომ მიმაღულან, – ჰკითხა მეფემ ქაიხოსრო აგიაშვილს.

– ესენი, მეფე, წერეთლის კაცები არიან, – უპასუხა ქაიხოსრომ, – თქვენთან მოსვლა უნდათ, მაგრამ ვერ ბედავენ.

– რატომ?

– მაგენი ცხრა ძმანი ყოფილან, ერთი დედამიშვილნი. ყველაზე უმცროსი უცოლო ყოფილა. იმისთანა ბიჭია, ავ თვალს არ ენახება. ამ სიგანე აქვს ბეჭები, – გაშალა ხელები აგიაშვილმა, – თვალები მისთანა, ჯირკს რომ მიანათოს, ცეცხლს მოუკიდებს. შესულან სოფელში, გაუგონიათ მოსახლეობაში ქართული ლაპარაკი, რავა გაცემენ ვინმეს ხმას. დაუყვენ ქვეით. ამ დროს ამ უმცროსს დაწევია შლივინით ვიდაცა. ქალი დგას ჩადრიანი. ვინ ხარ, ეკითხება ბიჭი. ქალი ხმას არ იღებს, ძლივს ითქვამს სულს. მერე ამოიღო როგორც იქნა ხმა. ქართველი ხარ, ბიჭო? ეკითხება ქალი. ქართველი ვარ. უთხრა ბიჭმა. გლეხი ხარ თუ აზნაური? გლეხი ვარ, ეუბნება ბიჭი. თუ გაუკაცი ხარ, მომიტაცე, უთხრა ქალმა და აიხადა თურმე ჩადრი.

– ლამაზი ყოფილა? – ღიმილით ჰკითხა მეფემ აგიაშვილს.

– საკითხავია, მეფევ? ნეტავი არ მენახა. მე მაგისთანა, ნამდვილი მოწყვეტილი ვარსკვლავი, ჯერ თვალით არ მინახავს. დედა, რა თვალები, რა წარბი და წამწამი, რა სახე. მაგ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, ეკლესიაში უნდა შეიყვანო და ხატად დააყენო საკურთხეველთან, თუ არ ვილოცო, გამიწერეს ღვთისმშობლის მადლი. ეს ბიჭი დაიბნა თურმე. აღარ იცის რა ქნას. გაუკავდა ხელ-ფეხი, შეცქერის ამ ქალს და კიდევ კარგი, რომ არ გაქვავდა უბედური. უნდა, მივარდეს, ხელში აიტაცოს, მაგრამ ის წვავს და დაგავს, რაფერ შეახოს ხელი. იქნება ქალი არაა, ან ანგელოზია!..

– მომგვარეთ ორთავე, – შეაწყვეტინა მეფემ სარდალს და თავის კარვისკენ წაბრძანდა.

აგიაშვილი თითონ მივიდა ძმებთან და უთხრა, მეფე გიბარებთ, თქვენი მოტაცებული ქალის ნახვა სურს, ბედი გეწიათ, ალბათ, დაგლოცავთ და დაგასაჩუქრებთო.

ძმებს შეეშინდათ, ვაითუ მეფეს ქალმა თვალი მოსტაცოს, ჩვენ აღარ დაგვანებოს და წავგართვასო. უფროსმა ძმამ, გოგიტამ, აგიაშვილს თვალები გადაუბრიალა და მის წინ მძივე ლოდით აიძარტა:

– თავადიშვილი ბრძანდები, გეტყობა, – უთხრა მან ქაიხოსროს, – მე გლეხკაცი ვარ და სიტყვას ვაგლახად ვერ შეგკადრებ, მაგრამ იცოდე, ამ ქალს ცოცხალი თავით არავის დავანებებთ. ღმერთმა ამ ჩემს უმცროს ძმას არგუნა, ეს ბიჭი ხელისგულზე გავზარდეთ ძმებმა და მაგის გულისთვის აღულებულ კუბრში რომ დაგვჭირდეს გადავარდნა ყველას, უკან არ მოვიხედავთ. გვეცი იმდენი პატივი, მოახსენე მეფეს, წყალობას არაფერს ვთხოვთ იმის მეტს, რომ თავი დაგვანებოს, და ისე, რავარც ენებოს, გვიმსახუროს.

– როგორ გეტყობა, ტყეში ხარ გაზრდილი. რას ქაჩავ, ბიჭო, მაგ თვალებს. წესი და რიგი არ უნდა იცოდე? მეფემ გიბრძანა მოდიო, შენ ხომ არ გგონია, მეზობელი გიძახის.

ეს ისეთი დამაჯერებელი და მრისხანე კილოთი იყო ნათქვამი, რომ ძმები მიხვდნენ, უარი არ გაუვიდოდათ, და სარდალს მორჩილად მიჰყვნენ. ჩადრიანი ქალი შუაში ჩაიყენეს. მხოლოდ უმცროსი ძმა დარჩა ადგილზე და წასულებისკენ არც მოუხედნია.

მეფის კარავთან თავი მოეყარათ სარდლებსა და დიდებულებს. ჭოკივით მაღალი და ხმელი ელიზბარ ერისთავი ტყვეებს დაჰკითხავდა. გოგია აბაშიძე და მისი თანაშემწე ბესიკ გაბაშვილი ხელქვეითთა დახმარებით ნადავლის სიებს ადგენდნენ. ჯირკვიით ჩასკვნილი ბერი წულუკიძე მეფის წინ დახვავებულ იარაღს ათვალთვლებდა და ხან ხმალს დასწვდებოდა, ხან დამბახას და სოლომონს ეუბნებოდა:

– ეს ხორასნის რკინაა. ამას იარაღი არ ჯობია. ეს თოფი სტამბოლის ხელობაა, ნამეტანი შორს მიაქვს ტყვია. ეს ციხის ჯაზაირი უეჭველად ყირიმულია, იქ აკეთებენ-ყე ამისთანა თოფებს. ეს ზარბაზანს ჯობია.

იქვე ირეოდნენ ფიცისკაცები, რომელნიც საერთოდ სოლომონის მცველებად ითვლებოდნენ და განუყრელად თან ახლდნენ.

აგიაშვილმა მიიყვანა ძმები და შორიახლო დააყენა.

სოლომონმა ღიმილი შეაგება მოსულებს და ქალს უბრძანა ჩადრი აეხადა.

– მართლა მშვენიერი ყოფილხარ, – შვილო, – უთხრა ქალს, როდესაც მან პირბადე მოიპრო და მეფეს თავისი ბრიალა თვალები შეანათა, – რა გვარის ხარ?

– ცეცხლაძე, – თამამად უპასუხა ქალმა.

– სახელი?

– თათრულად ემინე მქვია, ჩვეულებრივად, დედა პირიმზეს მიძახის.

– შენის ნებით მოხვედი თუ მოგიტაცეს?

ქალმა თავი ჩაჰკიდა, არ იცოდა, რომელი პასუხი ჯობდა, ეთქვა მომიტაცესო თუ საკუთარი ნებით მოვედიო.

– ჩემის ნებით, – გაბედა ბოლოს ქალმა, – მამა არა მყავს, მამინაცვალი სტამბოლში მიპირებდა გაყიდვას. მე ვთქვი, თუ სხვა ქვეყანაში მიწერია გადაკარგვა, ისევ ჩემ ქვეყანაში წავალ-თქვა.

– რომელია შენი ქვეყანა?

– აი, აქეთკენ რომაა, – ხელით ანიშნა აღმოსავლეთისკენ ქალმა და მერე ცოტა ფიქრის შემდეგ დასძინა: – საქართველო.

– შენ რა იცი საქართველო? – გაიღმა მეფემ.

– საქრისტიანო საქართველო რავა არ ვიცი. ჩვენც იგინი ვიყავით, მარა, მერე ხონთქარი რო მევიდა, იგენმა მოგვნათლეს. ჩემი ბებია ქრისტიანი იყო და ეკლესიაში ლოცულობდა. იმას რომ ვკითხე, ჩვენ რეიზა გავთათრდით-მეთქი, მითხრა, შვილო, ვინც არ მენათლებოდა თათრულად, ხონთქარი იმხელა ბაჟს ადებდა ყველას, მთელი მოსავალი მიქონდენ და საწყალ კაცებს აბა რა ექნათ, შიმშილით ხომ არ ამოწყდებოდნენო. საქართველოს მეფეს მიერიენ, ძალა არ ყოფნის, რომ ჩვენ გვიპატრონოსო...

გარშემოსეულმა დიდებულებმა ახალგაზრდა ქალის ამ უკანასკნელ სიტყვებში მეფის შეურაცხყოფა დაინახეს, ეს რას ამბობს, როგორ თუ საქართველოს მეფეს მოერიენ და ძალა აღარ ყოფნის თავის ქვეშევრდომებს უპატრონოსო...

აქა-იქ გაისმა წამოძახილები:

– რას ბჟუტურობს ეს გოგო!

– ვის არ ყოფნის ძალაო!

– წაუგდია ენა...

ვინ იცის, ეს მლიქვნელური ჩოჩქოლი რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, რომ სოლომონს ერთი გადახედვით არ მოელო მისთვის ბოლო. იმას, პირიქით, გული აუჩვილა გოგონას ამ გულუბრყვილო და გულწრფელმა სიტყვებმა, საიდანაც მოჩანდა, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს არ დავიწყნოდათ საკუთარი ქვეყნის სიყვარული.

– ბიჭი დამანახეთ რომელია? – იკითხა სოლომონმა.

– ბიჭი, ბატონო, რცხვენია და, თუ ნებას მისცემთ, მერე გეახლებათ.

სოლომონს ესეც მოეწონა:

– კარგი, წაიყვანეთ ეს ქალი, გიბედნიეროთ. ჯვარისწერამდე მონათლეთ. ნათლიად დავით ბატონიშვილის მეუღლე ანა და სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი იყოს. თუ ამ ომიდან ბედნიერად დავბრუნდით, მთლად თქვენი სახლისთვის აზატობა გვიბოძებია.

– ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მოგვაკლოს, შენი მუხლების ჭირიძე, – გლეხურად გადაუხადეს მადლობა ძმებმა, სათითაოდ დაიჩოქეს, მის წინ და მიწას შუბლით შეეხნენ. უფრო ახლო მისვლის უფლება მათ არა ჰქონდათ.

სოლომონმა ქალს ერთი ქისა ვერცხლის ფული უწყალობა. მაზლები კი კვლავ შემოეხვივნენ გარს თავის მომავალ სარძლოს და აფრენილი გაბრუნდნენ უკან.

* * *

კაცმა არ იცოდა საიდან მოვიდა ეს ამბავი, მაგრამ ჯარში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა, რომ სოლომონი მთელი თავისი მხედრობით საფანგში იყო გაბმული და თურქებს მისთვის უკანდასახევი გზები სრულიად მოეჭრათ. ამ საბედისწერო ამბავმა დილის გამარჯვებით დამთვრალ ჯარზე ისეთივე გამანადგურებელი გავლენა მოახდინა, როგორც გავარვარებული მინის ან თიხის ჭურჭელზე ყინულივით ცივი წყლის გადასხმამ. აქამდე ერთი სულისკვეთებით შეკრული მთელი ჯარი უცბად დაიბზარა, დასკდა და დაიშალა. ყოველი მებრძოლი ახლა იმის ფიქრში იყო, როგორ დაეღწია თავი უბედურებისაგან, ამ ადგილებს უვნებლად გაცლოდა და სამშვიდობოს გასულიყო. აღარც სარდლების ესმოდა ვინმეს რაიმე, აღარც ჯარჩების და ასისთავების. შესაძლებელია მეფესაც და მის სარდლებსაც უკეთ მოეგლოთ თავიანთი ჯარისათვის და ადვილად დაეხსნათ თავი გაჭირვებისაგან, რომ თითონაც არ დაბნეულიყვნენ და ხელიდან არ გაეშვათ ეს შესაძლებლობა. დაბნევა კი გამოიწვია იმან, რომ მეფეს ერთსა და იმავე დროს მოუვიდა ცნობა, ყოველი კუთხიდან მტრის მიერ გარემოცული ვართო. მახინჯაურიდან თურქები მოდიოდნენ. ოზურგეთისაკენ გურიელს გადაეჭრა გზა, ქობულეთის მხრიდან ყაფუჩი-ბაშის და დადიანის ჯარები მოდიოდა, ზღვაზე იალქნიანი გემები გამოჩნდნენ და რამდენიმე მათგანიდან ზარბაზნების ქუხილიც კი გაისმა. ამგვარად, მტრებმა თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოუტიეს სოლომონის ჯარებს. მართალია, ისინი ბანაკში მაშინვე არ შეჭრილან და შორიდან ფრთხილად მოქმედებდნენ, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმერთა რიგებში არეულობის გამოსაწვევად.

სოლომონმა მაშინვე შემოიკრიბა ცხენოსანი მხედრობა (ქვეითი ჯარის პატრონობის თავი აღარავის ჰქონდა, ხოლო ბანაკში არათუ ნადავლი, საკუთარი კარვებიც კი მიატოვეს) და მაშინვე შეუტია ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზე ჩასაფრებულ ლეკების რაზმს. რამდენჯერმე თავგანწირული იერიში მიიტანეს, მაგრამ მათი რკალის გაგლეჯა არ მოხერხდა. ვიწრო ხეობაში ჯარის გაშლა შეუძლებელი აღმოჩნდა და პირდაპირ შეტევით კი ორას კაცზე მეტი შეეწირა ამ იერიშს.

მაშინ სოლომონმა ბრძანა გეზი ეცვალათ და ალაშბარზე გავლით სცადა გაეგლიჯა მეორე რკალი. მდინარე ხინოს წყალთან მას ისევ გურიელის ჯარები მიეტანა და შემდეგში ამ ადგილსაც და მდინარესაც დაერქვა სახელად ნატანები. სოლომონს აქ ქვეითი ჯარი სრულიად მოსწყვეტეს და ლეკები მათ ცხვრებივით იჭერდნენ ქამანდებით.

სოლომონის ცხენოსნებმა გადალახეს პატარა მდინარე და თავგანწირვით შეუტიეს დადიანის და ყაფუჩი-ბაშის რაზმებს. აქ კი ისეთი განურებული ბრძოლა გაჩაღდა, რომ უკვე ძნელი იყო იმის თქმა, სოლომონის ჯარიდან ცოცხალი თუ გადარჩებოდა ვინმე. თურქებს და დადიანის კაცებს ეტყობოდათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, სოლომონი ჩაეგდოთ ხელში და გააფთრებული იბრძოდნენ. ბევრმა თურქმა და მათმა მოკავშირემ შესწირა საკუთარი თავი ამ განზრახვას, მაგრამ მეფის მცველთა რიგებიც სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. როდესაც, როგორც იქნა, გაგლიჯეს შემოსეული მტრის რკალი და სამშვიდობოს გავიდნენ, რვაასი ცხენოსნიდან სოლომონს ძლივს ორმოცდაათი კაცი თუ გაჰყვა. მათ შორის პაპუნა წერეთელი მძიმედ იყო დაჭრილი და ცხენზე ვერც დამაგრდებოდა, რომ უკან სადუნა არ შეჯდომოდა და ილღობში ხელები არ გაეყარა. დანარჩენებიდან არც ერთი არ იყო ისეთი, თვით მეფეც კი, რომ მსუბუქი ჭრილობა მაინც არა ჰქონოდა.

გამოქცეულები დაბინდებისას ლანჩხუთის მახლობელ მთებში მივიდნენ, იქ ცოტა ხნით შეისვენეს, ცხენები აბალახეს და ღამით ისევ გზას გაუდგნენ. გაჩერება არ შეეძლოთ, რადგან უკან მდევრები მოდევდნენ.

გათენებისას მიღწიეს ორპირს და როდესაც რიონზე გავიდნენ, თავი უკვე სამშვიდობოს იგრძნეს. აქ მძიმედ დაჭრილი პაპუნა წერეთელი საკაცეზე დააწვინეს და ის ოთხმა კაცმა ხელით წაიღო. დანარჩენებმა არ დაიცადეს და დაწინაურდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სოლომონს კრინტი არ დაუძრავს, ყოველგვარ განკარგულებებს, წასვლის ან შეჩერების შესახებ, ბერი წულუკიძე იძლეოდა. მხოლოდ როდესაც რიონის გაღმა, მიყრუებულ ადგილას, ერთი გლეხის ძელურ ქოხში გადაწვვიტეს შეჩერებულიყვნენ და ყველანი ჭერეხივით მიეყარნენ დასაძინებლად, სოლომონი კერიის წინ სამფეხა სკამზე ჩამოვდა და გამწარებით ამოიგმინა:

– ღმერთო, მხოლოდ ამასღა გვევდრები, იმდენ ხანს ნუ მომკლავ, სანამ ქვეყნის მოღალატეებს, გურიელს და დადიანს არ მიუვგო მისაგებელი...

მერე გული ამოუვდა და ბალღივით აქვითინდა. არავის არ მიუხედა მისკენ, და არც არავის უცია ნუგეში მისთვის. ამ არაადამიანურმა დაძაბულმა ბრძოლებმა, სირბილმა, უძილო ღამეებმა ისე დაქანცა და მოწყვიტა ყველა, რომ ერთსაც არ გახსენებია მეფისთვის გრძელ ტახტზე ცალკე ადგილი დაეთმო. თვით ყველაზე ერთგული ბერი წულუკიძეც კი მოჭრილ ხესავით წაიქცა ამ საერთო ლოგინზე და ერთ წუთში ხვრინვა ამოუშვა. ეზოში მიტოვებულ ცხენებს სახლის პატრონი, ბეჩავი გლეხი, და მისი ცოლი უვლიდა. დაღლილი ცხენები საბალახოდ ახლად წამობიბინებულ მოლზე გაუშვეს და თვალყურის სადევნებლად პატარა ბიჭი მიუყენეს. ცხენებიც ისე იყვნენ დაქანცულნი, რომ ჭამის თავიც აღარ ჰქონდათ. ისინი მოწყენილნი დაბორილობდნენ მინდორზე. რამდენიმე ცხენი დაჭრილიც იყო და ჭრილობაზე შავად მიხმობოდა სისხლი.

სოლომონს ძილი არ ეკარებოდა. მართალია, დაღლილობისაგან ზედმეტი ბიჯის გადადგმაც კი უჭირდა, მაგრამ იმდენად იყო გაბოროტებული და ისე ახრჩობდა ბოლმა, რომ ძილი საჭირო თუ იყო, ისიც არ გახსენებია.

იჯდა კერიის წინ და აღმოდებულ ფიჩხს თვალს არ აშორებდა. დაწვებზე კი ცრემლები მოუცურავდა.

ქოხის მეპატრონე, წვერებგაბურძგენილი ღარიბი გლეხი იმის ფიქრში იყო, სად ეშოვნა იმდენი საჭმელი, რომ ეს ხალხი დაეპურებია. ის თავდახრილი შეჩერდა კერიასთან. ფიჩხი წინ წასწია და საკიდზე მჭვარტლისაგან მთლად გაშავებული პატარა კარდალი დაკიდა. გლეხმა არც კი იცოდა, რომ მის წინ, კერიასთან მეფე იჯდა.

– ფუტი გაწუხებს, ბატონო? – ჰკითხა მან სოლომონს, როდესაც თვალზე ცრემლი შენიშნა. – აქეთ დაბრძანდი.

მეფემ ხელი ჩაიქნია და ადგილიდან არ დაძრულა.

– ასე მოგახსენებენ, ჩვენი მეფე თათართან საომრად წავიდაო. ნეტა რავაა მისი საქმე? – განაგრძო გლეხმა და მერე მოულოდნელად ჰკითხა: – იქიდან ხომ არ მობრძანებულხართ სუყველა, თუ სანადიროდ იყავით ამ ქვემოთკენ? ნამეტანი დაღლილები მოხვედით. ღორებზე ნადირობდით, ალბათ, იმან იცის ასე დალლა.

სახლში გლეხის ფეხშიშველა ცოლი შევიდა. მას თავშალით პირი ჰქონდა ახვეული. გობით მჭადის ფქვილი მოიტანა, ცალი ხელით თვალი მოიჩრდილა და კარდალს დახედა.

– ბევრს რომ ლაპარაკობ, ამ პატიოსან ადამიანს ჰკითხე, ამ ღომის მეტი ჩვენ არაფერი გვაქვს და თუ სადილად უნდათ რამე, ფარა გიბოძონ, დროზე მივიარ-მოვიაროთ, იქნება ვიშოვნოთ რაცხა, – უთხრა დედაკაცმა ქმარს, გობი ძირს დადგა და კერიას შეუკეთა, თანაც ცეცხლს დაუბერა და მთელი დარბაზი ფერფლით აავსო.,

– სტუმარს ფული რაფერ ვთხოვო, – შეიმშუმნა გლეხი.

– თხოვო, თორემ დიდი სოლომონ მეფე მყავხარ, დეკეულებს წააცილი თავს.

მწარე ფიქრებში წასულ მეფეს არც კი გაუგონია რაზე ლაპარაკობდა ცოლი და ქმარი, მაგრამ როდესაც მისი სახელი ახსენეს, უნებურად შეკრთა და აიხედა:

– რა გინდათ, რამ შეგაწუხათ? – იკითხა მან.

– არაფერი, ბატონო, ჩემი დედაკაცი ბუტუტურობს რაღაცას. ყველა წამოწვა დასაძინებლად, შენც მოისვენე, შენი ჭირიმე. გეტყობა, დაღლილი ბრძანდები. აგერ წამოწევი.

დედაკაცმა გაანჩნლებული თვალებით გადახედა ქმარს.

– უყურე ახლა ამას. ასე ლობიო რავა უნდა იყო, შე უბედურო. ეს პატიოსანი ადამიანი, ალბათ, მოურავი ბრძანდება ამ დიდებულების, თორემ აქ ყარაულად კი არ დააყენებდნენ.

შემდეგ სოლომონს მოუბრუნდა, თავშალი შეიხსნა, პირი უფრო მოხერხებულად აიხვია და განაგრძო:

– მე უბედურს ამისთანა სულელი ქმარი შემხვდა. ამას ცოტა აკლია, შენი ჭირიმე, თავში, მარა რა ვქნა. ეს ყოფილა ჩემი ბედი და რას ვიზამ, – მერე შეცვლილი, უფრო საქმიანი ხმით უთხრა: – ამდენი ხალხის საჭმელი, თუ არაფერი ვიყიდეთ, ჩვენ არაფერი გვაქვს, ჩემო ბატონო. იქნება გვიბოძოთ რამე. რა ვქნა, სიღარიბეს დაუდგა თვალი...

– ვიცი, ვიცი, – შეაწყვეტინა მეფემ, – წადი, თუ გეგულება სადმე, ყველი იყიდე და ერთი ბათმანი ფქვილი ღომისათვის, მეტი არ გვინდა. მალე წავალთ.

ფული გაუწოდა და ისევ მწარე ფიქრებს მისცა თავი. სოლომონს პირველად ვარციხეში ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა, სანამ რიონზე გადმოვიდოდა, მაგრამ ბერი წულუკიძე არ მოეშვა და ხონისკენ წაიყვანა, ჩემთან წამობრძანდი, იქ ცოტა შევისვენოთ, რადგან ჩვენი ასე მისვლა არც ვარციხეში ივარგებს, არც ქუთაისში. მეფემ დაუჯერა, რადგან იმედი ჰქონდა საწულუკიძეომდე მართლა შეუმჩნეველად მიადწევდა და ასე სასტიკად შერცხვენილი არც თავისიანებს დაენახებოდა და არც ხალხს.

მაგრამ მოტყუვდა.

სანამ თავისი მხლებლებით ამ ქოხში ისვენებდა, დამარცხების ამბავმა წინ გაუსწრო და ელვის სისწრაფით მოედო სოფლებსა და ქალაქებს. მართალია, ჯარი მთლად გაუნადგურდა და მტერმა თითქმის მთლიანად ტყვედ ჩაიგდო ხელში, მაგრამ ცალკეულმა გუნდებმა და თითო-ოროლა მამაცმა მებრძოლმა მაინც დააღწია თავი მტრის გარემოცვას და ისინი მოკლე ბილიკებით ისე მარჯვედ მოდიოდნენ, რომ ცხენოსნებს წინ გაუსწრეს და სამშვიდობოს მათზე აღრე გავიდნენ.

გავიდნენ და ამბავიც გაიტანეს, თუ რაც დაატყდათ თავს.

მთელი იმერეთი შეიძრა და აზრი აღდა. ასეთი უბედურება მათ კარგა ხანია თავს არ დასტეხნოდათ. არ დარჩენილა ოჯახი, გლეხის იყო ის, აზნაურის თუ თავადის, რომ იქიდან თითო ვაჟკაცი მაინც არ ყოფილიყოს წასული სალაშქროდ. ამიტომ, როდესაც სოლომონი გლეხის ქოხში შესვენების შემდეგ, თავისი მცირე რაზმით ხონისკენ მიმავალ ორღობებს გაუყვა, მთელ გზაზე გამაყრუებელი კვილის მეტი არაფერი გაუგონია. თმაგაწეწილი დედები დაფეთებული გამობრძანდნენ ქოხებიდან, ფეხებში უვარდებოდნენ ცხენებს, იხოკავდნენ სახესა და გულ-შკერდს, ბლუჯა-ბლუჯა ჩამოჰქონდათ თმები და სოლომონისათვის ამ გზის გავლა ნამდვილ გოლგოთაზე ასვლად იქცა.

ის მიდიოდა თავდახრილი, მხრებჩამოყრილი, უეცრად გათეთრებული, მიდიოდა და მას ყოვლად უწყალოდ, მთელი სისასტიკით ეგებებოდა და მიაცილებდა დედათა, მეუღლეთა და შვილთა გულშემზარავი ტირილი და გოდება.

* * *

როდესაც ბესიკი გონს მოვიდა, დაინახა, რომ ხელებგაკრული ეგდო სხვებთან ერთად. მერე თანდათან მოაგონდა, როგორ იბრძოდა სოლომონის ამაღლაში, მაგრამ მოულოდნელად თავში რაღაც მოხვდა, წამსვე თვალი დაუბნელდა და გრძნობა დაკარგა.

ახლა კი ხელებშეკრული ეგდო.

სცადა წამოწევა. თავი ტყვიასავით დამძიმებოდა. მაინც შესძლო დაენახა, რომ მასთან ერთად დატყვევებულნი, ყველანი გათოკილები იყვნენ, ზოგი იჯდა, ზოგი წამოწოლილიყო. ორასამდე კაცს ათიოდე თურქი ყარაულობდა. თოფები მალლა შემართული ეჭირათ ხელში და ტყვეებს თვალს არ ამორებდნენ.

– მოხვედი გონს? – ჰკითხა ბესიკს მის გვერდით მჯდომმა ტყვემ, – შე უბედურო, კინალამ თავი წაგაცალა თათარმა, მკვდარი ეგონე, მკვდრებს აქ ყველას თავებს ჭრიან.

ბესიკმა შეათვალიერა თავისი ბედის მოზიარე, ვერ იცნო, და ძლივს ჰკითხა:

– შენ რომელი ხარ?

– სულ ერთი არაა რომელიც ვარ? – ნაღვლიანად მიუგო ტყვემ, – ქვიტირელი ვარ, ბატონო, გოგიელას მიძახიან. ჩაგვიგდო თათარმა ხელში და აწი წასულია ჩვენი საქმე, ვაიმე, ჩემო ცოლ-შვილო. ვილა უპატრონებს ჩემს ბავშვებს.

გოგიელას გული ამოუჯდა და აქვითინდა. ვილაც ახალგაზრდა ბრგე ვაჟკაცმა თვალები გადაუბრიალა:

– რა ვაჟკაცის საკადრისია ტირილი. გაჩუმიდი.

– შენ რა გიჭირს, ბიძია, ცოლი არ გიჭირის სახლში და შვილი, მე ვიკითხო უბედურმა.

ბესიკმა ბრგე ვაჟკაცს გადახედა. ვერც ის იცნო. მერე ნელ-ნელა მოახერხა წამოწეულიყო და ტყვეებს თვალთვლიერება დაუწყო – იქნება ნაცნობი ვნახო ვინმეო.

შორიდან კიდევ ისმოდა ყრუ ყიჟინი და სროლის ხმები.

რამდენიმე საათის შემდეგ ტყვეებს ჰასან თავდგირითქმ ჩამოუარა. მას მთელი ამაღლა ახლდა.

– აგენი სადაურებია? – იკითხა მან და ტყვეები შეათვალიერა, მერე ბესიკს თვალი მოჰკრა და უნებურად მიაქცია ყურადღება. მიუახლოვდა და დააკვირდა: – აგი უბრალო ვინმე არ უნდა იყოს. თავადი ბრძანდები?

ბესიკმა არ იცოდა, დაეფარა თავისი ვინაობა თუ გაემჟღავნებია. ბოლოს არჩია სინამდვილე ეთქვა:

– თავადი გახლავარ.

– აი შეგატყვე მეც. გლახა საქმე მოუვიდა თქვენს სოლომონს. არ იცოდა, რომ ხონთქარს ვერ მიეროდა? ტყულა დეილუბა თავი. რა გვარი ბრძანდები?

– გაბაშვილი.

– ასეთი თავადი არ გამიგონია. ქართლიდან ხომ არ ხარ?

– იქიდან ვარ.

თავდგირითის საუბარში, მოძრაობაში, ზვიად გამოხედვაში, იგრძნობოდა იმ გამარჯვებული კაცის ქედმაღლობა, რომელსაც ყველაზე ნაკლები მონაწილეობა მიელო ბრძოლაში, მაგრამ ახლა ყველაზე მეტი უნდა მიეწერა თავის თავისთვის.

– მერე ერეკლეს კაცს სოლომონთან რაი გინდოდა. მაი სოლომონი შენ ერეკლესთანა ჭკუიანი ხო არ გეგონა. დიდიუბა თავი. ძვილა (ვითომ ძლივსო) დაახწია თავი და ერთი კაცი არ გადარჩენია უბედურს. სად დიეხეტება მარტო ტყე-ლრეში, კაცმა არ იცის. დადევენ ჩვენი ბიჭები და კი დიჭირავენ ალბათ. ხონთქარს რუსმა ვერაფერი დააკლო და იგი რას დააკლებდა უბედური, ჩვენ ვერ მოგვერია აგერ.

მერე მხლებლებს მიუბრუნდა და, ვითომ დიდი მოწყალება გაეღოს, უბრძანა:

– ამ კაცს მუუარეთ.

გაბრუნდა და წავიდა. მხლებლებიც მიჰყვნენ და არავის არ უფიქრია ბესიკისათვის მართლა მოეგლო, ან რაიმე დახმარება აღმოეჩინა.

საღამოს ტყვეები წამოყარეს, ბაწრებით ერთმანეთზე გადააბეს და ზღვის პირზე გაყოლებით ფოთისაკენ გარეკეს. ყოველ ტყვეს ხელები უკან ჰქონდა გაკრული, ზედ გადმობმული მარყუჭით, რომელიც მომდევნო ტყვეს კისერზე ჰქონდა ჩამოცმული. საკმარისი იყო, რომელიმე ოდნავ წინ წასულიყო, ან ჩამორჩენილიყო, ან მომდევნოს დაახრჩობდა, ან თითონ დაიხრჩობოდა. მართალია, თითო ჯგუფში ოცი-ოცდაათი კაცი იყო ერთმანეთზე გადაბმული, მაგრამ სიარული მაინც საძნელო იყო. განსაკუთრებით დაჭრილთათვის, რომელთაც სისუსტის გამო სიარული უჭირდათ და ფეხზე ვერ მაგრდებოდნენ.

ტყვეებს ფოთის ციხეში მოუყარეს თავი და როდესაც გადაითვალეს, აღმოჩნდა, რომ ორი ათას ექვსას კაცზე მეტი ჩაეგდოთ ხელთ.

ფოთის ციხეში ერთი ალიაქოთი იდგა. წითელფეხიანი, ჩასუქებული თურქი ვაჭრები გაფაციცებით გარბი-გამორბოდნენ, ტყვეებს ათვალთვლებდნენ, ხომალდებს იბეკებდნენ, ბათომიდან და ტრაპიზონიდან სასწრაფოდ იბარებდნენ ფულიან სოვდაგრებს.

ყველაზე პირველად გლეხები დაიყიდა. თავადებსა და აზნაურებს არ ახლეს ხელი, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მათ შეძლებული ნათესავები გამოისყიდინენ. ამიტომ ყოველ მათგანს წინადადებებით მიმართეს, შინ ბარათი მისწერეთ გამოგისყიდონ, თორემ თქვენც იგივე მოგელით, რაც გლეხებსო.

ბესიკს დამტყვევებელმა თურქმა ასისთავმა თითონ მოუტანა ქალაღი და საწერკალამი, შინ მისწერე ასი თუმანი გამოგიგზავნონ, თორემ ნაკლებად არ გაგიშვებო.

ბესიკს თავზარი დაეცა. ვისთვის მიეწერა? სოლომონ მეფე არავინ იცოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ან სად იმყოფებოდა, ნათესავებისთვის კიდევაც რომ შეეთვალა, ისინი ას თუმანს ასი წლის განმავლობაშიაც ვერ მოაგროვებდნენ. ბოლოს იმ მოსაზრებით დაწერა ბარათი, იმას მაინც გაიგებენ ცოცხალი ვარო, თორემ ტყვეობიდან დახსნის იმედი არა ჰქონდა და გადაწვიტა ბელს შერიგებოდა.

ტყვეები სამ ჯგუფად დაყვეს. ისინი, რომლებიც გურიელის ჯარს დაეტყვევებინა, ერთ კუთხეში მირეკეს, დადიანის მიერ დატყვევებულნი მეორეში, ხოლო ყაფუჩი-ბაშის ტყვეები მთავარ ალაყათთან მოაქუჩეს.

შემდეგ ფოთის ციხისთავს გურიელი და დადიანი ესტუმრნენ, რათა გამარჯვება ეზეიმათ და ტყვეები უფრო სარფიანად გაეყიდათ. მთავრებმა დაათვალთვლეს თავთავიანთი ნადავლი და კმაყოფილნი დარჩნენ. ტყვეები სულ რჩეული ვაჟკაცები იყვნენ და მათში აღებული ფულით ორივენი არათუ მთლიანად გაისტუმრებდნენ დაქირავებული ჯარებით დადებულ ვალებს, არამედ თითოეულს სულ უკანასკნელი ათი-თორმეტი ათასი მანეთი ფული დარჩებოდა.

– ძალიან მიკრძალავდა ის ჩემი სიძე ბატონი ტყვეების გაყიდვას, – სიცილით უთხრა დადიანმა გურიელს, – რუსეთის იმპერატორცას სწერდა, დადიანი გამათოკვიე, ტყვეებს ყიდისო. ბედმა ისე წაუყვანა საქმე, რომ იმერეთიდან, რაც ას წელიწადს არ გაიყიდებოდა ტყვე, ერთ დღეს მოაყვანინა ჩვენთან მისი ხელით, კი უნდოდა როსტომ რაჭის ერისთავივით დაეთხარა ჩემთვის თვალები, მაგრამ თითონ მას მოეთხარე თვალი. რახან ჩემი ყმის გაყიდვას მიშლიდა, ახლა მისას გაყვიდი.

– თავადი და აზნაური რამდენია ტყვე? – იკითხა გურიელმა.

მსახურებმა მოახსენეს: ორი ავალიანია, ერთი ლორთქიფანიძე, ერთი მესხი, სამი ღოღობერიძე და ერთი გაბაშვილი.

– გაბაშვილი, რომელი? – იკითხა დადიანმა და იმ ჯგუფისაკენ გაიხედა, სადაც მხლებლებმა მიუთითეს.

ორივე მთავარმა ისურვა მათი ნახვა. მსახურები წინ გაიქცნენ და ტყვეებს შორიდან მიაძახეს:

– დაიჩოქეთ, მთავრები მობრძანდებიან, დაიჩოქეთ, იქნება წყალობა ინებონ.

ბესიკი წამოწოლილი იყო. მას თავი ისევ სტკიოდა და ჯდომაც კი უჭირდა. მაგრამ ახლა, გაიგონა თუ არა მსახურთა ეს გაფრთხილება, თავს ძალა დაატანა და ფეხზე გაჭირვებით წამოდგა. დანარჩენებსაც ხელით ანიშნა, ადექითო. ისინიც მაშინვე წამოიშალნენ.

კაცია დადიანი მიუახლოვდა მათ და ყველანი შეათვალიერა. ბესიკი იცნო და დიდად შეწუხებული სახით ამოვიგინა:

– მოკითხოს სოლომონს ღმერთმა თქვენი ცოდვა, რომ ასეთ გაჭირვებაში ჩავაგდო. მგოსანი და მწიგნობარიც კი არ დაუტოვებია შინ. ის უბედური შენით უპირებდა ხონთქარს მორეოდა? მაგრამ შენ არ დაგლუპავ. ჩემთან წავიყვან, აგერ ვეტყვი, რომელია შენი პატრონი, ათ კაცში არ გამიცვლის შენ თავს? ოც კაცს მივცემ, ოცდაათს.

– ტყუილად იწუხებთ, მთავარო, თავს, – უთხრა მძიმედ ბესიკმა, – მე იუდასთან ყოფნას სიკვდილს ვარჩევ და თუ არ გჯერა, ახლავე საქმით დაგიმტკიცებ. ცოდვა არ არის, რომ ცოტნე დადიანის შემდეგ, რომელმაც მონღოლთა ურდოში თავის თანამომხეთა წამება გაიზიარა, შენისთანა ძალლი მოვლენოდა საქართველოს? შენც დადიანი ხარ და იხარებ იმით, რომ სამი ათას ქართველს სტამბოლის ვაჭრებს მიჰყიდი, არა?

უნდოდა სახეში მიეფურთხებინა, მაგრამ ძალა არ ეყო, რადგან უკიდურესი დაძაბვისაგან თავბრუ დაეხვა, დაბარბაცდა და კინალამ წაიქცა. დადიანი უამისოდაც იმავე წუთში მოუღებდა ბოლოს, მაგრამ ბესიკი იმან იხსნა, რომ იგი თურქი ასისტავის ტყვე იყო და ამიტომ მას ხელს ვერავინ ვერ ახლებდა, თანაც დამტყვევებელმა თურქმა, როგორც კი შეიტყო, რომ აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა დატრიალებულიყო, დასტაცა ხელი მგოსანს, სულ ჯიკავჯიკავით გაათრია ტყვეთა რიგებიდან, საკანში შეაგდო და კარი გამოუკეტა.

ამალა კი შემოეხვია მთავრებს და სთხოვეს გარიდებოდნენ ტყვეებს.

– ამათ თავს ნუ უყადრებთ.

– წამობრძანდით, კიდევ არაფერი გკადრონ.

– ესენი ახლა გიჟებია ყველა.

– მოცილდით, ბატონო, სხვა რომ არა იყოს რა, კბენარებს დაგვასევენ.

მთავრები მაინც ვერ მშვიდდებოდნენ. კაცია დადიანზე უფრო გურიელი ბრახობდა:

– ვინაა მაი ტილიანი, ამდენს რო გვიბედავს. მომგვარეთ აქ, ჩემი ხელით წავაცლი თავს. მაი ძალლი-მამაძალი ერეკლემ ტყუილა კი არ გამოაპანღურა სახლიდან. სოლომონმა თავადობა აჩუქა და იმიზა შედიდგულდა...

კაციამ დაიფიცა, მთელ სამთავროდ რომ დამიჯდეს, მაგას მაინც ვიყიდი და ჩემი ხელით დავეკლავო, მაგრამ როდესაც ნადიმის შემდეგ სიბრაზე დაუცხრა და გაიგო, ბესიკში მისი პატრონი თურქი ორას თუმანს ითხოვდა, ეს სიამოვნება ძალზე ეძვირა და თავისი ფიცის შესრულებაზე ხელი აიღო.

მთავრები ერთი კვირა სტუმრობდნენ ფოთში და თითონ აწარმოებდნენ ვაჭრობას თურქ და ბერძენ სოვდაგურებთან. თითქო სუნით ეგრძნოთ, ფოთის ნავსადგომში თოლიებივით მოფრინდნენ თეთრიალქნიანი გემები. ყოველ დღე დილიდან საღამომდე, გაუთავებელი ვაჭრობა იყო გამართული. ვაჭრები ტყვეებს არჩევით ყიდულობდნენ და ათასნაირად სინჯავდნენ. მთლად აშიშვლებდნენ, მზრებსა და კუნთებს უზომავდნენ, კბილებს უთვლიდნენ, ღონეზე ცდიდნენ. გურიელმა და დადიანმა ყველაზე პირველად ახალგაზრდები გაასალეს, მერე ხანში შესულები დაყიდეს. როდესაც ჯერი მოხუცებზე მიდგა, მთავრებმა ეს საქმე მოურავებს მიანდეს და თავიანთ საბრძანებელში წაბრძანდნენ.

ბესიკი მთელი დღეების განმავლობაში გაქცევებულ იყავით იჯდა ან საკანში, ან, თუ გარეთ გამოუშვებდნენ, ციხის კედელთან მიდგმულ სამჭედლო ფარდულთან იდგა და გულამღვრეული უცქეროდა, როგორ ჭედავდნენ ბორკილებში ნაყიდ მონებს. ყოველ მათგანს მჭედელი ფეხზე მორაგებდა შუაზე გახსნილ სალტეს, რომლის ყურებში მანჭვალს გაუყვრიდა, ფეხს გრდემლის წიბოზე შეადგმევინებდა და ჩაქუჩით მანჭვალს თავებს გადაუბეგავდა. ამ სალტეს რგოლი ჰქონდა გამობოძლი, რომელშიაც ჯაჭვს უყრიდნენ. თითო ასეთ ჯაჭვზე ოცი, ოცდაათი ტყვე იყო ასხმული და ასე მიერეკებოდნენ ყველას გემისაკენ. იქ ჯაჭვის ბოლოებს გემის კედელში დატანებულ რგოლებზე ამარებდნენ ბოქლომებით და ამგვარად ტყვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაქცევაზე ან ზღვაში გადავარდნაზე ეფიქრა, ფეხს თუ მოიჭრიდა.

ბესიკი დღე-დღეზე მოელოდა, რომ მასაც ასე გაუკეთებდნენ ფეხზე რგოლს და ასე ჯაჭვობბულს წაიყვანდნენ გემზე. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ტყვეთა გაყიდვის ეს შემზარავი სურათი მასზე ასე ძლიერად არ მოქმედებდა. მაგრამ როდესაც მისი გამოსყიდვის ამბავი მოვიდა და ციხის უფროსმა გამოუცხადა, ორპირში სანდლით უნდა გაგზავნო, მაშინ კი მთელი სიმწვავეთ იგრძნო თანამემამულეთა ეს უბედურება. ის ერთადერთი იყო მაშინ, რომელსაც ტყვეობიდან იხსნიდნენ და ისე ეუხერხულა ეს ამბავი, რომ გადაწყვიტა ციხის უფროსისათვის გამოეცხადებინა, მე აქედან მანამდე არ წავალ, სანამ სხვებსაც არ დაიხსნიანო.

– კაი, შენ გენაცვალე, არ გაგიჟდე, – უთხრა ბესიკს ხანში შესულმა თანდარუხ ავალიანმა, – ჩვენს გამოსასყიდ ფულს ასე უცებ ვერ მოაგროვებენ. ერთი ხუთ-ექვს წელიწადში თუ მოახერხეს ზოგიერთი ჩვენგანის გამოსყიდვა, კიდევ კარგი, იქნება მოვესწრო ჩემი მიწა-წყლის ნახვას. მამაჩემი მე რომ დავიხსენი ტყვეობიდან, ოცი წელიწადი ვაგროვე საიმისო ფული. შენ ბედი გქონია, ვიღაცა გაგიჩნდა პატრონი და აქ რა შავი ჭირი გინდა. წადი, ჩვენს ამბავს მაინც ჩაუტან ჩვენიანებს.

ტყვეებმა გაიგეს თუ არა ბესიკის განთავისუფლება, ყველანი ტირილითა და ღრიალით შემოესიენ და ყოველი მათგანი ცდილობდა სახლში ამბავი დაეხარებინა. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ყვიროდნენ, რომ სხვისი ხმები დაეფარათ და თავისი გაეგონებიათ. ბესიკის გარშემო უცბად შეიკრა წრე და ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. ყოველი მათგანი ცდილობდა წრე გაერღვია, სხვები განზე მიეყარ-მოეყარა, როგორმე ბესიკს მიახლოებოდა და თავისი დასაბარებელი ეთქვა.

- შენი ჭირიძე, მე მოდებამე ვარ კაცხიდან, არ დაგავიწყდეს...
- მიშველე, იქნება მიაწვდინო ხმა, ლიჩელი ვარ...
- მე არ გახსოვარ, ქვიტირელი გოგიელა? გოგიელა, შენ გვერდით რო ვიჯექი...
- გამიშვით, დამაცათ, გაბამეს ვერ დაიმახსოვრებ... გაბამეს.
- მათხოველი კაპიტონა ვნახე-თქო, ხონში თუ გეიარო...

ბესიკმა აღარ იცოდა ვისთვის მოესმინა, ვისთვის ეპასუხა რამე და ყველას თავს უკანტურებდა. თან გული ამოუჯდა, ცრემლები დაპალუპით წამოუვიდა და მხოლოდ ახლა მთელი სიმწვავეთ იგრძნო თავის თანამომხეთა უდიდესი უბედურება. ის ერთ ჭადარა მოხუცს მოეხვია, თავი მხარზე დააყრდნო და დიდხანს ქვითინებდა.

როდესაც ოდნავ დამშვიდდა, იგრძნო, რომ ვიღაცა დაჟინებით ჩახაოდა ყურში. მას, როგორც ეტყობოდა, ხმა ჩაწყვეტოდა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა და ცდილობდა როგორმე სათქმელი გაეგონებია. მოიხედა, სახეშემოილი, მთლად ლანდალქცეული მამაკაცი იდგა მის წინ.

– შენი ჭირიძე, გამიგონე, – შიშინით უთხრა მან და ტუჩები თითქმის ყურზე მიაღო, – შენი ჭირიძე, გამიგონე. ჩვენ ცხრა ძმა ვიყავით, მე ყველაზე უფროსი ვარ. რვანი ტყვედ

ჩავცვივდით და გაგვიდეს, მეცხრე, ყველაზე უმცროსი, ქალის გულისთვის შეაკვდა უბედური თათრებს, მარა დედაჩემს...

ხმა სულ აღარ ეყო და მთლად ჩაუწყდა. ცოტა შეისვენა და განაგრძო:

– ...დედაჩემს ამას ნუ ეტყვი. ყველა ცოცხალია-თქო... იქნება გამოპარვა მოვანერხოთ-თქო...

– რა გვარი ხარ? – ჰკითხა ბესიკმა და მოულოდნელად მოაგონდა ორპირში ბორანს რომ უცდიდა, იქ გაცნობილი ცხრა ძმა, – შენ გოგიტა არა ხარ?

მან სიხარულით თავი დაუქნია და სცადა კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ ხიხინის მეტი აღარაფერი გამოუვიდა.

* * *

ზღვიდან ძლიერი ქარი უბერავდა და ორპირამდე მენავეებს კატარღა იალქნით მოჰყავდათ. ორპირში ბესიკის დამტყვევებელ თურქს ლევონტი ნიჟარაძემ ჩამოუტანა ასი თუმნის ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები და ბესიკი კატარღიდან ნაპირზე გადმოუშვეს.

– ღმერთო მომკალი, რას დამგვანებინარ, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი, – უთხრა ლევონტიმ ბესიკს, – ამდენი კბენარი სად დაგესია. შეუჭამინართ, შე უბედურო. წამოდი, აქ მოსახლეობაში მივიდეთ, იქნება დაგბანო და ეგ ტანისამოსი ალში გავალთ. ქუთაისამდე და მერე აღარაფერი გვიჭირს.

– ვინ გამომიწყვიდა? ალბათ, მეფემ. ქუთაისში ბრძანდება?

– მეფე ქუთაისში არ მოსულა. წულუკიძესთანაა ხონში. ასე უნობენ, გარეთ აღარ უნდა გამოსვლა, არც არავის იკარებს, ხმაამოუღებლად წევს თურმე და არ ძინავს. აგერ ოცი დღეა, რაც მობრძანდა იქ თურმე და ისე გაფრთხობია ძილი, წვეთი არ უძინია. ჰაი, ხაშხაშიო, ძილის წამლებიო, აპა, პა, პა, პა! არაფერმა არ უშველა. წევს თურმე და იძახის, ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, კაცია დადიანს და გურიელს არ მიუვგო მისაგებელიო. გულ-მკერდზე ცეცხლი უკიდია თურმე და ასე თქვეს, ცივ ტილოს რო ადებენ ზედ, სულ ბული ადისო. რა მოგვივიდა ეს, რა მოგვივიდა, რა ცოდვის კითხვა დატრიალდა ჩვენს თავს, – რამდენჯერმე ტკაცუნით შემოირტყა შუბლზე ხელი ლევონტიმ, – ოდესმე ჩვენი საშველი არ უნდა დადგეს?

– არც დადგება მანამდე, სანამ... – ბესიკმა აღარ დაამთავრა და წინ წავიდა. ისწრაფოდა, რათა ჩქარა გასცლოდა ამ მიდამოებს.

– არ დადგება, სწორია... ტყუილია, ჩვენი საშველი არაა, – ბუტბუტებდა უკან დადევნებული ლევონტი. – აქეთ წამობრძანდი, ჯიხურში შევიდეთ, იქნება ყარაულებმა გვიშოვნონ რამე ჩასაცმელი. მაგენს ვაჭრებთან სულ აქეთ საქმე.

– შენ მაინც არ მითხარი, ვინ დამიხსნა ტყვეობიდან? – ჰკითხა ბესიკმა.

– ანამ, დავით ბატონიშვილის მეუღლემ. რო გაიგო (ქუთაისში ბრძანდებოდა მაშინ), მაშინათვე ეიხსნა რაც გულმკერდზე სამკაული ეკიდა, წვიძრო ბეჭდები, კაცი აფრინა წირქვალში, გამომიგზავნეთ რაც გამაჩნიაო. მერე დამიბარა და გამომატანა.

– ახლა ქუთაისშია?

– იქ ბრძანდება და ახლა იმის მეტი კაცი არაა ქუთაისში. პაპუნა წერეთელი იყო კიდევ, მაგრამ ის საჩხერეში წვიფვანეს. მორჩება თუ არა, კაცმა არ იცის.

– რა მოუვიდა?

– იმე, რავა რა მოუვიდა. სასიკვდილოდ დაჭრილი მოიყვანეს. გაფატრული იყო ფაშვზე, ნაწლავები გადმოყრილი ჰქონდა. მოიყვანეს თურმანიძე. მოვარჩენო თქვა. გაკერა და წამლობს, მაგრამ მორჩება თუ არა, კაცმა არ იცის. აჰ, არა, ჩვენი საშველი არ იქნება.

– არ იქნება, – უთხრა მოულოდნელად ფიქრებში წასულმა ბესიკმა, – არ იქნება, მანამდე, სანამ ამერ-იმერი ერთ სამეფოდ არ გაერთიანდება...

– ვითომ ვერ უნდა ველირსოთ მაგას, ბესარიონ ბატონო? კი, მარა ვინ მოახერხებს მაგას, რომ ასე დაქუცმაცებული და წიაწიად წასული ჩვენი საქართველო ერთად შეკრას, ერთ სამეფოდ აქციოს, ვერც სოლომონმა და ვერც ერეკლემ ვერ შეძლეს...

– შეძლებს, – დარწმუნებით უთხრა კვლავ ფიქრებში წასულმა ბესიკმა, – შეძლებს. არის ასეთი ადამიანი. ის ერთადერთი შეძლებს. ესაა ერეკლეს ვაჟი ლევანი.

– ვაი ჩემს მოსწრებას, – ისევ იტყვიცა შუბლზე ხელი ლევონტიმ. – არ გაგივია, ბატონო, ლევანი რომ...

– რა? – შიშნაკრავი ხმით იკითხა ბესიკმა.

– რა და ეს წელიწადი უბედურებისა და სიკვდილის წელიწადი ყოფილა. ახალი წასული ბრძანდებოდათ ყველა, ქუთაისში ამბავი მოგვივიდა, ლევანი გარდაიცვალა...

ლევონტი უნებურად შედგა, რადგან ელდანაცემი ბესიკი, გულშეწუხებული, მოწყვეტილი წაიქცა და კარგა ხანი დაჭირდა მის მობრუნებას.

– ვაი ჩემს მოსწრებას, – ლულულულებდა ლევონტი, – ასე რომ მცოდნოდა, რა ღმერთი გამიწყვრებოდა, რავა გავამხელდი რამეს.

ამის შემდეგ ბესიკს ისე შეეკრა კრიჭა, რომ არც უსვამს, არც უჭამია და ქუთაისამდე არც ხმა ამოუღია. მხოლოდ ხანდახან ამოიოხრებდა და ყოველთვის ეს ამოოხვრა ქვითინად გადაექცეოდა ხოლმე. მერე თავს რომ მორეოდა, ხან ტუჩებს დაიჭამდა, ხან ხელებზე იკბენდა და კვლავ ხმაგაკმენდილი იჯდა ნაბიჯით მიმავალ ცხენზე.

ლევონტი და მისი სამი შეიარაღებული მხლებელიც ჩუმად მიყვებოდნენ მეფის მდივანს და ერთმანეთში, თუ დაჭირდებოდათ, უნებურად ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

შინაურები ბესიკს ქვიტირის გზაზე შეეგებნენ და სიხარულისაგან ისეთი ყრიაშული ასტეხეს, რომ ამდენი უბედურების ნახვით და ცუდი ამბების მოსმენით დანადვლიანებული მგოსანი ცოტათი გამოცოცხლდა. დედა, მამა, და-ძმანი, ნაცნობები და უცნობები, ყველანი ეხვეოდნენ და ტყვეობიდან დაბრუნებას ულოცავდნენ.

მთელი თვის განმავლობაში ტყვეობაში ყოფნამ, უამრავი თანამომხის ყოველდღიურმა ზრიალმა და გოდებამ, ბორკილებში ჩაჭედვის და გემზე ტყვეების აყვანის განუწყვეტელმა სურათებმა ისეთი გავლენა მოახდინა ბესიკზე, რომ ეგონა, ჩემს ქვეყანას სულ უკაცრიელს ვნახავო. ახლა კი, როდესაც სოფლებშია ცოკრა თვალი ყანაში გასულ გლეხებს, ქალაქშია ცოცხალი ისევე დაინახა ჩვეულებრივად მოფუსფუსე ხალხი, დუქნებში მომუშავე ხარაზები, ჭონები, თერძები, ტყავის წინსაფრიანი მჭედლები, ფქვილში ამოვანგლული მეპურეები, როდესაც კვლავ შეხვდა ჯიხურებზე და ციხის ქონგურებზე გადმომდგარ თოფიან ყარაულებს და ფოლორცებზე სათამაშოდ გამოსულ ბავშვებს, შეება იგრძნო და სიმხნევე მოემატა.

სალამოს ბესიკი ანას სანახავად გაემართა. ჯაჭვის ხიდთან უნებურად მიაქცია ყურადღება ბეჭებანიერ, წარმოსადევ ვაჟკაცს, რომელიც სამჭედლოს წინ ჩამომჯდარიყო და შემოსეულ რაჭველებს რაღაცას უამბობდა.

დააკვირდა და იცნო, რიონის პირზე ლაშქრობის დროს ნახული რაჭველი მესტვირე.

– გამარჯობა შენი, – მიესალმა მას ბესიკი.

– ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, – წამოიჭრა ფეხზე რაჭველი და მორიდებით მიესალმა მეფის დიდებულს.

– შენ ბელია გქვია, მგონი.

– კი, შენი ჭირიმე, ქვე საიდან იცი ჩემი სახელი? – გაკვირვებით შეანათა თვალები ბელიამ და მერე მოაგონდა: – უიმე, გიცანი, ბატონო, მადლობა ღმერთს, მშვიდობით გხედავ. ეს რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს...

– შენ როგორ გადარჩი? – შეაწყვეტინა ბესიკმა.

– გამევედი, შენი ჭირიმე, გამევედი. სამმა კაცმა ქამანდი მომდგა კისერზე, დამახრჩობდნენ, მარა ხელის დატანება მოვასწარი მარყუჟში და გადავიძრე ბაწარი. ჩემი ცოცხლად დაჭერა უნდოდათყე და მომვარდნენ, მარა სამი კაცი ქვე რას დამაკლებდა. ორი ერთმანეთზე რო შევახეთქე, იქვე ამოსძვრათ სული, მესამეს კისერი მოუვგრიხე, ავხადე ყველას იარაღი და წამევედი. ჩალიანში დამეწია კიდევ ორი, მარა იარაღი ქვე მქონდა და ახლოს რავალა მიუშვებდი. მერე, შენი ჭირიმე, გურული გლეხები მომეხმარენ. რომელ სახლშიაც არ მივედი, ყველგან მპატრონობდნენ. საგზალს მატანდნენ, ასე უნობდნენ, გურიელმა ჩვენ მეფეს უღალატა, თათარს მიუდგა, ღმერთი რავა შეარჩენსო... გამევედი. გულა-სტვირი დავკარგე, მარა ქვე რაღას ვჩივი, რაღაი ცოცხალი ვარ...

– რიონზე როგორ გამოხველ?

– მეგრულმა მენავემ გადმომიყვანა. მისი ოჯახი ააშენოს ღმერთმა. მეგრულად ცოტა მეყურება, ასე მითხრა, დევილუბეთ ხალხიო. დადიანს ტყვეების გაყიდვას უშლიდა მეფე, ახლა რაღაი მეერია სოლომონს, დაგვერევა და სულ დაგვეიდის ყველას თათარშიო. მერე გზები მასწავლა, ასე წადი, თვარა დადიანის იასაულებმა თუ გნახეს, დავიჭერენ, ახლა იმერელი კაცის სიარული ჩვენში საშიშიაო. ილორში რომ მოვედი, მე ვთქვი, ილორის წმინდა გიორგის მადლობას ვეტყვი-თქვა, მარა ღვდელმა რომ დამინახა, იმ წაწყმენდილმა, მკითხა, სადაური ხარო, ჩემთან წამოდიო, მიმიტყუა სახლში და ღამე თავისი ბიჭები დამასხა. დამიპირეს გაკოჭვა, მარა ქვე რას მამერეოდნენ. იქ კიდევ, მადლობა ღმერთს, არავინ შემომკვდომია. ღვდელზე კი მინდოდა ჯავრი მეყარა, ღმერთო, ნუ მიწყენ, მარა გამექცა ის სულმადლი. ცხენისწყალი ადიდებული იყო, მარა სადღა შემემძლო მოცდა. გადავვარდი წყალში, მე ვთქვი, რაც მამივა მამივა-მეთქი, ერთი ბეწვი მაკლდა, კინალამ დევირჩვი, მარა მისმინა ღმერთმა ვედრება, იმის სახელის ჭირიმე, და გამევედი...

– მომილოცავს, გამეხარდა შენი ნახვა, – უთხრა ღიმილით ბესიკმა და წასვლა დააპირა, მაგრამ ბელიამ შეაჩერა.

– ბესარიონ ბატონო, ვახტანგ მეფის კანონით, ვინც ტყვეობიდან თავს დააღწევს, ის აზატი უნდა იქნესო, მე არ მეკუთვნის?

– როგორ არ გეკუთვნის. ავერ მობრძანდება მეფე და ყველას ვიბოძებთ სიგელს.

– უჰ, შენ კი გენაცვალე და შენი მუხლების ჭირიმე. მაშინ ქვე აქ დაესახლდები და სამჭედლოს გავაწყობ. წედისიდან რკინას მოვიტან და გაკეთდება ჩემი საქმე.

– სოფელში არა გაქვს რა?

– ქვე რავა არა მაქ, მარა ჩვენში, შენი ჭირიმე, ადგილი ცოტაა და სარჩო საკმაო არ მოგვდის. თუ გარე-გარე არ ვიარეთ, ისე თავს ვერ დავირჩინო. გულა-სტვირით ხეტიალი მამწყინდა. ღიღინში აღარავინ იძლევა რამეს და არც დროა ახლა მაგისი. რაც არ გააჩნიათ, შენ რას მოგცემენ. ისევ მჭედლობა ვარჩიე. ხელობა ვიცი.

– ჰოდა, ძალიან კარგი, კარგად ყოფილა შენი საქმე, – უთხრა ბესიკმა და სასახლისაკენ გაემართა.

ეზოში რომ შევიდა, ფართო კიბის თავზე ციყვივით დასკუპული კარის მასხარა ტაბიკა დაინახა. ეტყობოდა, ბესიკს ელოდებოდა, რადგან დაინახა თუ არა, მაშინვე ბავშვივით, თითო საფეხურის ორივე ფეხით ჩამობიჯებით ჩამოყუნცულდა კიბეზე და მისკენ გაექანა.

– რა გამეხარდა შენი ნახვა, ბესარიონ ბატონო. ერთი თვეა სასახლეში კაცის ჭაჭანება არ ჩანს. მომილოცავს შინ მშვიდობით დაბრუნება. შენ კი გენაცვალე, შენ, – უთხრა ტაბიკამ და ბავშვივით ჩამოეკიდა კისერზე.

ბესიკმა ილღიებში ამოღვა ხელი, ხუმრობით მაღლა აიტაცა და მაშინვე ფრთხილად დაუშვა ძირს. ტაბიკა მხიარულად აცანცარებდა წვერებს და მოშლილი წისქვილივით შეუჩერებლად ლაპარაკობდა:

– შენზე ხმა დავარდა, მოკლესო. ელიზბარ ერისთავი ბრძანებდა, ჩემი თვალით ვნახე, თათარმა ხმალი რომ გლიჯა თავში და ცხენიდან ჩამოაგდო...

– ყუით დამარტყა და გამაბრუა.

– ჩვენ რა ვიცოდით. ერთი პირი გამოგვიჩივრებოდა. აწი ნუ გეშინია, ას წენლიწადს არა გიჭირს რა. მერე, ქალაღი მევიდა შენი! დედა, შეიქნა, მარა რა შეიქნა. რო გვინდა ვაფრინოთ კაცი მეფესთან, ამ დროს ამ ანგელოზმა ანამ, ახლა აქ ბრძანდება, გიცდის ზევით დარბაზშია, ამან ბრძანა, არსა არავის გაგზავნა არ გინდათ...

– ეგ ვიცი, ჩემო ტაბიკა. წავიდეთ ვეახლოთ.

– დამაცა, მე წინ წავალ მახარობლად, – უთხრა ტაბიკამ და კიბე ყუნცულ-ყუნცულით აირბინა.

ლევან ბატონიშვილის სიკვდილით დამწუხრებული, ძაძებში მორთული ანა თავდაჭერილად შეეგება ბესიკს და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. მგოსანმა დაიჩოქა, ხელზე ეამბორა და ტყვეობიდან დახსნისათვის მაღლობა მოახსენა. ვინ იცის, სხვა პირობებში, შესაძლებელია, ისინი ვერც კი შესძლებდნენ ასე თავისუფლად შეხვედრას, რადგან გაბუტვის შემდეგ ერთსაც და მეორესაც ერთმანეთისათვის ბევრი რამ ჰქონდათ სასაყვედურო, მაგრამ განცდილმა ამბებმა ორთავეს ყოველივე დაავიწყა.

– რა მოხდა ეს, რა? – ეკითხებოდა ანა ბესიკს.

– რა მოხდა და ერთი ანდაზისა არ იყოს: “მეცხვარემ თქვაო, თუ ისა მცოდნიყო, რომა ციდან მგელი ჩამოვარდებოდა, ძალს გულაღმა დავაწვენდიო“, ჩვენც ისე მოგვივიდა. საიდან ვიფიქრებდი, რომ ზღვისპირად მისულებს, ერთსა და იმავე დროს გურიელიც და დადიანიც ზურგში მახვილს ჩაგვცემდა. ჩვენ ბათომისკენ ვიყურებით, მტერს ველოდებით, ამ დროს ზურგიდან დაგვესხნენ თავს ერთიც და მეორეც. მერე ისე მოულოდნელად, რომ განა შეეძელით მოგვესწრო რამე. ბერმა, ვისაც ცხენი ჰყავდა, შეჯდომაც ვერ მოასწრო. ბალახზე მიშვებულ ცხენს მოყვანა ხომ უნდა! მე ახლაც გაოცებული ვარ, სოლომონი როგორ გადარჩა. უკანასკნელად, სანამ გონს დაკარგავდი, მახსოვს, სულ დიდი, სამოცი კაცი თუ ვიყავით მის გარშემო და ათასზე მეტს ვიგერიებდით.

– ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ გლალატობდნენ.

– ვერ გავიგეთ. გურიელთანაც გვყავდა მსტოვარი, დადიანთანაც, მაგრამ იმათ ან ვერ გაიგეს, რომ მთავრები ღალატს აპირებდნენ, ან ვერ მოასწრეს ეცნობებინათ.

– ლევანის ამბავს გაიგებდი, – უთხრა ცრემლმორეულმა ანამ.

– ვაი ჩემს თავს, უბედურს, – ჩაჰკიდა თავი ბესიკმა და ცრემლი მოიწმინდა. – ნეტავ სამუდამოდ დამზნელებოდა თვალი, ეს რომ გავიგე. რა მოუვიდა უბედურს?

– არა ვიცი რა. ვეჯინში ყოფილა აბაშიძებთან სტუმრად. ზოგი ამბობს, მოწამლესო, ზოგი ამბობს, მასპინძლის მეუღლეს მიეძალა მთვრალი, იმან კიდეც დანა დაჰკრა და მოკლაო. უბედურს ესეთები სჩვეოდა, ვინ იცის, იქნებ მართალიცაა. ზოგი ამბობს, ორაგული მიირთვა, იმან აწყინაო. რას გაიგებ. მე თბილისს ვეღარ წავიქვე. ქმარი გავგზავნე. ჯერ არ დაბრუნებულა, დღე-ღამეზე ველოდები. შენ რას აპირებ, სოლომონს არ ეახლები?

– ხვალ ვაპირებ წასვლას, – უთხრა ბესიკმა ნამტირალევი ხმით და ცრემლები მოიწმინდა.

* * *

ბერი წულუკიძის სასახლე სავსე იყო დიდებულებით. სოლომონი დიდ დარბაზში საკარცხულზე იჯდა ბუხართან და ყალიონს ეწეოდა.

– უკ, ძალიან მიამა შენი ნახვა, – უთხრა მეფემ მეოსანს, ფეხზე წამოდგა, მოეხვია და მხარზე ამბორის უფლება მისცა, – ჩემს რძალს დაუხსნიხარ ტყვეობიდან, ღმერთმა ათასჯერ მიუზღოს სიკეთით.

ბესიკს თვალში ეცა სოლომონის შეცვლილი სახე. ის გამხდარიყო, თვალები ჩასცვენოდა და თითქო ერთი ათი წლით დაბერებულიყო.

– დაჯექი ახლა და ყოველივე დაწვრილებით მიაძბე. არაფერი დამიძალო, – უთხრა სოლომონმა ბესიკს და საკარცხულზე მიუთითა.

ბესიკმა უამბო რაც გადახდა. სოლომონი წარბშეკრული უსმენდა, მხოლოდ ხანდახან ყალიონს მოუბლაკუნებდა და ერთხელაც არ შეუწყვეტებია ლაპარაკი, ხოლო როდესაც ბესიკმა ამბავის თხრობა დაამთავრა, კიდევ კარგა ხანს არ გაუღია ხმა და ფიქრებში წასული ჩასცქეროდა ნაკვერცხლებს.

– ახლა მართლა ვნანობ, რად არ დაუფჯერე შარვაშიძეებს, როდესაც ისინი ქუთაისს მეხლნენ, და რად არ ამოვაგდე მათი დახმარებით კაცია დადიანის სახსენებელი, – ყრუდ ჩაილაპარაკა ბოლოს სოლომონმა. – სანამ ჩემს ქვეყანაში ამ მთავრებს ძირმაგარასავით ფესვიანად არ ამოვაგდებ, მანამდე ჩვენი ქვეყნის ხსნა ტყუილი ამბავია. ქართლის ცხოვრებაშიაც ასე სწერია. როდესაც სახელმწიფოში მთავრები მძლავრობდნენ, ქვეყნის საქმე სულ მუდამ უკუღმა მიდიოდა. დიდებულმა დავით აღმაშენებელმა ქვეყანა იმით აღადგინა, რომ პირველად მთავრებს მოუგრიხა კისერი. მეც ასე უნდა მოვიქცე. დიდხანს აღარ დარჩენია კაცია დადიანს და ამ თხაკიკინა გურიელს ამქვეყნად ბოგინი. თუ კაცი ვყოფილვარ, ვანანებ ორთავეს ქვეყნის დალატს და ორგულობას. ვალრიალებინებ ორთავეს ხოსია ჯალათს იმ ჩემი ჭადრის ძირას. დამაცადონ.

სოლომონს ალელგება შეეტყო. მას ექიმი ვიტენბურგი მიუახლოვდა და ახლად ნასწავლი ქართულით გაჭირვებით უთხრა:

– მეფე, ნუ, ლაპარაკი, გაცქინს...

– ეეკ, ერთი შენც შემომიჩნდი, – გაჯავრებით აუქნია ხელი სოლომონმა, – მაწყენს! მაგის მეტი არაფერი მწყენდეს და მაგას როგორმე გავუძლებ.

ბერი წულუკიძე მეფის ზურგს უკან იდგა და თვალთ ანიშნებდა ბესიკს, მოშორდიო, მაგრამ სოლომონმა, თითქოს კეფაზე ჰქონოდა თვალები, მოუხედავად უთხრა:

– შენც ნუ შემომიჩნდი, თორემ, მგონია, იმათი გულისჯავრი შენზე ვიყარო. ისიც ცოლისძმაა ჩემი და შენც.

– მე ნუ მოგიკვდები, მითხარი, თვალები კიდევ ხომ არსა გაბია ამ ზურგზე, – ხუმრობით გაუქილიკა სიტყვა წულუკიძემ, – რათი დამინახე! რათი?

– ზურგზე კი არა, ბრმა ვყოფილვარ მე უბედური, ბრმა. თვალები რომ მქონოდა, ეს დალატი არ უნდა დამენახა? – სოლომონმა უძილობისაგან ჩანისლებული თვალები შეანათა თავის ცოლისძმას.

– ა, ასეა სულ, – თითქო შეჩვილა ბესიკს წულუკიძემ და მერე სოლომონს მიუბრუნდა: – აგრე რავა იქნება, შენ შემოგველოს ჩემი თავი. ამ საიმერეთოში კაცი არ დარჩენილა, თავადი და აზნაური, ვინც არ გხლებოდეს და არ ეთქვას შენთვის ერთგულება. ცხრაჯერ გადავთვალეთ და ხუთი ათას კაცს კიდევ ქვე ვაგროვებთყე, რუსეთში კაცი გავვზავნეთ,

იქიდან პასუხს წელიწადი დაავიანდება, მაგრამ ჩერქეზ ბატონიდან საცაა უნდა მოგვივიდეს პასუხი, თუ იმან უარი გვითხრა, საჩაჩნოში მე თითონ წავალ, როგორც კი გაიჭრება თოვლში გზა მამისონზე და იქიდან ჩამოვიყვან ჯარს. ქირას თუ მიცემ, თუ გინდა, თითონ ხონთქარი მოგახმარს ჯარს. შენ ფული თქვი, მაგრამ ისიც, ღვთის მადლით, ჯერ პატარა-პატარა ქე გაგვანია და გულს რაზე იხეთქამ ტყვილა უბრალოდ.

– მოთმინება აღარ მყოფნის, ბერი, მოთმინება, – უთხრა ოდნავ დამშვიდებულმა სოლომონმა.

– ვიცი, გული გერჩის, მაგრამ აჩქარება არ გარგია.

– არც დაყოვნებაა კარგი, – შეედავა სოლომონი და მერე ისევ ბესიკს მიუბრუნდა: – ჩემთვის ახლა ერთადერთ სანუკვარ ოცნებას შეადგენს დაუყოვნებლივ გალაშქრება ოდიშზე და გურიელზე. მერე, თუ ღმერთმა მაცალა, ეს ჩვენი ქვეყანა რუსეთის სამეფოს უნდა შევეუერთო. შენ რას იტყვი?

– მართალი უნდა მოგახსენოთ, მეფევ, მე წინათ არ ვიზიარებდი აზრს რუსეთთან შეერთებისა. ტოტლებენის უგვანო მოქმედებამ ამიყარა გული რუსეთზე, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენთვის რუსეთის გარეშე ხსნა არ არის. მართლა ბედი არ გვწყალობდა, თორემ აქ ტოტლებენისა და სუხოტინის ნაცვლად სხვა ვინმე რიგიანი ღენერალი რომ გამოეგზავნათ, ახლა ფოთიც ხელთ გექნებოდათ, ბათომიც, მთელი აჭარა-ლაზიკაც და ეს ურჩი მთავრებიც დამორჩილებული გეყოლებოდა, მაგრამ რას იზამ. ქვეყნის საკეთილდღეოდ ღვაწება, ჩვენთვის, ეკლნართ მოფენილ გზაზე სიარულად ქცეულა. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, რუსეთის მფარველობა უნდა მოვიპოვოთ, ერთმა და ორმა მარცხმა არ უნდა შეგვაშინოს. რუსეთი დიდი ქვეყანაა. თვალუწვდენი და ღედამიწის ნახევარზეა გადაჭიმული. ტყვეობაში რომ განლდით. ბევრი ვიფიქრე ამაზე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენ მხოლოდ რუსეთის მფარველობა თუ გვიხსნის.

– სწორი ხარ, ჩემო მგოსანო, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახლა კი, სანამ შურს არ ვიძიებ, სულ ერთია, ვერ მოვისვენებ და ბოლმა დამახრჩობს.

ბესიკმა ამაზე მეფეს ვერაფერი ვერ უთხრა. შეატყო, რომ აქ არავითარი რჩევა არ გაჭრიდა, თუმცა საღი გონება უკარნახებდა ეთქვა მეფისათვის, რომ ახლა ლაშქრობას აზრი არა ჰქონდა. ვერც დადიანს და ვერც გურიელს სოლომონი ხელში ვერ ჩაიგდებდა და ტყუილუბრალოდ ხელახლა უნდა დაღვრილიყო მოძმეთა სისხლი. მთავრები, კიდევაც რომ დამარცხებულიყვნენ, თავს თურქებთან შეაფარებდნენ და სოლომონს მაინც არ მოუსვენებდნენ.

ეს აზრი ბესიკმა საღამოს ბერი წულუკიძეს გაუზიარა და ურჩია, როგორმე დაერწმუნებია მეფე, გადაეფიქრებია ლაშქრობა.

– შე კაცო, მაგის მეტს რას ვაკეთებდით, მაგრამ მიგვიკარა! ასე ბრძანა, ვინც ამაზე სიტყვას შემობრუნებს, თავს წავაცლიო. წელან გიყურებდი და სულ გული მისკდებოდა, ღმერთი არ გაუწყრეს, არ წამოსცდეს-მეთქი. მაგის თქმას ვინ გაუბედავს. აღდგომას, მეგონა ამ დიდებულ ღღესასწაულს ხასიათი შეეცვლება და შევაპარებ სიტყვას-თქო, შენც არ მომიკვდე. კინალამ ცოდვა დაატრიალა. ახლა დღე-ღღეზე პასუხს ველით თემურყოსაგან, ქირით თუ მოგვცა ჯარი, მაშინვე აპირებს თავდასხმას დადიანზე. გონს მოსვლა არ უნდა ვაცალოო. ერთი მხრით სწორი კი არი.

თენდებოდა, როდესაც ბესიკი სასახლეში ატეხილმა ხმაურმა გამოაღვიძა. ყველანი ამღვარიყვნენ და მათ ფაციფუცზე, მხიარულ ხორხოცზე, ეტყობოდა, რომ რაღაც მოხდა.

ბესიკი მაშინვე ადგა, ჩაიცვა და გარეთ გამოიჭრა.

– კარგ ფეხზე მოხვედი, ბესიკ, – მხიარულად შესძახა მასპინძელმა. – ეს-ესაა მოვიდა შიკრიკი. თემურყოს ხუთი ათასი კაცი გამოუგზავნია, ქირა, რაც გვეგონა, მისი მესამედი

უთხოვია და უთქვამს, როცა საქმეს გააკეთებთ, ფული მერე მომეცითო. არაა მოსალოცი ამბავი? მიდი, მეფე ფეხზე ბრძანდება, მიულოცე, გაეხარდება.

სოლომონი მართლა ფეხზე იყო, ჩაცმული. თითქო გაახალგაზრდავებულიყო, თვალები ემაწვილური ცეცხლით უბრწყინავდა.

– ბესიკ, ბესიკ, მოდი აქ, შენ ნათათრო, შენა, – ღიმილით შეეგება სოლომონი. – ჩაცმული ხარ? – მაშ ჯერ ვილოცოთ, მერე ვისაუზმოთ, ოჯალეში გადავკრათ და ქუთაისისკენ გავეშუროთ. ისმინა ღმერთმა ვედრება ჩემი.

დიდებულებსაც გადადებოდათ მეფის ეს უჩვეულო ადგენება, აფრენილი გარბი-გამორბოდნენ, ერთმანეთს ხვევნა-კოცნით ულოცავდნენ სასიხარულო ამბავს და კისრისტეხით მიჰქროდნენ მეფის უმნიშვნელო ბრძანების შესასრულებლად.

მზე უკვე შუბისტარზე იდგა, როდესაც საუზმე მოთავდა, მეფე ადგა და ბრძანა ცხენი მოყვანათ. ყველანი აიშალნენ და ეზოში გავიდნენ.

სოლომონს თავისი ქურანა ბედაური მოგვარეს. ყელმოღერებული ლამაზი ცხენი ჯილავდარებმა შუა ეზოში გააჩერეს.

კიბისთავზე სოლომონმა პირჯვარი გამოისახა, მერე სწრაფად ჩაირბინა საფეხურები და ეზოდან რატომღაც ცას ახედა.

კასკასა ცაზე ღრუბლის ნატამალი არ იყო. ეტყობა ესეც კარგად ენიშნა მეფეს. სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა, მივიდა, ცხენს კისერზე ხელი მოუთათუნა, მარცხენა ხელით სადავე თავზე გადმოუტარა, ფეხი უზანგში შედგა და გაიმართა თუ არა, რომ მეორე ფეხი უნაგირზე გადაეტანა, თითქო რალაცამ მაგრად დაჰკრა თავში, მოულოდნელად მოეშვა, ნელა დაცურდა უკანვე, ჩაიკეცა და მიწაზე დაეცა. მარცხენა ფეხი უზანგში შერჩა აშვერილი.

შემფოთებულმა მხლებლებმა უნებურად წამოიკვილეს და მისცვივდნენ. ფეხი უზანგიდან გაუთავისუფლეს, ცხენი გაარიდეს, ყველას ეგონა, რომ მეფეს ბნეღამ მოუარა, მაგრამ როდესაც ექიმმა ვიტენბურგმა ჯერ მაჯა და შემდეგ გული გაუსინჯა, ნელა ადგა. ქუდი მოიხადა, პირჯვარი გამოისახა და ამით ამცნო ყველას სოლომონის აღსასრული.

ცივად იკივლა დედოფალმა გულქანმა და თავის მეუღლეს გულზე დაემხო.

